ილია ილფი, ევგენი პეტროვი

თორმეტი სკამი

ნაწილი პირველი. სტარგოროდის ლომი

1. ბეზენჩუკი და „ნიმფები“

სამაზრო ქალაქ №-ში საპარიკმახეროებსა და დამკრძალავ ბიუროებს სათვალავი არ ჰქონდა. იფიქრებდით, ამ ქალაქის მკვიდრნი მხოლოდ იმისთვის იბადებიან, რომ თმა შეიკრიჭონ, წვერი გაიპარსონ, ვეჟეტალი ისხურონ და მყისვე სული განუტევონო. ნამდვილად კი №-ში ადამიანის დაბადებაც, გაპარსვაცა და სიკვდილიც ფრიად იშვიათი გახლდათ. ქალაქი უშფოთველად ცხოვრობდა. გაზაფხულის საღამოები პირდაპირ დამათრობელი იყო. ტალახი ანტრაციტივით ბრწყინავდა მთვარის შუქზე. ახალგაზრდები კი ისე თავდავიწყებით იყვნენ შეყვარებული კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ადგილკომის მდივან ქალზე, რომ იგი საწევრო ანარიცხების შეგროვებასაც ვეღარ ახერხებდა.

იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვს სიყვარულისა და სიკვდილის საკითხები არც აღელვებდა, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობა მას აიძულებდა, ყოველდღე სწორედ ამ საკითხებზე ეზრუნა დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთამდე, გარდა ნახევარსაათიანი შესვენებისა საუზმისთვის.

დილით იპოლიტ მატვეევიჩს კლავდია ივანოვნა შრეებიანი ჭიქით ცხელ რძეს მიართმევდა ხოლმე. შემდეგ ვორობიანინოვი ბნელი სახლიდან ფართო, გაზაფხულის მზით განათებულ ქუჩაში გადიოდა. ქუჩა ამხანაგ გუბერნსკის სახელობისა იყო. ასეთ სასიამოვნო ქუჩას სხვა სამაზრო ქალაქებში ვერსად ნახავდით. ხელმარცხნივ, მომწვანო ტალღოვან მინებს იქით, ვერცხლისფრად ბრწყინავდა დამკრძალავი ბიუროს, „ნიმფას“ კუბოები. მარჯვნივ, პატარა სარკმელებს მიღმა, რომლის მინებსაც აქეთ-იქით საგოზავის კვალი აჩნდა, პირქუშად გაწოლილიყო მეკუბოვე ბეზენჩუკის მტვრიანი, ულაზათო მუხის კუბოები. მათ გვერდით „ოსტატი-დალაქები პიერი და კონსტანტინე“ კლიენტებს ფრჩხილების გაკრიალებას და ონდულიანსიონის სახლში მირთმევას აღუთქვამდნენ. ცოტა მოშორებით სასტუმრო იყო. მას საკუთარი საპარიკმახერო ჰქონდა, ხოლო სასტუმროს იქით, საკმაოდ ვრცელ მინდორზე, ჩალისფერი ხბო იდგა და ნაზად ლოკავდა ობლად აშვერილ, ჭიშკარზე მიყუდებულ, ჟანგიან აბრას: დამკრძალავი კანტორა

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“

დამკრძალავი კანტორები მართლაც უამრავი იყო, მაგრამ კლიენტურა ცოტა ჰყავდათ. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ ქალაქში იპოლიტ მატყვეევიჩის დამკვიდრებამდე სამი წლით ადრე გაკოტრდა. ოსტატი ბეზენჩუკი კი არაყს ეტანებოდა და ერთხელ ლომბარდში დასაგირავებლად თავისი საუკეთესო, ვიტრინის კუბოც კი მიათრია.

ადამიანები ქალაქ №-ში იშვიათად კვდებოდნენ, და ეს იპოლიტ მატვეევიჩმა სხვებზე კარგად იცოდა - იგი მმაჩში სისკვდილიანობისა და ქორწინებათა რეგისტრაციის მაგიდას განაგებდა.

იპოლიტ მატვეევიჩის მაგიდა ძველ საფლავის ქვას მოგაგონებდათ. მისი მარცხენა კუთხე ვირთაგვებს გამოეთხარათ, წვრილი ფეხები კი ძლივს უძლებდა სქელი, თამბაქოსფერი საქაღალდეების სიმძიმეს. ამ საქაღალდეებიდან თქვენ ყველაფრის შეტყობა შეგეძლოთ, როგორც ქალაქ №№-ის მკვიდრთა წარმოშობაზე, ისე იმ გენიალოგიურ ხეებზე მაზრის მწირ ნიადაგზე რომ ხარობდნენ.

1927 წლის 15 აპრილს, პარასკევს, იპოლიტ მატვეევიჩმა, ჩვეულებისამებრ, რვის ნახევარზე გაიღვიძა და ცხვირზე მყისვე ძველებური, ოქროსრკალიანი პენსნე მოირგო. სათვალეზე იგი მწყრალად იყო. ერთხელ კი გაიფიქრა, პენსნეს ტარება არაჰიგიენურიაო, ოპტიკოსს მიაკითხა და უჩარჩო, ოქროსუღლიანი სათვალე იყიდა. ერთხანს ატარებდა, მაგრამ ცოლმა (მაშინ ცოცხალი იყო), შენიშნა - გამოცხადებული მილიუკოვი ხარო, და იპოლიტ მატყვეევიჩმა სათვალე მეეზოვეს აჩუქა. მეეზოვეს თვალი სანაქებოდ უჭრიდა, მაგრამ სათვალეს მალე მიეჩვია და სიამოვნებითაც ატარებდა.

- ბონჟურ! - წამოიმღერა იპოლიტ მატვეევიჩმა და ფეხები ძირს ჩამოუშვა. „ბონჟურ“ იმას მოასწავებდა, რომ იპოლიტ მატვეევიჩმა კარგ გუნებაზე გაიღვიძა. ხოლო, თუ „გუტ მორგენს“ იტყოდა, ეს ასე უნდა გაგვეგო: ღვიძლის ტკივილმა შემაწუხა, ორმოცდათოთხმეტი წელი ხუმრობა არ გახლავთ, დღეს კი წვიმიანი ამინდიაო.

იპოლიტ მატყვეევიჩმა ძვალტყავა ფეხები ომამდელი თარგის შარვალში ჩაყო, შარვალი კოჭებთან თასმებით შეიკრა და მოკლე, რბილი, კვადრატულცხვირიანი

ჩექმები ჩაიცვა. ხუთი წუთის შემდეგ მას უკვე მთვარისფერი, წვრილი ვარსკვლავებით დაწინწკლული ჟილეტი და მოლივლივე ლიუსტრინის პიჯაკი ამშვენებდა. პირი დაიბანა, ჭაღარიდან წყლის წვეთები ჩამოიბერტყა. ულვაშები მხეცივით ააცმაცუნა და ხელი ფრთხილად მოისვა ხორკლიან ნიკაპზე. მოკლედ შეკრეჭილი, ალუმინისფერი თმა ჯაგრისით გადაივარცხნა და ოთახში შემოსულ სიდედრს, კლავდია ივანოვნას, თავაზიანი ღიმილით შეეგება.

- იპპოლე-ეტ! - დაიროხროხა სიდედრმა, - წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე.

სიტყვა ,,სიზმარი'' ფრანგული პრონონსით წარმოითქვა.

იპროლიტ მატვეევიჩმა სიდედრს ზევიდან დახედა. ვორობიანოვი ას ოთხმოცდა ხუთი სანტიმეტრი სიმაღლისა იყო და ამ სიმაღლიდან მას ფრიად ეადვილებოდა, სიდედრს ერთგვარი ზიზღითა და გულგრილობით მოპყრობოდა.

- განსვენებული მარი გამომეცხადა, - განაგრძო კლავდია ივანოვნამ, - თმა გაშლილი ჰქონდა და ოქროსფერი სარტყელი ეკეთა.

კლავდია ივანოვნას ქვემეხისებური ხმა აზანზარებდა ბურთივით გაბერილ თუჯის ლამპას, რომელსაც ბზარებით დასერილი მტვრიანი მინა ამშვენებდა.

- ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ, არაფერი დაგვემართოს.

ეს სიტყვები ისეთი ძალით იყო წარმოთქმული, რომ იპოლიტ მატვეევიჩს თმა აებურძგნა. ის კი დაიჭყანა და დამარცვლით თქვა: - მამან, არაფერიც არ დაგვემართება. წყლის ფული შეიტანეთ?

თურმე, სიდედრს წყლის ფული არ შეუტანია. კალოშებიც გაურეცხავი იყო. იპოლიტ მეტყვეევიჩს სიდედრი არ უყვარდა. კლავდია ივანოვნა სულელი იყო და მისი ასაკი არ იძლეოდა იმის იმედს, რომ ეს ქალი ოდესმე მოჭკვიანდებოდა. ამასთან, უსაშველოდ ძუნწიც იყო, და ეს მისი სიძუნწის გრძნობა ფრთებს სრული ძალით მხოლოდ იმიტომ ვერ შლიდა, რომ იპოლიტ მატვეევიჩი ღარიბი იყო. ხმა კლავდია ივანოვნას ისეთი ბოხი და მძლავრი ჰქონდა, რომ რიჩარდ ლომგულსაც შეშურდებოდა, ვის ყვირილზეც, როგორც ცნობილია, ცხენებს მუხლი ეკვეთებოდათ. ყველაფერზე აუტანელი კი ის იყო, რომ კლავდია ივანოვნა სიზმრებს ხედავდა ხოლმე. ხან ხალათიანი ქალწულები და ყვითელი დრაგუნული არშიით დამშვენებული ცხენები ესიზმრებოდა, ხან მეეზოვეები, რომელნიც ქნარზე უკრავდნენ, ხან დარაჯის ქურქში გახვეული მთავარანგელოზები, რომლებიც ღამღამობით ქუჩებში დასეირნობდნენ და სარეკელებს აჩხარუნებდნენ, ხან კიდევ საქსოვი ჩხირები, რომლებიც თვითონ დახტოდნენ ოთახში და ნაღვლიან ხმებს გამოსცემდნენ. კლავდია ივანოვნა მართლაც გამოტვინებული ბებერი იყო. სიბერეში ულვაშებიც ამოუვიდა, რომელიც პირის გასასაპნ ფუნჯს მოგაგონებდათ.

იპოლიტ მატვეევიჩი ოდნავ ნერვებაშლილი გამოვიდა სახლიდან. თავის მრავალჭირნახულ დაწესებულებასთან, კარის ზღურბლს მიყრდნობილი და გულხელდაკრეფილი, კუბოების ოსტატი ბეზენჩუკი იდგა. კომერციულ წამოწყებათა სისტემატური კრახისა და მაგარი სასმელებით სხეულის ხანგრძლივი გადატვირთვისგან ოსტატს თვალებზე ღია ყვითელი ფერი დასდებოდა და შმაგი ცეცხლით უელავდა.

- პატივი და დიდება ძვირფას სტუმარს! - სხაპასხუპით მიაყარა ბეზენჩუკმა იპოლიტ მატვეევიჩს, - დილა მშვიდობისა!

იპოლიტ მატვეევიჩმა თავაზიანად მოიხადა ლაქებიანი კასტორის შლიაპა.

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ, თქვენი სიდედრი როგორ ბრძანდება?

- ჰმ-მრ-მარ... - გაურკვევლად ჩაიდუდუნა იპოლიტ მატვეევიჩმა, სწორი მხრები აიჩეჩა და თავის გზას გაუყვა.

-ღმართმა კარგად ამყოფოს! - გულმოკლულად წაილაპარაკა ბეზენჩუკმა, - ლამის გავკოტრდე, დალახვროს ეშმაკმა!

ისევ გულხელი დაიკრიფა და კარს მიეყრდნო.

დამკრძალავი ბიუროს „ნიმფას“ კართან იპოლიტ მატვეევიჩი ერთხელ კიდევ შეაჩერეს.

„ნიმფას“ სამი პატრონი ჰყავდა. მათ ერთდროულად დაუკრეს თავი იპოლიტ მატვეევიჩს და ერთხმად ჰკითხეს სიდედრის ჯანმრთელობის შესახებ.

- კარგადაა, - მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა, - არა უშავს! დღეს სიზმარში თმაგაშლილი და ოქროსსარტყელიანი ქალწული უნახავს. ასეთი მოჩვენებები დასიზმრებია.

სამმა „ნიმფამ“ ერთმანეთს გადახედა და ხმამაღლა ამოიხვნეშა.

მეკუბოვეებთან გასაუბრებამ იპოლიტ მატვეევიჩი გზაში დააკავა და ჩვეულების წინააღმდეგ სამსახურში მაშინ მივიდა, როცა საათი უკვე ათის ხუთ წუთს უჩვენებდა. საათის ქვევით ლოზუნგი ეკიდა - „გააკეთე შენი საქმე და წადი“.

დაწესებულებაში იპოლიტ მატვეევიჩს, რაკი იგი მაღალი ტანისა იყო და ულვაშებს ატარებდა, მაცისტი შეარქვეს, თუმცა ნამდვილ მაცისტს არასოდეს ულვაშები არ ჰქონია.

იპოლიტ მატვეევიჩმა მაგიდის უჯრიდან თექის ლურჯი ბალიში ამოიღო და სკამზე დადო. ულვაშები გაისწორა, მაგიდის პარალელური მიმართულება მისცა, ბალიშზე დაჯდა და თავის სამ თანამშრომელს, ცოტა არ იყოს, ზევიდან გადახედა. მას ბუასილისა არ ეშინოდა, მაგრამ შარვლის გაცვეთას კი ერიდებოდა და ლურჯ თექასაც ამიტომ იყენებდა.

საბჭოთა მოსამსახურის ყველა ამ მანიპულაციას მორცხვად ადევნებდა თვალს ორი ახალგაზრდა - ქალი და ვაჟი. მაუდის დაბამბულ პიჯაკში გამოწყობილი ვაჟი მთლად ნირწამხდარი იყო ამ მკაცრი სამსახურებრივი გარემოცვით, ალიზარინის მელნის სუნით, საათით, - ხშირ-ხშირად და მძიმედ რომ „ოხრავდა“ და მეტადრე ლოზუნგით - „გააკეთე შენი საქმე და წადი“. ყმაწვილს თავისი საქმე ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდა, თვალი კი უკვე გაქცევაზე ეჭირა. მას ეჩვენებოდა, რომ იმდენად უმნიშვნელო საქმისთვის ვარ მოსული, სირცხვილიცაა ამ პატივსაცემი, ჭაღარა ადამიანის შეწუხებაო. იპოლიტ მატვეევიჩმაც კარგად იცოდა, რომ მოსულებს პატარა საქმე ჰქონდათ და საჩქარო არაფერი იყო, ამიტომ გახსნა საქმე №2, ღაწვები შეატოკა და ქაღალდებში ჩარგო თავი. ქალიშვილმა, რომელსაც გრძელი, პეწიანი შავი თასმით

ამოგვირისტებული ჟაკეტი ეცვა, ვაჟს რაღაც ჩასჩურჩულა და, სირცხვილისგან ალმოდებული, ნელა მიუახლოვდა იპოლიტ მატვეევიჩს.

- ამხანაგო, - წარმოსთქვა მან, - სად ხდება აქ...

პიჯაკიანმა ჭაბუკმა შვებით ამოისუნთქა და უცებ, თავისდაუნებურად შეჰბღავლა: - ხელისმოწერა!

იპოლიტ მატვეევიჩმა ყურადღებით შეხედა მოაჯირს, რომლის იქითაც ეს წყვილი იდგა.

- ვინმე დაიბადა? თუ გარდაიცვალა?

- ხელისმოწერა გვინდა, - გაიმეორა პიჯაკიანმა და დაბნეულად მიმოიხედა.

ქალიშვილმა გადაიკისკისა. საქმე გაჩარხული იყო. იპოლიტ მატვეევიჩი ჯამბაზის სიმარჯვით ამოქმედდა. სქელ წიგნებში ბებრული ხელწერით აღნუსხა მექორწინეთა გვარები. მკაცრად დაჰკითხა მოწმეები, ქალიშვილმა ეზოში რომ მოძებნა. დიდხანს ნაზად ასუნთქავდა კვადრატულ ბეჭედს, ვიდრე წამოდგებოდა და გაცვეთილი პასპორტების ფურცლებს დაუსვამდა. ახალგაზრდებს ორი მანეთი გამოართვა, ქვითარი მისცა და ღიმილით ჩაილაპარაკა: - საიდუმლოს აღსრულებისთვისო. - მერე წამოდგა, მთელი თავისი დიდებული ტანით აღიმართა და ჩვეულებისამებრ მკერდი გამოზნიქა (თავის დროზე იგი კორსეტს ატარებდა). მზის ყვითელი სხივები ეპოლეტებივით გაწვა იპოლიტ მატვეევიჩის მხრებზე. მას ცოტა სასაცილო, მაგრამ უჩვეულოდ საზეიმო შეხედულება ჰქონდა. პენსნეს ორმაგად მოხრილი შუშები პროჟექტორის თეთრ სინათლეს აფრქვევდა. ახალგაზრდები ცხვრებივით გაჩერებულიყვნენ იპოლიტ მატვეევიჩის წინ.

- ახალგაზრდებო, - მაღალფარდოვანი ტონით მიმართა მათ იპოლიტ მატვეევიჩმა, - ნება მომეცით, როგორც წინათ იტყოდნენ, მოგილოცოთ კანონიერი ქორწინება. მეტისმეტად სასიამოვნოა, როცა თქვენისთანა ახალგაზრდები ხელიხელჩაკიდებული მიდიან მარადიული იდეალების მისაღწევად. დიახ, მეტად სასიამოვნოა!

ამის შემდეგ იპოლიტ მატვეევიჩმა ხელი ჩამოართვა ახალდაქორწინებულებს, დაჯდა და, თავისი თავით უაღრესად კმაყოფილმა №2 საქმის კითხვა განაგრძო.

მეზობელ მაგიდასთან სამელნეებზე თავდახრილმა მოსამსახურეებმა ჩაიხითხითეს.

მშვიდობიანი სამუშაო დღე დაიწყო. სიკვდილიანობისა და ქორწინებათა მაგიდა აღარავის შეუწუხებია. ფანჯრიდან მოჩანდა, როგორ მიეშურებოდნენ სახლებისკენ გაზაფხულის სიცივით აკანკალებული მოქალაქეები. ზუსტად შუადღისას კოოპერატივში ,,გუთანი და ჩაქუჩი" მამალმა იყივლა. ეს არავის გაკვირვებია. შემდეგ ლითონის ჟღარუნი და მოტორის ხველება გაისმა. ამხანაგ გუბერნსკის სახელობის ქუჩიდან იისფერი კვამლის მკვრივი ბოლქვი გამოვიდა. ხველება გაძლიერდა. მალე კვამლში სამაზრო აღმასკომის №1 ავტომობილის კონტური გამოისახა, ერთი ბეწო რადიატორითა და ვეებერთელა ძარათი. ავტომობილმა ტალახიანი სტაროპანის მოედანი ტალახ-ტალახ გადასერა და ლახლახით გაქრა შხამიან კვამლში. მოსამსახურეები კიდევ დიდხანს იდგნენ ფანჯარასთან, მომხდარ ამბავზე

მსჯელობდნენ და ცდილობდნენ, იგი შტატების მოსალოდნელ შემცირებასთან დაეკავშირებინათ. ცოტა ხნის შემდეგ ფიცრის ტროტუარზე ფრთხილად გაიარა ოსტატმა ბეზენჩუკმა. ის დღენიადაგ ქალაქში დაეხეტებოდა და ცდილობდა გაეგო, ხომ არავინ მომკვდარაო.

სამუშაო დღე იწურებოდა. მეზობლად, თეთრ-ყვითელ სამრეკლოზე გამეტებით ჩამოკრეს ზარი. აზრიალდნენ ფანჯრები. სამრეკლოდან ყვავები წამოიშალნენ, მოედნის თავზე წაიმიტინგეს და მიიმალნენ. დაცარიელებულ მოედანს საღამოს ყინვიანი ცა დაეუფლა.

დადგა იპოლიტ მატვეევიჩის წასვლის დროც. ყველა, ვინც ამ დღეს უნდა დაბადებულიყო, დაიბადა და ჩაწერილ იქნა სქელ წიგნებში. იქორწინა ყველამ, ვისაც უნდა ექორწინა - ესენიც სქელი წიგნების გვერდებზე მოთავსდნენ. მხოლოდ ეს იყო, რომ, მეკუბოვეთა საუბედუროდ, არავინ მომკვდარა. იპოლიტ მატვეევიჩმა საქმეები აალაგა. თექის ბალიში უჯრაში შეინახა, ულვაშები დაივარცხნა და, ცხელ სუპზე ოცნებით ატანილი, ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ კანცელარიის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე კუბოების ოსტატი ბეზენჩუკი აღიმართა.

- პატივი და დიდება ძვირფას სტუმარს! - გაუღიმა იპოლიტ მატვეევიჩმა, - რას გვიბრძანებთ?

ბინდბუნდში ოსტატს ველური ფიზიონომია უბრწყინავდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

- აბა? - უკვე მკაცრად ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- „ნიმფები“, ეგ გასაწყვეტები... - ძლივს ამოილუღლუღა კუბოების ოსტატმა, - რა, ეგენიც იტყვიან, მყიდველის გულის მოგება შეგვიძლიაო? ახლა ერთი ისიც იკითხეთ, კუბოს რამდენი ხე-ტყე სჭირდება...

- რაო? - ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- რა და ის, რომ... „ნიმფები“... ერთ საქმეს სამი ოჯახი სწოვს... არც მასალა უვარგათ, არც გაწყობა იციან... ფოჩები ხომ - ღმერთმა დაგიფაროთ! მე კი ძველი ფირმა ვარ. ცხრაას შვიდი წლიდან ვარსებობ. ჩემი კუბო კუბო კი არა, კიტრია, ქორფა კიტრი... დარჩეული... დიახ!..

- შენ ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ? - ალერსიანად ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა და კარისკენ გაემართა, - ეგ კუბოები გადაგრევენ, შე უბედურო!

ბეზენჩუკმა მარდად გააღო კარი, იპოლიტ მატვეევიჩი გაატარა და მოუთმენლობისგან აკანკალებული, უკან დაედევნა.

- არა, როცა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ იყო, მაშინ... მართლაც... მათ ისეთი ფარჩა ჰქონდათ, რომ ტვერის ფირმებსაც აცუდებდა, ეშმაკმა დალახვროს! ახლა კი, გეუბნებით, ჩემისთანა საქონელი არავის აქვს. ტყუილად არ ეძიოთ.

იპოლიტ მატვეევიჩი განრისხებული მიუბრუნდა. ერთ წამს გულმოსული მისჩერებოდა ბეზენჩუკს და მერე ჩქარი ნაბიჯით გასწია. სამსახურში დღეს უსიამოვნება არ შეხვედრია, მაგრამ თავს მაინც ცუდად გრძნობდა.

„ნიმფას“ სამი მეპატრონე თავისი დაწესებულების კართან ისევ ისე იდგა, როგორც იპოლიტ მატვეევიჩმა დილას დატოვა. იფიქრებდით, მას აქეთ ერთმანეთს ერთხელაც არ შესიტყვებიანო; მაგრამ აშკარა ცვლილებები მათ გამომეტყველებაში, იდუმალი კმაყოფილება, თვალებში მორცხვად რომ უციმციმებდათ, ამჟღავნებდა, რომ მათ რაღაც მნიშვნელოვანი იცოდნენ.

თავისი კომერციული მტრების დანახვაზე ბეზენჩუკმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, შეჩერდა და ვორობიანინოვს კვალდაკვალ, ჩურჩულით მიადევნა: - ოცდათორმეტ მანეთად დაგითმობთ.

იპოლიტ მატვეევიჩი შეიჭმუხნა და ნაბიჯს უმატა.

- ნისიად გენდობით, - დაუმატა ბეზენჩუკმა.

„ნიმფას“ სამ მეპატრონეს კი არაფერი უთქვამს. ისინი ხმაამოუღებლად დაედევნენ ვორობიანინოვს, ყოველ ნაბიჯზე კარტუზებს იხდიდნენ და თავაზიანად წელში იხრებოდნენ.

მეკუბოვეების სულელური ატორღიალებით განრისხებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა კიბე ჩვეულებრივზე სწრაფად აირბინა, საფეხურზე ნერვიულად შეიწმინდა ტალახიანი ფეხები და შიმშილისგან თავბრუდასხმული, წინკარში შევიდა. ამ დროს ოთახიდან ფროლისა და ლავრის ეკლესიის ღაჟღაჟა მღვდელი, მამაო თევდორე გამოვიდა, მაგრამ მღვდელმა არც კი შეხედა იპოლიტ მატვეევიჩს, მარჯვენა ხელით ანაფორის კალთა აკრიფა და გასასვლელისკენ გაქანდა.

აქ იპოლიტ მატვეევიჩმა შენიშნა, რომ ბინაში უჩვეულო სისუფთავე სუფევდა. მცირეოდენი ავეჯი არეულ-დარეული იყო. ნესტოებში რომელიღაც წამლის მძაფრმა სუნმა შეუღიტინა. პირველ ოთახში მეზობელი, აგრონომი კუზნეცოვის ცოლი შეეჩეხა. ქალმა ხელები გაასავსავა და აჩურჩულდა.

- უარესადაა. ეს-ესაა, ეზიარა. ნუ დაბრახუნობთ!

- როდის დავბრახუნობ? - მორჩილად მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა, - მითხარით, რა მოხდა?

მადამ კუზნეცოვამ ტუჩები მოკუმა და ხელით მეორე ოთახის კარზე უჩვენა: - საშინელი გულის შეტევა აქვს.

და ქალმა ვიღაცისგან გაგონილი სიტყვები გაიმეორა, რომელიც მას ძალიან მოსწონებოდა თავისი ღრმა მნიშვნელობით: - გამორიცხული არ არის, რომ ეს ყველაფერი სიკვდილით გათავდეს. მთელი დღის განმავლობაში ფეხზე ვარ. დილით ხორცის საკეპისთვის მოვედი და რას ვხედავ, კარი ღიაა, არც სამზარეულოშია ვინმე, არც ამ ოთახში. გავიფიქრე, კლავდია ივანოვნა კულიჩებისთვის ფქვილის საყიდლად წავიდოდა-მეთქი. ახლა, ხომ იცით, ფქვილი თუ წინასწარ არ მოიმარაგე...

მადამ კუზნეცოვა კიდევ ბევრს ილაპარაკებდა ფქვილზე, სიძვირეზე, იმაზე, თუ როგორ წააწყდა გულწასულ კლავდია ივანოვნას შორენკეცის ღუმელთან, პირდაპირ იატაკზე ჩაკეცილს, მაგრამ იპოლიტ მატვეევიჩს უეცრად სმენა მოჰკვეთა კვნესამ, მეორე ოთახიდან რომ მოისმა. მან გაშეშებული ხელით პირჯვარი გადაიწერა და სიდედრის ოთახში შევიდა.

2. მადამ პეტუხოვას აღსასრული

კლავდია ივანოვნა გულაღმა იწვა და ერთი ხელი თავქვეშ ამოედო. თავზე გარგარის ფერის ჩაჩი ეხურა - ასეთი მოდაში იყო რომელიღაც წელს, როცა ქალები „შანტეკლერს“ ატარებდნენ და არგენტინულ ცეკვა „ტანგოს“ შესწავლას იწყებდნენ.

სახის გამომეტყველება კლავდია ივანოვნას ზეიმური, მაგრამ არაფრისმთქმელი ჰქონდა. თვალები ჭერს მისჩერებოდა.

- კლავდია ივანოვნა, -შეეხმიანა ვორობიანინოვი.

სიდედრმა სწრაფად ააცმაცუნა ტუჩები, მაგრამ იპოლიტ მეტვეევიჩის სმენას ჩვეული საყვირისებური ხმის ნაცვლად ჩუმი, საწყალობელი კვნესა მისწვდა. ვორობიანინოვს გული შეუხტა. კრიალა ცრემლი მოულოდნელად მოსწყდა მის თვალს და ვერცხლისწყლის წვეთივით ჩამოუცურდა ლოყაზე.

-კლავდია ივანოვნა, - გაიმეორა ვორობიანინოვმა, - რა დაგემართათ?

პასუხი ვერც ახლა მიიღო. დედაბერმა თვალები მილულა და ოდნავ გვერდზე გადაბრუნდა.

ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა აგრონომის ცოლი, ვორობიანინოვს ხელი წაავლო და ისე გაიყვანა, თითქოს პატარა ბიჭია და პირის დასაბანად მიჰყავთო.

- ჩაეძინა. ექიმმა დაიბარა, არ შეაწუხოთო. თქვენ კი, ძვირფასო, აფთიაქში წაბრძანდით. აი, ქვითრები, გაიგეთ, ყინული რა ღირს.

იპოლიტ მატვეევიჩმა მოისაზრა, ამგვარ საქმეებში მადამ კუზნეცოვას აშკარა უპირატესობა აქვსო და უყოყმანოდ დაემორჩილა.

აფთიაქი კარგა შორს იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა გიმნაზიელივით ჩამუჭა რეცეპტი და სწრაფად გავიდა სახლიდან.

უკვე კარგად ბნელოდა. საკუბოვეს კართან, მიმქრალი დაისის ფონზე, ხელოსანი ბეზუნჩუკი ატუზულიყო. იგი პურს და ხახვს ჭამდა. იქვე შორიახლოს სამი „ნიმფა“ „ჩაცუცქულიყო და თუჯის ქვაბიდან წიწიბურას შეექცეოდა. ისინი ხარბად ტლაკავდნენ კოვზებს. იპოლიტ მატვეევიჩის დანახვაზე ჯარისკაცებივით გაიჭიმნენ. ბეზენჩუკმა კი წყენით აიჩეჩა მხრები, ხელი კონკურენტებისკენ გაიშვირა და წაიბურტყუნა: - დალახვროს ეშმაკმა, ფეხებში არ მებლანდებიან?!

სტაროპანის მოედნის შუაგულში, პოეტ ჟუკოვსკის ბიუსტთან, რომლის ცოკოლზეც ამოტვიფრული იყო - „პოეზია არის წმიდა მიწიერი ოცნებების ღმერთი“ - გაცხოველებით მსჯელობდნენ კლავდია ივანოვნას მძიმე ავადმყოფობაზე. შეკრებილ მოქალაქეთა საერთო აზრი ასეთი იყო - ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და ღვთის მოცემულს ღმერთივე წაიღებსო.

პარიკმახერმა „პიერ და კონსტანტინემ“ (სხვათა შორის, იგი მაშინაც მკვირცხლად მოგიბრუნდებოდათ, თუ „ანდრეი ივანოვიჩს“ დაუძახებდით), ეს შემთხვევაც

გამოიყენა, რათა თავისი სამედიცინო განათლება გამოემჟღავნებინა, რომელიც მოსკოვის ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე ამოეკრიფა.

- თანამედროვე მეცნიერებამ, - ამბობდა ანდრეი ივანოვიჩი, - პირდაპირ მიუღწეველს მიაღწია. აი, მიყურეთ: ვთქვათ, კლიენტს ნიკაპზე მუწუკი გაუჩნდა. წინათ შეიძლება სისხლი მოსწამვლოდა, ახლა კი მოსკოვში, - ოღონდ არ ვიცი, მართალია თუ არა, - ყოველ კლიენტზე ცალკე სტერილიზებული ფუნჯი მოდის.

მოქალაქეებმა გაბმით ამოიოხრეს.

- ცოტას ხომ არ აჭარბებ, Aნდრეი?!

- სად გაგონილა - ყოველ კლიენტზე ცალკე ფუნჯი მოდიოდეს? ამბობ, რა...

გონებრივი შრომის ყოფილ პროლეტარს, ამჟამად ნოქარ პრუსისს ნერვებიც კი აეშალა.

- ანდრეი ივანოვიჩ, გეთაყვა, უკანასკნელი აღწერის მიხედვით, მოსკოვში ორ მილიონზე მეტი მცხოვრებია. ესე იგი, საჭიროა ორი მილიონი ფუნჯი, ხომ? ძალიან ორიგინალური ამბავია.

ლაპარაკი თანდათან ცხარდებოდა და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა, რომ ქუჩის ბოლოში იპოლიტ მატვეევიჩი არ გამოჩენილიყო.

- ისევ აფთიაქში მირბის. ეტყობა, საქმე ცუდად უნდა იყოს.

- მოკვდება ბებერი. ბეზენჩუკი ტყუილად კი არ დარბის აღმა-დაღმა.

- ექიმები რაღას ამბობენ?

- ეჰ! ექიმები... დამზღვევ საალაროში ნამდვილ ექიმს რა უნდა... ეგენი ჯანმრთელებსაც სულს ხდიან.

„პიერი და კონსტანტინეს“ სული კბილით ეჭირა, როდის მაცდიან, ახალი სამედიცინო ჭეშმარიტება წარმოვთქვაო. ფრთხილად მიმოიხედა, წაილაპარაკა - ახლა ყველაფერი ჰემოგლობინზე ჰკიდიაო, - და დადუმდა.

სხვებიც გაჩუმდნენ. ყოველი მათგანი თავისებურად ჩაუფიქრდა ჰემოგლობნის იდუმალ ძალას.

Qwelly - Group

მთვარე მაღლა აიწია და ჟუკოვსკის მინიატურულ ბიუსტს მკრთალი სინათლე მოჰფინა. ბიუსტის სპილენძის ზურგზე ახლა თავისუფლად შეიძლებოდა ცარცით მიწერილი მოკლე გინების ამოკითხვა.

ასეთი წარწერა ბიუსტზე პირველად 1897 წლის 15 ივნისს გაჩნდა, სწორედ იმ დღეს, როცა ძეგლი გახსნეს. პოლიციის, შემდეგ კი მილიციის წარმომადგენლები ბევრს იბრძოდნენ, მაგრამ წარწერა მაინც ყოველდღე ახლდებოდა.

დარაბებიან ხის სახლებში უკვე სამოვრები ღიღინებდნენ. ვახშმობის დრო იყო. მოქალაქეებმა დროს დაკარგვა აღარ ისურვეს და დაიშალნენ. ქარმა დაუბერა.

კლავდია ივანოვნა კი კვდებოდა. იგი ხან წყალს ითხოვდა, ხან ამბობდა, უნდა ავდგე და იპოლიტ მატვეევიჩს შარვალი მოვიტანო შესაკეთებლად რომ მივეციო. ხან მტვერს უჩიოდა, დამახრჩოო, ხან კი ლამპების ანთებას მოითხოვდა.

იპოლიტ მატვეევიჩი მღელვარებისგან დაიღალა. იგი ოთახში მიმოდიოდა. თავში უსიამოვნო სამეურნეო ფიქრები უფუსუფსებდა. ფიქრობდა, უთრიერთდამხმარე სალაროდან ავანსის აღება დამჭირდებაო. მერე მღვდლის მოსაყვანად უნდა ერბინა, ნათესავების სამძიმრის დეპეშებზე ეპასუხა... ამ ფიქრებისთვის რომ თავი გაერთმია, პარმაღზე გავიდა. მთვარის მწვანე სინათლეზე კუბოების ოსტატი ბეზენჩუკი იდგა.

- მაშ, როგორ ინებებთ, ბატონო ვორობიანინოვ? - ჰკითხა ოსტატმა და კარტუზი გულზე მიიხუტა.

- თანახმა ვარ, - პირქუშად მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ეშმაკმა დალახვროს! - აღელდა ბეზენჩუკი, - „ნიმფაც“ იტყვის, ჩემი საქონელი საქონელიაო.

- დამეკარგე, თავი მომაბეზრე!

- ბოდიში! მე ფოჩებისა და ფარჩების შესახებ... ეშმაკმა დალახვროს! როგორ გაგიკეთოთ? პირველი ხარისხისა? პრიმა? თუ...

- არაფერი ფოჩები და ფარჩა არ უნდა. უბრალო, ნაძვის კუბო გააკეთე, გესმის?

ბეზენჩუკმა თითი ტუჩებთან მიიტანა, იმის ნიშნად, რომ ყველაფერი გავიგეო. გატრიალდა და კარტუზის ქნევით წავიდა, მაგრამ წონასწორობის დაცვას მაინც ვერ ახერხებდა და უსაშველოდ ბარბაცებდა. იპოლიტ მატვეევიჩი ახლაღა მიხვდა, რომ ოსტატი უღმერთოდ მთვრალი იყო.

იპოლიტ მატვეევიჩის სულს კვლავ რაღაც ამაზრზენი გრძნობა დაეუფლა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა დაბრუნებულიყო ხოლმე დაცარიელებულ, დაუსუფთავებელ ბინაში. ეჩვენებოდა, სიდედრის სიკვდილთან ერთად გაქრება ის პატარა კომფორტი, ძალ-ღონის ასეთი დაძაბვით რომ მოვიხვეჭე რევოლუციის შემდეგ, რომელმაც დიდი კომფორტი წამართვაო. „ცოლი შევირთო? - გაიფიქრა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მერე - ვინ? ვარვარა სტეპანოვნა ხომ არა. მილიციის უფროსის ძმისწული, პროუსისის და? ან იქნებ, შინამოსამსახურის აყვანა სჯობდეს? არა, არა. სასამართლოებში თრევას ვეღარ აუვალ და ძვირიცაა“.

იპოლიტ მატვეევიჩის თვალში ცხოვრებამ ფასი დაკარგა. ყველაფრისადმი ზიზღითა და მძულვარებით შეპყრობილი, იგი სახლში შებრუნდა.

კლავდია ივანოვნა აღარ ბოდავდა. მაღალ ბალიშზე მისვენებული, იგი აზრით აღსავსე თვალებით, როგორც იპოლიტ მატვევვიჩს მოეჩვენა, მკაცრადაც იყურებოდა სიძისკენ.

- იპოლიტ, - გარკვევით წაიჩურჩულა ქალმა, - დაჯექით ჩემთან. მე უნდა გიამბოთ...

უკმაყოფილო იპოლიტ მატვეევიჩი დაჯდა, თან სიდედრის გამხდარ, ულვაშიან სახეს მისჩერებოდა. გაღიმება და ნუგეშისცემა დააპირა, მაგრამ ღიმილი ბოროტი გამოუვიდა, სანუგეშო სიტყვები კი სულაც ვერ იპოვა. ყელიდან მხოლოდ უადგილო წრიპინი აღმოხდა.

- იპოლიტ, - გაიმეორა სიდედრმა, - ჩვენი სასტუმრო ოთახის გარნიტური გახსოვთ?

- რომელი? - იმ თავაზიანობით ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა, რომლითაც მხოლოდ ავადმყოფებს მიმართავენ ხოლმე.

- აი, ისა... ინგლისური ჩითით გადაკრული...

- აჰ, ჩემს სახლში?

- ჰო სტაროგორდში.

- მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს... სავარძელი, თორმეტი სკამი და ექვსფეხიანი მრგვალი მაგიდა. დიდებული ავეჯი იყო, ჰამბსის მარკისა. რამ გაგახსენათ?

მაგრამ კლავდია ივანოვნამ ვეღარ უპასუხა. მის სახეს თანდათან შაბიამნისფერი დაედო. რატომღაც იპოლიტ მატვეევიჩსაც სული შეეხუთა. მან თვალნათლივ წარმოიდგინა სასტუმრო ოთახი თავის სახლში, სიმეტრიულად განლაგებული ფეხებმოღუნული, კაკლის ხის ავეჯი, სანთლით გაპრიალებული იატაკი, ძველებური, ყავისფერი როიალი, ხოლო კედლებზე ჩინოსანი ნათესავების შავ, ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული დაგეროტიპები.

უეცრად კლავდია ივანოვნამ გახევებული, უგულო ხმით წარმოთქვა: - სკამის საჯდომში მე ბრილიანტები ჩავაკერე.

იპოლიტ მატვეევიჩმა დედაბერს ალმაცერად გადახედა.

- რა ბრილიანტები? - უაზროდ იკითხა მან, მაგრამ იმ წამსვე გონს მოვიდა, - ბრილიანტები აკი ჩხრეკისას ჩამოგართვეს?

- მე ბრილიანტები სკამში დავმალე, - ჯიუტად გაიმეორა დედაბერმა.

იპოლიტ მატვეევიჩი წამოხტა. კლავდია ივანოვნას ნივთის ლამპით განათებულ, გაქვავებულ სახეს მიაჩერდა და დარწმუნდა, რომ დედაბერი არ ბოდავდა.

- თქვენი ბრილიანტები! - შეჰყვირა მან და თავისი ხმისა თვითონვე შეეშინდა, - სკამში? ვინ გაგაბრიყვათ? რატომ მე არ მომეცით?

- ჩემი ქალიშვილის მთელი ქონება ქარს გაატანე და კიდევ ბრილიანტებიც მომეცა? - ბოროტი სიმშვიდით წაიჩურჩულა დედაბერმა.

იპოლიტ მატვეევიჩი დაჯდა და მაშინვე ისევ წამოხტა. მისი გული ხმაურით გზავნიდა სისხლის ნაკადებს სხეულში. თავი უბრუოდა.

- მერე? ისევ გამოიღეთ? ახლა აქ გაქვთ?

დედაბერმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- ვეღარ მოვასწარი. აღარ გახსოვთ, რა კისრისტეხით გამოვიქეცით? ბრილიანტები იმ სკამში ჩარჩა, ტერაკოტის ლამპასა და ბუხარს შუა რომ იდგა.

- ამას გიჟის მეტი მართლაც არავინ გააკეთა. ოჰ, როგორ გავხართ თქვენს ქალიშვილს! - მთელი ხმით დაიყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა.

მას დაავიწყდა, რომ მომაკვდავის ლოგინთან იმყოფებოდა და სკამი ხრიგინით გასწია და ოთახში აწრიალდა. დედაბერი გულგრილად მისჩერებოდა.

- იქნებ, ის მაინც იცით, ის სკამები ახლა სად არის? თუ გგონიათ, ისინი ახლაც ჩემს სასტუმროში დგას და მოთმინებით ელის, როდის ინებებთ თქვენი რ-რეგალიების წამოღებას?

დედაბერმა არაფერი უპასუხა.

გაბოროტებულ საქმეთა მწარმოებელს ცხვირიდან პენსნე ჩამოუვარდა. ოქროს რკალმა მუხლებთან გაიელვა და იატაკზე დაეცა.

- როგორ? სამოცდაათი ათასის ბრილიანტები სკამში ჩატოვე? სკამში, რომელზეც არავინ იცის, ვინ ზის...

კლავდია ივანოვნა ასლუკუნდა და მთელი ტანით საწოლის კიდისკენ წამოიწია. მისმა მარჯვენამ ნახევარწრე მოხაზა და იპოლიტ მატვეევიჩს წაეპოტინა, მაგრამ იმ წამსვე იისფერ დაბამბულ საბანზე დაეცა.

შეშინებული იპოლიტ მატვეევიჩი კივილით გაქანდა მეზობლებისკენ: - მგონი, კვდება!

აგრონომის ცოლმა საქმიანად გადაიწერა პირჯვარი. იგი არც მალავდა ცნობისწადილს. თავის ქმართან, წვერიან აგრონომთან ერთად იპოლიტ მატვეევიჩის სახლისკენ გამოიქცა. თავგზადაკარგული ვორობიანინოვი კი ქალაქის ბაღში შეეხეტა.

სანამ აგრონომიული წყვილი თავისი შინამოსამსახურეების დახმარებით მიცვალებულის ოთახს ალაგებდა, იპოლიტ მატვეევიჩი უმიზნოდ დაეხეტებოდა ბაღში, სკამებს აწყდებოდა და ამ ადრიანი გაზაფხულის სიცივით გაფიჩხული შეყვარებულები ბუჩქებად ეჩვენებოდა.

იპოლიტ მატვეევიჩის თავში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა. მღეროდნენ ბოშათა გუნდები. დიდმკერდიან ქალთა ორკესტრები შეუსვენებლივ უკრავდნენ „ტანგო-ამპას“. ელანდებოდა მოსკოვური ზამთარი და გრძელი, შავი ულაყი, ფეხით მოსიარულეებს ზიზღით რომ დასჭიხვინებდა. კიდევ ბევრი რამ ეჩვენებოდა იპოლიტ მატვეევიჩს - ნარინჯისფერი, საარაკოდ ძვირფასი ნიფხვებიც, ლაქიების ერთგულებაც და კანში მოსალოდნელი გამგზავრებაც.

იპოლიტ მატვეევიჩმა ნაბიჯს უკლო და უეცრად კუბოების ოსტატის, ბეზენჩუკის სხეულს წააწყდა. ქურთუკში გახვეული ოსტატი ბილიკის გარდიგარდმო გაწოლილიყო და ეძინა. ფეხის კვრაზე გაეღვიძა. დააცემინა და მარჯვედ წამოხტა.

- ნურაფრის გედარდებათ, ბატონო ვორობიანინოვ, - ისე მხურვალედ წარმოთქვა მან, თითქოს დაწყებულ საუბარს აგრძელებსო, - კუბოს გამრჯე ხელი უყვარს.

- მოკვდა კლავდია ივანოვნა, - აუწყა შემკვეთმა.

- ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, - კვერი დაუკრა ბეზენჩუკმა, - ესე იგი, ბერიქალი ღმერთს ეახლა. მუდამ ასეა, ბერიქალები ღმერთს ან წარუდგებიან, ან ღმერთს სულს აბარებენ. გააჩნია, რანაირი ბერიქალია. თქვენი, მაგალითად, პატარა ტანისა და მსუქანი იყო, - მაშასადამე, წარუდგა. თუ, მაგალითად, ბერიქალი უფრო მაალი და გამხდარია, იმაზე იტყვიან, ღმერთს სული ჩააბარაო.

- იტყვიანო? ვინ იტყვის?

- ჩვენ, ოსტატები ვიტყვით. აი, თქვენ, მაგალითად, შესამჩნევი მამაკაცი ხართ, მაღალი ტანისა, ოღონდ გამხდარი. ღმერთმა დაგიფაროთ და თუ მოკვდით, თქვენზე იტყვიან - ყუთში მოყუჩდაო. ვაჭრებზე, ვთქვათ, გილდიის წევრებზე, იტყვიან - თქვენი ჭირი წაიღოო. პატარა ჩინის ხალხზე, მეეზოვეებზე ან გლეხებზე - ფეხები გაფშიკაო. მაშ! ჰოდა, როცა დიდი ადამიანები კვდებიან, - ვთქვათ, რკინიგზის კონდუქტორი, ან ვინმე უფროსთაგანი, - მაშინ იტყვიან - მუხა წაიქცაო. დიახ, სწორედ ასე იტყვიან: გაიგე, ჩვენი მუხა წაიქცაო.

- კარგი და შენ როცა მოკვდები, მაშინ რაღას იტყვიან? - ჰკითხა სიკვდილთა ამ უცნაური კლასიფიკაციით შეძრწუნებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- მე პატარა კაცი ვარ, იტყვიან, ბეზენჩუკი გადაყირავდაო. მეტს არც არაფერს იტყვიან, - და მკაცრად დაუმატა, - მე ყუთში მოყუჩებას, ან მუხასავით წაქცევას ვერასოდეს ვეღირსები. მე ჩია კაცი ვარ... კუბოზე რაღას იტყვით, ბატონო ვორობიანინოვ? მართლა, არც ფოჩები გინდათ და არც ფარჩა?

მაგრამ იპოლიტ მატვეევიჩი ისევ დამაბრმავებელ ოცნებებში ჩაძირულიყო. ბეზენჩუკს არაფერი უპასუხა და გზა განაგრძო. ბეზენჩუკი უკან დაედევნა, თან თითებზე რაღაცას ანგარიშობდა და ჩვეულებისამებრ ჩუმად ბურტყუნებდა.

მთვარე მიმალულიყო. ციოდა, თითქოს ზამთარიაო. გუბეებს ვაფლივით თხელი ყინულის ქერქი გადაჰკვროდა. ამხანაგ გუბერნსკის სახელობის ქუჩაზე, სადაც ჩვენი თანამგზავრები გავიდნენ, ქარი აბრებს ეჩხუბებოდა. სტაროპანის მოედნიდან მჭლეცხენებიანი სახანძრო ოთხთვალა გამოხრიგინდა. მეხანძრეებს პარუსინისშარვლიანი ფეხები ძირს ჩამოეკიდათ, მუზარადებიან თავებს იქნევდნენ და ნაძალადევი, საზარელი ხმით მღეროდნენ: ჩვენს ბრინდმაისტერს დიდება,

ჩვენს ძვირფას ამხანაგ ნასოსოვს დიდე-ბა-ა...

- კოლკას, ბრანდმაისტერის შვილის ქორწილში ქეიფობენ, - გულგრილად თქვა ბეზენჩუკმა და ქურთუკქვეშ მკერდი მოიფხანა, - ნუთუ მართლა უფარჩოდ და უყველაფროდ გინდათ?

სწორედ ამ წუთისთვის იპოლიტ მატვეევიჩმა გადაწყვეტილება მიიღო: - „წავალ და ვიპოვი, - გაიფიქრა მან, - მერე კი ვნახოთ“. ბრილიანტებზე მეოცნებეს მიცვალებულიც უფრო საყვარელი ეჩვენა. ბეზენჩუკს მიუბრუნდა და უბრძანა: - ჯანდაბას შენი თავი! გააკეთე. ფარჩაც ჰქონდეს და ფოჩებიც.

3. „ცოდვილის სარკე“

მას შემდეგ, რაც მომაკვდავი კლავდია ივანოვნა აზიარა, ფროლისა და ლავრის ეკლესიის მღვდელი მამა თევდორე ვოსტრიკოვი ერთობ აგზნებული გავიდა ვორობიანინოვის სახლიდან. შინისაკენ რომ მიდიოდა, აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა და მორცხვად იღიმებოდა. გზის დასასრულს იმ ზომამდე დაბნეულმა მიაღწია, რომ კინაღამ სამაზრო აღმასკომის №1-მა ავტომობილმა გაიტანა. მანქანის ჯოჯოხეთურ კვამლს მამა თევდორემ ძლივს დააღწია თავი და დარჩენილი გზა, თავისი საპატიო წოდებისა და საშუალო ასაკის მიუხედავად, სულმოუთქმელად გაირბინა.

ფოფოდია კატერინა ალექსანდროვნა სავახშმო სუფრას შლიდა. იმ დღეებში, როცა მწუხრის ლოცვა არ იყო, მამა თევდორეს ადრე ვახშმობა უყვარდა. ახლა კი, შლიაპა და თბილი, დაბამბული ანაფორა გაიხადა თუ არა, უმალვე საძინებელ ოთახში შევარდა, კარი ჩაიკეტა, რამაც ფოფოდია მეტად გააოცა და მოგუდული ხმით გალობა დაიწყო: „რამეთუ ღირს ვარ“...

შეშინებული ფოფოდია სკამზე ჩამოჯდა და წაიჩურჩულა.

- ახალი საქმე წამოიწყო...

მამაო თევდორეს მოუსვენარმა სულმა არ იცოდა, რა იყო სიმშვიდე, - არ იცოდა არასოდეს, - არც მაშინ, როცა სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და ფედიას ეძახდნენ, არც შემდეგ, როცა სემინარიაში შევიდა, წვერი მოუშვა და ფიოდორ ივანიჩი გახდა. სემინარიიდან უნივერსიტეტში გადავიდა და იურიდიულ ფაკულტეტზე სამი წლის განმავლობაში ისწავლა, მაგრამ 1915 წელს მობილიზაციისა შეეშინდა და ისევ სასულიერო ასპარეზს მიაშურა. ჯერ დიაკვნად აკურთხეს, მერე მღვდლად და სამაზრო ქალაქ №-ში გაამწესეს. მაგრამ ყოველთვის, სასულიერო და სამოქალაქო კარიერის ყოველ ეტაპზე, მამა თევდორე ანგარებიანი კაცი იყო.

ერთ დროს ვოსტრიკოვი საკუთარ სანთლის ქარხანაზე ოცნებობდა. მას პირდაპირ აწამებდა ქარხნების დიდი ბარაბნების ხილვა, სანთლის სქელ თოკებს რომ ახვევდა. და მამა თევდორე ათასგვარ პროექტს თხზავდა, რომლის განხორციელება მას დიდი ხნის წინათ სამარაში შეგულიანებულ პატარა ქარხნის საყიდელ თანხასაც და საბრუნავ კაპიტალსაც შესძენდა.

მამა თევდორეს იდეები მოულოდნელად ეწვეოდა ხოლმე, და იგი მათ ხორცშესხმას მაშინვე იწყებდა. ჯერ იყო და მარმალილოსებური სარეცხი საპნის ხარშვას მიჰყო ხელი. ფუთობით ხარშავდა. საპონი მეტად ცხიმიანი იყო, მაგრამ არ ქაფდებოდა და, ესეც არ იყოს, სამჯერ უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე „გუთანი და ჩაქუჩის“ პროდუქცია. მერე საპონი დიდხანს ლბებოდა და ლპებოდა წინკარში, ამის ყურებამ კატერინა ალექსანდროვნას რამდენჯერმე ცრემლიც მოჰგვარა. ბოლოს საპონი სანაგვე ყუთში ჩაყარეს.

მერე მამა თევდორემ, რომელიღაც მეცხოველეობის ჟურნალში ამოიკითხა, ბაჭიების ხორცი სინაზით წიწილასას არ ჩამოუვარდება, სწრაფად მრავლდებიან და ყაირათიან პატრონს დიდ შემოსავალსაც აძლევენო. ვოსტრიკოვმა დაუყოვნებლივ ნახევარი დუჟინი მწარმოებელი კურდღელი იყიდა. ორი თვის შემდეგ ძაღლმა ნერკამ ვეღარ გაუძლო უამრავი გრძელყურა არსების ყურებას, მთელი ეზო და სახლი რომ გაავსეს

და სადღაც გადაიკარგა. ქალაქ №-ის წყეული მცხოვრებლები კი მეტად კონსერვატიული აღმოჩნდნენ. თითქოს მოლაპარაკებულნი არიანო, არც ერთი მათგანი ვოსტრიკოვის კურდღლებს არ ყიდულობდა. მამა თევდორე ფოფოდიას მოელაპარაკა და კურდღლის უნაზესი ხორცით საკუთარი მენიუს დამშვენება განიზრახა. კურდღლის ხორციდან შემწვარის, ბიტკების, კოტლეტების კეთებას შეუდგნენ. ამზადებდნენ წვნიანსაც, ღვეზელებსაც, სავახშმოდ ცივადაც ხარშავდნენ, მაგრამ საქმეს ვერაფერი ეშველა. მამა თევდორემ გამოიანგარიშა, რომ ოჯახს თვიურად მხოლოდ ორმოცი ცხოველი სჭირდებოდა. კურდღლების ნამატი კი თვეში ორმოცდაათ ცალს უდრიდა, და ეს რიცხვი ყოველთვიურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა.

მაშინ ვოსტრიკოვებმა შინაური კერძების მზადება გადაწყვიტეს. არითმეტიკულ ქაღალდზე მამა თევდორე ქიმიური ფანქრით მთელი საღამო წერდა განცხადებებს - ვამზადებთ გემრიელ შინაურ კერძებს მხოლოდ და მხოლოდ ძროხის ახალთახალი კარაქითო. განცხადებები ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „იაფად და გემრიელად“. ფოფოდიამ მომინანქრებული ჯამი სახამებლის წებოთი გაავსო, ხოლო მამა თევდორემ განცხადებები ღამით ტელეგრაფის ბოძზე და საბჭოთა დაწესებულებების ახლომახლო გააკრა.

ამ წამოწყებას დიდი წარმატება ხვდა. პირველ დღესვე შვიდი კაცი მოვიდა. მათ შორის სამხედრო კომისარიატის საქმეთა მწარმოებელი ბენდინი და კეთილმოწყობის ქვეგანყოფილების გამგე კოზლოვი, - სწორედ ის, ქალაქში ძველი დროების ერთადერთი ძეგლი - ელიზავეტას დროინდელი ტრიუმფალური თაღი რომ დაანგრევინა - მოძრაობას უშლისო. კერძი ყველას ძალიან მოეწონა. მეორე დღეს თორმეტი კაცი მოვიდა. მამა თევდორე კურდღლების გატყავებას ვეღარ აუდიოდა. საქმე მთელი კვირის განმავლობაში დიდებულად მიდიოდა. მამა თევდორე უკვე პატარა, უმოტორო, ტყავის გამოსაქნელი საწარმოს გახსნაზე ფიქრობდა, მაგრამ ამ დროს ერთი მოულოდნელი რამ მოხდა.

გაიხსნა კოოპერატივი „ჩაქუჩი და გუთანი“, რომელიც საქონლის აღწერის გამო სამი კვირის განმავლობაში დაკეტილი იყო. უკანა ეზოში, მამა თევდორეს ეზოს რომ ეკვროდა, დახლის მუშაკებმა დიდი ვაივაგლახით დამპალი კომბოსტოთი სავსე კასრი გამოაგორეს და სანაგვე ორმოში გადაუძახეს, კურდღლები პიკანტურმა სუნმა მოატყუა და ორმოს შეესივნენ. მეორე დილითვე ნაზ მღრღნელებს, სიკვდილმა დარია ხელი. სამ საათში ორას ორმოცი მწარმოებელი უთვალავი ნამატი გაწყდა.

თავზარდაცემული მამა თევდორე ორი თვით მიყუჩდა. მას სულის სიმხნევე მხოლოდ ახლა დაუბრუნა, როცა ვორობიანინოვის სახლიდან დაბრუნდა და ფოფოდიას გასაოცრად, თავის ოთახში ჩაიკეტა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მამა თევდორე ახალმა იდეამ გაიტაცა და ამ იდეამ მთელი მისი სული დაიპყრო.

კატერინა ალექსანდროვნამ მამაოს ოთახის კარს მოხრილი თითი დაუკაკუნა. პასუხი იგვიანებდა. გალობის ხმა კი გაძლიერდა. ერთი წუთის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო და მამაო თევდორეს ქალწულებრივად შეფაკლული ლოყები გამოჩნდა.

- ჩქარა, მაკრატელი მომაწოდე, - სწრაფად წარმოთქვა მღვდელმა.

- ვახშამი?

- მერე, მერე...

მამა თევდორემ მაკრატელს ხელი სტაცა, კარი ისევ ჩაკეტა და დაფხაჭნილჩარჩოიან კედლის სარკეს მივარდა.

სარკის გვერდით ძველებური, სპილენძის დაფიდან გადმობეჭდილი და ხელით საამოდ შეფერადებული ხალხური სურათი „ცოდვილის სარკე“ ეკიდა. მას შემდეგ, რაც კურდღლები დაეღუპა, „სარკე“ მღვდლის მთავარი ნუგეში იყო. სურათი აშკარად ღაღადებდა, ყოველივე მიწიერი ამაოაო. ზედა რიგში ოთხი, სლავიანური ასოებით მოარშიებული მრავლისმეტყველი ნახატები იყო ჩამწკრივებული. ეს ნახატები ადამიანს სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდნენ: „სემი ლოცვებს აღავლენს, ქამი ხორბალს თესავს, იაფეტს ძალაუფლება უპყრია. ყველანი სიკვდილის შვილები არიან“. სიკვდილს ცელი და ქვიშისფრთიანი საათი ეპყრა. იგი პროტეზებისა და ორთოპედიული ნაწილებისგან შექმნილი გეგონებოდათ - ფეხებგაჩაჩხული იდგა შიშველ, კოლბოხებიან მიწაზე. მისი გარეგნობა აშკარად ამბობდა - კურდღლების ამბავი ჩირადაც არ ღირსო.

ახლა მამა თევდორეს ყველაზე უფრო იაფეტი - მსუქანი, მდიდარი, წვერიანი კაცი მოეწონა, პატარა დარბაზში, ტახტზე რომ იჯდა და „ძალაუფლება ეპყრა“.

მამა თევდორემ ჩაიღიმა. ყურადღებით მიაჩერდა სარკეში თავის სახეს და კეთილშობილური წვერის კრეჭას მიჰყო ხელი. ბეწვი იატაკზე ცვიოდა, მაკრატელი საწყალობლად ღრიჭინებდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ მღვდელი საბოლოოდ დარწმუნდა, დალაქობა სრულებით არ შემძლებიაო. წვერი მხოლოდ ერთ მხარეს იყო შეკრეჭილი და ერთობ საეჭვოდ გამოიყურებოდა.

მამა თევდორე ერთხანს კიდევ უტრიალებდა სარკეს. მერე გაბრაზდა, ცოლი იხმო, მაკრატელი ხელში ჩასჩარა და უთხრა: - შენ მაინც მიშველე რამე. ამ წვერს ვერაფერი მოვუხერხე.

განცვიფრებულმა ფოფოდიამ ხელები უკან წაიღო.

- ეს რა გიქნია? - ძლივს ამოილუღლუღა მან.

- არაფერი. ვიპარსავ. მომეშველე, გეთაყვა. აი, აქ, მგონი, გამიმრუდდა.

- ღმერთო! - ამოიოხრა ფოფოდიამ და მღვდლის ხუჭუჭას შეეხო, - ფედენკა, ნუთუ შენ ახალთაობის მხარეზე გადასვლას აპირებ?

მამა თევდორეს გაუხარდა, რომ ლაპარაკმა ასეთი მიმართულება მიიღო.

- ვითომდა, რატომაც არ უნდა გადავიდე? რა, ისინი ადამიანები არ არიან?

- ადამიანები არიან, როგორ არა, - გესლიანად დაუდასტურა ფოფოდიამ, - ილუზიონებში დადიან, ალიმენტებს იხდიან...

- ჰოდა, მეც ვირბენ იმ ილუზიონებში.

- ირბინე, გეთაყვა, ირბინე.

- ვირბენ.

- ნეტავი ერთი სარკეში ჩაგახედა, რას ჰგავხარ.

მართლაც, სარკიდან მამა თევდორეს მიაჩერდა ველურწვერიანი და გრძელ, უცნაურულვაშიანი, შავთვალა ფიზიონომია.

ახლა ულვაშის კრეჭას შეუდგნენ, რომ ისინი ნორმალურ ზომამდე დაეყვანათ, მაგრამ იმან, რაც შემდეგ მოხდა, ფოფოდია კიდევ უფრო განაცვიფრა. მამა თევდორემ უთხრა, ამ საღამოს საქმეზე უნდა გავემგზავროო, და უბრძანა, შენს ძმასთან წადი (ფოფოდიას ძმა მეფუნთუშე იყო) და ერთი კვირით ბეწვისსაყელოიანი პალტო და ყავისფერი კარტუზი მინათხოვრეო.

- არსადაც არ წავალ! - მოუჭრა ფოფოდიამ და ატირდა.

მამა თევდორე ბარე ნახევარ საათს დააბოტებდა ოთახში, ცოლს თავისი გამოცვლილი სახით აშინებდა და რაღაც სისულელეებს როშავდა. ფოფოდიამ მხოლოდ ერთი რამ გაიგო, - მღვდელმა რატომღაც წვერი შეიკრიჭა, სულელური კორტუზის დახურვას და სადღაც გამგზავრებას აპირებს. მე კი სამუდამოდ თავს მანებებსო.

- თავს არ განებებ, - უმტკიცებდა მამა თევდორე, - არა-მეთქი. ერთ კვირაში უკანვე დავბრუნდები. ნუთუ არ შეიძლება, ადამიანს რაიმე საქმე გაუჩნდეს? თქვი, შეიძლება თუ არა?

- არ შეიძლება, - სლუკუნებდა ფოფოდია.

მამა თევდორე მოყვასთან ურთიერთობაში გულჩვილი და მომთმენი იყო, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და მაგიდას მუშტი დაჰკრა. რაკი ასეთ საქმეში გამოუცდელი იყო, ძალიან მოუხერხებლად ურტყამდა, მაგრამ ფოფოდია მაინც ძალიან შეშინდა. მყისვე თავსაფარი წაიკრა და სამოქალაქო ტანისამოსის საშოვნელად ძმისკენ გაეშურა.

მარტო რომ დარჩა, მამა თევდორე წუთით ჩაფიქრდა. ჩაილაპარაკა, ქალის ხვედრიც მძიმეაო, და ლოგინის ქვეშიდან თუნუქით მოჭედილი სკივრი გამოათრია. ასეთი სკივრები უმეტესად წითელარმიელებს აქვთ. ისინი ზოლიანი შპალერითაა შემოკრული და ან ბუდიონის სურათი ამშვენებს, ან - პაპიროს „პლიაჟის“ ყუთი ბათუმის სანაპიროზე გამოსახული სამი მზეთუნახავით. სამწუხაროდ, ვოსტრიკოვების სკივრიც სურათებით იყო დამშვენებული, მაგრამ აქ არც ბუდიონი ჩანდა და არც ბათუმელი მზეთუნახავები. ფოფოდიას სკივრის შიგნითა კედლები ჟურნალ „1914 წლის ომის ისტორიიდან“ ამოჭრილი ფოტოსურათებით დაემშვენებინა. იქ „პერემიშლის აღებაც იყო, „პოზიციებზე დაბალი ჩინებისთვის თბილი ტანსაცმლის დარიგებაც“ და კიდევ ბევრი რამ.

მამა თევდორემ სკივრიდან ჟურნალი „რუსი მოგზაურის“ 1903 წლის სრული კომპლექტი და ბროშურა - „რუსები იტალიაში“ ამოიღო. ბროშურის ყდაზე მბოლავი ვეზუვი იყო გამოხატული. შემდეგ ხელი უფრო ღრმად ჩაყო და ცოლის ძველი, გაცვეთილი კაპორი ამოათრია. ცხვირში ნაფტალინის სუნი ეცა. თვალები დახუჭა, არშიანაკერები მიფხრიწ-მოფხრიწა და კაპორიდან ტილოს ძეხვი ამოაძრო. ძეხვში ოცი ცალი ოქროს თუმნიანი ეწყო - მთელი ავლადიდება, რაც მამა თევდორეს კომერციულ ავანტიურებს გადაურჩა.

მღვდელმა ჩვეული მოძრაობით ანაფორის კალთა გადასწია და ძეხვი ზოლებიანი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა. მერე კომოდთან მივიდა და კანფეტების ყუთიდან ორმოცდაათი მანეთი ამოიღო - სულ სამმანეთიანები და ხუთმანეთიანები. ყუთში ოცი მანეთიღა ჩატოვა.

- ფოფოდიას ეყოფა, - გადაწყვიტა მღვდელმა.

4. შორეულ მგზავრობათა მუზა

საღამოს მატარებლის მოსვლას ნახევარი საათი ეკლდა. მოკლე, მუხლებამდე პალტოში გამოწყობილი მამა თევდორე, წნული კალათით ხელში, სალაროსთან რიგში იდგა და მალიმალ, შიშით იყურებოდა შემოსასვლელი კარისკენ. ეშინოდა, ფოფოდია პირობას დაარღვევს, ჩემს გასაცილებლად მოვა და მაშინ მეფარდულე პრუსისი, ახლა ბუფეტში რომ ზის და ფინაგენტს ლუდით უმასპინძლდება, უმალვე მიცნობსო. მღვდელი სირცხვილისა და გაკვირვების გრძნობით ფიქრობდა, რომ მის ზოლებიან შარვალს ახლა მთელი მისი სამწყსო უყურებდა.

როგორც ყოველთვის, უპლაცკარტო მატარებელში ჩაჯდომა ახლაც სადავიდარაბო იყო. ვეება ტომრების სიმძიმისგან წელში მოხრილი მგზავრები უაზროდ დარბოდნენ მატარებლის თავიდან ბოლოსკენ და ბოლოდან თავისკენ. სხვებივით ისიც ხვეწნით ელაპარაკებოდა გამცილებლებს; მასაც ეშინოდა, ვაითუ მოლარემ შეცდომით არასწორი ბილეთი მომცაო. მერე კი, როცა, როგორც იქნა, ვაგონში შეუშვეს, დამშვიდდა და კიდეც გამხიარულდა.

ორთქლმავალმა მთელი ხმით შეკივლა. მატარებელი დაიძრა და მამა თევდორე უცნობი შორეთისკენ, საიდუმლოებით მოცულ, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, დიდად მომგებიან საქმეზე წაიყვანა.

უცნაური რამ არის უცხო მხარეში გამგზავრება. ამ დროს სულ უბრალო, ჩვეულებრივი მოქალაქე რაღაც მოუსვენრობას გრძნობს და სწრაფად იქცევა ან მგზავრად, ან ტვირთის მიმღებად, ან კიდევ უბილეთო ლოთად, კონდუქტორთა ბრიგადებს და პერონის კონტროლიორებს სიცოცხლესა და სამსახურებრივ საქმიანობას რომ უწამლავდა ხოლმე.

იმ წუთიდან, როცა მოქალაქე განშორების ზონაში მოექცევა, რასაც იგი დილეტანტურად ვაგზალს ან სადგურს უწოდებს, მისი ცხოვრება მკვეთრად იცვლება. მას იმწამსვე თეთრწინსაფრებიანი, ნიკელირებული ნიშნებით მკერდდამშვენებული ერმაკ ტიმოფეევიჩები მიესევიან და ბარგის წაღებას სთავაზობენ. ამ წუთიდან მგზავრი თავის თავს აღარ ეკუთვნის. იგი მგზავრია და მგზავრის მოვალეობათა შესრულებას იწყებს. ეს მოვალეობანი მრავალრიცხოვანი, მაგრამ ფრიად სასიამოვნოა.

მგზავრი ძალიან ბევრს ჭამს. ჩვეულებრივი მოკვდავები ღამით არ ჭამენ. მგზავრი კი ღამითაც ჭამს. ჭამს შემწვარ ვარიას, თუმცა ეს მეტად ძვირი უჯდება; ჭამს მაგრად მოხარშულ კვერცხებს, თუმცა ეს მავნებელია მისი მუცლისთვის; ჭამს ზეთისხილს. როცა მატარებელი ისრებზე გადადის, თაროებზე მრავალრიცხოვანი ჩაიდნები ჟღარუნობს და ხტის გაზეთში გახვეული, ბარკლებახლეჩილი ვარიები.

მგზავრები კი ვერაფერს ამჩნევენ. ისინი ანეკდოტებს ყვებიან. ყოველ სამ წუთში ვაგონი სიცილისგან იფხრიწება. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდება და ხავერდოვანი ხმა ახალი ანეკდოტის მოყოლას იწყებს: - ბებერი ებრაელი კვდება. იქვე ცოლი და შვილები დგანან. - „მონია აქ არის?“ - კვნესით კითხულობს ებრაელი. - აქ არის ბიცოლა ბრანა მოვიდა? მოვიდა. ბებია სადღაა? ვერ ვხედავ, აგერ დგას. ისააკი? აქაა. ბავშვები? ყველანი აქ არიან. მაშ, დუქანში ვინღა დარჩა?

ვაგონი ხარხარისგან ზანზარებს. ზედა თაროებზე ჩაიდნები ჟღარუნობს და ვარიები ხტის, მაგრამ მგზავრები ამას ვერ ამჩნევენ. ყოველ მათგანს გულში სანუკვარი ანეკდოტი უფართხალებს, რომელიც მოუთმენლად თავის რიგს ელოდება. მორიგი მთქმელი მეზობლებს იდაყვს ჰკრავს, ხვეწნით გაჰყვირის: - მე ამასწინათ მიამბესო, და, როცა ყველანი მიწყნარდებიან, იწყებს: - ერთი ებრაელი სახლში დაბრუნდა და ცოლს გვერდით მიუწვა. უცებ ესმის - ლოგინქვეშ ვიღაც ფხაკურობს. ხელი ლოგინქვეშ შეყო და ეკითხება: შენ ხარ, ჯეკ? ჯეკმა ხელი აუტლიკა და უპასუხა: დიახ, მე ვარ.

მგზავრები სიცილისგან იხოცებიან. მინდვრებს შავი ღამე გადაჰფარვია. ორთქმავლის მილიდან ნაპერწკლები მოფარფატებს. მწვანეთვალა, ტანკენარი სემაფორები კი მორცხვად გარბიან განზე, - ისინი მზერას არიდებენ მატარებელს.

დიახ, მართლაც საინტერესო რამაა განშორების ზოლი. ქვეყნის ყველა კუთხეებისკენ მირბიან გრძელი, მძიმე მატარებლები. გზა ყველგან ხსნილია, ყველგან მწვანე შუქი კიაფობს. პოლარული ექსპრესი მურმანსკში ადის. კურსკის ვაგზლიდან მოიკლაკნება „პირველი-კ“. ისრებზე იხრება და გეზს თბილისისკენ იღებს. შორეული აღმოსავლეთის სწრაფი მატარებელი ბაიკალს უვლის და, გაქანებული, წყნარ ოკეანეს უახლოვდება.

შორეული მოგზაურობის მუზა ხიბლავს ადამიანს. მან უკვე გამოიტაცა მამა თევდორე წყნარი მაზრის სამყოფელიდან და ვინ იცის, რომელ გუბერნიისკენ გასტყორცნა. თავადაზნაურთა ყოფილმა წინამძღოლმა; ახლა კი მმაჩის საქმეთა მწარმოებელმა, იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვმაც დაკარგა სულის სიმშვიდე და ეშმაკმა იცის, რა გადაუწყვეტია.

ხალხი ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდება, ერთი - სამსახურის ადგილიდან ათი ათასი კილომეტრის დაშორებით პოულობს თავის საცოლეს. მეორეს - საუნჯის პოვნა განუზრახავს. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება მიუტოვებია და მოწაფესავით ალდანზე გარბის. მესამე კი არსადაც არ მიდის, სახლში ზის, მომწიფებულ თიაქარს ელოლიავება და გრაფ სალიასის თხზულებებს კითხულობს, მანეთის ნაცვლად ხუთ კაპიკად რომ შეუძენია.

კლავდია ივანოვნას დასაფლავებას თავაზიანად უხელმძღვანელა მეკუბოვე ბეზენჩუკმა. მეორე დღეს იპოლიტ მატვეევიჩი სამსახურში გაეშურა და თავისი მოვალეობა შეასრულა. მან საკუთარი ხელით ჩაწერა დავთარში, რომ გარდაიცვალა კლავდია ივანოვნა პეტუხოვა, დაბადებიდან ორმოცდაცხრამეტი წლისა, დიასახლისი, უპარტიო, სამაზრო ქალაქ №-ის მცხოვრები, წარმოშობით სტარგოროდის გუბერნიის თავადთაგანი. შემდეგ იპოლიტ მატვეევიჩმა კანონიერი ორკვირიანი შვებულება ითხოვა, საშვებულებო ორმოცდაერთი მანეთი მიიღო, თანამშრომლებს გამოემშვიდობა და სახლისკენ გაეშურა. გზად აფთიაქში შეუხვია.

პროვიზორი ლეოპოლდ გრიგორიევიჩი, შინაურები და მეგობრები რომ ლიპას ემახდნენ, წითლად გალაქული დახლის უკან, თეთრი, შხამიანი, ქილებით გარშემორტყმული იდგა და ბრანდმაისტერის ცოლისდას ნერვიულად აწვდიდა კრემ ანგოს, უებარ წამალს ჭორფლის წინააღმდეგ, რომელიც კანს შეუდარებელ სითეთრეს ანიჭებს. ქალი კი ოქროსფერ პუდრა რაშელს ითხოვდა - იგი სხეულს თანაბარ, ბუნების ძალებისთვის მიუწვდომელ სიშავეს ჰგვრისო. აფთიაქში მხოლოდ ანგოს კრემი იყო, და პარფიუმერიის ესოდენ ურთიერთსაწინააღმდეგო პროდუქტების ჭიდილი ნახევარ საათს გრძელდებოდა. ბოლოს მაინც ლიპამ გაიმარჯვა - მან ბრანდმაისტერის ცოლისდას პომადა და ბაღლინჯოს სათუთქი მიჰყიდა - ჭურჭელი, რომელიც სამოვრის პრინციპზე იყო შექმნილი, მაგრამ გარეგნულად სარწყავს მოგაგონებდათ.

- თქვენ რა გნებავთ?

- თმის წამალი.

- ცვენის წინააღმდეგ? თუ საღებავი?

- ცვენის კი არა... - წაილაპარაკა იპოლიტ მატვეევიჩმა, - საღებავი.

- შესაღებად შესანიშნავი წამალი მაქვს - „ტიტანიკი“. საბაჟოდან მივიღეთ. კონტრაბანდაა. მასზე არ მოქმედებს არც ცივი წყალი, არც ცხელი, არც ნავთი, არც საპნის ქაფი. რადიკალურ შავ ფერს იძლევა. ფლაკონი სამი მანეთი და თორმეტი კაპიკი ღირს. ნახევარ წელიწადს გეყოფათ. გირჩევთ, როგორც კარგ ნაცნობს.

იპოლიტ მატვეევიჩმა ხელში შეატრიალა „ტიტანიკის“ კვადრატული ფლაკონი, ეტიკეტს ამოოხვრით დახედა და დახლზე ფული დადო.

იპოლიტ მატვეევიჩი სახლში მივიდა და ზიზღისგან სულშეგუბებულმა, თმაზე და ულვაშებზე „ტიტანიკი“ დაისხა. ბინაში მყრალი სუნი დადგა.

ნასადილევს სუნმა იკლო. ულვაში გაშრა, შეწებდა და მათი დავარცხნა დიდ ძალღონეს მოითხოვდა. რადიკალურ შავ ფერს ცოტა სიმწვანე გადაკრავდა, მაგრამ ხელმეორედ შეღებვა გვიანღა იყო.

იპოლიტ მატვეევიჩმა სიდედრის ყუთიდან ძვირფასეულობის სია ამოიღო, წინადღით რომ იპოვა, ფული გადაითვალა, ბინა ჩაკეტა, გასაღები უკანა ჯიბეში ჩაიდო, ჩქარ მატარებელში ჩაჯდა და სტარგოროდისკენ გაემგზავრა.

5. დიდი კომბინატორი

თორმეტის ნახევარზე სტარგოროდში ჩრდილო-დასავლეთიდან, სოფელ ჩმაროვკის მხრიდან, ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცი შევიდა. მას უპატრონო ბაშვი მისდევდა.

- ძია, - მხიარულად უყვიროდა ბავშვი, - ათი კაპიკი მომეცი.

ახალგაზრდა კაცმა ჯიბიდან შემთბარი ვაშლი ამოიღო და უპატრონოს გაუწოდა, მაგრამ ბავშვი არ ცხრებოდა. მაშინ ქვეითი შეჩერდა, ბავშვს ირონიულად შეხედა და

წყნარად უთხრა: - იმ ბინის გასაღებიც ხომ არ მოგართვა, სადაც ფული მაქვს შენახული?

უპატრონო მიხვდა, ამას მეტს ვეღარაფერს გამოვრჩებიო და გაშორდა.

ახალგაზრდა კაცმა იცრუა: მას არც ფული ჰქონდა, არც ბინა, სადაც ფულს შეინახავდა, და არც გასაღები, ის ბინა რომ დაეკეტა. მას პალტოც კი არ ჰქონდა, - ქალაქს მწვანე, წელში გამოყვანილ კოსტიუმში ეწვია. ღონიერ კისერზე ძველი შალის შარფი ჰქონდა შემოხვეული. შიშველ ფეხებზე ნარინჯისფერი, ზამშეს შტიბლეტები ეცვა, ხოლო ხელში ასტროლაბი ეჭირა.

- „ო, ბაიადერკა, ტი-რი-რამ, ტი-რი-რა“, - წაიმღერა მან, როცა ბაზარს მიუახლოვდა.

ბაზარში მას ბევრი საქმე გაუჩნდა. გამყიდველთა რიგებში შეიჭრა, პირდაპირ მიწაზე რომ ვაჭრობდნენ, ასტროლაბია წინ გაიშვირა და ძახილი მორთო: - ასტროლაბია ვის უნდა? აბა, ასტროლაბია - იაფად. დელეგაციებისა და ქალთა განყოფილებებისთვის - დაკლებულ ფასებში.

ამ მოულოდნელ წინადადებას დიდხანს არავინ გამოეხმაურა. დიასახლისების დელეგაციებს დეფიციტური საქონელი უფრო აინტერესებდათ და მანუფაქტურის ფარდულებს ეტანებოდნენ. ასტროლაბიის გამყიდველს ორჯერ ჩაუარა სტარგოროდის მილიციის აგენტმა, მაგრამ ასტროლაბია არაფრით წააგავდა საბეჭდ მანქანას, წინადღეს რომ კარაქ-ცენტრის კანცელარიიდან მოეპარათ. ამიტომ აგენტმა, ბოლოსდაბოლოს, მოსწყვიტა თავისი მაგნიტური მზერა ახალგაზრდა კაცს და წავიდა.

სადილობის ხანს ასტროლაბია სამ მანეთად ზეინკალმა იყიდა.

- თვითონ ზომავს, - უთხრა ყმაწვილმა კაცმა, როცა მყიდველს ასტროლაბიას აძლევდა, - ოღონდ გასაზომი იყოს რამე.

თილისმური ინსტრუმენტი რომ მოიშორა, მხიარულმა ყმაწვილმა კაცმა სასადილო „გემოვნების კუთხეში“ ისადილა და ქალაქის დასათვალიერებლად გაეშურა. მან გაიარა საბჭოს ქუჩა, გავიდა წითელარმიელთა ქუჩაზე (რომელსაც წინათ პუშკინისა ერქვა), კოოპერატიული გადაჭრა და თავი ისევ საბჭოს ქუჩაზე ამოყო. მაგრამ ეს უკვე ის საბჭოს ქუჩა როდი გახლდათ, პირველად რომ გაიარა: ქალაქში საბჭოს ქუჩა ორი იყო. ამით ფრიად განცვიფრებული ყმაწვილი კაცი ლენის ამბების (ყოფილი დენისოვის) ქუჩაზე, ლამაზ ორსართულიან სახლთან მოხვდა, რომელსაც №28 ეწერა და ფირნიში ეკიდა: სსრკ, რსფსრ

სტარგუბდაზღვევის სოციალური უზრუნველყოფის მე-2 სახლი

ყმაწვილი კაცი შეჩერდა. მერე მეეზოვესთან მივიდა, ჭიშკართან ქვის სკამზე რომ იჯდა და სთხოვა, პაპიროსს მომაკიდებინეო.

- ერთი მითხარი, მამილო, - ჰკითხა ყმაწვილმა მეეზოვეს და გააბოლა, - ამ ქალაქში საცოლეები არიან?

ბებერ მეეზოვეს ეს კითხვა სულაც არ გაჰკვირვებია.

- ზოგისთვის ფაშატიც საცოლეა, - ხალისით მიუგო მან.

მეტი შეკითხვა აღარ მაქვს, - სწრაფად წაილაპარაკა ყმაწვილმა კაცმა

მაგრამ იმ წამსვე ისევ შეეკითხა: - ასეთ სახლში საცოლეები როგორ არ უნდა იყვნენ?

- საცოლეებს დიდი ხანია, ამ ქვეყნად სანთლით დაეძებენ, - უპასუხა მეეზოვემ, - აქ სახელმწიფო თავშესაფარია. ბებრუხანები სრულ კმაყოფაზე ცხოვრობენ.

- მესმის. ისინი ცხოვრობენ, ვინც ისტორიულ მატერიალიზმამდე დაიბადა, ხომ?

- ეს ხომ აგრეა. როცა დაიბადნენ, სწორედ მაშინ დაიბადნენ.

- კარგი და - ისტორიულ მატერიალიზმამდე ამ სახლში რა იყო?

- როდის?

- წინათ-მეთქი, ძველი რეჟიმის დროს.

- ჰოო! ძველი რეჟიმის დროს ჩემი ბატონი ცხოვრობდა.

- ბურჟუა?

- ბურჟუა შენ თვითონ ხარ! თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. გაიგე?

- მაშ, პროლეტარი ყოფილა.

- პროლეტარიცა ხარ და არც არა იცი... წინამძღოლი-მეთქი, გესმის?

საუბარი ჭკვიან მეეზოვესთან, რომელიც სუსტად ერკვეოდა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ყმაწვილი კაცი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა.

- იცი, რა, ძიაკაცო, - წაილაპარაკა მან, - ახლა ცოტა ღვინო არ გვაწყენდა მე და შენ.

- ჰოდა დამპატიჟე.

ერთი საათით ორივენი გაუჩინარდნენ, ხოლო უკან დაბრუნებისას მეეზოვე უკვე ყმაწვილი კაცის უერთგულესი მეგობარი იყო.

- ღამეს შენთან გავათევ, - ეუბნებოდა ახალი მეგობარი.

- გინდ სიკვდილამდე ჩემთან იცხოვრე, რაკი ასეთი კარგი კაცი ხარ.

საწადელს ასე მალე რომ მიაღწია, ყმაწვილი კაცი მეეზოვის სარდაფში ჩავიდა, ნარინჯისფერი შტიბლეტები გაიხადა, სკამლოგინზე გაიჭიმა და სახვალიო გეგმების შედგენას შეუდგა.

ყმაწვილ კაცს ოსტაპ ბენდერი ერქვა. თავისი ბიოგრაფიიდან იგი ჩვეულებრივ მხოლოდ ერთ დეტალს ამხელდა ხოლმე: „მამაჩემი თურქეთის ქვეშევრდომი იყოო. თურქეთის ქვეშევრდომის შვილმა თავის სიცოცხლეში ბევრი ხელობა გამოიცვალა. იგი დაუდგრომელი ხასიათისა იყო. ეს ხელს უშლიდა, თავისი ენერგია რაიმე ერთი საქმისთვის მიეძღვნა, ამიტომ თავს ქვეყნის ხან ერთ კუთხეშ ამოყოფდა, ხან

მეორეში, ახლა სტარგოროდში შემოეხეტა - უწინდებოდ, უგასაღებოდ, უბინაოდ და უფულოდაც.

იწვა ოსტაპ ბენდერი მეეზოვის თბილ, თითქმის მყრალ ოთახში და ფიქრებში თავისი კარიერის ორ შესაძლო ვარიანტს რანდავდა. მას შეეძლო მრავალცოლიანობისთვის მიეყო ხელი და მშვიდად ემოგზაურა ქალაქიდან ქალაქში, ჩემოდნით, რომელიც მიტოვებული ცოლისგან წანატაცები ძვირფასი ნივთებით იქნებოდა სავსე.

გარდა ამისა, მას შეეძლო ხვალვე სტარგოროდის საბავშვო კომისიაში წასულიყო და ჯერ დაუხატავი, მაგრამ გენიალურად ჩაფიქრებული სურათის გავრცელება შეეთავაზებინა: „ბოლშევიკები წერილს წერენ ჩემბერლენს, მხატვარ რეპინის პოპულარული სურათის „ზაპოროჟიელების“ მიხედვით. წარმატების შემთხვევაში ამ ვარიანტს ოთხასიოდე მანეთის მოტანა შეეძლო.

ორივე ეს ვარიანტი ოსტაპმა მოსკოვში უკანასკნელად ყოფნის დროს ჩაიფიქრა. მრავალცოლიანობის ვარიანტი საღამოს გაზეთში დაბეჭდილი სასამართლო ანგარიშის გავლენით დაებადა. იქ გარკვევით ეწერა, ვინმე მრავალცოლიანმა სულ ორი წელი მიიღო და ისიც მკაცრი იზოლაციის გარეშეო. №2 ვარიანტი კი ბენდერის თავში მაშინ ჩაისახა, როცა იგი კონტრამარკით რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაციის გამოფენას ათვალიერებდა.

მაგრამ უნაკლო არც ერთ ამ პროექტთაგანს არ ეთქმოდა. მრავალცოლიანის კარიერის დაწყება ყოვლად შეუძლებელი იყო, თუ თვალისმომჭრელი ნაცრისფერი კოსტიუმი არ იქნებოდა. ამას გარდა, ქალის გაცნობისა და მოხიბვლისთვის ათიოდე მანეთი მაინც იყო საჭირო. რა თქმა უნდა, ცოლის შერთვა ყოველდღიურ მწვანე კოსტიუმშიც შეეძლო: პროვინციელი მარგარიტები ვერ გაუძლებდნენ ბენდერის მამაკაცურ ძალასა და სილამაზეს, მაგრამ ეს, ოსტაპის თქმით, დაბალი ხარისხის, ჭუჭყიანი საქმე იქნებოდა. არც სურათის საქმე იყო მთლად კარგად - აქ ხელისშეშლა წმინდა ტექნიკურ მიზეზებს შეეძლო. შეიძლებოდა თუ არა ამხანაგ კალინინის დახატვა ფაფახსა და თეთრ ნაბადში, ან ამხანაგ ჩიჩერინის ქამრამდე გატიტვლება? რა თქმა უნდა, არავინ დაუშლიდა, პერსონაჟები ჩვეულებრივ კოსტიუმებში გამოეწყო, მაგრამ მაშინ სურათს ის ფასი აღარ ექნებოდა.

- ის ეფექტი აღარ ექნება, - ხმამაღლა წარმოთქვა ოსტაპმა. აქ მან შეამჩნია, რომ მეეზოვე უკვე კარგა ხანი იყო, რაღაცაზე გაცხარებით, ხმამაღლა ლაპარაკობდა. თურმე, ბერიკაცი სახლის ყოფელ მფლობელს იგონებდა: - მას პოლიცმაისტერი ეჭიმებოდა... მივიდოდი მასთან მისალოცად, ვთქვათ, ახალ წელს - სამმანეთიანს მაჩუქებდა... აღდგომას მივიდოდი - ისევ სამიანს მიბოძებდა. ანგელოზის დღეს მივულოცავდი - ისევ... მარტო მილოცვებიდან წლიურად თხუთმეტი მანეთი შემომდიოდა... მედალზე წარდგენას დამპირდა. მეო, მითხრა, მინდაო, რომ მეეზოვე მედალოსანი მყავდესო... მიბრძანა - ელოდეო. აი, პირდაპირ ასე მითხრა: ისე ჩათვალე, ტიხონ, თითქოს მედალი უკვე მკერდზე გეკიდოსო...

- მერე, მოგცეს?

- დაიცა... მეო, - მითხრა, უმედლო მეეზოვე არ მჭირდებაო. - მედლისვის სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა. პირველად, უნდა გითხრა, არ გამოუვიდა. ბატონმა ჩინოვნიკებმა არ ისურვეს. მითხრა: მეფე საზღვარგარეთ გაემგზავრა და ახლა არ

შეიძლებაო. მიბრძანა, ელოდეო. ელოდე, ტიხონ, - მითხრა, - უმედლოდ არ დაგტოვებო.

- ერთი ეს მითხარი, შენს ბატონს შუბლში ტყვია ხომ არ მოარტყეს? - ჰკითხა მოულოდნელად ოსტაპმა.

- ხელიც არავის უხლია, თვითონ წავიდა. მაშ, ამ ჭუჭყიან ჯარისკაცებთან ხომ არ დარჩებოდა?! ახლა მეეზოვეებს მედლებს აძლევენ?

- აძლევენ. მე მოგიხერხებ.

მეეზოვემ ბენდერს პატივისცემით შეხედა.

- ჩემთვის უმედლობა არასგზით არ შეიძლება. ასეთი სამსახური მაქვს.

- შენი ბატონი საით გაემგზავრა?

- ვინ იცის. აბმობენ, პარიზში წავიდაო.

- ა! თეთრი აკაციები - ყვავილები ემიგრაციისა... მაშ, ემიგრანტია?

- ემიგრანტი შენ თვითონა ხარ... ხალხმა თქვა, პარიზში წავიდაო... სახლში კი ბებერი ქალები შემოასახლეს. ამათ გინდ ყოველდღე მიულოცე - უზალთუნსაც ვერ ეღირსები. ეჰ! რა ბატონი მყავდა...

ამ დროს კარის თავზე ჟანგიანი ზარი აჟღარუნდა. მეეზოვე კრუსუნით წაბარბაცდა კარისკენ, გააღო და, საშინლად შეცბუნებულმა უკან დაიხია.

ზედა საფეხურზე შავთმიანი და შავულვაშა იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვი იდგა. პენსნესქვეშ მისი თვალები ომამდელი შუქით ბრწყინავდა.

- ბატონი! - აღგზნებით წამოიღმუვლა ტიხონმა, - პარიზიდან!

იპოლიტ მატვეევიჩი მეეზოვის ოთახში გარეშე პირის ნახვას არ მოელოდა. ბენდერის ლილისფერი ქუსლები მან ახლაღა დაინახა მაგიდის ქვეშ. შეცბა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ოსტაპ ბენდერი მკვირცხლად წამოხტა და იპოლიტ მატვეევიჩს მდაბლად დაუკრა თავი: - ეს პარიზი არ არის, მაგრამ ნუ იუკადრისებთ ჩვენს ქოხს.

- გამარჯობა, ტიხონ! - იპოლიტ მატვეევიჩი იძულებული გახდა, მეეზოვეს მისალმებოდა, - მე პარიზიდან სულაც არ ჩამოვსულვარ. რა მოგელანდა?

მაგრამ ოსტაპ ბენდერის გრძელმა, კეთილშობილურმა ცხვირმა უკვე შემწვარის სუნი იყნოსა. ოსტაპმა მეეზოვეს ხმის ამოღება არ აცადა.

- კეთილი! - წარმოთქვა მან და თვალები გადაატრიალა, - თქვენ პარიზიდან არ ჩამოსულხართ, თქვენ, რა თქმა უნდა, კოლოგრივიდან ჩამობრძანდით - განსვენებული ბებიის მოსანახულებლად, ხომ?

ბენდერმა ესა თქვა, გაოგნებულ მეეზოვეს ნაზად მოჰხვია ხელი და სანამ ეს ბეჩავი რამეს მოისაზრებდა, გარეთ გაიყვანა. ტიხონმა მხოლოდ წინკარში მოისაზრა, რომ პარიზიდან ბატონი ჩამოვიდა, რომ იგი, ტიხონი, გარეთ გამოაგდეს და რომ მას მარცხენა ხელში ქაღალდის მანეთიანი აქვს ჩაკუჭული.

ბენდერმა გულმოდგინედ ჩაკეტა კარი, შუა ოთახში გაჩერებულ ვორობიანინოვს მიუბრუნდა და წარმოთქვა: - მშვიდად! ყველფერი წესრიგშია. ჩემი გვარია ბენდერი. ხომ არ გაგიგონიათ?

- არ გამიგონია, - ნერვიულად უპასუხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- რა თქმა უნდა! საიდან უნდა იცოდნენ პარიზელებმა ოსტაპ ბენდერის სახელი? პარიზში ახლა თბილა? კარგი ქალაქია. იქ ბიძაშვილი მყავს გათხოვილი. ამასწინათ შეკვეთილი წერილით აბრეშუმის ცხვირსახოცი გამომიგზავნა...

- რა სისულელეა! - შეჰყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა, - რომელ ცხვირსახოცებზე ლაპარაკობთ? მე პარიზიდან კი არ ჩამოვედი, არამედ...

- მშვენიარია, მშვენიერი. მორშანსკიდან.

იპოლიტ მატვეევიჩს არასოდეს ჰქონია საქმე ასეთ ტემპერამენტიან ყმაწვილ კაცთან. მან თავი შეუძლოდ იგრძნო.

- იცით, მე წავალ, - თქვა მან.

- სად წახვალთ? საჩქარო თქვენ არაფერი გაქვთ. პოლიტსამმართველო თვითონაც მოგაკითხავთ.

იპოლიტ მატვეევიჩმა პასუხი ვეღარ იპოვა, გაქუცული ხავერდისსაყელოიანი პალტო გაიხსნა, ბენდერს მტრული თვალი შეავლო და სკამ-ლოგინზე ჩამოჯდა.

- მე თქვენი ვერაფერი გამიგია, - ჩავარდნილი ხმით წაილუღლუღა მან.

- ეგ არაფერი. ახლავე ყველაფერს გაიგებთ. ერთი წუთი მაცადეთ.

ოსტაპმა შიშველ ფეხებზე ნარინჯისფერი შტიბლეტები ჩაიცვა, ოთახში გაიარ-გამოიარა და დაიწყო: - რომელ საზღვარზე გადმოიპარეთ? პოლონეთის, თუ ფინეთის? ან, იქნებ, რუმინეთის? ალბათ, ძვირი დაგიჯდათ. ამას წინათ ერთი ჩემი ნაცნობი საზღვარზე გადმოვიდა, თვითონ სლავუტში, ჩვენ მხარეზე ცხოვრობს, ცოლის მშობლები კი იქით მხარეს ცხოვრობენ. ცოლთან რაღაც შინაურ საქმეებზე ჩხუბი მოუვიდა. ცოლი კი ამაყი გვარის შვილია, პირდაპირ თვალებში მიაფურთხა და საზღვარგარეთ, მშობლებთან გაიქცა. ეს ჩემი ნაცნობი სამ დღეს უცოლოდ ცხოვრობდა: ხედავს - საქმე ცუდადაა, სადილს არავინ უმზადებს, ოთახები დანაგვიანებულია, - და შერიგება გადაწყვიტა. ღამით ადგა და საზღვარზე გადასვლა დააპირა. სტაცეს ხელი მესაზღვრეებმა, საქმე შეუდგინეს, ექვსი თვით ჩასვეს, და მერე პროფკავშირიდანაც გარიცხეს. ახლა, თურმე, ცოლი, ის ჩერჩეტი, უკან დაბრუნებულა, ქმარი კი ციხეში ზის. დამდგარა და საჭმელებს უზიდავს... თქვენც პოლონეთის საზღვარზე გადმოხევდით?

- გაძლევთ პატიოსან სიტყვას... - ამოღერღა იპოლიტ მატვეევიჩმა. მას უცებ მოეჩვენა, ამ ენაგრძელი ყმაწვილი კაცისგან, ბრილიანტებისკენ მიმავალ გზაზე რომ წინ დამიდგა, რაღაცით დამოკიდებული ვარო, - გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მე რსფსრ-ის ქვეშევრდომი ვარ. ბოლოსდაბოლოს, შემიძლია, პასპორტი გაჩვენოთ.

- ახლა დასავლეთში ბეჭდვითი საქმე ისეა განვითარებული, რომ საბჭოთა პასპორტის დაბეჭდვა იქ სულ უბრალო საქმეა. ამაზე ლაპარაკიც სასაცილოა... ერთი ჩემი ნაცნობი ისე გათამამდა, რომ დოლარებს ბეჭდავდა. თქვენ იცით, რა ძნელია ამერიკული დოლარების ბეჭდვა? იქაურ ქაღალდს მრავალფეროვანი ზოლები აქვს. აქ ტექნიკის ღრმა ცოდნაა საჭირო. ჩემი ნაცნობი თავისუფლად ასაღებდა თავის დოლარებს მოსკოვის ბირჟაზე, მაგრამ მერე რა მოხდა? თურმე, ბაბუამისი, ცნობილი მევალუტე, ამ დოლარებს კიევში ყიდულობდა და გაკოტრდა, დოლარები ხომ მაინც ყალბი იყო... ასე რომ, თქვენს პასპორტს მაინცდამაინც ნურც თქვენ ენდობით.

იპოლიტ მატვეევიჩი გულმოსული იყო, რომ ბრილიანტების ძებნის ნაცვლად მეეზოვის ამყრალებულ ოთახში იჯდა და უტიფარი ახალგაზრდის ყბედობას ისმენდა, მაგრამ წასვლას მაინც ვერ ბედავდა. ეშინოდა, ვაითუ ამ კაცმა მთელ ქალაქს შეატყობინოს, თავად-აზნაურთა ყოფილი წინამძღოლი ჩამოვიდაო. მაშინ ხომ დაიღუპებოდა - იქნებ, ჩაესვათ კიდეც.

- ძალიან გთხოვთ, ნურავის ნუ ეტყვით, რომ მნახეთ, - შეეხვეწა იპოლიტ მატვეევიჩი, - მართლა ეგონებათ, ემიგრანტიაო.

- აი, კონგენიალურია, უპირველეს ყოვლისა, აქტივი: არის ემიგრანტი, რომელიც მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ახლა პასივი: მას ეშინია, პოლიტსამმართველო დამაპატიმრესო.

- მე ხომ ათასჯერ გითხარით, რომ ემიგრანტი არა ვარ.

- მაშ, ვინ ბრძანდებით? აქ რისთვის ჩამობრძანდით?

- ჩამოვედი ქალაქ №№-დან. საქმეზე.

- რა საქმეზე?

- პირად საქმეზე.

- და ამის შემდეგ თქვენ კიდევ მეტყვით, ემიგრანტი არა ვარო? ერთი ჩემი ნაცნობი...

იპოლიტ მატვეევიჩი მოტყდა. იგი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ბენდერის ნაცნობების ამბებმა, და თან ისიც დაინახა, რომ ბენდერს ვერ გადაარწმუნებდა.

- კარგი, - თქვა მან, - ყველაფერს აგიხსნით.

„ბოლოსდაბოლოს, თუ თანაშემწე არ მეყოლა, გამიჭირდება, - გაიფიქრა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ეს კი დიდი არამზადა ჩანს. ასეთი ყოველთვის გამოგადგება“.

6. ბრილიანტების კვალი

იპოლიტ მატვეევიჩმა ლაქებიანი კასტორის შლიაპა მოიხადა. ულვაშები დაივარცხნა. სავარცხლის მიკარებისას ულვაშები ელექტრონაპერწკლების შეხმატკბილებულ გუნდებს აფრქვევდა. შემდეგ ვორობიანინოვმა ჩაახველა და ოსტაპ ბენდერს, პირველ შემხვედრ ვიგინდარას, ყველაფერი უამბო, რაც გარდაცვლილი სიდედრის ბრილიანტებზე იცოდა.

სანამ იპოლიტ მატვეევიჩი ყვებოდა, ოსტაპი რამდენჯერმე წამოხტა და თუჯის ღუმელს აღტაცებით მიაძახა: - ყინული დაიძრა! ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, ყინული დაიძრა!

ერთი საათის შემდეგ ორივენი ყანყალა მაგიდას უსხდნენ, თავი თავზე მიედოთ და იმ ძვირფასეულობათა გრძელ სიას კითხულოდნენ, ერთ დროს სიდედრს რომ თითებს, კისერს, ყურებს, მკერდსა და თმას უმშვენებდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ყოველ წუთს პენსნეს ისწორებდა და ხაზგასმით ამბობდა: - სამი აცმა მარგალიტი... კარგად მახსოვს - ორი ორმოც-ორმოცი და ერთიც ასათმძივიანი, ბრილიანტიანი კულონი... კლავდია ივანოვნა ამბობდა, ოთხი ათასი ღირს. ძველებური სუფთა ნამუშევარიაო.

შემდეგ ბეჭდები მოდიოდა: სქელი, ულაზათო და იაფფასიანი დასანიშნი ბეჭდები კი არა, - თხელი, მსუბუქი ბეჭდები, წმინდა წყლის ბრილიანტის თვლებით; მერე მძიმე, თვალისმომჭრელი საყურეები, ქალის პატარა ყურებს მრავალფერადი ცეცხლით რომ აელვარებდა, ზურმუხტის, ქერცლიანი გველისებური სამაჯურები; ძვირფასი ქვების მანიაკი ხუთასი დესეტინის მოსვლად რომ ღირდა; მარგალიტის ყელსაბამი, რომელიც თითქოს მხოლოდ ოპერეტის რომელიმე სახელგანთქმულ პრიმადონას შეეძლო ჰქონდა, და ყველაფერ ამას ორმოც ათასმანეთიანი დიადემა აგვირგვინებდა.

იპოლიტ მატვეევიჩმა მიმოიხედა. მეეზოვის წვირიანი ოთახის ბენლ კუთხეებში გაზაფხულის ფერები ფეთქავდა და თრთოდა. ჭერქვეშ ბრილიანტების კვამლი გაწოლილიყო. იატაკზე და მაგიდაზე მარგალიტის თვლები დახტოდა. ოთახს ფასდაუდებელი მირაჟი ატორტმანებდა.

აღელვებული იპოლიტ მატვეევიჩი ბენდერის ხმამ გამოაფხიზლა: - მდიდრული არჩევანია. ვხედავ, ქვები გემოვნებითაა შერჩეული. რა ღირდა მთელი ეს მუსიკა?

- სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი ათასი.

- ოჰო! მაშ, ახლა ას ორმოცდაათი ათასი ეღირება.

- მართლა? - იპოლიტ მატვეევიჩმა სიხარული ვერ დამალა.

- არანაკლები. ოღონდ ძვირფასო პარიზელო ამხანაგო, მიაფურთხეთ ყველაფერ ამას.

- როგორ თუ მივაფურთხო?

- ფურთხით, - მიუგო ოსტაპმა, - როგორც ისტორიული მატერიალიზმის ეპოქამდე აფურთხებდნენ. არაფერი გამოგივათ.

- ვითომ რატომ?

- იმიტომ. რამდენი სკამი იყო?

- თორმეტი. ერთი სასტუმროს გარნიტური, - ჰოდა, თქვენი სასტუმროს გარნიტური, ალბათ, დიდი ხანია, ღუმელმა შთანთქა.

ვორობიანინოვი ისე შეშინდა, რომ წამოდგა კიდეც.

- მშვიდად, მშვიდად. საქმეს მე ვკიდებ ხელს. სხდომა გრძელდება. ჰო, მართლა, მე და თქვენ პატარა ხელშეკრულება უნდა დავდოთ.

იპოლიტ მატვეევიჩი მძიმედ სუნთქავდა. მან თავის კანტურით თანხმობა განუცხადა ბენდერს. მაშინ ოსტაპი პირობების ჩამოყალიბებას შეუდგა.

- განძის რეალიზაციის შემთხვევაში მე, როგორც კონცესიის უშუალო მონაწილე და ტექნიკური ხელმძღვანელი, ვიღებ სამოც პროცენტს. სამაგიეროდ გათავისუფლებთ ჩემზე შეწერილი სოცდაზღვევის გადასახადისგან. ეს ჩემთვის სულერთია.

იპოლიტ მატვეევიჩს ნაცრისფერი დაედო.

- თქვენ მე მძარცვავთ დღისით-მზისით.

- თქვენ რამდენის შემოთავაზებას აპირებდით?

- ე-ე... ხუთი პროცენტი.... არადა, ბოლოსდაბოლოს, ათი, ეს თხუთმეტი ათასი მანეთია, გესმით?

- მეტი არაფერი გნებავთ?

- არა.

- იქნებ, თქვენ გსურთ, მე მუქთად ვიმუშავო და თან ბინის გასაღებიც მოგართვათ, სადაც ფული მაქვს შენახული?

- რაკი ასეა, მაპატიეთ, - ცხვირში ჩაიდუდუნა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მე საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ამ საქმეს მარტოც ავუვალ.

- აჰა, რაკი ასეა, მაპატიეთ, - მიუგო დიდებულმა ოსტაპმა, - მეც, ენდი ტაკერის არ იყოს, არანაკლები საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ამ საქმეს მარტო მეც ავუვალ.

- ყალთაბანდო! - დაუყვირა აკანკალებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ოსტაპს წარბიც არ შეუხრია.

- მომისმინეთ, პარიზელო ბატონო, იცით თუ არა, რომ თქვენი ბრილიანტები მე თითქმის ჯიბეში მიწყვია, და პირადად თქვენ მხოლოდ იმდენად მაინტერესებთ, რამდენადაც თქვენი სიბერის უზრუნველყოფა მინდა?

იპოლიტ მატვეევიჩი ახლაღა მიხვდა, რომ რკინის მარწუხებში მოექცა.

- ოცი პროცენტი, - პირქუშად წარმოთქვა მან.

- და ჭამა-სმაც ჩემს ხარჯზე, არა? - დაცინვით ჰკითხა ოსტაპმა?

- ოცდახუთი.

- და ბინის გასაღებიც, ხომ?

- ეს ხომ ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასია.

- რა საჭიროა ასეთი სიზუსტე? კარგი, ჯანდაბას, ორმოცდაათი პროცენტი. ნახევარი - თქვენ, ნახევარი - მე.

ვაჭრობა გაგრძელდა. ოსტაპმა ერთხელაც დაუთმო, - ვორობიანინოვის პიროვნებისადმი პატივისცემის გამო ორმოც პროცენტზე დაყაბულდა.

- სამოცი ათასი! - ყვიროდა ვორობიანინოვი.

- მეტად უხამსი კაცი ყოფილხართ, - ედავებოდა ბენდერი, - ფული უფრო მეტად გყვარებიათ, ვიდრე საჭიროა.

- ფული განა თქვენ კი არ გიყვართ? - ფლეიტასავით წრიპინებდა იპოლიტ მატვეევიჩი.

- არ მიყვარს.

- მაშ, სამოცი ათასს რატომ ითხოვთ?

- პრინციპის გამო.

იპოლიტ მატვეევიჩმა ამოიქშინა.

- რაო, ყინული დაიძრა? - ჩაეკითხა ოსტაპი.

ვორობიანინოვმა ერთხელაც ამოიქშინა, და... მორჩილად ჩაილაპარაკა: - დაიძრა.

- მოიტა ხელი, კომანჩების სამაზრო წინამძღოლო! ყინული დაიძრა! ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, ყინული დაიძრა!

იპოლიტ მატვეევიჩმა იწყინა, როგორ თუ კომანჩების წინამძღოლი მიწოდესო, და ბოდიშის მოხდა მოითხოვა. ოსტაპმა გრძელი საბოდიშო სიტყვა წარმოთქვა და ვორობიანინოვს ფელდმარშალი უწოდა. ამის შემდეგ დისპოზიციის შედგენა დაიწყეს.

მეეზოვე ტიხონი სარდაფში შუაღამისას დაბრუნდა. გზადაგზა ერთი ბოძი არ დაუტოვებია, რომ გულიანად არ ჩაჰხუტებოდა, ღობეებს კი ხელებით ეალერსებოდა. საუბედუროდ, ცაში სავსე მთვარე ეკიდა.

- ოჰ, გონებრივი შრომის პროლეტარი! ცოცხის მუშაკი! - შესძახა ოსტაპმა დაოთხილი მეეზოვის დანახვისას.

მეეზოვემ დაბალი, ვნებიანი ხმით წამოილუღლუღა. ასე ღამის სიჩუმეში მოულოდნელად უნიტაზი აბუყბუყდება ხოლმე.

- პირდაპირ კონგენიალურია, - უთხრა ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს, - ეს თქვენი მეეზოვე ფრიად უხამსი ვინმეა. განა მანეთად ასე დათრობა შეიძლება?

- შ-შეიძლება, - მოულოდნელად წარმოთქვა მეეზოვემ.

- გამიგონე, ტიხონ, - დაიწყო იპოლიტ მატვეევიჩმა, - ხომ არ იცი, მეგობარო, ჩემს ავეჯს რა ბედი ეწია?

რათა ტიხონის ფართოდ გაღებული პირიდან სიტყვები თავისუფლად წარმოდენილიყო, ოსტაპმა მეეზოვეს ფრთხილად მოჰხვია ხელი. იპოლიტ მატვეევიჩი დაძაბული იცდიდა, მაგრამ მეეზოვის პირიდან, რომელშიც კბილები მიჯრით კი არა, თითოს გამოშვებით იზრდებოდა, უცებ გამაყრუებელი ქუხილი ამოვარდა: - მმახსოვს, დდღენი მმხიააარუულნიი...

სარდაფი ღრიალით გაიტენა. მეეზოვე გულმოდგინედ, მთელი სულითა და გულით მღეროდა. არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია. ოთახში დააბოტებდა და ბღაოდა. ერთხელ თავისდაუნებურად მაგიდის ქვეშ აღმოჩნდა, მერე კარტუზიანი თავი კედლის საათის ცილინდრულ საწონს მიარტყა. შემდეგ დაიჩოქა. ერთი სიტყვით, ძალიან მხიარულობდა.

იპოლიტ მატვეევიჩი დაბნეული იჯდა.

მოწმეების დაკითხვა დილისთვის გადავდოთ, - თქვა ოსტაპმა, - ახლა კი დავიძინოთ.

ვორობიანინოვმა და ოსტაპმა გადაწყვიტეს, მეეზოვის საწოლზე ერთად დაწოლილიყვნენ, ოსტაპს პიჯაკქვეშ შავ-წითელუჯრედებიანი „კოვბოური“ ხალათი ცმოდა; სამაგიეროდ, იპოლიტ მატვეევიჩს მკითხველისთვის უკვე ნაცნობი მთვარისფერი ჟილეტის ქვეშ მეორე - გარუსის, ღია ცისფერი ჟილეტიც აღმოაჩნდა.

- ეგ ჟილეტი პირდაპირ იხვეწება - გამყიდეთო, - შურით უთხრა ოსტაპმა, - სწორედ ჩემზეა გამოჭრილი... მომყიდეთ.

იპოლიტ მატვეევიჩმა ახალ კომპანიონსა და კონცესიის უშუალო მონაწილეს უარი ვეღარ აკადრა. ცოტა შეიჭმუხნა და ჟილეტი თავის ფასად - რვა მანეთად დაუთმო.

- ფულს განძის რეალიზაციის შემდეგ მიიღებთ, - განუცხადა ბენდერმა და ჯერ კიდევ თბილი ჟილეტი ჩამოართვა.

იპოლიტ მატვეევიჩი გაწითლდა.

- არა, მე ეგრე არ მაწყობს, მომეცით ჩემი ჟილეტი.

ოსტაპის სათუთი ბუნება აღშფოთებამ მოიცვა.

- რა ვაჭრუკანა ყოფილხართ! - დაიყვირა ოსტაპმა, - ას ორმოცდაათიათასიან საქმეს ვიწყებთ და რვა მანეთზე მეჩხუბებით. განა მეტი ხელგაშლილობა არ გმართებთ?

იპოლიტ მატვეევიჩი კიდევ უფრო გაწითლდა. პატარა ბლოკნოტი ამოიღო და კალიგრაფიული ხელით ჩაწერა: 25/IV-27 წ.

მიეცა ამხ. ბენდერს 8 მან.

ოსტაპმა ბლოკნოტში ჩაიხედა.

- ეჰე, რაკი პირადი ანგარიში გამიხსენით, სწორედ მაინც აწარმოეთ. შემოიღეთ დებეტი, შემოიღეთ კრედიტი. დებეტში სამოცი ათასი მანეთის შეტანა არ დაგავიწყდეთ, ჩემი რომ გმართებთ. კრედიტში კი ჟილეტი შეიტანეთ. სალდო - ორმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი მანეთი - ჩემია. ასე რომ, ერთხანს არაფერი მიშავს.

ამის შემდეგ ოსტაპს ბავშვივით უდრტვინველად ჩაეძინა. იპოლიტ მატვეევიჩმა კი გაიხადა შალის სამაჯე, ბარონის ჩექმები და, დაკერებული ეგერული საცვლების ამარა, საბანქვეშ ხვნეშით შეძვრა, მაგრამ უხერხულად იყო. ზურგის მხარეს საბანი არ სწვდებოდა და ციოდა, მეორე მხრიდან კი დიდი კომბინატორის ახალგაზრდა, მთრთოლვარე იდეებით გატენილი სხეული სწვავდა.

სამივემ სიზმრები ნახა.

ვორობიანინოვს შავბნელი სიზმარი ჰქონდა: ესიზმრა მიკრობები, მილიციის გამომძიებელი, ხავერდის ტოლსტოვკები და კუბოების ოსტატი ბეზენჩუკი, რომელსაც სმოკინგი ეცვა, მაგრამ გაუპარსავი იყო.

ოსტაპმა სიზმარში ვულკანი ფუძიამა, კარაქცენტრის გამგე და ტარას ბულბა ნახა, რომელიც დნეპრომშენის ხედებს ჰყიდდა.

მეეზოვეს კი ესიზმრა, თითქოს საჯინიბოდან ცხენი გაექცა. სიზმარში ცხენს დილამდე ეძებდა და ვერ იპოვა, ამიტომ ძალიან ცუდ ხასიათზე გამოეღვიძა. დიდხანს, გაკვირვებული მისჩერებოდა მის ლოგინში მძინარე ადამიანებს. ვერაფერს მიხვდა. ცოცხი აიღო და თავის პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად - ცხენის ჩონჩორიკის დასახვეტად და მათხროვრების დასაფრთხობად გავიდა.

7. „ტიტანიკის“ ნაკვალევი

იპოლიტ მატვეევიჩმა ჩვეულებისამებრ რვის ნახევარზე გაიღვიძა, წაიბუხუნა - გუტ მორგენო, და პირსაბანს მიაშურა. პირს სიამოვნებით იბანდა - იფურთხებოდა, ხვნეშოდა და თავს იქნევდა, რათა ყურებიდან წყალი გამოედევნა. პირისახის შემშრალებაც ეამა, მაგრამ როცა პირსახოცი სახიდან მოიშორა, დაინახა, რომ ქსოვილი სწორედ იმ რადიკალური შავი ფერით იყო გათითხნილი, რომლითაც გუშინწინ თავისი ჰორიზონტალური ულვაშები შეიღება. გული ეტკინა. ჯიბიდან სარკე ამოიღო, სარკეში ვეება ცხვირი და ნორჩი ბალახივით მწვანე მარცხენა ულვაში დაინახა. სარკე სწრაფად მარჯვნივ გასწია. მარჯვენა ულვაშიც ისეთივე შემზარავი ფერისა იყო. თავი დახარა, თითქოს სარკის რქენა უნდაო, და დაინახა, რომ რადიკალური შავი ფერი ჯერ კიდევ ბატონობდა კვადრატული თავისქალის შუაგულში, მაგრამ ნაპირ-ნაპირ იმავე ბალახისფერით იყო მოარშიებული.

იპოლიტ მატვეევიჩმა ისე ძალუმად ამოიგმინა, რომ ოსტაპ ბენდერმა თვალები გაახილა.

- ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ! - წამოიძახა ბენდერმა და თვალები ისევ მილულა.

- ამხანაგო ბენდერ, - ხვეწნით წაიჩურჩულა „ტიტანიკის“ მსხვერპლმა.

ოსტაპის გაღვიძებას ბევრი მუჯლუგუნი და ხვეწნა დასჭირდა. მან ყურადღებით შეათვალიერა იპოლიტ მატვეევიჩი და მხიარულად გაიცინა. კონცესიის სამუშაოთა მთავარმა მწარმოებელმა და ტექნიკურმა რედაქტორმა ზურგი შეაქცია კონცესიის დირექტორ-დამაარსებელს; მთელი ტანით აბორგდა, საწოლის ზურგს ეპოტინებოდა, ყვიროდა - „მეტი აღარ შემიძლიაო“, და ისევ ბორგავდა და ტორტმანებდა.

- ამხანაგო ბენდერ, მე თქვენგან ამას არ მოველოდი, - მწვანე ულვაშების ცანცარით წარმოთქვა აკანკალებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ამან დაოსებულ ოსტაპს ახალი ძალა შესძინა. მისი გულიანი ხარხარი კიდევ ათიოდე წუთს გრძელდებოდა. მერე სული მოითქვა და უცებ დასერიოზულდა.

- ასე ბოროტად რატომ მომჩერებიხართ? თითქოს თქვენ ჯარისკაცი იყოთ, მე კი - ტილი; საკუთარ თავზე დაიხედეთ.

- აფთიაქარმა მითხრა, რადიკალური შავი ფერი იქნებაო. არც ცივი წყლისა ეშინია, არც ცხელის, არც საპნის ქაფის და არც ნავთისო. კონტრაბანდაო.

- კონტრაბანდაო? მთელ კონტრაბანდულ საქონელს ოდესაში, არნაუტის ქუჩაზე ამზადებენ. აბა, ფლაკონი მაჩვენეთ. ახლა შეხედეთ. ეს წაკითხული გაქვთ?

- წაკითხული მაქვს.

- ეს? პატარა ასოებით რომ წერია... აქ გარკვევით წერია: ცხელი ან ცივი წყლით, საპნის ქაფით ან ნავთით თავის დაბანის შემდეგ თმა კი არ უნდა შეიმშრალოთ, არამედ მზეზე ან პრიმუსზე უნდა შეიშროთო. რატომ არ შეიშრეთ? სად გამოაჩენთ ახლა მაგ მწვანე ულვაშებს?

იპოლიტ მატვეევიჩი სულით დაეცა. სარდაფში ტიხონი შემოვიდა. მწვანეულვაშა ბატონის დანახვაზე, პირჯვარი გადაიწერა და ჭიქა არყის ფული ითხოვა - გამოფხიზლება მინდაო.

- მიეცით შრომის გმირს მანეთი, - მოუწოდა ოსტაპმა, - ოღონდ, თუ შეიძლება, ამას ჩემს ანგარიშზე ნუ შეიტანთ. ეს თქვენი და თქვენი ყოფილი მოსამსახურის ინტიმური საქმეა. მოიცა, ძია კაცო, ნუ წახვალ, საქმე მაქვს.

ოსტაპმა მეეზოვეს სიტყვა ავეჯზე ჩამოუგდო და ხუთი წუთის შემდეგ კონცესიონერებმა ყველაფერი იცოდნენ. 1919 წელს მთელი ავეჯი, ერთი სკამის გარდა, საბინაო განყოფილებაში წაუღიათ. ეს ერთი სკამი ჯერ ტიხონს ჰქონია, მერე კი სოცუზრუნველყოფის მე-2 სახლის მომმარაგებელს წაურთმევია.

- მაშ, ახლა აქ, ამ სახლშია?

- აქ გახლავთ.

- ერთი ესეც მითხარი, მეგობარო, - სულწასულად ჰკითხა ვორობიანინოვმა, - სკამი შენ როცა გქონდა, ხომ არ... შეგიკეთებია?

- შეკეთება რა საჭირო იყო? წინათ ყველაფერს კარგად აკეთებდნენ. ის სკამი კიდევ ოცდაათ წელიწადს გაძლებს.

- აი, შენ, კიდევ მანეთი, მეგობარო! წადი. ოღონდ არავის უთხრა, რომ ჩამოვედი.

- როგორ გეკადრებათ, ამხანაგო ვორობიანინოვ!

ოსტაპმა მეეზოვე გაისტუმრა, შეჰყვირა - ყინული დაიძრაო, და ისევ ვორობიანინოვის მწვანე ულვაშებს მიუბრუნდა.

- ერთხელაც უნდა შევღებოთ. ფული მომეცით - აფთიაქში მივირბენ. ეგ თქვენი „ტიტანიკი“ მარტო ძაღლების შესაღებად თუ გამოდგება... აი, მესმის - უწინდელი საღებავები... მე დოღის ერთმა პროფესორმა ამაღელვებელი ისტორია მიამბო. თქვენ დოღი გიტაცებდათ? არა? აფსუს! დასანანია. ერთი სიტყვით, იყო ერთი განთქმული კომბინატორი, გრაფი დრუცკი. დოღზე ხუთასი ათასი წააგო. სწორედ წაგების მეფე იყო, რაღა. ჰოდა, მარტო ვალების ამარა რომ დარჩა და უკვე თვითმკვლელობაზე ფიქრობდა, ერთმა ვინმემ ორმოცდაათ მანეთად შესანიშნავი რჩევა მისცა. გრაფი წავიდა, ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და თან ორლოვური სამწლიანი ულაყი ჩამოიყვანა. თავისი ფულიც დაიბრუნა და კიდევ სამასი ათასი მოიგო. მისი - „მაკლერი“ ყოველთვის პირველი მოდიოდა. ატესტატიც დიდებული ჰქონდა. დერბიზე „მაკ-მაგონს“ მთელი ტანით გაუსწრო. ეს ამბავი მეხივით გავარდა, მაგრამ აქ კუროჩკინმა გაგიგონიათ? აქ კუროჩკინმა მოისაზრა, რომ ორლოვური ულაყები ყველანი ფერს იცვლიან, „მაკლერი“ კი სულ ერთი ფერისა იყო. ოჰ, რამხელა სკანდალი მოხდა! გრაფს სამი წელი მისცეს. თურმე, „მაკლერი“ ორლოვური ულაყი კი არა, შეღებილი მეტისი იყო. მეტისები კი ორლოვურებზე სწრაფები არიან, მათ ერთმანეთთან ახლოსაც არ აკარებენ... მაშ! აი, მესმის - საღებავი. სწორედ თქვენ „ტიტანიკს“ არ ჰგვანებია?

- კარგი და - ატესტატი? აკი ჩინებული ატესტატი ჰქონდა?

- ისეთივე ატესტატი ჰქონდა, როგორი იარლიყიც თქვენს „ტიტანიკს“ აქვს. საღებავის ფული მომეცით

ოსტაპმა ახალი მიქსტურა მოიტანა.

- „ნაიდა“. იქნება, აჯობოს თქვენს „ტიტანიკს“. აბა, პიჯაკი გაიძრეთ.

თმისა და ულვაშის ხელახლად შეღებვას შეუდგნენ, მაგრამ „გასაოცარმა წაბლისფერმა, თმას სინაზეს და სირბილეს რომ ანიჭებდა“, „ტიტანიკის“ მწვანე ფერთან შერევისას იპოლიტ მატვეევიჩის თავი და ულვაში მზის სპექტრის ფერებით ააელვარა.

დილასაქეთ მშიერი ვორობიანინოვი გააფთრებით აგინებდა პარფიუმერიულ ქარხნებს, სახელმწიფოს კუთვნილსაც და იმათაც, თავის პროდუქციას ოდესაში, მცირე არნაუტის ქუჩაზე, იატაკქვეშეთში რომ ამზადებდნენ.

- ასეთი ულვაში არისტიდ ბრიანსაც არ ექნება, - მხნედ წარმოთქვა ოსტაპმა, - მაგრამ ასეთი ულტრაიისფერი ულვაშით საბჭოთა რუსეთში ცხოვრება სასურველი არ არის. უნდა მოიპარსოთ.

- არ შემიძლია, - ნაღვლიანად შეეხმიანა იპოლიტ მატვეევიჩი, - შეუძლებელია.

- რა, სამახსოვროა?

- არ შემიძლია, - გაიმეორა ვორობიანინოვმა და თავი ჩაქინდრა.

- მაშინ, იჯექით მთელი სიცოცხლე ამ სოროში. მე კი სკამების საძებნად წავალ. ოღონდ გაიხსნეთ, პირველი სკამი სწორედ ჩვენ ზევითაა.

- მომპარსეთ.

ბენდერმა მაკრატელი მოძებნა და თვალის დახამხამებაში ულვაშები შეაჭრა ვორობიანინოვს. ბალანი უხმოდ დაცვივდა იატაკზე. კრეჭა რომ დაამთავრა, ტექნიკურმა დირექტორმა ჯიბიდან გაყვითლებული უსაფრთხო სამართებელი „ჟილეტი“ ამოიღო, საფულედან კი - დანა, და ვორობიანინოვის პარსვას შეუდგა. იპოლიტ მატვეევიჩი ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

- უკანასკნელი დანა დაგახარჯეთ. ჩემს დებეტში ორი მანეთის ჩაწერა არ დაგავიწყდეთ. გაგკრიჭეთ და გაგპარსეთ კიდეც.

დარდით შეწუხებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა მაინც ჰკითხა: - რატომ ასე ძვირად? ყველგან ორი აბაზი ღირს.

- კონსპირაციაც ფული ღირს, ამხანაგო ფელდმარშალო, - სწრაფად მიუგო ბენდერმა.

აუწერელია იმ ადამიანის ტანჯვა, თავს რომ უსაფრთხო სამართებლით პარსავენ. იპოლიტ მატვეევიჩმა ეს ოპერაციის დაწყებისთანავე იგრძნო.

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს.

- მზადაა. სხდომა გრძელდება. ნერვიულებს ვთხოვთ, დაგვტოვონ. ახლა თქვენ ცნობილ ავტორ-კუპლეტისტს ბობორიკინს ჰგავხართ.

იპოლიტ მატვეევიჩმა კალთებიდან თავისი ყოფილი კულულები ჩამოიბერტყა და პირი დაიბანა. თავი საშინლად ეწვოდა. სარკეში ჩაიხედა და, თავისდა მოულოდნელად, ფრიად მოეწონა ის, რაც დაინახა. სარკიდან მას უანგაჟემენტო მსახიობის გატანჯული, მაგრამ ერთობ ახალგაზრდა სახე მისჩერებოდა.

- აბა, ნაბიჯით იარ, საყვირები გვიხმობენ! - შესძახა ოსტაპმა, - მე კვალს საბინაო განყოფილებისკენ გავყვები, უკეთ, იმ სახლისკენ, რომელშიც ოდესღაც საბინაო განყოფილება იყო, თქვენ კი ბებრუხანებს მიაშურეთ.

- არ შემიძლია, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა, - საკუთარ სახლში შესვლა ჩემთვის ძალიან სამძიმო იქნება.

- აჰა! ამაღელვებელი ამბავია. დევნილი ბარონი! კეთილი. მიბრძანდით საბინაო განყოფილებაში, აქ კი მე წავიმუშავებ. შეხვედრის პუნქტი - ამ სარდაფში. საპარადო ნაბიჯით იარ!

8. ცისფერი ქურდბაცაცა

სტარუზრუნველყოფის მე-2 სახლის მომმარაგებელი მორცხვი ქურდბაცაცა იყო. ქურდობას მთელი მისი ბუნება ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც ის შეეძლო, რომ ყოველ ნაბიჯზე რაიმე არ მოეპარა. ქურდობდა და თან თავისი საქციელის საშინლად რცხვენოდა. მუდამ იპარავდა, მუდამ რცხვენოდა და ამიტომ მის კარგად გაპარსულ ლოყებს მუდამ სირცხვილის ალმური ასდიოდა. მომმარაგებელს ალექსანდრე იაკოვლევიჩი ერქვა, ხოლო მის ცოლს - ალექსანდრა იაკოვლევნა. ცოლს იგი საშხენს ეძახდა, ცოლი კი მას - ალხენს. ასეთი ცისფერი ქურდბაცაცა ჯერ ქვეყნიერებას არ ენახა.

იგი მარტო მომმარაგებელი კი არ იყო, არამედ გამგეც. წინანდელი გამგე აღსაზრდელებისადმი უხეშობისთვის მოხსნეს და სიმფონიური ორკესტრის კაპელმეისტერად გადაიყვანეს. ალხენი არაფრით არ წააგავდა თავის უზრდელ წინამორბედს. სამუშაო დღის შემჭიდროების მიზნით მან გამგეობაც იტვირთა და პენსიონერ დედაბრებს ნატიფი ზრდილობით ეპყრობოდა. სახლში მან მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა და მრავალი ახალი წესი შემოიღო.

ოსტაპ ბენდერმა ვორობიანინოვის სახლში მძიმე მუხის კარი გამოაღო და თავი ვესტიბიულში ამოყო. იქ დამწვარი ფაფის სუნი იდგა. ზედა სართულიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა, რაც შეტევაზე გადასულ ჯარისკაცთა მწკრივების „ვაშას“ მოგაგონებდათ. მაგრამ არავინ ჩანდა. ოსტაპს არავინ შეეგება. ზედა სართულისკენ მუხის კიბე მიემართებოდა, რომლის საფეხურებიც ოდესღაც ლაქით უნდა ყოფილიყო დაფარული. ახლა ამ საფეხურებს მხოლოდ რგოლებიღა შერჩენოდა, ხოლო სპილენძის შოლტები, ოდესღაც ნოხებს რომ საფეხურებზე ამაგრებდნენ, აღარსად იყო.

„კომანჩების წინამძღოლს ფუფუნებაში უცხოვრია“, - გაიფიქრა ოსტაპმა, როცა კიბეზე ადიოდა.

ნათელ და ფართო ოთახში წრიულად თხუთმეტიოდე დედაბერი იჯდა. მათ უიაფესი ქსოვილის ტუალდენორის თაგვისფერი კაბები ეცვათ, კისრები გაეშვირათ, წრის შუაგულში მდგარ მამაკაცს მისჩერებოდნენ და მღეროდნენ: ეჟვნების ჟღარუნი მოისმის შორიდან,

ლამის ეს ცხენები აიჭრან ზეცაში...

თვალუწვდენ სივრცეში ციმციმებს თოვლი და

მიდამოს ახურავს ქათქათა ზეწარი!..

გუნდის ხელმძღვანელი, რომელსაც ტუალდენორისვე ტოლსტოვკა და ასეთივე შარვალი ეცვა, ორივე ხელით ტაქტს ანიშნებდა და გაიძახოდა: - დისკანტებო, ჩუმად! კუკუშკინა, დაუკელი.

მან ოსტაპს თვალი შეასწრო, მაგრამ ხელების გაჩერება ვეღარ მოახერხა, შემოსულს უკმაყოფილოდ შეხედა და დირიჟორობა განაგრძო. გუნდმა მეტი მონდომებით შემოსძახა: ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა,

ტო-რო-რომ, ტუ-რო-რამ, ტუ-რე-რუმ, ტუ-რუ-რუმ...

ოსტაპმა პირველივე პაუზით ისარგებლა და წაილაპარაკა: - მითხარით, მომმარაგებლის ნახვა სად შეიძლება.

- რაშია საქმე, ამხანაგო?

ოსტაპმა დირიჟორს ხელი გაუწოდა და მეგობრულად ჰკითხა: - ხალხური სიმღერებით ტკბებით? ძალიან საინტერესოა. მე სახანძრო დაცვის ინსპექტორი ვარ.

მომმარაგებელს შერცხვა.

- დიახ, დიახ, - გაუბედავად წარმოთქვა მან, - სწორედ დროზე მოხვედით. მე მოხსენების დაწერას ვაპირებდი.

- ნუ შეწუხდებით, - სულგრძელად უთხრა ოსტაპმა, - მოხსენებას მე თვითონ დავწერ. ახლა კი შენობა დავათვალიეროთ.

ალხენმა გუნდს ხელით ანიშნა, დაიშალეთო. ბებრუხანები მხიარული, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გაიქცნენ.

- გამომყევით, გეთაყვა, - მიიპატიჟა მომმარაგებელმა.

სანამ მომმარაგებელს გაჰყვებოდა, ოსტაპმა პირველი ოთახის ავეჯი შეათვალიერა. ოთახში მაგიდა, ორი რკინისფეხებიანი ბაღის სკამი (ერთი მათგანის ზურგზე დანით ამოეჭრათ „კოლია“) და მოწითალო ფისგარმონია იდგა.

- ამ ოთახში პრიმუსებს ხომ არ ანთებენ? ან დროებითი ღუმელები და ამგვარები ხომ არაფერი გაქვთ?

- არა, არა. აქ წრეები მეცადინეობენ: სიმღერის, დრამატული, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკალური...

როცა სიტყვა „მუსიკალური“ წარმოთქვა, ალექსანდრე იაკოვლევიჩს სიწითლე მოეკიდა. ჯერ ნიკაპი გაუწითლდა, შემდეგ შუბლი და ბოლოს - ლოყები. ალხენს ძალიან რცხვენოდა. მან უკვე დიდი ხანია, სასულე კაპელის ყველა ინსტრუმენტი გაყიდა - ბებრუხანებს სუსტი ფილტვები აქვთ და ინსტრუმენტებს ლეკვებივით აწკმუტუნებენო. ესეც არ იყოს, სასაცილო იყო ლითონის ამოდენა გროვის ასეთ მდგომარეობაში დატოვება. ალხენს არ შეეძლო, კაპელა არ მოეპარა და ახლა ძალიან შერცხვენილი იყო.

კედელზე, ფანჯრიდან ფანჯრამდე, თაგვისფერი ტუალდენორის ქსოვილზე თეთრი ასოებით დაწერილი ლოზუნგი ეკიდა: „სასულე ორკესტრი არის გზა კოლექტიური შემოქმედებისკენ“.

- ძალიან კარგია, - თქვა ოსტაპმა, - საწრეო მეცადინეობის ოთახი ხანძრის თვალსაზრისით არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. ახლა გავყვეთ.

ვორობიანინოვის სახლის წინა ოთახები სწრაფი ჩორთით გაიარეს. ღია ფერის ყვავილებიანი ინგლისური ჩითით გადაკრული, ფეხებგადაგრეხილი კაკლის ხის სკამი ოსტაპმა ვერსად დაინახა. მარმარილოს კედლებზე ბრძანებები იყო გაკრული. ოსტაპი მათ ეცნობოდა და დროდადრო ენერგიულად კითხულოდა: - საკვამურებს რეგულარულად წმენდათ? ღუმელები წესრიგშია?

ალხენი ამომწურავ პასუხს იძლეოდა და ოსტაპიც გზას განაგრძობდა.

სახანძრო დაცვის ინსპექტორი გულმოდგინედ ცდილობდა, ამოდენა სახლში ერთი კუნჭული მაინც ეპოვა, რომელიც საშიში იქნებოდა ხანძრის მხრივ, მაგრამ ამაოდ. ამ თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იყო. სამაგიეროდ, სკამი არსად ჩანდა. ოსტაპი საძინებელ ოთახებში შედიოდა. მის გამოჩენაზე ბებრუხუნები დგებოდნენ და მდაბლად უკრავდნენ თავს. ოთახებში საწოლები იდგა. ისინი ძაღლის ტყავივით ბანჯგვლიანი საბნებით დაეფარათ. საბნების ბოლოებში საფაბრიკო წესით სიტყვა

„ფეხები“ იყო ამოქარგული. საწოლების ქვეშ სკივრები იდგა, რომელიც, სამხედრო წესრიგის მოყვარული ალხენის ბრძანებისამებრ, დედაბრებს ზუსტად ერთ მესამედზე გამოეწიათ.

საერთოდ, № სახლში ყველაფერი მეტისმეტად უბრალო იყო: ავეჯიც - უბრალო ბაღის სკამები, ყოფილი ალექსანდრეს, ახლა კი პროლეტარულ შაბათობათა სახელობის ბულვარიდან რომ მოეტანათ; ბაზარში ნაყიდი ნავთის ლამპებიც; საბნებიც, რომლებზეც ის საშიში სიტყვა - „ფეხები“ იყო ამოქარგული. და მხოლოდ ერთი რამ იყო ამ სახლში მაგარი და მდიდრული: კარების ზამბარები.

ალექსანდრე იაკოვლევიჩი მეტად გატაცებული იყო კარების მოწყობილობით. მან უამრავი შრომა დახარჯა და უკლებლივ ყველა კარი ათასგვარი სისტემის ზამბარებით მოამარაგა. აქ ნახავდით უბრალო ზამბარებს, რკინის ნაჭრებს რომ წააგავდნენ. შეხვდებოდით სასულე ზამბარებს სპილენძის ცილინდრისებური საბერველებით. იყო იმდენად რთული კონსტრუქციების ზამბარებიც, რომ სოცუზრუნველყოფის ზეინკალმა ვერაფერი გაუგო და თავს გაკვირვებით აქნევდა. ამ ცილინდრებს, ზამბარებს და საპირწონეებს დიდი ძალა ჰქონდა. კარები ისეთივე სისწრაფით იხურებოდა, როგორც თაგვის ხაფანგი. მექანიზმების მუშაობა მთელ სახლს აზანზარებდა. კარი რომ მოსხლტებოდა, დედაბრები ნაღვლიანი წივილით გარბოდნენ, მაგრამ თავის გადარჩენას ყველა როდი ახერხებდა. ზოგი ბეჩავი გაქცევას ვერ ასწრებდა და კარი ზურგზე ეხეთქებოდა, ხოლო ზევიდან ამ მომენტში უკვე სტვენით მიქროდა საპირწონე და ყუმბარასავით ჩაიქროლებდა საფეთქელთან.

სანამ ბენდერი და მომმარაგებელი სახლში დადიოდნენ, კარები მათ მქუხარე სალუტებით ეგებებოდნენ.

სკამი კი არსად იყო. სახანძრო საფრთხის ძიებამ ინსპექტორი სამზარეულოში მიიყვანა. აქ თეთრეულის დიდ ქვაბში ფაფა იხარშებოდა. ფაფის სუნი დიდმა კომბინატორმა ჯერ კიდევ ვესტიბიულში იგრძნო. ახლა მან ცხვირის ნესტოები გამობერა და იკითხა: - რა, სამანქანო ზეთით აკეთებთ?

- ღმერთმანი, კარაქით, - თქვა ალხენმა და ისე გაწითლდა, რომ ცრემლებიც კი მოერია,- კარაქს ფერმაში ვყიდულობთ.

იგი ძალიან დარცხვენილი იყო.

- თუმცა ხანძრის თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა არა აქვს, - თქვა ოსტაპმა.

სკამი არც სამზარეულოში იყო. იქ მარტო ერთი ტაბურეტი იდგა, რომელზეც ტუალდენორის წინსაფარსა და ჩაჩში გამოწყობილი მზარეული იჯდა.

- რატომაა, რომ ყველას ნაცრისფერი აცვია? ან ის ფარდა რას ჰგავს. ფანჯრის საწმენდად თუ გამოდგება...

მორცხვმა ალხენმა თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა.

- კრედიტებს არასაკმაო რაოდენობით გვაძლევენ.

ამ წუთში მას საკუთარი თავი სძულდა.

ოსტაპმა ეჭვით შეხედა მას და უთხრა: - მე ამ წუთში აქ სახანძრო დაცვას წარმოვადგენ. მას კი ეგ არ ეხება.

ალხენს შეეშინდა.

- ხანძრის წინააღმდეგ ჩვენ ყველა ზომა მივიღეთ, - განაცხადა მან, - ჩვენ ქაფის მაშხეფებელი ცეცხლმქრობი „ეკლერიც“ გვაქვს.

ინსპექტორი უგულოდ გაემართა „ეკლერის“ სანახავად. გზადაგზა სათავსოებში იჭვრიტებოდა: წითელი თუნუქის კონუსი ერთადერთი საგანი იყო ამ სახლში, რომელსაც რაღაც დამოკიდებულება ჰქონდა სახანძრო საქმესთან, მაგრამ მან ინსპექტორის უკმყოფილება გამოიწვია.

- ბაზარზე იყიდეთ?

ოსტაპმა აღარ აცადა, სანამ მეხდაცემული ალექსანდრე იაკოვლევიჩი პასუხს მოისაზრებდა, და ჟანგიანი ლურსმნიდან „ეკლერი“ ჩამოგლიჯა. კაპსულა გაუფრთხილებლად გატეხა და კონუსი სწრაფად აიშვირა ზევით, მაგრამ ქაფის ნაცვლად კონუსიდან სუსტი შიშინი ამოვარდა, რომელიც ძველებურ მელოდიას მოგაგონებდათ.

- რა თქმა უნდა, ბაზარზე გიყიდიათ, - ოსტაპმა თავისი ნათქვამი დაადასტურა და კონუსი, რომელიც ისევ მღეროდა, თავის ადგილზე ჩამოკიდა.

გზა განაგრძეს. შიშინი მიაცილებდათ.

„სად უნდა იყოს? - ფიქრობდა ოსტაპი, - ეს მე აღარ მომწონს“.

გადაწყვიტა, ამ ტუალდენორის სამეფოდან მანამდე არ გავალ, სანამ ყველაფერს არ გავიგებო.

იმ დროს, როცა ინსპექტორი და მომმარაგებელი სხვენზე დაძვრებოდნენ და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ყოველ წვრილმანს აკვირდებოდნენ, სტარსოცუზრუნველყოფის მე-2 სახლი თავისი ყოველდღიური ცხოვრების გზას მიჰყვებოდა.

სადილი მზად იყო. მიმწვარი ფაფის სუნი ფრიად გაძლიერდა და სახლში დაბუდებული ყველა სხვა სუნი დაფარა. დერეფნებში შრიალი გაისმა. დედაბრებს გაწვდილ ხელებში ფაფიანი თუნუქის ჯამები ეჭირათ, სამზარეულოდან გამოდიოდნენ და საერთო მაგიდასთან დაჯდომისას ცდილობდნენ, თვალი აერიდებინათ სასადილოში გაკრული ლოზუნგებისთვის, პირადად ალექსანდრე იაკოვლევიჩმა რომ შეთხზა, ხოლო მხატვრულად ალექსანდრა იაკოვლევამ გააფორმა. ლოზუნგები ასეთი შინაარსისა იყო: „საკვები - ჯანმრთელობის წყაროა“.

„ერთი კვერცხი იმდენივე ცხიმს შეიცავს,

რამდენსაც 1/2 გირვანქა ხორცი“.

„გულდასმით დაღეჭე საჭმელი, ამით შენ საზოგადოებას ეხმარები“

და „ხორცი მავნებელია“.

ეს წმინდა სიტყვები ბებრუხანებში მოგონებებს აღვიძებდა. მათ აგონდებოდათ კბილები, ჯერ კიდევ რევოლუციამდე რომ დაკარგეს, კვერცხი, დაახლოებით იმავე ხანებში რომ გაქრა, ხორცი, კვერცხზე ნაკლები ცხიმოვნება რომ ჰქონდა, და იქნებ, საზოგადოებაც, რომელსაც ისინი ვეღარ ეხმარებოდნენ, რაკი საჭმლის გულმოდგინედ დაღეჭვა არ შეეძლოთ.

დედაბრებს გარდა, მაგიდას ისიდორ იაკოვლევიჩი, აფანას იაკოვლევიჩი, კირილ იაკოვლევიჩი, ოლეგ იაკოვლევიჩი და პაშა ემილიევიჩი უსხდნენ. ეს ახალგაზრდები არც ასაკით და არც სქესით არანაირ ჰარმონიას არ ქმნიდნენ სოციალური უზრუნველყოფის ამოცანებთან. სამაგიეროდ, ოთხივე იაკოვლევიჩი ალხენის უმცროსი ძმები იყო, ხოლო პაშა ემილიევიჩი ალექსანდრა იაკოვლევას ძმისწულად ერგებოდა. ყმაწვილი კაცები, რომელთა შორის ყველაზე უფროსს, პაშა ემილიევიჩს, ის იყო, 32 წელი შეუსრულდა, სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ მათი ცხოვრება სოცუზრუნველყოფის სახლში არანორმალური მოვლენა იყო, სახლში ისინი ბებრუხანების უფლებებით სარგებლობდნენ, იძინებდნენ იმავე საბნებში, ერთ მხარეს „ფეხები“ რომ ეწერა, და თაგვისფერი ტუალდენორის ტანსაცმელი ეცვათ. ოღონდ ეს იყო, საკუთარი ახალგაზრდობისა და ძალის მეოხებით ისინი დედაბრებზე უკეთ იკვებებოდნენ. რის მოპარვასაც ალხენი ვერ ასწრებდა, ისინი იპარავდნენ. პაშა ემილიევიჩს ერთ იჯრაზე ორი კილო ხამსილას შეჭმა შეეძლო. ერთხელ კი სულ შეჭამა და მთელი სახლი უსადილოდ დატოვა.

დედაბრებმა ის იყო, ფაფას გემო გაუსინჯეს, ამასობაში იაკოვლევიჩებმა და ემილიევიჩმა თავიანთი ულუფები გადასანსლეს, ბოყინით წამოდგნენ და სასუსნავის საძებნელად საზმარეულოსკენ გაეშურნენ.

სადილი გრძელდებოდა. დედაბრები ახმაურდნენ: - ახლა გამოსკდებიან და ამღერდებიან.

- პაშა ემილიევიჩმა დღეს წითელი კუთხის სკამი გაყიდა. გადამყიდველს უკანა კარიდან გაუტანა.

- აი, ნახავთ, თუ მთვრალი არ მოვიდა.

ამ მომენტში აღსაზრდელებს ლაპარაკი ცხვირის მოხოცვის ხმამ შეაწყვეტინა, უეცრად საყვირივით რომ გაისმა და ცეცხლმქრობის შიშინიც კი დაფარა, მერე ძროხის ბღავილი მოვარდა: - ... გონებლობა...

დედაბრები წელში მოიხარნენ. კუთხეში გარეცხილ პარკეტზე მდგარ რეპროდუქტორს მზერა აარიდეს და ჭამა განაგრძეს. იმედოვნებდნენ, გაჩუმდებაო, მაგრამ რეპროდუქტორი მხნედ განაგრძობდა: - ევოკრრრახხხ ვიდუსო... ნიშნავი გამოგონება... მურმანსკის რკინიგზის საგზაო ოსტატმა ამხანაგმა სოკუცკიმ, - სამარა, რიოლი, კლეოპატრა, უსტინია, ცარიცინი, კლემენტი, იფიგენია, - სო-კუცკი...

რეპროდუქტორმა ხრიალით ჰაერი შეისუნთქა და სურდოიანი ხმით განაგრძო: - თოვლის ამწმენდებისთვის შუქსიგნალიზაცია გამოიგონა. გამოგონება დაატმკიცა „დორიზულმა“, - დარია, ონეგა, რაიმონდა...

დედაბრები ნაცრისფერი ჩიტებივით შეფრთხიალდნენ თავიანთ ოთახებში. საკუთარი სიმძლავრით აცახცახცებული რეპროდუქტორი კი ცარიელ ოთახში ბობოქრობდა.

- ახლა მოისმინეთ ნოვგოროდული კუპლეტები...

სადღაც შორს, ძალიან შორს, დედამიწის შუაგულში, ვიღაცა ბალალაიკის სიმებს შეეხო, და შავმიწანიადაგიანი ზონის ბატისტინიმ სიმღერა წამოიწყო: კედელზე იჯდა ბაღლინჯო

და მზეზე თვალებს ჭუტავდა.

ფინინსპექტორი შენიშნა -

წამსვე მიიღო უფალმა.

ამ სტროფებმა დედამიწის შუაგულში აბობოქრება გამოიწვია. რეპროდუქტორს საშინელი გრგვინვა აღმოხდა. ეს, ალბათ, მქუხარე აპლოდისმენტები იყო, ან კიდევ მიწისქვეშა ვულკანები ამოქმედდა.

სახანძრო დაცვის ინსპექტორი კი უკვე ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. იგი სხვენის კიბეზე ჩამოფორთხდა, თავი ისევ სამზარეულოში ამოყო და ხუთი მოქალაქე დაინახა, კასრიდან მჟავე კომბოსტოს რომ ითრევდნენ და სანსლავდნენ. პაშა ემილიევიჩის გარდა, ხმას არც ერთი არ იღებდა. ეს კი გურმანულად აქნევდა თავს, ულვაშებიდან კომბოსტოს ნარჩენებს იშორებდა და ხვნეშოდა: - უარყოდ ამ კომბოსტოს ჭამა, ცოდვაა.

- ეს დედაბრების ახალი პარტიაა? - იკითხა ოსტაპმა.

- ესენი ობლები არიან, - მიუგო ალხენმა, ინსპექტორს მხრით მიაწვა და სამზარეულოდან გააგდო, ობლებს კი ნამალევად მუშტით დაემუქრა.

- ვოლგისპირეთის შვილები არიან?

ალხენი დაიბნა.

- მეფის რეჟიმის მძიმე მემკვიდრეობაა?

ალხენმა ხელები გაშალა, რა ვქნა, ასეთი მემკვიდრეობა მერგოო.

- აქ ორივე სქესის ერთობლივი აღზრდა წარმოებს კომპლექსური მეთოდით?

მორცხვმა ალექსანდრე იაკოვლევიჩმა აღარ გააჭიანურა და სახანძრო ინსპექტორს შესთავაზა, ვიგემოთ, რაც ღმერთმა მოგვცაო.

იმ დღეს ღმერთს ალექსანდრე იაკოვლევიჩისთვის სადილად ბოთდი ზუბროვკა, შინაური სოკო, ქაშაყის ფორშმაკი, პირველი ხარისხის ხორციანი უკრაინული ბორშჩი, ბრინჯიანი ქათამი და ვაშლის ჩირის კომპოტი მიეცა.

- საშხენ, - მიმართა ალექსანდრე იაკოვლევიჩმა, - გაიცანი, - ეს ამხანაგი გუბხანძრიდანაა.

ოსტაპმა დიასახლისს არტისტულად დაუკრა თავი და იმდენად გრძელი და ორაზროვანი კომპლიმენტი წამოიწყო, რომ ბოლომდე ვეღარც გავიდა. საშხენი მაღალი ტანის ქალი იყო. ლამაზიც იქნებოდა, მაგრამ სახეს ნიკოლოზისებური ნახევრად შეკრეჭილი ქილვაშები უმახინჯებდა. მან წყნარად გაიცინა და მამაკაცებთან ერთად დალია.

- ვსვამ კომუნალური მეურნეობის სადღეგრძელოს! - შესძახა ოსტაპმა.

სადილმა მხიარულად ჩაიარა. ოსტაპმა თავისი მოსვლის მიზანი მხოლოდ მაშინ გაიხსენა, როცა კომპოტს შეუდგნენ.

- რატომა გაქვთ ასეთი ღარიბული ინვენტარი? - იკითხა მან.

- ღარიბული? - ალხენი აღელდა, - მაშ - ფისგარმონია?

- ვიცი, ვიცი, ვოკს ჰუმანუმ! მაგრამ ერთი ლაზათიანი დასაჯდომი არაფერი გაქვთ. სულ ბაღის სკამებია.

- წითელ კუთხეში კარგი სკამი გვაქვს, - წყენით წაილაპარაკა ალხენმა, - ინგლისურია. ამბობენ, ძველი ავეჯიდან შემორჩაო.

- მართლა, ხსენებაზე, მე რომ თქვენი წითელი კუთხე არ მინახავს? როგორია ხანძრის თვალსაზრისით? ხომ არ დაგვაღალატებს? მოდი, ვნახოთ.

- კეთილი, ინებეთ.

ოსტაპმა დიასახლისს სადილისთვის მადლობა გადაუხადა და წამოდგა.

წითელ კუთხეში პრიმუსებს არ ანთებდნენ, არც დროებითი ღუმელები იდგა, საკვამურები წესრიგში იყო და რეგულარულად იწმინდებოდა, მაგრამ სკამი, ალხენის გასაოცრად, აღარსად იყო. სკამის ძებნაში ყველაზე მეტი გულმოდგინება პაშა ემილევიჩმა გამოიჩინა. მალე ყველამ ხელი ჩაიქნია, პაშა ემილიევიჩი კი ოთახებში დააბოტებდა, გრაფინებს ქვეშ იყურებოდა, ჩაის ჭიქებს აქეთ-იქით აწყობდა და ბურტყუნებდა: - სად ეშმაკშია? დღეს იყო, ჩემი თვალით დავინახე. მოდი და ნუ გაგეცინება.

- სამწუხაროა, ქალწულნო, - გაყინული ხმით წარმოთქვა ოსტაპმა.

- პირდაპირ სასაცილოა, - უტიფრად იმეორებდა პაშა ემილიევიჩი.

ამ დროს ცეცხლმქრობმა, დილასაქეთ რომ შეუჩერებლად მღეროდა, უმაღლესი ფა აიღო (ამ ნოტის აღება მხოლდ რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნეჟდანოვას შეეძლო). ერთი წამით ჩაჩუმდა და ყვირილით ქაფის პირველი ნაკადი გამოუშვა. ქაფი ჭერს შეეფრქვა და მზარეულს თავიდან ტუალდენორის ჩაჩი მოაძრო. ამის შემდეგ ცეცხლმქრობმა ქაფის მეორე ნაკადი გამოუშვა, ამჯერად ტუალდენორის ფერისა, და არასრულწლოვანი ისიდორ იაკოვლევიჩი წააქცია. და „ეკლერი“ ამუშავდა.

- კარგი ნამუშევარია, - თქვა ოსტაპმა, - ეს „ეკლერი“ სწორედ იდიოტის გამოგონილია.

ბებრუხანებმა ოსტაპი მარტო მოიხელთეს და იმ წამსვე თავიანთი პრეტენზიები განუცხადეს.

- სახლი ძმებით გაავსო. ჭამით სკდებიან.

- ბიჭებს რძეს ასმევს, ჩვენ კი ფაფით სული ამოგვაძრო.

- მთელი სახლი დააცარიელა.

- მშვიდად, ქალიშვილებო, - ოსტაპმა ნაბიჯი უკან გადადგა, - ჩემთვის სენატს ეგ საკითხები არ დაუვალებია. მაგაზე შრომის ინსპექციიდან მოგაკითხავენ.

ბებრუხანებს არაფრის გაგონება არ სურდათ.

- პაშკა მელენტიევიჩმა დღეს სკამი გაიტანა და გაყიდა. ჩემი თვალით ვნახე.

- ვის მიჰყიდა? - შეჰყვირა ოსტაპმა.

- მე არ ვიცი. ჩემი საბნის გაყიდვაც უნდოდა.

დერეფანში ცეცხლმქრობს გააფთრებით ეომებოდნენ. ბოლოს ადამიანის გენიამ გაიმარჯვა. პაშა ემილიევიჩის რკინის ფეხებით გათელილმა „ეკლერმა“ ქაფის უკანასკნელი დუნე ნაკადი გამოუშვა და სამუდამოდ დადუმდა.

ბებრუხანები იატაკის გასარეცხად გაგზავნეს. სახანძრო დაცვის ინსპექტორმა თავი დაღუნა და თეძოების რხევით პაშა ემილიევიჩს მიუახლოვდა.

- სახელმწიფოს კუთვნილ ავეჯს, - ხაზგასმით წარმოთქვა ოსტაპმა, - ერთი ჩემი ნაცნობიც ყიდდა. ახლა ბერადაა შემდგარი - ციხეში ზის.

- მე მაკვირვებს თქვენი უსაფუძვლო ბრალდება, - შენიშნა პაშა ემილიევიჩმა. მას ქაფის ძლიერი სუნი ასდიოდა.

- სკამი ვის მიჰყიდე? - ჩურჩულით ჰკითხა ოსტაპმა.

პაშა ემილიევიჩს ზებუნებრივი წინათგრძნობა ჰქონდა. მიხვდა, ახლა გამლახავენ და, იქნებ ფეხებითაც შემდგენო.

- გადამყიდველს, - უპასუხა მან.

- მისამართი?

- ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე.

- პირველად?

- პირველად, ღმერთმანი.

- ოჰ, რა საჟეჟი ხარ! - ოცნებით წარმოთქვა ოსტაპმა, - მაგრამ ზარატუსტრა უფლებას არ მაძლევს. დამეკარგე აქედან.

პაშა ემილიევიჩმა მათხოვრულად გაუღიმა და ნაბიჯი უკან გადადგა.

- ეი, შენ, აბორტის მსხვერპლო, - ქედმაღლურად უთხრა ოსტაპმა, - ყველაფერი ამოყაჭე! ნუ იპარები. ის გადამყიდველი ქერაა თუ შავგვრემანი?

პაშა ემილიევიჩმა დაწვრილებით აუხსნა. ოსტაპმა ყურადღებით მოუსმინა და ინტერვიუ შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: - არ დაგავიწყდეს, რომ სახანძრო დაცვას ეს საქმე არ ეხება.

დერეფანში მიმავალ ბენდერს მორცხვი ალხენი დაეწია და თუმნიანი გაუწოდა.

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თანამდებობის პირისთვის ქრთამის მიცემა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის ას მეთოთხმეტე მუხლით, - უთხრა ალხენს ბენდერმა, მაგრამ ფული მაინც გამოართვა და გამოუმშვიდობებლად გაშორდა. გასასვლელ კარში ზამბარა ამოქმედდა და ოსტაპმა უკან ტონანახევრიანი სიმძიმის დარტყმა იგრძნო.

- დარტყმა ჩატარებულ იქნა, - წაილაპარაკა ოსტაპმა და სხეულის დაშავებულ ადგილზე ხელი მოისვა, - სხდომა გრძელდება.

9. სად არის თქვენი კულულები?

როცა ოსტაპი სტარსოცუზრუნველყოფის მე-2 სახლს ათვალიერებდა, იპოლიტ მატვეევიჩი სარდაფიდან გამოვიდა. გაპარსულ, შეცივნულ თავზე ხელი გადაისვა და მშობლიური ქალაქის ქუჩებს გაჰყვა.

ქვაფენილზე გაზაფხულის ანკარა ნაკადული მორბოდა. სახურავებიდან ბრილიანტის წვეთები ცვიოდა და ქუჩას განუწყვეტელი ხმაურით ავსებდა. ბეღურებს ჩონჩორიკზე ნადირობა გაემართათ. ოქროსფერი ბიტიუგები განგებ მძლავრად სცემდნენ ფლოქვებს ქვაფენილზე და, ყურებდახრილნი, საკუთარ ხმებს სიამოვნებით ისმენდნენ. ნესტიან ტელეგრაფის ბოძებზე სველი განცხადებები იყო გაკრული და გადღაბნილი ასოებით ეწერა: ,,ვასწავლი გიტარის დაკვრას ციფრების სისტემით“ და ,,სახალხო კონსერვატორიაში შესვლის მსურველებს ვამეცადინებ საზოგადოებათმცოდნეობაში“. საზამთრო ჩაფხუტიან წითელარმიელთა ოცეული ტბორზე გადადიოდა, ,,სტარგიკოს“ მაღაზიასთან რომ იწყებოდა და გუბგეგმის შენობამდე აღწევდა. გუბგეგმის ფრონტონი თაბაშირის ვეფხვებითა და კობრებით იყო დამშვენებული.

იპოლიტ მატვეევიჩი მიაბიჯებდა და შემხვდურებს ინტერესით აკვირდებოდა. მან მთელი სიცოცხლე რუსეთში გაატარა, რევოლუციასაც მოესწრო და დაინახა, როგორ დაიმსხვრა და შეიცვალა ცხოვრება. იგი ამას მიჩვეული იყო, მაგრამ, თურმე, მიჩვეული იყო მხოლოდ დედამიწის ერთ წერტილში - სამაზრო ქალაქ №-ში. ახლა მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა და დაინახა, რომ ამ ქვეყნის არაფერი გაეგებოდა. თავს უხერხულად და უცნაურად გრძნობდა, თითქოს მართლაც პარიზიდან ჩამოსული ემიგრანტი იყო. უწინ ქალაქში ეკიპაჟით რომ გაივლიდა, უამრავ ნაცნობს, ან ნაცნობ სახეებს ხედავდა. ახლა ლენის ამბების ქუჩით მან უკვე ოთხი კვარტალი გაიარა და ერთი ნაცნობიც არ შეხვედრია. ნაცნობები გაქრნენ, ან, ალბათ, ისე დაბერდნენ, რომ ვორობიანინოვი მათ ვეღარ ცნობდა. ან, იქნებ, იმიტომაც ვეღარ ცნობდა, რომ ისინი

შეიცვალნენ, სხვა ტანისამოსი ეცვათ და სხვაგვარ ქუდებს ატარებდნენ. ასე იყო თუ ისე, არც ერთი ნაცნობისთვის თვალი არ მოუკრავს.

იპოლიტ მატვეევიჩი ფერდაკარგული, გულგაყინული და დაბნეული მიაბიჯებდა ქუჩაში. მას სულ გადაავიწყდა, რომ საბინაო განყოფილება უნდა ეპოვა. ტროტუარიდან ტროტუარზე გადადიოდა. შედიოდა მოსახვევებში, სადაც მთლად გათამამებული ბიტუგები უფრო მძლავრად სცემდნენ ფლოქვებს ქვაფენილზე. მოსახვევებში ჯერ კიდევ ზამთარი იდგა და აქა-იქ დამპალი ყინულიც მოჩანდა. ქალაქს ფერიც კი ეცვალა. ლურჯი სახლები გამწვანებულიყვნენ, ყვითლებს ნაცრისფერი დასდებოდათ. სათვალთვალოებიდან ყუმბარები გამქრალიყვნენ, იქ მეხანძრე აღარ დააბიჯებდა, ქუჩები კი უფრო ხმაურიანი იყო, ვიდრე იპოლიტ მატვეევიჩს ახსოვდა.

პუშკინის ქუჩაზე იპოლიტ მატვეევიჩი რელსებმა და ტრამვაის მავთულიანმა ბოძებმა გააოცა. ასეთი რამ მას სტარგოროდში არასოდეს უნახავს. იპოლიტ მატვეევიჩი გაზეთებს არ კითხულობდა და არ იცოდა, რომ საპირველმაისოდ, სტარგოროდში ტრამვაის ორი ხაზი უნდა გახსნილიყო: ვოგზლისა და პრივოზნაიასი. იპოლიტ მატვეევიჩს ხანდახან ეჩვენებოდა, სტარგოროდიდან არასოდეს გავსულვარო, ხან კი სტარგოროდი სრულიად უცნობ ქალაქად ესახებოდა.

ასეთ ფიქრებში გართულმა მარქსისა და ენგელსის ქუჩამდე მიაღწია. იქ რაღაც ბავშვური გრძნობა გაუჩნდა - აი, ამ ორსართულიანი, გრძელაივნიანი სახლიდან ახლა უსათუოდ ვინმე ჩემი ნაცნობი გამოვაო. იპოლიტ მატვეევიჩი კიდეც შეჩერდა და ლოდინი დაიწყო, მაგრამ ნაცნობი არ ჩანდა. ჯერ მეშუშე გამოჩნდა, რომელსაც მინით სავსე ყუთი და სპილენძისფერი საგოზავის მორგვი მოჰქონდა. მას ვიღაც ყვითელი ზამშესქუდიანი ფრანტი მოჰყვა. მერე პირველკლასელები გამოცვივდნენ, რომელთაც წიგნები ეჭირათ.

უცებ იპოლიტ მატვეევიჩს ხელისგულები გაუხურდა, მუცელში კი სიცივე იგრძნო. პირდაპირ მისკენ ვიღაც ნაცნობი, კეთილი გამომეტყველების მოქალაქე მოდიოდა და ხელში სკამი ეჭირა, ისე, როგორც ვიოლონჩელი უკავიათ ხოლმე. იპოლიტ მატვეევიჩს სლოკინი აუტყდა, დააკვირდა და მაშინვე თავისი სკამი იცნო.

დიახ, ეს ჰაბსისეული სკამი იყო. იგი რევოლუციის ქარიშხალში ჩამუქებული, ინგლისური ყვავილებიანი ჩითით იყო გადაკრული. დიახ, ეს კაკლის ხის, ფეხებდაგრეხილი სკამი იყო. იპოლიტ მატვეევიჩს მოეჩვენა, ყურთან ზარბაზანი დამიცალესო.

- ვლესავ დანებს, მაკრატლებს, სამართებლებს, - გაისმა შორიახლო ბარიტონალური ბანი.

ამ ხმას საიდანღაც ექოსავით გამოეხმაურა: - ვადუღებ... ვარემონტებ..

- მოსკოვური გაზეთი „იზვესტიე“, ჟურნალი „სმეხაჩი“, „კრასნაია ნივა“.

სადღაც ზევით მინა გატეხეს. გაიარა ცარცმშენის საბარგო მანქანამ და ხმაურით მთელი ქალაქი გააყრუა. მილიციელი უსტვენდა. ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. დროს დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

იპოლიტ მატვეევიჩმა ლეოპარდივით ისკუპა, საზიზღარ უცნობს მიეჭრა და სკამი თავისკენ მოქაჩა. უცნობმა სკამი არ დაანება. მაშინ იპოლიტ მატვეევიჩმა მარცხენა ხელი სკამის ფეხს ჩაავლო და უცნობის სქელი თითების მოცილება სცადა.

- მძარცვავენ, - ჩურჩულით წარმოთქვა უცნობმა და სკამს უფრო მაგრად ჩააფრინდა.

- უკაცრავად, უკაცრავად, - ლუღლუღებდა იპოლიტ მატვეევიჩი და თან უცნობის თითებს ებღაუჭებოდა.

გარშემო ბრბო მოგროვდა, სამიოდე კაცი სულ ახლოს იდგა და კონფლიქტის განვითარებას გაფაციცებით უთვალთვალებდა.

მაშინ ორივემ შიშით მიმოიხედა. ერთმანეთისთვის არ შეუხედავთ, მაგრამ არც სკამისთვის გაუშვიათ ხელები და, დაწყვილებულები, სწრაფად წინ წავიდნენ, თითქოს მათ შორის არაფერიც არ მომხდარიყოს.

,,ეს რა ხდება?“ - სასოწარკვეთილი ფიქრობდა იპოლიტ მატვეევიჩი.

უცნობი რაღას ფიქრობდა, ამის გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ მტკიცედ კი მიაბიჯებდა.

ორივემ ნაბიჯს უმატა. მოსახვევს იქით მინდორი დაინახეს, რომელიც ხვინჭითა და სამშენებლო მასალით იყო მოფენილი. თითქოს ვინმემ უბრძანაო, ორივემ იქით შეუხვია. იქ იპოლიტ მატვეევიჩს ძალა მოემატა.

- ნება მომეცით! - უკვე მოურიდებლად დაიყვირა მან.

პასუხად უცნობმა ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა: - მი-შვე-ლეთ!

რაკი ხელებით ორივენის კამს იყვნენ ჩაფრენილი, ერთმანეთს წიხლები დაუშინეს. უცნობის ჩექმები ნალებით იყო მოჭედილი და იპოლიტ მატვეევიჩი ცუდ დღეში ჩავარდა. მაგრამ მალე მოისაზრა, ხან მარჯვნივ ხტოდა, ხან მარცხნივ, თითქოს კრაკოვიაკს ცეკვავსო, და თან ცდილობდა, უცნობისთვის ფეხი მუცელში ჩაერტყა. მუცელში ვერ მოახვედრა, იმიტომ რომ სკამი უშლიდა. სამაგიეროდ მუხლში ჩასცხო. ამის შემდეგ მოწინააღმდეგეს მხოლოდ მარცხენა ფეხის ხმარებაღა შეეძლო.

- ოჰ, ღმერთო! - წაიჩურჩულა უცნობმა.

და აქ იპოლიტ მატვეევიჩმა დაინახა, რომ უცნობი, მისი სკამის ასე ვერაგულად გამტაცებელი... ფლორისა და ლავრის ეკლესიის მღვდელი მამაო თევდორე ვოსტრიკოვი იყო.

იპოლიტ მატვეევიჩს საქციელი წაუხდა.

- მამაო! - აღმოხდა მას. განცვიფრებულმა სკამს ხელი გაუშვა.

მამაო ვოსტრიკოვს ლილისფერი დაედო. როგორც იქნა, თითები გაშალა და სკამი, რომელიც აღარავის ეჭირა, აგურის ნამსხვრევებზე დაეცა.

- ულვაშები რა უყავით, პატივცემულო იპოლიტ მატვეევიჩ? - რამდენადაც შეეძლო, გესლიანად ჰკითხა სასულიერო პირმა.

- თქვენი ხუჭუჭები სადღაა? თქვენ ხომ ხუჭუჭა კულულები გქონდათ?

იპოლიტ მატვეევიჩის სიტყვებში გამოუთქმელი ზიზღი ისმოდა. მამა თევდორეს მან ენითუთქმელი კეთილშობილური მზერა შეავლო, სკამი ამოიღლიავა და წასვლა დააპირა, მაგრამ უკვე წელში გამართულმა მამა თევდორემ ვორობიანინოვს გამარჯვება ასე ადვილად არ დაანება. შეჰყვირა, - „არა, ძალიან გთხოვთო“, და სკამს წაეპოტინა. ისევ პირველი პოზიცია განმეორდა. მოწინააღმდეგენი პირისპირ იდგნენ, ხელები სკამისთვის ჩაევლოთ, ერთმანეთს კატებივით თუ მოკრივეებივით მისჩერებოდნენ და აქეთ-იქით მიიწევდნენ.

გულის გამყინავი პაუზა მთელ წუთს გაგრძელდა.

- მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით, წმიდა მამაო, ჩემს ქონებაზე რომ ნადირობთ? - გამოსცრა იპოლიტ მატვეევიჩმა და წმინდა მამას თეძოში წიხლი უთავაზა.

მამა თევდორემაც იმარჯვა და თავადაზნაურების წინამძღოლს ისეთი ჩასცხო, რომ კინაღამ სული გააცხებინა.

- ეს თქვენი ქონება არ გახლავთ.

- მაშ, ვისია?

- თქვენი არ არის.

- მაშ, ვისია-მეთქი?

- არა, არა, თქვენი არ გახლავთ.

- მაშ, ვისია, ვისია?

- თქვენი არ არის.

თან ერთმანეთს დაუზოგავად წიხლებს სცემდნენ.

- მაშ ვისია-მეთქი ეს ქონება? - შეჰბღავლა წინამძღოლმა და წმინდა მამას ფეხი მუცელში ჩასცხო.

წმინდა მამამ ტკივილს გაუძლო და მტკიცედ წარმოთქვა: - ეს ნაციონალიზებული ქონებაა.

- ნაციონალიზებულიო?

- დიახ, დიახ, ნაციონალიზებულია.

ისე აჩქარებით ლაპარაკობდნენ, რომ სიტყვები ერთმანეთში იხლართებოდა.

- ვის მიერ არის ნაციონალიზებული?

- საბჭოთა ხელისუფლების მიერ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

- რომელი ხელისუფლებისაო?

- მშრომელთა ხელისუფლების.

- ა-ა-ა! - იპოლიტ მატვეევიჩს სისხლი გაეყინა, - მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ?

- დი-ი-ახ...

- მ-მ-მ... თქვენ, წმინდაო მამაო, იქნებ, პარტიული ბრძანდებით?

- ვინ იცის... შეიძლება.

აქ იპოლიტ მატვეევიჩმა ვეღარ მოითმინა და შეჰკივლა - არ შეიძლებაო, და მამა თევდორეს გულიანად მიაფურთხა სახეში. მამა თევდორემ იმ წამსვე სამაგიერო გადაუხადა - მანაც სახეში მიაფურთხა. ფურთხის ჩამოწმენდა არც ერთს არ შეეძლო - ხელებით სკამს იყვნენ ჩაფრენილი. იპოლიტ მატვეევიჩს პირიდან კარის ჭრიალივით ხმა აღმოხდა. მოწინააღმდეგეს მთელი ძალღონით სკამი ჰკრა. მტერი დაეცა და თან აქოშინებული ვორობიანინოვი წაიყოლია. ჭიდაობა პარტერში გაგრძელდა.

უცებ ტკაცუნი მოისმა - სკამს ორივე წინა ფეხი მოსტყდა. მოწინაამდეგეებმა ერთმანეთი გადაივიწყეს და კაკლის ხის განძთსაცავს წაეპოტინნენ. ყვავილებიანი ინგლისური ჩითი გახევისას თოლიას ნაღვლიან ხმას გამოსცემდა. განძის მაძიებლებმა ჩიჩობი სპილენძის ლურსმნებიანად ამოგლიჯეს და გასისხლიანებული თითები ბუმბულის საფენში ჩაჰყვეს. აფორიაქებული ზამბარები მღეროდა. ხუთი წუთის შემდეგ სკამი ერთიანად გაძარცვული იყო. ზამბარები ყოველმხრივ მიგორავდა. დამპალ ბუმბულს ქარი მინდვრად ათამაშებდა. დაგრეხილი ფეხები ორმოში ეყარა. ბრილიანტები კი არსად იყო.

- რა ჰქენით, იპოვეთ? - ხვნეშით ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

მამა თევდორე ერთიანად ბუმბულით იყო დაფარული, ხვნეშოდა და დუმდა.

- თქვენ აფერისტი ხართ! - დაუყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მე თქვენ ცხვირ-პირს დაგამტვრევთ.

- ვერაფერს ვერ მიზამ, - მოუჭრა მღვდელმა.

- ასე შებუმბლული სადღა გამოჩნდებით?

- თქვენი რა საქმეა?

- გრცხვენოდეთ, მღვდელო. თქვენ ქურდი ხართ!

- თქვენთვის მე არაფერი მომიპარავს.

- საიდან გაიგეთ? აღსარების საიდუმლოება საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენეთ, ხომ? ყოჩაღ! სანაქებო საქციელია.

იპოლიტ მატვეევიჩმა აღშფოთებით გადააფურთხა და სახლისკენ გასწია. გზადაგზა ხელებს პალტოზე იწმენდდა. ლენის ამბების ქუჩისა და ეროფეევის შესახვევის კუთხეში თავისი კომპანიონი დაინახა. კონცესიის ტექნიკური დირექტორი და მთავარი ხელმძღვანელი ნახევრადშებრუნებული იდგა და მარცხენა ფეხი აეწია. მას ფეხსაცმლის ზამშის ყელს თუთიყუშისფერი კრემით უკრიალებდნენ. იპოლიტ

მატვეევიჩმა მასთან მიირბინა. დირექტორი უდარდელად „შიმის“ ღიღინებდა: შიმის ცეკვა პირველად გაუმართავთ აქლემებს,

ფეხებს აბაკუნებდნენ, კუდებს ნელა აქნევდნენ.

ახლა მთელი მსოფლიო იმეორებს ამ ცეკვას...

- როგორაა საქმეები საბინაო განყოფილებაში? - საქმიანად იკითხა მან და იმ წამსვე დაუმატა, მოიცათ, ნუ მომიყვებით. თქვენ ძლიერ აღელვებული ხართ. ჯერ გაგრილდით.

ოსტაპმა ფეხსაცმლის მწმენდავს შვიდი კაპიკი უბოძა, ვორობიანინოვს ხელი გაუყარა და ქუჩაში წააჩანჩალა. მან დიდი ყურადღებით მოისმინა ყველაფერი, რაც ვორობიანინოვმა უამბო.

- აჰ, პატარა შავი წვერი აქვს? ცხვრისსაყელოიანი პალტო აცვია? მესმის, მესმის. ის სკამი თავშესაფრისაა. დღეს დილით სამ მანეთად გაიყიდა.

- ჯერ მათქმევინეთ...

და იპოლიტ მატვეევიჩმა მთავარ კონცესიონერს მამა თევოდრეს არამზადობა უამბო.

ოსტაპმა წარბი შეიკრა.

- ცუდი საქმეა, - თქვა მან, - ლეიხტვეისის მღვიმე, ანუ საიდუმლო მეტოქე. უნდა დავასწროთ. ღრანჭის ჩამტვრევას კი ყოველთვის მოვუხერხებთ.

მეგობრებმა ლუდხანა „სტიოპკა რაზინში“ ისაუზმეს. მერე ოსტაპი იმის გაგებას მოუნდა, საბინაო განყოფილება წინათ რომელ შენობაში იყო, და ის შენობა ახლა რომელ დაწესებულებას ეკავა. ამასობაში დღეს მიიწურა.

ოქროსფერ ბიტიუგებს ისევ ყავისფერი დაედო. ბრილიანტის წვეთები ჰაერში ცივდებოდა და მიწას ეხეთქებოდა. ლუდხანებში და რესტორან „ფენიქსში“ ლუდის ფასმა აიწია - უკვე საღამო იყო. პუშკინის ქუჩაზე ელექტროლამპები აინთო. დაფდაფის ბრახუნით გაიარა პიონერთა რაზმეულმა, პირველი საგაზაფხულო გასეირნებიდან რომ ბრუნდებოდა.

გუბგეგმის ვეფხვებს და კობრებს ქალაქის თავზე ამოსულმა მთვარემ იდუმალი შუქი მოჰფინა.

იპოლიტ მატვეევიჩი შინისკენ ხმაგაკმენდილ ოსტაპთან ერთად ბრუნდებოდა. მან გუბგეგმის ვეფხვებსა და კობრებს შეხედა. მის დროს ამ შენობაში გუბერნიის საერობო სამმართველო იყო, და ამით მოქალაქენი ძალიან ამაყობდნენ - შენობას სტარგოროდის ღირსშესანიშნაობად მიიჩნევდნენ.

„ვიპოვი“, - გაიფიქრა იპოლიტ მატვეევიჩმა და მზერა თაბაშირის ქანდაკებებს გაუსწორა.

ვეფხვები ალერსიანად იქნევდნენ კუდებს. კობრები მხიარულად იკლაკნებოდნენ. და იპოლიტ მატვეევიჩი რწმენით აივსო.

10. ზეინკალი, თუთიყუში და მარჩიელი ქალი

პერელეშინის შესახვევში აღმართული სახლი №7 სტარგოროდის საუკეთესო შენობების რიცხვს როდი ეკუთვნოდა. იგი ორსართულიანი იყო. მეორე იმპერიის სტილში აეშენებინათ და მისი კედლები ლომების დამტვრეული თავებით იყო დამშვენებული, რომელნიც ცნობილი მწერლის არციბაშევის ფიზიონომიას მოგაგონებდათ. არციბაშევის ფიზიონომია აქ ზუსტად რვა იყო, სწორედ იმდენი, რამდენი ფანჯარაც გამოდიოდა შესახვევში.

სახლს კიდევ ორი სამკაული ჰქონდა, მაგრამ ეს უკვე წმინდა კომერციული ხასიათისა იყო, ერთი მხრივ, მტრედისფერი აბრა ეკიდა: ოდესის ბლითების არტელი

მოსკოვური ფუნთუშები

აბრაზე ჰალსტუხსა და მოკლე ფრანგულ შარვალში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი იყო გამოსახული. მას ერთ ხელში, რატომღაც უკუღმა რომ დაეხატათ, სიუხვის ზღაპრული რქა ეჭირა, საიდანაც ნიაღვარივით მოედინებოდა ჩალისფერი მოსკოვური ფუნთუშები, გაჭირვების დროს ოდესურ ბლითებად რომ საღდებოდა. ყმაწვილი კაცი რატომღაც ვნებიანად იღიმებოდა. მეორე მხარეს შემფუთავი კანტორა „უმალშეფუთვა“ პატივცემულ მოქალაქე-კლიენტებს თავის არსებობას შავ ფონზე გამოყვანილი ასოებით ამცნობდა.

აბრები სხვადასხვანაირი იყო. სხვადასხვა სიდიდისა იყო საბრუნავი კაპიტალიც, მაგრამ ორივე ეს დაწესებულება ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა. ისინი მანუფაქტურის სპეკულაციას ეწეოდნენ - ყიდულობდნენ და ყიდდნენ შალეულს - ძვირფასსაც და იაფფასიანსაც, ბამბის ქსოვილებს, და თუ კარგი ფერის, ლამაზად მოხატულ აბრეშუმს მოიხელთებდნენ, აბრეშუმსაც.

სახლის ჭიშკარს რომ გაივლიდით, რომელიც წყლით გავსებულ ბნელ გვირაბს ჰგავდა, და მარჯვნივ გაუხვევდით, ეზოში, ცემენტის ჭის პირდაპირ, ქვაფენილზე დაყრდნობილი ორი კარი მოჩანდა. მარჯვენა კარზე ჩაშავებული სპილენძის დაფა მიეკრათ და მასზე გაკრული ხელით ეწერა: ვ. მ. პოლესოვი

მარცხენას კი თეთრი თუნუქის ნაჭერი ამშვენებდა: მოდები და შლიაპები.

მაგრამ ეს წარწერებიც გარეგნული სამკაულები იყო. მოდებისა და შლიაპების სახელოსნოში თქვენ ვერ ნახავდით ვერც სპარტრის, ვერც სამკაულს, ვერც უთავო მანეკენებს, ოფიცრებივით რომ იჭიმებიან, ვერც კოპიტულებს, ქალების მოხდენილ შლიაპებს რომ მოარგებენ ხოლმე. ყველა ამის ნაცვლად სამოთახიან ბინაში თეთრი, წითელშარვლიანი თუთიყუში ცხოვრობდა. თუთიყუშს რწყილები აწუხებდნენ, მაგრამ რაკი მას ადამიანურ ენაზე ლაპარაკი არ შეეძლო, ვერც ვერავისთვის შეეჩივლა. თუთიყუში დილიდან საღამომდე მზესუმზირას ჭამდა, ჩენჩოს კი გალიიდან პირდაპირ იატაკზე აფურთხებდა. მისთვის რომ ახალი, სტვენია კალოშები ჩაგეცმიათ და კლანჭებში გარმონი მიგეცათ, ნამდვილად მოხეტიალე მეწვრილმანეს დაემსგავსებოდა. ფანჯრებზე მუქი ყავისფერი ფარდები ირხეოდა. საერთოდ, ოთახებში მუქი ყავისფერი მეფობდა. პიანინოს თავზე ბეკლინის სურათის „მკვდართა კუნძულის“ რეპროდუქცია ეკიდა. ის გაპრიალებული მუხის მუქმწვანე ჩარჩოში ჩასმული და შემინული იყო. მინას ერთი კუთხე დიდი ხნის წინათ მომტვრეოდა და სურათის ეს ნაწილი ბუზებს ისე დაესვარათ, რომ ჩარჩოსგან ვეღარც

გაარჩევდით. ამიტომ სრულიად შეუძლებელი იყო იმის გაგება, თუ რა ხდებოდა „მკვდართა კუნძულის“ ამ ნაპირზე.

საძინებელ ოთახში საწოლზე თვით დიასახლისი იჯდა. იდაყვები რვაკუთხედიან რიშელიეს ჭუჭყიანი სუფრით გადაფარებულ მაგიდაზე დაეყრდნო და კარტს შლიდა. დიასახლისის წინ ფაფუკ შალში გახვეული გრიცაცუევის ქვრივი იჯდა.

- უნდა გაგაფრთხილოთ, ქალიშვილო, თითო სეანსი ორმოცდაათი კაპიკი დაგიჯდებათ, - უთხრა დიასახლისმა.

ქვრივი ძალიან მონდომებული იყო, ახალი ქმარი ეშოვნა, ამიტომ ამ ფასზე უყოყმანოდ დათანხმდა.

- ოღონდ, ძალიან გთხოვთ, მომავალზეც მიმარჩიელეთ, - საცოდავად სთხოვა მან.

- „ჯვრის ქალზე“ უნდა გირჩიოთ.

- მე ყოველთვის „გულის ქალი“ ვიყავი, - შეეკამათა ქვრივი.

დიასახლისი გულგრილად დაეთანხმა და კარტის გაშლას შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქვრივის ბედ-იღბალი ზოგადად უკვე მოხაზული იყო. ქვრივს დიდი და პატარა უსიამოვნებანი მოელოდა, გულზე კი მას „ჯვრის მეფე“ დაეცა, რომელთანაც „აგურის ქალი“ მეგობრობდა.

შემდეგ მარჩიელობას ხელისგულზე შეუდგნენ. გრიცაცუევის ქვრივის ხელის ხაზები სუფთა, მკვეთრი და უნაკლო იყო. სიცოცხლის ხაზი იმ სიგრძეზე გაჭიმულიყო, რომ მისი ბოლო მაჯამდე უწევდა, და თუ ეს ხაზი არ ცრუობდა, ქვრივს განკითხვის დღემდე უნდა ეცოცხლა. ჭკუის და ხელოვნებათა ხაზი იმედს იძლეოდა, ქვრივი საბაყლოში ვაჭრობას თავს მიანებებს და კაცობრიობას ხელოვნების, მეცნიერებისა და საზოგადოებათმცოდნეობის დარგებში იგავმიუწვდომელ შედევრებს მიუძღვნისო. ვენერას ბორცვები კი მანჯურიის გორაკებს ჰგავდა და სიყვარულისა და სინაზის დიდ მარაგს ამჟღავნებდა.

მარჩიელმა ყველაფერი ეს ქვრივს გრაფოლოგების, ხირომანტებისა და ცხენის დალალების ტერმინებით აუხსნა.

- დიდი მადლობა, ქალბატონო, - უთხრა ქვრივმა, - ვიცი, „ჯვრის მეფე“ ვინც არის. „აგურის ქალსაც“ ვიცნობ.

აღფრთოვანებული ქვრივი სახლისკენ გაეშურა. მარჩიელმა კარტი ყუთში ჩაყარა, დაამთქნარა - ორმოცდაათი წლის ქალის ხახა გამოაჩინა და სამზარეულოში შევიდა. იქ სადილს მიხედა, „გრეცის“ ნავთქურაზე რომ ცხელდებოდა. ხელები შინამოსამსახურესავით წინსაფარზე შეიწმინდა, ალაგ-ალაგ მინანქარშემოცლილი ვედრო აიღო და წყლის მოსატანად ეზოში გავიდა.

ეზოში მძიმედ მიაბიჯებდა. მომჩვარული მკერდი ზანტად უთანთალებდა შეღებილ კოფთაში. თავზე ჭაღარა თმა აზღარბოდა. იგი ბებერი, ბინძური ქალი იყო, ყველას ეჭვით უცქეროდა და ტკბილეული უყვარდა. იგი რომ ახლა იპოლიტ მატვეევიჩს ენახა, ვერასგზით ვერ დაიჯერებდა, რომ მის წინ ელენე ბოური იყო, მისი ყოფილი

საყვარელი, რომელსაც სასამართლოს მდივანმა ოდესღაც ლექსიც კი მიუძღვნა: „საკოცნელად გიხმობს ქალი, ტანკენარი, შუქმფინარიო“.

ჭასთან ქალბატონ ბოურს მეზობელი, ზეინკალი-ინტელიგენტი ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვი მიესალმა, რომელიც წყალს ნავთის ბიდონით იღებდა. პოლესოვს ოპერის ეშმაკის სახე ჰქონდა, სცენაზე გამოშვების წინ სახეს ერთიანად რომ გაუმურავენ ხოლმე.

მისალმების შემდეგ მეზობლებმა სიტყვა იმ საქმეზე ჩამოაგდეს, მთელ სტარგოროდს რომ აღელვებდა.

- სადამდე მივედით, - ირონიულად წარმოთქვა პოლესოვმა, - გუშინ მთელი ქალაქი მოვიარე და სამმერვედდუიმიანი გამხრახნი ვერსად ვიშოვე. არ არის! ტრამვაის გაშვებას კი გვპირდებიან.

ელენა სტანისლავოვნამ სამმერვედდუიმიანი გამხრახნისა იმდენივე იცოდა, რამდენიც სოფლის მეურნეობისა იცის ლეონარდო და ვინჩის სახელობის ქორეოგრაფიული კურსების მსმენელმა, რომელიც დარწმუნებულია, ყველი მხოლოდ ყველიან პურში ხარობსო. მაგრამ ზეინკალს მაინც უთანაგრძნო: - ახლა რა მაღაზიებია! მარტო რიგებია, მაღაზიები კი აღარც არის. და რა საშინელი სახელები აქვთ. „სტარგიკო“...

- ეგ კიდევ რა არის, ელენა სტანისლავოვნა! მაგათ „საყოველთაო ელექტროკომპანიის“ ოთხი მოტორი შემორჩათ. ეს მოტორები, ასე თუ ისე, კიდევ იმუშავებენ, ძარები კი - ნამდვილი ნაგავია. თანაც მინებს რეზინები არა აქვთ, ზრიალი გაგვაყრუებს. ეჰ... მაგრამ სხვა მოტორები სულ ხარკოვული წარმოებისაა. ღმერთმა დაგიფაროთ! სწორედ ფერადლითონის პროდუქციაა. ერთ ვერსსაც ვერ გაივლიან. მე ხომ ვიცი...

ზეინკალი ავად დადუმდა. მისი შავი სახე მზეზე ბრწყინავდა, თვალების გარსს კი ყვითელი ფერი დაჰკრავდა.

სტაროგოროდელ მოტორის მქონე ხელოსნებში ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვი ყველაზე უიღბლო იყო, იმიტომ რომ მოუსვენარი ბუნება ჰქონდა. იგი მოუსვენარი ზარმაცი იყო. სულ დუღდა. თავის სახელოსნოში, პერელეშინის შესახვევის №7 სახლში რომ იყო მოთავსებული, ვერასოდეს ნახავდით. ჩამქრალი სამჭედლო ქურა ობლად იდგა ქვის ფარდულში. კუთხეებში კი რა არ ეყარა: დახეული კამერები, „ტრეუგოლნიკის“ პროტექტორები, ვეებერთელა ბოქლომები, რომლებითაც მთელი ქალაქის დაკეტვა შეიძლებოდა, რბილი ჭურჭელი საწვავისთვის, რომელსაც უცხოური წარწერები ჰქონდათ „Iნდიან“, ან „ჭანდერერ“, რესორებიანი საბავშვო ეტლი, დამპალი ტყავის ღვედები; სამუდამოდ დადუმებული დინამო-მანქანა, გაზეთილი ჩვრები, ავსტრიული ხიშტი და კიდევ ბევრი დამპალი, დახეული და დაჭყლეტილი ხარახურა. შემკვეთები კი ვიქტორ მიხაილოვიჩს ვერასოდეს პოულობდნენ. იგი სადმე იყო და მბრძანებლობდა. მუშაობისთვის მას არასოდეს ეცალა. მას არ შეეძლო, მშვიდად ეყურებინა, როგორ შედიოდა სხვის ან მის საკუთარ ეზოში დატვირთული ფორანი. იმ წამსვე გარეთ გამოვარდებოდა. ხელებს უკან დაიწყობდა და მედროვეს ზიზღით მიაჩერდებოდა. მერე უეცრად იფეთქებდა.

- ფორანი ასე ვის შემოჰყავს? - დასჭყივლებდა სასოწარკვეთილი კილოთი: - შემოაბრუნე!

შეშინებული მეფორნე შემოაბრუნებდა.

- საით აბრუნებ, შე თავგასიებულო! - გაწამებული ვიქტორ მიხაილოვიჩი ცხენს მივარდებოდა, - რატომ ძველი დრო არ არის! ლაზათიანად რომ გითაქებდნენ, მაშინ წესიერად შემოაბრუნებდი.

ერთ ნახევარ საათს ასე იბრძანებლებდა, მერე სახელოსნოში შებრუნებას დააპირებდა, სადაც მას შესაკეთებელი ტუმბო ელოდა, მაგრამ ამ დროს ქალაქის მშვიდ ცხოვრებას ისევ რაღაც გაუგებრობა დაარღვევდა. ვთქვათ, ქუჩაში ოთხთვალები ერთმანეთს ღერძებით წამოედებოდნენ. ვიქტორ მიხაილოვიჩი ასწავლიდა, ასე და ასე დააშორეთო, ან ტელეგრაფის ბოძის გამოცვლას დააპირებდნენ. ვიქტორ მიხაილოვიჩი სახელოსნოდან შვეულს გამოიტანდა და ამოწმებდა, ბოძი პერპენდიკულარულად დგას თუ არაო. ან სახანძრო რაზმი ჩაიგრიხინებდა და საყვირის ხმებით აღელვებული, მოუსვენრობით ალმოდებული ვიქტორ მიხაილოვიჩი ახლა მას დაედევნებოდა.

მაგრამ ზოგჯერ ვიქტორ მიხაილოვიჩს რეალური მოქმედების სტიქია დაეუფლებოდა ხოლმე. მაშინ რამდენიმე დღით სახელოსნოში შეიმალებოდა და ჩუმად მუშაობდა. ბავშვები ეზოში თავისუფლად დარბოდნენ და ყვიროდნენ, მეფორნეები იქით უხვევდნენ, საითაც მოეპრიანებოდათ, ოთხთვალები სულაც აღარ ეჯახებდნენ ერთმანეთს, სახანძრო რაზმები და კატაფალკები კი საკუთარ საქმეებს თავადვე უძღვებოდნენ, - ვიქტორ მიხაილოვიჩი მუშაობდა.

ერთხელ, ასე კარგა ხანს იმუშავა და მერე ეზოში მოტოციკლეტი გამოიყვანა. მოტოციკლეტი ავტომობილების, ცეცხლსაქრობების, ველოსიპედებისა და საბეჭდი მანქანების ნაწილებისგან შედგებოდა. ერთ-ნახევარ ცხენისძალიანი მოტორი ვანდერერისა იყო, თვლები - დევიდსონისა, სხვა მთავარ ნაწილებს კი ფორმა დიდი ხნის წინათ დაეკარგათ. უკან კანაფით მუყაოს აბრა იყო მიბმული, რომელსაც სიტყვა „საცდელი“ ეწერა. გარშემო ბრბო მოგროვდა. ვიქტორ მიხაილოვიჩი არავის არ უყურებდა. დაიხარა და პედალი ხელით დაატრიალა. ნაპერწკალი კარგა ათ წუთს არ ჩანდა, შემდეგ ლითონის ღრიალი გაისმა, მოტოციკლეტი აძიგძიგდა და ჭუჭყიან კვამლში გაეხვია. ვიქტორ მიხაილოვიჩი მანქანას მოახტა. მოტოციკლეტი გიჟური სისწრაფით მოსწყდა ადგილს, ვიქტორ მიხაილოვიჩი გვირაბში გააქროლა, შუა ქუჩაში გაიჭრა და იქ, თითქოს ტყვიით მოჰკლესო, უცებ შეჩერდა. ვიქტორ მიხაილოვიჩი ჩამოხტა და თავისი იდუმალი მანქანის შემოწმება დააპირა, მაგრამ მოტოციკლეტი უცებ უკან-უკან წავიდა, თავისი შემქმნელი ისევ გვირაბში გაატარა, სტარტის ადგილზე - შუა ეზოში გაჩერდა, რაღაც გულმოსულად ამოიხრიალა და აფეთქდა. ვიქტორ მიხაილოვიჩი სწორედ სასწაულით გადარჩა. მოტოციკლეტის ნამსხვრევებისგან შემდეგ მან სტაციონარული ძრავა გააკეთა, რომელიც ნამდვილს ძალიან წააგავდა, მაგრამ არ მუშაობდა.

ზეინკალი-ინტელიგენტის აკადემიური მოღვაწეობის გვირგვინი მაინც მეზობელი №5 სახლის ჭიშკრის ეპოპეა იყო. ამ სახლის მცხოვრებთა ამხანაგობამ ვიქტორ მიხაილოვიჩთან ხელშეკრულება დადო, რომლის ძალითაც პოლესოვი ვალდებული იყო, სახლის რკინის ჭიშკარი სრულ წესრიგში მოეყვანა და, თავისი

გემოვნებისამებრ, რომელიმე იაფფასიანი საღებავებით შეეღება. მცხოვრებთა ამხანაგობა, თავის მხრივ, პოლესოვს ოცდაერთ მანეთს და სამოცდათხუთმეტ კაპიკს გადაუხდიდა, თუკი სპეციალური კომისია ნამუშევარს მოიწონებდა. გერბის მარკების ფასი სამუშაოს შემსრულებელს დააკისრეს.

ვიქტორ მიხაილოვიჩმა ჭიშკარი სამსონივით ჩამოხსნა და წაიღო. სახელოსნოში იგი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. ორი დღე ჭიშკრის დაშლას მოანდომა. თუჯის ნაწილები საბავშვო ეტლში ჩააწყო; რკინის შტანგები და შუბები დაზგის ქვეშ შეყარა. კიდევ რამდენიმე დღე დაზიანებული ადგილების შესწავლას მოანდომა. მერე კი ქალაქს პატარა უსიამოვნება შეემთხვა - შეშის ქუჩაზე წყალსადენის მაგისტრალური მილი გასკდა და ვიქტორ მიხაილოვიჩმა კვირის დანარჩენი დღეები ავარიის ადგილზე გაატარა. ირონიულად იღიმებოდა, მუშებს უყვიროდა და წამდაუწუმ ორმოში იყურებოდა.

როცა ვიქტორ მიხაილოვიჩს ორგანიზატორული ცეცხლი ცოტათი გაუნელდა, ისევ ჭიშკარს მიუბრუნდა, მაგრამ გვიანღა იყო: №5 სახლის ჭიშკრის თუჯის კაურებს და შუბებს უკვე ეზოს ბავშვები დაპატრონებოდნენ და თამაშობდნენ. განრისხებული ზეინკლის დანახვაზე ბავშვებმა სათამაშოები მიატოვეს და გაიქცნენ. თუჯის ფიგურების ნახევარი უკვე დაკარგული იყო, და მათი პოვნა ვერაფრით ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ვიქტორ მიხაილოვიჩმა სულაც გული აიყარა ჭიშკარზე.

№5 სახლი კი აღარ იკეტებოდა და იქ საშინელი ამბები დატრიალდა. სხვენიდან სველი თეთრეული იკარგებოდა. ერთ საღამოს ეზოდან ადუღებული სამოვარიც კი გაიტანეს. ვიქტორ მიხაილოვიჩი ქურდის დევნაში პირადად მონაწილეობდა, მაგრამ ქურდი კარგად გარბოდა, მიუხედავად იმისა, რომ გაწვდილ ხელებში მოთუხთუხე სამოვარი ეჭირა და თუნუქის მილიდან ცეცხლის ენები სხლტოდა. მან რამდენჯერმე მოიხედა უკან და ვიქტორ მიხაილოვიჩს უწმაწური სიტყვებით გაუმასპინძლდა. მაგრამ ყველაზე მეტად №5 სახლის მეეზოვე დაზარალდა. მან ღამის შემოსავალი დაჰკარგა: ჭიშკარი აღარ იყო, გაღება არაფერს სჭირდებოდა, და გვიან ღამით მობრუნებული მცხოვრებლები უზალთუნებს აღარ იძლეოდნენ, მეეზოვემ ვიქტორ მიხაილოვიჩს მიაკითხა, ჭიშკარი მალე იქნება მზად თუ არაო; მერე ხვეწნა დაუწყო, თუ ქრისტე გწამს, მიშველეო, და ამანაც რომ არ გაჭრა, მუქარზე გადავიდა. მობინადრეთა ამხანაგობამ ვიქტორ მიხაილოვიჩს წერილით შეახსენა. საქმეს უკვე სასამართლოს სუნი უდიოდა და მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა.

მარჩიელი და ზეინკალი-ენთუზიასტი ჭასთან იდგნენ და მასლაათობდნენ.

- მაგათ გაჟღენთილი შპალებიც კი არა აქვთ, - მთელი ეზოს გასაგონად ყვიროდა ვიქტორ მიხაილოვიჩი, - ეგ ტრამვაი კი არა, ერთი უბედურება იქნება.

- ნეტავ, როდის გათავდება ეს ყველაფერი, - თქვა ელენა სტანისლავოვნამ, - პირდაპირ ველურებივით ვცხოვრობთ.

- არასოდეს არ გათავდება... დიახ! იცით, მე დღეს ვინ ვნახე? ვორობიანინოვი.

ელენა სტანისლავოვნა ჭას მიეყრდნო. იმდენად განცვიფრებული იყო, რომ წყლით სავსე ვედროს დადგმაც ვეღარ მოახერხა.

- სახელოსნოს იჯარის გასაგრძელებლად კომუნალურ მეურნეობაში ვიყავი. დერეფანში მივდივარ. ვხედავ - ვიღაც ორნი მომიახლოვდნენ. ერთს რაღაც ნაცნობი სახე აქვს. თითქოს ვორობიანინოვი უნდა იყოს. თუ იცით, ამ შენობაში წინათ რა დაწესებულება იყო. მე ვუთხარი, წინათ აქ ქალთა გიმნაზია იყო, მერე კი საბინაო განყოფილება-მეთქი. მერე ვკითხე, თქვენ ეგ რაში გაინტერესებთ-მეთქი. მათ კი მადლობა გადამიხადეს და გამშორდნენ. სწორედ ამ მომენტში დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვორობიანინოვი იყო. ოღონდ ულვაშები მოუპარსავს. ნეტავი აქ საიდან გაჩნდა? მეორე კი, იმას რომ ახლდა, ულამაზესი ვაჟკაცია. ნამდვილად ყოფილი ოფიცერი უნდა იყოს. ჰოდა, მე ვიფიქრე...

ამ მომენტში ვიქტორ მიხაილოვიჩმა უსიამოვნო რამ დაინახა. ლაპარაკი შეწყვიტა, თავის ბიდონს ხელი დაავლო და სწრაფად სანაგვე ყუთს უკან დაიმალა. ეზოში აუჩქარებლად №5 სახლის მეეზოვე შემოვიდა, ჭასთან შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. ვიქტორ მიხაილოვიჩი ვერსად დაინახა და დანაღვლიანდა.

- ვიტკა-ზეინკალი კიდევ არ არის? - ჰკითხა მან ელენა სტანისლავოვნას.

- ოჰ, მე არაფერი ვიცი, - მიუგო მარჩიელმა, - მე არაფერი ვიცი.

საშინლად აღელვებული ქალი სახლისკენ გაეშურა, თან ვედროდან წყალი ექცეოდა.

მეეზოვემ ჭის მოცემენტებულ კედელს ხელი გადაუსვა და სახელოსნოსკენ წავიდა, რომელზედაც ეწერა: საზეინკლო სახელოსნოში შესასვლელი

ორიოდე ნაბიჯზე მეორე აბრა მოჩანდა: საზეინკლო სახელოსნო და პრიმუსების შეკეთება.

ამ მეორე აბრის ქვეშ ვეებერთელა ბოქლომი ეკიდა. მეეზოვემ ბოქლომს წიხლი უთავაზა და მღელვარედ წარმოთქვა.

- უ-უ, შე განგრენავ, შენა!

შხამიანი გრძნობებით გაჟღენთილი მეეზოვე კიდევ სამიოდე წუთს იდგა სახელოსნოსთან, მერე აბრა ხმაურით მოგლიჯა, შუა ეზოში, ჭასთან მიათრია. ფეხებით შედგა და აღრიალდა: - თქვენს სახლში ქურდბაცაცები ცხოვრობენ. არამზადები! შვიდთავა გველეშაპები! საშუალო განათლება მაქვსო... მე ფეხებზე მკიდია მაგის საშუალო განათლება... უ, ეგ განგრენა, ეგა!

საშუალო განათლების მქონე შვიდთავა გველეშაპი ამ დროს სანაგვე ყუთს უკან, ბიდონზე იჯდა და კაეშანს მისცემოდა.

ფანჯრები ხმაურით იღებოდა და იქიდან მხიარული მობინადრეები იცქირებოდნენ. აუდიტორიის დანახვაზე მეეზოვემ ხმას აუმაღლა.

- ზეინკალი-მექანიკოსი! - გაჰკიოდა იგი, - ძაღლების არისტოკრატი!

საპარლამენტო გამოთქმებს მეეზოვე უხვად კაზმავდა უცენზურო სიტყვებით. ამ უკანასკნელთ უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ქალები, ფანჯრის რაფები რომ აევსოთ, მეეზოვეზე ძალიან ბრაზობდნენ, მაგრამ ფანჯრებს მაინც არ შორდებოდნენ.

- სიფათს დაგისახიჩრებ! - ბობოქრობდა მეეზოვე, - უჰ, შე განათლებულო!

როცა სკანდალმა ზენიტს მიაღწია, მილიციონერი მოვიდა და შფოთისთავი ხმაამოუღებლივ რაიგანყოფილებისკენ წაათრია. მილიციელს „უმალშემფუთველი“ რაინდები ეხმარებოდნენ.

მეეზოვე მორჩილად მოეხვია მილიციელს ყელზე და ატირდა. საფრთხემ გაიარა. სანაგვე ყუთის უკნიდან სულმილეული ვიქტორ მიხაილოვიჩი გამოხტა. აუდიტორია ახმაურდა.

- უხამსო! - მიაძახა ვიქტორ მიხაილოვიჩმა მიმავალ პროცესიას, - ვირო! მე შენ გიჩვენებ, არამზადავ!

მწარედ აქვითინებულ მეეზოვეს ეს სიტყვები არ გაუგონია. იგი ციმციმ მიჰქონდათ რაიგანყოფილებისკენ. ნივთიერ საბუთად კი ის აბრა წამოეღოთ - „საზეინკლო სახელოსნო და პრიმუსების შეკეთება“ რომ ეწერა.

ვიქტორ მიხაილოვიჩი კიდევ დიდხანს იქაჩებოდა.

- მამაძაღლებო! - უყვიროდა იგი მაყურებლებს, - თქვენი თავი რაღაც გგონიათ. უხამსებო!

- გეთაყვა, ვიქტორ მიხაილოვიჩ, - დაუძახა ფანჯრიდან ელენა სტანისლავოვნამ, - ერთი წუთით ჩემთან შემოდით.

ქალმა ვიქტორ მიხაილოვიჩს ლამბაქით კომპოტი დაუდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და გამოკითხვა დაუწყო.

- გეუბნებით, ის იყო-მეთქი, - თავისებურად აყვირდა ვიქტორ მიხაილოვიჩი, - ის იყო! ულვაშები მოუპარსავს, მაგრამ მაინც ვიცანი. რა, ვორობიანინოვს ვერ ვიცნობ?

- ღმერთო ჩემო! ჩუმად! როგორ ფიქრობთ, რისთვის ჩამოვიდა?

ვიქტორ მიხაილოვიჩის შავ სახეზე ირონიული ღიმილი აღიბეჭდა.

- თქვენ თვითონ რას ფიქრობთ? - და უფრო ირონიულად ჩაიცინა, - მე, მაგალითად, არა მგონია, ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებას აპირებდეს.

- როგორ გგონიათ, მას განსაცდელი მოელის?

რევოლუციის ათი წლისთავზე ვიქტორ მიხაილოვიჩს ირონიის ამოუწურავი მარაგი ჰქონდა დაგროვილი. მის სახეზე სხვადასხვა ძალისა და სეფსისის ღიმილთა მთელმა სერიამ გადაირბინა.

საბჭოთა რუსეთში განა ვინაა ისეთი, რომ განსაცდელი არ ელოდეს? მით უმეტეს, ისეთი მდგომარეობის კაცი, როგორიც ვორობიანინოვია. ულვაშებს უმიზეზოდ როდი იპარსავენ, ელენა სტანისლავოვნა.

- საზღვარგარეთიდან შემოუგზავნიათ? - ელენა სტანისლავოვნას კინაღამ სული შეეხუთა.

- რა თქმა უნდა! - მიუგო გენიალურმა ზეინკალმა.

- რისთვის?

- ბავშვი ნუ ხართ!

- სულ ერთია, მე უნდა ვნახო.

- მერე იცით, ეს რა საშიშია?

- აჰ, სულ ერთია, ათი წელია, იპოლიტ მატვეევიჩი აღარ მინახავს. მისი უნახაობა მე არ შემიძლია.

ელენა სტანისლავოვნამ მართლა ირწმუნა, ბედმა მე და იპოლიტ მატვეევიჩი მაშინ გაგვყარა, როცა ერთმანეთი ძალიან გვიყვარდაო.

- გევედრებით, მიპოვეთ, გაიგეთ, სად არის. თქვენ ყველგან დადიხართ. თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ. გადაეცით, რომ მე მისი ნახვა მინდა. გესმით?

წითელულვაშიან თუთიყუშს, ხარიხაზე რომ თვლემდა, ხმამაღალი ლაპარაკის შეეშინდა, თავდაყირა დაეკიდა და გაქვავდა.

- ელენა სტანისლავოვნა, - ზეინკალი წამოდგა და ორივე ხელი მკერდზე მიიდო, - მე მას მოვძებნი და დავუკავშირდები.

მარჩიელს გული აუჩუყდა.

- იქნებ, კომპოტი კიდევ მიირთვათ?

ვიქტორ მიხაილოვიჩმა კომპოტი კიდევ მიირთვა. ქალს ავი კილოთი ლექცია წაუკითხა, თუთიყუშის გალია ცუდად მოგიწყვიათო და დაემშვიდობა. წასვლისას ურჩია, ყველაფერი საიდუმლოდ შეინახეთო.

11. ანბანი „ცხოვრების სარკე“

მეორე დღეს კომპანიონები დარწმუნდნენ, რომ სარდაფში ცხოვრება შეუძლებელი იყო. ტიხონი ბუზღუნებდა. იგი მთლად გამოსულელდა მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ ბატონს ჯერ შავი ულვაშები ჰქონდა, მერე მწვანე, ბოლოს კი სულაც უულვაშოდ დარჩა. დასაძინებელი ადგილი არ ჰქონდათ. ტიხონის ახალი თექის ჩექმები სარდაფს დამპალი ნეხვის სუნით ავსებდა. ძველი თექის ჩექმები კი კუთხეში ელაგა და ჰაერის ოზონირებას ხელს დიდად არც ისინი უწყობდა.

- მოგონებათა საღამოს დახურულად ვაცხადებ, - თქვა ოსტაპმა, - სასტუმროში უნდა გადავიდეთ.

იპოლიტ მატვეევიჩი შეკრთა: - ეს შეუძლებელია.

- რატომ?

- იქ ჩაწერას მოგვთხოვენ.

- თქვენ პასპორტი არ გივარგათ?

- არა, ჩემი პასპორტი წესრიგშია, მაგრამ ქალაქში ჩემი გვარი კარგად იციან. ლაპარაკი ატყდება.

კონცესიონერები ჩაფიქრდნენ.

- გვარი მიხელსონი მოგწონთ? - ჰკითხა მოულოდნელად დიდებულმა ოსტაპმა.

- რომელი მიხელსონი? სენატორი?

- არა, საბჭოთა ვაჭრობის მოსამსახურეთა კავშირის წევრი.

- მე თქვენი ვერაფერი გამიგია.

- ტექნიკური ჩვევები არ გაგაჩნიათ. ნუ მიყურებთ ეგრე გამოშტერებული.

ბენდერმა მწვანე პიჯაკიდან პროფკავშირის ბილეთი ამოიღო და იპოლიტ მატვეევიჩს გაუწოდა.

- კონრად კარლოვიჩ მიხელსონი, ორმოცდარვა წლისა, უპარტიო, უცოლო, კავშირის წევრი 1921 წლიდან, უაღრესად მაღალი ზნეობის ადამიანი. მე მას კარგად ვიცნობ. მას, მგონი, ბავშვებიც უყვარს, მაგრამ თქვენ, თუ არ გესიამოვნებათ, ბავშვებს მაინცდამაინც ნუ გადაყვებით. მილიცია ამას ვერ მოგთხოვთ.

იპოლიტ მატვეევიჩი გაწითლდა.

- უხერხული ხომ არ იქნება?

- რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის კოდექსში ეს ქმედება გათვალისწინებულია, მაგრამ ჩვენს კონცესიასთან შედარებით, ეს ბავშვური კატა-თაგვობანაა და მეტი არაფერი.

ვორობიანინოვი მაინც ყოყმანობდა.

- თქვენ იდეალისტი ხართ, კონრად კარლოვიჩ. კიდევ ბედი გქონიათ, თორემ, წარმოიდგინეთ, ვინმე პაპა-ხრისტოზოპულოს ან ზლოვუნოვის გვარი რომ შეგხვედროდათ...

ვორობიანინოვი მაშინვე დათანხმდა. კონცესიონერები ქუჩაში ისე გავიდნენ, რომ ტიხონს არც გამომშვიდობებიან.

ისინი ,,სორბონას“ ოთახებში დაბინავდნენ. ოსტაპმა მოსამსახურეთა მთელი მცირერიცხოვანი შტატი ააფორიაქა. ჯერ შვიდმანეთიანი ნომრები დაათვალიერა, მაგრამ ავეჯით უკმაყოფილო დარჩა. ხუთმანეთიანი ოთახების მორთულობა, მისი აზრით, სჯობდა, მაგრამ გაცვეთილი ნოხები ცუდ სუნს გამოსცემდა. სამმანეთიანი ოთახები ყოველმხრივ მოსაწონი იყო, მაგრამ სურათები არ ვარგოდა.

- პეიზაჟებთან ერთ ოთახში ცხოვრება არ შემიძლია, - განაცხადა ოსტაპმა.

ისევ მანეთ და ოთხმოცკაპიკიან ოთახზე შეჩერდნენ. აქ არც ნოხები იყო და არც პეიზაჟები, ხოლო ავეჯი თავისი მკაცრი უბრალოებით გხიბლავდათ: სულ ორი საწოლი და ღამის ერთი მაგიდა იდგა.

- ქვის ხანის სტილია, - შეაქო ნომერი ოსტაპმა, - მაგრამ, ნეტავი, ლეიბებში ისტორიამდელი ცხოველები ხომ არ ცხოვრობენ?

- ეგ სეზონზეა დამოკიდებული, - მიუგო ცბიერმა მორიგემ, - თუ, ვთქვათ, რაიმე საგუბერნიო ყრილობაა, მაშინ არ არიან, იმიტომ, რომ ბევრი სტუმარი გვყავს და წინდაწინ კარგად ვასუფთავებთ, სხვა დროს კი მართლაც შემოიჭრებიან ხოლმე. ჩვენს მეზობლად „ლივადიის“ ნომრებია და იქიდან მორბიან.

კონცესიონერებმა იმავე დღეს სტარკომმეურნეობა მოინახულეს და ყველა საჭირო ცნობა მოაგოვეს. თურმე, საბინაო განყოფილება 1921 წელში გაუქმდა, ხოლო მისი ვეებერთელა არქივი სტარკომმეურნეობის არქივს შეუერთეს.

ამ საქმეს დიდი კომბინატორი შეება. საღამოს კონცესიონერებმა უკვე არქივის გამგის ბართლომე კორობეინიკოვის სახლის მისამართი იცოდნენ. ის კორობეინიკოვი წინათ ქალაქის თავის კანცელარიის ჩინოვნიკი ყოფილა, ახლა კი კანტორის მუშაკთა რიგებში გადასულა.

ოსტაპმა გარუსის ჟილეტი ჩაიცვა, პიჯაკი საწოლის თავზე გაბერტყა, იპოლიტ მატვეევიჩს მანეთი და ერთი აბაზი გამოართვა და არქივარიუსთან ვიზიტად წავიდა. იპოლიტ მატვეევიჩი „სორბონაში“ დარჩა. იგი აღელვებული წრიალებდა იმ ვიწრო ხვრელში, ორ საწოლს შუა რომ იყო. ამ ცივ საღამოს მთელი წამოწყების ბედი წყდებოდა. ვორობიანინოვის სახლიდან გატანილი ავეჯი ორდერებით გაენაწილებინათ. თუ ამ ორდერების ასლებს ხელთ იგდებდნენ, საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო. ამის შემდეგაც ბევრი წარმოუდგენელი სიძნელე მოელოდათ, მაგრამ ძაფის ბოლო ხელთ ექნებოდათ.

- ოღონდ ორდერები ჩავიგდოთ, - წაიჩურჩულა იპოლიტ მატვეევიჩმა და საწოლზე მიეგდო, - ღმერთო, ორდერები მოგვეცი!

დანჯღრეული საწოლის ზამბარები მას ბაღლინჯოებივით კბენდნენ, ის კი ვერაფერს გრძნობდა. მას ჯერ კარგად ისიც ვერ წარმოედგინა, თუ რა მოჰყვებოდა ორდერების შოვნას, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ამის მერე საქმე კარგად წავიდოდა, და თავში რატომღაც ეს ანდაზა უტრიალებდა, - ქონი ფაფას არ წაახდენსო.

ამასობაში საქმე დიდად აირ-დაირია, ვარდისფერი ოცნებით შეპყრობილი იპოლიტ მატვეევიჩი საწოლზე წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა. მის ქვეშ კი ზამბარები ბღაოდნენ.

ოსტაპმა მთელი ქალაქი გადაიარა. კორობეინიკოვი გუსიშჩეზე - სტარგოროდის განაპირას ცხოვრობდა.

აქ, უპირატესად, რკინიგზელები ცხოვრობდნენ. სახლების ზევით, მიწაყრილზე, ბეტონის თხელი კედლით რომ იყო შეღობილი, ზოგჯერ უკუსვლით ორთქლმავალი ჩაივლიდა ხოლმე. სახლების სახურავებს ერთი წამით ორთქლმავლის საცეცხლურის მცხუნვარე ალი გაანათებდა, ხანდახან ცარიელი ვაგონები ჩაგრიხინდებოდნენ. ბარაკებს შორის აგურით ნაშენი კოოპერატიული სახლების გრძელი, ჯერ კიდევ სველი კორპუსები მოჩანდა.

ოსტაპმა განათებულ კუნძულს - რკინიგზების კლუბს გვერდი აუარა, ქაღალდზე მისამართი შეამოწმა და არქივარიუსის პატარა სახლთან შეჩერდა. ზარის თავზე ეწერა - „გთხოვთ, დაატრიალოთ“, და ოსტაპმაც დაატრიალა.

შიგნიდან დიდხანს ეკითხებოდნენ - ვისთან ხართ, რისთვის. მერე, როგორც იქნა, გაუღეს. ოსტაპმა თავი ბნელ, კარადებით სავსე წინკარში ამოყო. სიბნელეში ვიღაც პირდაპირ სახეზე ასუნთქავდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

- სად ცხოვრობს აქ მოქალაქე კორობეინიკოვი? - იკითხა ოსტაპმა.

იმ ვიღაცამ ოსტაპს ხელზე ხელი წაავლო და ჩამოკიდებული ნავთის ლამპით განათებულ სასადილოში შეიყვანა. ოსტაპმა ტანმორჩილი, სუფთა ბერიკაცი დაინახა, რომელსაც არაჩვეულებრივად ელასტიკური ზურგი ჰქონდა. ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა - ეს თვით კორობეინიკოვი უნდა ყოფილიყო. ოსტაპმა მიუპატიჟებლად სკამი მიიწია და დაჯდა.

ბერიკაცი თავხედს თამამად მისჩერებოდა და დუმდა. ოსტაპმა თავაზიანობა გამოიჩინა და საუბარი წამოიწყო.

- მე თქვენთან საქმე მაქვს. თქვენ სატრკომმეურნეობის არქივში მსახურობთ?

ბერიკაცის ზურგი ამოძრავდა და დასტურის ნიშნად ლარივით გასწორდა.

- წინათ საბინაო განყოფილებაში მსახურობდით?

- მე ყველგან ვმსახურობდი, - მხიარულად უპასუხა ბერიკაცმა.

ოსტაპმა გრაციოზულად გაიღიმა. ბერიკაცის ზურგი დიდხანს იკლაკნებოდა და მერე იმ მდგომარეობაში გაჩერდა, რომელიც თითქოს ადასტურებდა, ქალაქის თავის კანცელარიაში სამსახური ძველი საქმეა და ყველაფრის დამახსოვრება კი არავის ძალუძსო.

- იქნებ, მითხრათ, რა საქმე გაქვთ ჩემთან? - ბერიკაცმა მოსულს ინტერესით შეხედა.

- ინებეთ, - მიუგო სტუმარმა, - მე ვორობიანინოვის შვილი ვარ.

- რომლის? წინამძღოლის?

- დიახ.

- განა ცოცხალია?

- მოკვდა, მოქალაქე კორობეინიკოვ, განისვენა.

- ჰოო, - არც თუ ძალიან ნაღვლიანად წარმოთქვა ბერიკაცმა, - დასანანი ამბავია, მაგრამ მას, რამდენადაც მახსოვს, შვილები არ ჰყოლია.

- არ ჰყოლია, - თავაზიანად დაუდასტურა ოსტაპმა.

- მაშ, თქვენ...

- არაფერი. მე მორგანატული ქორწინების ნაყოფი გახლავართ.

- ელენა სტანისლავოვნას შვილი ხომ არ ბრძანდებით?

- დიახ, სწორედ.

- მისი ჯანმრთელობა როგორღა ვიკითხოთ?

- მამან დიდი ხანია, საფლავშია.

- ოჰ, ოჰ! ეჰ, რა საწყენია!

ბერიკაცი დიდხანს მისჩერებოდა ოსტაპს თანაგრძნობის ცრემლებით აღსავსე თვალებით, თუმცა ელენა სტანისლავოვნა სწორედ დღეს, ბაზარში, ხორცის რიგში დაინახა.

- ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, - თქვა ბოლოს მან, - მაინც ხომ არ მეტყვით, პატივცემულო... ბოდიში, თქვენი სახელი...

- ვოლდემარი.

- ვლადიმირ იპოლიტოვიჩი? მშვენიერია! დიახ... მაშ, გისმენთ, ვლადიმირ იპოლიტოვიჩ.

ბერიკაცი ნახატებიანი მუშამბით გადაფარებულ მაგიდას მიუჯდა და ოსტაპს თვალებში ჩახედა.

ოსტაპმა რჩეული სიტყვებით გამოთქვა თავისი მწუხარება მშობლების დაკარგვის გამო. ის ძალიან წუხდა, რომ პატივცემულ არქივარიუსს ასე გვიან შეეჭრა სახლში და თავისი ვიზიტით უსიამოვნება მიაყენა, მაგრამ იმედოვნებდა, ღრმად პატივცემული არქივარიუსი მაპატიებს ამ საქციელს, როცა გაიგებს, აქ რა გრძნობამ მომიყვანაო.

- მე მინდა, - გამოუთქმელი სიყვარულით აღსავსე სიტყვებით დაამთავრა ოსტაპმა, - მამაჩემის სახსოვრად რაიმე მისი ნივთი მქონდეს. ხომ არ იცით, ჩემი მამილოს ავეჯი ვის გადასცეს?

- ძნელი სათქმელია, - მიუგო ბერიკაცმა და ჩაფიქრდა, - თანაც, მაგ საქმეს ფულიანი კაცი უნდა. ბოდიში, თქვენ სად მუშაობთ?

- მე თავისუფალი პროფესიის კაცი ვარ. სამარაში არტელურ საწყისებზე საკუთარი სასაკლაო მაქვს.

ბერიკაცმა ეჭვით შეხედა ახალგაზრდა ვორობიანინოვის მწვანე სამოსელს, მაგრამ არაფერი უთქვამს. გულში კი გაიფიქრა, ,,მოხერხებული ბიჭი ჩანს".

ამასობაში ოსტაპმა კორობეინიკოვის შესწავლა დაამთავრა და დაასკვნა, - ,,ბერიკაცი ტიპური არამზადაა".

- ასე რომ... - თქვა ოსტაპმა.

- ასე რომ, - თქვა არქივარიუსმაც, - ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის.

- ხარჯი დასჭირდება? - წაეხმარა სასაკლაოს მფლობელი.

- სულ ცოტა...

- ილაპარაკეთ გულახდილადო, მოპასანი იტყოდა. ცნობებში ფულს მიიღებთ.

- ასე, სამოცდაათი მანეთი დასჭირდება.

- რა ამბავია? რა, შვრია გაძვირდა, თუ?

ბერიკაცი ახითხითდა და ზურგი აამოძრავა.

- ხუმრობის ხასიათზე ბრძანდებით...

- კარგი, მამილო, ორდერები - თქვენი, ფული - ჩემი. როდის მოვიდე?

- ფული თან გაქვთ?

ოსტაპმა ჯიბეზე ხელი დაირტყა.

- მაშ, ახლავე მობრძანდით, - საზეიმო კილოთი წარმოთქვა კორობეინიკოვმა.

მან სანთელი აანთო და ოსტაპი მეორე ოთახში შეიყვანა. იქ, გარდა ლოგინისა, რომელზეც, ალბათ, სახლის პატრონს უნდა სძინებოდა, საბუღალტრო წიგნებით სავსე საწერი მაგიდა და ღია თაროებიანი, გრძელი საკანცელარიო კარადა იდგა. თაროებზე ნაბეჭდი ასოები იყო მიკრული - ა, ბ, გ, და ასე შემდეგ - საარიერგარდო ჰაემდე. თაროებზე ახალი კანაფით შეკრული ორდერების დასტები ეწყო.

- ოჰო! - აღტაცებით წამოიძახა ოსტაპმა, - მთელი არქივი სახლში გქონიათ.

- დიახ, მთელი არქივი, - თავმდაბლური კილოთი წარმოთქვა არქივარიუსმა, - ყოველი შემთხვევისთვის, ხომ იცით... კოლმეურნეობას ეგ აღარ სჭირდება, მე კი, ვინძლო, სიბერეში გამომადგეს... მოგეხსენებათ, ვულკანზე ვცხოვრობთ... ყველაფერი მოსალოდნელია, ჰოდა - მაშინ ხალხი თავის ავეჯს დაუწყებს ძებნას, სად არის ავეჯი? ავეჯი რა იქნა? აი, აქ არის. აი, კარადაშია. ვინ შეინახა? ვინ მოუარა? კორობეინიკოვმა. ჰოდა, ბატონებო, კორობეინიკოვს, ალბათ, მადლობას ეტყვიან, სიბერეში დაეხმარებიან... მე ბევრი არ მინდა. თითო ორდერში თუმანი მომცენ და - მადლობელი ვიქნები. უჩემოდ კი ვერ მონახავენ. მინდორში ქარი ვის დაუჭერია...

ოსტაპი აღტაცებული მისჩერებოდა ბერიკაცს.

- აი, მესმის, კანცელარია! - თქვა მან, - სულ მექანიზებულია. თქვენ ნამდვილი შრომის გმირი ხართ.

ნასიამოვნებმა ბერიკაცმა სტუმარს მთელი თავისი საქმე დაწვრილებით გააცნო. ჯერ აღრიცხვისა და განაწილების სქელი დავთარი გადაუშალა.

- აი, მთელი სტარგოროდი აქ არის, - უთხრა მან, - მთელი ავეჯი! ვის როდის ჩამოერთვა, ვის მიეცა. აი, ალფაბეტიანი დავთარი - ეს ჩვენი ცხოვრების სარკეა. თქვენ ვისი ავეჯი გაინტერესებთ? პირველი გილდიის ვაჭრის ანგელოვისა? ინებეთ. მონახეთ ასო ანი. აი-ა, აკ, ამ ან, ანგელოვი... ნომერი? აი - 82742. ახლა კი აღრიცხვის წიგნი აიღეთ. გვერდი 142. სად არის ანგელოვი? აი, აქაა. ანგელოვს 1918 წლის 18 დეკემბერს ჩამოართვეს: „ბეკერის“ როიალი №97012, რბილი სკამი - ორი ცალი, ბიურო, ოთხი ცალი გარდერობი (მათგან ორი წითელი ხისა), ერთი შიფონიერი, და ასე შემდეგ. ახლა - ვის მისცეს? გადავშალოთ განაწილების დავთარი. ნომერი იგივეა - 82742... მიეცა - შიფონერი ქალაქის სამხედრო კომისარიატს, სამი ცალი გარდერობი- საბავშვო ინტერნეტს, კიდევ ერთი გარდერობი - სტარგუბსკურსათკომის მდივანს -

პირადი სარგებლობისთვის. როიალი რაღა იქნა? აი, როიალი სოცუზრუნველყოფის მე-2 სახლს მისცეს, და ახლაც იქაა.

„იმ სახლში როიალი რატომღაც არ დამინახავს“, - გაიფიქრა ოსტაპმა და ალხენის მორცხვი სახე გაახსენდა.

- ახლა ქალაქის თავის კანცელარიის მმართველი მურინი ავიღოთ. ეს, რა თქმა უნდა, ასო მანზე უნდა ვეძიოთ. აი, ესეც აქაა, მთელი ქალაქი აქაა, როიალი გნებავთ, ტრიუმოები, სავარძლები, დივნები, ჭაღები... სერვიზებიც აქ გახლავთ.

- იცით, - უთხრა ოსტაპმა, - თქვენ ხელთუქმნელი ძეგლი უნდა აგიგონ. მაგრამ ჩემს საქმესაც ნუ დავივიწყებთ. მე ასო ვინი მაინტერესებს.

- არის ასო ვინი! - შეეპასუხა კორობეინიკოვი, - ახლავე! ვმ, ვნ, ვორიცკი, №48238. ვორობიანინოვი იპოლიტ მატვეევიჩი... მამათქვენი - ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, დიდებული ადამიანი იყო... „ბეკერის“ როიალი №54809, ჩინური ვაზები - ოთხი, ფრანგული ქარხნის „სევრის“ იარლიყით, ნოხები - რვა, სხვადასხვა ზომისა, გობელენი „მწყემსი ქალი“, გობელენი „მწყემსი“, ნოხები - ორი, ერთი ხორასნისა, დათვის ფიტული თეფშით - ერთი, საძინებელი ოთახის გარნიტური - თოთხმეტი ნაჭერი, ყველა ოსტატ ჰამბსის ნახელავი, კაკლის...

- ვისთვის მიუციათ? - მოუთმენლად ჰკითხა ოსტაპმა.

- ახლავე, ახლავე, დათვის ფიტული - მილიციის მეორე რაიონისთვის. გობელენი „მწყემსი“ მხატვრულ ფასეულობათა ფონდშია. გობელენი „მწყემსი ქალი“ - მენავეების კლუბს გადაეცა. ნოხები - ყველა - საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. საძინებელი ოთახის გარნიტურე - მონადირეთა კავშირს. სასადილოს გარნიტური - მთავარჩაის სტარგოროდის განყოფილებას. სასტუმროს გარნიტური კი, კაკლისა, დაუნაწილებიათ. მრგვალი მაგიდა და ერთი სკამი - სოცუზრუნველყოფის მე-2 სახლს. ზურგიანი დივანი - საბინაო განყოფილებას (ახლაც იქ დგას, მთელი ზურგი გაუთითხნეს, არამზადებმა); კიდევ ერთი სკამი - ამხანაგ გრიცაცუევს, როგორც იმპერიალისტური ომის ინვალიდს. მას განცხადება შეუტანია და საბინაო განყოფილების გამგის ამხ. ბურკინის რეზოლუციით მიუციათ. ათი სკამი, განათლების სახალხო კომისარიატს ცირკულიარის თანახმად, მოსკოვში, საავეჯო ოსტატობის მუზეუმში გაუგზავნიათ. ჩინური ვაზები...

- ყოჩაღ! - მხიარულად შესძახა ოსტაპმა, - კონგენიალურია! ნეტავ, ახლა ორდერებიც მაჩვენა.

- ახლავე! ახლავე ორდერებსაც მოგართმევთ. მაშ ასე, №48238, ასო ვინი.

არქივარიუსი კარადასთან მივიდა, ფეხის წვერებზე აიწია და ორდერების შეკვრა გამოიღო.

- აი, მამათქვენის მთელი ავეჯი აქაა. ყველა ორდერი გინდათ?

- არა, ყველა რად მინდა... ისაა... სასტუმროს გარნიტური ბაშვობიდან მახსოვს. მახსოვს, პატარობისას სასტუმროში ხორასნის ნოხზე ვთამაშობიდ და „მწყემს ქალს“ მივჩერებოდი. კარგი დრო იყო... ბავშვობის ოქროს ხანა... ჰოდა, მამილო, სასტუმროს გარნიტური ვიკმაროთ.

არქივარიუსმა სიყვარულით გადაუსვა ხელი მწვანე ქაღალდებს და საჭირო ორდერების ძებნას შეუდგა. მან ხუთი ორდერი ამოარჩია. ერთი - ათი სკამისა, ორი - თითო სკამისა, ერთი - მრგვალი მაგიდის და ერთიც „მწყემსი ქალისა“.

- აი, ინებეთ! სრულ წესრიგშია. სად რა დგას - ყველაფერი აქ წერია. აი, გვერდებზე, მიმღებების მისამართები და ხელისმოწერაა. უარის თქმას ვერავინ გაბედავს. იქნებ, გენერლის ცოლის პოპოვას გარნიტურიც გნებავთ. ისიც ჰამბსის ნახელავია.

მაგრამ ოსტაპს მხოლოდ მშობლების სიყვარული ამოქმედდა. ორდერებს ხელი დასტაცა და ჯიბეში ღრმა ჩაიტენა, პოპოვას გარნიტურზე კი უარი განაცხადა.

- შეიძლება, ხელწერილი დავწერო? - ჰკითხა არქივარიუსმა და წელში მარდად გაიმართა.

- შეიძლება, - თავაზიანად დათანხმდა ოსტაპი, - დაწერეთ, იდეისათვის მებრძოლო!

- ახლავე დავწერ.

- მისცხე!

ისევ პირველ ოთახში დაბრუნდნენ. კორობეინიკოვმა კალიგრაფიული ხელით ხელწერილი დაწერა და სტუმარს ღიმილით გაუწოდა. მთავარმა კონცესიონერმა ქაღალდი თავაზიანად, მარჯვენა ხელის ორი თითით ჩამოართვა და იმავე ჯიბეში ჩაიდო, სადაც ძვირფასი ორდერები ჰქონდა.

- აბა, ნახვამდის, - უთხრა მან და თვალები მოჭუტა, - მგონი, ძალიან შეგაწუხეთ. ახლა კი მართლაც საკმარისია. მომეცით ხელი, კანცელარიის მმართველო!

თავგზააბნეულმა არქივარიუსმა თითები უნდილად მოუჭირა.

- ნახვამდის, - გაიმეორა ოსტაპმა და კარისკენ წავიდა.

კორობეინიკოვმა ვერაფერი გაიგო: მან მაგიდას დახედა, სტუმარმა ფული ხომ არ დადოო, მაგრამ ფული არსად ჩანდა. მაშინ არქივარიუსმა ძლივს გასაგონად ჰკითხა: - ფული?

- ფული? - გაიკვირვა ოსტაპმა და კარი გამოაღო, - რომელ ფულზე მელაპარაკებით?

- რომელი და... ავეჯის... ორდერების.

- მტრედო, - წამოიმღერა ოსტაპმა, - ღმერთმანი, ჩემი განსვენებული მამის სულს გეფიცები... განა არ მემეტება? მაგრამ რომ არა მაქვს? მიმდინარე ანგარიშიდან აღება დამავიწყდა.

ბერიკაცი აკანკალდა და თავისი გამხდარი ხელი წინ გაიწოდა. მას მომსვლელის დაკავება უნდოდა.

- ფრთხილად, ჩერჩეტო! - მუქარის კილოთი წარმოთქვა ოსტაპმა, - რუსულ ენაზე გეუბნებიან - ხვალ! მორჩა! აბა, ნახვამდის. მოიწერე ხოლმე...

კარი ხმაურით მოიხურა. კორობეინიკოვმა კარი ისევ გამოაღო და ქუჩაში გამოვარდა, მაგრამ ოსტაპი აღარსად ჩანდა. ის უკვე ხიდის შორიახლო მიდიოდა. ვიადუკს ლოკომოტივი მიუახლოვდა, თავისი ცეცხლით გაანათა და კვამლში გაახვია.

- ყინული დაიძრა! - შესძახა ოსტაპმა მემანქანეს, - ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, ყინული დაიძრა!

მემანქანემ ვერ გაიგონა და ხელი ჩაიქნია. მანქანის ბორბლები უფრო გამალებით დატრიალდა და ორთქლმავალი თვალს მოეფარა.

კორობეინიკოვი გამყინავ ქარში ორიოდ წუთს იდგა და საძაგლად იგინებოდა. მერე სახლში შებრუნდა. გამოუთქმელი ბოღმა ახრჩობდა. შუა ოთახში შეჩერდა და მაგიდას გააფთრებით წიხლები დაუშინა. მაგიდაზე კალოშის მსგავსი საფერფლე ახტუნდა, რომელსაც წითელი ასოებით ,,კრასნი ტრეუგოლნიკი" ეწერა; ჭიქა გრაფინს მიეჯახა.

ბართლომე კორობეინიკოვი ასე უსინდისოდ ჯერ არავის მოუტყუებია. თვითონ იგი ვისაც გინდოდათ, იმას მოატყუებდა, მაგრამ ახლა პირდაპირ გენიალური უბრალოებით გააცურეს და გამწარებული ბერიკაცი კიდევ დიდხანს ურტყამდა წიხლებს სასადილო მაგიდას.

გუსიშჩეზე კორობეინიკოვს ვარფოლომეიჩს ეძახდნენ. მასთან მხოლოდ ძალიან გაჭირვებული თუ მივიდოდა. ვარფოლომეიჩი გირაოდ ნივთებს იტოვებდა და მოვალეს პირდაპირ სულს ხდიდა. ამ საქმიანობას უკვე რამდენიმე წელია, ეწეოდა და ჯერ არც ერთხელ არ ჩავარდნილა, ახლა კი თავისი საუკეთესო კომერციული წამოწყება გაუხუნდა, რომლიდანაც დიდ შემოსავალს და ტკბილ სიბერეს ელოდა.

- მორჩა! - შეჰყვირა მან, - ამას იქით ფულს წინდაწინ გამოვართმევ. ეს რა დამემართა? სასტუმროს კაკლის ხის გარნიტური ჩემი ხელებით გავაჩუქე. მარტო ,,მწყემსი ქალი" რად ღირს! სულ ხელითაა ამოქარგული.

შემოსასვლელის კარს, ზევიდან რომ ,,დაატრიალეთ" ეწერა, უკვე კარგა ხანი იყო, ვიღაცის გაუბედავი ხელი ატრიალებდა. ვარფოლომეიჩმა ის იყო გაიხსენა, შემოსასვლელი კარი ღია დავტოვეო, რომ წინკარში მძიმე ბრახუნი გაისმა და ვიღაცამ, კარადების ლაბირინთში რომ ჩაკარგულიყო, იკითხა: - შესასვლელი სად არის?

ვარფოლომეიჩი წინკარში გავიდა, ვიღაცის პალტოს ხელი მოუსვა (პალტო დრაფისა უნდა ყოფილიყო) და სასადილოში მამა თევდორე შეიყვანა.

- სულგრძელად მაპატიეთ, - უთხრა მამა თევდორემ.

ერთმანეთს კარგა ათი წუთი სცდიდნენ და სინჯავდნენ. მერე გამოირკვა, რომ მოქალაქე კორობეინიკოვს რაღაც ცნობები გააჩნდა ვორობიანინოვის ავეჯის გარშემო, ხოლო მამა თევდორე თანახმა იყო, ამ ცნობებში ფული გადაეხადა. არქივარიუსი განსაკუთრებით იმან ასიამოვნა, რომ ეს სტუმარი ვორობიანინოვის ღვიძლი ძმა აღმოჩნდა და ძალიან უნდოდა, ძმის სამახსოვროდ მისი სასტუმროს კაკლის ხის გარნიტური შეეძინა. ამ გარნიტურთან ვორობიანინოვის ძმას ბავშვობის უნაზესი მოგონებები აკავშირებდა.

ვარფოლომეიჩმა ასი მანეთი მოითხოვა. მომსვლელი კი ძმის ხსოვნას გაცილებით უფრო ნაკლებად, სულ ოცდაათ მანეთად აფასებდა. ბოლოს ორმოცდაათ მანეთზე მორიგდნენ.

- ოღონდ, ფული - წინდაწინ, - განუცხადა არქივარიუსმა, - მე ასეთი წესი მაქვს.

- მე მხოლოდ ოქროს თუმნიანები წამოვიღე, - შეწუხდა მამა თევდორე და პიჯაკის სარჩული გამოარღვია, - მიიღებთ?

- კურსის მიხედვით მივიღებ. დღევანდელი კურსი ცხრანახევარია.

ვოსტრიკოვმა ტილოს ძეხვიდან ხუთი ყვითელი თუმნიანი ამოიღო, ორი და ათი შაური ვერცხლი დაუმატა და მთელი ეს გროვა არქივარიუსს მიუწია.

ვარფოლომეიჩმა ფული ორჯერ გადათვალა, მერე სტუმარს სთხოვა - ცოტა მომიცადეთო, და ორდერების მოსატანად გავიდა, თავის საიდუმლო კანცელარიაში იგი დიდხანს არ დაყოვნებულა. ალფაბეტი ასო პა-ზე გადაშალა, საჭირო ნომერი იპოვა და თაროდან გენერლის ცოლის პოპოვას გარნიტურის ორდერები გადმოიღო. მათგან ერთი ამოარჩია, რომლის ძალითაც ამხანაგ ბრუნსს ყურძნის ქუჩაზე №34 სახლში რომ ცხოვრობდა, ჰამბსის ფაბრიკის თორმეტი ცალი კაკლის ხის სკამი მიეღო. ვარფოლომეიჩი თვითონვე გახარებული დარჩა, რა მოხერხებული და საზრიანი ვყოფილვარო, და ორდერი მყიდველს გაუტანა.

- ყველა სკამი ერთადაა? - შეჰყვირა მყიდველმა.

- ყველა. სულ ერთიმეორის გვერდით დგას. შესანიშნავი გარნიტურია. ძალიან კმაყოფილი დარჩებით. თუმცა, რა ჩემი ახსნა გჭირდებათ...

მამა თევდორე დიდხანს უგულითადესად ართმევდა ხელს არქივარიუსს. მერე წინკარში გავიდა, რამდენჯერმე კარადებს დაეჯახა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ვარფოლომეიჩს დიდხანს ეცინებოდა გაბრიყვებულ მყიდველზე. ოქროს ფულები მაგიდაზე დააწყო და, ძილმორეული კიდევ დიდხანს მისჩერებოდა ბრჭყვიალა თუმნიანებს.

„ნეტავ, ეს ხალხი რამ გააგიჟა?! - გაიფიქრა მან, - რა ყველანი ვორბიანინოვის ავეჯს „დასდებიან“.

მერე გაიხადა, უგულისყუროდ ილოცა, ვიწრო ლოგინში ჩაწვა და შფოთიანად ჩაეძინა.

12. ვნებიანი ქალი - ოცნება პოეტის

ღამემ სიცივე ერთიანად შთანთქა. ისე დათბა, რომ ადრიან გამვლელებს ფეხები უბუჟდებოდათ, ბეღურები სულელურად ჟღურტულებდნენ. სასტუმროს ეზოში სამზარეულოდან ქათამი გამოვიდა, ძალთა უჩვეულო მოზღვავება იგრძნო და აფრენა დააპირა. ცა ღრუბლების წვრილი ნაფლეთებით იყო სავსე, სანაგვე ყუთიდან კი იასამნის და პეიზანის წვნიანის სურნელი მოდიოდა. ლავგარდანს ქარი აკვნესებდა. კატები სახურავზე გაწოლილიყვნენ, თვალები მოწყალედ მოეჭუტათ და

ეზოს გასჩერებოდნენ. ეზოში დერეფნის მორიგე ალექსანდრე გარბოდა და ჭუჭყიანი თეთრეულის გროვა მიჰქონდა.

,,სორბონის“ დერეფნებში ხმაური იდგა. ტრამვაის გაშვებაზე დასასწრებად მაზრებიდან დელეგატები ჩამოსულიყვნენ. სასტუმროს ეტლიდან, ,,სორბონა“ რომ ეწერა, დელეგატების მთელი ბრბო ჩამოხტა. მზე სულითა და გულით აცხუნებდა. მაღაზიების ლითონის ფარდები ზევით მიფრინავდა. საბჭოთა მოსამსახურეებს, სამსახურში რომ დაბამბული პალტოებით მოსულიყვნენ, სული ეხუთებოდათ და პალტოებს იხსნიდნენ. გაზაფხულის ძლიერება მათაც იწვნიეს. კოოპერატიულ ქუჩაზე მელმშენის გადატვირთულ საბარგო მანქანას ღერძი გაუტყდა. შემთხვევის ადგილზე იმ წამსვე ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვი გაჩნდა და რჩევა-დარიგების მიცემას შეუდგა. უბრალო ფუფუნებით მოწყობილი ნომრიდან (სულ ორი საწოლი და ერთი საღამური მაგიდა რომ იდგა) ცხენის ჭიხვინი მოისმა: იპოლიტ მატვეევიჩი მხიარულად იბანდა პირს და ცხვირს იწმენდდა. დიდი კომბინატორი ლოგინში იწვა და დახვეულ შტიბლეტებს ათვალიერებდა.

- ჰო, მართლა, - წაილაპარაკა მან, - რატომ ვალს არ მიხდით?

იპოლიტ მატვეევიჩმა პირსახოციდან თავი გამოყო და კომპანიონს უპენსნო, გადმოკარკლული თვალებით მიაჩერდა.

- აგრე ჯარისკაცი ტილს მიაჩერდება ხოლმე! რა გიკვირთ? ვალი რომ გაქვთ? თქვენ მართლაც ჩემი ფული გმართებთ. გუშინ დამავიწყდა და არ მითქვამს, რომ ორდერებში, თქვენ მიერ ბოძებულ რწმუნებათა თანახმად, სამოცდაათი მანეთი გადავიხადე. აი, ხელწერილი. ოცდათხუთმეტი მანეთი გადმომიგდეთ. ვიმედოვნებ, კონცესიონერები ხარჯებში თანაბრად მონაწილეობენ.

იპოლიტ მატვეევიჩმა პენსნე მოირგო, ხელწერილი წაიკითხა და ფული უხალისოდ მისცა, მაგრამ გუნება მაინც არ გაფუჭებია. სიმდიდრე ხომ თითქმის ხელთ ეპყრა! სამთუმნიანი ნამცეცივით ჩაიკარგა ბრილიანტების ბრწყინვალე მთაგრეხილში.

ღიმილით გასხივოსნებული იპოლიტ მატვეევიჩი დერეფანში გამოვიდა და სეირნობა დაიწყო. ახალისებდა ახალი, სიმდიდრის საძირკველზე აგებული ცხოვრების გეგმები. გუნებაში მამა ვოსტრიკოვს დასცინოდა, - ჩერჩეტი იყო და ჩერჩეტად დარჩება, სკამებს ისევე ვერ ნახავს, როგორც საკუთარ წვერსო.

ვორობიანინოვი დერეფნის ბოლომდე მივიდა და მოტრიალდა. ანაზდად №13, თეთრად შეღებილი და ბზარებით დასერილი კარი გაიღო და მამა თევდორე გამოვიდა. მას ლურჯი ხალათი ეცვა, რომელზეც შავი, გაცვეთილი, მაგრამ მდიდრულფუნჯიანი ქამარი ჰქონდა შემორტყმული. კეთილი სახე ბედნიერად უბრწყინავდა. დერეფანში ისიც სასეირნოდ გამოსულიყო. მეტოქეები რამდენჯერმე შეხვდნენ, ერთმანეთს ქედმაღლურად გადახედეს და გზა განაგრძეს. დერეფნის თავსა და ბოლოში ორივენი ერთად მოტრიალდებოდნენ ხოლმე და ისევ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ... იპოლიტ მატვეევიჩის მკერდში აღტაცება ბობოქრობდა. მამა თევდორეც იმავე გრძნობით იყო შეპყრობილი. დამარცხებული, განადგურებული მეტოქე ორივეს ეცოდებოდა. ბოლოს, მეხუთე გზობაზე იპოლიტ მატვეევიჩმა ვეღარ მოითმინა.

- გამარჯობა, მამაო, - გამოუთქმელად დამტკბარი ხმით მიმართა მან მღვდელს.

მამა თევდორემ მთელი სარკაზმი მოაგროვა, ღმერთს რომ მისთვის გაემეტებინა, და უპასუხა: - დილა მშვიდობისა, იპოლიტ მატვეევიჩ!

მტრები ერთმანეთს გაშორდნენ. როცა მათი გზები ისევ შეიყარა, ვორობიანინოვმა წაილაპარაკა: - უკანასკნელი შეხვედრისას ხომ არაფერი გატკინეთ?

- როგორ გეკადრებათ... ძალიან სასიამოვნო შეხვედრა იყო, - საზეიმო კილოთი მიუგო ვოსტრიკოვმა.

ისევ დაშორდნენ. მღვდლის ფიზიონომიამ იპოლიტ მატვეევიჩს ნერვები აუშალა.

- მგონი, წირვა-ლოცვას აღარ უნდა მისდევდეთ, ხომ? - ჰკითხა მან მორიგი შეხვედრისას.

- ვიღასთვის ვწირო? სამწყსო დამეფანტა. ქალაქებში დარბიან და განძს ეძებენ.

- გახსოვდეთ - საკუთარ განძს ეძებენ. დიახ!

- ვის განძს ეძებენ, ეგ მე არ ვიცი, ოღონდ ეძებენ კი...

იპოლიტ მატვეევიჩს უნდოდა რაიმე გულისმომკვლელი ეთქვა. პირიც კი გააღო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და გაანჩხლებულმა თავის ნომერს მიაშურა. ერთი წუთის შემდეგ იქიდან თურქეთის ქვეშევრდომის შვილი გამოვიდა. ოსტაპ ბენდერს ცისფერი ჟილეტი ეცვა. იგი საკუთარი ფეხსაცმლის თასმებზე ფეხის დაბიჯებით ვოსტრიკოვისკენ გაეშურა. მამა თევდორეს ლოყებზე ვარდები დაუჭკნა და ფერფლად ექცა.

- ძველ ხარახურას ყიდულობთ? - მრისხანედ ჰკითხა ოსტაპმა, - სკამებს? შიგნეულს? თუ ვაქსის კოლოფებს?

- რა გნებავთ? - წაიჩურჩულა მამა თევდორემ.

- თქვენთვის ძველი შარვლის მოყიდვა მნებავს.

მღვდელს გააცივა. უკან დაიხია.

- რას გაჩუმებულხართ, თითქოს არქიეპისკოპოსი იყოთ და მთხოვნელებს იღებდეთ.

მამა თევდორემ ნელ-ნელა თავის ნომერს მიაშურა.

- ძველმანებს ყიდულობ და ახლებს კი იპარავ, არა? - კვალდაკვალ მიადევნა ოსტაპმა.

ვოსტრიკოვმა თავი მხრებში ჩარგო და თავის კართან გაჩერდა. ოსტაპი კი არ ცხრებოდა.

- ჰა, კულტის პატივცემულო მსახურო, მაშ, შარვალს არ იყიდი? თქვი, იყიდი თუ არა? ჟილეტის სახელოებიცა მაქვს, ბლითის ნახვრეტიც, მკვდარი ვირის ყურებიც. ყველაფერს ერთად მოგყიდი და იაფად გამოხვალ! სკამების ქექვაც აღარ დაგჭირდება. ა?

კულტის მსახურმა კარი მიიხურა.

ოსტაპი დაკმაყოფილდა და უკან გაბრუნდა, თან თასმებს მიატყაპუნებდა. როცა მისი მძლავრი ფიგურა უკვე საკმაოდ შორს იყო, მამა თევდორემ სწრაფად გამოყო თავი და შეგუბებული ბრაზით მიაძახა: - ჩერჩეტი შენ თვითონ ხარ!

ოსტაპი გამოქანდა, საკლიტურს მივარდა, ხელები ტუჩთან მიიტანა და გარკვევით წარმოთქვა: - რა ღირს ხალხისთვის ოპიუმი?

კარს იქით დუმდნენ.

- მამილო, თქვენ გაფუჭებული კაცი ხართ, - დაუყვირა ოსტაპმა.

ამ დროს საკლიტურიდან ფანქრის წვერი გამოძვრა. მამა თევდორეს მტრის დაჭრა გადაეწყვიტა. კონცესიონერმა მოასწრო და ფანქარს ხელი სტაცა. მტრები, რომელთაც კარი ჰყოფდა, ფანქარს ხმისამოუღებლად თავთავისკენ ეწეოდნენ.. სიჭაბუკემ გაიმარჯვა და ფანქარი ნელა გამოძვრა საკლიტურიდან. ოსტაპმა ტროფეი ნომერში წაიღო და კომპანიონები უფრო მეტად გამხიარულდნენ.

- მტერი კი გარბოდა, გარბოდა, გარბოდა! - წამოიმღერა ოსტაპმა.

მან ფანქრის წიბოზე ჯიბის დანით შეურაცხმყოფელი სიტყვა ამოჭრა, დერეფანში გამოვარდა, ფანქარი კლიტის ამბრაზურაში შეაგდო და უკანვე დაბრუნდა.

მეგობრებმა მწვანე ორდერები ამოიღეს და მათი გულდასმით შესწავლას შეუდგნენ.

- „მწყემსი ქალის“ ორდერი, - ოცნებით წარმოთქვა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ეს გობელენი მე პეტერბურგში, ანტიკვართან ვიყიდე.

- ეშმაკსაც წაუღია! - შესძახა ოსტაპმა და ორდერი ნაფლეთებად აქცია.

- მრგვალი მაგიდა... ეტყობა, გარნიტურისაა...

- აქ მომეცით. ამასაც ეშმაკებისკენ გზა ჰქონია.

დარჩა ორი ორდერი - 10 სკამისა, მოსკოვის საავეჯო მუზეუმს რომ წაეღო და ერთი სკამისა, სტარგოროდელ ამხანაგს გრაცაცუევს რომ რგებოდა.

- ფულს გაუფრთხილდით, - თქვა ოსტაპმა, - იქნებ, მოსკოვში წასვლა დაგვჭირდეს.

- ერთი სკამი ხომ აქვეა?

- ეგ ერთი შანსია ათის წინააღმდეგ. მათემატიკა ასე გვასწავლის. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გრაცაცუევმა სკამი ღუმელში არ შეუკეთა.

- ასე გულსაკლავად რატომ ხუმრობთ?

- არაფერია, არაფერი, ლიბერ ფატერ კონრად კარლოვიჩ მიხელსონ. ვიპოვით, ღმერთი ჩვენკენაა. ბატისტის ფეხსახვევებიც გვექნება და კრემ „მარგოთიც“ გამოვძღებით.

- მე რატომღაც მგონია, რომ განძეული სწორედ ამ სკამში უნდა იყოს, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- აჰ... თქვენ ასე გგონიათ? მეტი არაფერი გგონიათ? კეთილი, მოდი, მარქსისტულად ვიმუშაოთ. ზეცა ფრინველებს დავუთმოთ, ჩვენ კი სკამებს მივხედოთ. მე ერთმა სურვილმა გამტანჯა: იმპერიალისტური ომის ინვალიდის, მოქალაქე გრიცაცუევის ნახვა მინდა. იგი პლეხანოვის ქუჩაზე, თხუთმეტ ნომერ სახლში ცხოვრობს. არ ჩამომრჩეთ, კონრად კარლოვიჩ! გეგმა გზადაგზა შევადგინოთ.

როცა მამა თევდორეს კარს ჩაუარეს, თურქეთის ქვეშევრდომის შურისმგებელმა შვილმა მას წიხლი უთავაზა. ნომრიდან გაწამებული კონკურენტის სუსტი ღრენა მოისმა.

- უკან არ გამოგვეკიდოს, - შეშინდა იპოლიტ მატვეევიჩი.

- დღეს მინისტრები ერთმანეთს ორჩხობელზე შეხვდნენ. ამის შემდეგ ყოველგვარ დაახლოებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგას ჩემი ეშინია.

მეგობრები საღამოს დაბრუნდნენ. იპოლიტ მატვეევიჩი შეფიქრიანებული იყო, ოსტაპს კი სახე უბრწყინავდა. მას ახალი, ხენდროსფერი, რეზინისქუსლებიანი ფეხსაცმელები და ჭადრაკული შავ-მწვანე წინდები ეცვა, კრემისფერი კეპი ეხურა და ყელზე აბრეშუმნარევი რუმინული ელფერის შარფი ჰქონდა მოხვეული.

- სკამი კი მანდ არის, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მაგრამ ხელთ როგორ ვიგდოთ? ვიყიდოთ?

- არავითარ შემთხვევაში! - მიუგო ოსტაპმა, - ჯერ ერთი, ეგ წყალში ფულის გადაყრა იქნება და, მეორეც, მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. იკითხავენ, რაღა ერთი სკამი იყიდეს? რატომ მიანცდამაინც ეს სკამი იყიდეს?

- მაშ, რა ვქნათ?

- შიკ-მოდერნ, - თქვა მან, - რა ვქნათ? დამშვიდდით, ბატონო თავმჯდომარე, ამ ოპერაციას მე ვკისრულობ. ამ ფეხსაცმელებს ვერც ერთი სკამი ვერ გაუძლებს.

- არა, იცით, - გამოცოცხლდა იპოლიტ მატვეევიჩი, - თქვენ რომ ქალბატონ გრიცაცუევას წყალდიდობაზე ელაპარაკებოდით, მე ჩვენს სკამზე ვიჯექი და, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რაღაც მაგარი ვიგრძენი. ღმერთმანი, განძი მაგ სკამშია... გული მეუბნება, ღმერთმანი!

- მოქალაქე მიხელსონ, დამშვიდდით.

- მოდი, ამაღამ მოვიპაროთ. ა? ღმერთმანი!

- ბატონო თავადაზნაურობის წინამძღოლო, ასე რამ დაგაწვრილმანათ? განა თქვენ ამ საქმის ტექნიკას იცნობთ? ან, იქნებ, თქვენს ჩემოდანში საქურდალი ინსტრუმენტები გიწყვიათ? დაივიწყეთ, უბედური ქვრივის გაძარცვა ნამდვილი თავქარიანობა იქნებოდა.

იპოლიტ მატვეევიჩი გონს მოვიდა.

- ვეღარ ვითმენ, - ვედრებით წარმოთქვა მან.

- აჩქარება ნამდვილად არ ივარგებს, - დამრიგებლურად წარმოთქვა ოსტაპმა, - მე მაგ ქალს ცოლად შევირთავ.

- ვის?

- მადამ გრიცაცუევას.

- რატომ?

- იმისთვის, რომ სკამი მშვიდად და უხმაუროდ გავქექო.

- სიკვდილამდე ხელიდან ვეღარ დაუძვრებით.

- კონცესიის კეთილდღეობისთვის ყველაფერზე მზად ვარ.

- სიკვდილამდე, - წაიჩურჩულა იპოლიტ მატვეევიჩმა.

განცვიფრებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა ორივე ხელი ჩაიქნია. გაპარსული სახე დაემანჭა. გამოუჩნდა ცისფერი, ქალაქ №-დან გამომგზავრების შემდეგ გაუწმენდავი კბილები.

- მთელი სიცოცხლე - სიკვდილამდე! - წაიჩურჩულა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ეს დიდი მსხვერპლია.

- სიცოცხლე! - თქვა ოსტაპმა, - მსხვერპლი! რა იცით თქვენ სიცოცხლისა და მსხვერპლისა! თქვენ გგონიათ, რაკი სახლიდან გამოგასახლეს, ცხოვრებასაც იცნობთ? თქვენ ჩინური ვაზა ჩამოგართვეს და ეს მსხვერპლი გგონიათ? ცხოვრება, ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, რთული რამაა, მაგრამ, ბატონებო, ეს რთული რამ სკივრივით უბრალოდ იღება. ოღონდ გაღება უნდა იცოდე. ვისაც ეს არ შეუძლია, იღუპება. თქვენ განდეგილი ჰუსარის ამბავი გაგიგონიათ?

იპოლიტ მატვევიჩს არ გაეგონა.

- ბულანოვი, არისტოკრატული პეტერბურგის გმირი არ გაგიგონიათ? მაშ, მომისმინეთ.

და ოსტაპ ბენდერმა იპოლიტ მატვეევიჩს ერთი ისტორია უამბო. ამ ისტორიის საოცარმა დასაწყისმა თავის დროზე მთელი პეტერბურგი ააღელვა. ხოლო კიდევ უფრო საოცარი დასასრული უკანასკნელ წლებში დაიკარგა და სრულიად არავის შეუმჩნევია.

ამბავი განდეგილი ჰუსარისა

ბენდერმა სიმართლე თქვა - ბრწყინვალე ჰუსარი, გრაფი ალექსი ბულანოვი არისტოკრატიული პეტერბურგის გმირი იყო. ამ ბრწყინვალე კავალერისა და მოქეიფის სახელი მუდამ პირზე ეკერა ინგლისური სანაპიროს სასახლეთა ამპარტავან მკვიდრთს და გაზეთების ქრონიკიორებს. ილუსტრირებული ჟურნალების გვერდებზე ხშირად ნახავდით კალმით ნახატი ჰუსარის ფოტოგრაფიულ სურათებსაც. მას ბრანდენბურებით მოარშიავებული და კრაველით დამშვენებული კურტაკი ეცვა, ხოლო თმა მაღლა ჰქონდა ავარცხნილი. მისი მოკლე ცხვირი ნამდვილი ძლევამოსილების განსახიერება იყო.

გრაფ ბულანოვს ფეხდაფეხ დასდევდა საიდუმლო დუელების მონაწილის სახელი და დიდება, რომელთაც საბედისწერო შედეგი ჰქონდა. მას აშკარა რომანები ჰქონდა ულამაზეს და მიუწვდომელ ქალებთან. უყვარდა საზოგადოებაში პატივცემულ პიროვნებათა გაპამპულება და აზარტული ქეიფები, რომელნიც მუდამ პოლიციელების ცემით მთავრდებოდა.

გრაფი ლამაზი, ახალგაზრდა და მდიდარი იყო. მას ბედი სწყალობდა სიყვარულშიც, კარტშიც და ქონების მემკვიდრეობაშიც. მისი ნათესავები პირდაპირ მიჯრით იხოცებოდნენ და მათი მემკვიდრეობა ამრავლებდა გრაფის ისედაც აურაცხელ სიმდიდრეს.

გრაფი თამამი და შეუპოვარი იყო. იგი აბისინიის ნეგუსს მენელიკს იტალიელებთან ომში ეხმარებოდა. თეთრ ბურუსში გახვეული იჯდა აბისინიის ვეებერთელა ვარსკვლავების ქვეშ და ადგილის სამვერსიან რუკას დასჩერებოდა. ჩირაღდნის სინათლე გრაფის ავარცხნილ თმას მოფარფატე ჩრდილებს ესროდა. გრაფის ფეხებთან კი ახალი მეგობარი, აბისინიელი ბიჭი ვასკა ჩაცუცქულიყო.

იტალიის მეფის ჯარები რომ გაანადგურა, გრაფი აბისინიელ ვასკასთან ერთად პეტერბურგში დაბრუნდა. სატახტო ქალაქი გმირს ყვავილებითა და შამპანურით შეეგება. გრაფმა ალექსიმ ისევ ცხოვრებით უსასრულო ტკბობას მისცა თავი. იგი ახლა გაორკეცებულ აღტაცებას იწვევდა. ქალები მისთვის თავებს იწამლავდნენ, მამაკაცები კი შურით იღრინებოდნენ. გრაფის კარეტის საფეხურზე მილიონნაიაზე რომ ჩაიქროლებდა ხოლმე, მუდამ აბისინიელი იდგა და გამვლელებს თავისი სიშავითა და ტანკენარობით აოცებდა.

და უეცრად ყველაფერი დამთავრდა. გრაფი ალექსი ბულანოვი სადღაც გაქრა. გრაფის უკანასკნელი სატრფო, ქალბატონი ბელორუსკო-ბალტიისკაია უნუგეშობამ მოიცვა. გრაფის გადაკარგვამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაზეთები დაიბნენ. მაძებრებს არაქათი გამოელიათ, მაგრამ გრაფის კვალს ვერავინ მიაგნო. როცა პეტერბურგი ცოტათი მიწყნარდა, ავერკის უდაბნოდან წერილი მოვიდა და საქმეს ნათელი მოჰფინა. ბრწყინვალე გრაფი, არისტოკრატული პეტერბურგის გმირი, XIX საუკუნის ბალთაზარი ბერად შემდგარიყო. საშინელ წვრილმანებს ყვებოდნენ. ამბობდნენ, გრაფი მრავალფუთიან ბორკილებს ატარებსო. ეს ადამიანი რჩეულ ფრანგულ საჭმელებს რომ იყო მიჩვეული, ახლა კარტოფილის ნაფცქვენებით იკვებებაო. ცდილობდნენ, ამ საშინელი ამბის მიზეზი გამოეცნოთ. ამბობდნენ, გრაფს მიცვალებული დედა გამოეცხადაო. ქალები ტიროდნენ. ქალბატონ ბელორუსკო-ბალტიისკაიას სახლის შესასვლელთან კარეტების რიგი იდგა: ქალბატონი და მისი ქმარი სამძიმრებს იღებდნენ. მითქმა-მოთქმას ბოლო არ უჩანდა. ფიქრობდნენ, გრაფი უკანვე დაბრუნდებაო. ამბობდნენ, ეს დროებითი შეშლილობაა რელიგიურ ნიადაგზეო. სხვები ამტკიცებდნენ, გრაფი ვალებს გაექცაო. მესამენი კი ფიქრობდნენ, ყველაფრის მიზეზი უბედური რომანიაო.

ნამდვილად კი ჰუსარი ბერად იმისთვის შედგა, რომ ცხოვრების ზარი შეეცნო. იგი უკან აღარ დაბრუნებულა. გრაფი თანდათან დაივიწყეს. ქალბატონი ბალტიისკაია იტალიელ მომღერალს დაუმეგობრდა, აბისინიელი ვასკა კი სამშობლოში გაემგზავრა.

გრაფმა ალექსი ბულანოვმა ევპლა დაირქვა და საკუთარი სხეულის გვემას მიჰყო ხელი. იგი ვერ იგებს მართლაც ატარებდა, მაგრამ ფიქრობდა, ეს საკმარისი არ არისო. მაშინ საკუთარის აბერო ტანსაცმელი გამოიგონა: კლობუკი, რომლის წინაფრაც სახეს უმალავდა, ხოლო ანაფორა მოძრაობაში ხელს უშლიდა. ტანისამოსი იღუმენს აკურთხებინა და ჩაიცვა, მაგრამ ესეც ეცოტავა. სიამაყით შეპყრობილი ტყეში წავიდა, მიწური იპოვა და მუხის კუბოში იწყო ცხოვრება.

ევპლას საქციელმა ბერები განაცვიფრა. იგი მხოლოდ ორცხობილას ჭამდა. ორცხობილა მასთან სამ თვეში ერთხელ მიჰქონდათ.

ასე გაიარა ოცმა წელმა. ევპლა ფიქრობდა, ჩემი ცხოვრება ბრძნული და სწორიაო. მისი ცხოვრება მართლაც არაჩვეულებრივად იოლი იყო, ხოლო მისმა აზრებმა ბროლისებური გამჭვირვალობა შეიძინა. ევპლა ჩასწვდა ცხოვრების აზრს და გაიგო, სხვანაირად ცხოვრება არ შეიძლებაო.

ერთხელ ის ძალიან გაოცდა, როცა დაინახა, რომ იმ ადგილას, სადაც ოცი წლის განმავლობაში ორცხობილას პოულობდა, ამჯერად არაფერი არ იყო. მას ოთხი დღე არაფერი ეჭამა. მეხუთე დღეს ვიღაც უცნობი ბერიკაცი მოვიდა და უთხრა, ბერები ბოლშევიკებმა გაასახლეს, სამონასტროში კი საბჭოთა მეურნეობა გახსნესო. ბერიკაცი ტიროდა. მან ევპლას რამდენიმე ორცხობილა დაუტოვა და წავიდა. განდეგილმა ბერიკაცს ვერაფერი გაუგო, ნათელი და წყნარი ევპლა კუბოში იწვა და სიცოცხლის აზრს ესიყვარულებოდა. ბებერმა გლეხკაცმა ორცხობილა კიდევ რამდენჯერმე მოუტანა.

ასე გაიარა რამდენიმე მშვიდმა წელიწადმა.

ერთხელ მიწურის კარი გაიღო და რამდენიმე კაცი შემოვიდა. ისინი კუბოს მიუახლოვდნენ და ხმაამოუღებლად მიაჩერდნენ. ყველა ტანადი იყო. დეზებიანი ჩექმები და ვეებერთელა გალიფეები ეცვათ, წელზე კი ხის ბუდიანი მაუზერები ეკიდათ. ბერიკაცი კუბოში იწვა, ხელები წინ გაეშვირა და მოსულებისთვის შუქმოსილი მზერა მიეპყრო. გრძელი, მსუბუქი ჭაღარა წვერი კუბოს ნახევარს ფარავდა. უცნობებმა დეზები ააწკარუნეს, მხრები აიჩეჩეს და წავიდნენ. კარი ფრთხრილად გაიხურეს.

დრო მიდიოდა. სიცოცხლის სიტკბოება და სიღრმე განდეგილმა ბოლომდე შეიცნო. ერთ დღეს იგი საბოლოოდ დარწმუნდა, ჩემს ცნობიერებაში უსასრულო ნათელი სუფევსო, მაგრამ დამდეგ ღამეს ანაზდად გაიღვიძა. ამან ძალიან გააკვირვა. ღამით იგი არასოდეს იღვიძებდა. ჩაფიქრდა, ნეტავ, რამ გამაღვიძაო, ისევ ჩაიძინა, და მოულოდნელად ისევ გამოეღვიძა. ზურგზე მან მწვავე ტკივილი იგრძნო. ახლა ტკივილის მიზეზს ჩაუფიქრდა და ისევ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. რაღაც უშლიდა. დილამდე თვალი არ მოუხუჭავს. მეორე ღამით ისევ რაღაცამ გააღვიძა. დილამდე წრიალებდა, ჩუმად კვნესოდა და თავისდაუნებლიედ, შეუმჩნევლად ხელებს იფხანდა. დილით წამოდგა და უნებურად კუბოში ჩაიხედა. და მაშინ ყველაფერს მიხვდა: მისი შემზარავი საწოლის კუთხეებში ალუბლისფერი ბაღლინჯოები დახტოდნენ. ამის დანახვამ განდეგილი შეზარა.

იმავე დღეს ბერიკაცი მოვიდა და ორცხობილა მოიტანა. და წამებული, ოცდახუთ წელიწადს რომ დუმდა, ანაზდად ალაპარაკდა. მან გლეხკაცს სთხოვა, ცოტა ნავთი

მომიტანეო. სიჩუმის აღთქმამიცემულის ხმის გაგონებამ გლეხკაცს თავზარი დასცა, მაგრამ ნავთი მაინც მოუტანა, თუმცა ძალიან რცხვენოდა და ბოთლი კალთაში ჰქონდა დამალული. როგორც კი ბერიკაც წავიდა, განდეგილმა აკანკალებული ხელით ნავთი კუბოს კუთხეებს წაუსვა. იმ ღამეს მშვიდად ეძინა, არაფერს შეუწუხებია. მერე ნავთს ყოველდღე უსვამდა კუბოს, მაგრამ ორი თვის შემდეგ მიხვდა, რომ ნავთით ბაღლინჯოების გაწყვეტა შეუძლებელი იყო. ღამღამობით წრიალებდა და ხმამაღლა ლოცულობდა, მაგრამ ლოცვა ნავთზე ნაკლებ შველოდა.

ნახევარმა წელმა გამოუთქმელ წამებაში გაიარა. განდეგილმა ისევ ბერიკაცს მიმართა. ამჯერად მისმა სიტყვებმა ბერიკაცი კიდევ უფრო მეტად გააოცა. განდეგილმა სთხოვა, ქალაქიდან ბაღლინჯოების საწინააღმდეგო ფხვნილი „არაგაცი“ მომიტანეო, მაგრამ ვერც „არაგაცმა“ უშველა. ბაღლინჯოები წარმოუდგენელი სისწრაფით მრავლდებოდნენ. განდეგილის ჯანმრთელობა ოცდახუთი წლის მარხვამაც ვერ გატეხა, ახლა კი შესამჩნევად უარესდებოდა. ბნელი, სასოწარკვეთილი ცხოვრება დაეწყო. კუბო საზიზღარ და მოუხერხებელ საწოლად ეჩვენებოდა. ბერიკაცის რჩევით ღამღამობით ბაღლინჯოებს კვარს უხრჩოლავდა. ბაღლინჯოები იხოცებოდნენ, მაგრამ არ ნებდებოდნენ.

უკანასკნელი საშუალებაც - ძმები გლიკების მიერ დამზადებული ვარდისფერი სითხე სცადა, მოწამლული ატმის სუნი რომ ჰქონდა და „კლოპინი“ ერქვა, მაგრამ არც ამან უშველა. მდგომარეობა უარესდებოდა. დიდი ბრძოლის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ კი განდეგილმა სრულიად შემთხვევით შენიშნა, რომ სიცოცხლის აზრზე სულაც აღარ ფიქრობდა და მთელ დროს ბაღლინჯოებთან ომს ანდომებდა.

მაშინ განდეგილი მიხვდა, შევცდიო. ისევე, როგორც ოცდახუთი წლის წინათ, ცხოვრება ახლაც ბნელი და იდუმალებით მოცული იყო. ევპლა საამქვეყნო წუხილსა და ზრუნვას ვერ გაექცა. სხეულით - მიწაზე, ხოლო სულით ზეცაში ცხოვრება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მწირი წამოხტა და სწრაფად გამოვიდა მიწურიდან. გარშემო მწვანე, დაბურული ტყე ატეხილიყო. ადრიანი, მშრალი შემოდგომა იდგა. მიწურთან მიწა თეთრი ხარისფაშვა სოკოებით იყო მოფენილი. ტოტზე უჩინარი ჩიტი იჯდა და სოლოს მღეროდა. მოისმა მომავალი მატარებლის ხმაური. მიწა აზანზარდა. სიცოცხლე მშვენიერი იყო. და მწირი უკან მოუხედავად გაიქცა.

იგი ახლა მოსკოვის კომუნალურ მეურნეობაში მეეტლედ მუშაობს.

ოსტატმა ეს უაღრესად საყურადღებო ისტორია უამბო იპოლიტ მატვეევიჩს, თავისი ხენდროსფერი ფეხსაცმელები პიჯაკის სახელოთი გაიპრიალა, ტუში დაუსტვინა და წავიდა.

შინ გათენებისას დაბრუნდა. ჟოლოსფერი შტიბლეტები ღამის მაგიდაზე დააწყო. ჩამოჯდა, მკერდზე ხელს ისვამდა და ფეხსაცმელს ნაზად ეჩურჩულებოდა: - ჩემო პატარა მეგობრებო!

- სად იყავით? - ჰკითხა ნამძინარევმა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ქვრივთან, - ყრუდ გაეპასუხა ოსტაპი.

- მერე? - იპოლიტ მატვეევიჩი იდაყვს დაეყრდნო, - მართლა ცოლად თხოულობთ?

ოსტაპს თვალები აუციმციმდა.

- როგორც პატიოსანი კაცი, ახლა ვალდებულიც ვარ, ცოლად ვითხოვო.

იპოლიტ მატვეევიჩმა უხერხულად ჩაახველა.

- ვნებიანი ქალია, - თქვა ოსტაპმა, - ქალი კი არა, პოეტის ოცნებაა. სავსეა პროვინციული უშუალობით. ცენტრში ასეთი სუბტროპიკები დიდი ხანია, გაქრნენ, პერიფერიაში კი, აქა-იქ კიდევ მოიძებნება.

- ქორწილი როდის გაქვთ?

- ზეგ. ხვალ არ მოხერხდება. პირველი მაისია და ყველაფერი დაკეტილი იქნება.

- ჩვენს საქმეს რაღა ეშველება? თქვენ ცოლს თხოულობთ... მოსკოვში წასვლა რომ მოგვიწიოს?

- ნეტავ, რა გაწუხებთ? სხდომა გრძელდება.

- ცოლი?

- ცოლი? ბრილიანტებიანი ქვრივი? ეგ ბოლო საკითხია. ცენტრი მოულოდნელად მცირე სახკომსაბჭოში პატარა მოხსენების გასაკეთებლად გამიწვევს. გამოთხოვება, ცრემლები, საგზაოდ - შემწვარი ვარია... კომფორტით მგზავრობა. ახლა კი დაიძინეთ. ხვალ საქმე არაფერი გვაქვს.

13. ღრმად ისუნთქეთ. თქვენ აღელვებული ხართ

პირველი მაისის დილას ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვი მოქმედების ჩვეულმა წყურვილმა შეიპყრო. ქუჩაში გამოვარდა და ცენტრისკენ გაქანდა. თავის მრავალფეროვან ტალანტს თავდაპირველად მან ვერანაირი ასპარეზი ვერ მოუნახა, იმიტომ რომ ქუჩაში ჯერჯერობით ცოტა ხალხი იყო, ხოლო მთავრობის ტრიბუნებზე, მილიციელები რომ იცავდნენ, არავინ ჩანდა, მაგრამ ცხრა საათისთვის ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში ორკესტრები აგუგუნდნენ, ახვნეშდნენ და სტვენა მორთეს. ჭიშკრებიდან დიასახლისები გამორბოდნენ.

მუსიკალური მუშაკების კოლონა, რბილი, გადმოკეცილი საყელოები რომ ჰქონდათ, როგორღაც რკინიგზელების რიგებში შეიჭრა, ფეხებში აებლანდა და ყველაფერი არივ-დარია.

მუსიკალურ მუშაკებს უკნიდან საბარგო მანქანა აწვებოდა, რომელზეც „შჩ“ სერიის ფანერის მწვანე ორთქლმავალი იყო წამოცმული. ფლეიტისა და ჰობოის მუშაკებს ვიღაც გააფთრებით უყვიროდა ორთქლმავლის მუცლიდან: - წინამძღოლი რა უყავით? აქ რა გინდათ! ვერ ხედავთ, რომ ჩაეტენეთ და ჩიხში მოგვამწყვდიეთ?

მუსიკალური მუშაკების საუბედუროდ, საქმეში ვიქტორ მიხაილოვიჩი ჩაერია.

- თქვენ აქეთ, ჩიხში უნდა ჩაუხვიოთ! ზეიმის მოწყობაც კი არ შეუძლიათ, - იჭაჭებოდა პოლესოვი, - აქეთ! აქეთ! ოჰ, რა არეულ-დარეულია აქაურობა! ოჰ, რა უმსგავსობაა!

სტარკომმეურნეობისა და „ცარცმშენის“ საბარგოებს ბავშვები მიჰყავდა. ყველაზე პატარები სატვირთო მანქანების ბორტებთან იდგნენ, უფრო მოზრდილები კი - შუაში. არასრულწლოვანი მხედრობა ქაღალდის ბაირაღებს იქნევდა და თავდავიწყებით მხიარულობდა.

ჰქუხდნენ პიონერების დაფდაფები. წვევამდელები იჭიმებოდნენ და ფეხის აწყობას ცდილობდნენ. სივიწროვე, ხმაური და სიცხე იყო. რიგები ყოველ წუთს ჩერდებოდა. დრო რომ მოეკლათ, მოხუცებს და აქტივისტებს ჰაერში ისროდნენ. მოხუცები დედაკაცებივით კიოდნენ, აქტივისტები კი ხმაამოუღებლად, სერიოზული გამომეტყველებით ფრინავდნენ. ერთ მხიარულ კოლონაში ვიქტორ მიხაილოვიჩი, მეორე მხარეს რომ გადადიოდა, წინამძღოლად ჩათვალეს და ააბურთავეს. პოლესოვი ფეხებს ჯამბაზივით იქნევდა.

ჩამოატარეს ინგლისის მინისტრის ჩემბერლენის ფიტული. კუნთებიანი მუშა მას მუყაოს ჩაქუჩს ცილინდრში სცემდა. მერე ავტომობილით სამმა კომკავშირელმა ჩაიარა, რომელთაც ფრაკები და თეთრი ხელთათმანები ეცვათ. კომკავშირლები დაბნეულად გამოიყურებდნენ.

- ვასკა! - უყვიროდნენ ტროტუარიდან, - შე ბურჟუავ, შენა! შარვალი გაიხედე!

ქალიშვილები მღეროდნენ. სოცუზრუნველყოფის მუშაკთა ბრბოში ალხენი მიაბიჯებდა. მას მკერდი წითელი ბაფთით ჰქონდა დამშვენებული და ფიქრიანად მღეროდა: მაგრამ ვრცელი ტაიგიდან ბრიტანეთის ზღვებამდე

გმირულ წითელ არმიას არავინ ჰყავს ბადალი!..

ფიზკულტურელები რაღაც გაუგებარს ყვიროდნენ.

ყველა და ყველაფერი ტრამვაის ახალი დეპოსკენ იძვროდა. იქიდან ზუსტად პირელ საათზე სტარგოროდის ქუჩებში ელექტროტრამვაის პირველი ვაგონი უნდა გამოსულიყო.

როდის დაიწყეს სტარგოროდში ტრამვაის გაყვანა, ეს დანამდვილებით არავინ იცოდა.

ოდესღაც, ოციან წლებში, როცა შაბათობები ეწყობოდა, დეპნოელები და თოკის ფაბრიკის მუშაკები მუსიკის თანხლებით გუსიშჩეზე გავიდნენ და საღამომდე რაღაც ორმოებს თხრიდნენ., ძალიან ბევრი და ძალიან ღრმა ორმოები ამოთხარეს.

მუშებს შორის ინჟინრისქუდიანი ამხანაგი დარბოდა. მას ათისთავები დასდევდნენ, რომელთაც ფერადი ჭოკები ეჭირათ. შემდეგ შაბათსაც იგივე განმეორდა. ორი ორმო შეუფერებელ ადგილას ამოეთხარათ და ისევ ამოავსეს. ინჟინრისქუდიანი ამხანაგი ათისთავებს მიეჭრებოდა ხოლმე და ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. ახალი ორმოები უფრო ღრმად და განივრად ამოთხარეს.

შემდეგ აგური მოიტანეს და ნამდვილი მშენებელი მუშები გამოჩნდნენ. მათ საძირკვლის ჩაყრა დაიწყეს. მერე ყველაფერი მიწყდა.

უკაცრიელ მშენებლობაზე ზოგჯერ ინჟინრისქუდიანი ამხანაგი მოდიოდა, აგურით ამოშენებული ორმოს ირგვლივ დააბიჯებდა და ბურტყუნებდა: - სამეურნეო ანგარიში.

იგი აგურებს ჯოხს უცაცუნებდა. მერე გაყინულ ყურებზე ხელისგულებს მიიფარებდა და ქალაქში გარბოდა.

ინჟინრის გვარი ტრეუხოვი იყო.

ტრამვაის სადგურის მშენებლობა ტრეუხოვმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, 1912 წელს მოიფიქრა, მაგრამ ქალაქის მმართველობამ მისი პროექტი უარყო. ტრეუხოვმა ორი წლის შემდეგ ისევ შეუტია ქალაქის მმართველობას, მაგრამ ამჯერად ხელი ომმა შეუშალა. ომის შემდეგ - რევოლუცია გადაეღობა. ახლა კი ნეპი, სამერნეო ანგარიში და თვითღირებულება უშლიდა. ზაფხულში საძირკველი ყვავილებმა დაფარა, ზამთრობით კი ბავშვები აქ თოვლის მთებს აშენებდნენ.

ტრეუხოვი დიდ საქმეებზე ოცნებობდა. მას სიკვდილივით ეზარებოდა სტარკომმეურნეობის კეთილმოწყობის განყოფილებაში სამსახური, ტროტუარების შეკეთებაზე ზრუნვა და სააფიშე ბოძების ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მაგრამ დიდი საქმე არსად იყო. ტრეუხოვმა ტრამვაის პროექტი ისევ განსახილველად შეიტანა, მაგრამ პროექტი მაღალ საგუბერნიო ინსტანციებში გაიჩხირა. ხან იწუნებდნენ, ხან იწონებდნენ, მაგრამ არც მოწონებისას და არც დაწუნებისას ფულს არ იძლეოდნენ.

- ეს ბარბაროსობაა! - თავის ცოლს უყვიროდა ტრეუხოვი, - ფული არ არისო? მეფორნეებისთვის ხომ არის? სატვირთო სადგურზე ცხენებით საზიდავად ხომ არის? აქაური მეეტლეები სამმაგ ფასს იღებენ. კარგია, ბარგს რომ წამოიკიდებ და სადგურამდე ხუთ ვერსს ფეხით მიჩანჩალებ? ტრამვაი კი თავის ხარჯებს ექვს წელიწადში ამოიგებს.

მისი გამოხუნებული ულვაშები მრისხანედ იბურძგნებოდა. პაჭუა სახეს ცეცხლი ეკიდებოდა. მაგიდიდან ლურჯ ქაღალდზე დაბეჭდილ პროექტს ამოათრევდა ხოლმე და სადგურის დეპოს და თორმეტი ხაზის გეგმებს ცოლს მეათასჯერ უჩვენებდა.

- ჯანდაბას! თორმეტი ნუ იქნება. მოითმენენ. მაგრამ სამი ხაზი! სტარგოროდის ხსნა ამ სამ ხაზშია.

ტრეუხოვი ფრუტუნობდა და შეშის დასახერხავად სამზარეულოში გადიოდა.

სახლში ყოველგვარ სამეურნეო საქმეს თვითონ აკეთებდა. თავისი ხელით გააკეთა ბავშვის აკვანი და სარეცხი მანქანა. თავდაპირველად თეთრეულს თვითონ რეცხავდა და ცოლს უხსნიდა, მანქანას ასე და ასე უნდა მოეპყრაო. ჯამაგირის მეხუთედ ნაწილს საზღვარგარეთული ტექნიკური ლიტერატურის გამოწერაზე ხარჯავდა, და რომ როგორმე თავი გაეტანათ, პაპიროსის წევას თავი მიანება.

თავისი პროექტი მან სტარკომმეურნეობის ახალ გამგეს გავრილინს წაუღო, რომელიც სტარგოროდში სამარყანდიდან გადმოიყვანეს. თურქმენეთის მზით დამწვარი გამგე დიდხანს, მაგრამ უგულისყუროდ უსმენდა ტრეუხოვს, ნახაზები გულგრილად

გადაათვალიერა და ბოლოს უთხრა: - აი, სამარყანდში ტრამვაი საჭირო სულაც არ არის. იქ ვირებით დადიან. თითო ვირი სამი მანეთი ღირს. პირდაპირ მუქთაა. ერთი ციცქნა ვირებია, რომ ნახოთ, გაგიკვირდებათ.

- სამარყანდი აზიაა! - გაბრაზდა ტრეუხოვი, - ვირი სამი მანეთი კი ღირს, მაგრამ წელიწადში სამი თუმნისას რომ ჭამს?

- მერე? სამი თუმანი თქვენს ტრამვაიზე რამდენ ხანს გეყოფა? სულ სამასჯერ იმგზავრებ. ერთ წელიწადსაც კი არ გეყოფა.

- ჰოდა, მაშ, ადექით და ვირები გამოიწერეთ! - შეჰყვირა ტრეუხოვმა, კაბინეტიდან გამოვარდა და კარი გაიჯახუნა.

ამის შემდეგ ახალ გამგეს ჩვეულებად ექცა, ტრეუხოვს რომ შეხვდებოდა, დაცინვით უნდა ეკითხა: - ჰა, რა ვქნათ, ვირები გამოვიწეროთ, თუ ტრამვაი გავიყვანოთ?

გავრილინს სახე კარგად გათლილ ბოლოკს მიუგავდა. თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

ორიოდე თვის შემდეგ გავრილინმა ინჟინერი გამოიძახა და სერიოზულად უთხრა: - მე აქ პატარა გეგმა შევადგინე. ერთი რამ ვიცი; ფული არ არის, ტრამვაი კი მართლა ვირი როდია, რომ სამ მანეთად იყიდო. მატერიალური ბაზა გვჭირდება. პრაქტიკული გამოსავალი სად არის? აქციონერულ საზოგადოებაში. კიდევ? კიდევ - პროცენტიან სესხში, ტრამვაი თავის ხარჯებს რამდენ წელიწადში ამოიგებს?

- პირველი რიგის სამი ხაზის ექსპლოატაციაში გაშვების დღიდან - ექვსი წლის შემდეგ.

- ათი იყოს! - მაშ - აქციონერული საზოგადოება. ვინ შევა? კვების ტრესტი, კარაქტრესტი... ახლა: ბაგირის ფაბრიკას ტრამვაი სჭირდება? სჭირდება. სატვირთო ვაგონებს ვაგზალზე გავუგზავნით. მაშ, მებაგირეებიც ჩავწეროთ. ცოტა, იქნებ, რკინიგზელებმაც მოგვცენ. რა თქმა უნდა, აღმასკომიც მოგვცემს, ამას ლაპარაკი არ უნდა. მერე - რაკი დავიწყებთ, სახბანკი და კომბანკიც სესხს მოგვაწვდის. აი, ჩემი გეგმაც ასეთია. პარასკევს გუბაღმასკომის პრეზიდიუმზე ვიმსჯელოთ. თუ გადაწყდა - დანარჩენი თქვენზე იყოს.

აღელვებული ტრეუხოვი შუაღამემდე თეთრეულს რეცხავდა და ცოლს უმტკიცებდა - საჭაპანო ტრანსპორტთან შედარებით ტრამვაის უამრავი უპირატესობა აქვსო.

პარასკევს საკითხი დადებითად გადაწყდა და წამების დღეები დაიწყო. აქციონერული საზოგადოების შედგენას დიდი ჭაპანწყვეტა დასჭირდა. გზათა სახალხო კომისარიატი ხან შედიოდა ამ საზოგადოებაში, ხან უკანვე გამოდიოდა. კვების ტრესტი ყოველნაირად ცდილობდა, აქციების 15 პროცენტის ნაცვლად მხოლდ 10 შეეძინა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ჩხუბითა და ვაივაგლახით, აქციების მთელი პაკეტი გაანაწილეს. გავრილინი მოძალადეობისთვის საგუბერნიო საკონტროლო კომისიამ გამოიძახა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ახლა უნდა მშენებლობა დაეწყოთ.

- აბა, ამხანაგო ტრეუხოვ, დაიწყე, - უთხრა გავრილინმა, - როგორ გგონია - თავს გაართმევ? აბა, შენ იცი! ეს ვირის ყიდვა კი არ გეგონოს.

ტრეუხოვი მუშაობაში ჩაიძირა. დადგა ჟამი დიდი საქმისა, რაზეც იგი მთელი სიცოცხლე ოცნებობდა. წერდნენ ხარჯთაღრიცხვებს, ადგენდნენ ნაგებობათა პროექტებს, აძლევდნენ შეკვეთებს. სიძნელეები სწორედ იქ ეღობებოდათ, სადაც მათ არავინ ელოდა. ქალაქში ბეტონის სპეციალისტები არ აღმოჩნდნენ და მათი გამოწერა ლენინგრადიდან მოუწიათ. გავრილინი აჩქარებდა, ქარხნები მანქანებს წელიწად-ნახევრის მერე ჰპირდებოდა, მანქანები კი საჭირო ერთი წლის შემდეგ იყო. ქარხნებს დაემუქრნენ, მანქანებს საზღვარგარეთ შევუკვეთავთო. ამან გაჭრა. მაგრამ მერე წვრილმანი უსიამოვნებები დაიწყო. ხან საჭირო ზომის რკინას ვერ შოულობდნენ, ხან გაჟღენთილი შპალების ნაცვლად გაუჟღენთავი მოდიოდა. ბოლოს ესეც მოგვარდა. ტრეუხოვი შპალების გამჟღენთ ქარხანაში წავიდა და შპალების 60% დაიწუნა. თუჯის ნაწილები დამსკდარი მოდიოდა, ხე-ტყე - ნედლი, რელსებს არა უშავდა, მაგრამ ისინი ერთი თვის დაგვიანებით მიიღეს. გავრილინი ძველი, გრიპიანი „ფიატით“ ხირად მიდიოდა მშენებლობაზე და ტრეუხოვს ეჩხუბებოდა.

სანამ ტრამვაის სადგური და დეპო შენდებოდა, სტარგოროდელები იცინოდნენ.

ტრამვაის საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდა მთელ ქალაქში ცნობილი ფელეტონისტი „დანიის პრინცი“, „სტარგოროდსკაია პრავდაში“ რომ თანამშრომლობდა და „მახოვიკის“ ფსევდონიმით წერდა. მახოვიკი მშენებლობას ყოველ კვირაში სამ ვეებერთელა ნარკვევს უძღვნიდა. „სტარგოროდსკაია პრავდა“ წინათ მესამე გვერდზე სკეპტიკურ მასალებს ათავსებდა: „კლუბის ნატამალიც არსადაა“, „სუსტ წერტილებში“ „დათვალიერება საჭიროა, მაგრამ რა შუაშია გრძელი რიგები?“, „კარგი და... ცუდი“, „რა გვიხარია და რა გვწყინს“, „ავლაგმოთ მავნებლები განათებაში“, „ქაღალდის ზღვა უნდა ამოვაშროთ“ და სხვა ამგვარებს. ახლა ეს გვერდი მთლიანად მახოვიკის ნარკვევების მზიურ სათაურებს დაეთმო: „როგორ ვაშენებთ, როგორ ვცხოვრობთ“, „გიგანტი მალე ამუშავდება“, „თავმდაბალი მშენებელი“ და სხვა ამგვარებს.

ტრეუხოვი აკანკალებული ხელით შლიდა გაზეთს და, მწერლების მიმართ ზიზღით გამსჭვალული, საკუთარი პიროვნებისადმი მიძღვნილ აღმაფრთოვანებელ სტრიქონებს კითხულობდა: „... ავდივარ ხარაჩოებზე, ყურში ქარი მიწივის...

იგი ზევით დგას, ჩვენი მძლავრი ტრამვაის ხაზის შეუხედავი მშენებელი, გამხდარი, პაჭუაცხვირიანი კაცი, რომელსაც თავზე ინჟინრის ქუდი ახურავს.

მახსენდება: „წყალთა ნაპირას - ქანდაკის მსგავსი. ის იდგა, დიად ფიქრებით სავსე“. ვუახლოვდები, ქარი ჩადგა, ხარაჩოები აღარ ირხევა.

„ვეკითხები: - როგორ სრულდება დავალება?

ინჟინერ ტრეუხოვის ულამაზო სახე ცოცხლდება. ინჟინერი ხელს მართმევს და მეუბნება: - დავალების სამოცდაათი პროცენტი უკვე შესრულებულია...“

სტატია ასე მთავრდებოდა: „გამოთხოვებისას იგი ხელს მართმევს... ჩემს უკან ხარაჩოები გუგუნებენ. აქა-იქ მუშები დადიან. ვის შეუძლია დაივიწყოს ეს სააღმშენებლო დუღილი, ეს შეუხედავი ფიგურა ჩვენი მშენებლისა?“

მახოვიკი

კიდევ კარგი, რომ ტრეუხოვს გაზეთებისთვის მაინცდამაინც არ ეცალა და მახოვიკის ზოგი თხზულება წაუკითხავი რჩებოდა.

ერთხელ ტრეუხოვმა ვეღარ მოითმინა და გაზეთს კარგად მოფიქრებული გესლიანი წერილი გაუგზავნა.

- „რა თქმა უნდა, - წერდა იგი, - ბოლტებს შეიძლება ტრანსმისია უწოდო, მაგრამ ამას მხოლოდ ის იზამს, ვისაც სააღმშენებლო საქმის არაფერი გაეგება, გარდა ამისა, მე უნდა ვუთხრა ამხ. მახოკოვს, რომ ხარაჩოები მხოლოდ მაშინ გუგუნებენ, როცა შენობა დასანგრევადაა განწირული. ხარაჩოებზე ასე ლაპარაკი იგივეა, რომ ამტკიცებდე, ვიოლონჩელს ბავშვის დაბადება შეუძლიაო. მიიღეთ და სხვ.“

ამის შემდეგ დაუდეგარი პრინცი მშენებლობაზე აღარ გამოჩენილა. მისი საყოფაცხოვრებო ნარკვევები კი ისევ ამშვენებდნენ გაზეთის მესამე გვერდს და სხვა მამხილებელ მასალებს - „150000 მანეთს ჟანგი ეკიდება“, „მასალა ტირის“, „კურიოზი და ცრემლები“, - და ა. შ., - ნიშნს უგებდნენ.

მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. რელსებს თერმული ხერხით ადუღებდნენ და ისინი უკვე ვაგზლიდან სასაკლაომდე და ბაზრიდან სასაფლაომდე გაჭიმულიყო.

ტრამვაის გაშვება ჯერ ოქტომბრის მეცხრე წლისთავისთვის უნდოდათ, მაგრამ ვაგონმშენებელმა ქარხანამ „არმატურა“ მოიმიზეზა და ვაგონები დროზე არ გამოგზავნა. გახსნა პირველი მაისისთვის გადადეს. ამ დღისთვის ყველაფერი მზად იყო.

კონცესიონერები დემონსტრანტებთან ერთად გუსიშჩეზე გავიდნენ. იქ მთელ სტარგოროდს მოეყარა თავი. დეპოს ახალი შენობა წიწვიანი გირლიანდებით მოერთოთ. ფართქუნებდნენ დროშები. ლოზუნგებზე ქარი დარბოდა. ცხენოსანი მილიციელი ქოშინით მისდევდა ნაყინის გამყიდველს, ტრამვაელებით გარშემორტყმულ წრეში რომ რაღაც ეშმაკის მანქანებით მოხვედრილიყო. დეპოს ორ ჭიშკარს შორის თხელი, ჯერ ცარიელი ტრიბუნა იყო აღმართული და მასზე მიკროფონი-გამაძლიერებელი იდგა. ტრიბუნას დელეგატები უახლოვდებოდნენ. კომუნალურ მუშაკთა და მებაგირეების ნაკრები ორკესტრი ფილტვების ძალას სინჯავდა. დოლი მიწაზე იდო. დეპოს ნათელ დარბაზში, რომელშიც ათი ღია-მწვანე ვაგონი ირდგა (№№701-710), მოსკოველი, ბანჯგვლიანი კეპით თავდახურული კორესპონდენტი დაძრწოდა. გულზე მას პატარა სარკე ეკიდა და შიგ ხშირად იხედებოდა. კორესპონდენტი მთავარ ინჟინერს ეძებდა, რომ ტრამვაის თემაზე რამდენიმე კითხვა მიეცა. კორესპონდენტს თავში უკვე მზად ჰქონდა ნარკვევი ტრამვაის გახსნისას წარმოთქმული სიტყვების მოკლე კონსპექტებითურთ, მაგრამ ინჟინრის ძიებას მაინც გულმოდგინედ განაგრძობდა, და მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ ბუფეტი არსად იყო.

ბრბო ყვიროდა, მღეროდა, მზესუმზირას აკნატუნებდა და ტრამვაის გაშვებას ელოდებოდა.

ტრიბუნაზე გუბაღმასკომის პრეზიდიუმი ავიდა. „დანიის პრინცი“ ენას უკიდებდა და თანამოკალმეებს ესიტყვებოდა. მალე, მოსკოველი კინოქრონიკიორებიც უნდა გამოჩენილიყვნენ.

- ამხანაგებო! - თქვა გავრილინმა, - სტარგოროდის ტრამვაის ხაზის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგს გახსნილად ვაცხადებ.

სპილენძის საყვირები ამოძრავდნენ, ამოიხვნეშეს და სამჯერ ზედიზედ „ინტერნაციონალი“ დაუკრეს.

- სიტყვა მოხსენებისთვის ეძლევა ამხანაგ გავრილინს! - დაიყვირა გავრილინმა.

„დანიის პრინცმა“ -მახოვიკმა და მოსკოველმა კორესპონდენტმა, თითქოს შეთანხმებულანო, ბლოკნოტებში ჩაიწერეს: „საზეიმო მიტინგი სატრკომმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. გავრილინის მოხსენებით დაიწყო. ხალხი სმენად იქცა“.

ეს კორესპონდენტები სულ სხვადასხვაგვარი ადამიანები იყვნენ. მოსკოველი სტუმარი უცოლო და ახალგაზრდა იყო. პრინც მახოვიკს კი კისერზე ვეებერთელა ოჯახი აწვა და ორმოც წელსაც დიდი ხნის წინათ გადააბიჯა. ერთი სულ მოსკოვში ცხოვრობდა, მეორე არასოდეს არ ყოფილა მოსკოვში. მოსკოველს ლუდი უყვარდა, „დანიის პრინცი“ მახოვიკი კი არყის გარდა არაფერს ეკარებოდა. მაგრამ ხასიათების, აღზრდის, ჩვეულებათა და ასაკის ასეთი სხვაობის მიუხედავად, ორივე ჟურნალისტის შთაბეჭდილებანი სრულიად ერთგვარ, გაცვეთილ, გახუნებულ, დამტვერილ ფრაზებში ყალიბდებოდა. მათ ფანქრები ააფხაჭუნეს და წიგნაკებში ახალი ფრაზა ჩაიწერეს: „ზეიმის დღეს სტარგოროდის ქუჩები თითქოს უფრო გაფართოვდნენ“...

გავრილინმა თავისი სიტყვა უბრალოდ და კარგად დაიწყო: - ტრამვაის გაყვანა ვირის ყიდვა არ გეგონოთ, - თქვა მან.

ბრბოში უცებ ოსტაბ ბენდერის ხმამაღალი სიცილი გაისმა. მას ეს ფრაზა მოეწონა. ასეთი ეფექტით გამხნევებული გავრილინი თავისდაუნებურად საერთაშორისო მდგომარეობაზე გადავიდა. მან რამდენჯერმე სცადა, თავისი მოხსენება ისევ ტრამვაის რელსებზე გაეშვა, მაგრამ დარწმუნდა, ეს აღარ შემიძლიაო. ამან თავზარი დასცა. მისი პირიდან საერთაშორისო სიტყვები დაუკითხავად მოხტოდნენ. ნახევარი საათი ჩემბერლენს დაუთმო. შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკელი სენატორი ბორა გამოვიდა. ბრბო ოფლში იღვრებოდა. კორესპონდენტებმა კი ერთხმად ჩაწერეს: „ორატორმა ხატოვანი გამოთქმებით დაახასიათა ჩვენი კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. გაცხარებულმა გავრილინმა რუმინელი ბოიარები ავად მოიხსენია და მუსოლინიზე გადავიდა. თავისი მეორე, საერთაშორისო ბუნება მხოლოდ სიტყვის დასასრულს დასძლია და კარგი, საქმიანი სიტყვებით ალაპარაკდა: - და მე ასე მგონია, ამხანაგებო, რომ ეს ტრამვაი, ახლა რომ დეპოდან გამოვა, ეს ტრამვაი ვისი გამოშვებულია? რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ამას თქვენ უნდა გაიმადლოდეთ. ყველა მუშას უნდა ვუმადლოდეთ, რომლებმაც, რა თქმა უნდა, ნამუსიანად იშრომეს. და კიდევ, ამხანაგებო, კიდევ ვის უნდა ვუმადლოდეთ? პატიოსან საბჭოთა სპეციალისტებს, მთავარ ინჟინერს ტრეუხოვს, მაგასაც დიდი მადლობა...

ტრეუხოვს ძებნა დაუწყეს, მაგრამ არსად იყო. კარაქცენტრის წარმომადგენელი, სული რომ კბილით ეჭირა, ტრიბუნის მოაჯირთან მიიჭრა და საერთაშორისო მდგომარეობაზე ხმამაღლა ალაპარაკდა. როცა დაამთავრა, აქა-იქ ორიოდე კაცმა ტაში დაუკრა. კორესპონდენტებმა კი ჩაწერეს - „მქუხარე აპლოდისმენტები ოვაციაში

გადავიდა“. მერე ჩაფიქრდნენ, „ოვაციაში“ გადავიდა“ ძალიან მაგრად ხომ არ არის ნათქვამიო. მოსკოველმა გაბედა და „ოვაცია „ამოშალა, მახოვიკმა კი ამოიოხრა და დატოვა.

მზე სწრაფად ეშვებოდა თავქვე. ტრიბუნიდან მისალმებებს წარმოთქვამდნენ. ორკესტრი წამდაუწუმ ტუშს უკრავდა. საღამოს სილურჯე შეეპარა. მიტინგი კი გრძელდებოდა. მოლაპარაკენიც და მსმენელნიც უკვე კარგად გრძნობდნენ, რომ რაღაც ცუდი და შეუსაბამო მოხდა, რომ მიტინგი გაჭიანურდა და ტრამვაის გაშვება იყო საჭირო. მაგრამ ლაპარაკს ყველანი ისე იყვნენ მიჩვეულნი, რომ ვეღარ ჩერდებოდნენ.

ბოლოს, ტრეუხოვიც იპოვეს. იგი გათხუპნული იყო და სანამ ტრიბუნაზე ავიდოდა, კანტორაში ხელ-პირი გულმოდგინედ დაიბანა.

- სიტყვა ეძლევა მთავარ ინჟინერს, ამხანაგ ტრეუხოვს! - შესძახა გახარებულმა გავრილინმა და ტრეუხოვს წასჩურჩულა, - აბა, თქვი, თორემ მე სულ სხვა რამეებზე ვილაპარაკე.

ტრეუხოვს ბევრის თქმა უნდოდა. უნდოდა ელაპარაკა შაბათობებზე, იმაზე, რომ სამუშაო მძიმე იყო, იმაზე, რაც უკვე გაკეთდა და რის გაკეთებაც კიდევ შეიძლებოდა. გასაკეთებელი მართლაც ბევრი იყო. ქალაქს ჭუჭყიანი ბაზრის ნაცვლად შემინული, გადახურული ბაზარი დამშვენდებოდა; დროებითი ხიდი, ყოველ წელიწადს რომ ყინული ამსხვრევდა, მუდმივით უნდა შეცვლილიყო; ურიგო არც დიდი, მაცივრიანი სასაკლაოს პროექტის განხორციელება იქნებოდა.

ტრეუხოვმა პირი დააღო და ბორძიკით წარმოთქვა: - ამხანაგებო! ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა... - და მოჰყვა. ისეთ გაცვეთილ ჭეშმარიტებებს დუდღუნებდა, რომ ბრბოს, უკვე მეექვსე საერთაშორისო სიტყვას რომ ისმენდა, გული აუცრუვდა. ტრეუხოვმა მხოლოდ სიტყვის დამთავრების შემდეგ მოისაზრა, რომ ტრამვაიზე კრინტიც არ დაუძრავს. „საწყენია, - გაიფიქრა მან, - ლაპარაკი აბსოლუტურად არ ვიცით, აბსოლუტურად“. და მას ფრანგი კომუნისტის სიტყვა გაახსენდა, მოსკოვში, კრებაზე რომ მოისმინა. ფრანგი ბურჟუაზიულ პრესაზე ლაპარაკობდა: „ისინი კალმის აკრობატები არიან, - გაიძახოდა იგი, - ისინი ფარსის ვირტუოზები, საროტაციო მანქანების ტურები არიან“... სიტყვის პირველი ნაწილი ფრანგმა ლას ტონში წარმოთქვა, მეორე კი - დო-ს, ხოლო მესამე - პათეტიკურ მი-ს ტონში. მას ზომიერი და ლამაზი ჟესტები ჰქონდა.

„ჩვენ კი მარტო წყალს ვამღვრევთ, - გაიფიქრა ტრეუხოვმა, - ნეტავ ხმას სულაც არ ვიღებდეთ“.

უკვე კარგად ბნელოდა, როცა გუბაღმასკომის თავმჯდომარემ წითელი ლენტი გადაჭრა, დეპოს გამოსასვლელთან რომ იყო გაჭიმული. მუშები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ვაგონებს ხმაურით შეესივნენ. გაისმა ზარის ხმა. ტრამვაის პირველი ვაგონი, რომელსაც თვითონ ტრეუხოვი მართავდა, დეპოდან ხალხის გამაყრუებელ ყვირილსა და ორკესტრის კვნესაში გამოგორდა. განათებული ვაგონები ღამით უფრო ლამაზი იყო, ვიდრე დღისით. ისინი ერთმანეთს დაედევნენ გუსიშჩეზე, რკინიგზის ხიდი გაიარეს, ქალაქში იოლად გავიდნენ და პუშკინის

ქუჩაზე მოუხვიეს. მეორე ვაგონში ორკესტრი იჯდა. მუსიკოსებს საყვირები ფანჯრებში გადმოეყოთ და ბუდიონის მარშს უკრავდნენ.

გავრილინს კონდუქტორის ქუდი ეხურა და მხარზე ჩანთა ეკიდა. იგი ვაგონიდან ვაგონში გადარბოდა. ნაზად იღიმებოდა. ზარს უდროო დროს აწკარუნებდა და მგზავრებს მოსაწვევ ბარათებს ურიგებდა

1 მაისს

საღამოს 9 სთ.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კლუბში გაიმართება საზეიმო საღამო

პროგრამაშია: 1. ამხ. მოსინის მოხსენება; 2. კომუნალურ მუშაკთა კავშირის სიგელების გადაცემა; 3. არაოფიციალური ნაწილი.

დიდი კონცერტი და ოჯახური ვახშამი ბუფეტში.

უკანასკნელი ვაგონის ბაქანზე ვიქტორ მიხაილოვიჩი იდგა. არავინ უწყოდა, როგორ მოხვდა იგი საპატიო სტუმრების რიცხვში. პოლესოვი მოტორს უტრიალებდა. მისდა გასაოცრად, მოტორი კარგად გამოიყურებოდა და კარგადაც მუშაობდა. არც ფანჯრები ზრიალებდნენ. პოლესოვმა ისინიც დაათვალიერა და დარწმუნდა, რეზინაში არიან ჩასმულიო. ვიქტორ მიხაილოვიჩმა მძღოლს უკვე რამდენიმე შენიშვნა მისცა და მგზავრებში საზღვარგარეთული ტრამვაის მცოდნის სახელი მოიხვეჭა.

- საჰაერო მუხრუჭი ცუდად მუშაობს - განაცხადა მან და მგზავრებს ზეიმით გადახედა, - არ იწოვს.

- შენ არავინ გეკითხება, - მიუგო მძღოლმა, - როცა დასჭირდება, შეიწოვს.

ვაგონებმა ქალაქს შემოუარეს და დეპოში დაბრუნდნენ. იქ მათ ბრბო უცდიდა. ტრეუხოვს ჰაერში უკვე ელექტრონის შუქზე ისროდნენ. ერთხელ გავრილინიც აისროლეს, მაგრამ იგი ექვს ფუთს იწონიდა, მაღლა არ ფრინავდა და ისევ ძირს დაუშვეს. ისროდნენ ამხანაგ მოსინს, მუშებს და ტექნიკოსებს. აისროლეს ვიქტორ მიხაილოვიჩიც, - ამ დღეს უკვე მეორეჯერ. ოღონდ იგი ახლა ფეხებს აღარ იქნევდა. სერიოზულად და მკაცრად გასცქეროდა ვარსკვლავებიან ცას და სიბნელეში დაფრინავდა. უკანასკნელად რომ აფრინდა და დაეშვა, პოლუსოვმა დაინახა, რომ მისი მარჯვენა ფეხი... ყოფილ წინამძღოლს იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვს ეპყრა და საზიზღრად იცინოდა. პოლესოვმა ფეხი თავაზიანად გაითავისუფლა და გვერდზე გადგა. თან ცდილობდა, ვორობიანინოვი მხედველობიდან არ დაეკარგა. როცა დაინახა, იპოლიტ მატვეევიჩი და მისი ახალგაზრდა თანამგზავრი, პირწავარდნილი ყოფილი ოფიცერი, მიდიანო, ვიქტორ მიხაილოვიჩი ფრთხილად დაედევნა მათ უკან.

ყველაფერი დამთავრდა. გავრილინი თავის ლილისფერ „ფიატში“ იჯდა და ტრეუხოვს უცდიდა, რომ კლუბში წაეყვანა. ამ დროს დეპოს ჭიშკართან საბარგო „ფორდი“ გაჩერდა, რომელშიც კინოქრონიკიორები ისხდნენ.

სხვებზე ადრე მანქანიდან მარდი მამაკაცი გადმოხტა, რომელსაც რქის თორმეტკუთხოვანი სათვალე ეკეთა და ელეგანტური, უსახელო ტყავის კურტაკი ეცვა. მამაკაცს გრძელი, წაწვეტილი წვერი პირდაპირ ხვანჩიდან ეზრდებოდა, მეორე მამაკაცი კინოაპარატს მოათრევდა; მას სწორედ იმ სტილის შარფი ჰქონდა მოხვეული, რომელსაც ოსტაპ ბენდერი „შიკ-მოდერნს“ უწოდებდა. შემდეგ საბარგოდან ასისტენტები, იუპიტერები და ქალიშვილები ამოფორთხდნენ.

მთელი ჯგუფი ყვირილით შეიჭრა დეპოში.

- ყურადღება! - დასჭყივლა წვეროსანმა, - კოლია! დადგი იუპიტერები!

ტრეუხოვი გაწითლდა და ღამის სტუმრებისკენ გაემართა.

- თქვენ კინოდან ხართ? - ჰკითხა მან, - რატომ დღისით არ მოხვედით?

- განა ტრამვაის გახსნა როდისაა დანაშაული?

- ტრამვა უკვე გავხსენით.

- ჰო, ჰო! ჩვენ ცოტა დაგვაგვიანდა. კარგ ნატურას წავაწყდით. მზის ჩასვლამდე ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ არა უშავს, აქაც მოვასწრებთ. კლია! მოიტა სინათლე! მბრუნავი თვალი წინა პლანზე! ბრბოს მოძრავი ფეხები წინა პლანზე! ლიუდა! ძვირფასო... გაიარეთ! კოლია, დავიწყეთ! დავიწყეთ! აბა, წავედით. იარეთ, იარეთ... კარგია. გმადლობთ! ახლა რომელიმე მშენებელი გადავიღოთ. ამხანაგი ტრეუხოვი თქვენ ხართ? კეთილი ინებეთ, ამხანაგო ტრეუხოვ! არა, არა, ასე არა, სამი მეოთხედით... აი, ასე უფრო ორიგინალურია, ტრამვაის ფონზე... კოლია, დავიწყეთ! ამხანაგო ტრეუხოვ, ილაპარაკეთ, თქვით რამე...

- იცით, მე ისეთ უხერხულ მდგომარეობაში...

- მშვენიერია! კარგია! კიდევ! კიდევ ილაპარაკეთ! ახლა თქვენ ტრამვაის პირველ მგზავრს ელაპარაკებით... ლიუდა! შემოდით ჩარჩოში! ასე! უფრო ღრმად ისუნთქეთ - თქვენ აღელვებული ხართ! კოლია, ფეხები წინა პლანზე, დავიწყეთ! ასე, ასე... კარგია... დიდად გმადლობთ! სდექ!

გავრილინი მძიმედ ჩამოვიდა მოთუხთუხე „ფიატიდან“ და ტრეუხოვთან მივიდა. წვეროსანი რეჟისორი გამოცოცხლდა.

- კოლია! აქეთ! მშვენიერი ტიპაჟია! მუშა! ტრამვაის მგზავრი! უფრო ღრმად ისუნთქეთ: თქვენ აღელვებული ხართ. თქვენ ჯერ არასოდეს ტრამვაით არ გიმგზავრიათ! დავიწყე! ისუნთქეთ!

გავრილინი მძვინვარედ აქშინდა.

- მშვენიერია! მილია, ძვირფასო, აქეთ! მიესალმე კომკავშირის სახელით... უფრო ღრმად, უფრო ღრმად ისუნთქეთ... თქვენ აღელვებული ხართ... ასე! მშვენიერია! კოლია, დავამთავრეთ.

- ტრამვაის არ გადაიღებთ? - მორცხვად ჰკითხა ტრეუხოვმა.

- იცით, - წაიბურტყუნა ტყავში ჩამჯდარმა რეჟისორმა, - განათება ხელს არ გვიწყობს... ტრამვაის მოსკოვში გადავიღებთ... გკოცნით!

კინოქრონიკა თვალის დახამხამებაში გაქრა.

- წავიდეთ, მეგობარო, დავისვენოთ, - უთხრა ტრეუხოვს გავრილინმა, - შენ რა, პაპიროსი მოწიე?

- მოვწიე, - გამოტყდა ტრეუხოვი, - ველარ მოვითმინე

მშიერმა ტრეუხოვმა ოჯახურ თავშეყრაზე სამი ჭიქა არაყი დალია და დათვრა. ყველას კოცნიდა. მასაც ყველანი კოცნიდნენ. უნდოდა, ცოლისთვის რაიმე სასიამოვნო სიტყვა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ გაეცინა. მერე გავრილინს დიდხანს ართმევდა ხელს და ეუბნებოდა: - უცნაური ვინმე ხარ... შენ რკინიგზის ხიდების დაპროექტება უნდა ისწავლო. შესანიშნავი მეცნიერებაა. და, რაც მთავარია, სულ ადვილია... ხიდი ჰუძონზე... ა?

ნახევარი საათის შემდეგ ფეხზე ველარ იდგა და ბურჟუაზიული პრესის მიმართ ქილიკიღა წარმოთქვა.

- უ, ეგ ფარსის აკრობატები! - გაჰყვიროდა იგი, - მაგათ შხამიანი კალმები აქვთ... უ, ეგ საროტაციო მანქანების ვირტუოზები!

ცოლმა ტრეუხოვი სახლში ეტლით წაიყვანა.

- ტრამვაიში ჩამსვი. - ეუბნებოდა იგი ცოლს, - როგორ ვერ ხვდები? რაკი არის ტრამვაი, მაშასადამე უნდა ჩავსხდეთ კიდეც. რატომ? ჯერ ერთი, ეს სარფიანია...

*

პოლესოვი კონცესიონერებს უკან მისდევდა. თავს დიდხანს იკავებდა და ბოლოს, რაკი დაინახა, გარშემო არავინ არისო, ვორობიანინოვს მიუახლოვდა.

- საღამო მშვიდობისა, ბატონო იპოლიტ მატვეევიჩ! - მოწიწებით მიმართა მან.

ვორობიანინოვი შეკრთა.

- პატივი არა მაქვს, - წაიბურტყუნა მან.

ოსტაპმა მარჯვენა მხარი წინ წამოსწია და ზეინკალ-ინტელიგენტს მიუახლოვდა.

- აბა, - თქვა მან, - რისი თქმა გინდათ ჩემი მეგობრისთვის?

- ნუ აღელდებით, - წაიჩურჩულა პოლესოვმა და მიმოიხედა, - მე ელენა სტანისლავოვნამ გამომგზავნა...

- რაო? ელენა აქ არის?

- აქაა და თქვენი ნახვა ძალიან უნდა.

- რისთვის? - ჰკითხა ოსტაპმა, - თქვენ ვინ ბრძანდებით?

- მე... იპოლიტ მატვეევიჩ, ნურაფერს ისეთს ნუ იფიქრებთ... თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე კი თქვენ ძალიან კარგად მახსოვხართ...

- ელენა სტანისლავოვნასთან მართლაც შეივლიდა კაცი, - ყოყმანით წარმოთქვა ვორობიანინოვმა.

- ძალიან გთხოვათ, მობრძანდითო.

- კარგი და, საიდან გაიგო?

- მე თქვენ კომუნალური მეურნეობის დერეფანში შეგხვდით. დიდხანს ვფიქრობდი, რა ნაცნობი სახეა, ნეტავ, ვინ უნდა იყოს-მეთქი, მერე გამახსენდა. თქვენ ნუ იღელვებთ, იპოლიტ მატვეევიჩ. ამას ძეხორციელი ვერ გაიგებს.

- ნაცნობი ქალია? - საქმიანად ჰკითხა ოსტაპმა.

- ჰო, ძველი ნაცნობია...

- ჰოდა, მაშ, მოვინახულოთ ეს ძველი ნაცნობი და ვივახშმოთ კიდეც. მე, მაგალითად, ძალიან მშია, მაგრამ ყველაფერი დაკეტილია.

- შეიძლება.

- მაშ, წავიდეთ! გაგვიძეხი, იდუმალებით მოცულო უცნობო!

ვიქტორ მიხაილოვიჩი კომპანიონებს წინ წაუძღვა. ეზო-ეზო მიდიოდა, წამდაუწუმ აქეთ-იქით იყურებოდა და სტუმრები პერელეშინის შესახვევისკენ მიჰყავდა, სადაც მარჩიელი ცხოვრობდა.

14. „მახვილისა და სახნისის კავშირი“

სიბერეში შესული ქალი ბევრი უსიამოვნების მსხვერპლი ხდება: შეიძლება, კბილები დასცვივდეს, თმა გაუთეთრდეს და გაუთხელდეს; ისიც შეიძლება, რომ ქოშინი აუტყდეს და უზომოდ გასუქდეს, ან, პირიქით, ძალიან გახდეს. მაგრამ ხმა კი არ შეეცვლება. ხმა სიბერეშიც ისეთივე ექნება, როგორიც გიმნაზიაში სწავლის დროს, ან გათხოვების ჟამს, ან ჭაბუკი არშიყის სატრფოდ ყოფნისას ჰქონდა.

პოლესოვმა როცა დააკაკუნა და კარს იქიდან ელენა სტანისლავოვნამ იკითხა, ვინ არისო, ვორობიანინოვი შეკრთა. მის საყვარელს ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორც ოთხმოცდაცხრამეტ წელს, პარიზის გამოფენის გახსნის წინ. მაგრამ ოთახში რომ შევიდა, სადაც სინათლემ თვალები ატკინა, იპოლიტ მატვეევიჩი დარწმუნდა, ამ ქალის უწინდელი სილამაზის ნატამალიც აღარსად არისო.

- როგორ გამოცვლილხართ, - უნებურად წარმოთქვა მან.

ბებრუხანა მას კისერზე ჩამოეკიდა.

- გმადლობთ, - უთხრა ქალმა, - ვიცი, რა სახიფათოა თქვენთვის ჩემთან მოსვლა. თქვენ ისევ ის სულგრძელი რაინდი ხართ. მე არ გკითხავთ, პარიზიდან რისთვის ჩამოხვედით. ხედავთ, მე ცნობისმოყვარე სულაც არა ვარ.

- მე პარიზიდან სულაც არ ჩამოვსულვარ, - დაბნეულად წაილაპარაკა ვორობიანინოვმა.

- ჩვენ ბერლინიდან ჩამოვედით, - გაუსწორა ოსტაპმა და იპოლიტ მატვეევიჩს იდაყვზე ხელი მოუჭირა, - მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი სასურველი არ არის.

- ოჰ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა, - შესძახა მარჩიელმა, - აქეთ, ამ ოთახში მობრძანდით... თქვენ კი, ვიქტორ მიხაილოვიჩ, მაპატიეთ, მაგრამ, იქნებ, ნახევარი საათის შემდეგ შემოგეარათ?

- ოჰ! - შენიშნა ოსტაპმა, - პირველი პაემანი... მძიმე წუთებია... ნება მომეცით, მეც დაგტოვოთ... ერთად წავიდეთ, პატივცემულო ვიქტორ მიხაილოვიჩ!

ზეინკალი სიხარულით აკანკალდა. მან ოსტაპი თან გაიყოლა. პერელეშინის შესახვევში ოსტაპი №5 სახლის ჭიშკრის ნამუსრევზე ჩამოჯდა და მოტორის გამოყენების ფანტასმაგორიული იდეებით შეპყრობილ, პირდაღებულ ხელოვანს ნართაული ლაპარაკი დაუწყო, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ოსტაპს სამშობლოს ხსნა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ერთი საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ და დაინახეს, რომ ბებრები სულს ძლივს იბრუნებდნენ.

- გახსოვთ, ელენა სტანისლავოვნა? - ეუბნებოდა იპოლიტ მატვეევიჩი.

- გახსოვთ, იპოლიტ მატვეევიჩ? - ეუბნებოდა ელენა სტანისლავოვნა.

„მგონი, ვახშმის საკითხი ფსიქოლოგიურად მომწიფებული უნდა იყოს“, - გაიფიქრა ოსტაპმა. მან სიტყვა შეაწყვეტინა იპოლიტ მატვეევიჩს, რომელიც ქალაქის მმართველობის არჩევნებს იგონებდა, და თქვა: - ბერლინში ძალიან უცნაური ჩვეულება აქვთ: ისე გვიან ჭამენ, რომ ვერაფრით ვერ მიხვდები, ადრიანი ვახშამია, თუ გვიანი სადილი.

ელენა სტანისლავოვნა შეტორტმანდა, კურდღლის თვალები იპოლიტ მატვეევიჩს მოსწყვიტა და სამზარეულოსკენ წაჩანჩალდა.

ოსტაპმა თავისი ხმა სრული არალეგალურობის დონეზე დააყენა და წაიჩურჩულა: - ახლა კი ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ.

მან პოლესოვს ხელში ხელი ჩასჭიდა.

- ეს დედაბერი სანდოა? ხომ არ დაგვაღალატებს?

პოლესოვმა ხელები მლოცველივით აღაპყრო.

- თქვენი პოლიტიკური კრედო?

- მუდამ და ყოველთვის! - აღტაცებით მიუგო პოლესოვმა.

- იმედი მაქვს, კირილოველი იქნებით?

- გახლავართ! - გაიჭიმა პოლესოვი.

- რუსეთი თქვენ არ დაგივიწყებთ! - დასჭექა ოსტაპმა.

იპოლიტ მატვეევიჩს ხელში ტკბილი ნამცხვარი ეჭირა და ოსტაპს გაოცებული უსმენდა, მაგრამ ოსტაპის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. დიდ კომბინატორს შთაგონება ეწვია. იგი საშუალოზე მაღალი შანტაჟის მომხიბლაობით თვრებოდა. მან ვეფხვივით გაიარ-გამოიარა ოთახში.

ელენა სტანისლავოვნამ, სამზარეულოდან სამოვარს რომ ძლივს მოათრევდა, ოსტაპს ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო. ოსტაპი თავაზიანად მიიჭრა მასთან, სამოვარი ჩამოართვა და მაგიდაზე დადგა. სამოვარმა დაუსტვინა, ოსტაპი ამოქმედდა.

- მადამ, - თქვა მან, - ჩვენ ბედნიერნი ვართ, თქვენი სახით ვიხილოთ...

აქ იგი გაჩუმდა. მან არ იცოდა, რატომ იყო ბედნიერი და ვის ხედავდა ელენა სტანისლავოვნას სახით. ისევ თავიდან უნდა დაეწყო. მეფის ჟანდარმის დროინდელი ბრტყელსიტყვაობიდან თავში რატომღაც „მოწყალება მოიღეთ“ უტრიალებდა, მაგრამ ეს სიტყვები ახლა უადგილო იყო, ამიტომ იგი საქმიანად ალაპარაკდა: - ფრიად საიდუმლოა! სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა!

ოსტაპმა ხელი ვორობიანინოვისკენ გაიშვირა.

- როგორ გგონიათ, ვინ არის ეს მძლავრი ბერიკაცი? ნურაფერს იტყვით. თქვენ ეს არ იცით. ეს - აზრის გიგანტი, რუსული დემოკრატიის მამა და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება გახლავთ.

იპოლიტ მატვეევიჩი წამოდგა, მთელი თავისი დიდებული ტანით აღიმართა და... დაბნეულად მიმოიხედა. მას ვერაფერი გაეგო, მაგრამ იცოდა, ოსტაპს ზედმეტი ლაპარაკი რომ არ სჩვეოდა, და ამიტომ დუმდა.

პოლესოვს ტანში აცახცახებდა, მას ნიკაპი ჭერისთვის მიეშვირა და იმ კაცის პოზაში იდგა, ცერემონიული მარშით რომ უნდა გაიაროს. ელენა სტანისლავოვნა სკამზე ჩამოჯდა და ოსტაპს შიშით მიაჩერდა.

- ქალაქში ჩვენიანები არიან? - პირდაპირ იკითხა ოსტაპმა, - როგორი განწყობილებებია?

- თუ ნებას მომცემთ... - წაილუღლუღა ვიქტორ მიხაილოვიჩმა და თავის გასაჭირს მოჰყვა. ახსენა №5 სახლის მეეზოვეც, - ის უხამსი, თავისი თავი რომ რაღაც ჰგონია, - სამ მერვედდუიმიანი გამხრახნიც, ტრამვაიც, და კიდევ ბევრი რამ.

- კეთილი! - დასჭექა ოსტაპმა, - ელენა სტანისლავოვნა! თქვენი მეშვეობით ჩვენ ქალაქის საუკეთესო ადამიანებს უნდა დავუკავშირდეთ, რომლებიც მუხთალმა ბედმა იატაკქვეშეთში ჩარეკა. ვისი დაძახება შეგიძლიათ?

- რა მოგახსენოთ... იქნებ, მაქსიმ პეტროვიჩი და მისი ცოლი...

- უცოლოდ! - გაუსწორა ოსტაპმა, - ქალები არ გვინდა! ერთადერთი სასიამოვნო გამონაკლისი თქვენ იქნებით. კიდევ ვინ?

თათბირში ვიქტორ მიხაილოვიჩმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. გამოირკვა, რომ შეიძლებოდა მოეწვიათ: მაქსიმ პეტროვიჩ ჩარუშნიკოვი, ქალაქის სათათბიროს

ყოფილი ხმოსანი, ახლა რომ რაღაც მანქანებით საბჭოთა მოსამსახურედ გარდაქმნილიყო; „უმალშეფუთვის“ მეპატრონე დიადიევი; ოდესის ბლითების არტელის - „მოსკოვური ფუნთუშების“ თავმჯდომარე კოსლიარსკი და კიდევ ორი ყმაწვილი კაცი, რომელთა გვარები არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ენდობოდნენ.

- გთხოვთ, ახლავე მოიწვიოთ ეს ხალხი პატარა თათბირზე, ოღონდ - ფრიად საიდუმლოდ.

- მე მაქსიმ პეტროვიჩთან, ნიკეშასთან და ვლადიასთან წავალ, - თქვა პოლესოვმა, - თქვენ კი, ელენა სტანისლავოვნა, კეთილი ინებეთ და „უმალშეფუთვაში“ და კისლიარსკისთან წაბრძანდით.

პოლესოვი გაიქცა. მარჩიელმა მოწიწებით შეხედა იპოლიტ მატვეევიჩს და წავიდა.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ეს იმას ნიშნავს, - მიუგო ოსტაპმა, - რომ თქვენ ჩამორჩენილი ადამიანი ხართ.

- რატომ?

- იმიტომ! მაპატიეთ ეს უხამსი კითხვა: ფული რამდენი გაქვთ?

- რა ფული?

- ყველანაირი. ვერცხლისა და სპილენძის ჩათვლით.

- ოცდათხუთმეტი მანეთი.

- მერე? ჩვენი კონცესიის ხარჯებს ეგ ეყოფა?

იპოლიტ მატვეევიჩი დუმდა.

- ყური მიგდეთ, ძვირფასო პატრონო! მგონი, ჩემი უნდა გესმოდეთ. არაფერი დაშავდება, თუ ერთი საათით აზრის გიგანტად და იმპერატორის მეგობრად გადაიქცევით.

- რისთვის?

- იმიტომ, რომ საბრუნავი კაპიტალი გვჭირდება. ხვალ ჩემი ქორწილია. მე მათხოვარი არ გახლავართ, ხვალ მე დიდი ქეიფი უნდა გადავიხადო.

- მერე მე რა უნდა ვქნა? - ამოიკვნესა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- თქვენ ჩუმად უნდა იჯდეთ. ხანდახან ლოყები გაბერეთ, ვითომ ღრმა აზრები გეწვიათ.

- ეს ხომ... ხალხის მოტყუებაა...

- ო! ამას ვინ ამბობს? გრაფი ტოლსტოი? თუ დარვინი? არა! ამას ის ადამიანი ამბობს, გუშინ ღამით გრიცაცუევის სახლში შეპარვას და ბეჩავი ქვრივის გაქურდვას რომ აპირებდა. ნუღარ ყოყმანობთ! ჩუმად იჯექით და ლოყების გამობერვა არ დაგავიწყდეთ ხოლმე.

- ვერ გამიგია, რატომ ვყოფთ თავს ასეთ სახიფათო საქმეში. რომ დაგვაბეზღონ?

- მაგაზე ნუ დარდობთ. მე ყველაფერი ავწონ-დავწონე. საქმეს ისე წავიყვან, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდება. ახლა კი ჩაი დავლიოთ.

სანამ კონცესიონერები სვამდნენ და ჭამდნენ, ხოლო თუთიყუში მზესუმზირას აკნატუნებდა, სტუმრებმა მოსვლა დაიწყეს.

ნიკეშა და ვლადია პოლესოვთან ერთად მოვიდნენ. ვიქტორ მიხაილოვიჩმა ყმაწვილი კაცების აზრის გიგანტისთვის წარდგენა ვერ გაბედა. ისინი კუთხეში დასხდნენ და უყურებდნენ, რუსული დემოკრატიის მამა ხბოს ხორცს როგორ ჭამდა. ნიკეშა და ვლადია კარგად მომწიფებული, ოცდაათი წლის ბოთეები იყვნენ, და ეტყობოდა, ძალიან მოსწონდათ, რომ თათბირზე მოიწვიეს.

ქალაქის სათათბიროს ყოფილი ხმოსანი, სქელი ბერიკაცი ჩარუშნიკოვი იპოლიტ მატვეევიჩს დიდხანს ართმევდა ხელს და თვალებში ჩასცქეროდა. ორივე მოგონებებში ჩაიძირნენ. ოსტაპი მათ უთვალთვალებდა. ცოტა აცადა და მერე ჩარუშნიკოვს მიმართა: - თქვენ რომელ პოლკში მსხაუროდით?

ჩარუშნიკოვი ათუხთუხდა: - მე... კაცმა რომ თქვას, მე არ მიმსახურია, იმიტომ რომ საზოგადოების ნდობით ვსარგებლობდი და... რამდენჯერმე არჩეული ვიქენ...

- აზნაური ხართ?

- დიახ, ყოფილი.

- იმედი მაქვს, აზნაურადვე დარჩებით. გამხნევდით! თქვენი დახმარება დაგვჭირდება. პოლესოვმა გითხრათ? საზღვარგარეთი დაგვეხმარება. საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ორგანიზაცია სრულიად საიდუმლოა. ყურადღება!

ოსტაპი კუთხეში მივიდა, პოლესოვი გამოაგდო და ნიკეშასა და ვლადიას მკაცრად უთხრა: - რომელ პოლკში მსახურობდით? სამშობლო გიხმობთ! აზნაურები ხართ? ძალიან კარგი! დასავლეთი დაგვეხმარება. გამხნევდით! შეწირულება, ესე იგი, ორგანიზაცია, სრულიად საიდუმლოა. ყურადღება!

ოსტაპი დუღდა. საქმეს კარგი პირი უჩანდა. ელენა სტანისლავოვნამ ოსტაპი „მუალშეფუთვის“ მფლობელს წარუდგინა. ოსტაპმა მფლობელი გვერდზე გაიყვანა. ურჩია, გამხნევდითო, ჰკითხა, რომელ პოლკში მსახურობდა, დაჰპირდა, საზღვარგარეთი დაგვეხმარებაო და დაუდასტურა, ორგანიზაცია სრულიად საიდუმლოაო. „უმალშეფუთვის“ მფლობელმა ჯერ იყო და გაქცევა დააპირა. იგი თავისი ფირმით კმაყოფილი იყო და არ უნდოდა, სახიფათო საქმეში გარეულიყო, მაგრამ ოსტაპის მოქნილ ფიგურას რომ დაუკვირდა, შეყოყმანდა, „ვინ იცისო, - გაიფიქრა, - ყველაფერი იმაზე ჰკიდია, ამ საქმეს რა საფანელს დაუდებენ?!“

მეგობრული მასლაათი ჩაიზე განახლდა. შეთქმულები საიდუმლოს წმინდად ინახავდნენ და ქალაქის ახალ ამბებზე მსჯელობდნენ.

ბოლოს მოქალაქე კისლიარსკიც მოვიდა. ის არასოდეს აზნაური არ ყოფილა და არც გვარდიულ პოლკებში უმსახურია, მაგრამ როგორც კი ოსტაპმა რამდენიმე სიტყვა უთხრა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

- გამხნევდით, - შთამაგონებლად უთხრა ოსტაპმა.

კისლიარსკი დაჰპირდა.

- თქვენ კერძო კაპიტალის წარმომადგენელი ხართ და განა ხალხის კვნესა არ გესმით? განა ხალხს არ თანაუგრძნობთ?

კისლიარსკიმ თანაუგრძნო და დაღონდა.

- იცით, ეს ვინ არის? - ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩზე მიუთითა.

- როგორ არა, - მიუგო კისლიარსკიმ, - ეგ ბატონი ვორობიანინოვია.

- არა, - უთხრა ოსტაპმა, - ეგ აზრის გიგანტიც, რუსული დემოკრატიის მამა და იმპერატორის მეგობარია.

„სულ ცოტა - ორ წელიწადს მომარტყამენ სასტიკი იზოლაციით, - გაიფიქრა კისლიარსკიმ და აკანკალდა, - აქ რამ მომიყვანა!“

- „მახვილისა და სახნისის საიდუმლო კავშირი“, - ჩაიჩურჩულა ოსტაპმა.

„ათი წელი“, - გაუელვა კისლიარსკის.

- თუმცა ჩვენ ძალას არ გატანთ. შეგიძლიათ, წახვიდეთ, მაგრამ გაფრთხილებთ, ჩვენ გრძელი ხელები გვაქვს.

„მე შენ გიჩვენებ, მამაძაღლო, - გაიფიქრა ოსტაპმა, -ას მანეთზე ნაკლებად აქედან თავს ვერ გამოიხსნი“.

კისლიარსკი მარმარილოს ქანდაკებას დაემსგავსა. ერთი საათის წინ მან გემრიელად ისადილა, ქათმის შიგნეული და თხილიანი ბულიონი მიირთვა და არც კი მოლანდებია, „მახვილისა და სახნისის“ საშინელი კავშირი თუ არსებობდა, მაგრამ რაღა ექნა, დარჩა. „გრძელმა ხელებმა“ მასზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

- მოქალაქენო! - თქვა ოსტაპმა და თათბირი გახსნა, - ცხოვრება თავის სასტიკ კანონებს გვიკარნახებს. მე არაფერს გეტყვით ჩვენი შეკრების მიზანზე. თქვენ ის იცით. ჩვენი მიზანი წმინდაა. ყოველი მხრიდან კვნესა გვესმის. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან შველას გვთხოვენ. ჩვენ ვალდებული ვართ, დახმარების ხელი გავუწოდოთ, და ჩვენ მას გავუწვდით. ზოგი ჩვენგანი მსახურობს და კარაქიან პურს ჭამს, სხვები ხელობას მისდევენ და ხიზილალიან ბუტერბროდებს მიირთმევენ. ერთნიც და მეორენიც საკუთარ ლოგინებში იძინებენ და თბილი საბნები ახურავთ. მხოლოდ უპატრონო ბავშვებს, ობლებს არაფერი გააჩნიათ. ეს ქუჩის ყვავილები, ანუ, როგორც გონებრივი შრომის პროლეტარები ამბობენ, ასფალტის ყვავილები, უკეთესი ხვედრის ღირსნი არიან. ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულნო და ჩვენ, ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, მათ უსათუოდ დავეხმარებით.

დიდი კომბინატორის სიტყვებმა მსმენელებს სხვადასხვა გრძნობები აღუძრა.

პოლესოვმა თავის ახალ მეგობარს - ახალგაზრდა გვარდიელს ვერაფერი გაუგო.

„რომელ ბავშვებზე ლაპარაკობს? - გაიფიქრა მან, - ბავშვები რა შუაშია?“

იპოლიტ მატვეევიჩი არც ცდილა რამის გაგებას. მას უკვე ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ხმაამოუღებლად იჯდა და ლოყებს ბერავდა.

ელენა სტანისლავოვნა დანაღვლიანდა.

ნიკეშა და ვლადია ოსტაპის ცისფერ ჟილეტს მისჩერებოდნენ.

„უმალშეფუთვის“ მფლობელი ფრიად კმაყოფილი იყო.

„აი მესმის, - ფიქრობდა იგი, - ამ საქმეში კაცი ფულსაც გაიღებს. თუ გამოვიდა - პატივისცემა მერგება, არა და - მე არაფერი არ ვიცი. ბავშვებს ვეხმარებოდი, მორჩა და გათავდა“.

ჩარუშნიკოვმა დიადიევს მრავლისმეტყველი მზერა შეავლო. მას მომხსენებლის კონსპირატიულობა მოეწონა და მაგიდაზე პურის დასორსვლა განაგრძო.

კისლიარსკი მეშვიდე ცაზე იყო.

„ოქროს თავი ბმია“, - ფიქრობდა იგი. ჩვენებოდა, უპატრონო ბავშვები არასოდეს ისე არ მყვარებია, როგორც ამ საღამოსო.

- ამხანაგებო! - განაგრძო ოსტაპმა, - დახმარების გადადება აღარ შეიძლება. ჩვენ ბავშვები ქუჩის კლანჭებს უნდა გამოვტაცოთ, და ჩვენ ამას ვიზამთ, ბავშვებს ვუშველით! უნდა გვახსოვდეს, ბავშები - სიცოცხლის ყვავილებია. მე მოგიწოდებთ, ახლავე გაიღოთ შემოწირულობანი და ბავშვებს მიეშველოთ. დიახ, მხოლოდ ბავშვებს და სხვას არავის! თქვენ გესმით ჩემი?

ოსტაპმა ჯიბიდან ქვითრების წიგნაკი ამოიღო.

- გთხოვთ, ფული გაიღოთ. ჩემს რწმუნებებს იპოლიტ მატვეევიჩი დაადასტურებს.

იპოლიტ მატვეევიჩი გაიხორა და თავი დახარა. აქ თვით დამცინავი ნიკეშა და ვლადია და ფორიაქა ზეინკალიც ჩასწვდნენ ოსტაპის ქარაგმული სიტყვების საიდუმლო აზრს.

- უფროსობის მიხედვით, ბატონებო, - თქვა ოსტაპმა, - დავიწყოთ პატივცემული მაქსიმ პეტროვიჩიდან.

მაქსიმ პეტროვიჩი აწრიალდა და ძლივს ოცდაათი მანეთი გაიღო.

- სხვა დროს მეტს მოგცემთ, - განაცხადა მან.

- სხვა დროც მალე დადგება, - თქვა ოსტაპმა, - თუმცა უპატრონო ბავშვებს, - ჩემს მარწმუნებლებს - ეს არ ეხებათ.

ნიკეშამ და ვლადიამ რვა მანეთი მისცეს.

- ცოტაა, ახალგაზრდებო!

ახალგაზრდები გაწითლდნენ.

პოლესოვი სახლში გაიქცა და ორმოცდაათი მანეთი მოიტანა.

- ბრავო, ჰუსარო! - უთხრა ოსტაპმა, - მარტოხელა მოტორიან ჰუსარს პირველ ხელზე მეტს ვერც მოვთხოვთ. ვაჭრები რაღას იტყვიან?

დიადევი და კისლიარსკი დიდხანს აჯანჯლებდნენ. ჯამაგირის სიმცირეს უჩიოდნენ, მაგრამ ოსტაპმა არ შეიწყნარა.

- იპოლიტ მატვეევიჩის თანდასწრებით ასეთი ლაპარაკი შეუწყნარებლად მიმაჩნია.

იპოლიტ მატვეევიჩმა თავი დახარა. ვაჭრებმა ობლების სასარგებლოდ ორას-ორასი მანეთი გაიღეს.

- სულ ოთხას ოთხმოცდარვა მანეთია, - განაცხადა ოსტაპმა, - ეჰ! ხუთასს თორმეტი მანეთი აკლია.

ელენა სტანისლავოვნა დიდხანს ებრძოდა ცდუნებას. ბოლოს საძინებელ ოთახში გავიდა და ჩანთით თორმეტი მანეთი გამოიტანა.

ამის შემდეგ თათბირმა საზეიმო იერი დაკარგა და ჩაიფერფლა. ოსტაპი ანცობდა. ელენა სტანისლავოვნა მთლად მოეშვა. სტუმრები ორგანიზატორებს გამოეთხოვნენ და დაშლა დაიწყეს.

- შემდეგი თათბირის დღეს შეგატყობინებთ, - ეუბნებოდა ოსტაპი, - საქმე ფრიად საიდუმლოა. არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ბავშვებს ვეხმარებით... ასე თქვენთვისაც უკეთესი იქნება.

კისლიარსკიმ ამ სიტყვების გაგონებაზე კინაღამ უთხრა, ოღონდ თათბირზე ნუღარ მომიწვევთ და კიდევ ხუთ თუმანს მოგცემთო, მაგრამ თავი შეიკავა.

- აბა, დავიშალოთ, - თქვა ოსტაპმა, - იპოლიტ მატვეევიჩ! იმედი მაქვს, ელენა სტანისლავოვნას სტუმართმოყვარეობით ისარგებლებთ და აქ დარჩებით. ეს კონსპირაციისთვის უკეთესი იქნება. მე კი წავედი.

იპოლიტ მატვეევიჩი სასოწარკვეთილი უპაჭუნებდა თვალს, მაგრამ ოსტაპმა, თითქოს აქ არაფერიაო, თავი დაუკრა და გავიდა.

ერთი კვარტალი რომ გაიარა, ოსტაპს გაახსენდა, - ჯიბეში პატიოსნად ნაშოვნი ხუთასი მანეთი ედო.

- მეეტლევ! - დაუყვირა მან, - „ფენიქსში“ წამიყვანე.

- შეიძლება, - მიუგო მეეტლემ.

მან აუჩქარებლად მიიყვანა ოსტაპი რესტორანთან, მაგრამ რესტორანი დაკეტილი დაუხვდათ.

- ეს რა ამბავია?

- პირველი მაისის გამო...

- ოჰ, მე მაგათი! ჯიბეები ფულით მაქვს გამოტენილი და ერთი ვერ წამიქეიფია. აბა, პლეხანოვის ქუჩაზე წამიყვანე. იცი?

ოსტაპმა საცოლის მონახულება მოინდომა.

- წინათ მაგ ქუჩას რა ერქვა? - ჰკითხა მეეტლემ.

- არ ვიცი.

- არც მე ვიცი, სად წავიდეთ?

ოსტაპმა მაინც უბრძანა, დაიძარი და ეძიეო.

ჩაბნელებულ, დაცარიელებულ ქალაქში საათნახევრის განმავლობაში იხეტიალეს. ხან ღამის დარაჯებს ეკითხებდნენ, ხან მილიციელებს. ერთმა მილიციელმა დიდხანს იფიქრა და ბოლოს თქვა, პლეხანოვის ქუჩა ყოფილი გუბერნატორისა უნდა იყოსო.

- ჰოო! გუბერნატორის ქუჩა კარგად ვიცი. ოცდახუთი წელია, მაგ ქუჩაზე დავდივარ.

- აბა, ჰაიდა!

მაგრამ ყოფილი გუბერნატორის ქუჩა ახლა პლეხანოვის კი არა, კარლ მარქსისა ყოფილა.

ოსტაპი გაბრაზდა. მეეტლეს უბრძანა, ეძიეო. ეძიეს, მაგრამ ვერ იპოვეს.

ამასობაში ირიჟრაჟა კიდეც. აისმა გაანათა მდიდრის ტანჯული სახე, ვერასგზით გართობა რომ ვერ მოეხერხებინა.

- „სორბონაში“ წამიყვანე! - დაუყვირა ოსტაპმა მეეტლეს, - შენც მეეტლე ხარ, რაღა! პლეხანოვიც კი არ იცი.

*

გრიცაცუევის ქვრივის სახლი ბრწყინავდა. საქორწილო სუფრის თავში „ჯვრის მეფე“ - თურქეთის ქვეშევრდომის შვილი იჯდა. იგი ელეგანტური და მთვრალი იყო. სტუმრები ხმაურობდნენ.

პატარძალს ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. ოცდათხუთმეტს გადაცილებული იყო. ბუნებას უხვად დაეჯილდოვებინა. არ აკლდა, არც საზამთროსოდენა გულმკერდი, არც უროსებური ცხვირი, არც წითელი ლოყები და მძლავრი კეფა. ახალ ქმარს იგი აღმერთებდა და თან, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც მისი. ამიტომ სახელსა და მამის სახელს კი არ უწოდებდა, არამედ ამხანაგ ბენდერს. ქმრის სახელი და მამის სახელი მისთვის სამუდამო საიდუმლოდ დარჩა.

იპოლიტ მატვეევიჩი ისევ აღთქმულ სკამზე იჯდა და სანამ ვახშმობდნენ, რამდენჯერმე შეხტა, იქნებ, რაიმე მაგარი ვიგრძნოო. ხანდახან, მართლაც, რაღაც მაგარს იგრძნობდა ხოლმე. მაშინ სტუმრებისადმი სიყვარული ახალი ძალით იფეთქებდა მის გულში და იგი თავდავიწყებით გაჰკიოდა - „გორკაო“.

ოსტაპი სიტყვებს, სადღეგრძელოებს და ექსპრომტებს ამბობდა. დალიეს სახალხო განათლების და უზბეკეთის ირიგაციის სადღეგრძელო. მერე სტუმრებმა დაშლა

დაიწყეს. იპოლიტ მატვეევიჩი წინკარში შეყოვნდა და ოსტაპს ჩასჩურჩულა: - ნუღარ დააყოვნებთ, მანდაა.

- თქვენ სულ შეძენაზე ფიქრობთ, - მიუგო მთვრალმა ოსტაპმა, - სასტუმროში დამელოდეთ. არსად წახვიდეთ. მელოდეთ ყოველ წუთს. სასტუმროს ხარჯი გაისტუმრეთ. ყველაფერი მზად იყოს. ადიო, ფელდმარშალო! მისურვეთ ღამე მშვიდობისა!

იპოლიტ მატვეევიჩმა უსურვა და, აფორიაქებული, „სორბონასკენ“ გაეშურა.

დილის ხუთ საათზე ოსტაპი მოვიდა და სკამი მოიტანა. იპოლიტ მატვეევიჩი აცმუკდა, ოსტაპმა სკამი შუა ოთახში დადგა და ზედ ჩამოჯდა.

- როგორ მოახერხეთ? - წაილაპარაკა, როგორც იქნა, ვორობიანინოვმა.

- სულ უბრალოდ, ოჯახურად. ქვრივს ეძინა და სიზმრებს ხედავდა. გაღვიძება დამენანა. „ნუ გააღვიძებ განთიადისას“. წერილის დატოვება მომიხდა: „მივემგზავრები ნოვოხოპერსკში, მოხსენების წასაკითხავად. სადილად ნუ დამელოდები. შენი ცუგრუმელა“. სკამი სასადილოში იდგა. ამ დილაადრიან ტრამვაი არ მუშაობს და გზადაგზა ამ სკამზე ვისვენებდი.

იპოლიტ მატვეევიჩმა რაღაც წაიბურტყუნა და სკამს წაეპოტინა.

- წყნარად, - უთხრა ოსტაპმა, -ხმაური არ იყოს.

მან ჯიბიდან ბრტყელტუჩა ამოიღო და მუშაობა გაჩაღდა.

- კარი დაკეტეთ? - იკითხა ოსტაპმა.

მან მოუთმენელი ვორობიანინოვი მოიშორა და სკამი ფრთხილად დაშალა. ცდილობდა, ყვავილებიანი ინგლისური ჩითი არ გაეხია.

- ასეთ ნაჭერს ახლა ვერსად იშოვი, შევინახოთ. რას იზამ, სასაქონლო შიმშილია.

იპოლიტ მატვეევიჩს კინაღამ გული შეუწუხდა.

- მზადაა, - წყნარად წარმოთქვა ოსტაპმა.

მან საფენი გადააგდო და ხელები ზამბარებში ჩაყო. შუბლზე ძარღვები დაებერა.

- აბა? აბა? - სხვადასხვა ტონით ეკითხებოდა იპოლიტ მატვეევიჩი, - აბა?

- აბა და აბა! - გაბრაზდა ოსტაპი, - თერთმეტის წინააღმდეგ ერთი შანსი გვაქვს. და ის ერთიც...

მან სკამის შინგეულში ერთხელაც მოაფათურა ხელები და წარმოთქვა: - ის ერთიც ჯერჯერობით ჩვენი არ არის.

ოსტაპი წელში გაიმართა და მუხლების წმენდას შეუდგა. იპოლიტ მატვეევიჩი სკამს მივარდა.

ბრილიანტები არ იყო. იპოლიტ მატვეევიჩს ხელები ჩამოუცვივდა. ოსტაპი კი ისევ მხნედ გამოიყურებოდა.

- ახლა მეტი შანსი გვაქვს, - თქვა მან და ოთახში გაიარ-გამოიარა, - არა უშავს. ეს სკამი ქვრივს უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე ჩვენ.

მან ჯიბიდან თვლებიანი ოქროს ბროში, ოქროსვე სამაჯური, ექვსი მოოქრული კოვზი და ჩაის საცრელი ამოიღო.

იპოლიტ მატვეევიჩი ძალიან დაზაფრული იყო და ვერც კი მოისაზრა, რომ ჩვეულებრივი ქურდობის თანამონაწილე გახდა.

- ვულგარული ნივთებია, - თქვა ოსტაპმა, - მაგრამ საყვარელი ქალი მივატოვე და უსახსოვროდ ხომ ვერ წამოვიდოდი? დროს ნუღარ დავკარგავთ. ეს მხოლოდ დასაწყისია. დასასრული მოსკოვში იქნება. საავეჯო მუზეუმი გრიცაცუევის ქვრივი კი არ გეგონოთ. იქ უფრო გაგვიჭირდება.

კომპანიონებმა სკამის ნამტვრევები ლოგინქვეშ შეყარეს, ფული გადათვალეს (ობლების სასარგებლო შემოწირულობასთან ერთად ხუთას ოცდათხუთმეტი მანეთი შეუგროვდათ) და გამოვიდნენ.

ეტლში ჩასხდნენ და მთელი ქალაქი შემოიარეს. კოოპერატიულ ქუჩაზე პოლესოვი დაინახეს, რომელიც დამფრთხალი ანტილოპასავით გარბოდა. უკან პერელეშინის შესახვევის №5 სახლის მეეზოვე მისდევდა. სანამ შეუხვევდნენ, კონცესიონერებმა დაინახეს, რომ მეეზოვე ვიქტორ მიხაილოვიჩს დაეწია და ცემა დაუწყო.

- მიშველეთ! - აყვირდა პოლესოვი.

კონცესიონერები მატარებლის გასვლამდე საპირფარეშოში ისხდნენ, იმის შიშით, საყვარელი ქალი არ წაგვაწყდესო.

მატარებელმა მეგობრები ხმაურიანი ცენტრისკენ გააქანა. მეგობრები ფანჯარას ეცნენ.

მატარებელი გუსიშჩეზე მიქროდა.

უცებ ოსტაპი აბღავლდა და ვორობიანინოვს ბიცეპსზე ხელი წაავლო.

- შეხედეთ, შეხედეთ! ჩქარა! ალხენი, ძაღლი მამაძაღლი!

იპოლიტ მატვეევიჩმა ქვევით გაიხედა. მიწაყრილის გაყოლებით ვიღაც ულვაშიანი, ზორბა მამაკაცი ორთვალას მიაგორებდა. ორთვალაზე მოწითალო ფისგარმონია და ხუთი ფანჯრის ჩარჩო ეწყო. ორთვალას გვერდით თაგვისფერხალათიანი, მორცხვი გამომეტყველების მოქალაქე მისდევდა.

მზემ ღრუბლები გამოარღვია. ეკლესიების ჯვრები გაბრწყინდა.

ოსტაპი ხარხარებდა. ფანჯრიდან გადაიწია და დაიღრიალა: - პაშკა! ბაზრობაზე მიდიხართ?

პაშკამ თავი ასწია, მაგრამ მხოლოდ ბოლო ვაგონის ბუფერები დაინახა და ნაბიჯს აუჩქარა.

- დაინახეთ? - მხიარულობდა ოსტაპი, - რა მშვენიერია, ხალხი დროს არ კარგავს.

მან დაღვრემილ ვორობიანინოვს მხარზე ხელი დაჰკრა: - არაფერია, მამილო! გულს ნუ გაიტეხ! სხდომა გრძელდება! ხვალ საღამოს მოსკოვში ვიქნებით.

ნაწილი მეორე. მოსკოვში

15. სკამების ოკეანეში

სტატისტიკამ ყველაფერი იცის.

ზუსტადაა განსაზღვრული, თუ რამდენი სახნავი მიწაა საბჭოთა კავშირში, აქედან რამდენია შავმიწა ნიადაგი, რამდენი თიხნარი, და რამდენი ჰექტარი უკავია ტყეს. ორივე სქესის ყველა მოქალაქე სქელ წიგნებში - მმაჩის დავთრებშია ჩაწერილი, რომელთაც იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვი ასე კარგად იცნობდა. ცნობილია, რამდენ საჭმელს მიირთმევს წლიურად რესპუბლიკის საშუალო მოქალაქე. ისიც ცნობილია, თუ ეს საშუალო მოქალაქე რამდენ არაყს სვამს და რამდენი დასაყოლებელი სჭირდება. დათვლილია, თუ რამდენია სახელმწიფოში მონადირე, მოცეკვავე ქალი, რევოლვერული დაზგა, ყოველგვარი ჯიშის ძაღლი, ველოსიპედები, ძეგლები, ქალწულები, შუქურები და საკერავი მანქანები.

რამდენი ვნებიანი, აზრითა და სწრაფვით აღსავსე სიცოცხლე მოგვჩერებია ჩვენი სტატისტიკური ცხრილებიდან!

ვინაა ის ვარდისფერლოყება ინდივიდუუმი, მაგიდას რომ მისჯდომია, გულზე ხელსახოცი აუფარებია და მადიანად მიირთმევს ცხელ-ცხელ შეჭამადს? მის გარშემო მინიატურული ხარების ჯოგებია. ცხრილის კუთხეში მსუქანი ღორები ნებივრობენ. სპეციალურ სტატისტიკურ აუზში ურიცხვი თართი, ღლაბუტა და ჩეხონი დაცურავს. ინდივიდუუმს მხრებზე, ხელებსა და თავზე ქათმები ასხედან. ბუმბულისებრ ღრუბლებში ბატები, იხვები და ინდაურები დაფრინავენ. მაგიდის ქვეშ ორი კურდღელი შემალულა, ჰორიზონტზე გამომცხვარი პურის პირამიდები და ბაბილონის გოდოლები აღმართულა. მურაბის მცირე კოშკს რძის მდინარე ჩამოურბის. იქიდან ძეგლისოდენა კიტრი აზიდულა. მარილისა და პილპილის გროვების გასწვრივ ღვინის, არყისა და ნაყენის ასეულები მიაბიჯებენ. არიერგარდში კი საწყლად მიბობღავენ უალკოჰოლო სასმელები - ნარზანები, ლიმონათები და მავთულის ბადეებში გახვეული სიფონები.

მაშ, ვინაა ეს ვარდისფერლოყება ინდივიდუუმი? ღორმუცელა, თუ ლოთი? ან, იქნებ, ეს გარგანტუაა, დიპსოდების მეფე? თუ გოლიათი თოსია? ან იქნებ, ის ლეგენდარული ჯარისკაცია, იაშკა წითელხალათიანს რომ ეძახიან? თუ ლუკულია?

არა, ეს ლუკული არ არის. ეს ივან ივანოვიჩ სიდოროვია, ან სიდორ სიდოროვიჩ ივანოვი, - ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც თავის სიცოცხლეში საშუალოდ იმდენი საჭმელი სჭირდება, რამდენიც ცხრილზეა გამოხატული. ეს კალორიებისა და ვიტამინების ნორმალური მომხმარებელია, - ორმოციოდე წლის, წყნარი, უცოლო მამაკაცი, რომელიც გალანტერეისა და ტრიკოტაჟის სახელმწიფო მაღაზიაში მსახურობს.

სტატისტიკას ვერსად დაემალები. მას ზუსტი ცნობები გააჩნია არა მარტო კბილის ექიმების, შპრიცების, ძეხვეულის მაღაზიების, მეეზოვეების, კინორეჟისორების, მეძავების, ისლის სახურავების, ქვრივების, მეეტლეებისა და ზარების შესახებ, მან ისიც კი იცის, თუ რამდენი სტატისტიკოსია ქვეყნად.

და მხოლოდ ერთი რამ არ იცის.

მან არ იცის, რამდენი სკამია საბჭოთა კავშირში.

სკამები ძალიან ბევრია. უკანასკნელმა სტატისტიკურმა აღწერამ გვიჩვენა, მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რაოდენობა ას ორმოცდასამ მილიონ სულს შეადგენსო. ამას ორმოცდაათი მილიონი გლეხი რომ გამოვაკლოთ, სკამებს ჯორკოები და კარების ზღურბლები, აღმოსავლეთში კი - გაცვეთილი ხალიჩები და ფალასები რომ ურჩევნიათ, - ორმოცდაათი მილიონი მაინც დაგვრჩება. ამ ორმოცდაათ მილიონს უსკამობა არასგზით არ შეუძლია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღწერაში შეცდომები გაეპარებოდათ და იმასაც, რომ საბჭოეთის ზოგ მოქალაქეს ორ სკამშუა ჯდომა უყვარს, და საერთო რიცხვს ყოველი შემთხვევისთვის შუაზე გავყოფთ, მივიღებთ, რომ ქვეყნად ოცდაექვსმილიონ-ნახევარი სკამი მაინც უნდა იყოს. ეს ექვსმილიონ-ნახევარიც - ჯანდაბას! ასე რომ, მინიმალური ციფრი ოცი მილიონი იქნება.

ამ ოცი მილიონი სკამიდან ზოგი კაკლის ხისგანაა გაკეთებული, ზოგი მუხისგან, სხვანი იაკარანდისა, წითელი ხისა თუ კარელიური არყისგან. ფიჭვისა თუ ნაძვის მერქნისგან. ამ სკამების ოკეანეში ჩვენმა გმირებმა ერთი ცალი ჰამბსის მარკის, კაკლის ხის, ფეხებდაგრეხილი სკამი უნდა იპოვონ, რომლის მუცელშიც მადამ პეტუხოვას განძეული იმალება.

კონცესიონერები ზედა თაროებზე იწვნენ. მათ ეძინათ, როცა მატარებელმა ფრთხილად გადაჭრა ოკა, სვლას უმატა და მოსკოვს მიუახლოვდა.

16. ბერ ბერტოლდ შვარცის სახელობის საერთო საცხოვრებელი

იპოლიტ მატვეევიჩი და ოსტაპი მაგარი ვაგონის ფანჯარასთან იდგნენ და ყურადღებით მისჩერებოდნენ ძროხებს, მიწაყრილზე რომ ჩამოდიოდნენ, ხავსს, აგარაკების ფიცრულ ბაქნებს. სამგზავრო ანეკდოტები უკვე შემოელიათ. სამშაბათის „სტარგოროდსკაია პრავდა“ განცხადებამდე ჩაიკითხეს და გაზეთი ახლა ქონის ლაქებით იყო აჭრელებული. ვარიები, კვერცხები და ზეთისხილი შემოეჭამათ.

წინ გზის ყველაზე მომქანცველი ნაწილი ედოთ - უკანასკნელი საათი მოსკოვამდე.

მეჩხერი ტყეებიდან და ჭალებიდან მიწაყრილისკენ მხიარული აგარაკები მორბოდნენ. მათ შორის ხის სასახლეებიც იყო, შემინული, მბრწყინავი ვერანდებით და ახლად შეღებილი, თუნუქის სახურავებით. ერია უბრალო მორებისგან შეკრული ქოხებიც, რომელთა პატარა ოთხკუთხა ფანჯრებიდან მოაგარაკენი პატიმრებივით იყურებოდნენ.

სანამ მგზავრები მცოდნეებივით ათვალიერებდნენ ჰორიზონტს და ერთმანეთს კალკის ბრძოლის ეპიზოდებს უამბობდნენ, იპოლიტ მატვეევიჩი დაჟინებით

ცდილობდა, ავეჯის მუზეუმი წარმოედგინა. მუზეუმი მას მრავალვერსიან კორიდორად ეხატებოდა, რომლის კედლების გასწვრივ სკამები იყო ჩამწკრივებული. ვორობიანინოვი სწრაფად მიაბიჯებდა მათ შორის.

- როგორ წავა ჩვენი საქმე ავეჯის მუზეუმში? - შეშფოთებით ჰკითხა მან ოსტაპს, - რამეს მოვახერხებთ?

- ის დროა, ბატონო თავადაზნაურობის წინამძღოლო, რომ ელექტრონით მკურნალობდეთ. ნაადრევ ისტერიკებს ნუ მიწყობთ, თუ თავის შეკავება აღარ შეგიძლიათ, მე მაინც ნურაფერს გამაგონებთ.

მატარებელი ისრებზე მიხტოდა. მას პირდაფჩენილი სემაფორები მოსჩერებოდნენ. ლიანდაგები მრავლდებოდა. ვეებერთელა სარკინიგზო კვანძის მიახლოვება იგრძნობოდა. ბალახი გაქრა, მის ნაცვლად ყველგან წიდა მოჩანდა. სტვენდნენ სამანევრო ორთქლმავლები... მეისრეები საყვირებს აყვირებდნენ. უცებ გრიალმა იმძლავრა. მატარებელი ორ ცარიელ შემადგენლობას შორის შეცურდა, ტურნიკეტივით ატკაცუნდა და ვაგონების თვლა დაიწყო.

ლიანდაგები წყვილდებოდნენ.

მატარებელი კორიდორიდან გამოვარდა. ფანჯრებში მზის შუქი შემოიჭრა. დაბლა, მიწაზე, პატარა ცულების მსგავსი ისრების ფანრები გარბოდნენ. ყველგან კვამლი იდგა. ორთქლმავალმა ამოიქშინა და თოვლივით თეთრი ბაკენბარდები დაიყენა. მოსახვევიდან ყვირილი მოისმა. დეპოელები ორთქლმავალს სადგომისკენ მიაგორებდნენ.

მკვეთრი დამუხრუჭებისგან მატარებლის სახსრებმა ხრჭიალი დაიწყო. ირგვლივ ყველაფერი აწივლდა და იპოლიტ მატვეევიჩს მოეჩვენა, კბილის ტკივილის სამეფოში მოვხვდიო. მატარებელი ასფალტის ბაქანთან გაჩერდა.

ეს მოსკოვი იყო, - რიაზანის სადგური, ყველაზე ახალი მოსკოვის ვაგზალთა შორის.

მოსკოვს კიდევ რვა ვაგზალი აქვს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გააჩნია ასეთი ხალვათი და მაღალი შენობები. მთელი იაროსლავის ვაგზალი, თავისი ფსევდო-რუსული მოკაზმულობით და ჰერალდიკური ქათმებით ადვილად მოთავსდება რიაზანის სადგურის დიდ ბუფეტ-რესტორანში.

მოსკოვის სადგურები ქალაქის ჭიშკრებია. ისინი ყოველდღიურად ოცდაათი ათას მგზავრს იღებენ და ამდენსავეს ისტუმრებენ. ალექსანდრეს სადგურით მოსკოვში უცხოელი შემოდის, რომელსაც კაუჩუკის ლანჩებიანი ფეხსაცმელი და გოლფის კოსტიუმი აცვია, შარვალი კი სქელ შალის წინდებში აქვს ჩატანებული. კურსკის ვაგზლიდან მოსკოვში ყავისფერი, სავენტილაციო ნახვრეტებიანი ფაფახით თავდამშვენებული კავკასიელი და ზორბა, წვერიანი ვოლგელი შემოდიან. ოქტომბრის სადგურიდან ნახევრადპასუხისმგებელი მუშაკი შემორბის, რომელსაც ღორის ტყავის საუცხოო პორტფელი ამოუჩრია. იგი ლენინგრადიდან ჩამოსულა, რათა საკითხი შეათანხმოს და კონკრეტულად გადაწყვიტოს. კიევისა და ოდესის წარმომადგენლები დედაქალაქში ბრიანსკის სადგურით შედიან. ტიხონოვის ქუჩას მიაღწევენ თუ არა, კიეველები ზიზღით იღიმებიან. მათ მშვენივრად იციან, რომ კრეშჩატიკისთანა ქუჩა დედამიწის ზურგზე არსად არის. ოდესელები კალათებსა და

ბრტყელ ყუთებს მიათრევენ, რომელშიც შებოლილი თევზია. მათაც ძალიან კარგად იციან, რომელია ულამაზესი ქუჩა ქვეყანაზე, - ეს რომელიღაც კრეშჩატიკი კი არა, არამედ ლასალის ქუჩა, ყოფილი დერიბასოვის პროსპექტია. სარატოვიდან, ატკარსკიდან, ტამბოვიდან, რტიშჩევიდან და კოზლოვიდან ჩამოსულები მოსკოვში პაველეცკის სადგურით შედიან. ყველაზე ცოტა მგზავრი კი საველიოვის ვაგზლით შემოდის. ესენი არიან ტალდომელი მეწაღეები, ქალაქ დიმიტროვის მცხოვრებნი, იახრომის მანუფაქტურის მუშები, ან უნიათო მოაგარაკე, ზამთარ-ზაფხულ რომ სადგურ ხლებნიკოვოში ცხოვრობს. მოსკოვამდე მათ მოკლე გზა აქვთ. ამ ხაზზე უგრძესი მანძილი - ას ოცდაათი ვერსია. იაროსლავის სადგურიდან კი დედაქალაქში ვლადივოსტოკელები, ჩიტელები, და სხვა შორეული, დიდი ქალაქების მკვიდრნი შემოდიან.

მაგრამ ყველაზე საოცარი მგზავრები მაინც რიაზანის სადგურზე ირევიან. ესენი გახლავთ თეთრი კისეის ჩალმებსა და ფერად ხალათებში გამოწყობილი უზბეკები, წვერწითელა ტაჯიკები, თურქმენები, ხიველები და ბუხარელები, რომელთა რესპუბლიკებშიც მუდმივად მზე ბრწყინვალებს.

კონცესიონერებმა კარში რის ვაივაგლახით გააღწიეს და თავი კალანჩევის მოედანზე ამოყვეს. მათ მხარმარჯვნივ იაროსლავის სადგურის ჰერალდიკური ქათმები აზიდულიყვნენ. პიმრდაპირ ზეთის საღებავით ორფრად შეღებილი ოქტომბრის ვაგზალი ბრწყინავდა. მის საათზე თერთმეტის ხუთი წუთი იყო, იაროსლავის სადგურის საათი კი სრულ ათს უჩვენებდა. ხოლო, როცა მოგზაურები რიაზანის სადგურის საათის მუქ-ლურჯ, ზოდიაქოს ნიშნებით დამშვენებულ ციფერბლატს მიუბრუნდნენ, დაინახეს, რომ ათს ხუთი წუთი ეკლდა.

- პაემნებისთვის სწორედ ზედგამოჭრილია, - შენიშნა ოსტაპმა, - ათი წუთი მუდამ მარაგში გექნება.

მეეტლემ ტუჩებით კოცნის ხმა გამოსცა. ხიდი გადაიარეს და მოგზაურთა თვალწინ დედაქალაქის დიდებული პანორამა გადაიშალა.

- კი, მაგრამ, სად მივდივართ? - იკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- კარგ ხალხთან, - მიუგო ოსტაპმა, - მოსკოვში ბევრი კარგი ხალხია და ყველა ჩემი ნაცნობია.

- მერე, მათთან ჩამოვხტებით?

- საერთო საცხოვრებელში მივდივართ. ერთთან თუ არა, ადგილს მეორესთან მაინც ვიშოვით.

ოხოტნი რიადზე ერთი ალიაქოთი იყო. უთავბოლოდ მიმორბოდნენ უპატენტო წვრილვაჭრები, რომელთაც თავებზე ხონჩები ედგათ. მილიციელი მათ უხალისოდ მისდევდა. უპატრონო ბავშვები ასფალტის ვეება კასრთან ისხდნენ და მდუღარე ფისის სურნელს ნეტარებით ისუნთქავდნენ.

კომპანიონები არბატის მოედანზე გავიდნენ, პრეჩისტენსკის ბულვარი ჩაიარეს, მარჯვნივ შეუხვიეს და სივცევის ხევთან შეჩერდნენ.

- ეს რა სახლია? -იკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ოსტაპმა ვარდისფერი, მეზონიანი სახლი შეათვალიერა და უპასუხა: - ესაა ბერი ბერტოლდ შვარცის სახელობის საერთო საცხოვრებელი. აქ ქიმიკოსი-სტუდენტები ცხოვრობენ.

- მართლა ბერის სახელობისაა?

- არა, გეხუმრეთ, გეხუმრეთ! სემაშკოს სახელობისაა.

როგორც ჩვეულებრივ მოსკოვურ საერთო საცხოვრებელს შეეფერება, რომელიც სტუდენტებს ეკუთვნის, ქიმიკოსი-სტუდენტების საერთო საცხოვრებელშიც უკვე კარგა ხნის წინათ ისეთი ხალხი შესახლებულიყო, რომელსაც ქიმიასთან არაფერი ესაქმებოდა. სტუდენტები დაიფანტნენ. ზოგმა კურსი დაამთავრა და დანიშნულების ადგილას გაემგზავრა; სხვები აკადემიური ჩამორჩენისთვის გამორიცხეს. ეს უკანასკნელნი თანდათან ხანში შედიოდნენ და მათ ამ ვარდისფერ სახლში ბოლოსდაბოლოს რაღაც საბინაო კოოპერატივისა და ფეოდალური სამოსახლოს მსგავსი რამ შექმნეს. სტუდენტთა ახალი ტალღები ამაოდ ცდილობდნენ საერთო საცხოვრებელში შეღწევას. ექს-ქიმიკოსები ძალიან მოხერხებულად იქცეოდნენ და ყველა შეტევა მოიგერიეს. ხელისუფლებამ სახლზე ხელი ჩაიქნია, უპატრონოდ ჩათვალა და საუწყებო სიებიდან და გეგმებიდან ამოიღო, ვითომ ეს სახლი არ ყოფილა. ნამდვილად კი იგი იყო და მასში ხალხი ცხოვრობდა.

კონცესიონერები კიბით მეორე სართულზე ავიდნენ და სრულიად ბნელ კორიდორში შეუხვიეს.

- სინათლე და ჰაერი, - წარმოთქვა ოსტაპმა.

სიბნელეში, სწორედ იპოლიტ მატვეევიჩის იდაყვთან, უეცრად ვიღაცამ ამოიხვნეშა.

- ნუ შეშინდებით, - შენიშნა ოსტაპმა, - კორიდორში კი არა, კედლის იქით ხვნეშიან. ფანერა, როგორც ფიზიკაში ცნობილია, ხმის საუკეთესო გამტარია. ფრთხილად! ხელი მომკიდეთ! აქ სადღაც ცეცხლგამძლე კარადა უნდა იყოს.

იმავე წამს ვორობიანინოვი მკერდით რაღაც რკინის კუთხეს დაეჯახა, მთელი ხმით შეჰყვირა და ამით დაადასტურა, რომ ცეცხლგამძლე კარადა მართლაც სადღაც აქ იყო.

- გეტკინათ? - დაინტერესდა ოსტაპი, - ეს კიდევ არაფერია. ეგ ფიზიკური ტკივილია. ახლა ეს იკითხეთ, რამდენი მორალური ტანჯვა ახსოვს აქაურობას? მტრისას! აი, აქ ჩონჩხი იდგა, სტუდენტი ივანოპულოს კუთვნილება, სუხარევკაზე იყიდა და შიშით ოთახში ვერ აჩერებდა. მომსვლელები ჯერ სალაროს ეჯახებოდნენ, მერე კი მათ თავზე ჩონჩხი ეცემოდა. ორსული დედაკაცები ძალიან უკმაყოფილონი რჩებოდნენ.

კომპანიონები ხვეულ კიბეს აჰყვნენ და მეზონინში ავიდნენ. მეზონინის დიდი ოთახი ფანერის ტიხრებით მოგრძო, ორი არშინის სიგანის ნაჭრებად იყო დაყოფილი. ოთახები საბავშვო პენალებს მიაგავდა, ოღონდ, კალმისტრებსა და ფანქრებს გარდა, ამ პენალებში ადამიანები და ბრიმუსებიც იყვნენ.

ოსტაპი შუა კართან გაჩერდა და დაბალი ხმით იკითხა: - კოლია, სახლში ხარ?

პასუხად ხუთივე პენალიდან ჭრაჭუნი და ბურტყუნი მოისმა.

- სახლში ვარ, - უპასუხეს კარს იქიდან.

- ამ ჩერჩეტს ისევ სტუმრები მოუვიდნენ უთენია, - წაილაპარაკა ქალის ხმამ განაპირა მარცხენა პენალში.

- ძილს აღარ გვაცდიან, - წაიბურტყუნა №2-მა პენალმა.

მესამე პენალში გაიხარეს და აჩურჩულდნენ: - კოლკას მილიცია მოადგა. გუშინ რომ მინა გატეხა.

მეხუთე პენალში კი დუმდნენ. იქიდან მხოლოდ პრიმუსის ქშიტინი და კოცნა ისმოდა.

ოსტაპმა კარს ფეხი ჰკრა. მთელი ფანერის ნაგებობა აზანზარდა და კონცესიონერები კოლკას ხვრელში შეძვრნენ. ოსტაპის თვალწინ გარეგნულად უწყინარი, მაგრამ შინაარსით შემაძრწუნებელი სურათი გადაიშალა. ოთახში მხოლოდ წითელზოლებიანი ლეიბი იყო, რომელიც ოთხ აგურზე იდო. მაგრამ ოსტაპი ამან კი არ შეაწუხა - კოლკას ავეჯს იგი დიდი ხანია იცნობდა. იგი არც კოლკას გაუკვირვებია, რომელიც ფეხმორთხმით იჯდა ლეიბზე. ოსტაპს გუნება კოლკას გვერდით მჯდომმა ზეციურმა ქმნილებამ მოუწამლა. ასეთი ქალიშვილები საქმეში არასოდეს გამოდგებიან - საამისოდ მათ მეტისმეტად ცისფერი თვალები და ნატიფი კისერი აქვთ. ესენი საყვარლები, ან, უფრო უარესი - ცოლები არიან და მეტად საყვარელი ცოლებიც. მართლაც, კოლია ამ ქმნილებას ლიზას ეძახდა, შენობით ელაპარაკებოდა და ელაციცებოდა.

იპოლიტ მატვეევიჩმა შლიაპა მოიხედა. ოსტაპმა კოლია კორიდორში გაიხმო. იქ ისინი დიდხანს ჩურჩულებდნენ.

- მშვენიერი დილაა, ქალბატონო, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ცისფერთვალება ქალბატონმა გაიცინა და მოულოდნელად იმაზე ალაპარაკდა, თუ რა სულელები ცხოვრობდნენ მეზობელ პენალში.

- პრიმუსს განგებ ანთებენ, რომ მათი კოცნის ხმა არ გავიგონოთ. მაგრამ ეს ხომ უაზრობაა! ჩვენ ყველაფერი გვესმის, თვითონ კი ამ პრიმუსის ხმაურში მართლაც არაფერი ესმით. გინდათ, გაჩვენოთ? აბა, ყური დაუგდეთ.

და კოლიას ცოლმა, რათა პრიმუსის ხმაური დაეფარა, ხმამაღლა წარმოთქვა: - ზვერიოვებს ჭკუა არ აქვთ!

კედლის იქიდან ისევ პრიმუსის ჯოჯოხეთური სიმღერა და კოცნა ისმოდა.

- ხედავთ? მათ არაფერი ესმით. ზვერიოვები სულელები, შტერები და ფსიქოპატები არიან. ხედავთ?

- დიახ, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ჩვენ პრიმუსი არა გვაქვს. რა საჭიროა? ჩვენ სასადილოდ ვეგეტარიანულ სასადილოში დავდიოდით, მე ვეგეტერიანული სასადილო არ მომწონს, მაგრამ როცა დავქორწინდით, კოლია ოცნებობდა, ვეგეტარიანულ სასადილოში ერთად

ვივლითო. ჰოდა, დავდივართ. მე ხორცი ძალიან მიყვარს, იქ კი მარტო ლაფშის კატლეტებია. ოღონდ, გეთაყვა, კოლიას ნურაფერს ეტყვით...

ამ დროს კოლია და ოსტაპი შემობრუნდნენ.

- რას იზამ! რაკი შენთან დარჩენა არასგზით არ შეიძლება, ჩვენ პანტელეისთან წავალთ.

- სწორია, ბიჭებო, - შეჰყვირა კოლიამ, - ივანოპულოსთან წადით. ჩვენი ბიჭია.

- ჩვენთან სტუმრად მოდით ხოლმე, - თქვა კოლიას ცოლმა, - მე და ჩემს ქმარს ძალიან გაგვიხარდება.

- კიდევ სტუმრებს ეპატიჟებიან! - აღშფოთდნენ მარცხენა განაპირა პენალში, - ვითომ ცოტა სტუმრები დაუდით!

- თქვენ სულელები, ჩერჩეტები და ფსიქოპატები ხართ. თქვენი საქმე არ არის, - მშვიდად გაეპასუხა კოლიას ცოლი.

- გესმით, ივან ანდრეევიჩ, - აღელდნენ განაპირა პენალში, - შენს ცოლს ლანძღავენ, შენ კი დუმხარ?

უხილავმა კომენტატორებმა თავისი ხმები სხვა პენალებიდანაც შეაწიეს. სიტყვიერი ომი ჩაღდებოდა. კომპანიონები ქვევით დაეშვნენ და ივანოპულოს მიაკითხეს.

სტუდენტი შინ არ იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა ასანთი გაკრა. კარზე ბარათი იყო მიმაგრებული: „9 საათამდე არ ვიქნები, პანტელეი“.

- არა უშავს, - თქვა ოსტაპმა, - ვიცი, გასაღებს სადაც ინახავს.

მან ხელი ცეცხლგამძლე კარადის ქვეშ მოაფათურა, გასაღები გამოიღო და კარი გააღო.

სტუდენტ ივანოპულოს ოთახი სწორედ კოლიას ოთახისოდენა იქნებოდა, მაგრამ ეს კუთხის ოთახი იყო. ერთი კედელი ქვის ჰქონდა, რითაც სტუდენტი ძალიან ამაყობდეა. იპოლიტ მატვეევიჩმა დაინახა, რომ სტუდენტს ლეიბი არ გააჩნდა და დანაღვლიანდა.

- მშვენივრად მოვეწყობით, - თქვა ოსტაპმა, - კუბატურა სწორედ მოსკოვის შესაფერია. თუ სამივენი იატაკზე დავწვებით, ცოტა ადგილი კიდევაც დარჩება. პანტელეი კი დიდი მამაძაღლია! ერთი გამაგებინა, ლეიბი რა უყო?

ფანჯარა შესახვევში გადიოდა. იქ მილიციელი დააბიჯებდა. პირდაპირ, გოთური კოშკის მსგავს სახლში, პაწაწკინტელა სახელმწიფოს საელჩო იყო. რკინის მოაჯირს გადაღმა ჩოგბურთს თამაშობდნენ: თეთრი ბურთი დაქროდა და მოკლე შეძახილები ისმოდა.

- აუტი! - თქვა ოსტაპმა, - თამაშის კლასი დაბალია. მოდი, დავისვენოთ.

კონცესიონერებმა იატაკზე გაზეთები გაფინეს. იპოლიტ მატვეევიჩმა ბალიში ამოიღო, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა.

ოსტაპი ტელეგრამებზე გაგორდა და დაიძინა. იპოლიტ მატვეევიჩს, უკვე კარგა ხანი იყო, ეძინა.

17. პატივი ეცით ლეიბებს, მოქალაქენო!

- ლიზა, წამო, ვისადილოთ.

- არ მინდა. გუშინ ხომ ვისადილე.

- მე შენი ვერაფერი გამიგია.

- არ წამოვალ ცომის კურდღლის საჭმელად.

- ნუ სულელობ!

- იმ ვეგეტარიანული სოსისების ჭამა აღარ შემიძლია.

- დღეს „შარლოტკას“ მოვატანინებ.

- რატომღაც არ მინდა.

- ხმას დაუწიე. ყველაფერი ისმის.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დრამატულ ჩურჩულზე გადავიდა.

ორი წუთის შემდეგ კოლიამ ცოლქმრული ცხოვრების სამი თვის შემდეგ პირველად შეიტყო, რომ მის საყვარელ ქალს გაცილებით ნაკლებად უყვარდა სტაფილოს, კარტოფილისა და მუხუდოს სოსისები, ვიდრე თვითონ მას.

აღელვებულ კოლიას გადაავიწყდა, რომ მეზობლები უსმენდნენ და შეჰყვირა: - მაშ, შენ დიეტურ საკვებს ძაღლის ხორცი გირჩევნია?

- ხმას დაუწიე! - მთელი ხმით დაუყვირა ლიზამ, - ესეც არ იყოს, შენ მე ცუდად მექცევი. დიახ! მე ზოგჯერ ხორციც მიყვარს! ამაში ცუდი რა არის?

გაოცებული კოლია დადუმდა. ეს ამბავი მისთვის მოულოდნელი იყო. ხორცი კოლიას ბიუჯეტში ვეება, ამოუვსებ ნაპრალს გააჩენდა. კოლიამ ლეიბს გაუარ-გამოუარა, რომელზედაც აწითლებული მეუღლე მოკუნტულიყო, და თავში უიმედო გამოთვლები აწარმოა.

კოლია კალაჩოვი „ტექნოძალის“ სახაზავ ბიუროში ასლებს იღებდა და არასოდეს, თვით საუკეთესო თვეებშიც კი, ორმოც მანეთზე მეტი არ აუღია. ბინის ქირას იგი არ იხდიდა. ველურ სამოსახლოში სახლის მმართველი არ იყო და ბინის ქირა აქ აბსტრაქტულ ცნებად ითვლებოდა. ათი მანეთი თვიურად ლიზას სჭირდებოდა - იგი ჭრა-კერვას სწავლობდა კურსებზე, რომელსაც სააღმშენებლო ტექნიკუმის უფლებები ჰქონდა. ერთი თავი სადილი (ერთი პირველი - მონასტრის ბორშჩი და ერთი მეორე - ყალბი კურდღელი ან ნამდვილი ატრია, რომელსაც პატიოსნად იყოფდნენ შუაზე ვეგეტარიანულ სასადილო „არ მოიპაროში“), ცოლ-ქმრის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად ცამეტ მანეთს იტაცებდა. დანარჩენი ფული სადღა მიდიოდა, ვერ გაიგებდით, ყველაფერზე უფრო კოლიას სწორედ ეს აწუხებდა. „სად მიდის ფული?“

- ფიქრობდა იგი ცისფერ ქაღალდზე რეისფედერით გრძელი, წვრილი ხაზის გავლებისას. ამ პირობებში ხორცის ჭამაზე გადასვლა პირდაპირ დამღუპველი იყო. ამიტომ კოლია მხურვალედ ალაპარაკდა: - ერთი დაფიქრდი, როგორი საქმეა დახოცილი ცხოველების ხორცის ჭამა. ეს შენიღბული კაციჭამიობაა და არა კულტურა. ყველა ავადმყოფობას ხორცი იწვევს.

- რა თქმა უნდა, - მორცხვი ირონიით მიუგო ლიზამ, - მათ შორის, ანგინასაც.

- დიახაც, ანგინასაც. აბა, შენ რა გგონია?! ორგანიზმი ხორცის მუდმივი მოხმარებით სუსტდება და ინფექციას ვეღარ ეწინააღმდეგება.

- რა სისულელეს ლაპარაკობ?

- ეს სისულელე არ არის. სულელი ისაა, ვინც მუცლის გავსებას ცდილობს და ვიტამინები კი ავიწყდება.

კოლია უცებ გაჩუმდა. მის თვალწინ უეცრად ღორის ხორცის ვეება კატლეტი ამოიზარდა და თავისი ფართო სხეულით ფაფეული და კარტოფილი დაფარა. ეტყობოდა, კატლეტი ტაფიდან ახლად გადმომხტარიყო, ჯერ კიდევ შიშინებდა და მადისამშლელი ოხშივარი ასდიოდა, კატლეტიდან ძვალი სადუელო პისტოლეტივით ამოჩრილიყო.

- შეიგნე, რომ რაღაც ღორის კატლეტი ადამიანს ერთი კვირის სიცოცხლეს ართმევს, - შეჰყვირა კოლიამ.

- წამართვას! - მიუგო ლიზამ, - ყალბი კურდღელი ნახევარ წელიწადს მართმევს. გუშინ, სტაფილოს მწვადი რომ ვჭამე, კინაღამ მოვკვდი. ოღონდ შენთვის თქმა არ მინდოდა.

- თქმა რატომ არ გინდოდა?

- ძალა აღარ მქონდა, შემეშინდა, ტირილი ამივარდება-მეთქი.

- ახლა აღარ გეშინია?

- ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია.

ლიზამ წამოიტირა.

- ლევ ტოლსტოი ხორცს არ ჭამდა, - მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა კოლიამ.

- რა თქმა უნდა, - თვალცრემლიანმა ლიზამ დაასლოკინა, - გრაფი სატაცურს მიირთმევდა.

- სატაცური ხომ ხორცი არ არის.

- როცა „ომი და მშვიდობას“ წერდა, მაშინ ხორცს ჭამდა. ჭამდა, ჭამდა, ჭამდა! როცა „ანა კარენინას“ წერდა, მაშინაც სანსლავდა! სანსლავდა!

- გაჩუმდი!

- სანსლავდა! სანსლავდა! სანსლავდა!

- როცა „კრეიცერის სონატას“ წერდა, მაშინაც სანსლავდა? - გესლიანად ჰკითხა კოლიამ.

- „კრეიცერის სონატა“ პატარაა! აბა, „ომი და მშვიდობა“ მაშინ დაეწერა, როცა ვეგეტარიანულ სოსისებს მიირთმევდა.

- არა, ბოლოს და ბოლოს, რას ამომართვი სული მაგ შენი ტოლსტოით?

- მე ამოგართვით სული ტოლსტოით? მე? ტოლსტოით სული მე ამოგართვით?

პასუხად კოლიაც „თქვენობით“ ალაპარაკდა. პენალებში ხმამაღლა ზეიმობდნენ. ლიზამ ცისფერი ნაქსოვი ქუდი კეფიდან შუბლზე ჩამოიფხატა.

- სად მიდიხართ?

- საქმეზე. თავი დამანებეთ.

ლიზა გაიქცა.

„სად უნდა მიდიოდეს?“ - გაიფიქრა კოლიამ. ყური მიუგდო.

- გაათამამა ქალები საბჭოთა ხელისუფლებამ, - თქვეს მარცხენა განაპირა პენალში.

- თავს დაიხრჩობს, - გადაწყვიტა მესამე პენალის მკვიდრმა. მეხუთე პენალში კი პრიმუსი გააღვივეს და კოცნას შეუდგნენ.

აღელვებული ლიზა ქუჩაში გარბოდა.

*

კვირადღის ის საათი იყო, როცა იღბლიანებს ბაზრობიდან არბატზე გავლით სახლში ლეიბები მიაქვთ.

ზამბარებანი ლეიბების მთავარი მყიდველები - ახლად დაქორწინებულები და საშუალო შემლების საბჭოთა მოქალაქეები არიან. მათ ლეიბისთვის ორივე ხელი მოუხვევიათ და ცაში აშვერილი მიაქვთ. ან კი როგორ არ მოეხვევი ცისფერ, მბრწყინავ, ყვავილებიან ლეიბს, რომელიც შენი ბედნიერების საფუძველია?

მოქალაქენო! პატივი ეცით ცისფერყვავილებიან, ზამბარებიან ლეიბს! იგია ოჯახის კერა, ალფა და ომეგა სახლმორთულობისა, ოჯახური სიმყუდროვის ზოგადი და მთელი, სიყვარულის ბაზა და პრიმუსის მამა. რა ტკბილად ჩაგესმის ძილში მისი ზამბარების დემოკრატიული წკრიალი! რა მშვენიერ სიზმრებს ნახულობ, როცა ამ ცისფერ ჯვალოზე გძინავს! რა პატივცემულია ლეიბის ყოველი მეპატრონე!

ადამიანი, რომელსაც ლეიბი არა აქვს, საცოდავია. იგი არც არსებობს. იგი გადასახადს არ იხდის, მას ცოლი არა ჰყავს. ნაცნობები არ ასესხებენ მას ფულს „ოთხშაბათამდე“, ტაქსის მძღოლები მას კვალდაკვალ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ადევნებენ, ქალიშვილები კი დასცინიან: ქალიშვილებს იდეალისტები არ უყვართ.

ულეიბო ადამიანი ჩვეულებრივ ლექსებს წერს: „შინ სავარძელში ირწევი მშვიდად, ბურეს საათის წკრიალით ტკბები,

გარეთ კი თოვლის ფანტელი ცვივა, ოცნებასავით დაფრენენ ჭკები“.

ლექსებს იგი საფოსტო განყოფილებაში, მაღალ მაგიდასთან მიმჯდარი წერს, და ყურადღებას არ აქცევს ლეიბების საქმიან პატრონებს, დეპეშის გასაგზავნად რომ მოსულან.

ლეიბი ადამიანის ცხოვრებას ამახინჯებს. მის ზამბარებსა და გადასაკრავში საიდუმლო, მიმზიდველი და დღემდე შეუსწავლელი ძალა იმალება. ზამბარების წკრიალზე, მოწოდებასავით რომ გაისმის, ადამიანები და ნივთები გროვდებიან. მოდიან ფინაგენტები და ქალწულები. მათ ლეიბის პატრონთან დამეგობრება სწყურიათ. ფინაგენტი ამას ფისკალური მიზნპით, სახელმწიფოს სარგებლობისთვის აკეთებს, ქალწულები კი ამ საქციელს უანგაროდ, ბუნების კანონების კარნახით სჩადიან.

ახალგაზრდული ასაკი გაფურჩქვნას იწყებს. ფინაგენტი გადასახადებს აგროვებს. საგაზაფხულო ქრთამს იჯიბავს და ფუტკარივით, ხალისიანი ბზუილით მიფრინავს საუბნო სკისკენ. გაქცეული, დამფრთხალი ქალწულების ადგილს კი ცოლი და პრიმუსი „იუველი №1“ იკავებენ.

ლეიბი გაუმაძღარია. იგი მსხვერპლს ითხოვს. ღამღამობით იგი დავარდნილი ბურთის ხმას გამოსცემს. მას თაროები ესაჭიროება. მას სქელი, სულელურფეხებიანი მაგიდა სწყურია. იგი ზამბარებს აწკრიალებს და ფარდებს, პორტიერებს, სამზარეულო ჭურჭელს თხოულობს: იგი ადამიანს უბიძგებს და ეუბნება: - წადი, საკეპი და სატყეპელა იყიდე.

- შენ მაგიერ მე მრცხვენია, ადამიანო! შენ აქამდე ნოხი არ გიყიდია.

- იმუშავე! მე შენ მალე ბავშვებს შეგძენ. საფენებისა და საბავშვო ეტლისთვის ფული დაგჭირდება.

ლეიბს ყველაფერი ახსოვს და ყველაფერს თავისებურად აკეთებს. საერთო ბედისწერას პოეტიც ვერ გაჰქცევია. აი, მას ბაზრიდან ლეიბი მოაქვს და მის რბილ მუცელს ელდანაცემი ეხუტება.

- მე გავაცამტვერებ შენს სიჯიუტეს, პოეტო! - ეუბნება ლეიბი, - შენ ტელეგრაფში სირბილი და ლექსების წერა აღარ დაგჭირდება. ან, საერთოდ, ღირს კი ლექსების წერა? იმსახურე! და სალდო მუდამ შენ სასარგებლოდ იქნება. იფიქრე ცოლსა და შვილებზე.

- მე ცოლი არა მყავს! - ყვირის პოეტი და ზამბარებიან მასწავლებელს სახეს არიდებს.

- გეყოლება! არც იმის პირობას მოგცემ, რომ ცოლად ულამაზესი ქალწული შეგხვდება. არც ეს ვიცი, გულკეთილი იქნება თუ არა. ყველაფრისთვის მზად იყავი. შენ ბავშვებიც გეყოლება.

- მე ბავშვები არ მიყვარს.

- შეგიყვარდება.

- ნუ მაშინებთ, მოქალაქე ლეიბო!

- ჩუმად, სულელო! შენ ჯერ ბევრი რამ არ იცი. შენ მალე ავეჯის საყიდლად „მოსდრევში“ კრედიტს აიღებ.

- ლეიბო, მოგკლავ!

- ლეკვო! აბა, ერთი გაბედე, - მეზობლები მაშინვე სახლმმართველობაში დაგაბეზღებენ.

ასეა ყოველ კვირა დღეს; ასე მიაბიჯებენ იღბლიანები ზამბარების წკრიალის თანხლებით მოსკოვის ქუჩებში.

მაგრამ მოსკოვური კვირადღე მარტო ამით როდია შესანიშნავი. კვირა მუზეუმის დღეა.

არის მოსკოვში ადამიანების განსაკუთრებული კატეგორია. მათ არაფერი გაეგებათ ფერწერისა, არ აინტერესებთ არქიტექტურა და არ უყვართ წარსულის ძეგლები. ეს კატეგორია მუზეუმებში მხოლოდ იმიტომ დადის, რომ ისინი მშვენიერ შენობებშია განლაგებული. ეს ადამიანები დაეხეტებიან გაბრწყინებულ დარბაზებში, შურით მისჩერებიან მოხატულ ჭერს: ეხებიან ხელებით ყველაფერს, რის შეხებაც აკრძალულია, და განუწყვეტლივ ბურტყუნებენ: - ეჰ! აი, ხალხი როგორ ცხოვრობდა!

მათთვის სულერთია, კედლები ფრანგი პიუვი დე შავანის მოხატულია თუ სხვისი. მათ მხოლოდ ის აინტერესებდათ, თუ რა დაუჯდა კედლების მოხატვა სასახლის ყოფილ მეპატრონეს. ისინი ადიან კიბეზე, რომელთა ბაქნებზეც მარმარილოს ქანდაკებებია, და იმის გამოცნობას ცდილობენ, თუ რამდენი ლაქია იდგა იქ, როგორ ჯამაგირს უხდიდნენ მათ და საჩუქრად რამდენს აძლევდნენ. ბუხრების თაროებზე ფაიფური დგას, მაგრამ ისინი ფაიფურს ყურადღებასაც არ აქცევენ, და ასკვნიან, ბუხარი საზარალოა, ძალიან ბევრ შეშას ნთქავსო. მუხით მოპირკეთებულ სასადილოში ისინი არც უყურებენ შესანიშნავ ჩუქურთმებს. მათ მხოლოდ ერთი აზრი აწვალებთ: რას ჭამდა აქ ყოფილი მეპატრონე - ვაჭარი და ახლანდელი სიძვირისას ის სადილი რა დაჯდებოდა?

ასეთ ადამიანებს ყოველ მუზეუმში წააწყდებით. იმ დროს, როცა ექსკურსანტები ხალისიანად გადარბიან ერთი შედევრიდან მეორისკენ, ასეთი ადამიანი შუა დარბაზში დარჭობილა, არავის არ უყურებს და ნაღვლიანად ბრდღვინავს: - ეჰ! აი, ხალხი როგორ ცხოვრობდა!

*

ლიზა ქუჩაში მირბოდა და ცრემლებს ყლაპავდა. მას საკუთარი აზრები მიარბენინებდა. ლიზა თავის ბედნიერ და ღარიბულ ცხოვრებაზე ფიქრობდა: „აი, კიდევ ერთი მაგიდა და ორი სკამიც რომ გვქონდეს, მთლად კარგი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, პრიმუსიც საჭიროა. უნდა როგორმე მოვეწყოთ“.

უეცრად კოლიასთან ჩხუბი გაახსენდა და ნაბიჯს უკლო. ესეც არ იყოს, ძალიან შიოდა. ანაზდად ქმრისადმი სიძულვილმა შეიპყრო.

- რა უმსგავსობაა! - ხმამაღლა წარმოთქვა მან.

უფრო ძლიერ მოშივდა.

- მაშ, კარგი! კარგი! მე ვიცი, რასაც ვიზამ.

ლიზა გაწითლდა და მოვაჭრე ქალისგან ძეხვიანი ბუტერბროდი იყიდა. ძალიან მშიერი იყო, მაგრამ ქუჩაში ჭამა მაინც ერცხვინებოდა. ბოლოს და ბოლოს, იგი ლეიბის პატრონი ქალი იყო და ცხოვრებაში კარგად ერკვეოდა. მიიხედ-მოიხედა და ორსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა. ბუტერბროდი გამოუთქმელი სიამოვნებით ჩაკბიჩა. ძეხვი შესანიშნავი იყო. სადარბაზოში დიდი ექსკურსია შევიდა. ექსკურსანტებმა თავები მოაბრუნეს და ლიზას მიაჩერდნენ.

,,მიყურონ!“ - გადაწყვიტა გაბოროტებულმა ლიზამ.

18. ავეჯის მუზეუმი

ლიზამ ცხვირსახოცით ტუჩები მოიწმინდა და კოფთიდან ნამცეცები ჩამოიფერთხა. გამხიარულდა. მის წინ აბრა ეკიდა.

ავეჯის ოსტატობის მუზეუმი

სახლში დაბრუნება ეუხერხულებოდა. წასასვლელიც არავისთან ჰქონდა. ჯიბეში ოცი კაპიკი ედო და ლიზამ გადაწყვიტა - დამოუკიდებელ ცხოვრებას მუზეუმის დათვალიერებით დავიწყებო. ფული მოისინჯა და ვესტიბიულში შევიდა.

აქ ლიზა მეჩხერწვერიან მამაკაცს წააწყდა, რომელიც დაღვრემილი მისჩერებოდა მალაქიტის ბოძს და ბუტბუტებდა: - აი, ხალხი რა მდიდრულად ცხოვრბდა!

ლიზამ ბოძს პატივისცემით შეხედა და ზევით გაეშურა.

ზევით პატარა, კვადრატული, ისეთი დაბალჭერიანი ოთახები იყო, რომ ყველა შემოსული გიგანტად გეჩვენებოდათ. იქ ლიზამ ათიოდე წუთის განმავლობაში იხეტიალა.

ეს ოთახები პავლესეული ამპირის სტილში, წითელი ხითა და კარელიური არყით იყო მოპირკეთებული. მკაცრ, საუცხოო ავეჯს მხედრული იერი ჰქონდა. საწერი მაგიდის პირისპირ ორი კვადრატული კარადა იდგა. მათ მინის კარი გადაჯვარედინებული შუბებით დაემშვენებინათ. მაგიდა უზარმაზარი იყო. გინდ ამ მაგიდასთან ადამიანი დაგესვათ და გინდ თეატრალურ მოედანზე, კოლონადებიანი დიდი თეატრის და ოთხი ბრინჯაოს ცხენის წინ, აპოლონს ,,წითელი ყაყაჩოს“ პრემიერაზე რომ მიართვეს, სამელნე დაგედგათ. ყოველ შემთხვევაში, კურდღელივით სტაფილოზე გაზრდილ ლიზას ასე მოეჩვენა. კუთხეებში მაღალზურგიანი სავარძლები იდგა. ის ზურგები ზევით ცხვრის რქებივით იყო დაგრეხილი. სავარძლების ატმისფერ გადასაკრავს მზე ანათებდა.

ამ სავარძელში ჩაჯდომა უმალვე მოგინდებოდათ, მაგრამ ეს აკრძალული იყო.

ლიზამ უძვირფასესი პავლესეული ამპირი გუნებაში თავის წითელ, ზოლებიან ლეიბს შეადარა. განსხვავება არც ისე დიდი იყო. კედლებზე, პატარა აბრაზე ლიზამ პავლესეული ამპარის მეცნიერული და იდეოლოგიური დასაბუთება ამოიკითხა, და

გულდაწყვეტილი, რომ მასა და კოლიას ამ სასახლეში ოთახი არ ჰქონდათ, დერეფანში გავიდა.

მხარმარცხნივ, თითქოს იატაკიდან ამოზრდილანო, ნახევრად მრგვალი ფანჯრები მოჩანდნენ. აქედან ლიზამ ვეებერთელა, თეთრი, სვეტებიანი დარბაზი დაინახა. დარბაზში ავეჯი იდგა და მომსვლელები დაბორიალობდნენ. ლიზა შეჩერდა. დარბაზი თავის ფეხებქვეშ მას არასოდეს ენახა.

ლიზა ქვევით გაოცებული იყურებოდა. უეცრად დაინახა, რომ იქ, ბიუროებსა და სავარძლებს შორის, დღევანდელი ნაცნობები - ბენდერი და მისი თანამგზავრი, თავგაპარსული, წარმოსადეგი ბერიკაცი დადიოდნენ.

- რა კარგია! - თქვა ლიზამ, - ცოტათი გავერთობი.

გახარებული ქვევით გაიქცა და მაშინვე გზა დაკარგა. თავი წითელ სასტუმროში ამოყო, სადაც ორმოცამდე ნივთი - სულ კაკლის ხის, ფეხებდაგრეხილი ავეჯი იდგა. სასტუმროს გამოსასვლელი არ ჰქონდა. ლიზა უკანვე, მრგვალი ოთახისკენ გაიქცა, სადაც ყვავილებიანი ბალიშების მეტი არაფერი ელაგა.

ლიზამ ჩაურბინა იტალიური აღორძინებისდროინდელ ფარჩიან სავარძლებს, ჰოლანდიურ კარადებს, დიდ, გოთურ საწოლს, რომელსაც შავ, გრეხილ სვეტებზე ბალდახანი ჰქონდა. ამ საწოლში ადამიანი თხილისოდენა თუ გამოჩნდებოდა.

ბოლოს ლიზამ ექსკურსანტების გნიასი გაიგონა. ექსკურსანტები უყურადღებოდ უსმენდნენ წინამძღოლს, რომელიც იმპერატორი ეკატერინე მეორის სიყვარულს ლუი-სეზის სტილის ავეჯისადმი ამ ქალის მპერიალისტურ ზრახვებს უკავშირებდა.

სწორედ ეს იყო დიდი, სვეტებიანი დარბაზიც. ლიზა დარბაზის მეორე ბოლოში გავიდა, სადაც მისი ნაცნობი ამხანაგი ბენდერი რაღაცას მხურვალედ უმტკიცებდა თავის თავგადაპარსულ თანამგზავრს.

მიახლოებისას ლიზამ მკაფიო ხმით წარმოთქმული სიტყვები გაიგონა: - ავეჯი შიკ-მოდერნის სტილის კია, მაგრამ, მგონი, ის არ უნდა იყოს, რაც ჩვენ გვინდა.

- კი, მაგრამ, აქ, როგორც ჩანს, სხვა დარბაზებიცაა. ჩვენ ყველა თანმიმდევრობით უნდა დავათვალიეროთ.

- გამარჯობათ, - წარმოთქვა ლიზამ.

- ისინი მოტრიალდნენ და უმალვე სახეები დაეღრიჯათ.

- გამარჯობა, ამხანაგო ბენდერ! რა კარგია, რომ შეგხვდით, თორემ მარტო მომეწყინა. მოდი, ყველამ ერთად დავათვალიეროთ.

- ჩვენ ტიპური პროვინციელები ვართ, - მოუთმენლად წარმოთქვა ბენდერმა, - მაგრამ თქვენ, მოსკოველო, აქ როგორ მოხვდით?

- სულ შემთხვევით. მე კოლიას წავეჩხუბე.

- მართლა? - შენიშნა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- აბა, გავიდეთ ამ დარბაზიდან, - თქვა ოსტაპმა.

- არა, მე ჯერ ყველაფერი არ დამითვალიერებია. ეს დარბაზი ისეთი ლამაზია...

- იწყება! - წაუჩურჩულა ოსტაპმა ყურში იპოლიტ მატვეევიჩს, მერე ლიზას მიუბრუნდა და დაუმატა, - დასათვალიერებელი აქ არაფერია. დაცემულობის სტილია. კერენსკის ეპოქაა.

- როგორც მითხრეს, აქ სადღაც ოსტატ ჰამბსის ავეჯია, - აცნობა იპოოლიტ მატვეევიჩმა, - მოდი, დავათვალიეროთ.

ლიზა დათანხმდა. ვორობიანინოვს ხელი გაუყარა. (ეს სიმპათიური ბერიკაცი მას მეცნიერების წარმომადგენელი ეგონა) და გასასვლელისკენ გაემართა. ძალიან სერიოზული მომენტი იყო, მაგრამ მათ უკან მიმავალ ოსტაპს მაინც ეშმაკურად ეცინებოდა. მას ვორობიანინოვი აცინებდა, რომელიც კომანჩების წინამძღოლიდან კავალრად გადაიქცა.

კონცესიონერებს ლიზა ძალიან უშლიდა ხელს. ისინი თვალის ერთი შევლებით იგებდნენ, რომ ოთახში მათთვის საჭირო ავეჯი არ იყო, და უნებურად სხვა ოთახებისკენ მიიწევდნენ, ლიზა კი ყოველ ოთახში დიდხანს ჩერდებოდა. იგი ხმამაღლა კითხულობდა ყოველგვარი ავეჯის ნაბეჭდ კრიტიკას, მომვლელთა მისამართით მწვავე შენიშვნებს ისროდა და ყოველ ექსპონატთან დიდხანს ჩერდებოდა. თავისთვის სრულიად შეუმჩნევლად, გამოფენილ ავეჯს იგი თავის ოთახს და საკუთარ გემოვნებას უსადაგებდა. გოთური საწოლი მას სულაც არ მოეწონა. საწოლი ვეებერთელა იყო. კოლიას სასწაულიც რომ მოეხდინა და ხელთ სამსაჟენიანი ოთახი ჩაეგდო, ეს შუასაუკნეობრივი სარეცელი იქ მაინც არ დაეტეოდა. მაგრამ ლიზა მაინც დიდხანს უტრიალებდა საწოლს და ნაბიჯებით მის ნამდვილ სიდიდეს ზომავდა. ძალიან გამხიარულდა. იგი ვერც ამჩნევდა თანამგზავრების მოწყენილ ფიზიონომიებს, მათ კი რაინდული ხასიათი ნებას არ აძლევდა, ჰამბსის ავეჯის სანახავად კისრისტეხით გაქცეულიყვნენ.

- მოვითმინოთ, - წაიჩურჩულა ოსტაპმა, - ავეჯი არ გაგვექცევა. თქვენ კი, წინამძღოლო, გოგონას ნუ აწუხებთ. ვეჭვიანობ.

ვორობიანინოვმა კმაყოფილად ჩაიღიმა.

დარბაზებს ბოლო არ უჩანდა. ალექსანდრესდროინდელი ეპოქის ავეჯი მთელი კომპლექტებით იყო წარმოდგენილი. ამ შედარებით მცირე ზომის ავეჯმა ლიზა აღტაცებაში მოიყვანა.

- შეხედეთ, შეხედეთ! - ყვიროდა იგი და ვორობიანინოვს ხელზე ეპოტინებოდა, - ამ ბიუროს ხედავთ? როგორ მოუხდებოდა ჩვენს ოთახს! არა?

- საუცხოო ავეჯია! - განრისხდა ოსტაპი, - ოღონდ დაცემულობის ეპოქისაა.

- აქ მე უკვე ვიყავი, - თქვა ლიზამ წითელ სასტუმროში შესვლისას, - ჩემი აზრით, აქ გაჩერება არ ღირს.

მისდა გასაოცრად, ავეჯისადმი გულგრილი თანამგზავრები კარში ყარაულებივით დაერჭნენ.

- რატომ გაჩერდით? წავიდეთ. მე უკვე დავიღალე.

- მოითმინეთ, - უთხრა იპოლიტ მატვეევიჩმა და ხელი გაითავისუფლა, - ერთი წუთი მოითმინეთ.

დიდი ოთახი ავეჯით იყო გამოტენილი. ჰამბსის სკამები კედლის გასწვრივ და მაგიდის გარშემო დაემწკრივებინათ. კუთხეში დადგმული დივანიც სკამებით იყო გარშემორტყმული. მათ მოღუნულ ფეხებს და მოხერხებულ ზურგებს იპოლიტ მატვეევიჩი ძალიან კარგად იცნობდა. ოსტაპი გამომცდელად მისჩერებოდა მას. იპოლიტ მატვეევიჩი გაწითლდა.

- თქვენ, ალბათ, დაიღალეთ, ქალიშვილო, - უთხრა მან ლიზას, - ჩამოჯექით და დაისვენეთ, ჩვენ კი ცოტას გავივლით. ეს, მგონი, საინტერესო დარბაზი უნდა იყოს.

ლიზა დასვეს.

კონცესიონერები ფანჯარასთან მივიდნენ.

- ესენია? - ჰკითხა ოსტაპმა.

- მგონი, ესენია. უკეთესდა უნდა დავათვალიერო.

- ყველა სკამი აქაა?

- ახლავე დავითვლი. მოიცათ... მოიცათ...

ვორობიანინოვმა სკამები გადაათვალიერა.

- მოიცათ, - თქვა მან ბოლოს, - აქ ოცი სკამია. შეუძლებელია, სულ ათი უნდა იყოს.

- კარგად დაათვალიერეთ, იქნებ, ეს სხვა სკამებია?!

მათ სკამებს შორის გაიარ-გამოიარეს.

- აბა? - აჩქარდა ოსტაპი.

- თითქოსდა, ზურგები სხვანაირი აქვს.

- მაშ, სხვებია?

- სხვებია.

- მგონი, ჯობდა, არ გადაგკიდებოდით.

იპოლიტ მატვეევიჩი სულით დაეცა.

- კარგი, - თქვა ოსტაპმა, - სხდომა გრძელდება. სკამი ნემსი როდია, ვიპოვით. მომეცით ორდერები. მუზეუმის ადმინისტრაციასთან უსიამო კონტაქტის დამყარება მომიწევს. გოგოს მიუჯექით და მელოდეთ. ახლავე მოვალ.

- რატომ ხართ ასე დაღონებული? - შეეკითხა ლიზა, - დაიღალეთ?

იპოლიტ მატვეევიჩი ხმას არ იღებდა.

- თავი ხომ არ გტკივათ?

- ჰო, ცოტათი, ბევრი სადარდებელი მაქვს, ძნელია ცხოვრება, როცა ქალის ალერსი გაკლია.

ლიზა ჯერ გაკვირდა, მერე კი, როცა თავის თავგადაპარსულ თანამოსაუბრეს შეხედა, მართლაც შეეცოდა. ვორობიანინოვს წამებულის თვალები ჰქონდა. პენსნე ვერ უმალავდა თვალებს ქვემოთ პარკებივით დაკიდებულ უპეებს. მმაჩის საქმეთა მწარმოებლის წყნარი ცხოვრებიდან ბრილიანტებზე მონადირისა და ავანტიურისტის აფორიაქებულ ყოფაში გადასვლას ამაოდ არ ჩაულია. იპოლიტ მატვეევიჩი ძალიან გახდა და ღვიძლის ტკივილიც აწუხებდა. ბენდერის გავლენის ქვეშ იპოლიტ მატვეევიჩი საკუთარ სახეს კარგავდა და სწრაფად იძირებოდა. თურქეთის ქვეშევრდომის შვილის მძლავრ ინტელექტში. ახლა კი, როცა იგი ერთი წუთით მარტო დარჩა მომხიბლავ მოქალაქე კალაჩოვასთან, ყველა თავისი დარდის გაზიარება მოუნდა, მაგრამ ვერც ამის გაკეთებას ბედავდა.

- დიახ, - წარმოთქვა მან და თანამოსაუბრეს ნაზად შეხედა, - ასეა საქმეები. თქვენ როგორღა ცხოვრობთ, ელიზავეტა...

- პეტროვნა... თქვენ რა გქვიათ?

იპოლიტ მატვეევიჩმა უთხრა.

,,ზღაპარი ძვირფასი სიყვარულისა‘‘, - გაიფიქრა მან და ლიზას უბრალო სახეს დააკვირდა. თავადაზნაურობის ბებერ წინამძღოლს ისე მოუნდა ქალის ალერსი, ურომლისოდაც მას ცხოვრება ძალიან ეძნელებოდა, რომ თავისი დამჭკნარი ხელებით მყისვე ლიზას ნაზი ხელი აიღო და მხურვალედ პარიზზე ალაპარაკდა. მას მოუნდა, რომ მდიდარი, მფლანგველი დადაუოკებელი ყოფილიყო. მოუნდა, ქალების გულები აეჩქროლებინა და, ქალების ორკესტრის პირველ ლამაზმანთან ცალკე კაბინეტში განმარტოებულს, ორკესტრების გრიალში რედერერი ესვა. მაგრამ რაზე უნდა ელაპარაკა ამ გოგოსთან, რომელსაც, ალბათ, არაფერი არ გაეგონა არც რედერერზე და არც ქალების ორკესტრზე. ლიზასთვის, ალბათ, უცხო და გაუგებარი იყო ამ ჟანრის მომხიბლაობა. იპოლიტ მატვეევიჩს კი ძალიან მოუნდა ლიზასთვის სასურველი ყოფილიყო და შეეცადა, ქალიშვილის გული პარიზზე ლაპარაკით მოენადირებინა.

- თქვენ მეცნიერ-მუშაკი ხართ? - ჰკითხა ლიზამ.

- დიახ, ასე ვთქვათ, - მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა და იგრძნო, რომ ბენდერთან მეგობრობამ მას ხასიათის დაკარგული თვისება - უტიფრობა ისევ აპოვნინა.

- მაპატიეთ, მაგრამ... რამდენი წლისა ბრძანდებით?

- მეცნიერებისთვის, რომელსაც მე ახლა ვემსახურები, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ამ სწრაფმა და მოხდენილმა პასუხმა ლიზა მოხიბლა.

- კი მაგრამ მაინც - ოცდაათის? ორმოცის თუ ორმოცდაათის?

- თითქმის. ოცდათვრამეტისა ვარ.

- ოჰო! თქვენ გაცილებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებით.

იპოლიტ მატვეევიჩმა თავი ბედნიერად იგრძნო.

- როდის მომანიჭებთ ბედნიერებას, ხელმეორედ გნახოთ? - ცხვირში წარმოთქვა მან.

ლიზას შერცხვა, სავარძელში შეიშმუშნა და დადარდიანდა.

- ნეტავ, ამხანაგი ბენდერი სად დაიკარგა? - წვრილი ხმით წილაპარაკა მან.

- მაშ, როდის? - მოუთმენლად ჰკითხა ვორობიანინოვმა, - როდის და სად შევხვდეთ?

- აბა, რა გითხრათ. როცა გნებავთ.

- დღეს შეიძლება?

- დღეს?

- გევედრებით!

- კარგი. დღეს იყოს. შემოიარეთ ჩვენთან.

- არა, სუფთა ჰაერზე უკეთესია. ახლა მშვენიერი ამინდებია. იცით ეს ლექსი? „ცელქი მაისი, ჯადოქარი მაისი იქნევს თავის მარაოს“.

- ეგ ჟაროვის ლექსია?

- მმ... მგონი... მაშ, დღეს, ხომ? სად?

- რა უცნაური ხართ! სადაც გინდათ, გნებავთ - ცეცხლგამძლე კარადასთან. იცით? როცა დაღამდება...

იპოლიტ მატვეევიჩმა ძლივს მოასწრო ლიზასთვის ხელზე ეკოცნა, რაც მან დიდის ამბით გააკეთა, რომ ოსტაპიც დაბრუნდა. იგი მეტად საქმიანად გამოიყურებოდა.

- მაპატიეთ, მადმუაზელ, - სწრაფად წარმოთქვა მან,- მაგრამ მე და ჩემი მეგობარი ვერ გაგაცილებთ. ერთი პატარა, მაგრამ ძალიან საჭირო საქმე შეგვხვდა. ჩვენ დაუყოვნებლივ ერთ ადგილას უნდა წავიდეთ.

იპოლიტ მატვეევიჩს სუნთქვა შეეკრა.

- ნახვამდის, ელიზავეტა პეტროვნა, - სწრაფად უთხრა მან, - გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გვაპატიეთ, მაგრამ ძალიან გვეჩქარება.

კომპანიონები გაიქცნენ და გაოცებული ლიზა ჰამბსის ავეჯით გამოტენილ ოთახში დატოვეს.

- მე რომ არა, - უთხრა ოსტაპმა კიბეზე ჩასვლისას, - ხელცარიელი დარჩებოდით. ილოცეთ ჩემზე! ილოცეთ, ილოცეთ. ნუ გეშინიათ, კისერი არ მოგწყდებათ. ყური მიგდეთ! თქვენი ავეჯი სამუზეუმო მნიშვნელობისა არ ყოფილა. მისი ადგილი მუზეუმში კი არა, საჯარიმო ბატალიონის ყაზარმაშია. ეს სიტუაცია გაკმაყოფილებთ?

- თქვენ რა, დამცინით? - შეჰყვირა ვორაბიანინოვმა. იგი თავისუფლდებოდა თურქეთის ქვეშევრდომის ვაჟიშვილის მძლავრი ინტელექტის გავლენისგან.

- ჩუმად! - ცივად მოუჭრა ოსტაპმა, - თქვენ არ იცით, რა ხდება. თუ თქვენი ავეჯი ახლავე ხელში არ ჩავიგდეთ, მორჩა. თვალით ვეღარასოდეს დავლანდავთ. ეს წუთია, ამ ისტორიული სანაგვის გამგეს სერიოზულად ველაპარაკე.

- მერე რაო? - შეჰყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა, - რა გითხრათ?

- რაც საჭიროა, ყველაფერი მითხრა. ნუ ღელავთ. მე ვკითხე, რით აიხსნება, რომ თქვენთვის სტარგოროდიდან ორდერით გამოგზავნილი ავეჯი აქ არ არის-მეთქი. ვკითხე, რა თქმა უნდა, თავაზიანად, ამხანაგური კილოთი. რომელ ავეჯზე ლაპარაკობთო, - მეუბნება, - ჩემს მუზეუმში ასეთი ფაქტები არ ხდებაო. მე იმ წამსვე ორდერები შევაჩეჩე. მან წიგნებში ძებნა დაიწყო. ეძია, ეძია და ნახევარი საათის შემდეგ შემობრუნდა. ჰოდა, რა გგონიათ? ვითომ თქვენი ავეჯი სად უნდა იყოს?

- დაიკარგა? - ამოიკნავლა ვორობიანინოვმა.

- ასე განსაჯეთ, არ დაკარგულა. წარმოიდგინეთ, ამ ორომტრიალშიც კი არ დაკარგულა. როგორც უკვე მოგახსენეთ, სამუზეუმო ღირებულება მას არ ჰქონია, საწყობში შეუყრიათ და მხოლოდ გუშინ, შვიდი წლის შემდეგ - ავეჯი საწყობში ზუსტად შვიდ წელიწადს ეყარა, - გუშინ აუქციონზე გასაყიდად წაუღიათ. მთავარმეცნიერების აუქციონზე. თუ გუშინ და დღეს დილით არ გაყიდულა, მაშინ, ჩვენია. კმაყოფილი ბრძანდებით?

- ჩქარა! - შეჰყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- მეეტლე! - დაიბღავლა ოსტაპმა.

მეეტლეს არც შევაჭრებიან.

- ილოცეთ, ჩემზე ილოცეთ! ნუ გეშინიათ, ჰოფმარშალო! კარტი, ღვინო და ქალები არ მოგაკლდებათ. და მაშინ ცისფერი ჟილეტის საფასურსაც მოგართმევთ.

კონცესიონერები ულაყებივით შეცვივდნენ პეტროვკის პასაჟში, სადაც აუქციონის დარბაზი იყო.

მათ აუქციონის პირველსავე ოთახში დაინახეს, რასაც ამდენ ხანს ეძებდნენ. იპოლიტ მატვეევიჩის ათივე ფეხებდაგრეხილი სკამი კედელთან იდგა. მათი გადასაკრავები არც გახუნებულიყო და არც გამუქებულიყო, ფერიც არ ეცვალა. სკამები ახალი და სუფთა იყო, თითქოს ეს-ესაა, კლავდია ივანოვნას გაუპრიალებიაო.

- ესენია? - ჰკითხა ოსტაპმა.

- ღმერთო, ღმერთო, - იმეორებდა იპოლიტ მატვეევიჩი, - ესენია, ესენი. სწორედ ესენია. ეჭვი აღარ მეპარება.

ოსტაპი ცდილობდა, მშვიდად ყოფილიყო.

- ყოველი შემთხვევისთვის, შევამოწმოთ, - თქვა მან და გამყიდველთან მივიდა.

- მითხარით, ეს სკამები ავეჯის მუზეუმიდან მოიტანეს?

- ესენი? დიახ!

- მერე? იყიდება?

- იყიდება.

- რამდენად?

- ჯერ ფასი არა აქვს. აუქციონით გაიყიდება.

- დღეს გაიყიდება?

- არა. დღეს ვაჭრობა დამთავრდა. ხვალ, ხუთი საათიდან.

- იქნებ, დღესვე გაგეყიდათ?

- არა. ხვალ, ხუთი საათიდან.

სკამების ასე უცებ მიტოვება გაუძნელდათ.

- ნება მომეცით, - წაილუღლუღა იპოლიტ მატვეევიჩმა, - დათვალიერება მინდა, შეიძლება?

კონცესიონერები სკამებს დიდხანს ათვალიერებდნენ. ზედ ჯდებოდნენ. ზრდილობისთვის სხვა ნივთებიც დაათვალიერეს. ვორობიანინოვი ხვნეშოდა და ოსტაპს გამუდმებით იდაყვს ჰკრავდა.

- ილოცეთ ჩემზე! - ჩურჩულებდა ოსტაპი, - ილოცეთ, წინამძღოლო!

იპოლიტ მატვეევიჩი მზად იყო არა მარტო ელოცა ოსტაპზე, - იგი მზად იყო, ბენდერის ჟოლოსფერი შტიბლეტები ეკოცნა.

- ხვალ, - ამბობდა იგი, ხვალ! ხვალ! ხვალ!

მან კინაღამ სიმღერა წამოიწყო.

19. ევროპული კენჭისყრა

იმ დროს, როცა მეგობრები კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას ეწეოდნენ, მუზეუმში დადიოდნენ და ქალიშვილებს ეარშიყებოდნენ, სტარგოროდში, პლეხანოვის ქუჩაზე, ორგზის ქვრივი, სქელი და დონდლო გრიცაცუევა მეზობლებთან თავის საიდუმლო თათბირებს აწყობდა. ყველანი ერთად ათვალიერებდნენ წერილს, ბენდერმა რომ დატოვა. წერილს სინათლეზეც კი სინჯავდნენ, მაგრამ ცრემლების კვალი მას არა ჰქონდა, და კიდევაც რომ ჰქონოდა, დიდებული ოსტაპის იდუმალებით მოცული ნაჯღაბნი მაინც ამოუცნობი დარჩებოდა.

სამი დღე გავიდა. ჰორიზონტზე ისევ არავინ მოჩანდა. არ ჩანდა არც ბენდერი, არც ჩაის საცრელი, არც სამაჯური და არც სკამი, ყველა ეს სულიერი და უსულო საგნები უკვალოდ გაქრა.

მაშინ ქვრივმა რადიკალური ზომები მიიღო: ,,სტარგოროდსკაია პრავდას" კანტორაში წავიდა და იქ სწრაფად განცხადება გამოუცხვეს: გევედრებით

ყველას, ვინც იცის, სად იმყოფება.

სახლიდან გავიდა ამხ. ბენდერი, 25-30 წლისა, აცვია მწვანე კოსტიუმი, ყვითელი ფეხსაცმელები და ცისფერი ჟილეტი. შავგვრემანია.

მნახველებს ვთხოვთ, კარგი ჯილდოს ფასად შემატყობინონ მისამართზე: პლეხანოვის ქ. №5. გრიცაცუევას.

- თქვენი შვილია? - თანაგრძნობით ჰკითხეს კანტორაში.

- ჩემი ქმარია, - მიუგო წამებულმა ქალმა და სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა.

- ოჰ, ქმარი?

- დიახ, კანონიერი. მერე რა?

- არა, არაფერი. მილიციისთვის მიგემართათ.

ქვრივი შეშინდა. მილიციის მას ეშინოდა. როცა გარეთ გამოდიოდა, კვალდაკვალ რაღაც უცნაურად მისჩერებოდნენ.

ქვრივის მოწოდება სამგზის განმეორდა ,,სტარგოროდსკაია პრავდის" ფურცლებზე, მაგრამ დიდი ქვეყანა დუმდა. არავინ გამოჩნდა, ვისაც ცისფერჟილეტიანი და ყვითელფეხსაცმელებიანი მამაკაცის ადგილსამყოფელი ეცოდინებოდა. არავინ მოვიდა კარგი გასამრჯელოს მისაღებად. მეზობლის ქალები ჭორაობდნენ.

ქვრივის სახეს დარდის ნაკვალევი ყოველდღე ემატებოდა. საოცარი იყო: ქმარმა რაკეტასავით გაიქროლა შავ ცაში, კარგი სკამი და მემკვიდრეობით მიღებული საცრელი წაიღო, ქვრივს კი იგი მაინც უყვარდა. ვის შეუძლია ქალის, ნამეტნავად კი ქვრივი ქალის გულს ჩასწვდეს?

სტარგოროდში ტრამვაის უკვე მიეჩვივნენ და შიგ უშიშრად სხდებოდნენ. კონდუქტორები წკრიალა ხმით ყვიროდნენ - ადგილები აღარ არისო. და ყველაფერი ისე მიდიოდა, თითქოს ტრამვაი სტარგოროდში ჯერ კიდე ვლადიმირ კრასნოე სოლნიშკოს დროს შემოეღოთ. ყველა ჯგუფის ინვალიდები, ბავშვიანი ქალები და ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვი ტრამვაიში წინა ბაქნიდან ადიოდნენ. შეძახილზე - ბილეთები იყიდეთ, პოლესოვი გაბღენძილი პასუხობდა - წლიურიო, - და ვატმანის გვერდით დგებოდა. წლიური ბილეთი მას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა.

ქალაქში ვორობიანინოვისა და დიდი კომბინატორის ყოფნამ ღრმა კვალი დატოვა.

შეთქმულები გაფაციცებით მალავდნენ საიდულოს, რომელიც მათ გაანდეს. ვიქტორ მიხაილოვიჩიც კი დუმდა, თუმცა ძლივს იკავებდა თავს, რომ საიდუმლოებანი,

რომელნიც მას ძალიან აღელვებდნენ, პირველივე შემხვედრისთვის არ ეამბო. მას მხოლოდ ოსტაპის ძალოვანი მხრების გახსენება აკავებდა. გულის მოსაოხებლად კი მარჩიელთან დადიოდა.

- როგორ გგონიათ, ელენა სტანისლავოვნა, - ეუბნებოდა იგი, - რით აიხსნება, რომ ჩვენი ხელმძღვანელები არ ჩანან?

ამის ცოდნა ელენა სტანისლავოვნასაც ძალიან უნდოდა, მაგრამ არანაირი ცნობები არ ჰქონდა.

- ელენა სტანისლავოვნა, როგორ გგონიათ, - განაგრძობდა მოუსვენარი ზეინკალი, - რაიმე განსაკუთრებულ დავალებას ხომ არ ასრულებენ?

მარჩიელი დარწმუნებული იყო, ასრულებდნენ. როგორც ჩანდა, ამავე აზრის იყო წითელშარვლიანი თუთიყუშიც. იგი პოლესოვს თავისი მრგვალი, ჭკვიანი თვალებით მისჩერებოდა და თითქოს ეუბნებოდა: „მზესუმზირა მომეცი და ახლავე ყველაფერს გიამბობ. შენ, ვიქტორ, გუბერნატორი იქნები. ყველა ზეინკალი შენ დაგემორჩილება. №5 სახლის მეეზოვე კი, უხეში და ბრიყვი, თავი რომ დიდ ვინმედ წარმოუდგენია, მეეზოვედვე დარჩებაო“.

- როგორ გგონიათ, ელენა სტანისლავოვნა, ჩვენ მუშაობა არ უნდა გავაგრძელოთ? ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა შეიძლება?

მარჩიელი დაეთანხმა და შენიშნა: - იპოლიტ მატვეევიჩი ნამდვილი გმირია.

- მართლაც რომ გმირია, ელენა სტანისლავოვნა. აშკარაა, ის მარჯვე ოფიცერიც თან ახლავს. საქმიანი კაცია. რაც გინდათ, თქვით, ელენა სტანისლავოვნა, მაგრამ ამ საქმის მიტოვება არ შეიძლება. ეს ყოვლად შეუძლებელია.

და პოლესოვი ამოქმედდა. „მახვილი და სახნისის“ კავშირის წევრებთან ვიზიტად სიარული დაიწყო. განსაკუთრებით, „ოდესის ბლითების არტელის“ „მოსკოვური ფუნთუშების“ ფრთხილ პატრონს მოქალაქე კისლიარსკის აწუხებდა. პოლესოვის დანახვაზე კისლიარსკი ღრუბელივით მოიქუფრებოდა ხოლმე. როცა პოლესოვი იმის მტკიცებას მოჰვებოდა, მოქმედება აუცილებელიაო, მშიშარა მეფუნთუშე პირდაპირ გონებას კარგავდა.

შაბათ საღამოს ყველანი ელენა სტანისლავოვნას თუთიყუშის ოთახში შეგროვდნენ. პოლესოვი ფიცხობდა.

- ვიქტორ, ნუ წრიალებ, - ეუბნებოდა წინდახედული დიადიევი, - რას დაქრიხარ ქალაქში დილიდან საღამომდე?

- საჭიროა მოქმედება! - ყვიროდა პოლესოვი.

- მოქმედება საჭიროა, მაგრამ ყვირილი კი საჭირო არ არის. აი, ბატონებო, ეს ამბავი მე როგორ წარმომიდგენია. რაკი იპოლიტ მატვეევიჩმა თქვა, მაშ, წმინდა საქმეა. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდხანს ცდა აღარ მოგვიწევს. ჩვენ იმის ცოდნაც არ გვჭირდება, თუ როგორ მოხდება ეს ამბავი: ეს სამხედროების საქმეა. ჩვენ კი სამოქალაქო ნაწილი - ქალაქის ინტელიგენცია და ვაჭრობის წარმომადგენლები ვართ. ჩვენთვის რა არის მთავარი? მზადყოფნა. გვაქვს ჩვენ რამე? ცენტრი გვაქვს? არა. ვინ

იქნება ქალაქისთავი? არავინ იცის. ეს კი მთავარია. ბატონებო, როგორც ჩანს, ინგლისელები ბოლშევიკებს დიდხანს აღარ აბოგინებენ. აი, პირველი ნიშანი. ყველაფერი შეიცვლება, ბატონებო, სულ მოკლე ხანში, მე თქვენ გარწმუნებთ.

- ამაში ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, - თქვა ჩარუშნიკოვმა და გაიფხორა.

- ძალიან კარგია, რომ ეჭვი არ გეპარებათ. თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო კისლიარსკი? ან თქვენ, ახალგაზრდებო?

ნიკეშამ და ვლადიამ მთელი თავიანთი გარეგნული იერით მყისვე დაუდასტურეს, მოსალოდნელ ცვლილებებში ეჭვიც არ გვეპარებაო. სიკლიარსკიმ კი „უმალშეფუთვის“ სავაჭრო ჭირმის უფროსის ნალაპარაკევიდან დაასკვნა, შეიარაღებულ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის მიღება არ მომიწევსო, და ხალისიანად დაეთანხმა.

- ახლა რაღა ვაკეთოთ? - მოუთმენლად იკითხა ვიქტორ მიხაილოვიჩმა.

- მოითმინეთ, - უთხრა დიადიევმა, - მაგალითი ბატონ ვორობიანინოვის თანამგზავრისგან აიღეთ. აი, ნიმუში სიფრთხილისა და მოხერხებულობისა. თქვენ შეამჩნიეთ, საქმე რა სწრაფად შეაბრუნა, ჩვენ მხოლოდ უპატრონო ბავშვებს ვეხმარებითო? ჩვენც ასე უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ მხოლოდ ბავშვებს ვეხმარებით. ახლა რა ვქნათ, ბატონებო, კანდიდატურები შევარჩიოთ?

იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვს ვასახელებთ თავადაზნაურობის წინამძღოლად! - შესძახეს ახალგაზრდებმა - ნიკეშამ და ვლადიამ.

ჩარუშნიკოვმა თავაზიანად ჩაახველა.

- რას ამბობთ! ვორობიანინოვი მინისტრი მაინც იქნება, არადა, შეიძლება უფრო მაღლადაც ავიდეს. შეიძლება დიქტატორიც გახდეს.

- ბატონებო, ბატონებო, - თქვა დიადიევმა, - ვის სცალია ახლა წინამძღოლისთვის. ვიფიქროთ გუბერნატორზე და არა წინამძღოლზე. დავიწყოთ გუბერნატორით. მე ვფიქრობ...

- ბატონი დიადიევი! - აღტაცებით შეჰყვირა პოლესოვმა, - გუბერნიის გამძღოლა სხვას ვის შეუძლია?

- დიდად გმადლობთ ნდობისთვის... - დაიწყო დიადიევმა, მაგრამ უეცრად ჩარუშნიკოვი გაწითლდა და ალაპარაკდა: - ბატონებო, - დაძაბული ხმით წარმოთქვა მან, - ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ.

თან დიადიევს სახეს არიდებდა.

„უმალშეფუთვის“ პატრონი ამაყად ათვალიერებდა თავის ჩექმებს, რომელთაც ბურბუშელა მიჰკრობოდა.

- მე თანახმა ვარ, - წაილაპარაკა მან, - მოდი, კენჭი ვუყაროთ, კენჭისყრა ღია იყოს, თუ ფარული?

- ჩვენ საბჭოური წესები არ გვინდა, - ნაწყენი კილოთი თქვა ჩარუშნიკოვმა, - კენჭი პატიოსნად უნდა ვუყაროთ. ევროპულად, ფარულად.

ქაღალდი მოიტანეს. დიადიევმა ოთხი ხმა მიიღო, ჩარუშნიკოვმა - ორი. ვიღაცამ თავი შეიკავა. კისლიარსკის სახეზე ეტყობოდა, რომ თავი მას უნდა შეეკავებინა.

როცა აცახცახებულმა პოლესოვმა პატიოსანი ევროპული კენჭისყრის შედეგები გამოაცხადა, ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ჩარუშნიკოვს მზერას არიდებდნენ. გუბერნატორობის ხელმოცარული კანდიდატი გალახულივით იჯდა.

ელენა სტანისლავოვნა სიბრალულმა შეიპყრო. ჩარუშნიკოვს ხმა ხომ სწორედ მან მისცა. მეორე ხმა საარჩევნო საქმეებში გამოქექილმა ჩარუშნიკოვმა თავის კანდიდატურას თვითონვე მისცა. გულკეთილმა ელენა სტანისლავოვნამ აღარ დააყოვნა: - მესიე ჩარუშნიკოვი ქალაქის თავად მაინც ავირჩიოთ.

- რატომ - მაინც? - სულგრძელად წარმოთქვა გუბერნატორმა, - მაინც კი არა, სწორედ ეგ უნდა ავირჩიოთ. ბატონი ჩარუშნიკოვის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ჩვენ კარგად ვიცნობთ.

- ვთხოვთ, ვთხოვთ, - შეჰყვირა ყველამ.

- მაშ, დამტკიცებულია?

შეურაცხყოფილი ჩარუშნიკოვი გამოცოცხლდა და პროტესტიც კი განაცხადა: - არა, არა, ბატონებო, გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ. ქალაქის თავს კენჭი გუბერნატორზე მეტად უნდა ეყაროს. ბატონებო, თუ თქვენ გსურთ, ნდობა აღმომიჩინოთ, გთხოვთ, კენჭი მიყაროთ, ძალიან გთხოვთ.

ცარიელ საშაქრეში ქაღალდები ჩაყარეს.

- ექვსი ხმა, - მომხრეა, - თქვა პოლესოვმა, - ერთმა თავი შეიკავა.

- მომილოცავს, ბატონო ქალაქის თავო! - წამოხტა კისლიარსკი. სახეზე ეტყობოდა, რომ თავი ამჯერადაც მან შეიკავა, - მომილოცავს!

ჩარუშნიკოვი გაიბადრა.

- ამას დასველება უნდა, თქვენო აღმატებულებავ, - უთხრა მან დიადიევს, - პოლესოვ, გაფრინდი „ოქტომბერში“. ფული გაქვს?

პოლესოვმა ხელით იდუმალი ჟესტი გააკეთა და გაიქცა. არჩევნები დროებით შეწყდა და მხოლოდ ვახშმისას განახლდება.

სასწავლო ოლქის ზედამხედველად სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი დირექტორი, ამჟამად კი ბუკინისტი რასპოპოვი აირჩიეს. მას ძალიან აქებდნენ. ოღონდ ვლადიამ, რომელსაც უკვე სამი ჭიქა არაყი ჰქონდა გადაკრული, მოულოდნელად პროტესტი განაცხადა: - მაგის არჩევა არ შეიძლება. გამოსაშვებ გამოცდებზე ლოგიკაში ორიანი დამიწერა.

მაგრამ ვლადიას სასტიკად შეუტიეს.

- ასეთ გადამწყვეტ ჟამს განა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი შეიძლება? - დაუყვირეს აქეთ-იქიდან, - იფიქრეთ სამშობლოზე!

ვლადია ისე სწრაფად დაითანხმეს, რომ მან თავის მწვალებელს ხმაც კი მისცა. რასპოპოვს ხმა ყველამ მისცა და თავი მხოლოდ ერთმა შეიკავა.

კისლიარსკის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი შესთავაზეს. იგი წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ კენჭისყრისას ყოველი შემთხვევისთვის თავი შეიკავა.

გაიხსენეს ნაცნობ-მეგობრები და აირჩიეს: პოლიცმაისტერი, სასინჯი პალატის გამგე, აქციზის ჩინოვნიკი, გადასახადების ამკრეფი და საფაბრიკო ინსპექტორი; შეარჩიეს საოლქო პროკურორი, სასამართლოს თავმჯდომარე, მდივანი და წევრები; საერობო და სავაჭრო მმართველობების თავმჯდომარეები, ბავშვების ზედამხედველი და, ბოლოს, მეშჩანთა მმართველობის თავმჯდომარე. ელენა სტანისლავოვნა „რძის წვეთისა“ და „თეთრი ყვავილის“ საზოგადოების მზრუნველად დაასახელეს. ნიკეშა და ვლადია კი, რაკი ახალგაზრდები იყვნენ, გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელეებად დანიშნეს.

- უ-უკაც-რავად? - შეჰყვირა უცბად ჩარუშნიკოვმა, - გუბერნატორს ორი მოხელე და მე - არც ერთი?

- ქალაქის თავს შტატით საგანგებო მინდობილობათა მოხელეები არ ერგება, - რბილად განუმარტა გუბერნატორმა.

- მაშინ მდივანი მომეცით.

დიადიევი დათანხმდა. ელენე სტანისლავოვნაც გამოცოცხლდა.

- ხომ არ შეიძლება, - გაუბედავად წარმოთქვა მან, - მე ერთი ყმაწვილი კაცი მყავდეს. ძალიან კარგი და ზრდილი ბავშვია... მადამ ჩერკესოვას ვაჟიშვილი... ძალიან, ძალიან კარგი და ნიჭიერია... ახლა უმუშევრადაა. შრომის ბირჟაზეა ჩაწერილი. ბილეთიც აქვს. დაჰპირდნენ, ამ დღეებში კავშირში მოგაწყობთო. იქნებ, თქვენ აგეყვანათ? დედამისი ძალიან მადლიერი დაგრჩებოდათ.

- რატომაც არა. შეიძლება, - მოიღო მოწყალება ჩარუშნიკოვმა, - თქვენ რას იტყვით, ბატონებო? კეთილი, მგონი მოხერხდება.

- მაშ, ასე, - თქვა დიადიევმა, - მგონი, ყველაფერი რიგზეა, არა?

- მე რაღა ვქნა? - გაისმა უცებ წვრილი, აღელვებული ხმა. ყველანი მიბრუნდნენ. კუთხეში, თუთიყუშთან, საშინლად აფორიაქებული და დაბნეული პოლესოვი იდგა. ვიქტორ მიხაილოვიჩს ჩაშავებულ ქუთუთოებზე ცრემლები უკამკამებდა. ყველას ძალიან შერცხვა. სტუმრებს ახლაღა გაახსენდათ, რომ პოლესოვის არაყს სვამდნენ და რომ, საერთოდ, პოლესოვი „მახვილი და სახნისის“ სტარგოროდის განყოფილების ერთი ორგანიზატორთაგანი იყო. ელენა სტანისლავოვნამ საფეთქლებზე ხელი იტაცა და შეშინებულმა შეჰყვირა.

- ვიქტორ მიხაილოვიჩ? - აკვნესდნენ ყველანი, - ძვირფასო! საყვარელო! როგორ არა გრცხვენიათ! კუთხეში რატომ დგახართ! ახლავე აქ მოდით.

პოლესოვი მიუახლოვდა. იგი იტანჯებოდა. არ ეგონა, თუ ამხანაგები ასე გასწირავდნენ.

ელენა სტანისლავოვნამ ვეღარ მოითმინა: - ბატონებო, - თქვა მან, - ეს საშინელებაა. ჩვენი ძვირფასი ვიქტორ მიხაილოვიჩი როგორ დაგვავიწყდა?

წამოდგა და არისტოკრატ-ზეინკალს გამურულ შუბლზე აკოცა.

- ბატონებო, ნუთუ ვიქტორ მიხაილოვიჩს არ შეუძლია სასწავლო ოლქის ღირსეული ზედამხედველი ან პოლიცმაისტერი იყოს?

- ა, ვიქტორ მიხაილოვიჩ? - ჰკითხა გუბერნატორმა, - ზედამხედველობა გინდათ?

- რა თქმა უნდა, იგი დიდებული, ჰუმანური ზედამხედველი იქნება, - წარმოთქვა ქალაქის თავმა, სოკო გადაყლაპა და დაიჭყანა.

- მერედა - რას-პო-პოვი? - წყენით გააგრძელა ვიქტორ მიხაილოვიჩმა, - რასპოპოვი ხომ უკვე დანიშნეთ?

- ჰო, მართლა, რასპოპოვს რაღა ვუყოთ?

- იქნებ, ბრანდმაისტერად გადაგვეყვანა?

- ბრანდმაისტერად? - ვიქტორ მიხაილოვიჩი აღელდა.

მას წარმოუდგა სახანძრო ოთხთვალები, მოელვარე ცეცხლი, საყვირების ხმა და დაფდაფების გრიალი. მის თვალწინ ცულებმა გაიელვა, ჩირაღდნები აბრიალდა, მიწა გაიპო და ფრთიანმა ურჩხულებმა ვიქტორ მიხაილოვიჩი ქალაქის თეატრის ხანძრისკენ გააქროლეს.

- ბრანდმაისტერად? ბრანდმაისტერობა მინდა.

- ჰოდა, საუცხოოა! მომილოცავს, დღეიდან თქვენ ბრანდმაისტერი ხართ.

- დავლიოთ სახანძრო რაზმის აღორძინებისა! - ირონიულად წარმოთქვა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ.

ყველანი კისლიარსკის ეცნენ: - თქვენ მუდამ მემარცხენე იყავით. გიცნობთ.

- ბატონებო, რომელი მემარცხენე მე მნახეთ?

- ვიცით... ვიცით...

- ყველა ებრაელი მემარცხენეა.

- ღმერთო ჩემო! ბატონებო, თქვენი ხუმრობა ვერ გამიგია.

- მემარცხენე ხართ, მემარცხენე! ნუღარ მალავთ მაინც.

- ღამით, სიზმარში მილიუკოვს ხედავს.

- კადეტია, კადეტი!

- კადეტებმა ფინეთი გაყიდეს, - შეგღავლა უცბად ჩარუშნიკოვმა, - იაპონელებისაგან ქრთამს იღებდნენ. სომხებს ამრავლებდნენ.

კისლიარსკიმ ვეღარ აიტანა ამდენი უსაფუძვლო ბრალდება. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე გაფითრდა, თვალები დაკვესა, სკამის ზურგს ხელი ჩაავლო და გამყინავი ხმით შესძახა: - მე მუდამ ოქტიაბრისტი ვიყავი და ოქტიაბრისტად დავრჩები.

ახლა ამის კვლევას შეუდგნენ, ვინ რომელ პარტიას თანაუგრძნობდა.

- დემოკრატია - უპირველეს ყოვლისა, ბატონებო, - თქვა ჩარუშნიკოვმა, - ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა დემოკრატიული უნდა იყოს, მაგრამ უკადეტებოდ. ეყოთ, რაც ჩვიდმეტ წელში გაგვამწარეს.

- იმედია, - გესლიანად შენიშნა გუბერნატორმა, - რომ ჩვენ შორის ეგრეთ წოდებული სოციალ-დემოკრატები არ არიან.

ოქტიაბრისტებზე უფრო მემარცხენე, რომელთაც კისლიარსკი განასახიერებდა, კრებაზე არავინ იყო. ჩარუშნიკოვმა თავისი თავი ცენტრად გამოაცხადა. მარჯვენა ფლანგზე ბრანდმაისტერი იდგა. იგი ისეთი მემარჯვენე იყო, რომ არც კი იცოდა, რომელ პარტიას ეკუთნოდა.

შემდეგ ომზე ალაპარაკდნენ.

- დღეს არა, ხვალ დაიწყება, - თქვა დიადიევმა.

- იქნება, ომი უსათუოდ იქნება.

- გირჩევთ, სანამ გვიან არ არის, რაღაც-რაღაცები მოიმარაგეთ.

- მართლა გვირჩევთ? - შეშფოთდა კისლიარსკი.

- აბა, რას ფიქრობთ? თუ გგონიათ, ომის დროს რამეს იშოვით? ფქვილი მაშინვე გაქრება. ვერცხლის ფულს წამლად ვეღარ იშოვით, ქაღალდი, საფოსტო მარკები და სხვა ამგვარები ბევრი იქნება.

- ომი გარდაუვალია.

- თქვენი არ ვიცი, - თქვა დიადიევმა, - მე კი თავისუფალ სახსრებს ახლავე პირველი მოთხოვნილების საგნებში ვაბანდებ.

- ჩვენი მანუფაქტურის საქმეები?

- მანუფაქტურა თავისთავად, ფქვილი და შაქარი კი - თავის გზით. ასე რომ, თქვენც გირჩევთ, დაბეჯითებით გირჩევთ.

პოლესოვმა ჩაიცინა.

- როგორ იომებენ ბოლშევიკები? რით? რით იომებენ? ძველი შაშხანებით? მაშ, საჰაერო ფლოტი? მე ერთი ცნობილი კომუნისტი მეუბნებოდა, რომ მაგათ... აბა, ერთი მითხარით, თქვენი აზრით, ბოლშევიკებს რამდენი აეროპლანი ეყოლებათ?

- ასე, ორასამდე.

- ორასამდე? ორასი კი არა, ოცდათორმეტი! საფრანგეთს კი ოთხმოცი ათასი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს.

- ჰმ... აი, სადამდე მიიყვანეს ქვეყანა ბოლშევიკებმა.

ნაშუაღამეს დაიშალნენ.

გუბერნატორმა ქალაქის თავი გააცილა. ისინი მეტისმეტად დინჯად მიაბიჯებდნენ.

- გუბერნატორი! - ბუზღუნებდა ჩარუშნიკოვი, - შენ რა გუბერნატორი ხარ, როცა გენერლობაც კი არა გაქვს.

- მე სამოქალაქო გენერალი ვიქნები. შენ რა, გშურს? როცა მომეპრიანება, ციხეში მიგაბრძანებ. დამაცადე.

- ჩემი დაჭერა არ შეიძლება. მე არჩეული და ნდობით აღჭურვილი ვარ.

- ერთ არჩეულში ორ აურჩეველს იძლევიან.

- გთხოვთ, ნუ მექილიკებით! - უცებ მთელი ქუჩის გასაგონად შეჰყვირა ჩარუშნიკოვმა.

- რა გაყვირებს, ჩერჩეტო? - ჰკითხა გუბერნატორმა, - მილიციაში გამოძინება მოგინდა?

- მე მილიციაში ვერ წამიყვანენ, - მიუგო ქალაქის თავმა, - მე საბჭოთა მოსამსახურე ვარ.

ჯადოსნური ღამე იყო. ვარსკვლავები ბრწყინავდა. ქალაქის თავმა და გუბერნატორმა კამათი მეორე საბჭოთა ქუჩაზე განაგრძეს.

20. სევილიიდან გრენდამდე

კარგი და - მამა თევდორე სადღაა? რა იქნა ფროლისა და ლვარის გაკრეჭილი მღვდელი? ის ხომ ყურძნის ქუჩაზე, №34 სახლში, მოქალაქე ბრუნსთან წასასვლელად ემზადებოდა? სადაა ეს განძის მაძიებელი, დაუძინებელი მტერი იპოლიტ მატვეევიჩ ვორობიანინოვისა, რომელიც ახლა ბნელ დერეფანში, ცეცხლგამძლე კარადასთან აყუდებულა?

მამაო თევდორე დაიკარგა. არავინ იცის, რა იქნა. ამბობენ, თითქოს დონეცკის გზაზე, სადგურ პოპასნაიაზე დაინახეს, - ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი ეჭირა და პერონზე მირბოდაო...

მამა თევდორე სურვილმა შეიპყრო. გამდიდრება მოუნდა. დასდევს რუსეთში გენერლის ცოლის, პოპოვას გარნირტურს, რომელშიც, სიმართლე რომ ითქვას, არანაირი განძეული არ არის.

დარბის მამაო თევდორე რუსეთში და ცოლს მხოლოდ წერილებს უგზავნის.

მამა თევდორეს წერილი

ცოლისადმი, სამაზრო ქალაქ №-ში,

დაწერილი ხარკოვში, სადგურზე.

ჩემო ძვირფასო, კატერინა ალექსანდროვნა, დიდად დამნაშავე ვარ შენ წინაშე. მიგატოვე, უბედურო, ასეთ დროში.

ყველაფერი უნდა გიამბო. შენ მე გამიგებ და, იმედი მაქვს, დამეთანხმები.

რა თქმა უნდა, მე სალოცავად არ წავსულვარ. არც მიფიქრია. ამისგან ღმერთმა დამიფაროს.

ახლა კი ყურადღებით წაიკითხე. ჩვენ მალე სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ. გახსოვს, სანთლის ქარხანაზე რომ გელაპარაკებოდი? ქარხანაც გვექნება და, ალბათ, ზოგი სხვა რამეც. შენ სადილების კეთება და მომსვლელების დაპურება აღარ დაგჭირდება. სამარაში გადავალთ და მოსამსახურეს ავიყვანთ.

ასეთ საქმეს ვადგავარ, მაგრამ შენ ეს საიდუმლოდ შეინახე და არავის, მარია ივანოვნასაც კი არ უამბო. მე განძს ვეძებ. ვორობიანინოვის სიდედრი, განსვენებული კლავდია ივანოვნა პეტუხოვა, გახსოვს? სიკვდილის წინ კლავდია პეტუხოვა გამომიტყდა, ჩემს სტარგოროდის სახლში, სასტუმროს ერთ სკამში (სკამი სულ თორმეტი ჰქონდა) ბრილიანტები ჩავმალეო.

კატენკა, შენ არ იფიქრო, თითქოს მე ქურდბაცაცა ვიყო. ის ბრილიანტები მან მე დამიტოვა და მთხოვა, იპოლიტ მატვეევიჩს, ჩემს მწვალებელს, ხელში არ ჩაუგდოო.

აი, ჩემო ბეჩავო, რატომ მიგატოვე ასე მოულოდნელად.

ნუ დამადანაშაულებ.

სტარგოროდში ჩამოვედი და, წარმოიდგინე, ეს ბებერი არშიყიც აქ არ დამხვდა? როგორღაც შეუტყვია. ალბათ, სიკვდილის წინ დედაბერი აწამა. საშინელი კაცია. თან ვიღაც სისხლის სამართლის დამნაშავე დასდევს, - ბანდიტი დაუქირავებია. პირდაპირ დამეძგერნენ, სულის ამორთმევა უნდოდათ, მაგრამ მეც კარგი ვარ. აბა, თითი პირში ჩამიყონ, - მაშინვე მოვაკვნეტ.

თავიდან ყალბ კვალზე მივდიოდი. ვორობიანინოვის სახლში მარტო ერთი სკამი ვიპოვე (იმ სახლში ახლა საქველმოქმედო დაწესებულებაა), ეს სკამი სასტუმროში მიმქონდა; უცებ კუთხიდან ვიღაც კაცი გამოვარდა, ლომივით დამეძგერა და სკამს ჩაეჭიდა. საქმე კინაღამ ჩხუბით დამთავრდა. ჩემი შერცხვენა უნდოდათ. მერე დავუკვირდი და ვხედავ - ვორობიანინოვი არ არის! წარმოიდგინე, გაპარსულა, თავი გადაუხოტრავს, სიბერეში პირს ირცხვენს ეგ აფერისტი, ეგა. სკამი დავარღვიეთ და შიგ არაფერიც არ იყო. მერეღა მივხვდი, რომ ყალბ კვალზე მივდიოდი. მაშინ კი ძალიან განვიცადე. აღარ მოვერიდე და იმ გარყვნილს ყველაფერი პირში მივახალე: ,,როგორ ირცხვენ თავს ამ სიბერეში-მეთქი; სად გაგონილა, თავადაზნაურობის წინამძღოლი ღვთისმსახურს ლომივით ეძგეროს და უპარტიობა დააყვედროს-მეთქი. შე სულმდაბალო, - ვუთხარი, შე კლავდია ივანოვნას მწვალებელო და სხვისი

ქონების მაძიებელო, რით ვეღარ გაიგე, რომ ეგ ქონება ახლა შენი კი არა, სახელმწიფოსია-მეთქი“.

შერცხვა და გამშორდა. რა თქმა უნდა, საროსკიპოში წავიდოდა.

მე კი სასტუმრო „სორბონაში“ წავედი და მომავლის გეგმები შევადგინე. ისეთი რამეც კი მოვიფიქრე, რასაც ის გაპარსული ჩერჩეტი ვერასოდეს ვერ მოისაზრებს: იმ კაცის მოძებნა გადავწყვიტე, რომელიც რეკვიზირებულ ავეჯს ანაწილებს. კატენკა, წარმოიდგინე, თურმე იურიდიულ ფაკულტეტზე ტყუილად არ მისწავლია - გამომადგა. ის კაცი მეორე დღესვე ვიპოვე. ვარფოლომეიჩი ჰქვია და ძალიან წესიერი ბერიკაცია. თავის მოხუც ცოლთან ცხოვრობს და ლუკმაპურს მძიმე შრომით შოულობს. მან ყველა დოკუმენტი მომცა. ოღონდ, სიმართლე უნდა გითხრა, ფული კი გადავუხადე. სულ უკაპიკოდ დავრჩი (ამაზე შემდეგ). თურმე, ვორობიანინოვის სახლიდან თორმეტივე სკამი ინჟინერ ბრუნსთან, ყურძნის ქუჩაზე, №34 სახლში მოხვედრილა. ყველა სკამი ერთი კაცის ხელში ჩავარდნილა. ამას კი მე არასგზით არ მოველოდი (მეშინოდა, სკამები დაფანტული იქნება-მეთქი). ძალიან გამიხარდა „სორბონაში“ ისევ იმ არამზადა ვორობიანინოვს შევხვდი. არ შევიცოდე და კარგები ვუთხარი იმასაც და მის მეგობარ ბანდიტსაც. თან, შემეშინდა, ჩემი საიდუმლო არ გაიგონ-მეთქი, და სანამ ისინი სასტუმროდან წავიდოდნენ, ნომერში ჩავიკეტე.

თურმე, ბრუნსი 1923 წელს სტარგოროდიდან სამუშაოდ ხარკოვში გადასულა. მეეზოვისგან გავიგე, მთელი ავეჯი თან წაიღო და კარგადაც უვლისო. ამბობენ, მეტად დინჯი ადამიანიაო.

ახლა ხარკოვში, სადგურზე ვზივარ და გწერ. გწერ კი აი, რატომ: ჯერ ერთი, ძალიან მიყვარხარ და სულ მაგონდები, და მეორეც, ბრუნსი ხარკოვში აღარ არის. როგორც გავიგე, ახლა როსტოვში, „ნოვოროსცემენტში“ მსახურობს. მე კი სამგზავრო ფული აღარ მაბადია. ერთი საათის შემდეგ სატვირთო მატარებელს მივყვები. შენ, ჩემო კეთილო, სიძესთან მიდი, ორმოცდაათი მანეთი გამოართვი (მას ჩემი ჰმართებს და დამპირდა, მოგცემო) და როსტოვში გამომიგზავნე, ეკონომია გასწიე და ფოსტით გამოგზავნე, სულ ოცდაათი კაპიკი დაგიჯდება.

ჩვენს ქალაქში რა ისმის? ახალი რა არის?

კონდრატიევნა თუ იყო შენთან? მამა კირილეს უთხარი, რომ მე მალე დავბრუნდები: მომაკვდავ ბიცოლასთან წავიდა ვორონეჟში-თქო. ფულს მოუფრთხილდი. ევსტიგნეევი კიდევ სადილობს? Gადაეცი ჩემი სალამი; მაგასაც ასე უთხარი, ბიცოლასთან წავიდა-თქო?

როგორი ამინდებია? აქ, ხარკოვში, ნამდვილი ზაფხულია. ქალაქი ხმაურიანია - უკრაინის რესპუბლიკის ცენტრად ითვლება. პროვინციიდან ჩამოსულ კაცს თავი საზღვარგარეთ მოეჩვენება.

ახლა: 1) ჩემი საზაფხულო ანაფორა გასაწმენდად მიეცი (ახლის ყიდვას სჯობია გაწმენდაში სამი მანეთი გადავიხადოთ), 2) თავს გაუფრთხილდი, 3) თუ გულენკას წერილი მისწერო, სხვათა შორის ჩაურთე, რომ მე ვორონეჟში ბიცოლასთან წავედი.

ყველას თავს ვუკრავ. ყველას უთხარი, მალე ჩამოვა-თქო.

ნაზად გკოცნი, გეხვევი და გლოცავ - შენი ქმარი ფედია.“

ნოტაბენე: სად დაძრწის ახლა ვორობიანინოვი?

სიყვარული ადამიანს ფიტავს. ვნებით შეპყრობილი ხარი ბღავის. მამალი მოსვენებას კარგავს, თავადაზნაურობის წინამძღოლი კი - მადას.

იპოლიტ მატვეევიჩმა ოსტაპი და სტუდენტი ივანოპულო ტრაქტირში დატოვა, თვითონ კი ვარდისფერ სახლში შევიდა და ცეცხლგამძლე სალაროსთან პოზიცია დაიკავა. მას კასტილიისკენ მიმავალი მატარებლების ხმაური და გემების ხმა ესმოდა, ტალღებს რომ მიაპობდნენ.

იფერფლება ალპუხარის

ოქროსფერი დაისი.

გული ქანქარასავით უბორგავდა. ყურებს ზრიალი გაჰქონდა

სიჩუმეა და გიტარის

მხოლოდ ტკილი ხმა ისმის.

დერეფანში განგაში იდგა. ცივი ცეცხლგამძლე კარადა კი ვერაფერს გაეთბო.

სევილიას და გერნადას

ღამის ნისლი დაუვლის...

პენალებში გრამოფონები კვნესოდნენ, პრიმუსების გაბმული ზუილი იდგა.

შეათრთოლებს სერენადა

და მახვილთა ჩხარუნი...

ერთი სიტყვით, იპოლიტ მატვეევიჩს თავდავიწყებით შეუყვარდა ლიზა კალაჩოვა.

დერეფანში იპოლიტ მატვეევის გვერდით ბევრი ხალხი მიმოდიოდა, მაგრამ მათ ან თამბაქოს სუნი ასდიოდათ, ან არაყის, ან აფთიაქის, ან კიდევ წვნიანისა. ჩაბნელებულ დერეფანში ადამიანებს მხოლოდ სუნით, ან ნაბიჯების სიმძიმით თუ გაარჩევდით. ლიზა კი არ მოდიოდა. ამაში იპოლიტ მატვეევიჩი დარწმუნებული იყო. ლიზა თამბაქოს არ ეწეოდა, არც არაყს სვამდა, და არც ლურსმნებით მოჭედილ ჩექმებს ატარებდა; იოდის ან თავის ტკივილის წამლის სუნი ხომ მას არასგზით არ აუვიდოდა. მას მხოლოდ ბრიჯნის ფაფის უნაზესი სუნი, ან თივის სურნელი ექნებოდა, თივისა, რომლითაც ქალბატონი ნაორდმან-სევეროვა ასე დიდხანს კვებავდა სახელგანთქმულ მხატვარ ილია რეპინს.

მაგრამ აი, მსუბუქი, გაუბედავი ნაბიჯების ხმა მოისმა. დერეფანში ვიღაც მოდიოდა, ელასტიკურ კედლებს ეჯახებოდა და ტკბილად ღუღუნებდა.

- ელიზავეტა პეტროვნა, თქვენ ხართ? - ჰაეროვანი ხმით ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- მითხარით, გეთაყვა, აქ პფეფერკორნები სად ცხოვრობენ? - მოისმა პასუხად ბოხი ხმა, - თორემ ამ სიბნელეში რა ეშმაკი დავინახო!

შეშინებული იპოლიტ მატვეევიჩი დადუმდა. პფეფერკორნების მაძიებელი გაოცებული უცდიდა პასუხს და, რაკი ვეღარ ეღირსა, წინ წაფორთხდა.

ლიზა მხოლოდ ცხრა საათისთვის მოვიდა. ორივენი ქუჩაში მწვანე კარამელისფერი ხის ქვეშ გამოვიდნენ.

- საით გავისეირნოთ? - ჰკითხა ლიზამ.

იპოლიტ მატვეევიჩმა ქალიშვილს თეთრ სახეში შეხედა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ეთქვა, - „მე აქა ვარ, ინეზილია, ფანჯრის ქვეშ ვდგავარო“, - გრძლად და მოსაწყენად ალაპარაკდა იმაზე, რომ მოსკოვში დიდი ხანია, რაც აღარ ყოფილა, რომ პარიზი ათასჯერ ჯობია რუსეთის დედაქალაქს, და რომ მოსკოვი, რაც გინდათ თქვით და - მაინც უსისტემოდ დაგეგმილი ვეებერთელა სოფელია.

- მე, ელიზავეტა პეტროვნა, სხვანაირი მოსკოვიც მახსოვს. ახლა ყველაფერში სიძუნწე იგრძნობა. ჩვენ კი თავის დროზე ფული არ გვენანებოდა. არის ასეთი სიმღერა - „სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთ“.

მთელი პრეჩისტენსკის ბულვარი გაიარეს და სანაპიროზე, მაცხოვრის ტაძართან გავიდნენ.

მდინარე მოსკოვის ხიდს იქით მელიის რუხი კუდები გაჭიმულიყო. ესკადრასავით ბოლავდა მოჰესის ელექტროსადგურები. მდინარეზე ნავები მოჩანდა. სადღაც გარმონი ნაღვლიან ამბავს ყვებოდა. ლიზა იპოლიტ მატვეევიჩს მკლავზე ჩამოეკიდა და ყველა თავისი დარდი უამბო. უამბო, როგორ ეჩხუბა ქმარს, რა ძნელია მოყურადე მეზობლებთან - ყოფილ ქიმიკოსებთან ცხოვრება და რა ერთფეროვანია ვეგეტარიანული სამზარეულო.

იპოლიტ მეტვეევიჩი უსმენდა. მასში დემონები იღვიძებდნენ და შესანიშნავი ვახშამი ელანდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ყველაფერი უნდა ვიღონო და ამ გოგოს როგორმე თავბრუ დავახვიოო.

- თეატრში წავიდეთ,- შესთვაზა მან.

- კინოში მირჩევნია, - თქვა ლიზამ, - კინო უფრო იაფია.

- ოჰ, ფული აქ რა შუაშია! ასეთი საღამოა და თქვენ ფულზე ლაპარაკობთ!

დემონებმა მთლად აიწყვიტეს. მეეტლე გააჩერეს, არც კი შევაჭრებიან და წყვილი კინო „არსისაკენ“ გააქანა. იპოლიტ მატვეევიჩს თავი საუცხოოდ ეჭირა. მან ყველაზე ძვირი ბილეთები იყიდა, მაგრამ სეანსის ბოლომდე აღარ მოუცდიათ. ლიზა იაფფასიან ადგილებს, ეკრანის სიახლოვეს იყო მიჩვეული და ძვირფასიან ოცდამეთოთხმეტე რიგიდან ცუდად ხედავდა.

იპოლიტ მატვეევიჩს ჯიბეში იმ ფულის ნახევარი ედო, კონცესიონერებმა სტარგოროდელი შეთქმულებისგან რომ მიიღეს. ფუფუნებას გადაჩვეულ ვორობიანინოვს ეს დიდ თანხად მიაჩნდა. იოლი სიყვარულის იმედით

აღელვებულმა გადაწყვიტა, ლიზას ხელგაშლილობით დავაბრმავებო. საამისოდ თავი დიახაც მომზადებული ეგონა. სიამაყით გაიხსენა, რა ადვილად მოინადირა ოდესღაც მომხიბლავი ელენა ბოურის გული. იგი მიჩვეული იყო ფულის ხელგაშლით და ზარზეიმით ხარჯვას. ზრდილობით და ქალების შექცევით ხომ მთელ სტარგოროდში განთქმული იყო. ახლა სასაცილოდაც ეჩვენებოდა, რომ მთელი თავისი ძველრეჟიმული ბრწყინვალება ამ პატარა საბჭოურ გოგონაზე უნდა გაეფლანგა, - ფიქრობდა, ამას ხომ ცხოვრებაში ჯერ არაფერი უნახავს და არც გაუგონიაო.

მცირე მოლაპარაკების შემდეგ იპოლიტ მატვეევიჩმა ლიზა „პრაღაში", მოსცეკავშირის საჩვენებელ სასადილოში წაიყვანა. ბენდერისაგან გაგონილი ჰქონდა, მოსკოვში მაგ სასადილოს ფასი სხვა არაფერიაო.

„პრაღამ" ლიზა სარკეების, სინათლისა და ყვავილებიანი ქოთნების სიმრავლით გააოცა. ლიზას ეს ეპატიებოდა: მას არასოდეს ფეხი არ შეუდგამს დიდ საცდელ-სანიმუშო რესტორნებში. მაგრამ სარკეებიანმა დარბაზმა მოულოდნელად იპოლიტ მატვეევიჩიც გააბრუა. იგი ცხოვრებას ჩამორჩენილიყო და რესტორნის ყადრი გადავიწყებოდა. ახლა პირდაპირ რცხვენოდა, რომ კვადრატულცხვირიანი ჩექმები, ომამდელი საცალო შარვალი და მთვარისფერი, ვერცხლისფერი ვარსკვლავებით დაწინწკლული ჟილეტი ეცვა.

ორივენი უხერხულად შეიშმუშნენ.

- იქით, კუთხეში, წავიდეთ, - შესთავაზა ვორობიანინოვმა, თუმცა სწორედ ესტრადასთან, სადაც ორკესტრი „ბაიადერკის" მორიგ პოპურის აჭიჭყინებდა და ბევრი თავისუფალი ადგილი იყო.

ლიზამ იგრძნო, ყველა ჩვენ მოგვჩერებიაო, და უმალ დათანხმდა. მაღალი წრის ლომი და ქალთა გულების მპყრობელი ვორობიანინოვი მას დარცხვენით დაედევნა უკან. ლომს გაცვეთილი შარვალი ტომარასავით ეკიდა გამხდარ უკანალზე. ქალთა გულების მპყრობელი წელში მოიხარა და, დარცხვენა რომ დაეფარა, პენსნეს წმენდას შეუდგა.

მაგიდასთან არავინ მოდიოდა. ეს იპოლიტ მატვეევიჩისთვის მოულოდნელი იყო. იმის ნაცვლად, რომ ქალთან გალანტურად ესაუბრა, ლომი დუმდა, იტანჯებოდა, საფერფლეს მაგიდაზე გაუბედავად აკაკუნებდა და გაუთავებლად ახველებდა. ლიზა ცნობისმოყვარეობით იყურებოდა აქეთ-იქით. დუმილი უკვე უადგილო და არაბუნებრივიც კი გახდა, მაგრამ იპოლიტ მატვეევიჩს კრინტის დაძვრა აღარ შეეძლო. დაავიწყდა, რომ ასეთ შემთხვევებში მუდამ ძალდაუტანებლად მასლაათობდა.

- კეთილი ინებეთ! - უხმობდა იგი საზკვების მუშაკებს, გვერდით რომ ჩაურბენდნენ ხოლმე.

- ამ წუთში! - შეუჩერებლად პასუხობდნენ ოფიციანტები.

როგორც იქნა, ბარათი მოუტანეს. იპოლიტ მატვეევიჩმა შვებით ამოისუნთქა და ბარათს ჩაუკირკიტა.

- ერიჰაა! - ჩაიბურტყუნა მან, - ხბოს კატლეტები - ორი და ათი შაურიო, სუკი - ორი და ხუთი შაურიო, არაყი - ხუთი მანეთიო.

- ხუთ მანეთად დიდ გრაფინს მოგართმევთ, - უთხრა ოფიციანტმა და მოუთმენლად მიმოიხედა.

,,რა მემართება! - გაიფიქრა თავზარდაცემულმა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ალბათ, სასაცილოდ გამოვიყურები.

- აი, ინებეთ, - ნაგვიანევი თავაზიანობით მიმართა მან ლიზას, - აირჩიეთ, რას მიირთმევთ.

ლიზას სინდისი ქენჯნიდა. იგი ხედავდა, რა მედიდურად დასქცეროდა ოფიციანტი მის თანამეინახეს, და გრძნობდა, იპოლიტ მატვეევიჩი ისე არ იქცევა, როგორც საჭიროაო.

- ჭამა სულაც არ მინდა, - მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა ლიზამ, - ანდა, იცით... ამხანაგო, ვეგეტარიანული ხომ არაფერი გაქვთ?

ოფიციანტმა ფეხები ცხენივით ააბაკუნა.

- ვეგეტარიანული არაფერი გვაქვს. ლორიანი ომლეტი ხომ არ გინდათ?

- აი, რა, - გადაწყვიტა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მოგვიტანეთ სოსისები. ელიზავეტა პეტროვნა, სოსისებს ხომ მიირთმევთ?

- კი.

- ჰოდა, მაშ, სოსისები მოგვიტანეთ. აი, ესენი, მანეთი და ხუთი შაური რომ ღირს და ერთი ბოთლი არაყიც.

- არაყი გრაფინებში გვაქვს.

- მაშ დიდი გრაფინი მოგვიტანეთ.

საზკვების მუშაკმა უმწეო ლიზას გამჭვირვალე თვალებით შეხედა: - არაყს რას დააყოლებთ? ახალ ხიზილალას?

იპოლიტ მატვეევიჩში კვლავ მმაჩის საქმეთა მწარმოებელი აბობოქრდა.

- არ გვინდა, - უხეშად უთხრა მან ოფიციანტს, - მჟავე კიტრი რა ღირს? ჰოდა, კარგი, ორი მოგვიტანეთ.

ოფიციანტი გაიქცა და მაგიდასთან ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. პირველად ხმა ლიზამ ამოიღო.

- აქ არასოდეს ვყოფილვარ, ძალიან კარგია.

- დი-ა-ხ, - გააგრძელა იპოლიტ მატვეევიჩმა. იგი შეკვეთილის საფასურს ანგარიშობ და, - არაფერია, - ფიქრობდა იგი, - არაყს დავლევ და გავთამამდები, თორემ მართლაც უხერხულია‘‘.

მაგრამ, როცა არაყი დალია და მჟავე კიტრი დააყოლა, გათამამდა კი არა, კიდევ უფრო მოიღუშა. ლიზა არ სვამდა: დაძაბულობა არ გამქრალა. ამ დროს მაგიდასთან დაბარებულივით მოვიდა ვიღაც კაცი, ლიზას ალერსით მიაჩერდა და შესთავაზა, ყვავილები იყიდეთო.

იპოლიტ მატვეევიჩმა თავი მოიკატუნა, ამ ულვაშიან მეყვავილეს ვერ ვხედავო, მაგრამ მეყვავილე არ მიდიოდა. მისი თანდასწრებით კი ქათინაურებით ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

ამასობაში კონცერტი დაიწყო და იპოლიტ მატვეევიჩმა ოდნავი შვება იგრძნო. ესტრადაზე ფრაკსა და ლაქის ფეხსაცმელებში გამოწყობილი მამაკაცი გამოვიდა.

- აი, ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს, - ურცხვად ალაპარაკდა იგი, - ჩვენი საკონცერტო პროგრამის შემდეგი ნომერია რუსული ხალხური სიმღერების მსოფლიო შემსრულებელი, მარინას ჭალაში კარგად ცნობილი ვარვარა ივანოვნა გოდლევსკაია. ვარვარა ივანოვნა, გთხოვთ!

იპოლიტ მატვეევიჩი არაყს სვამდა და დუმდა. მას უნდა გრაფინის გამოცლა მოესწრო, თორემ ლიზა არ სვამდა და ყოველ წუთს სახლისკენ იწევდა.

სცენარზე მარინეს ჭალაში კარგად ცნობილი მომღერლის ნაცვლად ხავერდის ტოლსტოვკიანი კუპლეტისტი გამოვიდა და დაიწყო: დადიხართ,

ყველგან დაეხეტებით,

თითქოსდა თქვენი აპენდიციტი

სიარულისგან გახდება ცქვიტი,

დადიხართ.

ტა-რა-რა-რა...

იპოლიტ მატვეევიჩი უკვე კარგად მთვრალი იყო. სანიმუშო სასადილოს სხვა კლიენტებთან ერთად, რომელთაც ნახევარი საათის წინ ბრიყვებად და ძუნწ საბჭოთა ბანდიტებად თვლიდა, სიმღერის ტაქტს ტაში ააყოლა და აღიღინდა.

დადიხართ,

ტა-რა-რა-რა...

იგი ხშირად დგებოდა და ბოდიშის მოუხდელად საპირფარეშოში გარბოდა. მეზობელი მაგიდები მას უკვე „ძია-კაცს“ ეძახდნენ და ლუდზე ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ის არ მიდიოდა. უეცრად გაამაყდა და ეჭვიანიც გახდა. ლიზა სწრაფად ადგა მაგიდიდან: - მე წავალ. თქვენ კი დარჩით. გზას თვითონ გავიგნებ.

- არა, რატომ? როგორც თავადიშვილი, ვერ დავუშვებ! სენიორ, ანგარიში! ბრიყ-ვებო!

ანგარიშის ქაღალდს იპოლიტ მატვეევიჩი დიდხანს დასჩერებოდა და თან სკამზე ქანაობდა.

- ცხრა მანეთი და ერთი აბაზი? - ბურტყუნებდა იგი, - იქნებ, იმ ბინის გასაღებიც მოგართვათ, სადაც ფული მაქვს შენახული?

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იპოლიტ მატვეევიჩს ფრთხილად მხრებში შეუდგნენ და ქვევით ჩაიყვანეს. ლიზამ გაქცევა ვერ მოახერხა, რადგან გარდერობის ნომერი მაღალი საზოგადოების ლომს ჰქონდა.

პირველსავე შესახვევში იპოლიტ მატვეევიჩი ლიზას მხრით მიაწვა და ხელებით წაეპოტინა. ლიზამ უხმოდ გაიბრძოლა.

- გამიგონეთ! - ამბობდა იგი, - გამიგონეთ! გამიგონეთ!

- ნომერში წავიდეთ! - არწმუნებდა ვორობიანინოვი.

ლიზამ თავი ძალით გაითავისუფლა და ქალების გულთა მპყრობელს თავისდა უნებლიეთ მუშტი ცხვირში ჩასცხო. ვორობიანინოვს პენსნე ჩამოუვარდა, კვადრატულცხვირიანი ჩექმების ქვეშ მოექცა და დაიმსხვრა.

ეთერს მოაკმევს

ღამის ზეფირი...

ლიზას ცრემლები ახრჩობდა. იგი ვერცხლის შესახვევით სახლისკენ გაიქცა.

დაბრმავებული იპოლიტ მატვეევიჩი ბარბაცით საწინააღმდეგო მხარეს წაცუხცუხდა და თან ყვიროდა: - დაიჭირეთ, ქურდი დაიჭით!

შემდეგ ის დიდხანს ტიროდა. ატირებული ვიღაც დედაბერთან მივიდა და ფუნთუშები კალათიანად იყიდა. მერე დაცარიელებულ, ჩაბნელებულ სმოლენსკის ბაზარზე გავიდა და ფუნთუშებს თესლივით აბნევდა აქეთ-იქით, თან ერთობ არამუსიკალურად ყვიროდა: დადიხართ,

თქვენ ყველგან დაძრწიხართ,

ტა-რა-რა-რა...

შემდეგ იპოლიტ მატვეევიჩი მეეტლეს დაუმეგობრდა, გული მთლად გადაუშალა და მიკიბ-მოკიბულად ბრილიანტების ამბავიც კი უამბო.

- ოჰ, რა მხიარული ბატონია! - შესძახა მეეტლემ.

იპოლიტ მატვეევიჩი მართლაც მხიარულობდა, მაგრამ, ალბათ ეს მხიარულება ზომიერების ფარგლებს გასცდა, რადგან დილის თერთმეტ საათზე ლომმა მილიციაში გაიღვიძა. იმ ორასი მანეთიდან, რომლითაც მან ტკბობისა და გართობის ღამე ასე სამარცხვინოდ დაიწყო, ჯიბეში თორმეტი მანეთიღა შერჩენოდა.

აღარ ეგონა, თუ ცოცხალი გადარჩებოდა. ხერხემალი სტკიოდა და ღვიძლიც აწუხებდა. ასე ეჩვენებოდა, თავზე თუჯის კარდალა მხურავსო. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ვერაფრით ვერ გაიხსენა, თუ სად და როგორ მოახერხა იმდენი ფულის დახარჯვა. სახლისკენ მიმავალი იძულებული გახდა, ოპტიკოსთან შესულიყო და პენსნეში ახალი შუშები ჩაესმევინებინა.

ოსტაპი დიდხანს, გაკვირვებით ათვალიერებდა იპოლიტ მატვეევიჩის აბრანძულ ფიგურას, მაგრამ არაფერი უთქვამს. ოსტაპი ცივი და საბრძოლველად გამზადებული იყო.

21. ეგზეკუცია

აუქციონი ხუთ საათზე იწყებოდა. მოქალაქეებს ნივთების დასათვალიერებლად ოთხი საათიდან უშვებდნენ. მეგობრები კი სამზე გამოცხადდნენ და მთელი საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ მანქანათმშენებლების გამოფენას, იქვე გვერდით რომ იყო მოწყობილი.

- ისე ჩანს, - თქვა ოსტაპმა, - რომ, თუ მოგვესურვა, ხვალვე შეგვიძლია, ის პაწია ორთქლმავალი ვიყიდოთ. ნეტავ, რატომ ფასი არ აწერია? კარგია, როცა საკუთარი ორთქლმავალი გყავს.

იპოლიტ მატვეევიჩი იტანჯებოდა. მისი დაშოშმინება მხოლოდ სკამებს შეეძლო.

იგი სკამებს მხოლოდ იმ წუთში მოშორდა, როცა კათედრაზე კუბოკრულ შარვალში და რუსული კოვერკოტის ტოლსტოვკაში გამოწყობილი წვერიანი აუქციონისტი ავიდა.

კონცესიონერებმა ადგილი მარჯვენა მხარეს, მეოთხე რიგში დაიკავეს. იპოლიტ მატვეევიჩი საშინლად აღელდა. ეჩვენებოდა, სკამები ახლავე გაიყიდებაო, მაგრამ სკამების ნომერი ორმოცდასამი იყო, და გასაყიდად ჯერ ჩვეულებრივი სააუქციონო ნაყარ-ნუყარი - სხვადასხვა გერბიანი სერვიზები, საწვნე, ვერცხლის ლამბაქი, მხატვარ პეტუნინის პეიზაჟი, მძივების რედიკული, პრიმუსის სრულიად ახალი სანთურა, ნაპოლეონის ბიუსტი, ტილოს ლიფები, გობელენი „მონადირე გარეულ იხვებს რომ ესვრის“, და სხვა ნივთები გამოიტანეს.

კონცესიონერებს რაღა დარჩენოდათ, იმის გარდა, რომ ეთმინათ და ეცადათ. ცდა კი ძალიან ძნელი იყო: სკამებს თვალდათვალ ხედავდნენ; მიზანი ისე ახლოს იყო, რომ მის მისაღწევად მხოლოდ ხელების გაშვერა კმაროდა.

„რა ორომტრიალი ატყდებოდა, რა წივილ-კივილი შეუდგებოდათ, რომ იცოდნენ, ამ სკამების სახით დღეს რა განძი გაიყიდება“, - გაიფიქრა ოსტაპმა და აუქციონის საზოგადოება შეათვალიერა.

- ბრინჯაოს ფიგურა, მართლმსაჯულების განსახიერება, - გამოაცხადა აუქციონისტმა, - კარგად არის შენახული. ღირს ხუთი მანეთი. მეტს ვინ იძლევა? ექვს-ნახევარი, მარჯვნივ; ბოლოში - შვიდი. რვა მანეთი პირველ რიგში, პირდაპირ. მეორეჯერ, რვა მანეთი, პირდაპირ. მესამეჯერ, პირველი რიგი, პირდაპირ.

მოქალაქისკენ, პირველ რიგში რომ იჯდა, ფულის მისაღებად იმწამსვე ქვითრიანი ქალიშვილი გაექანა.

კაკუნობდა აუქციონისტის ჩაქუჩი. იყიდებოდა საფერფ-ლეები, სასახლიდან რომ გამოეტანათ, ბაკარის მინა, ფაიფურის საპუდრე.

დრო ძალიან ნელა გადიოდა.

- ალექსანდრე მესამის ბრინჯაოს ბიუსტი პრესპაპიედ გამოდგება. სხვად კი, მგონი, არაფრად. შემოთავაზებულ ფასად იყიდება ალექსანდრე მესამის ბიუსტი.

ხალხში აქა-იქ სიცილი გაისმა.

- იყიდეთ, წინამძღოლო, - დაგესლა ოსტაპმა, - მგონი, გიყვარდათ.

იპოლიტ მატვეევიჩი სკამებს თვალს არ აშორებდა და დუმდა.

- მსურველი არავინაა? ალექსანდრე მესამის ბრინჯაოს ბიუსტი აუქციონიდან იხსნება. ახლა - მეორე ფიგურა. ახლახან რომ მართლმსაჯულების ფიგურა გაიყიდა, მგონი, იმის ცალი უნდა იყოს. ვასილ, აჩვენე ხალხს „მართლმსაჯულება“. ხუთი მანეთი, მეტს ვინ იძლევა?

პირველი რიგიდან ხვნეშა მოისმა, ეტყობოდა, იქ მოქალაქეს სურდა, „მართლმსაჯულების“ სრული შემადგენლობა ჰქონდა.

- ბრინჯაოს „მართლმსაჯულება“ - ხუთ მანეთად!

- ექვსი! - მკაფიოდ წარმოთქვა მოქალაქემ.

- ექვსი მანეთი - პირდაპირ, შვიდი. ცხრა მანეთი ბოლოში, მარჯვნივ.

- ცხრა და ათი შაური, - წყნარად წარმოთქვა „მართლმსაჯულების“ მოყვარულმა და ხელი ასწია.

- ცხრა-ნახევარი, პირდაპირ, მეორეჯერ, ცხრა-ნახევარი, პირდაპირ. მესამეჯერ, ცხრა-ნახევარი.

ჩაქუჩი დაეშვა. პირველ რიგში მჯდომ მოქალაქეს ქალიშვილი მიაფრინდა. მოქალაქემ ფული გადაიხადა და თავისი ბრინჯაოს მისაღებად მეორე ოთახში გაჩანჩალდა.

- ათი სკამი სასახლიდან, - წარმოთქვა უცებ აუქციონისტმა.

- როგორ თუ სასახლიდან? - ეშმაკსაც წაუღიხარ! - გაბრაზდა ოსტაპი.

ისმინეთ და თქვენს ტყავში დაეტიეთ.

- ათი სკამი სასახლიდან. კაკლის ხის, ალექსანდრე მეორის ეპოქისა. სრულ წესრიგში, ჰამბსის საავეჯო სახელოსნოს ნახელავი. ვასილ, ერთი სკამი რეფლექტორთან დადგი.

ვასილი სკამს ისე უხეშად მიათრევდა, რომ იპოლიტ მატვეევიჩი ზეწამოიჭრა.

- დაჯექი, წყეულო იდიოტო! - გამწარებით წაიჩურჩულა ოსტაპმა, - ამას ვის გადავეკიდე! დაჯექით. თქვენ გეუბნებიან!

იპოლიტ მატვეევიჩს ქვედა ყბა აუკანკალდა. ოსტაპმა პოზა მიიღო, თვალებში ნათელი ჩაუდგა.

- ათი სკამი, კაკლის ხის. ოთხმოცი მანეთი.

დარბაზი გამოცოცხლდა, - ახლა უკვე ოჯახში გამოსადეგი ნივთები იყიდებოდა. ერთმანეთს ხელების აწევას აღარ აცდიდნენ. ოსტაპი კი არხეინად იჯდა.

- რატომ არ შეევაჭრებით? - ეცა მას ვორობიანინოვი.

- აქედან დამეკარგე, - კბილებში გამოსცრა ოსტაპმა.

- ას ოცი მანეთი, უკან. ას ოცდათხუთმეტი, იქვე, ას ორმოცი.

ოსტაპმა კათედრას მშვიდად შეაქცია ზურგი და კონკურენტები დაცინვით შეათვალიერა.

აუქციონი ბობოქრობდა. თავისუფალი ადგილები აღარ იყო. ერთ მანდილოსანს, ოსტაპისს უკან რომ იდგა, სკამები ძალიან მოსწონდა („რა საუცხოო ნახევარსავარძლებია. მშვენიერი ნახელავია, სასახლიდანაა“.) ქმარს მოელაპარაკა და ხელი ასწია.

- ას ორმოცდახუთი, მეხუთე რიგში, მარჯვნივ, ერთი.

ეს ფასი ეძვირათ. დარბაზი მიწყნარდა.

- ას ორმოცდახუთი ორი.

- ოსტაპი გულგრილად მისჩერებოდა ლავგარდანს.

- იპოლიტ მატვეევიჩი თავდახრილი იჯდა და ბორგავდა.

- ას ორმოცდა ხუთი, სამი.

მაგრამ სანამ შავი გალაქული ჩაქუჩი ფანერის კათედრაზე დაეცემოდა, ოსტაპი მიტრიალდა, ხელი წინ გაიშვირა და ხმადაბლა ისროლა: - ორასი!

ყველამ კონცესიონერებისკენ მიიხედა. ამოძრავდნენ ქუდები და კეპები, კარტუზები და შლაპები. აუქციონისტმა ოსტაპს მოწყენილი მზერა შეავლო.

- ორასი ერთი, - თქვა მან, - ორასი, მეოთხე რიგში, მარჯვნივ, ორი. ვაჭრობა აღარავის უნდა? ორასი მანეთი, კაკლის ხის გარნიტური, სასახლიდან, ათი ნაჭერი. ორასი მანეთი - სამი, მეოთხე რიგში, მარჯვნივ.

ჩაქუჩიანი ხელი კათედრის თავს მიუახლოვდა.

- დედა! - ხმამაღლა აღმოხდა იპოლიტ მატვეევიჩს.

ვარდისფერი და მშვიდი ოსტაპი იღიმებოდა. ჩაქუჩი კათედრაზე დაეცა და ზეციური ხმა გამოსცა.

- გაყიდულია! - თქვა აუქციონისტმა, - ქალიშვილო! მეოთხე რიგში, მარჯვნივ.

- რაო, თავმჯდომარეე, ეფექტურია? - ჰკითხა ოსტაპმა, - ნეტავ, რას იზამდით, ტექნიკური ხელმძღვანელი რომ არ გყოლოდათ?

იპოლიტ მატვეევიჩმა ბედნიერად ამოიხვნეშა. ქალიშვილი მათ ჩორთით უახლოვდებოდა.

- სკამები თქვენ იყიდეთ?

- ჩვენ! - შეჰყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა. იგი თავს ისედაც ძალიან დიდხანს იკავებდა, - ჩვენ, ჩვენ! როდის გაგვატანთ?

- როცა გნებავთ, გინდათ, ახლავე.

წუხანდელი სიმღერის მოტივი გიჟურად აცეკვდა იპოლიტ მატვეევიჩის თავში. „ჩვენია სკამები, ჩვენი, ჩვენი, ჩვენი“, - გაჰყვიროდა მთელი მისი ორგანიზმი. „ჩვენია!“ - გაჰკიოდა ღვიძლი. „ჩვენია!“ - უდასტურებდა ბრმა ნაწლავი.

ისეთი გახარებული იყო, რომ მაჯისცემას სრულიად მოულოდნელ ადგილებზე გრძნობდა. გაუგონარი ბედნიერების ზეგავლენით მის თვალში ყველაფერი თრთოდა, ქანაობდა და ტკაცუნობდა. გამოჩნდა მატარებელი, რომელიც სენგოტარდს უახლოვდებოდა. ბოლო ვაგონის ღია ბაქანზე თეთრშარვლიანი იპოლიტ მატვეევიჩ ვორბიანინოვი იდგა და სიგარას ეწეოდა. ალუმინისფერი ჭაღარით დამშვენებულ თავზე წყნარად ეცემოდა ედელვაისები. წინამძღოლი ედემისკენ მიქროდა.

- რატომ არის ორას ოცდათი და არა ორასი? - მოესმა იპოლიტ მატვეევიჩს.

ეს ოსტაპმა იკითხა. იგი ხელში ქვითარს ატრიალებდა.

- თხუთმეტი პროცენტი საკომისიო ემატება, - აუხსნა ქალიშვილმა.

- ჰო-ო, რაკი ასეა, ინებეთ.

ოსტაპმა საფულე ამოიღო, ორასი მანეთი გადათვალა და წარმოების მთავარ დირექტორს მიუბრუნდა: - დაყაჭეთ სამი თუმანი, უძვირფასესო! მარდად: ხომ ხედავთ, ქალიშვილი გვიცდის. აბა!

იპოლი მატვეევიჩს ფულის ამოღება აზრადაც არ მოსვლია.

- აბა, რას მომჩერებიხართ, როგორც ჯარისკაცი - მკბენარს. ბედნიერებამ გაგაბრუათ?

- მე ფული არა მაქვს, - წაილუღლუღა ბოლოს იპოლიტ მატვეევიჩმა.

- რაო? ფული არა გაქვს? - ძალიან წყნარად ჰკითხა ოსტაპმა.

- არა.

- ის ორასი მანეთი?

- მე... ე... ე... დავკარგე.

ოსტაპმა ვორობიანინოვს შეხედა. მისი გამწვანებული ლოყების, ნათრევი სახისა და თვალებქვემოთ დაკიდებული პარკების დანახვაზე მყისვე ყველაფერს მიხვდა.

- ფული ამოიღეთ! - მძულვარებით წაიჩურჩულა მან, -ბებერო არამზადავ!

- იხდით თუ არა? - ჰკითხა ქალიშვილმა.

- ამ წუთში, - უთხრა ოსტაპმა და მომხიბლავად გაუღიმა, - ცოტათი შევფერხდით.

მცირე იმედი კიდევ იყო. ქალიშვილს უნდა მოლაპარაკებდნენ, რომ ფულის გადახდა ეცლია. იპოლიტ მატვეევიჩი გამოფხიზლდა და ლაპარაკში ჩაერია, თან დორბლებს ყრიდა.

- უკაცრავად! - აყვირად იგი, - რომელ საკომისიოზე ლაპარაკობთ? ჩვენ მაგისი არაფერი ვიცით. უნდა გაგეფრთხილებინეთ. მე უარს ვამბობ მაგ ოცდაათი მანეთის გადახდაზე.

- კარგი, - მორჩილად წარმოთქვა ქალიშვილმა, - ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ.

მან ქვითარი წაიღო, აუქციონისტთან მიირბინა და რამდენიმე სიტყვა უთხრა. აუქციონისტი მაშინვე წამოდგა. მისი წვერი მძლავრი ელექტროლამპების სინათლეზე ბრწყინავდა.

- აუქციონის წესების მიხედვით, - მკაფიოდ წარმოთქვა მან, - ის პირები, რომლებიც შეძენილი ნივთების სრულ საფასურს არ გადაიხდიან, დარბაზიდან უნდა გავიდნენ. სკამების გაყიდვა გადადებულია.

გაოცებული მეგობრები გაუნძრევლად ისხდნენ.

- აბა, გთხოვთ! - უთხრა აუქციონისტმა.

ეფექტი დიდი იყო. ხალხი ბოროტად იცინოდა. ოსტაპი კი მაინც არ დგებოდა. ასეთ დარტყმას იგი უკვე გადაჩვეული იყო.

- აბა, გთხო-ო-ვთ! - შეუვალი კილოთი მღეროდა აუქციონისტი.

დარბაზში სიცილმა იმატა.

და ისინიც გამოვიდნენ. აუქციონის დარბაზიდან ასე გამწარებული იშვიათად თუ ვინმე გამოსულა. წინ ვორობიანინოვი მიდიოდა, გაძვალტყავებულ ბეჭებში მოხრილიყო და წეროსავით მიაბიჯებდა. უკნიდან დიდი კომბინატორის თბილ, მეგობრულ შემოხედვას გრძნობდა.

კონცესიონერები აუქციონის დარბაზის მეზობელ ოთახში გაჩერდნენ. ვაჭრობას ახლა მინებიანი კარიდან თუ უთვალთვალებდნენ. დარბაზში შესვლა აღარ შეეძლოთ. ოსტაპი მეგობრულად დუმდა.

- აღმაშფოთებელი წესებია, - ლაჩრულად წაიბურტყუნა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ნამდვილი უმსგავსობაა. მილიციაში უნდა ვიჩივლოთ.

ოსტაპი დუმდა.

- არა, მართლა... ეშმაკმა იცის, რა ხდება, - უფრო და უფრო ცხარობდა ვორობიანინოვი, - მშრომელებს სამპირ ტყავს აძრობენ. ღმერთმანი!.. რაღაც გაცვეთილ სკამებში ორას ოცდაათ მანეთს თხოულობენ. კაცი ჭკუიდან შეიშლება.

- ჰო, - ცივად დაუდასტურა ოსტაპმა.

- ხომ? - შეეკითხა ვორობიანინოვი, - მართლა, ხომ შეიძლება, ადამიანი შეიშალოს.

- შეიძლება.

ოსტაპი ვორბიანინოვს მიუახლოვდა, მკერდით მიეკრო, მიმოიხედა და წინამძღოლს გვერდში მოკლე, ძლიერი, მაგრამ გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი დარტყმა უთავაზა.

- აი, შენ, მილიცია! აი, სკამების სიძვირე ყველა ქვეყნის მშრომელებისთვის! აი, შენ, ღამე გოგოებთან სეირნობა! აი, ჭაღარა წვერი! აი, შენ, ეშმაკი ნეკნებში!

იპოლიტ მატვეევიჩს ამ ეგზეკუციის დროს კრინტიც არ დაუძრავს.

შორიდან მოგეჩვენებოდათ, შვილი მამას მოწიწებით ელაპარაკება, ოღონდ მამა თავს რატომღაც მეტისმეტად მკვირცხლად იქნევსო.

- ახლა კი დამეკარგე!

ოსტაპმა წარმოების დირექტორს ზურგი შეაქცია და აუქციონის დარბაზში შეიხედა. ერთი წუთის შემდეგ მოტრიალდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ისევ ჯარისკაცივით გაჭიმული იდგა.

- როგორ, საზოგადოების თვალო, კიდევ აქ დგახარ? დაიკარგე-მეთოქი! აბა!

- ამხა-ნაგო ბენდერ! - შეევედრა ვორობიანინოვი, - ამხანაგო ბენდერ!

- წადი, წადი! აღარც ივანოპულოსთან მოხვიდე. Gამოგაგდებ!

- ამხა-ნაგო ბენდერ!

ოსტაპი აღარ მობრუნებულა. დარბაზში რაღაც მოხდა, რამაც იგი ისე დააინტერესა, რომ კარი ფრთხილად გამოაღო და ყური მიუგდო.

- დავიღუპეთ! - წაიბურტყუნა მან.

- რა მოხდა? - მლიქვნელური კილოთი ჰკითხა ვორბიანინოვმა.

- სკამებს ცალ-ცალკე ჰყიდიან. აი, რა მოხდა. იქნებ, თქვენ ყიდვა გნებავთ? იყიდეთ. მე არ გაკავებთ. ოღონდ, ეჭვი მეპარება, რომ დარბაზში შეგიშვებენ. გარდა ამისა, ცოტა ფულის ნაკლებობასაც უნდა განიცდიდეთ.

სააუქციონო დარბაზში ამ დროს აი, რა ხდებოდა: აუქციონისტი მიხვდა, რომ სკამებში საზოგადოებას ორას მანეთს ვეღარ გააძრობდა (დარბაზში მხოლოდ წვრილფეხობა იყო დარჩენილი) და გადაწყვიტა, ამ ორას მანეთს ნაწილ-ნაწილ მოვაგროვებო. სკამები ისევ სავაჭროდ გამოიტანეს, ოღონდ ცალ-ცალკე.

- ოთხი სკამი სასახლიდან, კაკლის ხისა, რბილი ჰამბსის მარკის. სამი თუმანი. მეტს ვინ იძლევა?

ოსტაპს მყისვე ჩვეული სიმტკიცე და გულგრილობა დაუბრუნდა.

- თქვენ, ქალების ღმერთო, აქ იდექით და არსად წახვიდეთ, მე ხუთ წუთში მოვალ. თქვენ კი უთვალთვალეთ. ერთი სკამიც არ დაგეკარგოთ.

ბენდერმა უკვე ახალი, ამ მძიმე პირობებში ერთადერთი შესაძლებელი გეგმა შეიმუშავა. პეტროვკაზე გამოვარდა. ასფალტის უახლოეს ქვაბს მიაშურა და უპატრონო ბავშვებს საქმიანი ლაპარაკი გაუბა.

დაპირებისამებრ, იპოლიტ მატვეევიჩთან ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა. მაწანწალები აუქციონის შესასვლელთან გამზადებულნი იდგნენ.

- ყიდიან, ყიდიან, - აჩურჩულდა იპოლიტ მატვეევიჩი, - გაყიდეს! ოთხი ცალკე გაყიდეს და ორიც - ცალკე.

- ეგ თქვენი დამსახურებაა, - უთხრა ოსტაპმა, - გიხაროდეთ, საქმე უკვე გაკეთებული იყო, გესმით, გაკეთებული. ნეტავ, თუ ხვდებით მაინც?

დარბაზში ჭრიალა ხმა გაისმოდა, რომლითაც ბუნება მხოლოდ აუქციონისტებს, კრუპიეებს და მეშუშეებს აჯილდოებს ხოლმე.

- სამ-ნახევარი, მარცხნივ, ოთხი. კიდევ ერთი სკამი სასახლიდან, კაკლის, მშვენივრად შენახული. სამ-ნახევარი, პირდაპირ, სამ-ნახევარი, ერთი, პირდაპირ.

სამი სკამი ცალ-ცალკე გაიყიდა. აუქციონისტმა უკანასკნელი სკამის გაყიდვა გამოაცხადა. ოსტაპს ბრაზი ახრჩობდა. იგი ისევ ვორობიანინოვს დაეძგერა. მისი შეურაცხმყოფელი რეპლიკები ნაღველით იყო გაზავებული და ვინ იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდა ოსტაპი თავის სატირიკულ ვარჯიშში, მაგრამ მას უეცრად მამაკაცი მიუახლოვდა, რომელსაც უცნაური კოსტიუმი ეცვა. იგი მსუქან ხელებს იქნევდა, წელში იხრებოდა და, თითქოს ჩოგბურთს თამაშობსო, წინ და უკან ხტოდა.

- ერთი მითხარით, - სწრაფად შეეკითხა იგი ოსტაპს, - აქ მართლა აუქციონია? მართლა? აუქციონია? და აქ მართლა ნივთები იყიდება? შესანიშნავია!

უცნობი გვერდზე გახტა და მის სახეზე უამრავი ღიმილი აციალდა.

- აი, აქ, ამ დარბაზში, ნამდვილად ნივთებს ყიდიან? და მართლაც იაფად ყიდვა შეიძლება? მაღალი კლასია! ძალიან, ძალიან მაღალი! აჰ!

უცნობმა სქელი თეძოების რხევით ჩაუქროლა თავბრუდახვეულ კონცესიონერებს და უკანასკნელი სკამი ისე სწრაფად იყიდა, რომ ვორობიანინოვმა ამოხვნეშაც ძლივს მოასწრო. უცნობმა ქვითარი დაითრია და დახლთან მიიჭრა.

- ერთი მითხარით, შეიძლება, ახლავე წავიღო? შესანიშნავია! აჰ, აჰ!

უცნობი ხვნეშოდა და განუწყვეტლივ მოძრაობდა. სკამი ეტლში ჩადო და გაქანდა. მას კვალდაკვალ მაწანწალა ბიჭი დაედევნა.

თანდათანობით სკამების ყველა ახალი პატრონი წავიდ-წამოვიდა. ზოგი ეტლით წავიდა, ზოგიც ქვეითად. მათ უკან ოსტაპის არასრულწოვანი აგენტები მისდევდნენ. ოსტაპიც დაიძრა: იპოლიტ მატვეევიჩი უკან შეშინებული მისდევდა. დღევანდელი დღე მას სიზმარი ეგონა. ყველაფერი ძალიან სწრაფად, და სრულიადაც ისე არ მოხდა, როგორც მოელოდნენ.

სივცოვი ვრაჟოკში როიალები, მანდოლინები და გარმონები გაზაფხულს ზეიმობდნენ. ფანჯრები გაღებული იყო. რაფები თიხის ქოთნებში ჩარგულ

ყვავილებს გაევსო. ფანჯარასთან სქელი მამაკაცი იდგა, ბალნიანი მკერდი გადაეღეღა და გატაცებით მღეროდა. კედლის გასწვრივ კატა მიიზლაზნებოდა. სასურსათო ფარდულებში ნავთის ლამპებს კრიალი გაჰქონდა.

ვარდისფერ სახლთან კოლია სეირნობდა. მან წინ მიმავალ ოსტაპს თავაზიანად დაუკრა თავი და ვორობიანინოვს მიუახლოვდა. იპოლიტ მატვეევიჩი მას გულითადად მიესალმა, მაგრამ კოლია დროის დაკარგვას აღარ აპირებდა.

- საღამო მშვიდობისა, - მტკიცედ უთხრა მან, თავი აღარ შეიკავა და იპოლიტ მატვეევიჩს ყურში გასცხო. ამასთან, ოსტაპის აზრით, მან ფრიად ვულგარული ფრაზაც წარმოთქვა: - ყველას ასე დაემართება, - ბავშვური ხმით წარმოთქვა კოლიამ, - ვინც გაბედავს და ხელყოფს...

რას ხელყოფდნენ, კოლიამ აღარ თქვა. შემდეგ მან თვალები დახუჭა, ფეხის წვერებზე აიწია და ვორობიანინოვს ახლა კისერში მოსდო.

იპოლიტ მატვეევიჩმა იდაყვი ასწია, მაგრამ კრინტის დაძვრაც ვერ გაბედა.

- სწორია, - ამხნევებდა ოსტაპი კოლიას, -ახლა ერთი-ორი კისერშიც მოსცხე. ასე! რას იზამ! ზოგჯერ გაყოყოჩებულ ქათამს კვერცხები ასწავლიან. ერთიც... ასე! ნუ გერიდებათ. ოღონდ თავში ნუღარ ურტყამთ. ეგ მაგის ყველაზე სუსტი ადგილია.

სტარგოროდელ შეთქმულებს აზრის გიგანტი და რუსული დემოკრატიის მამა ამ წუთებში რომ დაენახათ, „მახვილი და სახნისის“ საიდუმლო კავშირი, ალბათ, მყისვე დაიშლებოდა.

- ახლა კი ეყოფა, - თქვა კოლიამ და ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

- ერთხელ კიდევ, - ევედრებოდა ოსტაპი.

- ეშმაკსაც წაუღია! მეორეჯერ ვეღარ გაბედავს.

კოლია წავიდა. ოსტაპი ივანოპულოსთან ავიდა და ქვევით გადმოიხედა. იპოლიტ მატვეევიჩი სახლის პირდაპირ, ზურგით საელჩოს თუჯის მოაჯირზე მიყრდნობილი იდგა.

- მოქალაქე მიხელსონ! - ჩასძახა ოსტაპმა, - კონრად კარლოვიჩ! შემოდით სახლში! ნებას გაძლევთ.

ოთახში იპოლიტ მატვეევიჩი უკვე ოდნავ მოსულიერებული შევიდა.

- გაუგონარი უტიფრობაა! - მრისხანედ წარმოთქვა მან, - თავი ძლივს შევიკავე.

- ო-ჰო-ჰო-ჰო, - უთანაგრძნო ოსტაპმა, - როგორი ახალგაზრდობა გვეზრდება. პირდაპირ - საშინელი. სხვის ცოლებს ეტორღიალება... სხვის ფულებს ფლანგავს... ნამდვილი დაცემულობაა... ერთი მითხარით, თავში რომ გირტყამენ, მართლა მწარეა?

- მე მას დუელში გამოვიწვევ!

- საუცხოოა! ერთ ჩვენს ნაცნობთან წაგიყვანთ. დუელის კოდექსი ზეპირად იცის. სეკუნდანტებად ივანოპულო და მარჯვენა მეზობელი ავიყვანოთ. და თუ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის მზად ხართ, ორ ცოცხსაც გვათხოვებს. ქალაქ კოლოგრივის ყოფილი საპატიო მოქალაქეა და ამით აქამდე თავს იწონებს. ანდა დუელი ხორცის საკეპი მანქანებით მოვაწყოთ, - უფრო ელეგანტური იქნება. ყოველი ჭრილობა უდავოდ სასიკვდილოა. დამარცხებული მოწინააღმდეგე მექანიკურად კატლეტად გადაიქცევა. წინამძღოლო, თქვენ ეს ხელს გაძლევთ?

ამ დროს ქუჩიდან სტვენა მოისმა და ოსტაპი მაწანწალებისგან სადაზვერვო ცნობათა მისაღებად გაეშურა.

მაწანწალებმა დავალება მშვენივრად შეასრულეს. ოთხი სკამი კოლუმბის თეატრში წაეღოთ. ერთმა მაწანწალამ ოსტაპს დაწვრილებით უამბო - სკამები ოთხთვალათი წაიღეს, გადმოიღეს და შენობის სამსახიობო შესასვლელით შეიტანესო. თეატრის ადგილმდებარეობა ოსტაპმა კარგად იცოდა.

მეორე მაწანწალამ თქვა, ორი სკამი ეტლით პრანჭია გოგომ წაიღოო. მაგრამ ეს მაწანწალა დიდი ნიჭის პატრონი არ უნდა ყოფილიყო. მას ის შესახვევი კი დაემახსოვრებინა, სადაც სკამები მიეტანათ, - თქვა ვარსონოფიევის შესახვევში მიიტანესო; ბინის ნომერიც ახსოვდა, - ჩვიდმეტიო, - მაგრამ სახლის ნომერი კი ვერაფრით ვერ გაიხსენა. თავი ასე იმართლა, ძალიან ჩქარა მოვრბოდი და თავიდან გამომივარდაო.

- ფულს ვერ მიიღებ, - მოუჭრა მეიჯარადრემ.

- ძია-ა-ა... მე სახლს გაჩვენებ.

- კარგი! აქ მოიცადე. ერთად წავიდეთ.

ის მოქალაქე, განუწყვეტლივ რომ ახველებდა, თურმა სადოვაია-სპასკიზე ცხოვრობდა. ზუსტი მისამართი ოსტაპმა ბლოკნოტში ჩაიწერა.

მერვე სკამი „ხალხების სახლში“ წაეღოთ. ის მაწანწალა, ამ სკამს რომ დაედევნა, სწორედ ეშმაკის ფეხი გამოდგა. მას ბარიერები გადაელახა, წინ კომენდატურისა და მრავალრიცხოვანი კურიერების სახით რომ გადაეღობა, შენობაში შეეღწია და დარწმუნებულიყო, რომ სკამი „სტანოკის“ რედაქციის მომმარაგებელს ეყიდა.

ორი მაწანწალა ჯერ არ ჩანდა. მათ, დაქანცულებმა და აქოშინებულებმა ერთად მოირბინეს.

- ყაზარმის შესახვევი, ჩისტი პრუდთან.

- ნომერი?

- ცხრა. ბინაც - ცხრა. გვერდით, ეზოში თათრები ცხოვრობენ. სკამიც მე წავუღე. ფეხით მივდიოდით.

ბოლო მსტოვარმა კი ცუდი ამბავი მოიტანა. თურმე, ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. მერე კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, მყიდველი სკამიანად

ოქტომბრის სადგურის სატვირთო ეზოში შესულა. ამ ეზოში შესვლა კი სიზმრადაც არავის მოელანდებოდა - ჭიშკართან რკინიგზის შეიარაღებული დაცვა იდგა.

- ალბათ, გაემგზავრა, - დაასრულა მოხსენება მაწანწალამ.

ამ ამბავმა ოსტაპი ძალიან შეაშფოთა. მაწანწალები მეფურად დააჯილდოვა, - იმ ერთის გარდა, სახლის ნომერი რომ დავიწყებოდა, - ყველას თითო მანეთი უბოძა. იმას კი უბრძანა, ხვალ დილით ადრე მოდიო. შემდეგ ტექნიკური დირექტორი სახლში შებრუნდა, გამგეობის შერცხვენილი თავმჯდომარის შეკითხვები უპასუხოდ დატოვა და კომბინირებას შეუდგა.

- ჯერ არაფერიც არ დაკარგულა. მისამართები ხელთა მაქვს, სკამების ხელში ჩასაგდებად კი მრავალი ძველი და ნაცადი ხერხი არსებოს: 1) უბრალო ნაცნობობა, 2) სასიყვარულო ინტრიგა; 3) კარის შემტვრევა; 4) გაცვლა და 5) ფული. ეს უკანასკნელი - ყველაზე ნაღდია, მაგრამ ფული ცოტაღა დაგვრჩა.

ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს ირონიულად შეხედა. დიდ კომბინატორს ნათელი აზროვნება და სულიერი წონასწორობა დაუბრუნდა. რა თქმა უნდა, ფულის შოვნა შეიძლებოდა. მარაგში რაღაცეები ჰქონდათ: სურათი „ბოლშევიკები წერილს სწერენ ჩემბერლენს“. ჩაის საცრელი, და სრული შესაძლებლობა იმისა, რომ მრავალცოლიანის კარიერა გაეგრძელებინა.

ოსტაპს მხოლოდ მეათე სკამის ბედი აწუხებდა, კვალი კი ჰქონდათ, მაგრამ როგორი? - ნისლით მოცული და ბუნდოვანი.

- რას იზამ, - ხმამაღლა თქვა ოსტაპმა, - ჩვენს შანსებს ცუდი არ ეთქმის. თამაშობს ცხრა ერთის წინააღმდეგ. სხდომა გრძელდება, გესმით? თქვენ, ნაფიცო მსაჯულნო!

22. კაციჭამია ელოჩკა

მკვლევარებმა გამოთვალეს, უილიამ შექსპირის ლექსიკონი თორმეტი ათასი სიტყვისგან შედგებაო. კაციჭამია ტომის „მუმბო-იუმბოს“ ზანგს სამასი სიტყვა ყოფნის.

ელოჩკა შჩუკინა კი ოცდაათი სიტყვითაც იოლად მიდიოდა.

აი, ის სიტყვები, ფრაზები და შორისდებულები, რომლებიც ელოჩკამ დიადი, მძლავრი და მრავალსიტყვიანი რუსული ენიდან შეარჩია: 1. მხეცობთ!

2. ჰო-ჰო! (გარემოების მიხედვით გამოხატავდა: ირონიას, გაკვირვებას, აღტაცებას, სიძულვილს, სიხარულს, ზიზღს და კმაყოფილებას).

3. საარაკოა.

4. ნაღვლიანი (ამ სიტყვას ყველაფერს უკავშირებდა. მაგალითად, „ნაღვლიანი პეტია მოვიდა“, „ნაღვლიანი ამინდია“, „ნაღვლიანი შემთხვევა“, „ნაღვლიანი კატა“, და ა. შ.).

5. წყვდიადი.

6. გასაგიჟებელი (მაგალითად, კარგ ნაცნობთან შეხვედრისას - გასაგიჟებელი შეხვედრა).

7. ბიჭუნი (ხმარობდა ნაცნობი მამაკაცების მისამართით, მათი ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად).

8. ცხოვრებას ნუ მასწავლით.

9. ბავშვივით (მაგალითად, კარტის თამაშისას - ვჭრი - ბავშვივით. პასუხისმგებელ მდგმურთან ლაპარაკისას კი - ბავშვივით მოვაკეტვინე).

10. მშშშ-ვენი-ერი-ა!

11. სქელი და ლამაზი (იხმარებოდა როგორც სულიერი, ისე უსულო საგნების დასახაისათებლად).

12. ეტლით წავიდეთ (ქმრის მისამართით).

13. წავიდეთ ტაქსოთი (მამრობითი სქესის ნაცნობებს).

14. თქვენ ზურგი გათეთრებული გაქვთ (ხუმრობა).

15. ერთი ამას დამიხედეთ!

16. ულია (სახელების საალერსო დაბოლოება, მაგალითად: მიშულია, ნინულია).

17. ოჰო! (ირონია, გაოცება, აღტაცება, სიძულვილი, სიხარული, ზიზღი და კმაყოფილება).

დანარჩენი სიტყვები, რომელთა რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა, ელოჩკასა და უნივერსალური მაღაზიების ნოქრების დამაკავშირებელ რგოლებს წარმოადგენდნენ.

თუ ელოჩკა შჩუკინას ფოტოსურათებს დაათვალიერებდით, ეს ფოტოები - ერთი პროფილში და ერთი ანფასში, - ელოჩკას ქმრის, ინჟინერ ერნესტ პავლოვიჩ შჩუკინის საწოლთან ეკიდა, - ადვილად გაარჩევდით საამოდ გამოზნექილ მაღალ შუბლს, დიდრონ წყლიან თვალებს, მთელი მოსკოვის გუბერნიაში ულამაზეს ცხვირსა და მოხდენილ ნიკაპს, რომელსაც პაწაწა, ტუშით დახატული ხალი ამშვენებდა.

ელოჩკას ფიგურა მამაკაცების თავმოყვარეობას ესალბუნებოდა. იგი პატარა ტანისა იყო და მის გვერდით ქონდრის კაცებიც კი გოლიათებად მოჩანდნენ.

განსაკუთრეული ნიშნები კი ელოჩკას არ ჰქონდა და არც სჭირდებოდა. ელოჩკა ლამაზი ქალი იყო.

ის ორასი მანეთი, რომელსაც ქმარი ყოველთვიურად იღებდა ქარხანა ,,ელექტროლიუსტრაში", ელოჩკას შეურაცხყოფად მიაჩნდა. ეს ფული არაფერს ნიშნავდა იმ გრანდიოზულ ბრძოლაში, რომელსაც ელოჩკა უკვე ოთხი წელიწადი ეწეოდა, - სწორედ მას შემდეგ, რაც დიასახლისის - შჩუკინის მეუღლის საზოგადოებრივი მდგომარეობა დაიკავა. ბრძოლა მთელი ძალების დაჭიმვით წარმოებდა. იგი მთელ რესურსებს ნთქავდა. ერნესტ პავლოვიჩს სახლში ზედმეტი

სამუშაო მოჰქონდა, მოსამსახურეც დაითხოვა, პრიმუსს თვითონ ანთებდა, ნაგავიც თვითონ გაჰქონდა და კატლეტებსაც თვითონვე წვავდა

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. საშიში მტერი მეურნეობას წლითიწლობით სულ უფრო და უფრო აპარტახებდა. ელოჩკამ ოთხი წლის წინათ შეამჩნია, რომ ოკეანის გადაღმა მეტოქე ჰყავდა. უბედურება ელოჩკას იმ საღამოს ეწვია, როცა კრეპდეშინის მეტად სიმპათიურ კოფთას ისინჯავდა. ამ სამოსელში იგი ღმერთქალს მოგაგონებდათ.

- ჰო-ჰო! - შესძახა მან და ამ კაციჭამიების შეძახილში ყველა ის გასაოცრად რთული გრძნობა ჩატია, მას რომ ამ წუთში დაუფლებოდა.

ეს გრძნობები უბრალო ენაზე ასე გამოითქმებოდა: „ახლა ჩემს დანახვაზე მამაკაცები აღელდებიან. სულ აკანკალდებიან. სიყვარულისგან ენადაბმულნი, თუნდაც ქვეყნის ბოლომდე გამომეკიდებიან. მაგრამ მე არავის მივიკარებ. განა ისინი ჩემი ღირსნი არიან?! მე ყველაზე ლამაზი ვარ. ასეთი ელეგანტური კოფთა მთელ დედამიწის ზურგზე არავისა აქვს“. მაგრამ ელოჩკა ხომ სულ ოცდათიოდე სიტყვას ფლობდა, და მათგან ყველაზე უფრო გამომსახველი და მკაფიო - „ჰო-ჰო!“ ამოირჩია.

ამ დიად წუთებში მას ფიმკა სობაკი ეწვია და თან იანვრის ყინულიანი სუნთქვა და მოდების ფრანგული ჟურნალი მოიტანა. ელოჩკა პირველსავე გვერდს დაუკვირდა. კრიალა ფოტოსურათზე ამერიკელი მილიარდერის ვანდერბილდის ქალიშვილი იყო გამოსახული. მას საღამოს კაბა ეცვა. აქ იყო ბეწვეულიც, აბრეშუმიც და მარგალიტიც, თარგის არაჩვეულებრივი სიმსუბუქე და თმის ჭკუიდან შემშლელი ვარცხნილობაც. ამან ყველაფერი გადაწყვიტა.

- ოჰო! - თავის თავს უთხრა ელოჩკამ.

ეს ნიშნავდა: „ან მე, ან ის“.

მეორე დილა ელოჩკას საპარიკმახეროში დაათენდა. იქ მან თავისი მშვენიერი შავი დალალები დაჰკარგა და მათ მაგივრად წითელი თმა შეიძინა. შემდეგ ელოჩკამ შესძლო კიდევ ერთი საფეხურთი აეწია სამოთხისკენ მიმავალ კიბეზე, სადაც მილიარდერების ქალიშვილები დასეირნობდნენ, - ქალიშვილები, რომელნიც დიასახლის შჩუკინას ფრჩხილადაც არ ღირდნენ. მუშკრედიტის შემწეობით ელოჩკამ ძაღლის ტყავი იყიდა, თახვისას რომ ჰგავდა და საღამოს კაბის მოსართავად გამოიყენა.

მისტერ შჩუკინი, რომელიც წლობით ოცნებობდა ახალი სახაზავი დაფის ყიდვაზე, ცოტა არ იყოს, დანაღვლიანდა.

ძაღლის ტყავით მოარშიებულმა კაბამ გულზვიად მისის ვანდერბილდს პირველი დარტყმა აგემა. შემდეგ ამპარტავანმა ამერიკელმა ქალმა ზედიზედ კიდევ სამი დარტყმა მიიღო. ელოჩკამ ფიმკა სობაკის ნაცნობი მექურქისგან შინშილას პალანტინი იყიდა (იმ რუსული კურდღლის ტყავისა, ტამბოვის გუბერნიაში რომ მოეკლათ), არგენტინული ფეტრის შლაპაც შეიძინა და ქმრის ახალი პიჯაკი ქალის მოდურ ჟაკეტად გადააკეთა. მილიარდერის ასული შეტორტმანდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოყვარულმა მამამ ამჯერადაც გადაარჩინა.

მოდების მორიგ ჟურნალში წყეული მეტოქე ოთხჯერ იყო დახატული: 1. მურამოშეს მანტოში, 2) ბრილიანტის ვარსკვლავით შუბლდამშვენებული, 3) საავიაციო კოსტიუმში გამოწყობილი (ეცვა მაღალი ჩექმები, უნაზესი მწვანე ქურთუკი და საშუალო სიდიდის ზურმუხტებით ინკუსტრირებული ხელთათმანები) და 4) საბალო ტუალეტში (აქ იყო ძვირფასი ქვების კასკადები და ცოტა აბრეშუმიც).

ელოჩკამ მობილიზაცია ჩაატარა. შჩუკინმა-მამამ ურთიერთდამხმარე სალაროში სესხი ითხოვა. ოცდაათ მანეთზე მეტი არ მისცეს. ამ ძალუმმა ღონისძიებამ მეურნეობა ძირშივე ფესვიანად შეარყია. ცხოვრების ყოველი სფერო მსხვერპლს ითხოვდა. ცოტა ხანში მისის ვანდერბილდის ახალი ფოტოსურათები მოვიდა, - იგი ფლორიდაში ახალი კოშკის ფონზე იყო გადაღებული. სამაგიეროდ, ელოჩკამ ახალი ავეჯი შეიძინა. აუქციონზე ორი რბილი სკამი იყიდა (ძალიან ხელსაყრელ პირობებში, ხელის გაშვება პირდაპირ შეუძლებელი იყო) და ქმრის უკითხავად სადილების ფული დახარჯა. თხუთმეტამდე ათი დღე და ოთხი მანეთი იყო დარჩენილი.

ელოჩკამ სკამები ზარზეიმით გაატარა ვარსონოფიევის შესახვევში. ქმარი შინ არ იყო, მაგრამ მალე მოვიდა და თავისი ბოხჩისოდენა პორტფელი მოათრია.

- ნაღვლიანი ქმარი მოვიდა, - გარკვევით წარმოთქვა ელოჩკამ. საერთოდ, ელოჩკა მუდამ გარკვევით ლაპარაკობდა. მისი პირიდან სიტყვები მუხუდოს მარცვლებივით მოხტოდა.

- გამარჯობა, ელენოჩკა! ეს რაღაა? ეს სკამები საიდან გაჩნდა?

- ჰო-ჰო!

- არა. მართლა გეკითხები.

- მშშ-ვე-ნი-ერია!

- კი, კარგი სკამებია.

- სა-არა-კოა!

- ვინმემ გაჩუქა?

- ოჰო!

- რაო! მაშ, იყიდე? მართლა? რომელი ფულით იყიდე? მე ხომ ათასჯერ გითხარი...

- ერნესტუოლია! მხეცობ!

- ეს როგორ შეიძლება, ადამიანო, შიმშილით დავიხოცებით!

- ერთი ამას დამიხედეთ!

- არა, ეს მართლაც აღმაშფოთებელია!

- ხუმრობთ?

- ასე ცხოვრება არ შეიძლება.

- ცხოვრებას ნუ მასწავლით!

- არა, მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ. მე ვიღებ ორას მანეთს...

- წყვდიადი!

- ქრთამს მე არ ვიღებ, ფულს მე არ ვიპარავ და ყალბი ფულის მოჭრა არ ვიცი...

- გასაგიჟებელია!

ერნესტ პავლოვიჩი გაჩუმდა.

-აი, რას გეტყვი, - თქვა მან ბოლოს, - ასე ცხოვრება არ შეიძლება.

- ჰო-ჰო, - თქვა ელოჩკამ და ახალ სკამზე ჩამოჯდა.

- ჩვენ უნდა გავშორდეთ.

- ერთი ამას დამიხედეთ!

- ჩვენ ვერ ვეგუებით ერმთმანეთს... მე...

- შენ სქელი და ლამაზი ბიჭუნა ხარ.

- რამდენჯერ გთხოვე, ბიჭუნას ნუ მეძახი-მეთქი.

- ხუმრობთ!

- საიდან აიღე ეს იდიოტური ჟარგონი?

- ცხოვრებას ნუ მასწავლით!

- ეშმაკმა წაგიღოს! - შეჰყვირა ინჟინერმა.

- მხეცობთ, ერნესტულია.

- მოდი, მშვიდობიანად გავშორდეთ.

- ოჰო!

- მე შენ ვერაფერს ვერ შეგაგნებინებ. ეს კამათი...

- გცემ - ბავშვივით!

- არა. ამის ატანა ყოვლად შეუძლებელია. შენი არგუმენტები ვერ შემაცვლევინებს ნაბიჯს, რომლის გადადგმასაც გარემოება მაიძულებს. მე ახლავე მეფორნეს მოვიყვან.

- ხუმრობთ!

- ავეჯი შუაზე გავიყოთ.

- წყვდიადი!

- შენ ყოველთვიურად ას მანეთს მიიღება. არა, ას ოცს. ოთახი შენი იყოს. იცხოვრე, როგორც გნებავდეს, მე კი ასე აღარ შემიძლია.

- საარა-კოა, - ზიზღით წარმოთქვა ელოჩკამ.

- მე ივან ალექსეევიჩთან გადავალ.

- ოჰო!

- საზაფხულოდ აგარაკზე წავიდა და ბინა მე დამიტოვა. გასაღებიც თან მაქვს... ოღონდ მის ბინაში ავეჯი არ არის.

- მშშ-ვე-ნიე-რია!

ერნესტ პავლოვიჩი ხუთი წუთის შემდეგ მობრუნდა და მეეზოვე მოიყვანა.

- გარდერობს არ წავიღებ, შენ უფრო გჭირდება, - ოღონდ, თუ არ გამიწყრები, საწერ მაგიდას კი... მეეზოვე, ერთი სკამიც წამოიღეთ. ამ ორიდან ერთ სკამს მე წავიღებ... მგონი, ამის უფლება კი უნდა მქონდეს, არა?

ერნესტ პავლოვიჩმა თავისი ნივთები დიდ ბოხჩად შეკრა. ჩექმები გაზეთში შეახვია და კარისკენ მიტრიალდა.

- ზურგი მთლად გათეთრებული გაქვს, - გრამოფონივით წამოიხრიალა ელოჩკამ.

- ნახვამდის, ელენა!

ინჟინერს ეგონა, ჩემი ცოლი ახლა მაინც შეიკავებს თავს და იმ უაზრო ლითონის სიტყვებს არ იხმარსო. წუთის სიდიადე ელოჩკამაც იგრძნო. დაიძაბა, განშორების შესაფერ სიტყვებს ძებნა დაუწყო და მალე იპოვა კიდეც: - ტაქსოთი წახვალ? მმშშვვე-ნი-ერია.

ინჟინერი ზვავივით დაქანდა კიბეზე.

საღამო ელოჩკამ ფიმკა სობაკთან გაატარა. ისინი უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე მსჯელობდნენ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას გადაყირავებას უქადდა.

- მგონი, გრძელსა და განიერ კაბებს შემოიღებენ, - თქვა ფიმკამ და თავი ქათამივით მხრებში ჩააძვრინა.

- წყვდიადი!

და ელოჩკამ ფიმკა სობაკს პატივისცემით შეხედა. მადმუაზელ სობაკი კულტურულ ქალიშვილად ითვლებოდა: მის ლექსიკონში ას ოთხმოცამდე სიტყვა იყო, მათ შორის ერთი ისეთი სიტყვაც, რომ ელოჩკას არც კი დაესიზმრებოდა. ეს მდიდრული სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ გახლდათ. არა, ფიმკა სობაკი უეჭველად კულტურული ქალი იყო.

გაცხოველებული საუბარი ნაშუაღამევამდე გაგრძელდა.

დილის ათ საათზე ვარსონოფიევის შესახვევში დიდმა კომბინატორმა შეაბიჯა. წინ გუშინდელი მაწანწალა მორბოდა. მან სახლზე მიუთითა.

- ხომ არ მატყუებ?

- რას ამბობთ, ძია... აი, იქ, სადარბაზოში.

ბენდერმა ბიჭს პატიოსანი შრომით ნაშოვნი მანეთი გაუწოდა.

- ცოტა დაუმატეთ, - მეეტლესავით შეევაჭრა მაწანწალა.

- მკვდარი ვირის ყურები არ გინდა? პუშკინი მოგცემს. ნახვამდის, დეფექტურო!

ოსტაპმა კარზე დააკაკუნა. მას წინასწარ არც უფიქრია, თუ რა უნდა დაესახელებინა თავისი მოსვლის მიზეზად. ქალებთან ლაპარაკისას იგი უფრო წამიერ შთაგონებას ეყრდნობოდა.

- ოჰო? - იკითხეს კარს იქიდან.

- საქმე მაქვს, - მიუგო ოსტაპმა.

კარი გაიღო. ოსტაპი ოთახში შევიდა, რომელიც მხოლოდ კოდალასავით უჭკუო ქალს თუ შეეძლო მოეწყო. კედლებზე ღია ბარათები, თოჯინები და ტამბოვური გობელენები ეკიდა. ეს ჭრელი ფონი თვალებს ისე ჭრიდა, რომ დიასახლისის დანახვაც გაგიჭირდებოდთ. ელოჩკას ერნესტ პავლოვიჩის ტოლსტოვკიდან გადმოკეთებული ხალათი ეცვა, რომელიც რაღაც უცნობი ბეწვეულით იყო მოარშიებული.

ოსტაპმა მყისვე მოისაზრა, ამ მაღალ საზოგადოებაში როგორ მოქცეულიყო. თვალები დახუჭა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

- რა მშვენიერი ბეწვია! - შესძახა მან.

- ხუმრობთ! - ნაზად მიუგო ელოჩკამ, - ეს მექსიკური მიწის კურდღელია.

- არ დაიჯეროთ! თქვენ მოგატყუეს და უკეთესი ბეწვი მოგცეს. ეს შანხაური ჯიქია, ნამდვილი ჯიქი. მე შეფერილობით ვიცნობ. შეხედეთ, ბეწვი მზეზე როგორ სივსივებს. ზურმუხტია, ნამდვილი ზურმუხტი.

ელოჩკამ მექსიკური მიწის კურდღელი მწვანე აკვარელით თვითონვე შეაფერადა და ამიტომ ამ ადრიანი სტუმრის სიტყვები ფრიად სასიამოვნოდ დაურჩა.

დიდმა კომბინატორმა დიასახლისს გონს მოსვლა აღარც აცადა და სხაპასხუპით მიაყარა, რაც კი ოდესმე ბეწვეულზე გაეგონა. შემდეგ აბრეშუმი ახსენეს, და ოსტაპი მომხიბლავ დიასახლისს შეჰპირდა, სამასიოდე აბრეშუმის პარკს გაჩუქებთ, უზბეკეთის ცაკის თავმჯდომარემ რომ ჩამომიტანაო.

- აი, ბიჭუნაც თქვენისთანა უნდა, - შენიშნა ელოჩკამ, როცა ნაცნობობის პირველმა წუთებმა გაიარა.

- თქვენ განა არ გაგაკვირვათ უცნობი მამაკაცის ადრიანმა ვიზიტმა?

- ჰო-ჰო!

- მე თქვენთან ერთი დელიკატური საქმე მაქვს.

- ხუმრობთ!

- თქვენ გუშინ აუქციონზე იყავით და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეთ.

- მხეცობთ!

- რა ბრძანებაა! როგორ გავბედავ, რომ ასეთ მომხიბლავ ქალს...

- გასაგიჟებელია!

საუბარი ასე წარიმართა, მაგრამ ხანდახან მშვენიერ ნაყოფს იძლეოდა. ოსტაპის კომპლიმენტები თანდათან უფერული და მოკლე ხდებოდა. მან შეამჩნია, რომ მეორე სკამი ოთახში არსად ჩანდა და კვალის ძებნას შეუდგა. თავისი შეკითხვები ფერადი აღმოსავლური ქათინაურებით მოქარგა და შეიტყო, რაც წინა დღეს ელოჩკას ცხოვრებაში მომხდარიყო.

- ესეც ახალი საქმე, - გაიფიქრა მან, - სკამები სწორედ ტარაკანებივით გამირბიან.

- ძვირფასო ქალიშვილო, - უთხრა ოსტაპმა მოულოდნელად, - მომყიდეთ ეს სკამი. ძალიან მომწონს. ასეთი მხატვრული ნივთის მიგნება მხოლოდ თქვენს ქალურ ალღოს შეეძლო. მომყიდეთ, ქალიშვილო, და მე თქვენ შვიდ მანეთს მოგცემთ.

- მხეცობთ, ბიჭუნი, - ეშმაკურად მიუგო ელოჩკამ.

- ჰო-ჰო! - აჯერებდა ოსტაპი.

„ამას სხვა გზით უნდა მოვუარო, - გადაწყვიტა მან შემდეგ, - გაცვლას შევთავაზებ“.

- იცით, ახლა ევროპაში და ფილადელფიის საუკეთესო ოჯახებში ძველებური მოდა განაახლეს, ჩაის საცრელიდან ასხამენ. მეტად ეფექტური და მეტისმეტად ელეგანტურია.

ელოჩკამ ყურები ცქვიტა.

- ჩემთან ვენიდან ერთი ნაცნობი დიპლომატი ჩამოვიდა და საჩუქრად ჩამომიტანა. სასიამოვნო რამ არის.

- ალბათ, სა-არა-კოა, - დაინტერესდა ელოჩკა.

- ოჰო! ჰო-ჰო! მოდი, გავცვალოთ. თქვენ სკამი მომეცით, მე საცრელს მოგართმევთ. გინდათ?

და ოსტაპმა პატარა, მოოქრული საცრელი ამოიღო.

საცრელში მზე კვერცხივით დაგორავდა. ჭერზე ათინათები ათამაშდა. ანაზდად ოთახის ბნელი კუთხეც კი განათდა. ნივთმა ელოჩკაზე წარუშლელი, სწორედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც კონსერვის ძველი ქილა მუმბო-იუმბოს კაციჭამია ტომის ზანგზე ახდენს. ოღონდ კაციჭამია ასეთ წუთებში მთელი ხმით ბღავის ხოლმე, ელოჩკამ კი ოდნავ გასაგონად ამოიკვნესა: - ჰო-ჰო!

ოსტაპმა მას გონს მოსვლაც აღარ აცადა, საცრელი მაგიდაზე დადო, სკამი დაითრია, მომხიბლავ ქალს ქმრის ახალი მისამართი ჰკითხა და მოხდენილად დაემშვიდობა.

23. ავესალომ ვლადიმიროვიჩ იზნურენკოვი

კონცესიონერებს ცხელი დღეები დაუდგათ. ოსტაპი იმ აზრისა იყო, სკამები უნდა ვჭედოთ, სანამ ცხელიაო. იპოლიტ მატვეევიჩმა ამნისტია მიიღო, მაგრამ ოსტაპი ხანდახან მაინც ჰკითხავდა ხოლმე: - არა, რა ეშმაკად გადაგეკიდეთ? მაცოდინა მაინც, რაში მჭირდებით? ადექი და სახლში, მმაჩში დაბრუნდი. იქ მიცვალებულები და ახალდაბადებულები მიგელიან. რას აწვალებ ძუძუმწოვრებს? დაბრუნდი.

მაგრამ სულის სიღრმეში დიდ კომბინატორს შეუყვარდა თავადაზნაურობის გაუბედურებული წინამძღოლი. ,,უიმისოდ ცხოვრება ასე სასაცილო არ იქნებოდა", - ფიქრობდა დიდი კომბინატორი და მხიარულად მისჩერებოდა ვორობიანინოვს, რომლის თავიც ვერცხლისფერ გაზონს გადაესერა.

სამუშაო გეგმაში იპოლიტ მატვეევიჩის ინიციატივას საგრძნობი ადგილი დაეთმო. როგორც კი წყნარი ივანოპულო გავიდოდა, ბენდერი კომპანიონს განძეულის პოვნის უმოკლეს გზებს ასწავლიდა: - თამამად იმოქმედეთ. ნურავის ნურაფერს ეკითხებით. მეტი ცინიზმი. ადამიანებს ეს მოსწონთ. მესამე პირი არაფერში გაურიოთ. ამქვეყნად სულელები აღარ არიან. თქვენთვის ბრილიანტებს სხვისი ჯიბიდან არავინ ამოიღებს. ოღონდ დანაშაულსაც ერიდეთ. სისხლის სამართლის კოდექსს ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ.

მაგრამ ძიება მაინცდამაინც ბრწყინვალედ როდი მიდიოდა. ხელს უშლიდათ სისხლის სამართლის კოდექსიცა და ისიც, რომ დედაქალაქის მცხოვრებლებს უამრავი ბურჟუაზიული ცრურწმენები ჰქონდათ. მაგალითად, ისინი ვერ იტანდნენ, თუ ღამე სტუმრად ფანჯრიდან ეწვეოდით. ამიტომ მეგობრებს თითქმის სრულიად ლეგალური მუშაობა უწევდათ.

იმ დღეს, როცა ოსტაპი ელოჩკა შჩუკინას ეწვია, სტუდენტ ივანოპულოს ოთახს ახალი ავეჯი შეემატა, - სწორედ ის სკამი, ჩაის საცრელზე რომ გაცვალეს. ეს ტროფეის ანგარიშით მესამე იყო. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ბრილიანტებზე ნადირობა კომპანიონებში მძლავრ ემოციებს იწვევდა, როცა სკამებს ისინი ფრჩხილებით გლეჯდნენ და ზამბარებს ღრღნიდნენ.

- თუნდ ამ სკამებშიც არაფერი იყოს, - ამბობდა ოსტაპი, - იანგარიშეთ, თითქოს სულ ცოტა ათი ათასი მაინც გვეშოვოს. ყოველი გაფატრული სკამი შანსებს გვიმატებს. მერე რა, რომ ქალბატონის სკამში არაფერი არ არის? ამისთვის ამ მშვენიერ ნივთს ხომ არ დავამტვრევთ? დაე, ავეჯი ივანოპულოს შევმატოთ. ჩვენთვისაც სასიამოვნოა.

იმავე დღეს კონცესიონერები ვარდისფერი სახლიდან გამოფრინდნენ და სხვადასხვა მხარეს გასწიეს. იპოლიტ მატვეევიჩს იმ უცნობის მონახვა დაევალა, გამუდმებით რომ ახველებდა და სადოვაია-სპასკიზე ცხოვრობდა. სახარჯოდ ოცდახუთი მანეთი მისცეს და უბრძანეს, არც ლუდხანებში შეხვიდე და არც უსკამოდ დაბრუნდეო. თავისთვის დიდმა კომბინატორმა ელოჩკას ქმარი დაიტოვა.

იპოლიტ მატვეევიჩმა ქალაქი №6 ავტობუსით გადასერა. ტყავგადაკრულ სკამზე ხტოდა და თავით ლამის ჭერს ეხლებოდა. თან იმას ფიქრობდა, იმ უცნობის გვარი როგორ გავიგო, მისვლისას რა მოვიმიზეზო, პირველად რა ვუთხრა და საქმეზე როგორღა გადავიდეო.

წითელ ჭიშკართან ჩამოხტა, ოსტაპის მოცემული მისამართით სახლი იპოვა და წინ და უკან სიარული დაიწყო. სახლში შესვლას ვერ ბედავდა. ეს ძველი, ბინძური

მოსკოვური სასტუმრო იყო, რომელიც საცხოვრებელ ამხანაგობად გადაეკეთებინათ. სახლს ჩამოღლეტილ ფასადზე ეტყობოდა, რომ მისი მკვიდრნი ბინის ქირის გადახდას სიკვდილს არჩევდნენ.

იპოლიტ მატვეევიჩი დიდხანს იდგა სადარბაზოს შესასვლელთან, რამდენჯერმე წაიკითხა და ზეპირად ისწავლა ხელნაწერი განცხადება, ღლეტია მობინადრეებს გასახლებით რომ ემუქრებოდა. ვერაფერი მოიფიქრა და მეორე სართულზე ავიდა. კორიდორს ცალკე ოთახები გასდევდა. №41 ოთახს იპოლიტ მატვეევიჩი ისე ნელა მიუახლოვდა, თითქოს საკლასო დაფასთან მიდის, რომელზეც უცნობი თეორემა უნდა დაამტკიცოსო. კარზე თავდაყირა ეკიდა ერთი კნოპით მიმაგრებული სავიზიტო ბარათი: იზნურენკოვი ავესალომ ვლადიმიროვიჩ

იპოლიტ მატვეევიჩს გონება სრულიად დაუბნელდა. დაკაკუნება დაავიწყდა, კარი გამოაღო, მთვარეულივით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შუა ოთახში გაჩერდა.

- მაპატიეთ, - მოგუდული ხმით წარმოთქვა მან, - ამხანაგი იზნურენკოვის ნახვა შეიძლება?

ავესალომ ვლადიმიროვიჩის ხმა არ ისმოდა. ვორობიანინოვმა თავი ასწია და ახლაღა დაინახა, რომ ოთახში არავინ იყო.

ოთახის გარეგნული შეხედულება არაფერს ამბობდა იმაზე, თუ როგორი მიდრეკილებები ჰქონდა მის პატრონს. აშკარა მხოლდ ის იყო, რომ იმ კაცს არც ცოლი ჰყავდა და არც მოსამსახურე. ფანჯრის რაფაზე ძეხვის ნაფცქვენები ეყარა. კედელთან მიდგმული ტახტი გაზეთებით იყო მოფენილი. პატარა თაროზე რამდენიმე დამტვერილი წიგნი ეგდო. კედლებიდან ვეება ხვადის, ძუ კატების და პატარა ფისუნიების ფერადი ფოტოსურათები იყურებოდა. შუა ოთახში, ტალახიანი, აყირავებული ფეხსაცმელების გვერდით კაკლის სკამი იდგა. ყოველ ნივთზე, და მათ შორის სტარგოროდის სასახლისეულ სკამზეც ჟოლოსფერი ლუქის ბეჭდები ეკიდა, მაგრამ იპოლიტ მატვეევიჩს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან მყისვე გადაივიწყა სისხლის სამართლის კოდექსიც, ოსტაპის შეგონებანიც და სკამს მივარდა.

უეცრად ტახტზე გაზეთები აშრიალდა. იპოლიტ მატვეევიჩი შეშინდა. გაზეთები ჩამოქრიალდა და იატაკზე დაცვივდა. მათ ქვეშიდან მშვიდად კატა გამოვიდა. მან გულგრილად შეხედა იპოლიტ მატვეევიჩს და პირის ბანას შეუდგა - თათი ყურზე, ლოყაზე და ულვაშებზე მოიცაცუნა.

- ფუჰ! - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა და სკამი კარისკენ წაათრია, მაგრამ, სწორედ ამ დროს კარი თვითონ გაიღო და ზღურბლზე ოთახის პატრონი გამოჩნდა. მას პალტო ეცვა, რომლის ქვევიდანაც ლილისფერი ქვედასაცვალი მოუჩანდა. შარვალი ხელით ეჭირა.

ავესალომ ვლადიმეროვიჩ იზნურენკოვზე თამამად შეიძლებოდა გეთქვათ, მეორე ამისთანა კაცი მთელ რესპუბლიკაში არ არისო. რესპუბლიკა, თავის მხრივ, მას დამსახურებისამებრ აფასებდა. რესპუბლიკისთვის მას დიდი სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ არავინ კი არ იცნობდა. თუმცა თავისი საქმის ისეთივე ოსტატი იყო, როგორიც შალიაპინი - სიმღერისა, გორკი - ლიტერატურისა, კაპაბლანკა - ჭადრაკისა, მელნიკოვი - ციგურებით სრიალისა და ყველაზე გრძელცხვირა,

უყავისფრესი ასირიელი კი, ტვერისა და კამერგერების ქუჩების კუთხეში საუკეთესო ადგილი რომ უჭირავს - ყვითელი კრემით ჩექმების გაკრიალებისა.

შალიაპინი მღეროდა, გორკი დიდ რომანებს წერდა, კაპაბლანკა კი ალიოხინთან მატჩისთვის ემზადებოდა, მელნიკოვი რეკორდებს ხსნიდა, ასირიელი თვალისმომჭრელად აკრიალებდა მოქალაქეთა შტიბლეტებს, ავესალომ იზნურენკოვი კი ენამახვილობდა.

უაზროდ, მხოლოდ ლამაზი სიტყვისთვის იგი არასოდეს იოხუნჯებდა, ოხუნჯობდა მხოლოდ იუმორისტული ჟურნალების დავალებით. იგი საკუთარი ზურგით ეზიდებოდა მეტად საპასუხისმგებლო კამპანიების სიმძიმეს, და მოსკოვის სატირული ჟურნალების უმრავლესობას ნახატებისა და ფელეტონებისთვის თემებით ამარაგებდა.

დიდი ადამიანები სიცოცხლეში ორჯერ ოხუნჯობენ. ეს ოხუნჯობანი მათ დიდებას ჰმატებენ და ისტორიაში უკვდავყოფენ. იზნურენკოვი კი ყოველთვიურად სამოცამდე ნაკვესს ამზადებდა. ამ ნაკვესებს ყველანი ღიმილით იმეორებდნენ. მათი ავტორი კი მაინც ყველასთვის უცნობი რჩებოდა. თუ იზნურენკოვის ნაკვესს ნახატს დაურთავდნენ, სახელი მხატვარს რჩებოდა. ნახატს მხატვრის გვარს წააწერდნენ ხოლმე. იზნურენკოვის გვარი კი არსად ჩანდა.

- მაგას ნურც მეტყვით! - ყვიროდა იზნურენკოვი, - ხელს როგორ მოვაწერ! რას მოვაწერო ხელი, ორ სტრიქონს?

და საზოგადოების მტრებთან ცხარე ბრძოლას განაგრძობდა. ებრძოდა უყაირათო კოოპერატორებს, მფლანგველებს, ჩემბერლენს, ბიუროკრატებს. სატირული მახვილით კოდავდა მლიქვნელებს, სახლმმართველებს, კერძო მეწარმეებს, გამგეებს, ხულიგნებს, იმ მოქალაქეებს, ფასებს რომ არ უკლებდნენ და სამეურნეო მუშაკებს, რომელთაც ეკონომიის რეჟიმი არ ეპრიანებოდათ.

ჟურნალების გამოსვლის შემდეგ ნაკვესებს ცირკის არენიდან წარმოთქვამდნენ ხოლმე, პირველწყაროს დაუსახელებლად. საღამოს გაზეთებში ბეჭდავდნენ, ხოლო „ავტორი-კუპლეტისტები“ მათ საზოგადოებას ესტრადებიდან სთავაზობდნენ.

იზნურენკოვი ოხუნჯობას იმ სფეროებშიც კი ახერხებდა, სადაც გასამასხრებელი, თითქოსდა, აღარაფერი იყო. თვით ისეთი უნაყოფო, გადამჭკნარი უდაბნოდანაც კი, როგორიც თვითღირებულების გაბერილი დანარიცხები იყო, იზნურენკოვმა ენამახვილობის ასამდე შედევრის გამოწურვა მოახერხა. ჰაინესთვის რომ შეგეთავაზებინათ, მცირე სიჩქარის ტვირთების ტარიფიკაციაზე რაიმე სასაცილო და ამასთან საზოგადოებისთვის სასარგებლო გვითხარიო, ალბათ, ხელებს უმწეოდ გაასავსავებდა. ამ თემას მარკ ტვენიც გაექცეოდა. იზნურენკოვს კი არასოდეს თავისი პოსტი არ მიუტოვებია.

იგი რედაქციების ოთახებში დარბოდა, ნამწვავების ურნებს ეჯახებოდა და ახველებდა. ათი წუთის შემდეგ თემა უკვე დამუშავებული ჰქონდა, ნახატი - მოფიქრებული და სათაური - ნაპოვნი.

უცნობი კაცის დანახვაზე, რომელსაც ლუქით დაბეჭდილი სკამი მიჰქონდა, ავესალომ ვლადიმიროვიჩმა მკერავთან ახლად დაუთოებული შარვალი აიქნია,

შეხტა და არეხრეხდა: - თქვენ ხომ არ გაგიჟდით? მე პროტესტს ვაცხადებ! უფლება არა გაქვთ... ბოლოს და ბოლოს, კანონი არსებობს! არა, რეგვენებისთვის კანონი არ წერია, მაგრამ თქვენ ყურმოკრული მაინც გექნებათ, რომ შემიძლია, ავეჯი კიდევ ორი კვირა გავაჩერო... პროკურორთან გიჩივლებთ! ბოლოს და ბოლოს, გადავიხდი!

იპოლიტ მატვეევიჩი ერთ ადგილზე გაქვავებულიყო. იზნურენკოვმა კი პალტო მოისროლა და კარს არ მოშორებია, ისე წამოიცვა სქელ ფეხებზე შარვალი. იზნურენკოვს სახე გამხდარი ჰქონდა, მაგრამ ტანზე მსუქნად იყო.

ვორობიანინოვს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, ახლავე ხელს მტაცებენ და მილიციაში წამათრევენო, ამიტომ მეტად გაოცდა, როცა ოთახის პატრონმა ტუალეტი მოათავა და მოულოდნელად... დამშვიდდა.

- გამიგეთ, - შემრიგებლური კილოთი წარმოთქვა მასპინძელმა, - მაგაზე ვერასგზით ვერ დაგეთანხმებით.

იზნურენკოვის ადგილზე ვერც იპოლიტ მატვეევიჩი დათანხმდებოდა, რომ მისი ოთახიდან დღისით-მზისით სკამები ეპარათ, მაგრამ მან არ იცოდა, რა ეთქვა და დუმდა.

- მე დამნაშავე არა ვარ. დამნაშავე თვითონ მუსიკალური საზოგადოებაა. კი, ვაღიარებ, პიანინოს ქირა რვა თვე არ გადამიხდია, მაგრამ არც პიანინო გამიყიდია, თუმცა ამის სრული შესაძლებლობა მქონდა. მე პატიოსნად მოვიქეცი, იმათ კი ითაღლითეს, ინსტრუმენტი წამართვეს, სასამართლოშიც მიჩივლეს და ავეჯი ამიწერეს. მაგრამ ჩემი ნივთების აღწერა არ შეიძლება. ეს ავეჯი საწარმოო იარაღია. სკამიც საწარმოო იარაღია.

იპოლიტ მატვეევიჩმა რაღაც იაზრა.

- სკამს ხელი გაუშვით! - წამოიჭყივლა უცებ ავესალომ ვლადიმიროვიჩმა, - გესმით? თქვენ გეუბნებიან, ბიუროკრატო!

იპოლიტ მატვეევიჩმა სკამი მორჩილად დადგა და წაილუღლუღა.

- მაპატიეთ, გაუგებრობა მოხდა. სამსახური, ხომ იცით...

იზნურენკოვი უცებ საშინლად გამხიარულდა. ოთახში სირბილი დაიწყო და ამღერდა: „დილით კი იგი ისევე იღიმებოდა თავის ფანჯარასთან, როგორც ყოველთვის“. არ იცოდა, ხელები სად წაეღო. ეს ხელები დაფრინავდა. ჰალსტუხის შესკვნას შეუდგა და შუაგზაზე მიატოვა. მერე გაზეთს სტაცა ხელი, არაფერი წაუკითხავს და იატაკზე დააგდო.

- მაშ, ავეჯს დღეს არ წაიღებთ? რა კარგია! აჰ! აჰ!

იპოლიტ მატვეევიჩმა ხელსაყრელი გარემოებით ისარგებლა და კარისკენ წავიდა.

- მოითმინეთ, - შეჰყვირა უცბად იზნურენკოვმა, - ამისთანა კატა როდესმე გინახავთ? მითხარით, ხომ მართლაც ძალიან უხბეწვიანია!

ფისუნია იპოლიტ მატვეევიჩის აკანკალებულ ხელებში მოექცა.

- მაღალი კლასია! - ბურტყუნებდა ავესალომ ვლადიმიროვიჩი და აღარ იცოდა, მოჭარბებული ენერგია რაში დაეხარჯა, - აჰ! აჰ!

იგი ფანჯარასთან მივარდა, ტაში შემოჰკრა და ორ ქალიშვილს, მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან რომ იცქირებოდნენ, რამდენჯერმე სწრაფად დაუკრა თავი, თან ფეხებს აბაკუნებდა და მინაზებულად ოხრავდა.

- გარეუბნის ქალიშვილები... ნაყოფი უკეთესი! მაღალი კლასი! აჰ! „დილით კი იგი ისევ იღიმებოდა თავის ფანჯარასთან, როგორც ყოველთვის“.

- მაშ, მე წავალ, მოქალაქე, - სულელურად თქვა კონცესიის დირექტორმა.

- მოიცათ, მოიცათ! - იზნურენკოვი უცბად აღელდა, - ერთი წუთით! აჰ! ფისუნია! ხომ მართლაც უჩვეულოდ ხშირბეწვიანია? მოითმინეთ... ახლავე... ახლავე...

მან მორცხვად ჯიბეები მოიქექა, გაიქცა, მობრუნდა, ამოიოხრა, ფანჯრიდან გადაიხედა, ისევ გაიქცა და კვლავ მობრუნდა.

- მაპატიეთ, სულო, - უთხრა მან ვორობიანინოვს, რომელიც მთელი ამ მანიპულაციების განმავლობაში ჯარისკაცივით გაჭიმული იდგა და ათშაურიანი გაუწოდა, - არა, არა, უარი არ მითხრათ, გეთაყვა! ყოველგვარი შრომა საფასურს ითხოვს.

- დიდად გმადლობთ, - უთხრა ვორობიანინოვმა და თავისი მოხერხებულობა თვითონვე გაუკვირდა.

- გმადლობთ, ძვირფასო, გმადლობთ, სულო...

დერეფანში მიმავალ იპოლიტ მატვეევიჩს იზნაურენკოვის ოთახიდან ხველება, წივილი, სიმღერა და ვნებიანი შეძახილები ესმოდა.

ქუჩაში გამოსვლისას კი ვორობიანინოვს ოსტაპი გაახსენდა და შიშისგან აკანკალდა.

ერნესტ პავლოვიჩ შჩუკინი ცარიელ ბინაში დააბიჯებდა, თავაზიანმა მეგობარმა მთელი ზაფხულით რომ დაუთმო და ვერ გადაეწყვიტა - აბაზანა მიეღო, თუ არ მიეღო.

სამოთახიანი ბინა ცხრასართულიანი სახლის სახურავქვეშ იყო. საწერი მაგიდისა და ვორობიანინოვისეულ სკამს გარდა, აქ მხოლოდ ტრიუმო იდგა. მზე სარკეში ირეკლებოდა და თვალებს სჭრიდა. ინჟინერმა საწერ მაგიდაზე წამოწოლა სცადა, მაგრამ იმ წამსვე წამოხტა. ყველაფერი გავარვარებული იყო.

„წავალ და ვიბანავებ“, - გადაწყვიტა შჩუკინმა.

ტანთ გაიხადა, გაგრილდა, სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა და სააბაზანოში შევიდა. იქ გრილოდა. ინჟინერი აბაზანაში ჩაძვრა, ცისფერი, მომინანქრებული ტოლჩით წყალი გადაისხა და თავი მაგრად გაისაპნა, მთლად საპნის ქაფით დაიფარა და თოვლის ბაბუას დაემსგავსა.

- კარგია! - თქვა ერნესტ პავლოვიჩმა.

ყველაფერი სიამოვნებდა. გაგრილდა. ცოლი აღარ ჰყავდა. წინ სრული თავისუფლება ელოდა. ინჟინერი ჩამოჯდა და ონკანი მოატრიალა, რომ საპონი ჩამოებანა. ონკანმა ჩაახველა და აუჩქარებლად რაღაც გაუგებარს მოჰყვა. ჭყალი კი არ წამოსულა. ერნესტ პავლოვიჩმა გასლიპული ნეკი ონკანის ხვრელში შეყო. წყლის წვრილი ზოლი ჩამოიღვარა და იმწამსვე ჩამოილია. ერნესტ პავლოვიჩი შეიჭმუხნა. სააბაზანოდან ფეხაკრეფით გამოვიდა და სამზარეულოს ონკანს მიაშურა, მაგრამ წყალი არც იქ მოდიოდა.

ერნესტ პავლოვიჩი ოთახში შეტანტალდა და სარკის წინ გაჩერდა. ქაფი თვალებს სწვავდა. ზურგი ექავებოდა. ქაფის დიდრონი წვეთები პარკეტზე ეცემოდა. ერნესტ პავლოვიჩმა ყური მიუგდო, სააბაზანოში წყალი ხომ არ წამოვიდაო, და მეეზოვის დაძახება გადაწყვიტა.

,,წყალი მაინც მომიტანოს, - ინჟინერმა თვალები ამოიწმინდა. ბრაზი თანდათან უფრო ეკიდებოდა, - ეშმაკმა იცის, რას ჰგავს ეს ამბავი''.

მან ფანჯრიდან გადაიხედა, ქვევით, ჭასავით ეზოში ბავშვები თამაშობდნენ.

- მეეზოვე! - დაიყვირა ერნესტ პავლოვიჩმა, - მეეზოვე!

პასუხი არ იყო.

მაშინ ერნესტ პავლოვიჩს გაახსენდა, რომ მეეზოვე სადარბაზო შესასვლელში, კიბის ქვეშ ცხოვრობდა. ცივ ფილაქანზე დააბიჯა, კარს ხელი წაავლო და ეზოში გადაიხედა. აქ, ზევით, მხოლოდ ერთი ბინა იყო და ერნესტ პავლოვიჩს არ ეშინოდა, ამ უცნაურ სამოსელში ვინმე დამინახავსო.

- მეეზოვე! - ჩასძახა მან ქვევით.

სიტყვამ დაიქუხა და ხმაურით დაგორდა საფეხურებზე.

- ჰო-ჰო! - უპასუხა კიბემ.

- მეეზოვე! მეეზოვე!

- ჰუმ-ჰუმ, ჰუმ-ჰუმ!

მოულოდნელად ინჟინერს ფეხი აუსხლტა და, წონასწორობა რომ არ დაეკარგა, კარს ხელი შეუშვა. ამერიკული გასაღების სპილენძის ენამ გაიწკლაპუნა და კარი დაიკეტა. კედელი შეზანზარდა. ერნესტ პავლოვიჩი ჯერ ვერც მიხვდა, რა უსაშველო ამბავი დაემართა და კარის სახელური მოსწია, მაგრამ კარი აღარ იღებოდა.

თავზარდაცემული ინჟინერი სახელურს კიდევ რამდენჯერმე დაეჯაჯგურა და ყური დაუგდო. მაგრამ მხოლოდ საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. ირგვლივ მწუხრის, საყდრული სიჩუმე სუფევდა. მაღალი ფანჯრის ფერად მინებში დღის სინათლე ჭიატობდა.

,,ეს რა დღეში ჩავვარდი! - გაიფიქრა ერნესტ პავლოვიჩმა, და კარს ხმამაღლა შეუკურთხა - არამზადაო.

ქვევით პეტარდებივით გასკდა და აქუხდა ადამიანების ხმები. შემდეგ ოთახის ძაღლი რადიორუპორივით აყეფდა.

კიბეზე საბავშვო ეტლს მოარახრახებდნენ. შიშით ატანილი ერნესტ პავლოვიჩი ბაქანზე აწრიალდა.

- ალბათ, შევიშლები.

მას ეჩვენებოდა, ეს, რაც თავზე დამატყდა, მეტად არაბუნებრივია იმისთვის, რომ ნამდვილი იყოსო. ისევ კარს მიუახლოვდა და ყური მიუგდო. რაღაც ახალი ხმები გაიგონა. ჯერ მოეჩვენა, ბინაში ვიღაც დადისო.

,,იქნებ, უკანა შესასვლელით ვინმე ამოვიდა?'' - გაიფიქრა მან, თუმცა კარგად იცოდა, რომ უკანა შესასვლელი დაკეტილი იყო და იქ ვერავინ ამოვიდოდა.

ერთფეროვანი ხმაური კი გრძელდებოდა. ინჟინერმა სუნთქვა შეიგუბა და მაშინღა გაარჩია, რომ ეს წყლის ხმაური იყო. წყალი, ალბათ ბინის ყველა ონკანიდან მოედინებოდა. ერნესტ პავლოვიჩი კინაღამ აღრიალდა.

მდგომარეობა მართლაც უიმედო იყო. მოსკოვში, ქალაქის ცენტრში მდებარე სახლის მეცხრე სართულის ბაქანზე მოწიფული, ულვაშიანი, უმაღლესი განათლების მქონე კაცი დედიშობილა იდგა და მის სხეულს მხოლოდ საპნის მოთახთახე ქაფი ფარავდა. კაცს წასასვლელი არსად ჰქონდა და სადმე ასე გამოჩენას ციხეში ჩაჯდომა ერჩივნა. მას მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა - სრული დაღუპვა. ქაფი უკვე გაცივებულიყო, ქეცს დამსგავსებოდა, და კანს სამართებლის ქვასავით უჭიმავდა.

ნახევარმა საათმა ისე გაიარა, ინჟინერი ცარციან კედლებს ეხახუნებოდა და კვნესოდა. რამდენჯერმე კარის შემტვრევაც კი სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იგი გაჭუჭყიანებული და საშიში შესახედავი იყო.

ბოლოს შჩუკინმა გადაწყვიტა, მოუვიდეს, რაც მოსასვლელია, ქვევით, მეეზოვესთან მაინც ჩავალო.

,,სხვა გამოსავალი არა და არ არის. ისევ მეეზოვესთან უნდა დავიმალო''.

ერნესტ პავლოვიჩმა სასირცხო ადგილას ხელი მიიფარა, როგორც მამაკაცებს წყალში საბანაოდ შესვლისას სჩვევიათ და, აქოშინებული, ფეხაკრეფით დაეშვა მოაჯირის გასწვრივ. მალე თავი მერვე და მეცხრე სართულებს შორის, ბაქანზე ამოყო.

მისი ფიგურა ფანჯრის მრავალფეროვანი რომბებისა და კვადრატების შუქმა ააჭრელა. იგი კოლომბინასა და ჯამბაზის საუბრის მოსასმენად ჩასაფრებულ არლეკინს დაემსგავსა. ის იყო, ისევ კიბეზე უნდა დაშვებულიყო, რომ ქვედა ბინის კარში გასაღებმა დაიქუხა და ბინიდან საბალეტო ჩემოდნით ხელში, ქალიშვილი გამოვიდა. ქალიშვილმა ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ერნესტ პავლოვიჩი უკვე ზედა ბაქანზე აფრინდა. გული ისე საშინლად უბაგუნებდა, რომ კინაღამ დაყრუვდა.

ინჟინერი გონს მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა და ახალი ოპერაციის ჩატარება მოინდომა. ამჯერად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ძირს შურდულივით დავეშვები, ყურადღებას არაფერს არ მივაქცევ და პირდაპირ აღთქმულ სამეეზოვეში შევიჭრებიო.

ასეც მოიქცა. ინჟინრებისა და ტექნიკოსების სექციის ბიუროს წევრი ოთხ-ოთხ საფეხურს უხმაუროდ ახტებოდა და ქვევით მიექანებოდა ღმუილით. მეექვსე სართულის ბაქანზე ერთი წამით შეჩერდა და ამან დაღუპა კიდეც. ქვევიდან ვიღაც ამოდიოდა.

- აუტანელი ბიჭი ხარ! - მოისმა ქალის ხმა, რომელსაც კიბის რეპროდუქტორი მრავალგზის აძლიერებდა, - რამდენჯერ უნდა გითხრა...

ამ წამიდან ერნესტ პავლოვიჩი თავის გონებას კი აღარ ემორჩილებოდა, არამედ ინსტინქტს. იგი ძაღლგამოკიდებული კატასავით აფრინადა მეცხრე სართულზე.

ბაქანს სველი ფეხების ნაკვალევი კიდევ ემჩნეოდა. ინჟინერი უხმოდ ატირდა, ხან თმას იგლეჯდა და კონველსიურად ცახცახებდა. მდუღარე ცრემლები საპნის ფენაში შეიჭრა და მასში ორი ტალღისებური ხნული გაავლო.

- ღმერთო! - შეჰღაღადა ინჟინერმა, - ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

სიცოცხლე ჩალადაც აღარ უღირდა, მაგრამ ამ დროს ქუჩიდან სატვირთო მანქანის ხმაური მოესმა. მაშასადამე, სადღაც სიცოცხლე ისევ დუღდა.

ერნესტ პავლოვიჩი კიდევ რამდენჯერმე შეეცადა, თავი დაერწმუნებინა, ქვევით ჩასვლა სჯობსო, მაგრამ ვეღარ შესძლო - ნერვებმა უღალატა. იგი აკლდამაში მოქცეულს დაემსგავსა.

- ერთი შეხედეთ, აქაურობა ღორებივით არ მოუსვრიათ! - გაისმა ქვედა სართულიდან ვიღაც დედაბრის ხმა.

ინჟინერმა კედელთან მიირბინა და რამდენჯერმე ურქინა. რა თქმა უნდა, ყველაფერზე ჭკვიანური ის იქნებოდა, რომ ეყვირა, სანამ ვინმე გამოჩნდებოდა და მერე მოსულს ტყვედ ჩაჰბარდებოდა, მაგრამ ერნესტ პავლოვიჩმა აზროვნების უნარი სრულიად დაკარგა. მძიმედ სუნთქავდა და ბაქანზე წრიალებდა.

გამოსავალი არ იყო.

24. ავტომობილისტების კლუბი

ხალხთა სახლის მეორე სართულზე, დიდი, ყოველდღიური გაზეთის „სტანოკის“ რედაქციაში სასწრაფოდ აცხობდნენ მასალებს, რათა ასაწყობად ჩაებარებინათ.

გადარჩეული მასალებიდან (აწყობილი რომ იყო, მაგრამ წინა ნომერში არ დაიბეჭდა) წერილებსა და სტატიებს არჩევდნენ და ანგარიშობდნენ, მათ სტრიქონებს რამდენი ადგილი მოუნდებოდა. იწყებოდა ყოველდღიური ვაჭრობა ადგილისთვის.

გაზეთი თავის ოთხ გვერდზე სულ ოთხი ათას ოთხას სტრიქონს იტევდა. აქ ყველაფერი უნდა მოთავსებულიყო: ტელეგრამებიც და სტატიებიც, ქრონიკაც, მუშკორთა წერილებიც და განცხადებებიც, ერთი გალექსილი და ორი პროზაული ფელეტონიც, კარიკატურებიც, ფოტოსურათებიც და სპეციალური განყოფილებებიც: თეატრი, სპორტი, ჭადრაკი, მოწინავე და საბჭოთა, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ცნობები, რომანი, რომელიც გაგრძელებებით იბეჭდებოდა,

მხატვრული ნარკვევი დედაქალაქის ცხოვრების თემებზე, სხვადასხვა წვრილმანი („მარცვლების“ სახელწოდებით), სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, რადიო და ათასგვარი შემთხვევითი მასალებიც. სულ განყოფილებებში ათი ათას სტრიქონამდე გროვდებოდა, ამიტომ გვერდებზე ადგილების განაწილებას მუდამ დრამატული სცენები ახლდა.

რედაქციის მდივანთან ყველაზე ადრე ჭადრაკის განყოფილების გამგემ, მაესტრო სუდეიკინმა მიირბინა. მდივანს მან თავაზიანი, მაგრამ წყენით აღსავსე კითხვით მიმართა: - როგორ, დღეს ჭადრაკი არ იქნება?

- არ ეტევა, - მიუგო მდივანმა, - სარდაფი დიდი გამოვიდა. სამასი სტრიქონი წაიღო.

- დღეს რომ შაბათია! მკითხველი საკვირაო განყოფილებას ელის. მე ამოცანების პასუხები მაქვს, მაქვს ნეუნივაკოს საუცხოო ეტიუდი, მე, ბოლოს და ბოლოს...

- კარგი, რამდენი გინდათ?

- არანაკლებ ასორმოცდაათისა.

- კეთილი, რაკი ამოცანების პასუხები გაქვთ, სამოც სტრიქონს მოგცემთ.

მაესტრო შეეცადა, კიდევ ოცდაათიოდე სტრიქონი გამოეძალა, თუნდაც ნეუნივაკოს ეტიუდისთვის (ტარტაკოვერ-ბოგოლიუბოვის შესანიშნავ ინდურ პარტიას ხომ უკვე მთელი თვე უჩერებდნენ), მაგრამ ვერაფერი გააწყო.

შემოვიდა რეპორტიორი პერსიცკი.

- პლენუმის შთაბეჭდილებები საჭიროა თუ არა? - ოდნავ გასაგონი ხმით იკითხა მან.

- რა თქმა უნდა! - შეჰყვირა მდივანმა, - გუშინწინ ხომ მოვილაპარაკეთ!

- პლენუმი მაქვს, - უფრო ხმადაბლა თქვა პერსიცკიმ, - მაქვს ორი ჩანახატიც, მაგრამ ადგილს არ მაძლევენ.

- არ გაძლევენ? ვინ? ვის ელაპარაკეთ? ეგენი ჭკუიდან ხომ არ შეშლილან?

მდივანი საჩხუბრად გაიქცა. მას პერსიცკი დაედევნა და რაღაცას ჩასჩურჩულებდა, იმას კი უკან განცხადებების განყოფილების თანამშრომელი გამოედევნა.

- ჩვენ სეკაროვის სითხე გვაქვს! - ნაღვლიანი ხმით მისძახოდა თანამშრომელი.

თანამშრომლის უკან მნე მიჩანჩალებდა და რედაქტორის სკამს მიათრევდა, რომელიც აუქციონზე ეყიდა.

- სითხე - სამშაბათს. დღეს ჩვენს დანართებს ვაქვეყნებთ.

- ბევრ რამესაც შეგძენთ ეგ თქვენი უფასო დანართები. სითხეში კი ფული უკვე მიღებული გვაქვს.

- კარგი, ღამის რედაქციაში გამოვარკვევთ. განცხადებები პაშას გადაეცით. ის ახლა ღამის რედაქციაში იქნება.

მდივანი მოწინავე წერილის წასაკითხად დაჯდა, მაგრამ ამ საინტერესო საქმეს მაშინვე მოსწყვიტეს. მასთან მხატვარი მივიდა.

- აბა, - შესძახა მდივანმა, - ძალიან კარგი! არის ერთი თემა კარიკატურისთვის, იმასთან დაკავშირებით, გერმანიიდან რომ ბოლო ტელეგრამები მოვიდა.

- მე ასე ვფიქრობ, - წაილაპარაკა მხატვარმა, - გამოვხატოთ ფოლადის მუზარადი და გერმანიის საერთო მდგომარეობა.

- კარგია, თქვენ რამე მაგგვარი მოაკვარახჭინეთ და მაჩვენეთ.

მხატვარი თავის განყოფილებაში წავიდა. ვატმანის ქაღალდის პატარა კვადრატი აიღო და ზედ გამხდარი ძაღლი დახატა. ძაღლს თავზე გერმანული შუბიანი მუზარადი დაახურა, შემდეგ წარწერები გაუკეთა. ცხოველს ტანზე ბეჭდვითი ასოებით სიტყვა „გერმანია“ დააწერა, დახვეულ კუდზე - „დანციგის კორიდორი“, ყბაზე - „ოცნებები რევანშზე“, საყელურზე - „დაუესის გეგმა“ და გადმოგდებულ ენაზე კი - „შტრეზემანი“. ძაღლის წინ პუანკარე დააყენა, რომელსაც ხელში ხორცის ნაჭერი ეჭირა. მხატვარმა წარწერის გაკეთება ხორცის ნაჭერზეც მოინდომა, მაგრამ ამაოდ - ნაჭერი პატარა იყო. გაზეთის კარიკატურისტზე ნაკლებ მოსაზრებული ადამიანი დაიბნეოდა, მაგრამ მხატვარმა მყისვე რაღაც მოიფიქრა. ხორცს რაღაც ბოთლის ყელზე მიბმული რეცეპტის მსგავსი მიახატა და მასზე პაწაწინა ასოებით წააწერა: „საფრანგეთის წინადადებიანი უშიშროების გარანტიების თაობაზე“. რათა პუანკარე რომელიმე სხვა სახელმწიფო მოღვაწეში არ აერიათ, მხატვარმა მას მუცელზე „პუანკარე“ მიაწერა, და ესკიზი მზად იყო.

სამხატვრო განყოფილების მაგიდებზე საზღვარგარეთული ჟურნალები, ვეებერთელა მაკრატელი. ტუში და თეთრი საღებავით სავსე ქილები ეწყო. იატაკზე კი ფოტოსურათის ნაგლეჯები ეყარა, რომლებზეც ვიღაცის მხარბეჭი, ვიღაც მეორის ფეხები და პეიზაჟის ნაწილები მოჩანდა.

ხუთიოდე მხატვარს უსაფრთხო სამართებლის, „ჟილეტის“ მარკის დანები მოემარჯვებინა და ფოტოსურათებს ფხეკდნენ, რათა მათთვის სიმკვეთრე მიენიჭებინათ. შემდეგ სურათებს ტუშით და თეთრი საღებავით ალამაზებდნენ და მეორე მხარეს ცინკოგრაფიისთვის საჭირო წარწერებს უკეთედბნენ: 3, 3/4 კვადრატი, 2 სვეტი, და ასე შემდეგ.

რედაქტორის ოთახში უცხოელების დელეგაცია იჯდა. რედაქციის მთარგმნელი ჯერ მოლაპარაკე უცხოელს აჩერდებოდა სახეში, მერე კი რედაქტორს მიუბრუნდებოდა და ეუბნებოდა: - ამხანაგ არნოს სურს შეიტყოს...

ლაპარაკი საბჭოთა გაზეთის სტრუქტურას ეხებოდა. სანამ მთარგმნელი რედაქტორს აუხსნიდა, თუ რის შეტყობა სურდა ამხანაგ არნოს, ეს უკანასკნელი (მას ხავერდის საველოსიპედო შარვალი ეცვა) და ყველა უცხოელი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა წითელ კალმისტარს, რომელსაც №85 კალამი ეკეთა და ოთახის კუთხეში მიეყუდებინათ. კალამი თითქმის ჭერს ეხებოდა, კალმისტარი კი საშუალო კაცის სიმსხო იქნებოდა. ამ კალმისტრით წერასაც კი შეძლებდით: კალმის წვერი ნამდვილი იყო, თუმცაღა სიდიდით მოზრდილ ლოქოს აღემატებოდა.

- ოჰო-ჰო! - იცინოდნენ უცხოელები, - კო-ლო-სალურია!

ეს კალმისტარი რედაქციას მუშკორების ყრილობამ მიართვა.

რედაქტორი ვორობიანინოვისეულ სკამზე იჯდა, იღიმებოდა, თავს ხან კალმისტრისკენ იქნევდა, ხან სტუმრებისკენ, და რაღაცას მხიარულად უხსნიდა.

სამდივნოში კი ისევ ყვიროდნენ. პერსიცკიმ სემაშკოს სტატია მოიტანა და მდივანმა ჭადრაკის განყოფილება სწრაფად ამოშალა მესამე სვეტის მაკეტიდან. მაესტრო სუდეიკინი უკვე აღარ იბრძოდა ნეუნივაკოს საუცხოო ეტიუდისთვის. იგი ამოცანების პასუხების გადარჩენასღა ლამობდა. იგი ახლა ძალების მეტი დაძაბვით იბრძოდა. ვიდრე სან-სებასტიანოს ტურნირში (სადაც ლასკერს ერკინებოდა) და მიაღწია, რომ „სასამართლო და ყოფა-ცხოვრების“ ადგილი შეუმცირეს და მას დაუთმეს.

სემაშკოს წერილი ასაწყობად გაგზავნეს. მდივანი ისევ მოწინავეს ჩაუჯდა. რატომღაც ასე გადაეწყვიტა, უსიკვდილოდ უნდა წავიკითხოო.

როცა იმ ადგილამდე ჩავიდა, სადაც ეწერა: „... მაგრამ უკანასკნელი პაქტის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ თუ ერთა ლიგამ იგი მიიღო, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ“... მდივანს „სასამართლო და ყოფა-ცხოვრების“ ბალნიანი თანამშრომელი მიუახლოვდა. მდივანმა კითხვა განაგრძო. თან „სასამართლო და ყოფა-ცხოვრების“ წარმომადგენელს განზრახ მზერას არიდებდა და მოწინავე წერილის კიდეებზე უადგილო შენიშვნებს აკეთებდა.

„სასამართლო და ყოფა-ცხოვრებამ“ მეორე მხრიდან მოუარა და განაწყენებული კილოთი წარმოთქვა: - პირდაპირ ვერ გამიგია.

- ჰო-ჰო, - წაიბურტყუნა მდივანმა. იგი დროის მოგებას ლამობდა, - რა მოხდა?

- ის მოხდა, რომ ოთხშაბათს „სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ არ ყოფილა. „სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ არც პარასკევს ყოფილა. ხუთშაბათს გადარჩეული მასალებიდან მხოლოდ ალიმენტის საქმე გაუშვით, შაბათს კი არ უშვებენ პროცესს, რომელზეც დიდი ხანია, ყველა გაზეთი წერს, და მარტო ჩვენ...

- ვინ წერს? - შეჰყვირა მდივანმა, - მე არ წამიკითხავს.

- ხვალ ყველანი დაბეჭდავენ, ჩვენ კი ახლაც დავიგვიანებთ.

- კარგი და - ჩუბაროვის საქმე რომ დაგევალათ, თქვენ რამე დაწერეთ? ერთი სტრიქონიც არ გვაღირსეთ. ვიცი, თქვენ ჩუბაროვზე საღამოს გაზეთებში წერდით.

- ეგ საიდან იცით?

- ვიცი, მითხრეს.

- რაკი ასეა, მეც ვიცი, ვინ გითხრათ. პერსიცკიმ გითხრათ. სწორედ, იმ პერსიცკიმ, რომელიც მთელი მოსკოვის თვალწინ რედაქციის აპარატს იმისთვის იყენებს, რომ მასალები ლენინგრადში გზავნოს.

- პაშა! - ხმადაბლა უთხრა მდივანმა, - ერთი პერსიცკის დამიძახეთ.

„სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ ინდიფერენტულ პოზაში იჯდა ფანჯრის რაფაზე. მის ზურგს უკან ბაღი მოჩანდა, სადაც ჩიტები ფრთხილებდნენ. საჩივარს დიდხანს არჩევდნენ. მდივანმა საქმე მარჯვედ მოაგვარა: ჭადრაკი ამოაგდო და მის ადგილას „სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ ჩასვა, პერსიცკიმ გაფრთხილება მიიღო.

დადგა ხუთი საათი - ყველაზე დაძაბული დრო რედაქციის მუშაობაში.

გახურებულ საბეჭდ მანქანებს ოდნავ შესამჩნევად ბოლი ასდიოდა. თანამშრომლები სწრაფად, უსიამო ხმებით კარნახობდნენ. უფროსი მემანქანე არამზადებს უყვიროდა, რომელნიც ცდილობდნენ, თავიანთი მასალები რიგგარეშე შეეპარებინათ.

დერეფანში რედაქციის პოეტი დადიოდა. იგი მბეჭდავ ქალს ეაშიკებოდა. ქალის ფრიად შეუხედავი თეძოები მასში პოეტურ გრძნობებს აღვიძებდა. პოეტს ქალი ფანჯარასთან მიჰყავდა და იქ სატრფიალო სიტყვებს ეუბნებოდა.

- მე დღეს ზედმეტი სამუშაო მაქვს, - ეუბნებოდა ქალი, - არ მცალია.

ეს პასუხი იმის მომასწავებელი იყო, რომ ქალს სხვა უყვარდა.

პოეტი ნაცნობებს ფეხებში ედებოდა და ყველას საკვირველად ერთფეროვანი თხოვნით მიმართავდა: - ტრამვის ფული, ათი კაპიკი მომეცით.

ამ თანხისთვის იგი მუშკორების განყოფილებაშიც შეეხეტა. მაგიდებს შორის იბორიალა, ხელებით კორესპონდენციების სქელი დასტები მოსინჯა და ისევ ფულის თხოვნა დაიწყო. მუშათა კორესპონდენციების წამკითხველები კი ძალიან მკაცრი ხალხია. ყოველი მათგანი იძულებულია, დღეში ასი წერილი მაინც წაიკითხოს, ხოლო ამ წერილების ავტორები ნაჯახს, საღებავ ფუნჯს ან ურიოს უფრო მარჯვედ ხმარობდნენ, ვიდრე კალმისტარს. წამკითხველები დუმდნენ.

პოეტმა ექსპედიციაც მოინახულა და ბოლოს კანტორაში შევიდა. მაგრამ აქ არამცთუ ათი კაპიკი ვერ იშოვა, კომკავშირელი ავდოტიევის თავდასხმაც განიცადა: პოეტს მოუწოდეს, ავტომობილისტების წრეში ჩაეწერეო. შეყვარებული პოეტის სული ბენზინის სურნელებით გაიჟღინთა. პოეტმა ორი ნაბიჯი გვერდზე გადადგა, მესამე სიჩქარე ჩართო და თვალს მიეფარა.

ავდოტიევს იხტიბარი არ გაუტეხავს. მას სწამდა, ავტომობილის იდეა გაიმარჯვებსო. სამდივნოში იგი ეშმაკურ პოლიტიკას დაადგა. ამან მდივანს ხელი შეუშალა, მოწინავე ბოლომდე ჩაეკითხა.

- ყური მიგდე, ალექსანდრ იოსიფოვიჩ! მოიცა, სერიოზული საქმე მაქვს, - ავდოტიევი მდივნის მაგიდაზე ჩამოჯდა, - ჩვენთან საავტომობილო კლუბი დაარსდა. ჰოდა, რედაქცია რვა თვის ვადით ხუთას მანეთს არ გვასესხებს?

- დარწმუნებული ბრძანდებოდე!

- რა? შენ გგონია, ტყუილად ვჩალიჩობ?

- კი არ მგონია, ვიცი. წრეში განა რამდენი წევრი გყავთ?

- ძალიან ბევრი.

წრე ჯერჯერობით მარტო ორგანიზატორისგან შედგებოდა, მაგრამ ავდოტიევმა ამაზე კრინტიც არ დაძრა.

- „სასაფლაოზე“ ხუთას მანეთად მანქანას ვიყიდით. ეგოროვმა კიდეც შეიგულა. ამბობს, რემონტი ხუთას მანეთზე მეტი არ დაგვიჯდებაო. ესე იგი - სულ ათასი მანეთი გვჭირდება. ჰოდა, მაინდა, ასე - ოცამდე კაცი შევაგროვო. თითო ხუთ თუმანს გადაიხდის. დიდებული იქნება. მანქანის მართვას ვისწავლით. ეგოროვი შეფად გვეყოლება. Hოდა, სამი თვის შემდეგ, ასე, აგვისტოში - მართვა ყველას გვეცოდინება, მანქანაც გვეყოლება, და მორიგეობით ყველა, საითაც მოისურვებს, იქით გაემგზავრება.

- კარგი და - მეორე ხუთასი მანეთი სადღაა?

- ურთიერთდამხმარე სალარო მოგვცემს. პროცენტით გადავუხდით. ჰა? თქვი, ჩაგწერო თუ არა?

მაგრამ მდივანი უკვე გამელოტებული იყო; ბევრს მუშაობდა; იგი ტყვედ ჰყავდა ოჯახსა და ბინას; უყვარდა სადილის შემდეგ წამოწოლა და ძილის წინ „პრავდის“ წაკითხვა. მან ცოტა იფიქრა და უარი უთხრა.

- ეჰ! - უთხრა ავდოტიევმა, - შე ბებერო!

ავდოტიევი ყოველ მაგიდასთან მიდიოდა და მხურვალე სიტყვას წარმოთქვამდა, ბებრებში - ასეთებად კი ავდოტიევი ყველა თანამშრომელს თვლიდა, ვისაც კი ოცი წლისთვის გადაებიჯებინა, - მისი სიტყვები საეჭვო ეფექტს იწვევდნენ. „ბებრები“ უგემურად ცრუობდნენ და ავდოტიევს უმტკიცებდნენ, ჩვენ უკვე ბავშვების მეგობრები ვართ და ამ კეთილი საქმისთვის - საწყალი ცეროდენების დასახმარებლად ყოველწლიურად, რეგულარულად ოც-ოც კაპიკს ვიხდითო. არა, კაცმა რომ თქვას, ახალ კლუბში კი ჩავეწერებოდით, მაგრამ...

- მაგრამ რა? - ყვიროდა ავდოტიევი, - აბა, ავტომობილი უკვე ნაყიდი გვქონდეს? მაშინ? აბა, წელიწადში ოც კაპიკად ლურჯი, ექვსცილინდრიანი „პაკარდი“ დაგიდოთ მაგიდაზე? ბენზინი და ზეთი კი მთავრობის ხარჯზე მოგართვათ? მაშინ ხომ ჩაეწერებოდით!

- წადი, წადი, - ეუბნებოდნენ ბებრები, - ბოლო მასალებს ვაგზავნით, ხელს ნუ გვიშლი!

ავტომობილის იდეამ მცხუნვარება დაკარგა და ახრჩოლდა, მაგრამ ახალი წამოწყების პიონერი ბოლოს მაინც მოინახა. პერსიცკიმ ხმაურით მიაგდო ტელეფონის ყურმილი, ავდოტიევს მოუსმინა და უთხრა: - მიდგომა არ გივარგა. ქაღალდი მომეცი. თავიდან დავიწყოთ.

პერსიცკიმ ავდოტიევთან ერთად მაგიდებს ხელმეორედ ჩამოუარა.

- შენ, ძველო ლეიბო, - უთხრა მან ცისფერთვალება ჭაბუკს, - ამ საქმისთვის ფულის გაღება არც კი დაგჭირდება. ცხრაას ოცდაშვიდი წლის ობლიგაციები ხომ გაქვს? რამდენი მანეთისა გაქვს? ორმოცდაათის? მით უკეთესი. ეგ ობლიგაციები ჩვენს კლუბში შემოიტანე, ობლიგაციებისგან კაპიტალი დაგროვდება. აგვისტოში ობლიგაციებს რეალიზაციას გავუკეთებთ და ავტომობილს ვიყიდით.

- ჩემმა ობლიგაციამ რომ მოიგოს? - შეეცადა ჭაბუკი თავის დაცვას.

- რამდენის მოგება გინდა?

- ორმოცდაათი ათასის.

- ავტომობილსაც სწორედ მათ ორმოცდაათი ათასით ვიყიდით. მე თუ მოვიგებ, მაშინაც მანქანას ვიყიდით. თუ ავდოტიევი მოიგებს, მაშინ, ერთი სიტყვით, ვისმა ობლიგაციამაც არ უნდა მოიგოს, ფული მანქანის საყიდლად დაიხარჯება. მიხვდი ახლა? ყეყეჩო! საკუთარი მანქანით საქართველოს სამხედრო გზაზე, მთებში გაისეირნებ, შტერო! უკან საკუთარი ავტომობილით „სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ დაგედევნება, მერე ქრონიკა, შემთხვევების განყოფილება, და ის ქალი, ხომ იცი, კინოზე რომ წერს... ა? გაუაშიკდები... ა?

ობლიგაციების არც ერთ მფლობელს სულის სიღრმეში მოგებისა არა სჯერა. სამაგიეროდ, იგი მეტად ეჭვიანია თავისი მეზობლების და ნაცნობების ობლიგაციებისადმი. გამოუთქმელად ეშინია, ისინი მოიგებენ, მე კი ბედი არასოდეს მწყალობს, ხახამშრალი დავრჩებიო. ამიტომ იმის იმედი, სხვების ობლიგაციები მოიგებენო, რედაქციის მუშაკებს ახალი კლუბის წევრობისკენ უბიძგებდა. მათ მხოლოდ ის აფიქრებდათ, ვაითუ ვერავინ ვერაფერი მოიგოსო, მაგრამ ეს ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოდ ეჩვენებოდათ, და ესეც არ იყოს, საავტომობილო კლუბი არაფერს კარგავდა: ობლიგაციებისგან შედგენილი კაპიტალით „სასაფლაოზე“ ერთი მანქანის ყიდვა გარანტირებული იყო.

ხუთ წუთში ოცი კაცი შეგროვდა. როცა საქმე დაგვირგვინებული იყო, მდივანიც მოვიდა. მას შეეტყო, საავტომობილო კლუბის წინ მომხიბლავი პერსპექტივები გადაიშალაო.

- რას იტყვით, ბიჭებო, მეც ხომ არ ჩავეწერო?

- რატომაც არა, ბებერო, ჩაეწერე, - მიუგო ავდოტიევმა, - მაგრამ ჩვენთან კი არა. ჩვენი კლუბი, სამწუხაროდ, უკვე დაკომპლექტებულია. ახალ წევრებს ათას ცხრაას ოცდაცხრა წლამდე ვეღარ მივიღებთ. შენ ისევ ბავშვების მეგობრებში ჩაეწერე. იაფიცაა და მოხერხებულიც. წელიწადში სულ ოც კაპიკს გადაიხდი, და გამგზავრებაც არსად არ დაგჭირდება.

მდივანი შეყოყმანდა. გაიხსენა, რომ, მართლაც, უკვე ხანში შედიოდა, ამოიხვნეშა და ისევ საინტერესო მოწინავეს დაუბრუნდა.

დერეფანში იგი ლამაზმა, ჩერქეზულსახიანმა მამაკაცმა გააჩერა: - მითხარით, ამხანაგო, - მიმართა მან, - სად არის გაზეთ „სტანოკის“ რედაქცია.

ეს დიდი კომბინატორი იყო.

25. საუბარი შიშველ ინჟინერთან

ოსტაპ ბენდერის რედაქციაში გამოჩენას წინ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები უძღოდა.

დიდმა კომბინატორმა ერნესტ პავლოვიჩს სახლში ვერ მიუსწრო (ბინა დაკეტილი იყო; ბინის პატრონი, ალბათ, სამსახურში წავიდა), იფიქრა, მოგვიანებით შემოვივლიო და ქალაქში გაისეირნა. მას მოქმედების წყურვილი აწვალებდა, - ქუჩებზე გადადიოდა, მოედნებზე ჩერდებოდა, მილიციელებს თვალს უპაჭუნებდა, მანდილოსნებს ავტობუსში ჩაჯდომაში შველოდა და, საერთოდ, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მთელი მოსკოვი - თავისი ძეგლებითა და ტრამვაებით, პატარა ეკლესიებით და მოსსოფლმრეწვის მუშაკებით, სადგურებითა და აფიშების ბოძებით - მასთან სადარბაზოდ მისულიყო. მასპინძელი სტუმართა შორის დააბიჯებდა, თავაზიანად ესაუბრებოდა და თბილ სიტყვას ყოველი მათგანისთვის პოულობდა. მაგრამ ამდენი სტუმრის მიღებამ დიდი კომბინატორი ცოტათი დაღალა; თანაც მეექვსე საათი დაიწყო და ინჟინერ შჩუკინთან წასვლის დრომ მოაწია.

ბედმა კი ასე ინება, რომ სანამ ერნესტ პავლოვიჩს მოინახულებდა, ოსტაპს ორიოდე საათის დაკარგვა და ერთ პატარა ოქმზე ხელის მოწერა მოუხდა.

თეატრალურ მოედანზე დიდი კომბინატორი ცხენმა გაიტანა. სრულიად მოულოდნელად თეთრი, მხდალი ცხოველი დაეძგერა და ძვალტყავა მკერდი დაჰკრა. ოფლდასხმული ბენდერი წაიქცა. ძალიან ცხელოდა. თეთრი ცხენი ხმამაღლა პატიებას ითხოვდა. ოსტაპი მკვირცხლად წამოხტა. მისი ძალუმი სხეული სრულიად უვნებელი გადარჩენილიყო. მაგრამ მით უფრო მეტი მიზეზი და საშუალება ჰქონდა დავიდარაბის ატეხვისთვის.

მოსკოვის სტუმართმოყვარე და თავაზიან მასპინძელს ვეღარ იცნობდით. იგი ტორტმანით მიუახლოვდა შეცბუნებულ ბებერ მეეტლეს და დაბამბულ ზურგში მუშტი ჩასცხო. მოხუცმა მოთმინებით გადაიტანა სასჯელი, ამ დროს მილიციელმაც მოირბინა.

- ახლავე ოქმი შეადგინეთ, - პათოსით შესძახა ოსტაპმა.

მის ხმაში საშინლად შეურაცხყოფილი ადამიანის ფოლადის ნოტები ჟღერდა. და აქ, მცირე თეატრის კედელთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგ დიდ რუს დრამატურგს ოსტროვსკის ძეგლი დაუდგეს, ოსტაპმა ხელი მოაწერა და ქოშინით მოვარდნილ პერსიცკის მცირე ინტერვიუ მისცა. პერსიცკი ხომ არც შავ სამუშაოს თაკილობდა. მან ბლოკნოტში დაზარალებულის სახელი და გვარი ჩაიწერა და გაიქცა.

ოსტაპი ქუჩას ამაყად გაუყვა. იგი თეთრი ცხენის თავდასხმას კიდევ განიცდიდა და ნანობდა, მეეტლეს რატომ კისერშიც არ ვუთავაზეო. შჩუკინის სახლში შევიდა, ორ-ორ საფეხურზე აალაჯა და მეშვიდე სართულზე ავიდა. მოულოდნელად თავზე მძიმე წვეთი დაეცა. ოსტაპმა ზევით აიხედა და ზედა ბაქნიდან პატარა, ჭუჭყიანი ჩანჩქერი პირდაპირ თვალებში ეძგერა.

- ასეთ ხუმარას ცხვირ-პირის დამტვრევა მოუხდება, - გაიფიქრა ოსტაპმა და ზევით აიჭრა. შჩუკინის ბინის კართან, ზურგით ოსტაპისკენ, ტიტველი, თეთრი ლაქებით დაფარული კაცი იჯდა. იგი პირდაპირ კაფელის იატაკზე დამჯდარიყო, ხელები თავზე წაევლო და ქანქარასავით ირხეოდა. ტიტველი კაცის ირგვლივ წყლის გუბე იდგა, წყალი კარის ღრიჭოდან გამოსულიყო.

- ო-ო-ო, - კვნესოდა ტიტველი-, ო-ო-ო...

- მითხარით, წყალს აქ თქვენ ასხამთ? - დაეძგერა ოსტაპი ტიტველს, - კარგი საბანაო ადგილი კი მოგინახავთ. რა, ჭკუიდან შეიშალეთ?

შიშველმა ოსტაპს შეხედა და ამოისლუკუნა.

- მისმინეთ, მოქალაქევ, ტირილს ის აჯობებდა, რომ აბანოში წასულიყავით. დაიხედეთ, რას დამსგავსებიხართ. ვიღაც პიკადორი მეგონეთ.

- გასაღები, - ჩაიბღუილა ინჟინერმა.

- რომელი გასაღები?

- ბბ-ინის.

- ფული რომ აწყვია?

შიშველი კაცი საოცარი სისწრაფით სლუკუნებდა.

ოსტაპი ხომ არასოდეს არ იბნეოდა. იგი ახლაც ნელ-ნელა ყველაფერს ხვდებოდა. და ბოლოს, ყველაფერი რომ მოისაზრა, ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ კინაღამ მოაჯირიდან გადავარდა. ვერასგზით სიცილს ვეღარ იკავებდა.

- მაშ, ბინაში შესვლა ვეღარ მოგიხერხებიათ? მერედა - ამაზე ადვილი რა არის?!

რომ არ გასვრილიყო, ოსტაპმა შიშველს გვერდი ფრთხილად აუარა, კარს მიუახლოვდა, ამერიკული კლიტის ნახვრეტში ცერათითის დიდი, ჩაყვითლებული ფრჩხილი შეყო და ფრთხილი მოძრაობით ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ, მერე ზევიდან ქვევით გადაატრიალ-გადმოატრიალა.

კარი უხმაუროდ გაიღო და შიშველი კაცი აღტაცებული ბღავილით შევარდა დატბორილ ბინაში.

ბინაში ონკანები ხმაურობდა. სასადილო ოთახში მორევი წარმოქმნილიყო. საძილე ოთახში წყალი მშვიდ, აუმღვრეველ გუბეს წააგავდა და მასში საღამური ფლოსტები გედებივით ნელა ცურავდა. კუთხეში თევზების ძილმორეული გუნდივით მოგროვილიყო პაპიროსის ნამწვავები.

ვორობიანინოვისეული სკამი სასადილოში იდგა, სადაც წყალი მეტად ჩქარა მოძრაობდა. სკამის ოთხივე ფეხს ქაფის თეთრი რგოლები მოსდებოდა. სკამი ოდნავ ხტოდა და იფიქრებდით, უნდა, თავის მდევარს გაექცესო. ოსტაპი მასზე დაჯდა და ფეხები ასწია. ერნესტ პავლოვიჩი უკვე გონს მოსულიყო. დარბოდა, ,,პარდონ, პარდონო‘‘, იძახდა და ონკანებს კეტავდა. მერე დაიბანა და ოსტაპს მუხლებამდე აკეცილ სველ შარვალში, წელამდე ტიტველი წარუდგა.

- თქვენ გადამარჩინეთ! - აღტყინებით ყვიროდა იგი, - მაპატიეთ, ხელს ვერ გამოგიწვდით, მთლად სველი ვარ. იცით, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე.

- ბევრი აღარც არაფერი გაკლდათ.

- საშინელ მდგომარეობაში ვიყავი.

ერნესტ პავლოვიჩმა საშინელი შემთხვევა ხელმეორედ განიცადა, ხან წარბებს შეიკრავდა, ხან ნერვიულად იცინოდა, და დიდ კომბინატორს გადატანილი უბედურება დაწვრილებით უამბო.

- თქვენ რომ არა, დავიღუპებოდი, - ასე დაამთავრა ინჟინერმა.

- ჰო, - უთხრა ოსტაპმა, - ასეთი რამ ერთხელ მეც შემემთხვა. ცოტა უარესიც.

ინჟინერს ახლა იმდენად აინტერესებდა ყველაფერი, რაც ასეთ შემთხვევებს ეხებოდა, რომ ვედრო მიაგდო, რომელშიც წყალს აგროვებდა და ყურადღებით მოუსმინა.

- სწორედ ასე, როგორც თქვენ დაგემართათ, - დაიწყო ბენდერმა, - ოღონდ ეს ზამთარში მოხდა, და მოსკოვში კი არა, არამედ მირგოროდში, მხიარულ ცხრამეტ წელს, მახნოსა და ტიუტიუნიკის დროს. ერთ ოჯახში ვცხოვრობდი, - პირწავარდნილი ხოხოლები, ტიპური კერძო მესაკუთრენი იყვნენ. ერთსართულიანი სახლი და უამრავი ბარგი-ბარხანა ჰქონდათ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კანალიზაცია და სხვა ასეთები მირგოროდში არ არის, მარტო ორმოებია. ჰოდა, ერთხელ ღამით გარეთ საცვლებისამარა გამოვხტი, თოვდა, მაგრამ გაციების არ მეშინოდა - ჩემს საქმეს ხომ ერთ წუთში მოვილევდი. გამოვხტი და ანგარიშმიუცემლად კარგი გამოვიხურე. ყინვა ოც გრადუსამდე იქნებოდა. ვაკაკუნებ - აღარ მიღებენ. ერთ ადგილზე გაჩერებაც არ შეიძლება - გაიყინები. დავაკაკუნებ და გავიქცევ-გამოვიქცევი, დავაკაკუნებ და გავიქცევ-გამოვიქცევი. გაღებით კი აღარ მიღებენ. და რაც მთავარია, სახლში არც ერთ ეშმაკისფეხს არ სძინავს. მაშ! კუნაპეტი ღამეა, ძაღლები ყმუიან. სადღაც ისვრიან კიდეც. მე კი თოვლში საზაფხულო ნიფხვისამარა დავრბივარ. მთელი საათის განმავლობაში ვაკაკუნე. კინაღამ სული გამძვრა. და რა გგონიათ, კარს რატომ არ მიღებდნენ? ეგონათ, გასაჩხრეკად მოვიდნენო და ქონებას მალავდნენ, „კერენსკებს“ ბალიშებში აკერებდნენ. დილას კინაღამ ყველანი ამოვხოცე.

ინჟინერმა ოსტაპის განცდები შესანიშნავად გაიგო.

- დიახ, - უთხრა მერე ოსტაპმა, - მაშ ინჟინერი შჩუკინი თქვენ ბრძანდებით?

- დიახ! ოღონდ, გეთაყვა, ნურავის ნურაფერს ეტყვით, უხერხულია.

- ოჰ, თქვენი ნება იყოს. ანტრ-ნუ, ტეტ-ა-ტეტ. დარჩეს ოთხ თვალს შუა, როგორც ფრანგები იტყვიან: მე კი თქვენთან საქმე მაქვს, ამხანაგო შჩუკინ.

- უდიდესი სიამოვნებით! მიმსახურეთ.

- გრან მერსი. უბრალო საქმეა. თქვენმა მეუღლემ მთხოვა, შეიარე და ესა და ეს სკამი წამოიღეო. უნდა, წყვილი ჰქონდეს, სამაგიეროდ, სავარძელს გამოგიგზავნით.

- დიდი სიამოვნებით! - შესძახა ერნესტ პავლოვიჩმა, - დიდად მოხარული ვარ, მაგრამ თქვენ რატომ უნდა შეწუხდეთ. მე თვითონ მივუტანდ. დღესვე მივუტანდ.

- არა, რატომ. ჩემთვის ეს უბრალო საქმეა. ახლოს ვცხოვრობ, სკამის მიტანა არ გამიჭირდება.

ინჟინერი აფუსფუსდა და დიდი კომბინატორი კარამდე გააცილა. ზღურბლის გადაბიჯება კი ვეღარ გაბედა, თუმცა გასაღები თავისდაუნებურად ჩაედო სველი შარვლის ჯიბეში.

ყოფილ სტუდენტს ივანოპულოს კიდევ ერთი სკამი აჩუქეს. სკამის გამოსაკრავი, მართალია, ოდნავ შელანძღული იყო, მაგრამ ნივთს წუნი მაინც არ დაედებოდა და თავის პირველ ძმას ორი წვეთი წყალივით ჰგავდა.

ოსტაპი ოდნავადაც არ შეუშფოთებია მარცხს, რიცხვით მეოთხე სკამმა რომ აწვნია. მან კარგად იცოდა, რომ ბედისწერა ერთი ანცი ვინმე იყო.

ოსტაპის დასკვნათა მწყობრ სისტემაში შავ ლაქასავით მხოლოდ ერთი სკამი მოჩანდა - სწორედ ის, ოქტომბრის სადგურის სატვირთო ეზოს სიღრმეში რომ მიიმალა. ეს სკამი უსიამო ფიქრებს და მძიმე ეჭვებს უღვიძებდა.

დიდი კომბინატორი რულეტის ამ მოთამაშის მდგომარეობაში იყო, რომელიც მხოლოდ ნომრებზე სვამს. ამ ჯიშის ხალხს მაინცდამაინც ის უნდა, რომ მონაგები ფული ჩასულს ერთბაშად ოცდათექვსმეტჯერ მაინც აღემატებოდეს. ბენდერი უარეს დღეშიც იყო: კონცესიონერების რულეტში ზერო თორმეტიდან მხოლოდ თერთმეტ ნომერს ეცემოდა. მეთორმეტე ნომერი კი სულაც დაეკარგათ, ეშმაკმა იცოდა, სად იყო და, იქნებშ, ზღაპრულ განძეულსაც თავის შიგნეულში სწორედ ის მალავდა.

ამ ნაღვლიანი ფიქრების ჯაჭვი მთავარი დირექტორის მოსვლამ გაწყვიტა. ოსტაპმა დირექტორს თვალი ერთხელ შეავლო და მყისვე უსიამო გრძნობები დაეუფლა.

- ოჰო! - უთხრა ტექნიკურმა დირექტორმა, - ვხედავ, წინ მიიწევთ, ოღონდ, ნუ მეხუმრებით, გეთაყვა. სკამი კარს უკან რატომ დატოვეთ? ჩემი გაპამპულება მოგინდათ?

- ამხანაგო ბენდერ, - წაილუღლუღა წინამძღოლმა.

- ოჰ, ნეტავ რატომ მაღიზიანებთ? ჩქარა, ჩქარა შემოიტანეთ. ხომ ხედავთ, ეს ახალი სკამი, რომელზეც მე ვზივარ, ძალიან ზრდის თქვენი შენაძენის ღირებულებას.

ოსტაპმა თავი გვერდზე დახარა და თვალები მოჭუტა.

- ბავშვის წვალება ნუ გიყვართ, - წაუბოხა მან ბოლოს, - სკამი რა იქნა? რატომ არ მოიტანეთ?

ვორობიანინოვის აბდაუბდა მოხსენება ადგილიდან არაერთხელ შეაწყვეტინეს შეძახილებით ირონიული აპლოდისმენტებით და მუხთალი შეკითხვებით. მოხსენების დასასრული აუდიტორიის ერთსულოვანმა სიცილმა დაფარა.

- მერედა - ჩემი ინსტრუქციები? - მრისხანედ ჰკითხა ოსტაპმა, - გადაივიწყეთ? რამდენჯეერ მითქვამს, ქურდობა ცოდვაა-მეთქი. თქვენ წვრილფეხა ქურდის ბუნება გაქვთ. ამას მე ჯერ კიდევ სტარგოროდში მივხვდი, თქვენ რომ ჩემი მეუღლის, მადამ გრიციცუევას გაქურდვა დააპირეთ. ერთადერთი, რისი მოხვეჭაც თქვენი ნიჭის პატრონს შეუძლია, ექვსი თვის პატიმრობაა, და ისიც მკაცრი იზოლაციის გარეშე. აზრის გიგანტისა და რუსული დემოკრატიის მამისთვის მასშტაბი თითქოს მცირეა. აი, შედეგიც. სკამი უკვე ხელში გეჭირათ და ხელიდან კი გაგისხლტათ. ეს კიდევ

არაფერი, თქვენ იოლი გზა დამიკარგეთ. აბა, იქ მეორეჯერაც მიბრძანდით, ის ავესალომი მაშინვე თავს წაგაცლით. ბედი გქონიათ და იდიოტურმა შემთხვევამ გიხსნათ, თორემ ახლა ცხრაკლიტულში იჯდებოდით, და ამაოდ დაელოდებოდით, ოსტაპ ბენდერი სასმელ-საჭმელს მომიტანსო. იქონიეთ მხედველობაში, მე თქვენ ციხეში საჭმელს არ მოგიტანთ. ჰეკუბა რას მიქვიან? ბოლს და ბოლოს, თქვენ არც დედა ხართ ჩემი, არც ცოლი და არც საყვარელი.

იპოლიტ მატვეევიჩი თვალნათლივ ხედავდა, ნამდვილი არარაობა ვარო და თავი ვეღარ აეწია.

- აი, რას გეტყვით, უძვირფასესო, ვხედავ, რომ ჩვენს ერთად მუშაობას არანაირი აზრი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, თქვენისთანა უკულტურო კომპანიონთან რაღაც ორმოცი პროცენტისთვის მუშაობა მე აბსურდად მიმაჩნია. გინდათ თუ არ გინდათ, მე ახალი პირობები უნდა შემოგთავაზოთ.

იპოლიტ მატვეევიჩი ახვნეშდა. აქამდე კი იმის ცდაში იყო, რომ სულაც არ ესუნთქა.

- დიახ, ჩემო ძველო მეგობარო, თქვენ ორგანიზაციული უსუსურობა და ყვითელი უსასოობა გჭირთ. ამის კვალობაზე თქვენი წილიც უნდა შემცირდეს. გეკითხებით გულახდილად - ოცი პროცენტი გაწყობთ?

იპოლიტ მატვეევიჩმა თავი გამწარებით გააქნია.

- ვითომ რატომ არ გინდათ? გეცოტავებათ?

- მმმ... მეცოტავება.

- ეს ხომ ოცდაათი ათასი მანეთია! მაშ, რამდენი გინდათ?

- ორმოცზე თანახმა ვარ.

- თქვენ მე დღისით-მზისით მძარცვავთ, - თქვა ოსტაპმა. იგი ახლა იმავე კილოთი ლაპარაკობდა, როგორითაც წინამძღოლი - ისტორიული გარიგებისას მეეზოვის სარდაფში, - ოცდაათი ათასი გეცოტავებათ? ბინის გასაღებიც ხომ არ გნებავთ?

- ბინის გასაღებს თქვენ უფრო ეპოტინებით, - წაილუღლუღა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- აიღეთ ოცი, სანამ გვიან არ არის, თორემ, შეიძლება, გადავიფიქრო კიდეც. ისარგებლეთ, რომ კარგ ხასიათზე ვარ.

ვორობიანინოვმა უკვე კარგა ხნის წინათ დაკარგა ის მედიდური გამომეტყველება, რომლითაც ბრილიანტების ძებნას იწყებდა.

ის ყინული, მეეზოვის სარდაფში რომ დაიძრა, აქუხდა და სანაპიროს გრანიტს ეხეთქებოდა. დიდი ხნის წინათ დაქუცმაცებულიყო და დამდნარიყო. ყინული უკვე აღარ არსებობდა. მის ადგილას ფართო მდინარე მოედინებოდა, რომელსაც იპოლიტ მატვეევიჩი გულგრილად მიჰქონდა, აქეთ-იქით ახეთქებდა და მორებს შუა აქანავებდა. სკამებს კი ხან დააჯახებდა, ხან კი თვალიდან დაუკარგავდა. იპოლიტ მატვეევიჩი გამოუთქმელ შიშს შეეპყრო. მას ყველაფერი აშინებდა. მდინარეს ნაგავიც მოჰქონდა, ნავთობის ნარჩენებიც, დანგრეული საქათმეებიც, დამხრჩვალი თევზიც და ვიღაცის საშინელი შლაპაც. იქნებ, ეს მამა თევდორეს შლაპა იყო, სწორედ ის

იხვნისკარტა კარტუზი, მღვდელს როსტოვში რომ ქარმა მოსტაცა? ვინ იცის! გზას კი დასასრული არ უჩანდა. ნაპირი აღარსად იყო. მდინარების წინააღმდეგ ცურვისთვის კი თავადაზნაურობის ყოფილ წინამძღოლს არც ძალა ჰქონდა და აღარც სურვილი.

მდინარეს ვორობიანინოვი უნაპირო, ფათერაკებიანი ზღვისკენ მიჰქონდა.

26. ორი ვიზიტი

აკვნიდან ამოყვანილი ძუძუმწოვარასი არ იყოს, ერთი წამითაც რომ არ ჩერდება, ცვილისფერ მუჭებს ხან შლის და ხან მოკუმშავს, პატარა ქუდით დამშვენებულ, ფორთოხლისოდენა თავს ატრიალებს და პირიდან ბუშტებს უშვებს, - ამ ძუძუმწოვარასი არ იყოს, ავესლომ იზნურენკოვიც მუდამ მოუსვენრად იყო. იგი მსუქან ფეხებს ათამაშებდა, პატარა, სუფთად გაპარსულ ნიკაპს ატრიალებდა, ოხრავდა, ბალნიან ხელებს კი ისე იქნევდა, თითქოს რეზინებზე ვარჯიშობსო.

იგი ძალიან მშფოთვარე ცხოვრებას ეწეოდა. ყველგან იყო და ყველას რაღაცას სთავაზობდა. ქუჩებში დამფრთხალი ქათამივით დარბოდა. ხმამაღლა, სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს ქვით ნაგები და თუნუქით დახურული შენობის სადაზღვევო ღირებულებას ანგარიშობსო. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ არ შეეძლო რომელიმე საქმეზე, საგანზე ან აზრზე ერთ წუთზე მეტი ხნით შეჩერებულიყო.

თუ მისი ნაკვესი არ მოეწონებოდათ და მყისვე სიცილი არ იფეთქებდა, იზნურენკოვი სხვებივით არ დაუწყებდა რედაქტორს იმის მტკიცებას, ნაკვესი კარგია და მისი გაგებისთვის ცოტაოდენი ფიქრია საჭიროო. იზნურენკოვი იმ წამსვე ახალ ნაკვესს შესთავაზებდა.

- რაც არ ვარგა, არ ვარგა, - იტყოდა იგი, - მორჩა.

მაღაზიებში ავესალომ ვლადიმიროვიჩი ერთ ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე. იგი გამალებული შეიჭრებოდა და მერე, გაოცებული ნოქრების თვალწინ, უცბადვე გაქრებოდა, შოკოლადის ყუთს ისე ექსპანსიურად იყიდდა, რომ მოლარე-ქალი მოელოდა, ეს კაცის ამ თუმანს მაინც დახარჯავსო. იზნურენკოვი კი სალაროსთან წაიცეკვებდა, თავის ჰალსტუხს ისე მოქაჩავდა, თითქოს ახრჩობენო, მინის დაფაზე სამმანეთიანს დააგდებდა, მადლიერად აკიკინდებოდა და გარბოდა.

ეს კაცი ორი საათით მაინც რომ ერთ ადგილზე გაჩერებულიყო, პირდაპირ მოულოდნელი ამბები დატრიალდებოდა.

იქნებ, იზნურენკოვი მაგიდასთან დამჯდარიყო და მშვენიერი მოთხრობა შეეთხზა, ან ურთიერთდამხმარე სალაროს სახელზე განცხადება დაეწერა, დაუბრუნებელი სესხი მომეცითო; იქნება, საცხოვრებელი ფართებით სარგებლობის კანონისთვის ახალი პუნქტი შეემატებინა. ან, იქნებ, ისეთი წიგნიც კი შეექმნა, რომლითაც მოქალაქენი მოხდენილად ჩაცმას და საზოგადოებაში თავის დაჭერას ისწავლიდნენ.

მაგრამ ამის გაკეთება მას არ შეეძლო. გიჟურად მომუშავე ფეხებს იგი განუწყვეტლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა. ფანქარი ისარივით მოჰქროდა ხელებიდან, აზრები კი დახტოდა.

იზნურენკოვი ოთახში დარბოდა და ავეჯზე ჩამოკონწიალებული ლუქები ისე ქანაობდა, თითქოს მოცეკვავე ბოშა-ქალის საყურეებიაო. სკამზე ღრეჭია გარეუბნელი გოგო ჩამომჯდარიყო.

- აჰ, აჰ! - ყვიროდა ავესალომ ვლადიმიროვიჩი, - დიდებულია! „ნარნარი ხმით და თვალთა ციმციმით დღეს დედოფალი მოალხენს ნადიმს“... აჰ! აჰ! მაღალი კლასია. თქვენ ნამდვილი დედოფალი მარგო ხართ.

გარეუბნელ დედოფალს ამისთანებისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ხათრით მაინც იცინოდა.

- აბა, შოკოლადი მიირთვით. ძალიან გთხოვთ! აჰ! აჰ! მომხიბლავია.

იზნურენკოვი დედოფალს ყოველ წამს ხელებს უკოცნიდა, მისი უბრალო ტუალეტით აღტაცებული იყო. კატას კალთაში სჩრიდა და მლიქვნელურად ეკითხებოდა: - თუთიყუშს ხომ ძალიან ჰგავს? ლომია, ლომი! ნამდვილი ლომია! მითხარით, ხომ მართლაც დიდებული ბეწვი აქვს? კუდი? კუდი? განა ეს მართლაც ვეება კუდი არ არის? მითხარით! აჰ!

მერე კატა კუთხისკენ გაფრინდა. ავესალომ ვლადიმიროვიჩმა კი ხელები მსუქან, რძისფერ მკერდზე მიიდო და ფანჯარაში ვიღაცას თავი მდაბლად დაუკრა. უეცრად მის უბედურ თავში რომელიღაც სარქველმა გაიტკაცუნა და იზნურენკოვმა თავისი სტუმრის ფიზიკური და სულიერი თვისებების გამო რამდენიმე დამცინავი ფრაზა ისროლა.

- მითხარით, ეს ქინძისთავი მართლა შუშისაა? აჰ! აჰ! როგორ ბრწყინავს. პატიოსან სიტყვას გეუბნებით, თქვენ მე დამაბრმავეთ. ერთი ესეც მიბრძანეთ, პარიზი მართლა დიდი ქალაქია? ეიფელის კოშკი იქ მართლა არის? აჰ! აჰ! რა ხელები გაქვთ! რა ცხვირი! აჰ!

ქალიშვილს იგი არ ეხვეოდა. მხოლოდ ქათინაურებს ეუბნებოდა და ამას კმარობდა. სამაგიეროდ - შეუჩერებლად ლაპარაკობდა. მისი მჭევრმეტყველების ნიაღვარი მხოლოდ ოსტაპის უეცარმა მოსვლამ შეწყვიტა.

დიდმა კომბინატორმა პირქუშად შეატრიალა ხელში რაღაც ქაღალდის ნაფლეთი და მკაცრად იკითხა: - იზნურენკოვი აქ ცხოვრობს? თქვენ ბრძანდებით?

ავესალომ ვლადიმიროვიჩი მოსულის გაქვავებულ სახეს შეშფოთებით მიაჩერდა. ოსტაპის თვალებში იგი იმის ამოკითხვას ცდილობდა, თუ, სახელდობრ, როგორ პრეტენზიებს წაუყენებდნენ. ხომ შეიძლებოდა, ტრამვაიში მინის გატეხვისთვის დაეჯარიმებინათ; ან, იქნებ, ბინის ქირის გადაუხდელობისთვის სახალხო სასამართლოში იწვევდნენ; ან, ისიც შეიძლებოდა, მოეთხოვათ, უსინათლოთა ჟურნალზე ხელი მოაწერეო.

- რას ჰგავს ეს, ამხანაგო! - მკაცრად უთხრა ბენდერმა, - სად გაგონილა, - სახაზინო კურიერი სახლიდან გაგიგდიათ.

- რომელი კურიერი? - შეძრწუნდა იზნურენკოვი.

- თვითონაც კარგად იცით. ახლავე ავეჯს წაიღებენ. ქალიშვილო, გთხოვთ, სკამი გაათავისუფლოთ, - ოსტაპის ხმას სიმკაცრე ემატებოდა.

ქალიშვილი, რომელსაც ეს-ეს იყო, ყველაზე ლირიკული პოეტების ლექსებს უკითხავდნენ, სკამიდან წამოდგა.Ò

- არა! იჯექით! - შეჰყვირა იზნურენკოვმა და სკამს მთელი ტანით გადაეფარა, - მაგათ უფლება არა აქვთ.

- მოქალაქევ, ნეტავ თქვენ უფლებებზე არ ლაპარაკობდეთ. შეგნებაც საჭიროა. ავეჯი გაათავისუფლეთ, გეუბნებით კანონის სახელით.

ამ სიტყვებით ოსტაპმა სკამს ხელი დასტაცა და ჰაერში შეანჯღრია.

- ავეჯი მიმაქვს! - მტკიცედ მოჭრა ბენდერმა.

- ვერა, ვერ წაიღებთ!

- როგორ ვერ წავიღებ, - გაიცინა ოსტაპმა და სკამი დერეფანში გაიტანა, - სწორედაც რომ მიმაქვს.

ავესალომმა დედოფალს ხელზე აკოცა, თავი დაღუნა და მკაცრ მოსამართლეს გამოეკიდა. ოსტაპი კი უკვე კიბეზე ჩადიოდა.

- მე თქვენ გეუბნებთ, რომ უფლება არა გაქვთ: ავეჯი, კანონით, შეიძლება ორ კვირას იდგეს, ჩემთან კი სულ სამი დღე იდგა. თქვენ რა იცით, იქნებ, მე ფული გადავიხადო.

იზნურენკოვი ოსტაპს ფუკტარივით დაბზუოდა. ასეთი ყოფით ქუჩაში გავიდნენ. ავესალომ ვლადიმიროვიჩმა სკამს კუთხემდე გასდია. აქ კი ბეღურები დაინახა, რომელნიც ნეხვის გროვაზე დახტოდნენ. თვალები გაუბრწყინდა, რაღაც წაიბურტყუნა, ტაში შემოჰკრა, გულიანად გაიცინა და წარმოთქვა: - მაღალი კლასია! აჰ! აჰ! აი, თემა როგორ შემოტრიალდა.

ახალი თემით გატაცებული იზნურენკოვი გატრიალდა და ხტუნვით გაიქცა სახლისკენ. სკამი მას სახლშიღა გაახსენდა, როცა დაინახა, რომ გარეუბნელი ქალიშვილი შუა ოთახში გაჩერებულიყო.

ოსტაპმა სკამის წასაღებად მეეტლე დაიქირავა.

- ისწავლეთ, - უთხრა მან იპოლიტ მატვეევიჩს, - სკამი შიშველი ხელებით წამოვიღე. მუქთად. გესმით?

როცა სკამი გამოფატრეს, იპოლიტ მატვეევიჩი დანაღვლიანდა.

- შანსები გვემეტება, - თქვა ოსტაპმა, - ფული კი ერთი კაპიკიც აღარ გვაქვს, ერთი მითხარით, თქვენს განსვენებულ სიდედრს ხუმრობა ხომ არ უყვარდა?

- რატომ მეკითხებით?

- იქნებ, ბრილიანტები სულაც მოგონილი ამბავია?

იპოლიტ მატვეევიჩმა ხელები ისე გაასავსავა, რომ პიჯაკი აებურძგნა.

- თუ აგრეა, საქმე მშვენივრად მიდის. იმედი ვიქონიოთ, რომ ივანოპულოს ქონებას დღეს მარტო ერთი სკამი შეემატა.

- ამხანაგო ბენდერ, თქვენზე დღეს გაზეთებში დაწერეს, - ლიქნით უთხრა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ოსტაპი მოიღუშა. მას არ უყვარდა, როცა პრესა მისი სახელის გარშემო აურზაურს ატეხავდა ხოლმე.

- გაზეთებში დამწერეს? რას ჩერჩეტობთ?

იპოლიტ მატვეევიჩმა „სტანოკი“ დიდი ამბით გაშალა.

- აი, აგერ, „რა მოხდა დღეს“ - აი, ამ განყოფილებაში.

ოსტაპი ოდნავ დამშვიდდა. მას მხოლოდ მამხილებელ განყოფილებებში - „ჩვენს წკიპურტებსა“ და „წუ დავინდობთ ბოროტგანმზრახველებსში“ მოხვედრისა ეშინოდა.

განყოფილებაში - „რა მოხდა დღეს“ - შავით თეთრზე ეწერა: ცხენმა გაიტანა.

გუშინ სვერდლოვის მოედანზე №8974 მეეტლის ცხენმა გაიტანა

მოქ. ო. ბენდერი. დაზარალებული მხოლოდ ოდნავ შეშინდა.

- ოდნავ მე კი არა, მეეტლე შეშინდა, - ბუზღუნით შენიშნა ო. ბენდერმა, - იდიოტები! წერენ, წერენ, და რას სწერენ თვითონაც არ იციან. აჰ! ეს „სტანოკია“? ძალიან სასიამოვნოა. იცით, ვორობიანინოვ, ავტორი ამ შენიშვნას იქნებ თქვენს სკამზე მჯდარი წერდა. თავშესაქცევი ამბავია.

დიდი კომბინატორი ჩაფიქრდა.

რედაქციაში მისვლის მიზეზი საძებარი აღარ იყო.

მდივანმა ოსტაპს უთხრა, რედაქციის ოთახები დერეფნის ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივაა ჩაყოლებულიო. ბენდერმა მიამიტი სახე მიიღო და ის ოთახები შემოიარა - მას სკამის ადგილსამყოფელის გაგება უნდოდა.

ჯერ ადგილკომში შეძვრა, სადაც ახალგაზრდა ავტომობილისტებს უკვე სხდომა გაემართათ, და რაკი მაშინვე დაინახა, სკამი აქ არ არისო, მეზობელ ოთახში შეეხეტა. კანტორაში ისე იქცეოდა, თითქოს რეზოლუციას უცდისო; მუშკორების განყოფილებაში იკითხა, ის მაკულატურა სად იყიდება, განცხადებებში რომ იყო გამოქვეყნებულიო; სამდივნოში ხელისმოწერის პირობებით დაინტერესდა, ტელეფონისტ ქალებს კი ჰკითხა, დოკუმენტების დაკარგვის თაობაზე განცხადებებს სად იღებენო.

ბოლოს, რედაქტორის ოთახს მიაღწია. რედაქტორი საკონცესიო სკამზე იჯდა და ტელეფონის ყურმილს ჩაჰყვიროდა.

ოსტაპს ადგილმდებარეობის შესასწავლად დრო სჭირდებოდა.

- ამხანაგო რედაქტორო, თქვენმა გაზეთმა ფორმალური ცილი დამწამა, - უთხრა მან რედაქტორს.

- რომელ ცილისწამებაზე ლაპარაკობთ?

„სტანოკის“ ეგზემპლარს ოსტაპი დიდხანს შლიდა. თან კარისკენ იხედებოდა და ამერიკულ კლიტეს ათვალიერებდა. თუ კარში მინას გამოჭრიდით, მერე ხელის შემოყოფა და კლიტის შიგნიდან გაღება სულ ადვილი საქმე იყო.

რედაქტორმა შენიშვნა ჩაიკითხა.

- ცილისწამებას სად ხედავთ, ამხანაგო?

- როგორ თუ სად ვხედავ. აი: „დაზარალებული მხოლოდ ოდნავ შეშინდაო“.

მაშ, ეს რა არის?

- ვერ გამიგია.

ოსტაპი ალერსიანი თვალებით ხან დირექტორს მისჩერებოდა და ხანაც სკამს.

- ვიღაც მეეტლის როგორ შემეშინდებოდა. თავი მომჭერით, გასწორება უნდა დამიბეჭდოთ.

- იცით, რა, მოქალაქევ, თქვენთვის თავი არავის მოუჭრია. ასეთი უმნიშვნელო საკითხზე კი გასწორებას ვერ დავბეჭდავთ, - უთხრა რედაქტორმა.

- თქვენი საქმე თქვენ იცით. მე, სულ ერთია, ამას ასე არ დავტოვებ, - მიუგო ოსტაპმა და კაბინეტიდან გამოვიდა.

რაც სჭირდებოდა, მან კარგად დაინახა.

27. კალათა

ეფემერული „მახვილი და სახნისის“ სტარგოროდის განყოფილება „უმალშემფუთველ“ ბიჭებთან ერთად „პურპროდუქტების“ ფარდულთან. ფქვილის გრძელ რიგში ჩამდგარიყო.

გამვლელები ჩერდებოდნენ.

- რაზე დგახართ? - კითხულობდნენ მოქალაქენი.

მოსაწყენ რიგებში, მაღაზიებთან რომ დგას, ყოველთვის მოინახება ერთი ადამიანი, რომელიც მით უფრო ბევრს ლაპარაკობს, რაც უფრო შორსაა მაღაზიის შესასვლელიდან. ამ რიგში ყველაზე შორს პოლესოვი იდგა.

- მოვესწარით, - ამბობდა ბრანდმაისტერი, - მალე კოპტონის ჭამას დავიწყებთ. ასეთი ამბავი ცხრამეტ წელშიც არ ყოფილა. ქალაქს ფქვილის მარაგი ოთხი დღე ეყოფა.

მოქალაქეები ულვაშებს იჭვნეულად იგრეხდნენ, პოლესოვს ეკამათებოდნენ და „სტარგოროდსკაია პრავდას“ იმოწმებდნენ.

შემდეგ, როცა პოლესოვს დაუმტკიცეს, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე ქალაქსაც ბევრი ფქვილი აქვს და პანიკის ატეხვა საჭირო არ არისო, მოქალაქენი სახლებში გაიქცნენ, რაც ფული ჰქონდათ, მოხვეტეს და ფქვილის რიგში ჩადგნენ.

,,უმალშემფუთველმა" ბიჭებმა ფარდული ფქვილისგან გაცალეს, მერე საბაყლოს შეესივნენ და შაქრის რიგში ჩადგნენ.

სტარგოროდი სამი დღის განმავლობაში სურსათისა და საქონლის კრიზისს განიცდიდა. კოოპერაციისა და სავაჭროების წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს, სანამ გამოგზავნილი სურსათი მოაწევდეს, საქონლის გაცემა შევზღუდოთ და ერთ სულს გირვანქა შაქრისა და ხუთი გირვანქა ფქვილის მეტს ნუ მივცემთო.

მეორე დღეს მოქალაქეებმა კონტრზომები მიიღეს.

შაქრის რიგში ყველაზე წინ ალხენი იდგა. მას უკან ცოლი - საშხენი, პაშა ემილევიჩი, ოთხივე იაკოვლევიჩი და თხუთმეტივე ტუალდენორის სამოსელში გამოწყობილი დედაბერი მიჰყვებოდა. ალხენმა „სტარგიკოს" მაღაზიას ნახევარი ფუთი შაქარი დასცინცლა და თავისი რაზმი მეორე კოოპერატივისკენ გააქანა. გზადაგზა პაშა ემილიევიჩს ლანძღავდა, - მას უკვე მოესწრო და თავისი ულუფა - ერთი გირვანქა შაქარი შეეხეთქა. შაქარს ხელისგულზე პატარა გროვებად იყრიდა და ვეება პირისკენ აგზავნიდა. ალხენი მთელი დღე გაწამაწიაში იყო. პროდუქტები რომ არ დაკარგულიყო, პაშა ემილიევიჩი რიგიდან გამოიყვანა, ნაყიდი საქონელი აჰკიდა და ბაზრის გზას გაუყენა. იქ ალხენი კერძო დუქნებში მორცხვად ჰყიდდა შაქარს, ჩაის, ფქვილსა და მარკიზეტს.

პოლესოვი რიგებში საქონლისთვის კი არა, უფრო პრინციპისთვის დგებოდა. მას ფული არ ჰქონდა და ყიდვით ვერაფერს იყიდდა. ერთი რიგიდან მეორეში გადადიოდა, მოქალაქეების ლაპარაკს ყურს უგდებდა, გესლიან შენიშვნებს აკეთებდა, წარბებს ღრმაზროვნად წკიპავდა და წინასწარმეტყველებდა. მის ნართაულ სიტყვებს ის მოჰყვა, რომ მთელ ქალაქში ხმა გავრცელდა, საიდანღაც, ურალიდან თუ რომელიღაც მეჩიდან, იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოდისო.

გუბერნატორმა დიადიევმა ერთ დღეში ათი ათასი მანეთი იშოვნა, ხოლო რამდენიღა იშოვნა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ, კისლიარსკიმ, ეს მისმა ცოლმაც არ იცოდა.

კისლიარსკის მოსვენება დაუკარგა იმის ფიქრებმა, რომ საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნოდა. ქალაქის ჭორებმა იგი საბოლოოდ დააფრთხო. კისლიარსკიმ უძილო ღამე გაათენა და დილით გადაწყვიტა, სასჯელს მხოლოდ ის შემიმსუბუქებს, თუ სადაც ჯერ არს, თვითონ გამოვცხადდები და ყველაფერს გულახდილად ვაღიარებო.

- ყური მიგდე, ჰენრიეტა, - უთხრა მან ცოლს, - ის დროა, მანუფაქტურა შენს ძმასთან გადაგვქონდეს.

- ვითომ მოვლენ? - იკითხა ჰენრიეტა კისლიარსკაიამ.

- შეიძლება მოვიდნენ. რაკი ჩვენში თავისუფალი ვაჭრობა არ არის, როდესმე ხომ უნდა დამიჭირონ?!

- მაშ, საცვლები მოგიმზადო? ოჰ, რა უბედური ვარ! სულ ციხის კართან უნდა ვიყო? რატომ საბჭოთა მოსამსახურე არ გახდები? აი, ჩემი ძმა პროფკავშირის წევრია, მაგრამ იოლას მიდის. არ კვდება. შენ კი მაინცდამაინც გინდა, წითელი ვაჭარი ბრძანდებოდე.

ჰენრიეტამ არ იცოდა, რომ ბედისწერამ მისი ქმარი საბირჟო კომიტეტის მწვერვალზე აისროლა. ამიტომ მშვიდად იყო.

- იქნებ, ამაღამ არც მოვიდე, - უთხრა კისლიარსკიმ, - შენ კი ხვალ მოდი და საჭმელი მომიტანე. ოღონდ, გეთაყვა, „ვარენიკებს“ ნუ მომიტან. ცივი „ვარენიკები“ რა საჭმელია?

- ადექი და თან პრიმუსი წაიღე.

- მერე, კამერაში პრიმუსს ვინ შეგატანინებს? ერთი, ჩემი კალათა მომეცი.

კისლიარსკის ციხისთვის სპეციალური კალათა მართლაც ჰქონდა. საგანგებოდ გაეკეთებინა. კალათა მართლაც უნივერსალური რამ იყო. თუ მთლიანად გაშლიდით, მისგან საწოლი კეთდებოდა, თუ ნახევრად - მაგიდა; გარდა ამისა, მას კარადის მაგივრობაც შეეძლო. შიგნით თაროები, კაუჭები და ყუთები ჰქონდა. ცოლმა უნივერსალურ კალათაში ცივი ვახშამი და სუფთა თეთრეული ჩააწყო.

- თუ გინდა, ნუ გამაცილებ, - უთხრა გამოცდილმა ქმარმა, - თუ რუბენსი ფულზე მოვიდეს, უთხარი, არა მაქვს-თქო. ნახვამდის, რუბენსი მოიცდის.

კისლიარსკიმ კალათა აიღო და დინჯად გავიდა ქუჩაში.

- საით, მოქალაქე კისლიარსკი? - მიაძახა პოლესოვმა.

იგი ტელეგრაფის ბოძთან იდგა და შეძახილებით ამხნევებდა კავშირგაბმულობის მუშაკს, რომელსაც ფეხებზე რკინის კლანჭები გაეკეთებინა და იზოლატორისკენ მიცოცავდა.

- უნდა ვაღიარო, - მიუგო კისლიარსკიმ.

- რა უნდა აღიაროთ?

- „მახვილი და სახნისი“...

ვიქტორ მიხაილოვიჩს ენა დაება. კისლიარსკიმ კი კვერცხისებური მუცელი წინ გამოიგდო, რომელზეც ფართო, სააგარაკო ქამარი ჰქონდა შემორტყმული და გუბერნიის პროკურატურისკენ აუჩქარებლად გასწია.

ვიქტორ მიხაილოვიჩმა ფრთები შეაფართქუნა და დიადიევთან გაფრინდა.

- კისლიარსკი პროვოკატორია, - შეჰყვირა ბრანდმაისტერმა, - ეს-ესაა, დასაბეზღებლად წავიდა. აი, ჯერ კიდევ მოჩანს.

- რაო? კალათაც თან მიაქვს? - გუბერნატორი შეძრწუნდა.

- მიაქვს, მაშ!

დიადიევმა ცოლს აკოცა, მიაძახა, რუბენსი თუ მოვიდეს, ფული არ მისცეო და ქუჩაში კისრისტეხით გავარდა. ვიქტორ მიხაილოვიჩი აწრიალდა, რამდენჯერმე კვერცხებზე მჯდარი დედალივით ამოიკაკანა და ვლადიასა და ნიკეშასკენ გაიქცა.

ამასობაში დინჯი ნაბიჯით მიმავალი მოქალაქე კისლიარსკი პროკურატურას მიუახლოვდა. გზად რუბენსი შემოეყარა და სალაპარაკოდ დიდხანს გაუჩერდა.

- ფული? - ჰკითხა რუბენსმა.

- ფულზე ჩემს ცოლს მიაკითხეთ.

- კალათა რატომღა მიგაქვთ? - იჭვნეულად ჰკითდა რუბენსმა.

- აბანოში მივდივარ.

- ჰოო, გაამოთ.

შემდეგ კისლიარსკი ყოფილ ,,ბონბონ დე ვარსოვის" საკონდიტროში შევიდა, ცხრაფურცელა ნამცხვარი შეჭამა და ერთი ჭიქა ყავა დააყოლა. ამასობაში წასვლის დროც დადგა. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე საგუბერნიო პროკურატურის მისაღებში შევიდა. იქ არავინ იყო. კისლიარსკი კარს მიუახლოვდა, რომელსაც ,,გუბერნიის პროკურორი" ეწერა და თავაზიანად დააკაკუნა.

- შეიძლება! - მოისმა კისლიარსკისთვის კარგად ნაცნობი ხმა.

კისლიარსკი შევიდა და განცვიფრებული შეჩერდა. მისი კვერცხისებური მუცელი მყისვე შეიკეცა და ფინიკივით დაიფშუტა. ის, რაც კისლიარსკიმ დაინახა, მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

პროკურორის საწერ მაგიდას უძლეველი ორგანიზაციის, ,,მახვილი და სახნისის" წევრები შემოხვეოდნენ. მტირალა სახეებსა და ჟესტებზე ეტყობოდათ, რომ დამალული აღარაფერი ჰქონდათ.

- აი, ისიც, - შესძახა დიადიევმა, - მთავარი ოქტიაბრისტი მოვიდა.

- ჯერ ერთი, - უთხრა კისლიარსკიმ, ციხის კალათა იატაკზე დადგა და მაგიდას მიუახლოვდა, - ჯერ ერთი, მე ოქტიაბრისტი არ გახლავართ, მეორე - მე საბჭოთა ხელისუფლებას მუდამ თანავუგრძნობდი, და მესამე, მთავარი მე კი არა ვარ, მთავარი ამხანაგი ჩარუშნიკოვია, და მის მისამართს მე ახლავე...

- წითელარმიელთა ქუჩა! - დაიყვირა დიადიევმა.

- ნომერი სამი! - ერთხმად მიაძახეს ნიკეშამ და ვლადიამ.

- ეზოში და მარცხნივ, - დაუმატა ვიქტორ მიხაილოვიჩმა, - შემიძლია, გაჩვენოთ.

ჩარუშნიკოვი ოც წუთში მოიყვანეს. მან, უპირველეს ყოვლისა, განაცხადა, არც ერთი აქ მყოფთაგანი არასოდეს თვალითაც არ მინახავსო. ამის შემდეგ კი, სულიც არ მოუთქვამს, ელენა სტანისლავოვნა დააბეზღა.

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ მშვიდად და თავისუფლად მხოლოდ საკანში ამოისუნთქა, როცა საცვლები გამოიცვალა, კალათა ლოგინად აქცია და ზედ გაიშხლართა.

კრიზისის დროს მადამ გრიცაცუევა-ბენდერმა თავის დუქნისთვის არანაკლებ ოთხი თვის სამყოფი სურსათისა და საქონლის მომარაგება მოასწრო. ცოტა რომ დამშვიდდა, ისევ თავისი ახალგაზრდა ქმარი ინატრა, რომელიც ახლა მცირე სახკომსაბჭოს სხდომებზე იტანჯებოდა. ქალი მარჩიელთან წავიდა, მაგრამ სულის სიმშვიდე ვერც იქ იპოვა.

ელენა სტანისლავოვნა სტარგოროდის მთელი არეოპაგის გაქრობით აღელვებული იყო და კარტს აღმაშფოთებელი გულგრილობით შლიდა. კარტმა ერთხელ ქვეყნის დასასრული იწინასწარმეტყველა, მეორეჯერ - ჯამაგირის მომატება, მესამეჯერ კი - ქმართან პაემანი, ოღონდ ეს პაემანი სახაზინო სახლში შედგებოდა და თანაც მას ბოროტგანმზრახველი - ყვავის მეფე დაესწრებოდა.

თვითონ მარჩიელობაც როგორღაც უცნაურად დამთავრდა. აგენტები - ყვავის მეფეები მოვიდნენ და წინასწარმეტყველი სახაზინო სახლში, პროკურორთან წაიყვანეს.

თუთიყუშის საზოგადოებაში დარჩენა შემაძრწუნებელი იყო. ქვრივმა ეს აღარ ისურვა და წასვლა დააპირა. უეცრად თუთიყუშმა გალიას ნისკარტი ჩამოჰკრა და, პირველად თავის სიცოცხლეში, ადამიანის ხმით ალაპარაკდა.

- მოვესწარით! - სარდონიული კილოთი თქვა მან, თავზე ფრთა წაიფარა და იღლიიდან ბეწვი გამოიძრო.

შეშინებული მადამ გრიცაცუევა-ბენდერი კარისკენ გაქანდა.

ქვრივს კვალდაკვალ მხურვალე, არეულ-დარეული სიტყვების კორიანტელი დაედევნა. ბებერი ფრინველი ძალიან გაეოცებინა იმას, რომ აგენტები მოვიდნენ და დიასახლისი სახაზინო სახლში წაიყვანეს, და რაც სიტყვები იცოდა, ერთად ამოყაჭა. მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი მის რეპერტუარში მაინც ვიქტორ მიხაილოვიჩ პოლესოვს ეჭირა.

- ჟამსა საარსებოს არარსებობისასა, - ანჩხლად წარმოთქვა თუთიყუშმა, ჯოხზე თავდაყირა დაეკიდა და კართან გაშეშებულ ქვრივს თვალი ჩაუკრა, თითქოს ეკითხებოდა, ეს ამბავი როგორ მოგწონთო.

- ვაი, დედა! - ამოიკვნესა გრიცაცუევამ.

- რომელ პოლკში მსახუროდით? - ბენდერის ხმით იკითხა თუთიყუშმა, - კრ-რ-რ-რ-რახ... ევროპა დაგვეხმარება.

ქვრივი გაიქცა. თუთიყუშმა გულისპირი გაისწორა და სწორედ ის სიტყვები წარმოთქვა, რომელთა გაგონებასაც მისგან ადამიანები ოცდაათი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ.

- თუთიყუში ჩერჩეტია!

ქვრივი კივილით მირბოდა ქუჩაში. სახლში კი მას მოუსვენარი ბერიკაცი - ვარფოლომეიჩი ელოდა.

- გეახელით თქვენი განცხადების თანახმად, - უთხრა ვარფოლომეიჩმა, - უკვე ორი საათია, გელით, ქალიშვილო.

გრიცაცუევამ მკერდზე წინათგრძნობის ფლოქვის სიმძიმე იგრძნო.

- ოჰ - წაიმღერა ქვრივმა, - სული დამელია.

- მგონი, თქვენ გაგექცათ მოქალაქე ბენდერი, ხომ? თქვენ ხომ განცხადება გამოაქვეყნეთ?

ქვრივი ფქვილის ტომრებზე დაეცა.

- ოჰ, რა სუსტი ორგანიზმი გქონიათ, - ტკბილად უთხრა ვარფოლომეიჩმა, - ოღონდ, მე მინდოდა გასამრჯელოს საკითხში სრული გარკვეულობა შეგვეტანა.

- ოჰ, ყველაფერი წაიღეთ! ახლა აღარაფერი აღარ მშურს! - მოთქვამდა მგრძნობიარე ქვრივი.

- მაშ, ასე. მე ვიცი, სად იმყოფება თქვენი შვილი, ო, ბენდერი. როგორი გასამრჯელოს იმედი შეიძლება ვიქონიო?

რაც გამაჩნია, ყველაფერი თქვენი იყოს! - გაიმეორა ქვრივმა.

- ოცი მანეთი, - ცივად მოუჭრა ვარფოლომეიჩმა.

ქვრივი ტომრებიდან წამოდგა. ერთიანად გასვრილი იყო. შეთეთრებულ წამწამს გამალებით აფახურებდა.

- რამდენი? - შეეკითხა იგი.

- თხუთმეტი მანეთი, - მყისვე დაუკლო ვარფოლომეიჩმა.

მან იგრძნო, ამ უბედურ ქალს სამ მანეთსაც ძლივს დავცინცლავო.

ქვრივმა ტომრებს გადაალაჯა და ბერიკაცს შეუტია. მშველელად ზეციურ ძალებს მოუხმო და მათი დახმარებით მტკიცე ფასს მიაღწია.

- კარგი, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ხუთ მანეთზე თანახმა ვარ, ოღონდ ფული წინასწარ მიბოძეთ. მე ასეთი წესი მაქვს.

ვარფოლომეიჩმა უბის წიგნაკიდან გაზეთის ორი ამონაჭერი ამოიღო, ქვრივს ოდნავ გაშორდა და ხმამაღლა უთხრა: - აბა, ინებეთ, და ყურადღებით მომისმინეთ. თქვენ, მაშასადამე, წერდით: „გევედრებით... სახლიდან გავიდა ამხანაგი ბენდერი... აცვია მწვანე კოსტიუმი, ყვითელი ფეხსაცმელები, ცისფერი ჟილეტი...“ ხომ სწორია? ეს, მაშასადამე, „სტარგოროდსკაია პრავდაში“ წერია, ახლა კი აი, რას წერენ თქვენს შვილზე დედაქალაქის გაზეთები. აი... „ცხენმა გაიტანა...“ ცოცხალია, ცოცხალი, გეუბნებით, ცოცხალია-მეთქი! მაშ, ფულს მიცვალებულში გამოგართმევთ? მაშ, ასე: „ცხენმა გაიტანა. გუშინ სვერდლოვის მოედანზე №8974 მეეტლის ცხენი დაეტაკა მოქალაქე ო. ბენდერს. დაზარალებული მხოლოდ ოდნავ შეშინდა...“ ჰოდა, ამ

დოკუმენტებს მე თქვენ გადმოგცემთ, თქვენ კი ფული წინდაწინ მიბოძეთ. მე ასეთი წესი მაქვს.

ქვრივმა ფული ტირილით მისცა. ქმარი, მისი საყვარელი, ყვითელფეხსაცმელებიანი ქმარი სადღაც, შორეული მოსკოვის მიწაზე ეგდო და მას ცეცხლისმფრქვეველი ცხენი მკერდზე ფლოქვებს სცემდა.

ვარფოლომეიჩის მგრძნობიარე სული გასამრჯელომ დაამშვიდა. მან ქვრივს აუხსნა, დაწვრილებით ცნობებს თქვენს ქმარზე გაზეთ „სტანოკის“ რედაქციაში მოგცემენ. იმათ ყველაფერი იციან, რაც ქვეყანაზე ხდებაო, და წავიდა.

თევდორეს წერილი

დაწერილი როსტოვში, „ირმის ნახტომის“ წყალსათბობთან,

საკუთარი მეუღლისადმი, სამაზრო ქალაქ №-ში

ჩემო ძვირფასო კატია. კიდევ ერთი საწყენი შემხვდა, მაგრამ ამას შემდეგ გიამბობ. ფული სწორედ დროზე მივიღე, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავ. როსტოვში ჩამოვედი თუ არა, იმ მისამართზე მივაკითხე. „ნოვოროსცემენტი“ ერთობ დიდი დაწესებულებაა და იქ ინჟინერ ბროუნსს არავინ იცნობდა. კინაღამ სულით დავეცი, მაგრამ ჭკუა მასწავლეს. მითხრეს, კადრების განყოფილებაში მიდითო. მეც მივედი. იქ კი მითხრეს, ჩვენთან ეგეთი კაცი მუშაობდა და პასუხსაგებ სამუშაოსაც ასრულებდა, მაგრამ შარშან ბაქოში წავიდა. აზნავთობში უსაფრთხოების ტექნიკის დარგში სამუშაოდ გადაიბირესო.

ასე რომ, ჩემო მტრედო, ჩემი მოგზაურობა არც ისე მოკლე გამოდის, როგორც თავიდან გვეგონა. შენ მწერ, ფული მითავდებაო. რას იზამ, კატერინა ალექსანდროვნა. საქმეს მალე დავამთავრებ. მოთმინებით აღიჭურვე, ილოცე და ჩემი სტუდენტობისდროინდელი დიაგონალის მუნდირი გაყიდე, იქნებ ბევრი სხვა ხარჯიც შეგხვდეს და ყველაფრისთვის მზად იყავი.

როსტოვში დიდი სიძვირეა. სასტუმროს ნომერში 2 მან. და 25 კაპ. გადამახდევინეს. ფული ბაქომდე მეყოფა. იქიდან კი, თუ დამჭირდა, გიდეპეშებ.

აქ ძალიან ცხელი ამინდებია. პალტო ხელით დამაქვს. ნომერში დატოვება მეშინია - ვაითუ მომპარონ. უკუღმართი ხალხია.

ეს ქალაქი როსტოვი არ მომწონს. მოსახლეობის რაოდენობითა და გეოგრაფიული მდებარეობით ხარკოვს დიდად ჩამორჩება, მაგრამ არა უშავს, დედილო, ღმერთი მოწყალეა, მოსკოვში ერთად წავალთ. ნახავ - ნამდვილი დასავლეთ-ევროპული ქალაქია, მერე კი - სამარაში, ჩვენი ქარხნის გვერდით ვიცხოვროთ.

ვორობიანინოვი უკან ხომ არ დაბრუნებულა? ნეტავ, სად დაძრწის? ევსტიგნეევი თუ ისევ შენთან სადილობს? ჩემს ანაფორას გაწმენდამ ხომ არ ავნო? ნაცნობები კარგად დაარწმუნე, დეიდას სასთუმალთან უზის-თქო. გულენკასაც ასე მისწერე.

ჰო! კინაღამ იმ საშინელი ამბის მოყოლა დამავიწყდა, დღეს რომ შემემთხვა.

ხიდზე ვიდექი, წყნარი დონის ხილვით ვტკბებოდი და ჩვენს მომავალ კეთილდღეობაზე ოცნებამ გამიტაცა. უცებ ქარი ამოვარდა და შენი ძმის, მეფუნთუშის კარტუზი ხელიდან გამომგლიჯა. თვალიც ვეღარ მოვკარი. ფულის დახარჯვა მომიწია: 2 მანეთად და 50 კაპიკად ინგლისური კეპი ვიყიდე. შენს ძმას, მეფუნთუშეს, ამაზე ნურაფერს ეტყვი. დაარწმუნე, მღვდელი ვორონეჟშია-თქო.

საცვლებმა კი გამაწვალა. საღამოობით ვრეცხავ და, თუ არ გაშრა, დილაობით სველს ვიცმევ-ხოლმე. ამ სიცხეებში ერთგვარად სასიამოვნოცაა.

გკოცნი და გეხვევი.

სამარადისოდ შენი ქმარი, ფედია.

28. დედალი და წყნარი ოკეანის ყვინჩილა

რეპორტიორი პერსიცკი გაფაციცებით ემზადებოდა დიდი მათემატიკოსის ისააკ ნიუტონის ორასი წლის იუბილესთვის. გახურებულ მუშაობაში რომ იყო, მასთან „მეცნიერება და ცხოვრების“ თანამშრომელი სტიოპა შევიდა, რომელსაც მსუქანი ქალი მოსდევდა.

- ყური მიგდეთ, პერსიცკი, - უთხრა სტიოპამ, - ამ მოქალაქეს თქვენთან საქმე აქვს. მობრძანდით, მოქალაქევ, ეს ამხანაგი ყველაფერს აგიხსნით.

სტიოპამ გაიცინა და გაიქცა.

- აბა? - ჰკითხა პერსიცკიმ, - რას იტყვით?

ეს ქალი მადამ გრიცაცუევა იყო. მან რეპორტიორს მიბნედილი მზერა მიაპყრო და ხმაამოუღებლად ქაღალდი გაუწოდა.

- ასე... - წაილაპარაკა პერსიცკიმ, - „... ცხენმა გაიტანა... მხოლოდ ოდნავ შეშინდა“... თქვენ რაღა გინდათ?

- მისამართი, - ვედრებით წაიჩურჩულა ქვრივმა, - მისამართის გაგება მინდა.

- ვისი მისამართის?

- ო. ბენდერის.

- ეგ მე საიდან უნდა ვიცოდე?

- იმ ამხანაგმა თქვენზე მითხრა, ყველაფერი იცისო.

- არაფერიც არ ვიცი. სამისამართო მაგიდას მიმართეთ.

- ამხანაგო, იქნებ, როგორმე გაიხსენოთ, ყვითელი ფეხსაცმელები ეცვა.

- ყვითელი ფეხსაცმელები მეც მაცვია. მოსკოვში ყვითელი ფეხსაცმელები კიდევ ოცი ათას კაცს აცვია. მათი მისამართების გაგებაც ხომ არ გნებავთ? სწორედ, ჩემს საქმეს მივატოვებ და მაგას მოვუნდები. ექვსი თვის შემდეგ ყველას მისამართები მექნება. არ მცალია, მოქალაქე.

მაგრამ ქვრივმა პერსიცკის დერეფანშიც გასდია. იგი ამ კაცისადმი დიდ მოწიწებას გრძნობდა. გახამებულ ქვედაკაბას მიაშრიალებდა და სათხოვარს უმეორებდა.

,,ოჰ, რა არამზადაა ის სტიოპა, - გაიფიქრა პერსიცკიმ, - მაგრამ არა უშავს, მუდმივი ძრავის გამომგონებელს რომ შევუჩენ, მაშინ იხტუნოს".

- მერედა, მე რის გაკეთება შემიძლია, - ანჩხლად ჰკითხა მან და ქვრივს წინ გაუჩერდა, - მოქალაქე ო. ბენდერის მისამართი საიდან უნდა ვიცოდე? მე რა, ის ცხენი ვარ, იმას რომ დაეჯახა? თუ ის მეეტლე ვარ, იმ ბენდერმა ჩემს თვალწინ ზურგში რომ ჩასცხო?

ქვრივმა გაურკვეველი გუგუნით უპასუხა. ამ გუგუნში მხოლოდ ორი რამის გარჩევა შეიძლებოდა - ,,ამხანაგო" და ,,მე თქვენ ძალიან".

ხალხთა სახლში მუშაობა უკვე დამთავრებული იყო. კანცელარიები და დერეფნები დაცარიელდა. მხოლოდ ეს იყო, საბეჭდი მანქანა სადღაც უკანასკნელ ფურცელს უტკაცუნებდა.

- პარდონ, მადამ, ხომ ხედავთ, არ მცალია, - პერსიცკიმ ეს უთხრა და საპირფარეშოში შევარდა. იქ ათიოდე წუთი ისეირნა და გამხიარულებული გამოვიდა

დერეფნების შესაყარში გრიცაცუევა ქვედაკაბას მოთმინებით აშრიალებდა. პერსიცკი რომ მიუახლოვდა, ისევ ალაპარაკდა.

რეპორტიორი გაცოფდა.

- იცით, რა, დეიდა, - უთხრა მან, - ჯანდაბას, გეტყვით, საცაა ის თქვენი ო. ბენდერი. პირდაპირ ამ დერეფანს გაჰყევით, მერე მარჯვნივ მოუხვიეთ და ისევ პირდაპირ წადით. იქ ჩერეპენნიკოვი იკითხეთ. იმას ნამდვილად ეცოდინება.

და თავის ეშმაკობით უაღრესად კმაყოფილი პერსიცკი ისე სწრაფად გაქრა, რომ გახამებულმა ქვრივმა დამატებითი ცნობების მიღება ვეღარ მოასწრო.

მადამ გრიცაცუევამ ქვედაკაბა გაისწორა და დერეფანს გაჰყვა.

ხალხთა სახლის დერეფნები ისე გრძელი და ვიწრო იყო, რომ გამვლელები უნებურად ფეხს აუჩქარებდნენ ხოლმე. გამვლელს ერთხელ შეხედავდით თუ არა, მაშინვე შეატყობდით, რამდენი გაეარა. თუ იგი ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, მაშასადამე, ლაშქრობა ახალი დაწყებული ჰქონდა. ისინი, ვისაც ორი-სამი დერეფანი ჰქონდა გავლილი, საშუალო ჩორთით მიდიოდნენ, ზოგჯერ კი, შეიძლებოდა, მთელი სისწრაფით მორბენალი ადამიანი დაგენახათ. ის მეხუთე დერეფნის სტადიაში იყო. ხოლო ის მოქალაქე, რომელმაც რვავე დერეფანი უკან მოიტოვა, სისწრაფეში ფრინველს, დოღის ცხენს და თვით მსოფლიო ჩემპიონ ნურმის გაუტოლდებოდა.

მადამ გრიცაცუევამ მარჯვნივ გაუხვია და გაიქცა. პარკეტი ჭრიალებდა.

მის შესახვედრად სწრაფად მოაბიჯებდა მუქთმიანი, ცისფერჟილეტიანი და ჟოლოსფერფეხსაცმლიანი მამაკაცი. ოსტაპს სახეზე ეტყობოდა, რომ ხალხთა სახლში

ასე გვიან მოსვლა კონცესიის საგანგებო საქმეებს გამოეწვია. სატრფოსთან შეხვედრა კი ტექნიკური ხელმძღვანელის გეგმებში სულაც არ შედიოდა.

ქვრივის დანახვაზე ბენდერი მიტრიალდა და უკან მოუხედავად, კედელ-კედელ წავიდა.

- ამხანაგო ბენდერ, - აღტაცებით შეჰყვირა ქვრივმა, - სადღა მიდიხართ?

დიდმა კომბინატორმა სვლას უმატა. ქვრივიც აჩქარდა.

- მომიცადეთ, სათქმელი მაქვს, - ეხვეწებოდა ქალი.

მაგრამ მისი სიტყვები ოსტაპის სმენამდე ვერ აღწევდა. ოსტაპის ყურებში ქარი მღეროდა და უსტვენდა. ბენდერი უკვე მეოთხე დერეფანში მირბოდა. მან შიდა კიბე აირბინა. თავის სატრფოს კი მხოლოდ ექოს უტოვებდა, რომელსაც კიბის თაღები კიდევ დიდხანს იმეორებდა.

- დიდი მადლობელი ვარ, - ბურტყუნებდა ოსტაპი, რომელი მეხუთე სართულზე შესასვენებლად გაჩერებულიყო, - ამას პაემნის დრო მოუნახავს, რაღა. ნეტავ ეს მხურვალე ქალბატონი აქ ვინ გამომიგზავნა? ის დროა, კონცესიის მოსკოვურ განყოფილებას ლიკვიდაციას ვუკეთებდე, თორემ, საცაა, მარტოხელა ჰუსარიც მომაკითხავს.

ამ მომენტში მადამ გრიცაცუევა ოსტაპს სამი სართულით, ათასამდე კარით და თორმეტიოდე დერეფნით იყო დაშორებული. მან ქვედაკაბის კალთით გაოფლილი სახე შეიწმინდა და ძებნას შეუდგა. ჯერ ის უნდოდა, ქმარი სასწრაფოდ ეპოვა და ყველაფერი გამოერკვია. მაგრამ, ამ დროს დერეფანში მკრთალი ნათურები აინთო. ყველა ნათურა, ყველა დერეფანი და ყველა კარი ერთმანეთს დაემსგავსა. ქვრივს შეეშინდა და გაქცევა მოუნდა.

ქვრივი დერეფნების რიცხვის გეომეტრიულ პროგრესიას ემორჩილებოდა და სიჩქარეს უფრო და უფრო უმატებდა. ნახევარი საათის შემდეგ მისი გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ქალის ვეება სხეულის ორივე მხარეს ქუხილით გარბოდნენ პრეზიდიუმების, სამდივნოების, ადგილკომების, ორგგანყოფილებათა და რედაქციების კარ-ფანჯრები. გზადაგზა ქვრივი თავისი გახევებული ქვედაკაბით ნამწვავების ურნებს აყირავებდა. ურნები ქვაბებივით რახუნობდნენ და ქვრივს უკან მისდევდნენ. დერეფნების კუთხეებში ქარიშხლები და მორევები ატორტმანდნენ. ღიად დარჩენილ ფანჯრებს რახარუხი გაუდიოდა. კედლებზე ტრაფარეტულად მოხატული საჩვენებელი თითები უბედურ მგზავრს მკერდზე ეტაკებოდნენ.

ბოლოს, გრიცაცუევა შიდა კიბის ბაქანზე მოხვდა. იქ ბნელოდა, მაგრამ ქვრივმა შიშს სძლია, ქვევით ჩაირბინა და შემინული კარი გამოსწია. კარი დაკეტილი იყო. ქვრივი უკანვე გაიქცა, მაგრამ ის კარიც, მან რომ ეს-ეს იყო, გაირბინა, უკვე ვიღაცის მზრუნველ ხელს ჩაეკეტა.

*

მოსკოვში უყვართ კარის ჩაკეტვა.

ათასობით სადარბაზო შესასვლელი შიგნიდან ფიცრებითაა აჭედილი და ასი ათასობით მოქალაქე თავის ბინებში უკანა შესასვლელით მიძვრება. დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა თვრამეტი წელი. უკვე ბუნდოვანი და გაუგებარი გახდა სიტყვები - „ბინის გატეხვა“, დაიშალა სახლების მცველთა რაზმეულები, მცხოვრებლები რომ უშიშროებისთვის ქმნიდნენ. თითქმის გადაწყვეტილია ქუჩაში მოძრაობის პრობლემა. აშენებენ უზარმაზარ ელექტროსადგურებს, ახდენენ უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენებს, მაგრამ ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელიც თავის სიცოცხლეს ჩაკეტილი კარების პრობლემის გადაწყვეტას მიუძღვნიდა.

ვინ არის ის, ვინც კინემატოგრაფების, თეატრებისა და ცირკების საიდუმლოს ამოხსნის?

ცირკში სამი ათასი კაცი ერთადერთი, ისიც მხოლოდ ნახევრად გაღებული კარიდან ათი წუთის განმავლობაში უნდა შევიდეს. დანარჩენი ათი კარი, ხალხმრავალი ბრბოების გასატარებლად სპეციალურად რომ გაუკეთებიათ, დაკეტილია. ვინ გვეტყვის, რატომაა ისინი დაკეტილი? იქნებ, ამ ოცი წლის წინათ ცირკის საჯინიბოდან გაწვრთნილი ჩოჩორი მოიპარეს და შეშინებული დირექცია მას აქეთ ყველა მოხერხებულ შესასვლელს და გამოსასვლელს ჰკეტავს. ან იქნებ, ცნობილი აკრობატი - ჰაერის მეფე აქ ოდესღაც ორპირქარზე გაცივდა, და ახლა რომ კარები ჩაუკეტავთ, ეს იმ სკანდალის გამოძახილია, მეფემ რომ ატეხა?

თეატრებიდან და კინოებიდან საზოგადოებას პატარ-პატარა ჯგუფებად უშვებენ, ვითომდა კარში არ გაიჭედონო. კარში კი არავინ არ გაიჭედება. საჭიროა მხოლოდ ყველა კარის გაღება, რომლებიც ამ დაწესებულებებს ასე უხვად აქვს. მაგრამ ადმინისტრაცია ამის ნაცვლად ძალას მიმართავს. კაპელდინერები ერთმანეთს ხელებს ჩასჭიდებენ, ცოცხალ ჯებირს ქმნიან და ამრიგად საზოგადოებას ტყვეობაში ნახევარ საათს, ზოგჯერ კი მეტ ხანსაც ამყოფებენ. კარი კი, ნანატრი კარი, ჯერ კიდევ პავლე პირველის დროს რომ დაიკეტა, ახლაც დაკეტილია.

მოსკოვის ნაკრების მარჯვე თამაშით აგზნებული ფეხბურთის თხუთმეტი ათასი მოყვარული ტრამვაისკენ ისეთი ვიწრო ხვრელით მიძვრება, რომ იმ ადგილზე ერთი მსუბუქად შეიარაღებული მეომარი ორმოცი ათას ბარბაროსს შეაჩერებდა, თუნდაც მომხდურებს ორი საალყო ზარბაზანი ჰქონოდათ.

სპორტული სტადიონი გადახურული არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, მას რამდენიმე ჭიშკარი აქვს. გაღებული კი მხოლოდ ყველაზე პატარა ჭიშკარია. თუ გამოსვლა გინდა, ეს ჭიშკარი უნდა შეამტვრიო. და მართლაც, მას ყოველი დიდი შეჯიბრის შემდეგ ამტვრევენ. მაგრამ ტრადიციების სიწმინდეზე მზრუნველნი ჭიშკარს ყოველთვის არემონტებენ და ისევ საიმედოდ კეტავენ.

თუ იმის შესაძლებლობა არ არის, რომ კარი ჩამოკიდონ (ესე იგი, საამისო ადგილი არ მოიძებნება), მაშინ ათასგვარი სახის მილულ კარს იყენებენ, მაგალითად: 1) ბარიერებს

2) გისოსებს

3) აყირავებულ სკამებს

4) ამკრძალავ წარწერებს

5) თოკებს

ბარიერები განსაკუთრებით დაწესებულებებში უყვართ.

ბარიერი თანამშრომლებთან მისასვლელ გზას გიკეტავთ. მომსვლელი ვეფხვივით დაძრწის ბარიერის გასწვრივ და იმის ცდაშია, თანამშრომლის ყურადღება ნიშნებით მიიქციოს. ეს კი ყოველთვის როდი ხერხდება. იქნება, მომსვლელმა სასარგებლო გამოგონება მოიტანა! ან, იქნებ, მას უბრალოდ საშემოსავლო გადასახადის შეტანა სურს, მაგრამ ბარიერმა ხელი შეუშალა და დაიკარგა სასარგებლო გამოგონება, შეუტანელი დარჩა საშემოსავლო გადასახადი.

გისოსებს ქუჩებში იყენებენ.

ხმაურიან მაგისტრალზე მას გაზაფხულობით დგამენ. აქაოდა, ვარემონტებთ - შევღობეთო. ხმაურიანი ქუჩა მყისვე უდაბნოდ გადაიქცევა ხოლმე. გამვლელები სახლებისკენ სხვა ქუჩებით მიძვრებიან. მათ ყოველდღიურად ზედმეტი კილომეტრის გავლა უწევთ, მაგრამ მაინც იმედებით ფრთაშესხმული არიან. გადის ზაფხული. ფოთლები ჭკნება. გზა ისევ გადაღობილია. რემონტის დაწყება არც უფიქრიათ, - ქუჩა კი ისევ ცარიელია.

აყირავებული ბაღის სკამებით მოსკოვის სკვერების შესასვლელებს ღობავენ - თურმე ნუ იტყვით, მშენებლებს აღმაშფოთებელი გულგრილობა გამოუჩენიათ და იქ ალაყაფის კარი არ ჩამოუკიდებიათ.

ამკრძალავ წარწერებზე კი მთელი გამოკვლევის დაწერა შეიძლება, მაგრამ ეს ამჟამად ავტორთა გეგმაში არ შედის.

წარწერები ორგვარია - პირდაპირი და ნართაული. პირდაპირი წარწერებია: შესვლა აკრძალულია

გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია

შესასვლელი არ არის

ასეთ წარწერებს ზოგჯერ სწორედ იმ დაწესებულებათა კარზე გამოკიდებდნენ ხოლმე, რომლებშიც ბევრი ხალხი დადის. ყველაზე უფრო დამღუპველი კი ნართაული წარწერებია. შესვლას ისინი არ გიკრძალავენ, მაგრამ მათ პირისპირ საკუთარი უფლების გამოყენებას მაინც მხოლოდ მეტად თამამი ადამიანი თუ გაბედავს, აი, ეს სამარცხვინო წარწერებიც: უნებართვოდ ნუ შეხვალთ

მიღება არ არის

შენი შემოსვლა ხელს უშლის საქმით დაკავებულ ადამიანს იმ ადგილებში, სადაც ბარიერის ან გისოსის დადგმა, ან სკამის გადაბრუნება, თუ ამკრძალავი წარწერის გამოკიდება არ შეიძლება, თოკს ჭიმავენ. ჭიმავენ ზეშთაგონების კარნახით და სრულიად მოულოდნელ ადგილებზე. თუ თოკი ადამიანის მკერდის სიმაღლეზა გაჭიმული, ამბავი ოდნავ შეკრთომითა და, ცოტა არ იყოს, ნერვიული სიცილით მთავრდება. კოჭის სიმაღლეზე გაჭიმულ თოკს კი ადამიანის დასახიჩრებაც შეუძლია.

ეშმაკმა წაიღოს კარი! ეშმაკისკენ გზა ჰქონიათ რიგებს, თეატრების შესასვლელებთან რომ გაჭიმულა! ნება მომეცით, მოუხსენებლად შემოვიდე! გევედრებით, აიღეთ გისოსები, უხეირო სახლმმართველს აყრილ ფილაქანთან რომ დაუდგამს! ძირს აყირავებული სკამები! სკამებს შესაფერისი ადგილი მივუჩინოთ. რა სჯობია ღამე სკვერში ჩამოჯდომას. ჰაერი სუფთაა, და თავში ჭკვიანური აზრები იბადება.

მადამ გრიცაცუევა ხალხთა სახლის შუაგულში, კიბეზე, ჩაკეტილ შემინულ კართან იჯდა, ხანდახან ჩასვლემდა. ქვრივი ქალის ბედ-იღბალზე ფიქრობდა და გათენებას უცდიდა.

განათებული დერეფნიდან ქვრივს თავზე ეღვრებოდა ელექტრონის პლაფონების ყვითელი სინათლე, ფანჯრებიდან ფერფლისფერი დილა მოძვრებოდა.

ის წყნარი საათი იყო, როცა დილა ჯერ კიდევ ნორჩი და სუფთაა, უეცრად, გრიცაცუევას დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა, ქვრივი მკვირცხლად წამოხტა და მინას მივარდა. დერეფნის ბოლოში ცისფერმა ჟილეტმა გაიბრწყინა. ჟოლოსფერ ფეხსაცმელებს ბათქაშის მტვერი დდასდებოდა... თურქეთის ქვეშევრდომის თავქარიანი მემკვიდრე პიჯაკიდან მტვერს იბერტყავდა და შემინულ კარს უახლოვდებოდა.

- ციყვო! - მიაძახა ქვრივმა, - ცი-ი-ი-ყვო!

ქალი მინას გამოუთქმელი სინაზით ასუნთქავდა. მინა შეიორთქლა და ცისარტყელისფერი ლაქები დაედო. ნისლისა და ცისარტყელის ფერებში ცისფერი და ჟოლოსფერი აჩრდილები რიალებდა.

ოსტაპს ქვრივის კაკუნი არ გაუგონია. იგი ზურგს იფხანდა და თავს მოუსვენრად ატრიალებდა. კიდევ ერთი წამი და - იგი მოსახვევში მიიმალებოდა.

უბედურმა ქვრივმა ამოიკვნესა, მიაძახა, - ამხანაგო ბენდერო, და მინაზე გააფთრებით დააკაკუნა. დიდი კომბინატორი მოტრიალდა.

- ა! - წამოთქვა მან, რაკი დაინახა, რომ მასა და ქვრივს ჩაკეტილი კარი ჰყოფდა, - თქვენც აქ ბრძანდებით?

- აქა ვარ, აქ, - დაუდასტურა გახარებულმა ქვრივმა.

- მერედა მომეხვიე, ჩემო სიხარულო, - შესთავზა ტექნიკურმა დირექტორმა, - რამდენი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს.

ქვრივი აწრიალდა. იგი კარს უკან ისე ხტოდა, როგორც ჭივჭავი - გალიაში. ქვედაკაბა, ღამე რომ ჩუმად იყო, ახლა ისევ აშრიალდა. ოსტაპმა მკლავები ფართოდ გაშალა.

- რატომ არ მოდიხარ, ჩემო ვარია? შენი წყნაროკეანელი ყვინჩილა ძალიან გადაიქანცა მცირე სახკომსაბჭოს სხდომებზე.

ქვრივს ფანტაზიის უნარი არ გააჩნდა.

- ციყვო! - მეხუთეჯერ უთხრა მან, - ამხანაგო ბენდერ, კარი გამიღეთ.

- წყნარად, ქალიშვილო! ქალს კდემამოსილება შვენის. რას ხტუნაობთ?

ქვრივი იტანჯებოდა.

- აბა, რად ეწამებით? - შეეკითხა ოსტაპი, - განა ვინმე ცხოვრებას გიშლით?

- შეხედეთ! თვითონ გაიქცა და თვითონვე მეკითხება.

ქვრივი ატირდა.

- მოქალაქე, თვალები შეიშრეთ. თქვენი ცრემლების ყოველი წვეთი - კოსმოსის მოლეკულაა.

- მე კი გელოდი, დუქანიც დავკეტე. თქვენ გამოგედევნეთ, ამხანაგო ბენდერ...

- მერედა, - ახლა მაგ კიბეზე თავს როგორ გრძნობთ? ხომ არ გიბერავთ?

დიდი სამონასტრო სამოვრისა არ იყოს, ქვრივი ნელ-ნელა დუღდებოდა.

- მოღალატევ! - კანკალით წარმოთქვა მან.

ოსტაპს კიდევ ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა. მან თითები გაატკაცუნა, ტანი რიტმულად შეარხია და წაიმღერა: ზოგჯერ ვართ საშიშ დღეში, ეშმაკი გვიმწყვდევს ხელში!

და ლამაზ ქალთა ცქერა

გვიმატებს გულის ძგერას...

- აი, შენ გასკდი! - უსურვა ქვრივმა, როგორც კი ბენდერმა ცეკვა დაამთავრა, - ქმრის ნაჩუქარი სამაჯური ხომ მომპარე, ის სკამი რაღად გინდოდა.

- თქვენ, მგონი, უკვე პიროვნებას ეხებით, - ცივად შენიშნა ოსტაპმა.

- მომპარე, მომპარე! - იმეორებდა ქვრივი.

- აი, რას გეტყვით, ქალიშვილო: ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ: ოსტაპ ბენდერს არასოდეს არაფერი არ მოუპარავს.

- მაშ, საცრელი ვინღა წაიღო?

- საცრელი? თქვენი არასალიკვიდაციო ფონდიდან? მერედა... ეს ქურდობა გგონიათ? თუკი ასეა, მაშ, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დიამეტრულად ეწინააღმდეგება.

- შენ, შენ წაიღე, - ქვრივი აკანკალდა.

- რაო? თუ ახალგაზრდა, ჯანსაღმა კაცმა პროვინციელ ბებრუხანასგან სამზარეულოს ჭურჭელი ინათხოვრა, ჭურჭელი, რომელიც ამ ავადმყოფ ქალს არც კი სჭირდება, ეს ყმაწვილი განა ქურდად ჩაითვლება? თქვენ ამ აზრისა ხართ?

- ქურდია, ქურდია!

- რაკი ასეა, ჩვენ ერთმანეთს უნდა გავშორდეთ. მე განქორწინებაზე თანახმა ვარ.

ქვრივი კარს ეცა. მინები აზრიალდა.

ოსტაპმა მოისაზრა, წასვლის დროაო.

- მოხვევნის დროც აღარ გვრჩება, - უთხრა მან, - მშვიდობით, საყვარელო! ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, როგორც ზღვაში - გემები.

- მიშველეთ! - დაიღრიალა ქვრივმა.

ოსტაპი კი უკვე დერეფნის ბოლოში გასულიყო. იქ ფანჯრის რაფაზე შედგა, ნაწვიმარ მიწას მძიმედ გადახედა და მბრწყინავ ბაღებში მიიმალა.

ქვრივის ყვირილზე გამოღვიძებული დარაჯი შემოეხეტა. იგი ტყვეს დაემუქრა, დაგაჯარიმებო და გაუშვა.

29. „გავრილიადას“ ავტორი

როცა მადამ გრიცაცუევა არასტუმართმოყვარე კანცელარიებს ტოვებდა, ხალხთა სახლისკენ უკვე მოდიოდნენ უდაბლესი რანგის მოსამსახურეები: კურიერები, ქალიშვილები - შემოსულ და გასულ ქაღალდებს რეგისტრაციაში რომ ატარებენ, ტელეფონისტები, მოანგარიშეთა ახალგაზრდა თანაშემწეები და სხვანი.

მათ შორის ნიკიფორ ლიაპისიც იყო - ძალიან ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ცხვრის მატყლივით ხუჭუჭა თმა და უტიფარი გამოხედვა ჰქონდა.

ბრიყვები, ჯიუტები და პირველად მომსვლელები ხალხთა სახლში მთავარი სადარბაზოთი შედიოდნენ. ნიკიფორ ლიაპისი კი შენობაში ამბულატორიიდან შეძვრა. ხალხთა სახლში იგი შინაურ კაცად ითვლებოდა და უმოკლესი გზები იცოდა იმ ოაზისებისკენ, სადაც, უწყებრივი ჟურნალების ფართოფოთლოვან ჩრდილში ჰონორარების ნათელი შადრევნები სცემდა.

ნიკიფორ ლიაპისი, უპირველეს ყოვლისა, ბუფეტში შევიდა. ნიკელირებულმა სალარომ მატჩიში დაუკრა და სამი ქვითარი გამოაგდო. ნიკიფორმა ქაღალდით თავდახურული ქილა გახსნა და ვარენეცი შეჭამა. ამას კრემიანი, ბუჩქის მსგავსი ნამცხვარი და ჩაი დააყოლა. შემდეგ აუჩქარებლად თავის სამფლობელოებს ჩამოუარა.

პირველად იგი მონადირეთა ყოველთვიური ჟურნალის „გერასიმე და მუმუს“ რედაქციაში შევიდა, მაგრამ ამხანაგი ნაპერნიკოვი ჯერ არ მოსულიყო, და ნიკიფორ ლიაპისმა ყოველდღიურ რუპორში, „ჰიგროსკოპიულ მოამბეში“ გადაინაცვლა, რომლის მეოხებითაც ფარმაციის მუშაკები გარესამყაროს უკავშირდებოდნენ.

- დილა მშვიდობისა, - თქვა ნიკიფორმა, - შესანიშნავი ლექსი დავწერე.

- რაზე? - ჰკითხა ლიტერატურული გვერდის უფროსმა, - რა თემაზე? თქვენ ხომ იცით, ტრუბეცკოი, რომ ჩვენი ჟურნალი...

„ჰიგროსკოპიული მოამბის“ არსის უფრო ღრმად გარკვევის მიზნით უფროსმა თითები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა.

ტრუბეცკოი-ლიაპისმა თავისი თეთრი ტილოს შარვალზე დაიხედა. მთელი ტანით უკან გადაიხარა და სიმღერის კილოზე წარმოთქვა.

- „ბალადა განგრენისა“.

- საინტერესოა, - შენიშნა ჰიგროსკოპიულმა ეგზემპლარმა, - დიდი ხანია, დროა, პროფილაქტიკის იდეების გავრცელებას პოპულარული ფორმები მოვუნახოთ.

ლიაპისი მყისვე დეკლამაციას შეუდგა: განგრენა სტანჯავს გავრილას,

განგრენამ ჩააგდო ლოგინად ის...

შემდეგ, ისეთივე ხალისიანი, ოთხმუხლიანი იამბით გავრილას ამბავი იყო მოთხრობილი - ეს გავრილა იმდენად ბნელი კაცი ყოფილა, რომ აფთიაქისთვის დროულად არ მიუკითხავს, ჭრილობაზე იოდი არ წაუსვამს და თავი დაუღუპავს.

- თქვენ იზრდებით, ტრუბეცკოი, - გაამხნევა რედაქტორმა, - მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვინდა... გამიგეთ?

მან ისევ თითები აამოძრავა, მაგრამ საშინელი ბალადა მაინც გამოართვა და ფულს სამშაბათისთვის დაჰპირდა.

ჟურნალ „მორზისტის დღეებში“ ლიაპისს გულითადად შეხვდნენ.

- ტრუბეცკოი, კარგია, რომ მოხვედით. ჩვენ სწორედ ლექსები გვჭირდება. ოღონდ - ყოფა, ყოფა და ყოფა. არანაირი ლირიკა! გესმით ტრუბეცკოი? რაიმე ახალი ფოსტის მუშაკთა ცხოვრებიდან და ამასთან, ისეთი, ხომ გესმით?

- სწორედ გუშინ ფოსტის მუშაკთა ცხოვრებაზე ვფიქრობდი. და აი, ასეთი პოემა ჩამოისხა. ეწოდება „უკანასკნელი წერილი“. აი...

ფოსტაში მოეწყო გავრილა,

წერილებს აწვდიდა გავრილა ხალხს...

გავრილას ისტორია სამოცდათორმეტ სტრიქონზე იყო გაჭიმული. ლექსის დასასრულს ფაშისტის ტყვიით დაჭრილი გავრილა წერილის მისამართით მიტანას მაინც ახერხებდა.

- კარგი და, ამბავი სად ხდება? - ჰკითხეს ლიაპისს.

კითხვა ბუნებრივი იყო. ფაშისტები სსრკ-ში არ არიან, საზღვარგარეთ კი არ არიან გავრილები - კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების წევრები.

- ახლა, ვითომ რაო? - იკითხა ლიაპისმა, - რა თქმა უნდა, ამბავი ჩვენში ხდება, ფაშისტი კი გადაცმულია.

- იცით, ტრუბეცკოი, მოდი, ისევ რადიოსადგურზე დაგვიწერეთ.

- ფოსტალიონი რატომ არ გინდათ?

- კარგი, დატოვეთ ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

დანაღვლიანებული ნიკიფორ ლიაპის-ტრუბეცკოი ისევ „გერასიმე და მუმუში“ შებრუნდა. ნაპერნიკოვი უკვე თავის მაგიდასთან იჯდა. კედელზე ტურგენევის ძალიან დიდი სურათი მოჩანდა. მწერალს პენსნე ეკეთა, ჭაობის ჩექმები ეცვა და მხარზე ორლულიანი თოფი ეკიდა. ნაპერნიკოვის გვერდით ლიაპისის კონკურენტი - გარეუბნელი პოეტი დარჭობილიყო.

დაიწყო ისევ ის ძველი სიმღერა გავრილაზე, ოღონდ ახლა აშკარა სამონადირეო განხრით. თხზულებას ახალი სათაური ჰქონდა - „ბრაკონიერის ლოცვა“.

კურდღელს ჩაუსაფრდა გავრილა,

ესროლა, კურდღელი დავარდა ძირს...

- ძალიან კარგია! - შეაქო გულკეთილმა ნაპარნიკოვმა, - ტრუბეცკოი, თქვენ ამ ლექსით თვით ენტიხი დაჩრდილეთ. ოღონდ შიგადაშიგ უნდა გასწორდეს. ჯერ ერთი - „ლოცვა“ ძირფესვიანად უნდა ამოაგდოთ.

- კურდღელიც, - დაუმატა კონკურენტმა.

- კურდღელი რატომღა? - გაუკვირდა ნაპერნიკოვს.

- იმიტომ, რომ სეზონი ახლა დამთავრებულია.

- გესმით, ტრუბეცკოი, კურდღელიც ამოიღეთ.

გადაკეთებულ პოემას ახალი სათაური ჰქონდა - „გაკვეთილი ბრაკონიერს“. კურდღლები მასში ცხრატყავებმა შეცვალა, მაგრამ მერე გამოირკვა, ზაფხულობით არც ცხრატყავებს ხოცავენო. ლექსის საბოლოო ფორმა ასე ჩამოყალიბდა: ფრინველს ჩაუსაფრდა გავრილა,

ესროლა, ფრინველმა დაკეცა ფრთა...

და ა. შ.

ლიაპისმა სასადილოში ისაუზმა და ისევ საქმეს შეუდგა. დერეფნებში მისი თეთრი შარვალი რიალებდა. ლიაპისი რედაქციაში შედიოდა და მრავალსახიან გავრილას ყიდდა.

- „კოოპერატიულ ფლეიტაში“ გავრილა „ეოლოსის ფლეიტის“ სათაურით გაიყიდა.

დუქანში მოეწყო გავრილა,

დახლთან იდგა და ფლეიტებს ყიდდა.

სქელი ჟურნალის „ტყე, როგორც ასეთის“ ბრიყვებმა ლიაპისისგან მცირე პოემა „ტყის პირას“ იყიდა. პოემა ასე იწყებოდა: ტყეში შეიარა გავრილამ,

ბამბუკებს დაუწყო გავრილამ ჭრა...

გავრილამ ეს დღე პურის ცხობაში დაასრულა. საამისო ადგილი მას „ფუნთუშის მუშაკის“ რედაქციაში გამოუნახეს. პოემას გრძელი და ნაღვლიანი სათაური ჰქონდა: „პურის, პროდუქციის ხარისხისა და სატრფოს შესახებ“, თხზულება იდუმალებით

მოცული ხინა ჩლეკისადმი იყო მიძღვნილი და ეპიკური ტონით იწყებოდა: ფურნეში მოეწყო გავრილა,

აცხობდა გავრილა ფუნთუშებს...

მიძღვნა დელიკატური ბრძოლის შემდეგ ამოღებულ იქნა.

ყველაფერზე საწყენი კი ის იყო, რომ ლიაპისს ფული არსად არ მისცეს, ერთნი სამშაბათისთვის დაჰპირდნენ, მეორენი - ორი კვირის შემდეგ, ხუთშაბათს, ან პარასკევს, ლიაპისს ფულის სასესხებლად მტერთა ბანაკში წასვლა მოუწია, - იქ, სადაც მას ლექსებს არასოდეს არ უბეჭდავდნენ.

პოეტი მეხუთე სართულიდან მეორეზე ჩამოვიდა და „სტანოკის“ სამდივნოში შევიდა. იქ, მისდა საუბედუროდ, დაუღალავი პერსიცკი შეეფეთა.

- ა! - შესძახა პერსიცკიმ, - ლიაფსუსი მოვიდა!

- ყური მიგდეთ, - ხმადაბლა უთხრა ნიკიფორ ლიაპისმა, - სამი მანეთი მასესხეთ. „გერასიმე და მუმუს“ ჩემი უამრავი ფული ჰმართებს.

- ათ შაურს მოგცემთ. მოიცადეთ, ახლავე მოვალ.

პერსიცკი მართლაც მალე მოვიდა და თან „სტანოკის“ ათიოდე თანამშრომელი მოიყოლია.

ყველანი ერთად ალაპარაკდნენ.

- როგორ მიდის ვაჭრობა? - ჰკითხა პერსიცკიმ.

- შესანიშნავი ლექსები დავწერე!

- ისევ გავრილაზე? რაიმე გლეხური, ხომ? „გავრილა ხნავდა ადრიანად, გავრილა კავს აღმერთებდა?“

- გავრილა ვინ არის? ეგ ხომ ხალტურაა! - თავს იცავდა ლიაპისი, - მე კავკასიაზე დავწერე.

- ყოფილხართ კი კავკასიაში?

- ამ ორ კვირაში წავალ.

- მერედა, ლიაფსუს. არ გეშინიათ? იქ ხომ ტურებია.

- ოჰ, რის უნდა მეშინოდეს? კავკასიურ ტურებს შხამი არა აქვთ.

ამ სიტყვებზე ყველამ ყურები ცქვიტა.

- ერთი მითხარით, ლიაფსუს, - ჰკითხა პერსიცკიმ, - როგორ გგონიათ, ტურა რანაირია?

- ვიცი, რანაირიცაა, ჩამომეხსენით.

- ჰოდა, თუ იცით, გვითხარით.

- როგორია და... გველისნაირია.

- ოჰ, რა თქმა უნდა! როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი ბრძანდებით. თქვენი აზრით, გარეული თხის სუკი მაგიდაზე უზანგებთან ერთად მოაქვთ, ხომ?

- მე ეგ არასოდეს მითქვამს! - შეჰყვირა ტრუბეცკოიმ.

- თქმით მართლაც არ გითქვამთ, მაგრამ თქვენ ეს დაწერეთ. ნაპერნიკოვმა მითხრა. თქვენ გინდოდათ, ასეთი ლექსუნები „გერასიმე და მუმუში“ შეგეჩხირათ, ვითომდა, მონადირეების ცხოვრებაზეაო. გულზე ხელი დაიდეთ, ლიაფსუს, რატომ წერთ იმაზე, რაც თქვენს სიცოცხლეში არ გინახავთ და რაზედაც არანაირი წარმოდგენა არა გაქვთ? რატომ ჰქვია თქვენს „კანტორაში“ ბალისთვის განკუთვნილ კაბას - პენუარი? აბა, ერთი გვითხარით - რატომ?

- თქვენ მეშჩანი ხართ! - დიდგულად მიახალა ლიაპისმა.

- რატომაა, რომ თქვენს ლექსში - „დოღი ბუდიონის პრიზზე“ ჟოკეი ცხენს თასმას უჭერს და შემდეგ კოფოზე ჯდება? თქვენ თასმა როდისმე გინახავთ?

- მინახავს.

- აბა, ერთი მითხარით, როგორია?

- თავი დამანებეთ! თქვენ აფრენთ!

- კოფო მაინც თუ გინახავთ? დოღზე ყოფილხართ?

- ყველგან ყოფნა აუცილებელი არ არის, - აყვირდა ლიაპისი, - პუშკინი ლექსებს თურქებზე წერდა, მაგრამ თურქეთში არასოდეს ყოფილა.

- ოჰ, რა თქმა უნდა! არზრუმი ტულის გუბერნიაშია, ხომ?

ლიაპისმა სარკაზმი ვერ გაიგო და მხურვალედ განაგრძო: - პუშკინი მასალების მიხედვით წერდა. პუგაჩოვის ჯანყის ისტორია წაიკითხა და მერე დაწერა. დოღზე კი მე ენტიხმა ყველაფერი მიამბო.

ამ ვირტუოზული სვლის შემდეგ პერსიცკიმ გაჯიუტებული ლიაპისი მეზობელ ოთახში შეათრია. მაყურებლები უკან დაედევნენ. იქ, კედელზე, გაზეთის დიდი ამონაჭერი ეკიდა, რომელსაც სამგლოვიარო არშია ჰქონდა შემოვლებული.

- „კაპიტნის ხიდურაში“ - ეს ნარკვევი თქვენ დაწერეთ?

- მე დავწერე.

- ეს, მგონი, თქვენი პირველი ცდაა პროზაში, ხომ? მომილოცავს! „ტალღები მდელოზე მიგორავდნენ და ძირს გაქანებული დომკრატებივით ეცემოდნენ...“ „ხიდურა“ ახლა თქვენ დიდხანს ვერ დაგივიწყებთ, ლიაპის!

- განა რა მოხდა?

- რადა, ის მოხდა, რომ... თქვენ იცით, დომკრატი რა არის?

- ვიცი, მაშ! და, თუ შეიძლება, თავი დამანებეთ!

- არა, თქვენ დომკრატი როგორ წარმოგიდგენიათ? აბა, ერთი, საკუთარი სიტყვებით აგვიწერეთ.

- ასეთია... ერთი სიტყვით, ვარდება...

- დომკრატი ვარდება! ყველამ დაიმახსოვრეთ, ამხანაგებო! დომკრატი გაქანებული ვარდება! მოიცადე, ლიაფსუსო, ახლავე ათ შაურს მოგიტან. ბიჭებო, არ გაუშვათ!

მაგრამ ლიაპისს ათი შაური არც ახლა მისცეს. პერსიცკიმ ცნობათა ბიუროდან ბროკჰაუზის ოცდამეერთე ტომი მოიტანა, დომიციუსიდან ევრეინოვამდე. საჭირო სიტყვა დიდი საჰერცოგოს მეკლენბურგ-შვერინის ციხესიმაგრე დომიციუსისა და მდინარე დომმელის შუაში იპოვეს.

- ყური მიგდეთ! „დომკრატი“ (გერ. Dაუმკრაფტ) - ერთი იმ მანქანათაგანია, რომლებითაც დიდ სიმძიმეებს სწევენ, ჩვეულებრივი უბრალო დომკრატი ეკიპაჟებისა და სხვათა ასაწევად იხმარება. იგი მოძრავი კბილანისაგან შედგება, რომელიც ბუდეშია ჩასმული და სახელურის მეშვეობით ატრიალებენ...“ და ასე შემდეგ: „1897 წელს ჯონ დიქსონმა ობელისკი „კლეოპატრას ნემსები“ ოთხ მუშას დაადგმევინა, რომელნიც ოთხი ჰიდრავლიკური დომკრატით მოქმედებდნენ“. და ამ ხელსაწყოს, თქვენი აზრით, გაქანებული ვარდნა შეუძლია? ესე იგი, ბროკჰაუზი და ეფრონი კაცობრიობას მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ატყუებდნენ? რატომ თაღლითობთ, იმის მაგივრად, რომ ისწავლოთ? მიპასუხეთ!

- მე ფული მჭირდება.

- ფული ხომ თქვენ მაინც არასოდეს არ გაქვთ. სულ ათ-ათ შაურობით სესხულობთ.

- ავეჯი ვიყიდე და ბიუჯეტიდან ამოვვარდი.

- განა რამდენი ავეჯი იყიდეთ? თქვენს ხალტურაში ხომ სწორედ იმას გიხდიან, რაც ღირს - რაღაც კაპიკებს.

- კაპიკებს კი არა! აუქციონზე ისეთი სკამი ვიყიდე, რომ...

- გველის ფორმისა?

- არა, სასახლისეული, მაგრამ უბედურება შემემთხვა. გუშინ სახლში გვიან ღამით დავბრუნდი...

- ხინა ჩლეკთან იყავი? - ერთხმად შეჰყვირეს გარშემო მყოფებმა.

- ხინა კი არა! ხცინასთან რამდენიმე ხანია, აღარ ვცხოვრობ. მაიაკოვსკის დისპუტიდან ვბრუნდებოდი. შევედი. ფანჯარა გაღებულია. იმწამსვე ვიგრძენი, აქ რაღაც მომხდარა-მეთქი.

- ო-ჰო-ჰო-ჰო! - წარმოთქვა პერსიცკიმ და სახეზე ხელები აიფარა, - გული მიგრძნობს, ამხანაგებო, რომ ლიაფსუსს მისი შედევრი - „მეეზოვე გავრილა“ მოჰპარეს.

- მოყოლას აღარ მაცდით? ჩემს ოთახში პირდაპირ გასაოცარი ხულიგნობა მოხდა. ვიღაც არამზადები შემძვრალან და სკამი ერთიანად გამოუფატრავთ. იქნებ, რემონტისთვის ვინმემ ხუთი მანეთი მასესხოს, ჰა?

- რემონტისთვის ახალი გავრილა შეთხზეთ. თუ გინდათ, დასაწყისს მე გიკარნახებთ. მოიცათ! ახლავე! აი: „გავრილამ სკამი შეიძინა, გავრილას სკამი არ უვარგოდა“... ჩქარა ჩაიწერეთ, იქნებ, „კომოდის ხმაში“ სარფიანად გაყიდოთ. ეჰ, ტრუბეცკოი, ტრუბეცკოი! ჰო, მართლა, ლიაფსუსო, ტრუბეცკოის რატომღა გეძახიან? განა უკეთეს ფსევდონიმს ვერ იპოვიდით? ვთქვათ, დოლგორუკი! ნიკიფორ დოლგორუკი! ანდა ნიკიფორ ვალუა! ანდა კიდევ უკეთესი: მოქალაქე ნიკიფორ სუმაროკოვ-ელსტონი! თუ დარი დაგიდგათ და „გერ მუმუს“ სამი ლექსი ერთად მიჰყიდეთ, მდგომარეობიდან პირდაპირ ბრწყინვალედ გამოხვალთ. ერთ ნაბოდვარს სუმაროკოვი მოაწერეთ, მეორე მაკულატურას - ელსტონი, მესამეს კი - იუსუფოვი! ეჰ, შე მართლა თაღლითო, შენა!

30. კოლუმბის თეატრში

იპოლიტ მატვეევიჩი თანდათან ნამდვილი მლიქვნელი გახდა. როცა ოსტაპს მიაჩერდებოდა, მისი თვალები ცისფერ ჟანდარმულ ელფერს იძენდა.

ივანოპულოს ოთახში ისე ცხელოდა, რომ ვორობიანინოვისეული სკამები ბუხრის შეშასავით ტკაცუნობდნენ. დიდ კომბინატორს თავქვეშ ცისფერი ჟილეტი ამოედო და ისვენებდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ფანჯარაში იცქირებოდა. იქ, ირიბ მოსახვევებში, ერთი ციცქნა მოსკოვური ბაღების მიღმა, გერბიანი ეტლი მიქროდა. ეტლის შავად გალაქული გვერდები გამვლელების ჩრდილებს ირეკლავდა: სპილენძისთავიან კავალერგარდს, ქალაქელ ქალბატონებს და თეთრ, ფუნთულა ღრუბლებს. ცხენებმა ფილაქანზე ნალები ააჭახუნეს და ეტლი იპოლიტ მატვეევიჩის წინ გააქროლეს. გულდაწყვეტილი იპოლიტ მატვეევიჩი მოტრიალდა.

ეტლს მოსკოვის კომუნალური მეურნეობის გერბი ამშვენებდა და ნაგვის გადასატანად იყენებდნენ, ხოლო მის შეფიცრულ გვერდებზე არაფერიც არ ირეკლებოდა.

კოფოზე ჭაღარა, დიდწვერიანი, მხნე ბერიკაცი იჯდა. იპოლიტ მატვეევიჩმა არ იცოდა, რომ ბერიკაცი, გრაფი ალექსი ბულანოვი, ერთ დროს სახელგანთქმული ჰუსარი-განდეგილი იყო, თორემ შეაჩერებდა და სიტყვას მშვენიერ წარსულ დროებაზე ჩამოუგდებდა.

გრაფი ალექსი ბულანოვი კი ძალიან შეწუხებული იყო. ცხენებს შოლტავდა და ნაღვლიანად ფიქრობდა, საასენიზაციო ქვეგანყოფილებას ბიუროკრატიზმის სენი შეჰყრია, თორემ სპეცწინსაფარს, ხელშეკრულებით რომ მერგება, მთელი ექვსი თვის განმავლობაში ამაოდ არ მალოდინებდნენო.

- გამიგონეთ, - წარმოთქვა უეცრად დიდმა კომბინატორმა, - თქვენ ბაშვობაში რას გეძახდნენ?

- რისთვის გჭირდებათ?

- ისე! არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, ვორობიანინოვი - მომბეზრდა, იპოლიტ მატვეევიჩი კი - ძალიან მემწუთხება. მიანც, რას გეძახდნენ? იპას?

- კისას, - სიცილით მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა.

- კონგენიალურია! ჰოდა, აი, რა, კისა, ნახეთ, გეთაყვა, რა მაქვს ზურგზე. ბეჭებშუა მტკივა.

ოსტაპმა „კოვბოურა“ თავიდან გადაიძრო. კისა ვორობიანინოვის თვალწინ პროვინციელი ანტინოეს მომხიბლავი, მაგრამ ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანი ზურგი აელვარდა.

- ოჰო, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა, - მშვენიერია.

დიდი კომბინატორის ზურგზე ლალისფრად, ნავთობში არეკლილი ცისარტყელასავით ბრწყინავდა უცნაური მოხაზულობის ლურჯი ნაიარევები.

- რვიანი! - შესძახა ვორობიანინოვმა, - პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ასეთ რამეს პირველად ვხედავ.

- მეორე ციფრი რა არის? - მშვიდად ჰკითხა ოსტაპმა.

- რაღაც P-ს მსგავსია.

- მეტი შეკითხვა აღარ მაქვს, ყველაფერი ნათელია! ოჰ, ის წყეული კალმისტარი! აი, ხომ ხედავთ, კისა, თქვენი სკამების გამო როგორ ვიტანჯები და თავს რამდენ ხიფათში ვიგდებ. ეს არითმეტიკული ნიშნები ვეება კალმისტარმა დამაჩნია. მას №86 კალამი ეკეთა. უნდა გითხრათ: ის შეჩვენებული კალმისტარი სწორედ იმ წამში დამეცა, როცა ხელები რედაქტორის სკამის შიგნეულში ჩავყავი, თქვენ კი? თქვენ ხეირიანად არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ. იზნურენკოვის სკამის საქმე ვინ ჩააოხრა, რომ მერე მე კინაღამ თან გადავყევი? აუქციონზე ხომ ლაპარაკიც აღარ მინდა. მონახეთ, რაღა, ახუნტრუცების დრო! თქვენს ასაკში ახუნტრუცება პირდაპირ მავნებელიც კია. ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეთ! მე ხომ არ მედრებით! ქვრივის სკამი ჩემი ვაჟკაცობაა. ასევე - შჩუკინის ორივე სკამიც. იზნურენკოვის სკამიც საბოლოო ანგარიშით მე გავშანსე. რედაქციაში და ლიაპისთან - მე ვიყავი. თქვენ კი გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი სკამის საქმე მიიყვანეთ, და ისიც იმიტომ, რომ თავისდა უნებლიეთ თქვენი უწმინდესი მტერი - არქიეპისკოპოსი გეხმარებოდათ...

ფეხშიშველი ტექნიკური დირექტორი უხმაუროდ დააბიჯებდა ოთახში და თვინიერ კისას ჭკუას არიგებდა.

საკონცესიო საქმეების ბრწყინვალე გეგმაში წინანდებურად მხოლოდ ერთი შავი ლაქა იყო - ის სკამი, ოქტომბრის სადგურის სატვირთო ეზომ რომ ჩაყლაპა. კოლუმბის თეატრში მოხვედრილი ოთხი სკამი ვერსად გაექცეოდათ. ოღონდ ეს იყო, თეატრი სატირაჟო გემით „სკრიაბინით“ ვოლგისპირეთში მიდიოდა და დღეს სეზონის უკანასკნელ სპექტაკლად „ქორწინების“ პრემიერა ჰქონდა. ახლა უნდა გადაეწყვიტათ: მოსკოვში დარჩენილიყვნენ და კალანჩევის მოედნის სივრცეებში დაკარგულ სკამი ეძებნათ, თუ თეატრის დასს საგასტროლო მოგზაურობაში გაჰყოლოდნენ. ოსტაპი მეორე ვარიანტისკენ იხრებოდა.

- ან, იქნებ, გაყოფა სჯობდეს? - ჰკითხა მან, - მე თეატრს გავყვები, თქვენ კი აქ დარჩით და სატვირთო ეზოში ჩაკარგული სკამი ეძიეთ.

მაგრამ კისამ შეძრწუნებით აახამხამა ჭაღარა წამწამები, და ოსტაპმაც აღარ გააგრძელა.

- ორი კურდღელიდან იმას აირჩევენ ხოლმე, - თქვა მან, - რომელიც უფრო მსუქანია. ისევ ერთად წავიდეთ, მაგრამ ხარჯი დიდი გვექნება და ფული დაგვჭირდება. მე სამოცი მანეთიღა დამრჩა. თქვენ? აჰ, დამავიწყდა. თქვენს წლებში ქალწულის სიყვარული მეტად ძვირი ჯდება! ამიტომ ვადგენ: დღეს ორივენი „ქორწინების“ პრემიერაზე მივდივართ. ფრაკის ჩაცმა არ დაგავიწყდეთ. თუ სკამები ისევ იქაა და ვალებში სოცდაზღვევისთვის არ მიუყიდიათ, ხვალე გავემგზავრებით, გახსოვდეთ ვორობიანინოვ, იწყება კომედია „ჩემი სიდედრის განძეულის ბოლო მოქმედება. ვორობიანინოვ, გვიახლოვდება ფინიტა-ლა-კომედია! რამპისკენ სწორდით! ო, ჩემო სიჭაბუკევ! ოჰ, კულისების სუნო! რამდენი მოგონებაა! რამდენი ინტრიგაა! რამხელა ტალანტი გამოვამჟღავნე თავის დროზე ჰამლეტის როლში! ერთი სიტყვით, სხდომა გრძელდება!

საკუთარი ფინანსური მდგომარეობა ერთხელაც აწონ-დაწონეს და თეატრში ფეხით წავიდნენ. ჯერ არ შებინდებულიყო, მაგრამ ფანრები უკვე ლიმონისფერ სინათლეს აფრქვევდნენ. გაზაფხული ყველას თვალწინ იღუპებოდა. მას მტვერი მოედნებიდან სდევნიდა და ცხელი ქარი შესახვევებისკენ მიერეკებოდა. იქ მზეთუნახავს ბებერი ქალები უყვავებდნენ და პატარა ეზოებში ჩადგმულ მრგვალ მაგიდებთან, ჩაიზე იწვევდნენ, მაგრამ გაზაფხულის სიცოცხლე დამთავრებული იყო, - ხალხში მას აღარ უშვებდნენ. მას ამაოდ მიუწევდა გული პუშკინის ძეგლისკენ, სადაც უკვე სეირნობდნენ ჭრელკეპიანი, ჰალსტუხ „ძაღლის სიხარულით“ ყელდამშვენებული და „ჯიმის“ ყაიდის ფეხსაცმელებში გამოწყობილი ახალგაზრდები.

ლილისფერი პუდრით შეთხუპნული ქალიშვილები მსპო-ს ტაძარსა და კოოპერატივ „კომუნარს“ შუა (ე. ი. ყოფ. ფილიპოვის და ყოფ. ელისეევის მაღაზიებს შორის) სეირნობდნენ და მოურიდებლად იგინებოდნენ. ამ დროს გამვლელები მარტო იმიტომ როდი ანელებდნენ ნაბიჯს, რომ ტვერის ბულვარი ვიწრო იყო. მოსკოვური ცხენები არაფრით არ სჯობდნენ სტარგოროდელებს: ფილაქნის ქვებზე ისინიც განგებ აჭახუნებდნენ ნალებიან ფლოქვებს. ველოსიპედისტები უხმოდ მოქროდნენ „ნორჩი პიონერების“ სტადიონიდან, სადაც პირველი საერთაშორისო მატჩი ჩატარდა. ნაყინის გამყიდველი თავის მწვანე ოთხთვალას მიაგორებდა, - სამაისო ქუხილით რომ იყო გამოტენილი, - და პოლიციელისკენ შეშინებული იყურებოდა, მაგრამ მილიციელი მოძრაობის მარეგულირებელი შუქფარების სინათლეს მოენუსხა და იგი ახლა საშიში სულაც არ იყო.

ორი მეგობარი გზას მთელ ამ ორომტრიალში მიიკვლევდა. ცდუნება ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებდათ. ერთი ციცქნა დუქნებში მთელი ქუჩის დასანახად ყარსულ, კავკასიურ და სუკის მწვადებს წვავდნენ. ცხელი, გამაღიზიანებელი კვამლი ნათელი ცისკენ მიემართებოდა. ლუდხანებსა, რესტორნებსა და კინოთეატრ „დიად მუნჯში“ სიმებიანი ორკესტრების ხმები ჟღერდა. ტრამვაის გაჩერებასთან კი რადიორუპორი ცხარობდა.

უნდა ეჩქარათ. მეგობრები კოლუმბის თეატრის აგუგუნებულ ვესტიბიულში შევიდნენ.

ვორობიანინოვი სალაროსთან მიიჭრა და ადგილების ფასები წაიკითხა.

- რაც გინდათ, თქვით და ძალიან ძვირია, - თქვა მან, - მეთექვსმეტე რიგი სამი მანეთი ღირს.

- როგორ მეჯავრება ეს მეშჩანები, ეს პროვინციელი ბრიყვები, - შენიშნა ოსტაპმა, - სად მიძვრებით? ვერ ხედავთ, რომ ეს სალაროა?

- მაშ, რა ვქნა? უბილეთოდ ხომ არ შეგვიშვებენ?

- კისა, თქვენ ნამდვილი სულელი ხართ, ყოველ კეთილმოწყობილ თეატრს ორი სარკმელი აქვს. სალაროს სარკმელთან მხოლოდ შეყვარებულები და მდიდარი მემკვიდრეები მიდიან. დანარჩენი მოქალაქენი კი პირდაპირ ადმინისტრატორის სარკმელს აშურებენ. და უმრავლესობას, როგორც ხედავთ, სწორედ მეორენი შეადგენდნენ.

მართლაც, სალაროს სარკმელთან სულ ხუთიოდე, ღარიბულად ჩაცმული კაცი იდგა. ალბათ, ესენი შეყვარებულები, ან მდიდარი მემკვიდრეები იყვნენ. სამაგიეროდ, ადმინისტრატორის სარკმელთან სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. მოდურ პიჯაკებსა და ისეთი თარგის შარვლებში გამოწყობილი ახალგაზრდები, პროვინციელს რომ არც კი დაესიზმრება, თავდაჯერებულად აფრიალებდნენ ნაცნობი რეჟისორების, რედაქციების, თეატრალური კოსტიუმირების, რაიონის მილიციის უფროსის და სხვა, თეატრთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირთა ბარათებს. ასეთ პირებს კი ეკუთვნიან: თეატრალური და კინოკრიტიკოსთა ასოციაციის წევრები, საზოგადოება „უბედურ დედათა ცრემლების“ წარმომადგენლები, „საცირკო ექსპერიმენტის სახელოსნოს“ და რომელიღაც „უმსლოპოგასის ფორტინბრასის“ ხმოსნები. ბარე რვა კაცს კი ესპერ ეკლეროვიჩის ბარათები მოემარჯვებინა.

ოსტაპი რიგში შეიჭრა, ფორტინბრასელები მიყარ-მოყარა, თან გაჰყვიროდა, - მე მარტო ცნობა მინდა, ხომ ხედავთ, კალოშებიც არ გამიხდიაო, - სარკმელთან მიაღწია და შიგნით შეიხედა.

ადმინისტრატორი მტვირთავივით შრომობდა. მისი მსუქანი სახე ბრილიანტივით გამჭირვალე ოფლს შეეცვარა. ტელეფონი მას წამდაუწუმ აწუხებდა და სმოლენსკის მოედანზე მიმავალი ტრამვაის სიჯიუტით რეკავდა.

- ჩქარა, - მიაძახა ადმინისტრატორმა ოსტაპს, - ბარათი მომეცით!

- პარტერში, - ხმადაბლა უთხრა ოსტაპმა, - ორი ადგილი.

- ვის?

- მე?

- მერე თქვენ ვინა ხართ, რომ ადგილები მოგცეთ?

- მე ვფიქრობ, რომ თქვენ უნდა მიცნობდეთ.

- არ გიცნობთ.

მაგრამ უცნობს ისეთი წმინდა, ისეთი ნათელი თვალები ჰქონდა, რომ ადმინისტრატორის ხელმა ორი ადგილი მეთერთმეტე რიგში თვითონ მოუხია.

- ვინ არ მოდის! - თქვა ადმინისტრატორმა და მხრები აიჩეჩა, ვინ იცის, ვინ არიან! იქნებ, ეს განსახკომიდანაა! ჰო, მგონი, განსახკომში მინახავს. თუ სხვაგან მინახავს?

შეცბუნებული იაკოვ მენელაევიჩი თეატრალურ და კინოკრიტიკოსებს საშვებს ურიგებდა და თან იმის გახსენებას ლამობდა, ეს ნათელი თვალები სად მინახავსო.

როცა ყველა საშვი გასცა და ფოიეშიც სინათლე ჩააქრეს, იაკოვ მენელაევიჩს გაახსენდა: ეს წმინდა თვალები და ეს მტკიცე გამოხედვა მან 1922 წელს, ტაგანის ციხეში ნახა, როცა ერთ უბრალო საქმეზე თვითონაც იჯდა.

მეთერთმეტე რიგიდან, სადაც კონცესიონერები ისხდნენ, სიცილი მოისმა. ოსტაპს მუსიკალური შესავალი მოსწონებოდა, რომელიც ორკესტრმა ბოთლებზე, ესმარხის ქილებზე, საქსოფონებზე და პოლკის დიდ დაფდაფებზე დაუკრა. ფლეიტამ დაუსტვინა, ფარდა გაიხსნა და დარბაზს სიგრილე მოჰბერა.

„ქორწინების“ კლასიკურ ინტერპრეტაციას მიჩვეული ვორობიანინოვის გასაოცრად, სცენაზე პოდკოლესინი არ იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა თვალები დააცეცა და ჭერიდან ჩამოკიდებული ფანერის სწორკუთხედები დაინახა, რომელიც მზის სპექტრის ძირითადი ფერებით იყო შეღებილი. არც კარი, არც მარმაშის ლურჯი ფარდები არსად ჩანდა. მრავალფერი სწორკუთხედების ფონზე ქალბატონები ცეკვავდნენ. მათ დიდრონი, შავი მუყაოსაგან გამოჭრილი შლაპები ეხურათ. ბოთლების კვნესამ სცენაზე პოდკოლესინს გამოუხმო. იგი სტეფანის მხარზე აძვრა და ბრბოში ასე შეიჭრა. ტანზე მას კამერგერის მუნდირი ეცვა. პოდკოლესინმა ქალები თავისი სიტყვებით დააფრთხო, - ეს სიტყვები პიესაში არ იყო, - და დაიღრიალა.

- სტეპ-პა-ან!

ამასთან, იგი გვერდზე გადახტა და რთულ პოზაში გაქვავდა. ესმარხის ქილები აგრიალდა.

- სტეპა-ა-ან! - გაიმეორა პოდკოლესინმა და ისევ გადახტა.

ვეფხვის ტყავში გამოწყობილი სტეპანი იქვე იდგა, მაგრამ ხმას არ იღებდა. პოდკოლესინმა ტრაგიკული კილოთი იკითხა: - რა ერთა ლიგასავით გაჩუმებულხარ?

- ალბათ, ჩემბერლენისა შემეშინდა, - მიუგო სტეპანმა და ტყავს ხელი აუსვ-დაუსვა.

უკვე იგრძნობოდა, რომ სტეპანი პოდკოლესინს დაჩრდილავდა და საზოგადოებას თანამედროვე პიესის მთავარ პერსონაჟად მოევლინებოდა.

- რაო, მკერავი რას შვრება, სერთუკს კერავს?

ნახტომი, დარტყმა ესმარხის ქილებზე. სტეპანმა რის ვაი-ვაგლახით გაჭიმა ყირა და, ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, უპასუხა: - კერავს.

ორკესტრმა „ჩიო-ჩიო-სანიდან“ პოპური დაუკრა. მთელი ეს დრო სტეპანი ყირაზე იდგა. სახე გაუწითლდა.

- რაო, - ჰკითხა პოდკოლესინმა, - მკერავმა არ გკითხა, შენს ბატონს ასეთი კარგი მაუდი რად უნდაო?

სტეპანი ახლა უკვე ორკესტრში იჯდა და დირიჟორს ეხვეოდა.

- არა, არ უკითხავს, - მიუგო იქიდან, - მკითხოს, განა ინგლისის პარლამენტის დეპუტატია?

- რაო, მკერავმა არ გკითხა, შენი ბატონი ცოლის შერთვას ხომ არ აპირებს?

- მკერავმა ის მკითხა, შენს ბატონს ალიმენტის გადახდა ხომ არ მოსურვებიაო.

ამის შემდეგ სინათლე ჩააქრეს. საზოგადოებამ ფეხების ბაკუნი დაიწყო. იქამდე აბაკუნებდნენ, სანამ სცენიდან პოდკოლესინის ხმა არ მოისმა: - მოქალაქენო! ნუ ღელავთ! სინათლე განზრახ, მოქმედების მსვლელობის მიხედვით ჩააქრეს. ნივთიერი გაფორმება ასე მოითხოვს.

საზოგადოება დამორჩილდა. სინათლე მოქმედების ბოლომდე აღარ აუნთიათ. დაფდაფები სრულ სიბნელეში გრიალებდა. სცენაზე სასტუმროს შვეიცარებად გადაცმულმა სამხედროთა რაზმმა გაიარა. რაზმელებს ფანრები ეჭირათ. შემდეგ კოჩკარიოვი შემოვიდა. ეტყობოდა, იგი აქლემზე იჯდა. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო დიალოგიდან მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა.

- ფუი, როგორ შემაშინე! აქლემით მაინც არ მოსულიყავი!

- ამ სიბნელეში როგორ დაინახე? მე კი მინდოდა, შენთვის ტკბილი „ვერბლიუდო“ მომერთმია.

ანტრაქტის დროს კონცესიონერებმა აფიშა წაიკითხეს: ქორწინება

ტექსტი - ნ. ვ. გოგოლისა

ლექსები - მ. შერშელიაფამოვისა

ლაიტმონტაჟი - ი. ანტიხისკისა

მუსიკალური გაფორმება - ს. ივანოვისა

სპექტაკლის ავტორი - ნიკ. სესტრინი

ნივთიერი გაფორმება - სიმბიევიჩ-სინდიევიჩისა

სინათლე - პლატონ პლაშჩუკისა, ხმის გაფორმება - გალკინის, პალკინის, მარკინის, ჩალკინის და ზალკინდისა. გრიმი - კრულტის სახელოსნოსი, პარიკები - ფორმა კოჩურასი. ავეჯი - ვალტასარის სახელობის უმსლოპეგასის ფორტინბრასის სახელოსნოსი. აკრობატიკის ინსტრუქტორი - ჟორჟეტა ტირახპოლსკიხი. ჰიდრავლიკური წნეხი - მეანჩიკოვის მეთაურობით.

აფიშა ააწყვეს, დააკაბადონეს და დაბეჭდეს

კრულტის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში.

- მოგწონთ? - გაუბედავად ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- თქვენ?

- ძალიან საინტერესოა, ოღონდ, იცით, სტეპანი ცოტა უცნაურად მეჩვენება.

- მე სულაც არ მომეწონა, - თქვა ოსტაპმა, - განსაკუთრებით კი ის არ მომწონს, რომ ავეჯი ვიღაც ვოგოპასის სახელოსნოებისაა, მაგათ ჩვენი სკამები ახალ ყაიდაზე ხომ არ გადააკეთეს?

ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა. მეორე მოქმედების დასაწყისშივე ცილინდრიანმა ზანგებმა ჰამბსის ოთხივე სკამი გამოიტანეს და სცენაზე დადგეს.

მაჭანკლობის სცენამ მაყურებელთა დარბაზში უდიდესი ინტერესი გამოიწვია იმ წუთში, როცა აგაფია ტიხონოვნა მთელი დარბაზის სიგრძეზე გაჭიმული თოკით ეშვებოდა, ხ. ივანოვის ორკესტრმა საშინელი ხმაური ატეხა, აგაფია ტიხონოვნა კიდეც რომ ჩავარდნილიყო, ვერ გაამტყუნებდით, მაგრამ აგაფიას თავი მშვენივრად ეჭირა სცენაზე. მას ხორცისფერი ტრიკო ეცვა და მამაკაცური ქვაბურა ეხურა. ხელში მწვანე ქოლგა ეჭირა, რომელსაც „მე მინდა პოდკოლესინი“ ეწერა, მავთულზე სხეულის რხევით მიაბიჯებდა და ქვევიდან ტალახიანი ლანჩები მოუჩანდა. მავთულიდან პირდაპირ სკამზე დახტა. ამ დროს ზანგებმა, პოდკოლესინმა, საბალეტო ტანსაცმელში გამოწყობილმა კოჩკაროვმა და მაჭანკალმა, რომელსაც ვატმანის კოსტიუმი ეცვა, უკუღმა სალტო გააკეთეს. ამის შემდეგ ყველანი ხუთ წუთს ისვენებდნენ და, რათა ეს საზოგადოებას არ დაენახა, სინათლე ისევ ჩააქრეს.

საქმროები ძალიან სასაცილოები იყვნენ: განსაკუთრებით - იაიჩნიცა. მის მაგივრად ვეებერთელა ერბოკვერცხიანი ტაფა გამოჰქონდათ. მეზღვაურს კი ზურგზე იალქნიანი ანძა ეკიდა. ვაჭარი სტარიკოვი ამაოდ ყვიროდა, პატენტი მახრჩობსო. აგაფია ტიხონოვნას იგი არ მოეწონა. აგაფია ცოლად სტეპანს გაჰყვა და ორივენი ერბო-კვერცხის ჭამას შეუდგნენ, რომელიც ლაქიად ქცეულმა პოდკოლესინმა მიართვა. კოჩკარიოვმა და ფიოკლამ კუპლეტები იმღერეს ჩემბერლენსა და ალიმენტზე, ბრიტანელი მინისტრი რომ გერმანიას ახდევინებდა. ესმარხის ქილებზე დასასრული დაუკრეს. ფარდა დაიხურა და დარბაზს ისევ სიგრილე მოჰბერა.

- სპექტაკლით კმაყოფილი ვარ, - თქვა ოსტაპმა, - სკამები მთელია, მაგრამ უნდა ავჩქარდეთ, თორემ, აგაფია ტიხონოვნა თუ მაგ სკამებს ყოველდღე ასე დაასკდა, მალე წირვას გამოუყვანს.

მოდურ პიჯაკებში გამოწყობილი ახალგაზრდები იცინოდნენ, ერთმანეთს ეჯაჯგურებოდნენ და ნივთიერი და ხმოვანი გაფორმების სიფაქიზეზე მსჯელობდნენ.

- აბა, - თქვა ოსტაპმა, - თქვენ, კისუნი, ნანა ქენით. დილით ადრიანად ბილეთებზე უნდა დავდგეთ. თეატრი შვიდ საათზე ჩქარი მატარებლით ნიჟნიში მიდის, ასე რომ, თქვენ ორი მაგარი დასაჯდომი ადგილის ბილეთები აიღეთ ნიჟნამდე, კურსკის რკინიგზაზე. არა გვიშავს - გავძლებთ, სულ ერთი ღამის გზაა.

მეორე დღეს მთელი კოლუმბის თეატრი კურსკის სადგურის ბუფეტში იჯდა. სამბიევიჩ-სინდიევიჩმა მოახერხა, რომ ნივთიერი გაფორმება იმავე მატარებლით წაეღოთ. ახლა მაგიდასთან იჯდა და საუზმობდა. მას ლუდში ულვაშები დაუსველდა და მონტიორს შეშფოთებით ჰკითხა: - ჰიდრავლიკურ წნეხს გზაში ხომ არ დაგვიმტვრევენ?

- მაგ წნეხმა სული ამომართვა! - მიუგო მეჩნიკოვმა, - მუშაობით ხუთ წუთს ვამუშავებთ, თრევით კი მთელი ზაფხული თან უნდა ვათრიოთ.

- „დროის პროჟექტორის“ თრევა უფრო გეადვილებოდა? დაგავიწყდა, პიესა „იდეოლოგიის ფხვნილს“ რომ ვდგამდით?

- რა თქმა უნდა, უფრო მიადვილდებოდა. მართალია, პროჟექტორი უფრო დიდი იყო, მაგრამ ასე ადვილად არ იმტვრეოდა.

მეზობელ მაგიდას სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი ეჯდა, რომელსაც მაგარი, კეგლის ბურთებივით კრიალა ფეხები ჰქონდა. ეგ აგაფია ტიხონოვნა იყო. მის გარშემო ხმოვანი გაფორმება - გალკინი, პალკინი, მალკინი, ჩალკინი და ზალკინდი ფუსფუსებდნენ.

- გუშინ ხმა ვერ ამიწყვეთ, - ჩიოდა აგაფია ტიხონოვნა, - კინაღამ ჩამოვვარდი.

- რა გვექნა? - აყაყანდა მთელი ხმოვანი გაფორმება, - ორი ქილა გაგვისკდა.

- ესმარხის საზღვარგარეთულ ქილებს ახლა სად იშოვი! - ყვიროდა გალკინი.

- ერთი სახმედვაჭრობაში შებრძანდით! ესმარხის ქილებს კი არა, თერმომეტრს ვერ იშოვით! - მხარი აუბა პალკინმა.

- ნუთუ თქვენ თერმომეტრებზეც უკრავთ? - ქალიშვილი შეშინდა.

- არა, თერმომეტრებზე ჩვენ არ ვუკრავთ, - შენიშნა ზალკინდმა, - მაგრამ ამ წყეული ქილების გადამკიდე, პირდაპირ ავად ვხდებით და სიცხის გაზომვა გვიწევს ხოლმე.

სპექტაკლის ავტორი და მთავარი რეჟისორი ნიკ. სესტრინი ცოლთან ერთად პერონზე სეირნობდა. პოდკოლესინმა და კოჩკარიოვმა სამ-სამი ჭიქა არაყი ხუხეს და ჟორჟეტა ტირასპლსკიხს ერთმანეთს ეცილებოდნენ.

კონცესიონერები მატარებლის გასვლამდე ორი საათით ადრე მოვიდნენ და სადგურის წინ რომ სკვერი იყო, იმის გარშემო უკვე ხუთი რეისი გააკეთეს.

იპოლიტ მატვეევიჩს თავი უბრუოდა. სკამებზე ნადირობა გადამწყვეტ სტადიაში შედიოდა. გახურებულ ფილაქანზე დაგრძელებული ჩრდილები გაწოლილიყვნენ. სველ, ოფლიან სახეებს მტვერი ეკრობოდა. მისრიალებდნენ ეტლები. ბენზინის სუნი იდგა. დაქირავებული მანქანებიდან მგზავრები ჩამოდიოდნენ. მათკენ ერმაკ ტიმოფეევიჩები გარბოდნენ და ჩემოდნებს იტაცებდნენ. ბრწყინავდნენ მზეზე ერმაკ ტიმოფეევიჩების ბალთები. შორეულ მგზავრობათა მუზა ადამიანებს ყელში უჭერდა.

- აბა, ჩვენც წავედით, - თქვა ოსტაპმა.

იპოლიტ მატვეევიჩი მორჩილად დაეთანხმა, მაგრამ მოულოდნელად კუბოების ოსტატს, ბეზენჩუკს შეეჯახა.

- ბეზენჩუკ?! - განცვიფრებით წარმოთქვა მან, - აქ საიდან გაჩნდი?

ბეზენჩუკმა ქუდი მოიხადა და, სიხარულით ატანილი, გაქვავდა.

- ბატონო ვორობიანინოვ! - შეჰყვირა მან, - დიდება და პატივი ძვირფას სტუმარს!

- სხვა, როგორაა საქმეები?

- საქმეები ცუდადაა, - მიუგო კუბოების ოსტატმა.

- რა დაგემართა?

- კლიენტი საძებარი გახდა. კლიენტი არ ჩანს.

- „ნიმფა“ გართმევს?

- სად შეუძლია, „ნიმფა“ მე რას წამართმევს! შემთხვევები აღარაა. თქვენი სიდედრის შემდეგ მარტო „პიერი და კონსტანტინე“ ჩაბარდა პატრონს.

- რას მეუბნები, მართლა მოკვდა?

- აღესრულა, იპოლიტ მატვეევიჩ. საკუთარ პოსტზე აღესრულა. ჩვენს აფთიაქარს, ლეოპოლდს პარსავდა და სული განუტევა. ხალხი ამბობდა, შიგნეული გაუსკდაო, მე კი მგონია, იმ აფთიაქარის წამლები იყნოსა და ვეღარ გაუძლო.

- ე-ჰე-ჰე-ჰე! - ბურტყუნებდა იპოლიტ მატვეევიჩი, - ე-ჰე-ჰე-ჰე! მერე შენ დამარხე?

- მე დავმარხე. მაშ, ვინ დამარხავდა?! განა „ნიმფა“, ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, ფოჩის გამკეთებელია?

- მაშ, აჯობე, ხომ?

- ვაჯობე. ოღონდ მერე მცემეს. კინაღამ გული გამიხეთქეს. ჩემი თავი მილიციამ გამოჰგლიჯა. ორი დღე ვიწექი და სპირტით ვწამლობდი.

- იზელავდი?

- ჩვენ დაზელვა არ გვესაჭიროება.

- აქ რაღამ მოგიყვანა?

- საქონელი ჩამოვიტანე.

- რა საქონელი?

- ჩემი საქონელი. ნაცნობი გამყოლი დამეხმარა და საფოსტო ვაგონით მუქთად ჩამომატანინა. ეს იგი, ნაცნობობით.

იპოლიტ მატვეევიჩმა ახლაღა დაინახა, რომ ბეზენჩუკის უკან, მიწაზე, კუბოების გროვა ეწყო. კუბოები ზოგი ფოჩებიანი იყო, ზოგიც - ისე. ერთი კუბო იპოლიტ მაეტვეევიჩმა მაშინვე იცნო. ეს ბეზენჩუკის ვიტრინის, მუხის დიდი დამტვერილი კუბო იყო.

- რვა ცალია, - კმაყოფილად წარმოთქვა ბეზენჩუკმა, - ერთიმეორეზე უკეთესია. ნამდვილი შუშა კიტრებია.

- შენი საქონელი აქ ვის უნდა? აქ საკუთარი სახელოსნოები ჰყოფნით.

- მერედა გრიპი?

- რომელი გრიპი?

- ეპიდემია. პრუსისმა მითხრა, მოსკოვში გრიპი ბობოქრობს, კუბოები აღარ ჰყოფნითო. მთელი მასალა დაეხარჯათო. ჰოდა, მეც ვიფიქრე, ცოტა წელში გავიმართები-მეთქი.

ოსტაპი ცნობისმოყვარეობით ისმენდა მთელ ამ საუბარს. ახლა კი ჩაერია: - ყური მიგდე, შენ, მამილო, გრიპი აქ კი არა, პარიზში ბობოქრობს.

- პარიზში?

- ჰო! პარიზში წადი. იქ გამდიდრდები. ესაა, ცოტა ვიზის საქმე გაგიხლაფორთდება, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. თუ ბრიანმა შეგიყვარა, ღმერთივით იცხოვრებ: პარიზის მუნიციპალიტეტის ლეიბ-მეკუბოვედ მოეწყობი. აქ კი საკუთარი მეკუბოეებიც ბევრი ჰყავთ.

ბეზენჩუკმა თვალები მხეცივით დააბრიალა, მართლაც, პრუსისს ტყუილი ეთქვა. მოედანზე გვამები არსად ეყარა, ხალხი მხნედ გამოიყურებოდა და ზოგი კიდეც იცინოდა.

მატარებელმა წაიყვანა კონცესიონერებიც, კოლუმბის თეატრიც და სხვებიც, ბეზენჩუკი კი კიდევ დიდხანს იდგა გაშტერებული თავის კუბოებთან. ჩამოწოლილ სიბნელეში მისი თვალები ყვითელი, ჩაუქრობელი ალივით ელავდა.

ნაწილი მესამე. მადამ პეტუხოვას განძეული

31. ჯადოსნური ღამე ვოლგაზე

ვოლგის სახელმწიფო სამდინარო მეურნეობის დებარკადერებთან, მარცხნივ, დიდი კომბინატორი გაჩერებულიყო. იქვე მისი მეგობარი და უახლოესი თანაშემწე კისა ვორობიანინოვი იდგა. მათ თავზე კი ასეთი წარწერა მოჩანდა: „გამოიყენე რგოლები. გაუფრთხილდი მოაჯირს, კედელს ნუ მიეკარები“.

გემთმისადგომზე ბაირაღები ფართქუნებდა. გემების მილებიდან ფერადი ყვავილოვანი კომბოსტოსავით ხუჭუჭა ბოლი ამოდიოდა. 82-ე დებარკადერთან გემ „ანტონ რუბინშტეინს“ ტვირთავდნენ. მტვირთავები ბამბით სავსე ბარდანებს რკინის კეტებს ურჭობდნენ. ნავმისადგომებზე თუჯის კასრები ჩაემწკრივებინათ. ეყარა სველი, დამარილებული ტყავები, მავთულის ხვეულები და ძნის შესაკვრელი კანაფის გორგალები; ეწყო მინით სავსე ყუთები და ორფეროვანი სასოფლო-სამეურნეო მანქანები; მოჩანდა ხის ორთითები, ბლით სავსე, ჯვალოთი შემოკერილი კალათები და ქაშაყიანი კასრები. „სკრიაბინი“ კი არსად ჩანდა, და იპოლიტ მატვეევიჩს ეს ძალიან აწუხებდა.

- ნეტავ, რად შფოთავთ? - ჰკითხა ოსტაპმა, - წარმოიდგინეთ, ვითომ „სკრიაბინი“ აქაა. მერე? ზედ როგორ ახვალთ? ბილეთების საყიდელი ფულიც რომ გვქონდეს, მაინც ვერაფერს გავახერხებდით. ეგ გემი მგზავრებს არ იღებს.

ოსტაპმა ჯერ კიდევ მატარებელში მოასწრო და ჰიდროწნეხის გამგეს, მონტიორ მეჩნიკოვს მოელაპარაკა. მისგან ყველაფერი შეიტყო. გემი „სკრიაბინი“, რომელიც ფინსახკომს დაექირავებინა, ნიჟნიდან ცარიცინამდე უნდა ჩასულიყო, ყოველ ნავმისადგომში უნდა გაჩერებულიყო და მომგებიანი სესხის ტირაჟი ჩაეტარებინა. ამისთვის მოსკოვიდან მთელი დაწესებულება დაძრულიყო: გემზე სატირაჟო კომისიაც იყო, კანცელარიაც, სასულე ორკესტრიც, კინოოპერატორიც, ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებიცა და კოლუმბის თეატრიც. თეატრს გზადაგზა ისეთი პიესები უნდა დაედგა, რომელიც სახელმწიფო სესხებს პოპულარობას მოუხვეჭდა. სტალინგრადამდე თეატრი სატირაჟო კომისიის ხარჯზე იყო, მერე კი, საკუთარი პასუხისმგებლობით, კავკასიისა და ყირიმში საგასტროლო მოგზაურობას და „ქორწინების“ ჩვენებას აპირებდა.

„სკრიაბინმა“ დაიგვიანა. ხმები დადიოდა, საღამომდე არც მოვა, ჯერჯერობით დოკშია და ამზადებენო. მოსკოვიდან ჩამოსულ აპარატს მეტი რაღა დარჩენოდა და გემის მოლოდინში ნავმისადგომზე ბანაკი მოაწყო.

ნაზი ქმნილებანი, თან პატარა ჩემოდნები და პორტპლედები რომ ჰქონდათ, მავთულის ხვეულებზე ისხდნენ, თავიანთ უნდერვუდებს სდარაჯობდნენ და მტვირთავებისკენ შიშმორეულნი იყურებოდნენ. დოლაბზე იისფერწვერიანი მოქალაქე ჩამომჯდარიყო. მას მუხლებზე პატარა, მომინანქრებული დაფები ელაგა. ზედა დაფაზე ცნობისმოყვარე კაცი ამ სიტყვებს ამოიკითხავდა: ურთიერთანგარიშგების განყოფილება

ტუმბოიანი საწერი მაგიდები და სხვა, უფრო უბრალო მაგიდები ერთმანეთზე დაეწყოთ. დაბეჭდილ ცეცხლგამძლე კარადასთან ყარაული დასეირნობდა. „სტანოკის“ წარმომადგენელი პერსიცკი ბაზრობის ტერიტორიას ცეისის რვაჯერ გამადიდებელი ბინოკლით ზვერავდა.

„სკრიაბინი“ დინებას ებრძოდა და ნავმისადგომისკენ მოდიოდა. მის ქიმზე ფანერის ფარები იდგა, რომლებიც ცისარტყელისფერ, გიგანტურ ობლიგაციებს გამოხატავდა. გემმა დაიბღავლა და მამონტის, ან, იქნებ, რომელიმე სხვა ცხოველის ხმას მიბაძა, - ცხოველისა, რომელიც პრეისტორიულ ეპოქაში გემის საყვირების მაგივრობას სწევდა.

ფინანსურ-თეატრალური ბანაკი გამოცოცხლდა. ქალაქიდან ჩამოსასვლელ კიბეზე ტირაჟის მოსამსახურეები ჩამორბოდნენ. გემისკენ მტვრის ღრუბელში გახვეული, სქელი პლატონ პლაშჩუკი მიგორავდა. დუქან „ტივიდან“ გალკინი, პალკინი, მალკინი, ჩალკინი და ზალკინდი გამოცვივდნენ. აკრობატიკის ინსტრუქტორმა ჟორჟეტა ტირასპოლსკიხმა მოვარჯიშის ნაბიჯით აირბინა გემის საფეხურები. ნივთიერ გაფორმებაზე ზრუნვით აღტყინებული სიმბიევიჩ-სინდიევიჩი ხელებს ხან კრემლის სიმაღლეებისკენ აღაპყრობდა, ხან კიდევ ხიდურაზე აღმართული კაპიტნისკენ. კინოოპერატორმა თავისი აპარატი ბრბოს თავზე გადაატარა და გზადაგზა ერთხელ კიდევ მოითხოვა, ლაბორატორიის მოსაწყობად ოთხადგილიანი კაიუტა მომეცითო.

საერთო ორომტრიალში იპოლიტ მატვეევიჩი სკამებთან მიიპარა, თავი ვეღარ შეიკავა და ერთი სკამი კინაღამ გვერდზე გააცოცა.

- სკამს ხელი უშვით! - დასჭექა ბენდერმა, - მთლად შეიშალეთ? ეგრე ერთ სკამს წავიღებთ და სხვებს კი სამუდამოდ დავკარგავთ: სჯობდა, ის მოიფიქროთ, გემზე როგორ ავიდეთ.

დებარკადერზე სპილენძის საყვირებჩამოკიდებულმა მუსიკოსებმა გაიარეს. ისინი ზიზღით მისჩერებოდნენ საქსოფონებს, ფლექსოტონებს, ლუდის ბოთლებსა და ესმარხის ქილებს, რომლებითაც ხმოვანი გაფორმება შეიარაღებულიყო.

სატირაჟე ბორბლები ფორდის მანქანით მოიტანეს. ეს რთული კონსტრუქცია იყო, რომელიც ექვსი მბრუნავი ცილინდრისგან შედგებოდა და სპილენძითა და მინით ბრწყინავდა. ამ კონსტრუქციის ქვედა გემბანზე დადგმას ბევრი დრო მოუნდა.

ბრახაბრუხი და ღრიანცელი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

სატირაჟე დარბაზში ესტრადას მართავდნენ. კედლებზე პლაკატები და ლოზუნგები მიაჭედეს, მომსვლელებისთვის ხის გრძელი სკამები დადგეს, სატირაჟე ბორბლებს კი ელექტრომავთულები მიაბეს. საწერი მაგიდები გემის კიჩოზე დაიდგა; მემანქანეების კაიუტიდან ხან სიცილი და ხანაც საბეჭდი მანქანების ტკაცუნი ისმოდა. იისფერწვერიანი ფერმკრთალი კაცი გემის მთელ სიგრძეზე დააბიჯებდა და ყველა კარზე შესაფერ მომინანქრებული დაფებს ჰკიდთებდა: ურთიერთანგარიშგების განყოფილება

პირადი მაგიდა

საერთო კანცელარია

სამანქანო განყოფილება

მოზრდილ დაფებს წვერიანი მამაკაცი უფრო პატარებს უსადაგებდა.

უსაქმოდ ნუ შემოხვალთ

მიღება არ არის

გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია

ყველა ცნობა მოითხოვეთ რეგისტრატურაში

პირველი კლასის სალონში ფულის ნიშნებისა და ბონების გამოფენა მოაწყვეს. ამან გალკინის, პალკინის, მალკინის, ჩალკინისა და ზალკინდის უღრმესი აღშფოთება გამოიწვია.

- ჩვენ სადღა ვისადილოთ ხოლმე? - ღელავდნენ ისინი, - წვიმა რომ მოვიდეს?

- ოჰ, - უთხრა ნიკ. სესტრინმა თავის თანაშემწეს, - მეტი აღარ შემიძლია! როგორ ფიქრობ, სერიოჟა, ხმოვანი გაფორმება ჩვენთვის აუცილებელია?

- რას ბრძანებთ, ნიკოლაი კონსტანტინოვიჩ! მსახიობები რიტმს მიეჩვივნენ.

ამ დროს ახალი ალიაქოთი ატყდა. ხუთეულმა იყნოსა, რომ სპექტაკლის ავტორს ოთხივე სკამი თავის კაიუტაში წაეღო.

- კარგია, ძალიან კარგია, - ირონიულად ამბობდა ხუთეული, - ჩვენი რეპეტიციები ხის ნარებზე უნდა ჩავატაროთ, ნიკოლაი კონსტანტინოვიჩი და მისი ცოლი გუსტა კი ოთხ სკამზე გაიჭიმებიან. თუმცა გუსტას ჩვენს კოლექტივთან არანაირი დამოკიდებულება არა აქვს. იქნებ, ჩვენც გვინდა, რომ მოგზაურობაში ცოლები თან გვახლდნენ?

ნაპირიდან სატირაჟე გემს გაბოროტებული დიდი კომბინატორი მისჩერებოდა.

მის ყურთასმენას ყვირილის ახალმა ტალღამ უწია.

- რატომ თავის დროზე არ მითხარით?! - ყვიროდა კომისიის წევრი.

- რა ვიცოდი, თუ ავად გახდებოდა?!

- ეშმაკმა იცის, აქ რა ხდება! რაკი ასეა, რაბის-ში მიბრძანდით და მოითხოვეთ, სასწრაფოდ სხვა მხატვარი გამომიგზავნეთ-თქო.

- ახლა სადღა მივბრძანდე? უკვე ექვსი საათია. რაბისი დიდი ხანია, ჩაიკეტა, გემი კი ნახევარ საათში გავა.

- მაშინ, თქვენ თვითონვე ხატეთ. თქვენ ხომ იკისრეთ პასუხისმგებლობა გემის გაფორმებაზე? კეთილი ინებეთ და როგორც გენებოთ, ტყავი ისე გაიძრეთ.

ოსტაპი უკვე კიბეზე მიქროდა და გზადაგზა მტვირთავებს, ქალიშვილებს და უბრალო ცნობისმოყვარეებს მუჯლუგუნებს ჰკრავდა. შესასვლელთან იგი დააკავეს: - საშვები!

- ამხანაგო! - დაიბღავლა ოსტაპმა, - თქვენ, თქვენ! ჩასუქებულო! მხატვარი გჭირდებათ?

ხუთი წუთის შემდეგ დიდი კომბინატორი თეთრ კაიუტაში, მცურავი ტირაჟის ჩასუქებული გამგის პირდაპირ იჯდა და სამუშაოს პირობებზე უთანხმებოდა.

- მაშასადამე, ამხანაგო, - ეუბნებოდა ჩასუქებული, - აი, ჩვენ თქვენგან რას მოვითხოვთ; მხატვრული პლაკატები და წარწერები უნდა გაგვიკეთოთ და ტრანსპარანტი უნდა დაგვიმთავროთ. ჩვენმა მხატვარმა დაიწყო, მაგრამ ავად გახდა. აქაურ საავდმყოფოში დავაწვინეთ. ჰო, რაღა თქმა უნდა, საერთოდ, მთელ მხატვრულ ნაწილსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ. ახლა მიბრძანეთ: შეგიძლიათ იკისროთ თუ არა? ოღონდ გაფრთხილებთ - სამუშაო ბევრია.

- ვფიქრობ, რომ ამ საქმეს თავს გავართმევ. გამოცდილება არ მაკლია.

- და თქვენ შეგიძლიათ, ჩვენთან ახლავე წამოხვიდეთ?

- ეგ ცოტა ძნელი საქმეა, მაგრამ შევეცდები.

მეურნეობის გამგეს მხრებიდან უმძიმესი ტვირთი მოეხსნა. ბავშვივით გალაღებული მსუქანი კაცი თავის ახალ მხატვარს შუქმოსილი თვალებით მისჩერებოდა.

- თქვენი პირობები? - უტიფრად ჰკითხა ოსტაპმა, - მხედველობაში იქონიეთ, რომ მე დამკრძალავი კანტორა არ გახლავართ.

- პირობები სანარდოა. რაბისის ფასების მიხედვით.

ოსტაპმა შუბლი შეიჭმუხნა, რაც მას დიდ ჯაფად დაუჯდა.

- გარდა ამისა, მუქთა კვება გექნებათ, -სწრაფად დაუმატა სქელუამ, - და ცალკე კაიუტაც.

- რა გაეწყობა, - ამოოხვრით უთხრა ოსტაპმა, - თანახმა ვარ, მაგრამ მე თან ერთი ბიჭი - ასისტენტი მახლავს.

- მაგის შესახებ კი რა მოგახსენოთ, ბიჭისთვის კრედიტი არ მოუციათ, თუ თქვენ შეინახავთ, მაშინ - დიდი სიამოვნებით. დაე, თქვენსავე კაიუტაში იცხოვროს.

- ეგეც თქვენი ნება იყოს, ისე ძალიან გამრჯე ბიჭუნა კია. სპარტანულ ცხოვრებას მიჩვეულია.

ოსტაპმა თავისთვის და მარჯვე ბიჭისთვის საშვები მიიღო, ჯიბეში კაიუტის გასაღები ჩაიდო და სიცხისგან გახურებულ გემბანზე ავიდა. გასაღების შეხებაზე იგი კმაყოფილებას გრძნობდა. მის მღელვარე ცხოვრებაში პირველად იყო, რომ გასაღებიც ჰქონდა და ბინაც. მხოლოდ ფული არ გააჩნდა, მაგრამ ფული აქვე, გვერდით, სკამებში იყო. დიდმა კომბინატორმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. იგი მოაჯირის გასწვრივ სეირნობდა და ნაპირზე დარჩენილ ვორობიანინოვს ველარც კი ამჩნევდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ჯერ უხმოდ ანიშნებდა, მერე გათამამდა და აჭიჭყინდა, მაგრამ ბენდერი დაყრუებულიყო. კონცესიის თავმჯდომარეს ზურგი შეაქცია და ტრიუმში ჰიდრავლიკური წნეხის ჩაშვების პროცედურას ყურადღებით მიაჩერდა.

გემის წასვლას აღარაფერი უკლდა. აგაფია ტიხონოვნა, იგივე მურა, ფეხების ბაკუნით დარბოდა თავისი კაიუტიდან კიჩოსკენ, წყალში იცქირებოდა. თავის აღტაცებას ხმამაღლა ვირტუოზ-მებალალაიკეს უზიარებდა და თავისი საქციელით სატირაჟე დაწესებულებების პატივცემულ მოღვაწეებს უხერხულობაში აგდებდა.

გემმა მეორეჯერ დაიბღავლა. საშინელმა ხმებმა ღრუბლები შესძრა. მზე ბრაზისგან გაწითლდა და ჰორიზონტს მიეფარა. ქალაქის ზედა მხარეს ლამპები და ფანრები აანთეს. პოჩაევის ხევის ბაზრიდან გრამოფონების ხიხინი მოისმა. გრამოფონები უკანასკნელი მყიდველების თვალწინ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გაბრუებული და ეულად შთენილი იპოლიტ მატვეევიჩი რაღაცას ყვიროდა, მაგრამ რას, არ ისმოდა. ამწეს ჭრიალი ყველა სხვა ხმას ანადგურებდა.

ოსტაპ ბენდერს ეფექტები უყვარდა. მან იპოლიტ მატვეევიჩი მხოლოდ მესამე საყვირის წინ გაიხსენა, როცა ბერიკაცი უკვე დარწმუნებული იყო, ბედის ანაბარა მიმატოვესო, და მიაძახა: - რა დანიშნულივით გაშეშებულხართ? მე მეგონა, უკვე დიდი ხანია, გემზე ამოვიდა-მეთქი. ახლა ბოგირებს აიღებენ. ჩქარა, გამოიქეცით! ეგ მოქალაქე გამოუშვით! აი, მაგის საშვები.

იპოლიტ მატვეევიჩი კინაღამ ატირდა და გემზე ავარდა.

- თქვენი ბიჭუნა ეს არის? - იჭვით ჰკითხა მეურნეობის გამგემ.

- ეს გახლავთ, - უთხრა ოსტაპმა, - რა, ცუდი ბიჭია? ვინც დამიმტკიცებს, ეგ ბიჭი კი არა, გოგოაო, მზად ვარ, იმწამსვე ჩამქოლოს!

სქელმა კაცმა წარბები შეიკრა და წავიდა.

- აბა, კისა, - უთხრა ოსტაპმა, - დილიდანვე საქმეს უნდა შევუდგეთ. საღებავების გახსნას, იმედია, შეძლებთ. კიდევ - აი, რა, მე მხატვარი ვარ, ვხუტემასი დავამთავრე. თქვენ კი ჩემი მოწაფე ბრძანდებით. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ასე არაა, გიჯობთ, ახლავე ნაპირზე გაბრუნდეთ.

კიჩოს ქვეშიდან მომწვანო-მოშავო ქაფი გამოიჭრა. გემი შეტორტმანდა. სპილენძის თეფშები აზრიალდა. ფლეიტებმა, კორნეტებმა, ტრომბონებმა და ბასებმა საუცხოო მარში დაუკრა. ქალაქი დატრიალდა და რხევით მარცხენა ნაპირზე გადაბარგდა, გემი კი დინებას დაჰყვა, აცახცახდა და სწრაფად გაქანდა სიბნელეში. უკან ვარსკვლავები, ლამპები და ნავსადგურის მრავალფეროვანი ნიშნები ციმციმებდა. ერთი წუთის შემდეგ გემი უკვე ისე შორს იყო, რომ ქალაქის სინათლეები ერთ ადგილზე გაყინული რაკეტის ნაკვალევს დაემსგავსა.

უნდერვეუდების ბურტყუნი ძლივსღა ისმოდა. ბუნებამ და ვოლგამ თავისი გაიტანა. ვინც კი „სკრიაბინით“ მიცურავდა, ყველა განცხრომას მიეცა. სატირაჟე კომისიის წევრები ჩაის ნება-ნება სვამდნენ. ადგილკომის პირველ სხდომაზე, გემის ცხვირთან რომ გაიმართა, სინაზე მეფობდა. რბილი ქარი ისე ძალუმად სუნთქავდა, წყალი ისე რბილად ჭუკჭუკებდა ქიმთან, ხოლო გემის გასწვრივ ნახირების კონტურები ისე სწრაფად გარბოდა, რომ ადგილკომის თავმჯდომარემ - სრულიად დადებითმა ადამიანმა, - პირი გააღო და იმის ნაცვლად, რომ ამ უჩვეულო გარემოცვაში მოქცეულ ადამიანთა შრომის პირობებზე ელაპარაკა, ყველასთვის და თვით საკუთარი თავისთვის მოულოდნელადაც, სიმღერა წამოიწყო: მიჰყვებოდა გემი ვოლგას,

ვოლგას - დედა-მდინარეს...

სხდომის ყველა მკაცრი მონაწილე მყისვე აჰყვა და მისამღერი დააქუხეს: იასა-ა-მანი ყვა-ა-ვის...

ადგილკომის თავმჯდომარის მოხსენებაზე რეზოლუცია არც კი დაუწერიათ. პიანინოს ხმები ისმოდა. მუსიკალური თანხლების გამგის ხ. ივანოვის ინსტრუმენტი მეტად ლირიკულ ნოტებს გამოსცემდა. ვირტუოზი-მებალალაიკე მუროჩკას ასტორღიალებოდა და, რაკი სიყვარულის გამოსათქმელად საკუთარი სიტყვები ვერ ეპოვა, რომანსის სიტყვებს უმეორებდა: - ნუ მიმატოვებ, მხურვალეა შენი კოცნა, ჯერ არ დავღლილვარ ვნებიანი შენი ალერსით. მთიან ხევებში ჯერ ღრუბლებს არ გაუღვიძიათ, ცისკიდურზე ჯერაც არ ჩამქრალა ვარსკვლავთა მარგალიტები...

სიმბიევიჩ-სინდიევიჩი სახელურს ჩასჭიდებოდა და ცის უფსკრულს მისჩერებოდა. ცასთან შედარებით „ქორწინების“ ნივთიერი გაფორმება მას აღმაშფოთებელ ღორობად ეჩვენებოდა და ზიზღით აცქერდებოდა საკუთარ ხელებს, კლასიკური კომედიის ნივთიერ გაფორმებაში ოდესღაც მხურვალე მონაწილეობას რომ იღებდნენ.

როცა საერთო ნეტარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, გემის ბოლოში მოყუჩებულმა გალნკინმა, პალკინმა, მალკინმა, ჩალკინმა და ზალკინდმა სააფთიაქო-სალუდხანო ხელსაწყოები მოიმარჯვეს და შემოჰკრეს. მათ რეპეტიცია ჰქონდათ. მირაჟი მყისვე

გაქრა. აგაფია ტიხონოვნამ დაამთქნარა, შეყვარებულ ვირტუოზს ზედაც აღარ შეხედა და დასაძინებლად წავიდა. ადგილკომელების სულში ისევ შრომითი ხელშეკრულებანი აჟღერდნენ. ადგილკომელები რეზოლუციას მიუბრუნდნენ. სიმბიევიჩ-სინდიევიჩმა ბევრი იფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, ,,ქორწინების" გაფორმება არც ისე ცუდიაო. სიბნელიდან ანჩხლი ხმა ჟორჟეტა ტირასპოლსკიხს რეჟისორთან სათათბიროდ უხმობდა, სოფლებში ძაღლები აყეფდნენ. აგრილდა.

პირველი კლასის კაიუტაში, ტყავის დივანზე გადაწოლილი ოსტაპი ფიქრიანად მისჩერებოდა კორპის ქამარს, რომელსაც მწვანე ტილო ჰქონდა შემოკრული და იპოლიტ მატვეევიჩს ეკითხებოდა: - ხატვა იცით? ძალიან დასანანია. სამწუხაროდ, მეც არ ვიცი.

ცოტა ხანს იფიქრა და განაგრძო: - არც ასოების ხატვა იცით? ნუთუ არც ეს იცით? რა გვეშველება?! ჩვენ ხომ მხატვრები ვართ! მაშ, ორ დღეს თუ ვითაღლითებთ, მერე გაგვყრიან. ამ ორ დღეში ყველაფერი უნდა მოვასწროთ. მდგომარეობა ცოტათი გართულდა. მე გავიგე - სკამები რეჟისორის კაიუტაში ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, საშიში ამაში არაფერია. მთავარი ის არის, რომ ჩვენ გემზე ვართ. სანამ აქედან გადაუყრივართ, ყველა სკამი უნდა გავსინჯოთ, მაგრამ დღეს უკვე გვიანია. რეჟისორს თავის კაიუტაში სძინავს.

32. უწმინდური წყვილი

ადამიანებს ჯერ ისევ ეძინათ, მდინარე კი ცოცხლობდა, როგორც დღისით. მასზე ტივები - მორების ვეებერთელაქოხებიანი მინდვრები იძვროდა. პატარა, ფიცხი ბუქსირი, რომელსაც ბორბლის ფარზე რკალისებურად სახელი ,,ქარიშხალთა მბრძანებელი" ეწერა - ნავთობის სამ, ერთიმეორეზე გადაბმულ ბირჟას მიათრევდა. ქვევით სწრაფმა საფოსტო გემმა ,,წითელმა ლატვიამ" ჩაირბინა. ,,სკრიაბინმა" მიწისამომღებ ქარავანს გაუსწრო. მდინარის სიღრმის გასაზომად ჭრელი ჭოკი ჩაუშვეს. გემმა რკალი მოხაზა და გეზი მდინარეების წინააღმდეგ აიღო.

მგზავრები იღვიძებდნენ. გემიდან ,,ბარმინოს" ნავმისადგომისკენ გირმობმული კანაფი ისროლეს. ამ ანკესით ნავსადგურელებმა მისაბმელი თოკის სქელი ბოლო დაითრიეს და გემის ხრახნები უკუღმა დატრიალდა. მდინარე შუაგულამდე მოფუთფუთე ქაფმა დაფარა. ,,სკრიაბინი" ხრახნის მკვეთრმა დარტყმებმა ააცახცახა და გემი დებარკადერს მთელი გვერდით მიეკრო. ჯერ ძალიან ადრე იყო, ამიტომ ტირაჟის დაწყება ათი საათისთვის დათქვეს.

სამუშაო დღე ,,სკრიაბინზე", ისევე, როგორც ხმელეთზე, ზუსტად ცხრა საათზე იწყებოდა. საკუთარი ჩვევებისთვის არავის უღალატია. იმათ, ვისაც ხმელეთზე სამსახურში აგვიანდებოდათ, აქაც დაიგვიანეს, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაშივე ეძინათ. ფინსახკომის შტატები ახალ გარემოცვას ძალიან მალე მიეჩვივნენ. კურიერები აქ ისევე გულგრილად ხვეტავდნენ კაიუტებს, როგორც მოსკოვში - კანცელარიებს. დამლაგებელ ქალებს ჩაი დაჰქონდათ, ქაღალდებს რეგისტრატურიდან პირადი მაგიდებისკენ დაარბენინებდნენ და ოდნავადაც არ უკვირდათ, რომ პირადი მაგიდა გემის კიჩოზე იყო, რეგისტრატურა კი - ცხვირზე.

ურთიერთანგარიშგების კაიუტაში საანგარიშოები კასტანიეტებივით ტკაცუნობდნენ, არითმომეტრები კი ღრჭიალებდნენ. კაპიტნის ხიდურასთან ვიღაც გაჯორეს.

დიდი კომბინატორი, გემბანი შიშველ ფეხებს რომ უწვავდა, შილას გრძელი, ვიწრო ნაჭრის გასწვრივ დაალაჯებდა, ზედ ლოზუნგს ათხაპნიდა. ლოზუნგის ტექსტს წამდაუწუმ ქაღალდზე ამოწმებდა.

„ყველანი - ტირაჟზე! სახელმწიფო სესხის ობლიგაცია ყოველ მშრომელს ჯიბეში უნდა ედოს“.

დიდი კომბინატორი ძალიან ცდილობდა, მაგრამ თავისი უნიჭობა მაინც ვერ დამალა. წარწერა ქვევით-ქვევით ჩაჩოჩდა და გათხუპნულ ქსოვილს, თითქოსდა, აღარაფერი ეშველებოდა. მაშინ ოსტაპმა კისა-ბიჭი მოიშველია. ქსოვილი გადააბრუნა და ისევ თხაპნა დაიწყო. ოღონდ ახლა უფრო ფრთხილობდა. სანამ ასოებს დაჯღაბნიდა, ცარციანი თითით ორი პარალელური ხაზი გაავლო. სიტყვების გამოყვანას მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა და თან უდანაშაულო ვორობიანინოვს ხმადაბლა აგინებდა.

ბიჭის მოვალეობას იპოლიტ მატვეევიჩი კეთილსინდისიერად ასრულებდა. ცხელი წყლის მოსატანად ქვევით ჩაირბინა, წებო გაათბო, პაწია ვედროში ფერადების ფხვნილი ჩაყარა, - ამასთან რამდენჯერმე დააცემინა - და სასტიკად მომთხოვნ მხატვარს თვალებში მლიქვნელურად შესციცინა. როცა ლოზუნგი მზად იყო და გაშრა კიდეც, კონცესიონერებმა იგი ქვევით ჩაიტანეს და ქიმზე მიამაგრეს.

სქელი კაცი, ოსტაპი რომ დაიქირავა, ნაპირზე გაიქცა და ახალი მხატვრის ნამუშევარი იქიდან შეათვალიერა. ლოზუნგის ასოები სხვადასხვა სისქისა და სხვადასხვა მხარეს გადაღრეცილი იყო. მაგრამ გამოსავალი არ იყო, და ისევ ამით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

სასულე ორკესტრი ნაპირზე გადავიდა და აღმაგზნებელი მარშები ჩაბერა. მუსიკის ხმებმა ჯერ ბარმინოელი ბავშვები მოიზიდა, მერე ვაშლის ბაღებიდან კაცები და ქალებიც დაიძრნენ. ორკესტრი მანამდე გრიალებდა, სანამ ნაპირზე სატირაჟო კომისიის წევრები ჩავიდოდნენ. მერე მიტინგი დაიწყო. კორობკოვის საჩაიეს პარმაღიდან მოხსენების პირველი ხმები დაირხა. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობას შეეხებოდა.

კოლუმბიელები კრებას გემიდან მისჩერებოდნენ. აქედან კარგად მოჩანდა დედაკაცების თეთრი თავსაფრები. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და - დედაკაცები პარმაღიდან კარგა მოშორებით გაჩერებულიყვნენ. მოჩანდა მამაკაცების გაქვავებული ბრბო, ორატორს რომ უსმენდა, და თვით ორატორიც ჟამიდან ჟამზე ხელებს რომ იქნევდა. შემდეგ ისევ მუსიკის ხმები მოისმა. ორკესტრი მოტრიალდა, - დაკვრა კი არ შეუწყვეტია, - და გემის კიბისკენ წამოვიდა. მას ბრბო უკან დაედევნა.

სატირაჟო აპარატი ციფრების კომბინაციებს მეთოდურად ისროდა. ტრიალებდნენ ბორბლები. ნომრებს ხმამაღლა აცხადებდნენ. ბარმინოელები კი მისჩერებოდნენ და დუმდნენ.

ერთი წუთით ოსტაპმა მიირბინა და, რა დარწმუნდა, გემის ყველა მკვიდრი სატირაჟო დარბაზში ზისო, ისევ გემბანზე ავარდა.

- ვორობიანინოვ, - წასჩურჩულა მან, - თქვენთვის სასწრაფო მხატვრული დავალება მაქვს. პირველი კლასის კართან, დერეფანში დადექით და თუ ვინმე მოგიახლოვდეთ, ხმამაღლა იმღერეთ.

ბერიკაცი დაიბნა.

- რა ვიმღერო?

- ოჰ! რა თქმა უნდა, არა „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა!“ რაიმე ვნებიანი: „იაბლოჩკო“, ან „ლამაზი ქალი“. ოღონდ გაფრთხილებთ: თუ თქვენი არია დროზე არ წამოგიწყიათ, ვაი თქვენ მაშინ! ეს თქვენ ექსპერიმენტული თეატრი არ გეგონოთ! თავს წაგაძრობთ!

დიდი კომბინატორი შიშველი ფეხების ტყაპუნით გაიქცა ალუბლის ხის პანელით მოპირკეთებულ დერეფანში. დერეფნის ბოლოს, სარკეში ერთი წამით მისი ფიგურა გამოისახა. იგი კარზე მიკრულ წარწერას კითხულობდა: ნიკ. სესტრინი

„კოლუმბის“ თეატრის რეჟისორი

ფიგურა სარკეს მოსცილდა, მაგრამ მალე ისევ მასში გამოჩნდა. ხელში ფეხებგადაგრეხილი სკამი ეჭირა. დერეფანი გაირბინა, გემბანზე ავიდა, იპოლიტ მატვეევიჩს მზერა შეავლო და სკამი ზევით, მესაჭის კაბინაში შეიტანა. შემინულ კაბინაში არავინ იყო. ოსტაპმა სკამი კიჩოზე გაარბენინა და დამრიგებლური კილოთი წარმოთქვა: - დაღამებამდე აქ იდგეს! მე ყველაფერი მოვიფიქრე. აქ ჩვენს მეტი თითქმის არავინ მოდის ხოლმე. სკამს პლაკატები მივაფაროთ და მერე, როცა დაღამდება, არხეინად გავჩხრიკოთ.

ერთ წუთში სკამი ფანერის ნაჭრებით და შილათი დაიფარა და აღარც კი მოჩანდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ისევ ოქროს ციებ-ცხელებამ შეიპყრო.

- რაღა აქ დავდგით, ბარემ ჩვენს კაიუტაში წაგვეღო?- მოუთმენლად ჰკითხა მან, - ახლავე გამოვფატრავდით და თუ ბრილიანტები აქაა, ახლავე ნაპირზე გადავიდოდით.

- და თუ აქ არაა? მაშინ? სადღა წავიღოთ? თუ მირჩევთ, ისევ მოქალაქე სესტრინს მივუტანოთ და თავაზიანად ვუთხრათ: „უკაცრავად, ჩვენ ეს პაწია სკამი მოგპარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შიგ ვერაფერი ვიპოვეთ და ამიტომ უკანვე გიბრუნებთ. ცოტა გაფუჭებული კია, მაგრამ არა უშავს“. თქვენ ასე მოიქცეოდით. ხომ?

როგორც ყოველთვის, დიდი კომბინატორი ახლაც მართალი იყო. შეცბუნებული იპოლიტ მატვეევიჩი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გემბანიდან უვერტიურის ხმები მოისმა, რომელსაც ესმარხის ქილებსა და ლუდხანის ბატარეებზე ასრულებდნენ.

ამ დღეს სატირაჟე ოპერაციები მალე დამთავრდა. მაყურებლები ნაპირის გაყოლებით, ბორცვებზე ჩამოსხდნენ, და რომ არავინ მოელოდა, ზანგურ-სააფთიაქო ანსამბლს ხმამაღლა, აღფრთოვანებით მიესალმნენ. გალკინი, პალკინი, მალკინი, ჩალკინი და ზალკინდი ამაყად იყურებოდნენ, თითქოს ამბობდნენ - აი, ხომ ხედავთ!

თქვენ ტყუილად გვიმტკიცებდით, რომ ფართო მასები ვერ გაგვიგებდნენ! ნამდვილი ხელოვნება თავის გზას ყოველთვის გაიკვლევსო.

შემდეგ კოლუმბიელებმა იმპროვიზირებულ სცენაზე მსუბუქი, სიმღერა-ცეკვებიანი ვოდევილი გაითამაშეს. ვოდევილში ნაჩვენები იყო, ვავილამ როგორ მოიგო თხუთმეტი ათასი მანეთი და ამას რა ამბავი მოჰყვა. მსახიობებმა ნიკსესტრინისეული კონსტრუქტივიზმის ბორკილები დაწყვიტეს და ამიტომ მათი თამაში მხიარული იყო, ცეკვა - ენერგიული, სიმღერები კი - მომხიბლავი. ნაპირი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

მეორე ნორმად ვირტუოზი-მებალალაიკე გამოვიდა. ნაპირი ღიმილმა დაფარა.

„ბარინია, ბარინია, - გაიძახოდა ვირტუოზი, - სუდარინია-ბარინია!“

ბალალაიკა ამოძრავდა. მსახიობს ზურგზე გადაახტა და ახლა ზურგს უკანიდან მოისმა: „თუ ბატონს ძეწკვი ჰკიდია, საათი დაუკარგავს!“ შემდეგ ბალალაიკა ჰაერში აფრინდა და მეტად ხანმოკლე ფრენის მანძილზე რამდენიმე უძნელესი ვარიაციის შესრულება მოასწრო.

შემდეგ ჟორჟეტა ტირასპოლსკიხის ჯერი დადგა. იგი სცენაზე სარაფნიანი ქალიშვილების ჯოგს გამოუძღვა. კონცერტი რუსული ცეკვებით დაამთავრეს.

სანამ „სკრიაბინი“ ახალი რეისისთვის ემზადებოდა, კაპიტანი სამანქანო განყოფილებას ეთათბირებოდა და ღუმელში წყალი თბებოდა, სასულე ორკესტრი ისევ ნაპირზე გადავიდა და, ყველას გასახარად, საცეკვაო მუსიკა დაუკრა. ნაპირზე იმწამსვე მრავალფერი, მოძრავი ჯგუფები წარმოიქმნენ. გადახრილი მზე რბილ, გარგარისფერ შუქს გზავნიდა. კინოგადაღებას იდეალური ჟამი დაუდგა და, მართლაც, ოპერატორი პოლკანი მთქნარებით გამოვიდა კაიუტიდან. ვორობიანინოვი უკვე მიჩვეული იყო საყოველთაო ბიჭის როლს, - იგი პოლკინს უკან მოსდევდა და ფრთხილად გადამღები აპარატი მოჰქონდა. პოლკანი ქიმთან მივიდა და მზერა ნაპირს მიაპყრო. იქ, ბალახზე ჯარისკაცულ პოლკას ცეკვავდნენ. ჭაბუკები შიშველ ფეხებს ისე გაშმაგებით ურტყამდნენ მიწას, თითქოს ჩვენი პლანეტის გაპობა სწადიათო. ქალიშვილები გედებივით დაცურავდნენ. ტერასები და ჩამოსასვლელები მაყურებლებით გაჭედილიყო. „ავანგარდის“ ჯგუფის ფრანგი ოპერატორი აქ სამი დღე-ღამის სამუშაოს იშოვნიდა, მაგრამ პოლკანმა ნაპირს ვირთაგვას თვალები მოავლო, მაშინვე მოტრიალდა, სატირაჟო კომისიის თავმჯდომარესთან ჩორთით მიირბინა, თეთრ კედელთან მიაყენა, ხელში წიგნი ჩასჩარა, სთხოვა, არ გაინძრეთო, და აპარატის სახელური ფრთხილად დაატრიალა. კარგა ხანს ატრიალებდა. მერე დამორცხვებული თავმჯდომარე გემის კიჩოსკენ წაიყვანა და ახლა დაისის ფონზე გადაიღო: გადაღება რომ დამთავრდა, პოლკანი გაბღენძილი შევიდა თავის კაიუტაში და ჩაიკეტა.

ისევ აღრიალდა გემის საყვირი, და შეშინებული მზე ისევ კისრისტეხით გაუჩინარდა. მეორე ღამე ჩამოდგა. გემი წასასვლელად მზად იყო.

ოსტაპს ხვალინდელი დილის გახსენებაზე შიშით აჟრჟოლებდა. მას მუყაოს ნაჭრისგან მთესველის ფიგურა უნდა გამოეჭრა, რომელიც ობლიგაციებს თესდა. საამისო მხატვრული უნარი კი დიდ კომბინატორს აშკარად არ შესწევდა. ასოებს, ასე

თუ ისე, კიდევ როგორღაც აუდიოდა, მაგრამ მთესველის მხატვრული გამოსახვისთვის აღარანაირი შინაგანი ძალა აღარ დარჩა.

- მხედველობაში იქონიეთ, - გააფრთხილა იგი სქელმა, - ვასიუკიდან საღამოს ტირაჟებს ვიწყებთ და უტრანსპარანტობა არასგზით აღარ შეგვიძლია.

- დამშვიდდით, გეთაყვა, - მიუგო ოსტაპმა. მას დღევანდელი საღამოს იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე ხვალინდელი დილისა, - ტრანსპარანტი გექნებათ.

ქარიანი და ვარსკვლავებიანი ღამე ჩამოდგა. დაიძინა სატირაჟო კიდობნის მოსახლეობამ. დაიძინეს სატირაჟო კომისიის ლომებმა. ეძინათ პირადი მაგიდის ბატკნებს. ბუღალტერიის თხებს და ურთიერთანგარიშების განყოფილების კურდღლებს. ეძინათ ხმოვანი გაფორმების ტურებსა და აფთრებს და სამანქანო ბიუროს მტრედებს.

არ ეძინა მხოლოდ ერთ უწმინდურ წყვილს. დიდი კომბინატორი თავის კაიუტიდან ღამის პირველ საათზე გამოვიდა. უკან ერთგული კისას უხმო აჩრდილი მისდევდა. ისინი ზედა გემბანზე ავიდნენ და ფანერის ნაჭრებით დაფარულ სკამს ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ. ოსტაპმა ფრთხილად აჰყარა საფარველი, სკამი წამოაყენა, ყბები დაძაბა, მბრტყელტუჩათი საფენი აარღვია და ხელი საჯდომის ქვეშ შეყო.

ზედა გემბანზე ქარი დარბოდა. ცაში ვარსკვლავები ოდნავ შესამჩნევად ციმციმებდნენ. ფეხქვეშ, ძალიან ღრმად, შავი წყალი ლიკლიკებდა. ნაპირები ბნელს დაეფარა. იპოლიტ მატვეევიჩს აცახცახებდა.

- არის! - მოგუდული ხმით წარმოთქვა ოსტაპმა.

მამა თევდორეს წერილი,

დაწერილი ბაქოში, ავეჯით გაწყობილ ოთახში „ღირებულება“

საკუთარ მეუღლეს, სამაზრო ქალაქ №-ში.

ჩემო ძვირფასო და ფასდაუდებელო კატია. ყოველი საათი ჩვენს ბედნიერებასთან გვაახლოვებს. ახლა ყველა საქმე მოვილიე და ვწერ ავეჯით გაწყობილი ოთახიდან, რომელსაც „ღირებულება“ ჰქვია. ქალაქი ბაქო ძალიან დიდია. ამბობენ, აქ სადღაც ნავთს იღებენო, მაგრამ იქ ელექტრომატარებლით უნდა წახვიდე, მე კი ფული აღარ მაქვს. ეს ლამაზი ქალაქი კასპიის ზღვის ნაპირზეა გაშენებული. ზღვა მოცულობით მართლაც ძალიან დიდია. აქ საშინელი სიცხეები იცის. პალტო ერთი ხელით დამაქვს, პიჯაკი - მეორეთი, მაგრამ მაინც მცხელა. ხელები მიოფლიანდება. წამდაუწუმ ჩაის ვსვამ. ფული კი თითქმის სულ გამომელია, მაგრამ არა უშავს, ჩემო მტრედო, კატერინა ალექსანდროვნა, მალე უამრავი ფული გვექნება. ყველგან ვიმოგზაუროთ, მერე კი კეთილად დავსახლდეთ სამარაში, საკუთარი ქარხნის გვერდით, და ნაყენს შევექცეთ ხოლმე. მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა. ბაქო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მოსახლეობის რაოდენობით როსტოვს დიდად სჯობნის. მაგრამ მოძრაობის სიჩქარით ხარკოვს ვერ შეედრება. უცხო ერის ხალხი აქ ძალიან ბევრია, განსაკუთრებით სომხები და სპარსელები. აქედან, ჩემო დედილო, თურქეთიც ახლოსაა. ბაზარშიც ვიყავი და ბევრი თურქული ნივთი და შალი ვნახე. მინდოდა შენთვის საჩუქრად მუსლიმანური საბურველი მეყიდა, მაგრამ ფული არ მქონდა.

ჰოდა, ვიფიქრე, როცა გავმდიდრდებით (ღვთით, ეს დღეც მალე დაგვიდგება), მაშინ მუსლიმანური საბურველის ყიდვასაც მოვესწრებით-მეთქი.

ეჰ, დედილო, კინაღამ იმის მოწერა დამავიწყდა, რომ აქ, ქალაქ ბაქოში ორი საშინელი ამბავი შემემთხვა: 1) შენი ძმის, მეფუნთუშის პიჯაკი კასპიის ზღვაში ჩამივარდა, და 2) ბაზარში კუზიანმა აქლემმა მომაფურთხა. ორივე ამ შემთხვევამ ძალიან გამაოცა. რას უყურებს ხელისუფლება და გზად მიმავალი მგზავრების შეურაცხყოფის ნებას რატომ აძლევს? მით უმეტეს, რომ აქლემისთვის სულაც არ მიწყენინებია; პირიქით, ვიფიქრე, ესიამოვნება-მეთქი და ჩხირით ნესტოში შევუღიტინე. პიჯაკის დაჭერაში კი მთელი საზოგადოება დამეხმარა. როგორც იყო, ამოვიღეთ, მაგრამ მთლიანად ნავთიანი იყო! აღარც კი ვიცი, შენს ძმას, მეფუნთუშეს, რა ვუთხრა! შენ, მტრედო, ჯერჯერობით არაფერი წამოგცდეს. ევსტიგნეევი კიდევ სადილობს?

წერილი გადავიკითხე და ვხედავ, საქმეზე ვერაფრის მოყოლა ვერ მომისწრია. ინჟინერი ბრუნსი მართლაც აზნავთობში მუშაობს. მაგრამ ახლა იგი ქალაქ ბაქოში არ არის. შვებულება აუღია და ქალაქ ბათუმში წასულა. თურმე, მისი ოჯახი ბათუმში ცხოვრობს. აქ ხალხს ველაპარაკე და მითხრეს, მართლაც, მთელი ავეჯი ბრუნსს ბათუმში აქვსო. იქ, თურმე, აგარაკზე, მწვანე კონცხზე ცხოვრობს - იქ ასეთი სააგარკო ადგილი ყოფილა (ამბობენ, ძალიან ძვირიცაა). გზა აქედან ბათუმამდე თხუთმეტი მანეთი და რაღაც კაპიკები ღირს. აქ დეპეშით ოცი გამომიგზავნე, მე კი ბათუმიდან ყველაფერს გიდეპეშებ. ქალაქში ხმა გაავრცელე, ისევ ვორონეჟშია და ბიცოლას სასთუმალთან უზის-თქო.

სამუდამოდ შენი ქმარი, ფედია.

პოსტ-სკრიპტუმი. სანამ წერილს ფოსტის ყუთში ჩავაგდებდი, ოთახ „ღირებულებაში“ შენი ძმის, მეფუნთუშის პალტო მომპარეს. რა მეშველება! კიდევ კარგი, რომ ახლა ზაფხულია! შენ ძმას არაფერი უთხრა.

33. სამოთხიდან განდევნილნი

სანამ რომანის ზოგი გმირი ფიქრობდა, ხვალაც იმ თვისააო, ხოლო მეორენი შფოთავდნენ, დრო აღარ იცდისო, დრო თავისი გზით მიდიოდა. მტვრიანი მოსკოვური მაისი ისევ მტვრიანმა ივნისმა შეცვალა. სამაზრო ქალაქ №-ში ავტომობილი სახ. №1 გზაში დაზიანებულიყო, უკვე მთელი ორი კვირა სტაროპანის მოედნისა და ამხანაგ გუბერნსკის სახელობის ქუჩის შესაყარში იდგა და დროდადრო აქაურობას უმწარეს კვამლში ახვევდა. სტარგოროდის ციხიდან სათითაოდ გამოდიოდნენ შეთქმულთა ორგანიზაციის „მახვილისა და სახნისის“ დარცხვენილი წევრები. მათ ხელი მოაწერინეს - ქალაქიდან არსად წახვიდეთო. გრიცაცუევის ქვრივი (მხურვალე ქალი, პოეტის ოცნება) თავის საბაყლო საქმიანობას დაუბრუნდა და რაკი საპნის, პილპილის, ლილის და სხვა წვრილმანის ფასი თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არ ჰქონდა, თხუთმეტი მანეთით დააჯარიმეს. ამ დიდბუნებოვან ქალს ასეთი მცირე გულმავიწყობაც კი არავინ აპატია.

- არის! - ჩავარდნილი ხმით გაიმეორა ოსტაპმა, - გამომართვით.

იპოლიტ მატვეევიჩმა აცახცახებული ხელებით ხის პატარა ბრტყელი ყუთი გამოართვა. ოსტაპი სიბნელეში ისევ სკამს უტრიალებდა. სანაპიროს შუქურამ გაიბრწყინა, წყალზე ოქროს სვეტი გაწვა და გემს დაედევნა.

- ეშმაკმა წაიღოს! - წაილაპარაკა ოსტაპმა, - მეტი არაფერი არ არის.

- შშშე-უძლებელია, - წაილუღლუღა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- მოდით და თვითონვე ნახეთ. სუნთქვაშეკრული ვორობიანინოვი მუხლებზე დაეცა და ხელი სკამქვეშ იდაყვამდე შეყო. თითებით ზამბარის ფუძეს შეეხო. იქ მეტი მართლაც არაფერი იყო. სკამს აფორიაქებული მტვრის საზიზღარი სუნი ასდიოდა.

- არის? - ჰკითხა ოსტაპმა.

- არ არის.

მაშინ ოსტაპმა სკამს ხელი დაავლო და ქიმსგადაღმა, შორს მოისროლა, მოისმა მძიმე დგაფუნი. ღამის ნესტით აცახცახებული, ეჭვებით შეპყრობილი კონცესიონერები თავიანთ კაიუტაში დაბრუნდნენ.

- ასე, - თქვა ბენდერმა, - ყოველ შემთხვევაში, რაღაც ხომ ვიპოვეთ.

იპოლიტ მატვეევიჩმა ჯიბიდან ყუთი ამოიღო. ოსტაპმა დახედა: - გახსენი, რაღა! რა თვალები დაგიჭყეტია!

ყუთი გახსნეს. მის ფსკერზე სპილენძის გამწვანებული ფირფიტა იდო და ზედ ეწერა: ამ ნახევარსავარძლით

ოსტატი ჰამბსი

იწყებს ავეჯის ახალ პარტიას.

სანკტ-პეტერბურგი, 1865 წ.

ოსტაპმა ეს წარწერა ხმამაღლა ამოიკითხა.

- ბრილიანტები სადღაა? - იკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ოჰ, რა მიხვედრილი კაცი ხართ, ბატონო ტაბურეტებზე მონადირევ! ბრილიანტები, როგორც ხედავთ, არსადაა.

ვორობიანინოვისთვის რომ შეგეხედათ, სწორედ შეგეცოდებოდათ. ოდნავ მოშვებული ულვაშები უცმაცუნებდა. პენსნეს შუშები კი შეორთქლოდა. გეგონებოდათ, ეს კაცი სასოწარკვეთილებისგან საკუთარ ლოყვებს საკუთარივე ყურებით იშოლტავსო.

მაგრამ დიდი კომბინატორის ცივმა, გონივრულმა ხმამ ჩვეული მაგიური ზემოქმედება მოახდინა. ვორობიანინოვმა ხელები გამოხუნებულ ჯიბეებზე მიიკრა და ხმა გაკმინდა.

- იყუჩე, ნაღველო, და შენც იყუჩე, კისავ! ამ სულელ მერვე სკამს, შიგ რომ ეს უაზრო წარწერა ვიპოვეთ, ჩვენ ოდესმე სასაცილოდ ავიგდებთ. გემზე კიდევ სამი სკამია - ასი შანსიდან ოთხმოცდაცხრამეტი ჩვენს ხელთაა!

უკიდურესად დადარდიანებულ იპოლიტ მატყვეევიჩს ღამით ლოყაზე ვულკანისებური მუწუკი ამოუვიდა. რაც ამ კაცმა ბრილიანტებისთვის იწვალა, რაც იტანჯა და რაც მოითმინა, - ახლა ყველაფერ ამას თავი თითქოს ამ მუწუკში მოეყარა. მუწუკი სადაფივით, დაისის ალუბალივით და ქლიავივით ბრწყინავდა.

- ეგ განგებ ქენით? - ჰკითხა ოსტაპმა.

იპოლიტ მატვეევიჩმა კონველსიურად ამოიხვნეშა და, - გრძელი, ანკესის ტარივით მოხრილი, - ფერადების მოსატანად წავიდა. დაიწყეს ტრანსპარანტის კეთება. კონცესიონერები ზედა გემბანზე მუშაობდნენ.

ასე დაიწყო ცურვის მესამე დღე.

იმ დღის დაწყებისთანავე სასულე ორკესტრს სარეპეტიციო ადგილის გამო ხმოვან გაფორმებასთან მცირე შეტაკება მოუხდა.

ნასაუზმევს კიჩოსკენ ორი მხრიდან, ერთდროულად დაიძრნენ სპილენძის საყვირებიანი ტალიკ-ტალიკი ბიჭები და ესამარხის ქილებით შეიარაღებული ძვალტყავა რაინდები. კიჩოს სკამზე წამოსკუპება ყველას გალკინმა დაასწრო. იმწამსვე სასულე ორკესტრის კლარნეტმაც მიირბინა.

- ადგილი დაკავებულია, - პირქუშად უთხრა გალკინმა.

- ვინ დაიკავა? - ბოროტად ჰკითხა კლარნეტმა.

- მე, გალკინმა დავიკავე.

- კიდევ ვინ?

- კიდევ პალკინმა, მალკინმა, ჩალკინმა და ზალკინდმა.

- იოლკინი აღარ იყო? ეს ჩვენი ადგილია.

დამხმარე ძალები ორივე მხრიდან ახლოვდებოდნენ. სპილენძის გველი-გორინიჩით სამგზის წელშემორტყმული იდგა ჰელიკონი - ორკესტრის უმძლავრესი მანქანა. ირხეოდა ყურის მსგავსი ვალტორნა. ტრომბონები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. მზე ათასგზით ირეკლებოდა საომარ საჭურველზე. ხმოვან გაფორმებას ბნელი, წვრილმანი შესახედაობა ჰქონდა. იქ ბოთლის შუშა თვალებს აპაჭუნებდა; მკრთალად ანათებდნენ ტოლჩები და სასულე ინსტრუმენტის აღმაშფოთებელი პაროდია - საქსოფონი. ეს კვადრატული ფესვი ნამდვილი სასულე საყვირისა მართლაც საცოდავი იყო და ცხვირსათბობს მოგაგონებდათ.

- კლისტირის ბატალიონი ადგილზე პრეტენზიას აცხადებს, - თქვა ჩხუბისთავმა კლარნეტმა.

- თქვენ, - ზალკინდი ცდილობდა, ძალიან საწყენი რაიმე ეთქვა, - თქვენ მუსიკის კონსერვატორები ხართ.

- რეპეტიციას ნუ გვიშლით!

- ჩვენ კი არა, თქვენ გვიშლით!

- მაგ თქვენს საღამურ ჭურჭლებზე რაც ნაკლებს ივარჯიშებთ, მით უკეთესად დაუკრავთ.

- მაგ თქვენს სამოვრებზე კი ივარჯიშებთ თუ არ ივარჯიშებთ, სულ ერთია, მაინც არაფერი გამოგივათ.

რაკი ვერ შეთანხმდნენ. ორივე მხარე გაჯიუტდა და ადგილზევე დარჩა. ინსტრუმენტებს ერთმანეთის ჯიბრით აჭიჭყინებდნენ. მდინარეს ხმები მოეფინა. ასეთი ხმების გამოცემა მხოლოდ ტრამვაის თუ შეუძლია, შუშის ნამსხვრევებით მოფენილ ქუჩაზე ნელა რომ მობობღავს. სასულე ორკესტრი ლეიბ-გვარდიის კექსჰოლმის პოლკის მარშს უკრავდა, ხმოვანი გაფორმება კი - ზანგურ საცეკვაოს „ანტილობა ზამბეზის სათავეებთან“. ბოლოს საქმეში პირადად სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე ჩაერია და სკანდალი მოსპო.

თერთმეტი საათისთვის დიდი საქმე დამთავრებული იყო. ოსტაპმა და ვორობიანინოვმა ტრანსპარანტი კაპიტნის ხიდურასთან მიიტანეს. წინ მეურნეობის ქსელის გამგე გარბოდა და ხელები ვარსკვლავებისკენ აეშვირა. ტრანსპარანტი სახელურებზე საერთო ძალ-ღონით მიაბეს. იგი სამგზავრო გემბანზე ეკრანივით აღიმართა. ელექტროტექნიკოსმა ნახევარ საათში ტრანსპარანტის ზურგთან ელექტრომავთულები გაჭიმა და სამი ნათურა მოარგო. ჩამრთველის ერთი გადატრიალება და - ტრანსპარატი აბრდღვიალდებოდა.

წინ, გემის ცხვირისგან მარჯვნივ, უკვე ქალაქ ვასიუკის სინათლეები მოჩანდა.

ტრანსპარანტის ანთების ზეიმზე მეურნეობის გამგემ გემის მთელ მოსახლეობას მოუხმო. იპოლიტ მატვეევიჩი და დიდი კომბინატორი ჯერაც ჩაბნელებული ტრანსპარანტის გვერდით იდგნენ და შეკრებილებს ზევიდან გადასცქეროდნენ.

გემზე რაც არ უნდა მომხდარიყო, მცურავ დაწესებულებას ყველაფერი გულთან ახლო მიჰქონდა. მემანქანე-ქალები, კურიერები, პასუხისმგებელი მუშაკები, კოლუმბიელები და გემის ეკიპაჟი - ყველანი სამგზავრო გემბანზე შეგროვილიყვნენ და თავები ზევით აეშვირათ.

- მიდი! - გასცა სქელმა ბრძანება.

ტრანსპარანტი აინთო.

ოსტაპმა ქვევით, ბრბოსკენ ჩაიხედა. სახეებს ვარდისფერი სინათლე მოჰფენოდა.

მაყურებლებს სიცილი აუტყდათ. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და ქვევიდან მკაცრი ხმა მოისმა: - მნე სად არის?

ხმა იმდენად უფლებამოსილი იყო, რომ მნე ქვევით საფეხურების დაუთვლელად დაქანდა.

- შეხედეთ, - წარმოთქვა ხმამ, - დატკბით თქვენი ნამუშევრით.

- ახლა კი აგვთესავენ! - წასჩურჩულა ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს.

მართლაც, სქელი მნე ზედა გემბანზე ქორივით ამოფრინდა.

- აბა, რას იტყვით, როგორი ტრანსპარანტია? - უტიფრად ჰკითხა მას ოსტაპმა, - ხალხისთვის გასაგებია?

- ახლავე ბარგი შეკარით! - დაუყვირა მნემ.

- ასე საჩქარო რა არის?

- ბარ-გი შე-კა-რით! შორს აქედან! თქვენ პასუხისგებაში წახვალთ! ჩვენს უფროსს ხუმრობა არ უყვარს.

- ახლავე გააგდეთ! - მოისმა უფლებამოსილი ხმა ქვევიდან.

- არა, სერიოზულად გეკითხები, ტრანსპარანტი არ მოგწონთ? თქვენი აზრით, ტრანსპარანტი არ გამოგვივიდა?

თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ,,სკრიაბინი'' უკვე ვასიუკში გაჩერდა. გემიდან ნაპირზე მოგროვილი ვასიუკელების თავზარდაცემული სახეები მოჩანდა.

ფულზე კონცესიონერებს კატეგორიული უარი უთხრეს და უბრძანეს, ხუთ წუთში მზად იყავითო.

- ძაღლის შვილები! - თქვა სიმბიევიჩ-სინდიევიჩმა, როცა კომპანიონები ნავმისადგომზე გადადიოდნენ, - ტრანსპარანტის გაკეთება ჩემთვის უნდა დაევალებინათ, ისეთ ტრანსპარანტს შევქმნიდი, რომ მეიერჰოლდიც კი გაგიჟდებოდა.

კონცესიონერები ნავმისადგომზე გაჩერდნენ და ზევით აიხედეს. ჩაბნელებულ ცაში ტრანსპარანტი ბდღვრიალებდა.

- ჰო-ო! - წარმოთქვა ოსტაპმა, - მართლაც, ფრიად უხამსი რამაა. უბადრუკი ნახელავაია.

ჯიუტ ჯორს რომ კუდით რამე დაეჯღაბნა, ოსტაპის ტრანსპარანტთან შედარებით სამუზეუმო განძად მოგეჩვენებოდათ. ობლიგაციების მფანტავ-მთესველის ნაცვლად ოშსტაპის უკუღმართ ხელს რაღაც შაქრისთავიანი მორგვი გამოეხატა, რომელსაც ხელების მაგივრად მათრახები ეკიდა.

კონცესიონერების ზურგს უკან, ელექტრონით გაჩახჩახებულ გემზე მუსიკა გრიალებდა. წინ კი, მაღალ ნაპირზე, სამაზრო შუაღამე ჩამოწოლილიყო, ძაღლები ყეფდნენ და სადღაც, შორს, გარმონი ჭიჭყინებდა.

- აბა, ერთი მდგომარეობა ავწონ-დავწონოთ, - ხალისიანად შესძახა ოსტაპმა, - პასივი: ფული ერთი კაპიკიც არ გაგვაჩნია, სამი სკამი მდინარეს ქვევით მიაქვს, ღამის გასათევი არა გვაქვს და საბავშვო კომისიის ერთი სამკერდე ნიშანიც აღარ გვაბადია. აქტივი: თანა მაქვს ათას ცხრაას ოცდაექვს წელს გამოცემული ვოლგისპირეთის გზისმაჩვენებელი (მესიე სიმბიევიჩის კაიუტიდან ხელს გამოვაყოლე). უდეფიციტო ბალანსის შედგენა თითქმის შეუძლებელია. ღამე ნავსადგურში უნდა გავათიოთ.

ნავსადგურში კონცესიონერები ერთ ცარიელ დუქანში მოეწყვნენ. ნავთის უხეირო ფანრის სინათლეზე ოსტაპმა გზისმაჩვენებელში ამოიკითხა: „მაღალ მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ქალაქი ვასიუკი. აქედან იგზავნება ხე-ტყე, ფისი, ჭილოფი, სამაგიეროდ რკინიგზიდან 50 კილომეტრით დაშორებული მხარისთვის ფართო მოხმარების საგნები შემოაქვთ. ქალაში 8 000 მცხოვრებია, არის სახელმწიფო მუყაოს ფაბრიკა 320 მუშით, პატარა თუჯისსასხმელი, ლუდის სახდელი და ტყავის ქარხნები. ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების გარდა არის სატყეო ტექნიკუმიც“.

- ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე მეგონა, - თქვა ოსტაპმა, - ამ ვასიუკელებისთვის თუნდაც კაპიკის გაგდებინება ჯერჯერობით გადაუჭრელ ამოცანად მეჩვენება. ჩვენ კი, არანაკლები, ოცდაათი მანეთი მაინც გვჭირდება. ჯერ ერთი, საჭმელი უნდა ვიყიდოთ და, მეორეც, ამ სატირაჟო ტაშტს უნდა გავუსწროთ და კოლუმბიელებს ხმელეთზე, სტალინგრადში უნდა დავხვდეთ.

იპოლიტ მატვეევიჩი მოიკუნტა და ბებერ, გამხდარ კატას დაემსგავსა, რომელმაც ეს-ესაა, თავის ახალგაზრდა მოქიშპესთან - სახურავების, სხვენებისა და მისაყურადებელი ფანჯრების დაუოკებელ მბრძანებელთან ორთაბრძოლა გადაიხადა.

ოსტაპი დუქნების გასწვრივ დასეირნობდა და ფიქრობდა. ღამის პირველი საათისთვის დიდებული გეგმა შეადგინა. მერე კომპანიონს გვერდით მიუწვა და დაიძინა.

34. ჭადრაკის საპლანეტათაშორისო კონგრესი

დილით ვასიუკის ქუჩებში მაღალი, გამხდარი ბერიკაცი დადიოდა, რომელსაც ოქროს პენსნე ეკეთა და მოკლე, ძლიერ ჭუჭყიანი, საღებავებით გათითხნილი ჩექმები ეცვა. იგი კედლებზე ხელნაწერ აფიშებს აკრავდა: 1927 წ. 22 ივნისს

მეკარტონაჟეთა კლუბის შენობაში შედგება ლექცია თემაზე: „ნაყოფიერი სადებიუტო იდეა“ და ჭადრაკის თამაშის ერთდროული სეანსი 160 დაფაზე

გროსმაისტერი (უფროსი ოსტატი) ო. ბენდერი

თან ყველამ მოიტანეთ საკუთარი დაფები.

თამაშის ფასი - 50 კაპ. შესასვლელი ფასი - 20 კაპ.

დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე

ადმინისტრაცია კ. მიხელსონი.

უქმად დროს არც თვითონ გროსმაისტერი კარგავდა. სამ მანეთად კლუბი დაიქირავა და ჭადრაკის სექციას ეწვია. ეს უკანასკნელი რატომღაც მეცხენეობის სამმართველოს დერეფნის ბოლოში მოეთავსებინათ.

ჭადრაკის სექციაში ცალთვალა კაცი იჯდა და პანტელეევის მიერ გამოცემულ შიპლჰაგენის რომანს კითხულობდა.

- გროსმაისტერი ო. ბენდერი! - მიუგო ოსტაპმა და მაგიდას მიუჯდა, - თქვენთან ერთდროული თამაშის სეანსს ვაწყობ.

ვასიუკელმა მოჭადრაკემ ერთადერთი თვალი იმ ზომამდე დააჭყიტა, რამდენის საშუალებასაც ბუნება აძლევდა.

- ამ წუთში, ამხანაგო გროსმაისტერო! - შეჰყვირა ცალთვალამ, - დაბრძანდით, გეთაყვა! ახლავე მოვალ

ცალთვალა გაიქცა. ოსტაპმა ჭადრაკის სექციის ოთახი შეათვალიერა. კედლებზე დოღის ცხენების ფოტოსურათები ეკიდა, მაგიდაზე კი კანტორის დამტვერიანებული წიგნი იდო, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „ვასიუკოვის საჭადრაკო სექციის მიღწევები 1925 წელს“.

ცალთვალა მობრუნდა და თან სხვადასხვა ასაკის თორმეტიოდე მოქალაქე მოიყვანა. ოსტაპს ყველანი სათითაოდ მიუახლოვდნენ და გაეცნენ, - გროსმაისტერს თავიანთ გვარებს ეუბნებოდნენ და ხელს მოწიწებით ართმევდნენ.

- ყაზანში მივდივარ, გზად შემოვიარე, - ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ოსტაპი, - დიახ, დიახ, სეანსი დღეს საღამოსაა, მობრძანდით. ახლა კი მაპატიეთ, ფორმაში არა ვარ - კარლსბადის ტურნირმა ძალიან დამღალა.

ვასიუკელი მოჭადრაკეები ოსტაპს მოყვარული შვილებივით შესციცინებდნენ. ოსტაპმა აიწყვიტა. მან ახალი ძალებისა და საჭადრაკო იდეების მოზღვავება იგრძნო.

- თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიმაღლეებს მიაღწია საჭადრაკო აზრმა, - ამბობდა იგი, - ოღონდ, იცით, ლასკერი სულ გაფუჭდა, მასთან თამაში აღარ შეიძლება. მოწინააღმდეგეებს სიგარების ბოლით აბრუებს. განგებ იაფფასიან სიგარებს ყიდულობს, რომ ბოლი უფრო აუტანელი იყოს. საჭადრაკო სამყარო მეტად შეშფოთებულია.

შემდეგ გროსმაისტერი ადგილობრივ თემებზე გადავიდა: - რატომაა, რომ ჩვენს პროვინციებში საჭადრაკო აზრი მთლად გაყინულია? აი, თუნდაც, თქვენი ჭადრაკის სექცია ავიღოთ. აბა, ეს რა სახელია: ჭადრაკის სექცია! მეტად უგერგილო სახელია, გოგონებო! რატომ არ შეიძლება სექციას რაიმე ლამაზი, ჭეშმარიტად ჭადრაკული სახელი უწოდოთ? ეს ხომ სექციაში საკავშირო მასებს მოიზიდავდა. უწოდეთ თქვენს სექციას, ვთქვათ, „ოთხი მხედრის საჭადრაკო კლუბი“, ან, ვთქვათ „წითელი ენდშპილი“, ან „ტემპის მოგება ხარისხის შეწირვით“. ასე არ აჯობებს? აბა, დაუკვირდით, რა კეთილხმოვანი სახელებია!

რაკი საჭადრაკო სექციის ბიურო აქვე იყო, ოსტაპმა საპატიო თავმჯდომერეობა იკისრა, ერთწუთიანი სხდომა ჩაატარა და სექციას ერთხმად „ოთხი მხედრის ჭადკლუბი“ უწოდეს. შემდეგ გროსმაისტერმა „სკრიაბინის“ გაკვეთილები გაიხსენა და მუყაოს ნაჭრიდან ხელით ოთხი ცხენი და შესაფერისი წარწერა გამოჭრა.

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვასიუკში საჭადრაკო აზროვნების გაფურჩქვნა უნდა მოჰყოლოდა.

- ჭადრაკი! - ამბობდა ოსტაპი, - იცით, თქვენ თუ არა, რა არის ჭადრაკი? ჭადრაკი მარტო კულტურას კი არ ავითარებს, არამედ ეკონომიკასაც. თქვენ ისიც კი არ იცით,

რომ თუ საქმეს სწორად წაიყვანთ, თქვენს „ოთხი მხედრის საჭადრაკო კლუბს“ ქალაქ ვასიუკის ძირფესვიანი გარდაქმნა შეუძლია!

ოსტაპი გუშინდელი დღიდან უჭმელი იყო. ამიტომ მის ენაწყლიანობას საზღვარი არ ჰქონდა.

- დიახ! - ყვიროდა იგი, - ჭადრაკი სახელმწიფოებს ამდიდრებს. თუ ჩემს პროექტს მიიღებთ, ქალაქიდან ნავსადგურში მარმარილოს კიბით ივლით! ვასიუკი ათი გუბერნიის ცენტრად გადაიქცევა. წინათ ქალაქი ზემერინგი ვინ იცოდა? არავინ! ახლა კი პატარა ქალაქი გამდიდრდა და სახელიც გაითქვა, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ საერთაშორისო ტურნირი ჩაატარეს. აბა, დაუკვირდით, რა მომხიბლავად ჟღერს: „ვასიუკის 1927 წლის საერთაშორისო ტურნირი“. ხოზე-რაულ კაპაბლანკას, ემანუილ ლასკერის, ალიოხინის, ნიმცოვიჩის, რეტის, რუბინშტეინის, მაროცის, ტარაშის, ვიდმარის და დოქტორ გრიგორიევიჩის ჩამოსვლა უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, მე თვითონაც ვითამაშებ!

- მერე, ფული? - აკვნესდნენ ვასიუკელები, - მაგათ ყველას ფული უნდა, ათასები არ ეყოფათ! ამდენი ფული სად ვიშოვოთ?

- ბობოქარ ქარიშხალს ყველაფერი გამოზომილი აქვს, - თქვა ო. ბენდერმა, - ფული უნდა შეგროვდეს.

- ამდენ ფულს ვინ ჩამოვა? ვასიუკელები...

- რის ვასიუკელები! ვასიუკელები ფულს კი არ ჩამოვლენ, ისინი ფულს მი-ი-ღე-ბენ! ეს ხომ სულ უბრალო საქმეა. ამ უდიდესი ველტმაისტერების თამაშის საყურებლად ჭადრაკის მოყვარულები ყველა ქვეყნიდან ჩამოვლენ. ვასიუკს ასი ათასობით უმდიდრესი უცხოელი შემოესევა. მაგრამ, ჯერ ერთი, ამდენ მგზავრს სამდინარო ტრანსპორტი ვერ აუვა. ამიტომ გზათა სახალხო კომისარიატმა მოსკოვიდან ვასიუკამდე სარკინიგზო მაგისტრალი უნდა გაიყვანოს. ეს - ერთი. ახლა მეორეც: სტუმრების დასაბინავებლად სასტუმროები და ცათამბჯენები ხომ უნდა აიგოს? უნდა აიგოს! ახლა მესამე - სტუმრები ბოსტნეულით, ხილით, ხიზილალათი, შოკოლადის კანფეტებით უნდა მომარაგდნენ. მაშასადამე, სოფლის მეურნეობა ათასი კილომეტრის რადიუსზე გაიმართება წელში. ახლა მეოთხე: ტურნირის ჩასატარებლად სასახლეს ააგებენ: მეხუთე - სტუმრების ავტოტრანსპორტისთვის გარაჟები უნდა აშენდეს. ტურნირის სენსაციური შედეგების მთელ მსოფლიოში გადასაცემად ზემძლავრი რადიოსადგური უნდა აიგოს. ეს - ექვსი. ახლა მოსკოვ-ვასიუკის სარკინიგზო მაგისტრალი? ეჭვსგარეშეა, იგი ვერ შეძლებს ვასიუკში ყველა მსურველის ჩამოყვანას. ასეთი გამტარუნარიანობა მას არ ექნება. მერე, აქედან რაღა გამოდის? ის რომ მივიღეთ აეროპორტი „დიდი ვასიუკი“. აქედან საფოსტო თვითმფირნავები და დირიჟაბლები რეგულარულად მსოფლიოს უშორეს კუთხეებში, თვით ლოს-ანჟელესსა და მელბურნში ივლიან.

ვასიუკელ მოყვარულთა თვალწინ დამაბრმავებელი პერსპექტივები გადაიშალა. ოთახი გაფართოვდა. საცხენე მეურნეობის დამპალი კედლები სადღაც ჩაშვავდა და მის ნაცვლად მტრედისფერ ცაში საჭადრაკო აზრის ოცდაცამეტსართულიანი, შემინული სასახლე აღიმართა. სასახლის ყოველ დარბაზში, ყოველ ოთახსა და

ტყვიასავით მიმქროლავ ლიფტებშიც კი ჩაფიქრებული ადამიანები ისხდნენ და მალაქიტით ინკუსტრირებულ ჭადრაკს თამაშობდნენ.

მარმარილოს კიბე ლურჯი ვოლგისკენ ეშვებოდა. მდინარეში საოკეანო გემები იდგნენ. ქალაქში ფუნიკულიორით მოდიოდნენ სახეგასიებული უცხოელები, ჭადრაკის დედოფლები, ინდური დაცვის ავსტრალიელი თაყვანისმცემელნი, ესპანური პარტიის მომხრე თეთრჩალმიანი ინდუსები, გერმანელები, ფრანგები, ახალზელანდიელები, მდინარე ამაზონკის აუზის მკვიდრნი და ვასიუკელებისადმი შურით ატანილი მოსკოველები, ლენინგრადელები, კიეველები, ციმბირელები და ოდესელები.

ავტომობილები კონვეიერივით იძვროდნენ მარმარილოს ოტელებს შორის. მაგრამ აი - ყველფერი გაქვავდა. ფეშენებელურ სასტუმრო „გამსვლელი პაიკიდან“ მსოფლიო ჩემპიონი ხოზე-რაულ კაპაბლანკა-ი-გრაუპერა გამოვიდა. მას ქალები ეხვევიან. მილიციელი მას თავაზიანად ესალმება (მილიციელს სპეციალური საჭადრაკო ფორმა - უჯრედებიანი გალიფე აცვია და სამხრეებზე ეტლები უკეთია). მსოფლიო ჩემპიონს დინჯად მიუახლოვდა ვასიუკის „ოთხი მხედრის კლუბის“ ცალთვალა თავმჯდომარე.

ორი მნათობის საუბარი, ინგლისურ ენაზე რომ წარმოებდა, დოქტორ გრიგორიევისა და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონის ალიოხინის ჩამოფრენამ შეწყვიტა.

ქალაქს მისალმების ხმები აზანზარებდა. ხოზე-რაულ კაპაბლანკა-ი-გრაუპერამ წარბი შეიკრა. ცალთვალამ ხელი აიქნია და აეროპლანთან მარმარილოს კიბე გაჩნდა. კიბეზე დოქტორმა გრიგორიევმა ჩამოირბინა, თან მისალმების ნიშნად ახალ შლაპას იქნევდა და გზადაგზა კაპაბლანკა-ალიოხინის მომავალ მატჩში შესაძლებელ შეცდომას კომენტარს უკეთებდა.

მოულოდნელად ჰორიზონტზე შავი წერტილი შენიშნეს. წერტილი სწრაფად ახლოვდებოდა, იზრდებოდა და მალე უზარმაზარ ცისფერ პარაშუტად იქცა. პარაშუტზე ჩემოდნიანი კაცი ვეება ბოლოკივით ჩამოეკიდა.

- ისაა! - შეჰყვირა ცალთვალამ, - ვაშა! ვაშა! ეს დიდი ფილოსოფოსი-მოჭადრაკე დოქტორი ლასკერია. ვიცანი! ასეთი მწვანე წინდები მთელ მსოფლიოში მხოლოდ მას აცვია.

ხოზე-რაულ კაპაბლანკა-ი-გრაუპერა ისევ შეიჭმუხნა.

ლასკერს მარდად მარმარილოს კიბე მიართვეს: მხნე ექსჩემპიონმა მარცხენა სახელოდან მტვერი ჩამოიბერტყა, სილეზიაზე გადმოფრენისას რომ დასდებოდა და ცალთვალას გადაეხვია. ცალთვალამ ლასკერს ხელი წელზე მოჰხვია, ჩემპიონთან მიიყვანა და უთხრა:.

- შერიგდით! ვასიუკელთა ფართო მასების სახელით გთხოვთ! შერიგდით!

ხოზე-რაულმა ხმამაღლა ამოიხვნეშა, მოხუცი ვეტერანის ხელი შეანჯღრია და უთხრა, მე ყოველთვის მომწონდა ესპანურ პარტიაში კუს ბ5-დან ც4-ზე გადაყვანის იდეა, რომელიც თქვენ გეკუთვნით.

- ვაშა! - შესძახა ცალთვალამ, - ითქვა უბრალოდ და დამაჯარებლად, სწორედ ჩემპიონის სტილში!

და უზარმაზარმა ბრბომ აიტაცა: - ვაშა! ვივატ! ბანზაი! ითქვა უბრალოდ და დამაჯერებლად, სწორედ ჩემპიონის სტილში!

ვასიუკის ოცივე სადგურში ექსპრესები მოქროდნენ და ჭადრაკის მოყვარულთა ახალ-ახალი ლეგიონები მოჰყავდათ.

ქალაქის ცა უკვე რეკლამების შუქით იყო აბდღვრიალებული, როცა ქუჩაში თეთრი ცხენი გამოიყვანეს. ეს ერთადერთი ცხენი იყო, რომელიც ვასიუკის ტრანსპორტის მექანიზაციის შემდეგ გადარჩა. საგანგებო დადგენილების ძალით მას ულაყი ეწოდა, თუმცა მუდამ ნამდვილი ფაშატი იყო. ჭადრაკის თაყვანისმცემლები ცხენს პალმის ტოტებისა და ჭადრაკის დაფების ქნევით მიესალმნენ.

- დამშვიდდით, - თქვა ოსტაპმა, - ჩემი პროექტი თქვენი ქალაქის საწარმოო ძალებს გაუგონარ გაფურჩვნას უქადის. აბა, ერთი დაუფიქრდით, რა იქნება, ტურნირი რომ დამთავრდება და სტუმრები წავლენ. მოსკოვის მცხოვრებნი, საბინაო კრიზისი რომ აწუხებთ, თქვენს დიდებულ ქალაქს მოასკდებიან. დედაქალაქი ავტომატურად ვასიუკში გადმოინაცვლებს. მთავრობაც აქვე გადმოვა. ვასიუკს ნიუ-მოსკოვს დაარქმევენ, მოსკოვს კი - ძველ ვასიუკს. ლენინგრადელები და ხარკოველები კბილებს ააღრჭიალებენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან. ნიუ-მოსკოვი ევროპის, მალე კი მთელი მსოფლიოს ელეგანტური, სწორუპოვარი ცენტრი გახდება.

- მთელი მსოფლიოს ცენტრი! - აკვნესდნენ გაბრუებული ვასიუკელები.

- დიახ! თავის დროზე კი - მთელი სამყაროსიც. საჭადრაკო აზრი, რომელმაც სამაზრო ქალაქი მთელი დედამიწის დედაქალაქად გადააქცია, გამოყენებით მეცნიერებად გარდაიქმნება და საპლანატათაშორისო მიმოსვლის საშუალებებს განახორციელებს. ვენერაზე მგზავრობა რიაბინსკიდან იაროსლავში წასვლასავით გაადვილდება. მერე კი, ვინ იცის, - იქნებ, ასე, რვა წლის შემდეგ, ვასიუკში მთელი სამყაროს ისტორიაში პირველი საპლანეტათაშორისო საჭადრაკო კონგრესიც ჩატარდეს.

ოსტაპმა თავისი კეთილშობილური შუბლი მოიწმინდა, ისე გაგიჟებით შიოდა, რომ, თუ შეუწვავდით ჭადრაკის მხედარსაც კი შეჭამდა.

- ჰო-ო, - ძლივს ამოღერღა ცალთვალამ და მტვრიან ოთახს შეშლილი მზერა მოავლო, - კი მაგრამ, ეგ ღონისძიება პრაქტიკულად როგორღა ჩავატაროთ? ასე ვთქვათ, ბაზა რომ არ გაგვაჩნია?

ოთახში მყოფნი გროსმაისტერს დაძაბულად მისჩერებოდნენ.

- ვიმეორებ, პრაქტიკულად ყველაფერი ვასიუკელების თვითმოქმედებაზე ჰკიდია, კიდევ ვიმეორებ, რომ საქმის მთელ ორგანიზაციას მე ვკისრულობ. ფული ერთი კაპიკიც არ დაიხარჯება, თუ, რა თქმა უნდა, დეპეშების ფასს არ ვიანგარიშებთ.

ცალთვალა თავის თანამებრძოლებს მუჯლუგუნებს ჰკრავდა.

- აბა! - ეკითხებოდა იგი, - რას იტყვით?

- მოვაწყობთ! მოვაწყობთ! - ყაყანებდნენ ვასიუკელები.

- ამ... დეპეშებს რამდენი დასჭირდება?

- გეტყვით, ოღონდ არ გაგეცინოთ, - უთხრა ოსტაპმა, - ასი მანეთი თავს ასდის.

- ჩვენს სალაროში მხოლოდ ოცდაერთი მანეთი და თექვსმეტი კაპიკი გვაქვს. არა, ჩვენ გვესმის, რომ ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა...

მაგრამ გროსმაისტერი დამთმობი ორგანიზატორი გამოდგა.

- კარგი, - უთხრა მან, - მოიტათ ის თქვენი ოცდაერთი მანეთი.

- მერე, გეყოფათ? - იკითხა ცალთვალამ.

- პირველ დეპეშებს ეყოფა. მერე ხალხი შემოგვწირავს და ფულს სალაროში ვეღარც დავტევთ.

გროსმაისტერმა ფული მწვანე სამგზავრო პიჯაკში შეინახა, შეგროვილებს გაახსენა, არ დაგავიწყდეთ, დღეს საღამოს ლექციას ვკითხულობ და ას სამოც დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსს ვატარებო, თავაზიანად დაემშვიდობა და იპოლიტ მატვეევიჩის სანახავად მეკარტონაჟეების კლუბისკენ გასწია.

- შიმშილით ვკვდები, - გაბზარული ხმით უთხრა მას ვორობიანინოვმა.

იგი უკვე სალაროს სარკმელთან იჯდა, მაგრამ კაპიკიც არ შემოსვლოდა და ერთი გირვანქა პურის საყიდელი ფულიც არ გააჩნდა. ფეხებთან ფულისთვის მოხაზირებული მავთულის მწვანე კალათა ედგა. ასეთ კალათებს საშუალო შემლების სახლებში დანა-ჩანგლის ჩასაწყობად ხმარობენ.

- ყური მიგდეთ, ვორობიანინოვ, - დაუყვირა ოსტაპმა, - სალაროს ოპერაციები საათ-ნახევრით მაინც შეწყვიტეთ. წავიდეთ და ვისადილოთ, გზადაგზა სიტუაციას აგიწერთ. თანაც გაპარსვა და გაწმენდა გესაჭიროებათ - თქვენ პირდაპირ მაწანწალას ჰგავხართ. გროსმაისტერს ასეთი საეჭვო ნაცნობები არ შეეფერება.

- ერთი ბილეთიც კი ვერ გავყიდე, - უთხრა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- არა უშავს. საღამოს ტევა აღარ იქნება. ქალაქმა საერთაშორისო ტურნირის მოსაწყობად უკვე ოცი მანეთი შემოგვწირა.

- მაშ, ეს ერთდროული თამაშის სეანსი რაღად გინდათ? - აჩურჩულდა ადმინისტრატორი, - ვაითუ გვცემონ. ოც მანეთად კი ახლავე შეგვიძლია გემზე დავჯდეთ, - ეს-ესაა, ზევიდან „კარლ ლიბკნეხტი“ მოვიდა. არხეინად სტალინგრადში ჩავალთ და თეატრის ჩამოსვლას დაველოდებით. იქნებ, სკამების გაჩხრეკა მოვახერხოთ. მაშინ გავმდიდრდებით და მთელი ქვეყანა ჩვენი იქნება.

- მშიერ კუჭზე ასეთი სულელური რამეების ლაპარაკი არ შეიძლება - ტვინზე უარყოფითად მოქმედებს. ოც მანეთად, შეიძლება, სტალინგრადამდე მართლაც მივაღწიოთ, მაგრამ საჭმლის ფული არ გვინდა? ძვირფასო ამხანაგო წინამძღოლო, ვიტამინებს მუქთად არავის აძლევენ. სამაგიეროდ, ექსპანსიურ ვასიუკელებს შეიძლება, სეანსში ოცდაათიოდე მანეთიც ავაფცქვნათ.

- გვცემენ! - მწარედ წარმოთქვა ვორობიანინოვმა.

- რა თქმა უნდა, რისკზე მივდივართ. იქნებ, კარგადაც გვაჭანჭყარონ. თუმცა მე ერთი აზრი დამებადა, ყოველ შემთხვეაში, თქვენ კი გიშველით. მაგრამ ამას მერე გეტყვით. ახლა წავიდეთ და აქაური საჭმელები ვიგემოთ.

ექვსი საათისთვის გამაძღარი, გაპარსული და სუნამოპკურებული გროსმაისტერი კლუბ „მეკარტონაჟის“ სალაროში შევიდა.

მაძღარი და გაპარსული ვორობიანინოვი ბილეთებს მარჯვედ ყიდდა.

- როგორაა საქმე? - ხმადაბლა ჰკითხა გროსმაისტერმა.

- შესასვლელი ოცდაათი გაიყიდა, სათამაშო - ოცი, - მიუგო ადმინისტრატორმა.

- სულ - თექვსმეტი მანეთი. ცოტაა, ცოტაა.

- რას ამბობთ, ბენდერ, შეხედეთ, რამსიგრძე რიგი დგას. ცემა ხელში გვიჭირავს.

- მაგაზე ნუ ფიქრობთ. როცა გცემენ, მაშინ იტირეთ, ახლა კი დროს ნუ კარგავთ! ვაჭრობა ისწავლეთ!

ერთი საათის შემდეგ სალაროში უკვე ოცდაათი მანეთი იყო. დარბაზში ხალხი ღელავდა.

- დაკეტეთ სარკმელი. ფული აქ მომეცით! - უბრძანა ბენდერმა, - ახლა ყური მიგდეთ. აი, ხუთი მანეთი, ნავსადგურში ჩადით, ორიოდე საათით ნავი დაიქირავეთ და ნალიას ქვევით, ნაპირზე დამელოდეთ. მე და თქვენ საღამოს ერთად უნდა გავისეირნოთ. ჩემზე არ იდარდოთ, დღეს კარგ ფორმაში ვარ.

გროსმაისტერი დარბაზში შევიდა. თავს მხნედ გრძნობდა და კარგად იცოდა, რომ პირველი სვლა ე2-ე4 არავითარ გართულებებს არ უქადდა. მართალია, შემდეგი სვლები ჯერჯერობით ძალიან ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ გროსმაისტერს ეს ოდნავადაც არ აღელვებდა. მას ყველასთვის მოულოდნელი სვლა ჰქონდა მომზადებული, და ეს სვლა თვით ყველაზე უიმედო პარტიასაც კი გადაარჩენდა.

გროსმაისტერს ტაშით შეხვდნენ. კლუბის მომცრო დარბაზში ყველგან მრავალფერი ალმები ეკიდა.

აქ ერთი კვირის წინ „წყალში გადამრჩენთა საზოგადოებას“ საღამო გაემართა. ამას კედელს შემორჩენილი ლოზუნგიც ადასტურებდა: „წყალწაღებულო, თუ თავის გადარჩენა გინდა, ხელი გაანძრიე“

ოსტაპმა თავი დახარა, ხელები წინ გაიშვირა, თითქოს დაუმსახურებელ აპლოდისმენტებს უარყოფსო, და ესტრადაზე ავიდა.

- ამხანაგებო! - მშვენიერი ხმით წარმოთქვა მან, - ამხანაგებო და ჩემო საჭადრაკო ძმებო, ჩემი დღევანდელი ლექციის თემა ისეთივეა, როგორც იყო ნიჟნი-ნოვგოროდში ერთი კვირის წინათ. გულახდილად უნდა გითხრათ, იქ ჩემი ლექციით ხალხი უკმაყოფილო არ დარჩენილა... მაშ ასე, ჩემი ლექციის თემაა - ნაყოფიერი სადებიუტო

იდეა. ამხანაგებო, რა არის დებიუტი და რა არის იდეა? დებიუტი, ამხანაგებო, ესაა „Qუასი უნა ფანტაზია“. იდეა რაღას ნიშნავს, ამხანაგო? იდეა, ამხანაგებო, ეს ლოგიკურ საჭადრაკო ფორმაში ჩამოსხმული ადამიანის აზრია. თვით უმცირესი ძალებიც საკმარისია მთელი დაფის დასაპყრობად. ყველაფერი დამოკიდებულია ცალკეულ ინდივიდუუმზე. მაგალითად, აი, ის ქერა ამხანაგი, მესამე რიგში რომ ზის... დავუშვათ, რომ იგი კარგად თამაშობს.

ქერა ამხანაგი, მესამე რიგში რომ იჯდა, გაწითლდა.

- ხოლო ის შავგვრემანი, წამოვიდგინოთ, თამაშობს ცოტა უფრო უარესად.

ყველანი მიბრუნდნენ და ახლა ის შავგვრემანი შეათვალიერეს.

- მაშ, რას ვხედავთ ჩვენ, ამხანაგებო? ჩვენ ვხედავთ, რომ ქერა ამხანაგი კარგად თამაშობს, შავგვრემანი კი - ცუდად. და ძალთა ამ თანაფარდობას ვერანაირი ლექცია ვერ შეცვლის, თუ ყოველი კაცი, ცალკე აღებული ინდივიდუუმი, სისტემატურად არ ივარჯიშებს მაშ... ესე იგი, მე უნდა მეთქვა, ჭადრაკში... ახლა კი, ამხანაგებო, მე გიამბობთ რამდენიმე საგულისხმო შემთხვევას ჩვენი პატივცემული ჰიპერმოდერნისტების კაპაბლანკას, ლასკერის და დოქტორ გრიგორიევის პრაქტიკიდან.

ოსტაპმა აუდიტორიას რამდენიმე ადამისდროინდელი ანეკდოტი უამბო, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვობისას ამოეკითხა „ლურჯ ჟურნალში“ და ინტერმედია ამით დაამთავრა.

ლექცია მოკლე გამოდგა და ამან ხალხი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ცალთვალა თავის ერთადერთ თვალს გროსმაისტერის ფეხსაცმელებს არ აშორებდა.

მაგრამ დაიწყო ერთდროული თამაშის სეანსი. ამან ცალთვალას ეჭვების ზრდა შეაფერხა. იგი სხვებთან ერთად მაგიდებს დგამდა. გროსმაისტერთან სათამაშოდ სულ ოცდაათი მოყვარული დაჯდა. ბევრი მათგანი საშინლად დაბნეული იყო და ყოველ წამს ჭადრაკის სახელმძღვანელოში იყურებოდა, რათა ურთულესი ვარიანტები მეხსიერებაში აღედგინა. ისინი ამ ვარიანტების იმედით სულდგმულობდნენ და ფიქრობდნენ, გროსმაისტერს როგორმე ოცდამეორე სვლამდე მაინც გავუძლებთო.

ოსტაპმა თვალი გადაავლო „შავების“ მწკრივებს, ყოველი მხრიდან რომ შემორტყმოდნენ. დაკეტილ კარსაც შეხედა და სამუშაოს უშიშრად დაეძგერა. ცალთვალას მიუახლოვდა, პირველ დაფას რომ უჯდა და მეფის პაიკი ე2 უჯრიდან ე4-ზე გადააჩოჩა.

ცალთვალამ იმწამსვე ხელები ყურებში წაივლო და ფიქრში ჩაიძირა.

- გროსმაისტერმა ე2-ე4 ითამაშა! - აჩურჩულდნენ მოყვარულთა რიგებში.

ოსტაპი თავის მოწინააღმდეგეებს მრავალფეროვანი დებიუტებით როდი ანებივრებდა. დანარჩენ ოცდაცხრა დაფაზეც მან იგივე ოპერაცია ჩაატარა: მეფის პაიკი ე2-დან ე4-ზე გადაათრია. მოყვარულები ერთიმეორის მიყოლებით თმაში ივლებდნენ ხელებს და დაძაბულ ფიქრს ეძლეოდნენ. ვინც არ თამაშობდა, გროსმაისტერს მზერას ადევნებდა. ქალაქის ერთადერთი ფოტომოყვარული სკამზე

აფორთხდა და ის იყო მაგნიუმის ანთებას აპირებდა, რომ ოსტაპმა ხელები რისხვით გაასავსა, დაფების გასწვრივ ცურვა შეწყვიტა და ხმამაღლა შეჰყვირა: - ფოტოგრაფი მომაშორეთ! ეგ ჩემს საჭადრაკო აზროვნებას ხელს უშლის.

,,რატომ უნდა დავტოვო ჩემი ფოტოსურათი ამ უბადრუკ ქალაქში, - გაიფიქრა მან, - მილიციასთან საქმის დაჭერა მე არ მიყვარს''.

მოყვარულნი აღშფოთებით ასისინდნენ და ფოტოგრაფმაც ცდაზე ხელი აიღო. საზოგადოება კი იმდენად აღშფოთებული იყო, რომ ფოტოგრაფი სულაც გარეთ გააგდეს.

მესამე სვლაზე გამოირკვა, რომ გროსმაისტერი თვრამეტ დაფაზე ესპანურ პარტიას თამაშობდა. დანარჩენ თორმეტ პარტიაში კი მან, ცოტა არ იყოს, მოძველებული, მაგრამ მაინც ფრიად საიმედო დასაწყისი - ფილადორის დაცვა გამოიყენა. ოსტაპისთვის რომ გეთქვათ, ასეთ რთულ პარტიებს თამაშობ და ასეთ მრავალნაცად დაცვათა შემუსვრას ეშურებიო, ალბათ, ძალიან გაოცდებოდა. საქმე ის იყო, რომ დიდი კომბინატორი ჭადრაკს თავის სიცოცხლეში მხოლოდ მეორეჯერ თამაშობდა.

თამაშის დაწყებისთანავე მოყვარულებს და მათ შორის ცალთვალასაც თავზარი დაეცათ. აშკარა იყო, რომ გროსმაისტერი რაღაც გაუგონარ სიმუხთლეს ამზადებდა.

გროსმაისტერი არნახული სიმსუბუქით, თითქმის სრულიად დაუფიქრებლად სწირავდა მარჯვნივ და მარცხნივ პაიკებსაც, მძიმე და მსუბუქ ფიგურებსაც. გულში იგი, ალბათ, ჩამორჩენილ ვასიუკელ მოყვარულებს დასცინოდა, იმ შავგვრემანს, ლექციის დროს რომ გაამასხარავა, ლაზიერიც კი შესწირა. შავგვრემანი შიშის ძრწოლამ აიტანა და დაუყოვნებლივ დანებება დააპირა, მაგრამ მერე, როგორც იქნა, თავი შეიკავა, მთელი ნებისყოფა მოიკრიბა და თამაში განაგრძო.

ხუთი წუთის შემდეგ მოწმენდილ ცაზე მეხმა დაიქუხა.

- შამათი! - წაილუღლუღა შიშისგან სულგამძვრალმა შავგვრემანმა, - ამხანაგო გროსმაისტერო, მე თქვენ დაგაშამათეთ.

ოსტაპმა მდგომარეობა გააანალიზა, ლაზიერს რატომღაც სამარცხვინოდ - დედოფალი უწოდა და შავგვრემანს გამარჯვება ამპარტავნულად მიულოცა. მოყვარულთა რიგებს გუგუნმა გადაურა.

,,გაქცევის დროა'', - გაიფიქრა ოსტაპმა, მაგრამ მაგიდებს მშვიდად ჩაუარა და, ვითომც აქ არაფერიაო, ფიგურები გულგრილად გადასვა.

- ამხანაგო გროსმაისტერო, თქვენ მხედარი არასწორად გადადგით, - მლიქვნელური კილოთი უთხრა ცალთვალამ, - მხედარი ეგრე არ დადის.

- პარდონ, პარდონ, ბოდიშს ვიხდი, - მიუგო გროსმაისტერმა, - იცით, ლექციამ ცოტათი დამღალა.

მომდევნო ათ წუთში გროსმაისტერმა კიდევ ათი პარტია წააგო.

,,მეკარტონაჟეთა'' კლუბის დარბაზში გაოცების შეძახილები ისმოდა. კონფლიქტი მწიფდებოდა. ოსტაპმა ზედიზედ თხუთმეტი პარტია წააგო და მერე კიდევ სამი

მიაყოლა. დაფასთან ახლა მარტო ცალთვალა იჯდა. პარტიის დასაწყისში იგი შეშინებული იყო და მრავალი შეცდომა დაუშვა. ახლა კი დიდი გაჭირვებით პარტია გამარჯვებისკენ მიჰყავდა. ოსტაპმა გარშემომყოფთა შეუმჩნევლად დაფიდან შავი ეტლი მოიპარა და ჯიბეში ჩაიდო.

ბრბო მოთამაშეთა გარშემო შემჭიდროვდა.

- ამ უჯრაზე ჩემი ეტლი იდგა! - შეჰყვირა ცალთვალამ და მიმოიხედა, - იმ წუთში აქ იდგა და ახლა აღარ არის!

- თუ არ არის, მაშასადამე, არც ყოფილა, - ცოტა არ იყოს, უხეშად უთხრა ოსტაპმა.

- როგორ თუ არ ყოფილა! მე კარგად მახსოვს.

- რა თქმა უნდა, არ ყოფილა!

- მაშ, რა ვქნა? რა, თქვენ მოიგეთ, თუ?

- მოვიგე.

- როდის? რომელ სვლაზე მოიგეთ?

- ახლა მაგ ეტლს კი ნუ გადამაყოლებთ! თუ მნებდებით, ბარემ მითხარით!

- ამხანაგებო! ამხანაგებო, მე ყველა სვლა ჩაწერილი მაქვს.

- წერე, წერე, ჩემო კარგო, - წაილაპარაკა ოსტაპმა.

- ეს აღმაშფოთებელია! - დაიღრიალა ცალთვალამ, - ახლავე ჩემი ეტლი დამიბრუნეთ!

- დამნებდით-მეთქი! დამნებდით! კატა-თაგვობანას ხომ არ მეთამაშებით!

- ჩემი ეტლი დამიბრუნეთ!

ამ მომენტში გროსმაისტერმა მოისაზრა, დაყოვნება სიკვდილს უდრისო, ფიგურების გროვას ხელი დაავლო და ცალთვალა მოწინააღმდეგეს თავში სთხლიშა.

- ამხანაგებო! - წაისისინა ცალთვალამ, - შეხედეთ! მოყვარულს სცემენ!

ქალაქ ვასიუკის მოჭადრაკენი შეცბუნდნენ.

ყოველ წამს ოქროს ფასი დაედო. ოსტაპმა ჭადრაკის დაფა ლამპას სთხლიშა, ჩამოწოლილ სიბნელეში ვიღაცეებს შუბლებსა და ყბებში მუშტები დასცხო და ქუჩაში გავარდა. ვასიუკელი მოყვარულები ერთი ჯგლეთით უკან დაედევნენ.

მთვარიანი საღამო იყო. ქუჩას ვერცხლისფერი ეფინა. ოსტაპი ცოდვილ მიწას ფეხს არ აკარებდა და ანგელოზივით მსუბუქად მიქროდა. რაკი ვასიუკის სამყაროს ცენტრად გარდაქმნა შეფერხდა, ოსტაპს სირბილი სასახლეთა გასწვრივ კი არ უწევდა, არამედ ძელურ სახლებს შორის, რომელთაც გარე დარაბები ჰქონდათ.

უკან ჭადრაკის მოყვარულნი მოქროდნენ.

- დაიჭით გროსმაისტერი! - ბღაოდა ცალთვალა.

- თაღლითო! - მხარს უბამდნენ დანარჩენებიც.

- პიჟონებო! - შეუბღვირა გროსმაისტერმა და სისწრაფეს უმატა.

- გვიშველეთ! - ყვიროდნენ შეურაცხყოფილი მოჭადრაკეები.

ოსტაპი ნავსადგურის კიბეზე დაეშვა. მას ოთხასი საფეხური უნდა ჩაერბინა. მეექვსე ბაქანზე მას უკვე ორი მოყვარული უცდიდა - ისინი ფერდობზე ბილიკს ჩამოჰყოლოდნენ და გზა მოეჭრათ. ოსტაპმა მიიხედა. ფილიდორის დაცვის თაყვანისმცემლები ზევიდან ძაღლების გაავებულ გროვასავით მოექანებოდნენ. უკანდასახევი გზა აღარსად იყო, ამიტომ ოსტაპი წინ გაიჭრა.

- ახლავე სეირს გიჩვენებთ, არამზადებო! - დასჭექა მან უშიშარ მზვერავებს და მეხუთე ბაქნიდან ძირს გადაეშვა.

შეშინებული პლასტუნები დაოთხდნენ, მოაჯირზე გადაფორთხდნენ და სიბნელეში ფერდობებსა და თხემებზე დაგორდნენ. გზა თავისუფალი იყო.

- დაიჭი გროსმაისტერი! - ისმოდა ზევიდან.

მდევრები მორბოდნენ. ისინი კეგლის ბურთებით მოკაკუნობდნენ ხის კიბეზე.

ოსტაპი ნაპირზე გაიჭრა და მარჯვნივ გაუხვია. იგი ნავს ეძებდა, რომელშიც მისი ერთგული ადმინისტრატორი უნდა ყოფილიყო.

იპოლიტ მატვეევიჩი ნავის ქიმზე იდილიურ პოზაში იჯდა. ოსტაპი სკამზე დაეხეთქა, ნიჩბები გაშმაგებით აამუშავა და ნავი ნაპირს მოსწყვიტა. იმავე წუთში ნავს ქვები დაუშინეს. ერთი ქვა იპოლიტ მატვეევიჩს მოხვდა. ვულკანური მუწუკის ოდნავ ზემოთ მას შავი კოპი დააჯდა. იპოლიტ მატვეევიჩმა თავი მხრებში ჩარგო და აზლუქუნდა.

- ერთი ამას დამიხედეთ! მე კინაღამ თავი წამაცალეს და მაინც მხნედ და მხიარულად ვარ. ახლა ორმოცდაათი მანეთი სუფთა მოგებაც იანგარიშეთ. ეს ჰონორარი თავში ერთ წაკაკუნებად აღარ ღირს?

ამასობაში მდევრები საბოლოოდ დარწმუნდნენ, ვასიუკის ნიუ-მოსკოვად გადაქცევის გეგმა საბოლოოდ ჩაიშალა, გროსმაისტერს კი ქალაქიდან ვასიუკელების ნაოფლარი ორმოცდაათი მანეთი მიაქვსო. დიდ ნავში ჩაცვივდნენ და მდინარის შუაგულს ყვირილით უახლოვდებოდნენ. ნავში ოცდაათამდე სული ჩაჭუჭყულიყო. ყველას უნდოდა, გროსმაისტერის დასჯაში პირადი მონაწილეობა მიეღო. ექსპედიციას ცალთვალა ხელმძღვანელობდა. მისი ერთადერთი თვალი სიბნელეში შუქურასთან ბრწყინავდა.

- გროსმაისტერი დაიჭით! - ღრიალებდნენ ბარკასში.

- უმატეთ, კისა! - უთხრა ოსტაპმა, - თუ დაგვეწიენ, შეიძლება, თქვენმა პენსნემ სახმარი ღირებულება დაკარგოს.

- ორივე ნავი ქვევით, დინების მიმართულებით მიცურავდა. მდევრები სულ უფრო ახლოვდებოდნენ. ოსტაპს ძალ-ღონე გამოელია.

- ვერ წაგვიხვალთ, არამზადებო! - გაჰკიოდნენ მდევრები.

ოსტაპს პასუხისთვის აღარ ეცალა - ნიჩბებს ჩაჰფრენოდა და სწრაფად უსვამდა. წყალი გადარეული ნიჩბებიდან ნიაღვარივით მოდიოდა და ნავში იღვრებოდა.

- მიდი, - თავის თავს ჩასჩურჩულებდა ოსტაპი.

იპოლიტ მატვეევიჩი გადაიქანცა. მდევრები ზეიმობდნენ. ბარკასის მაღალი კორპუსი უკვე კონცესიონერების ნავს წამოეწია და მარცხნივ შეუხვია, რათა გროსმაისტერი ნაპირზე მიეგდო. კონცესიონერებს შავი დღე ელოდათ. ბარკასზე ისე მხიარულობდნენ, რომ ყველა მოჭადრაკე მარჯვენა კიდეს მოადგა, - ნავს რომ გავუსწორდებით, ავისმქმნელ-გროსმაიტერს ჭარბი ძალებით შევუტევთო.

- პენსნეს გაუფრთხილდით, კისა! - სასოწარკვეთით შეჰყვირა ოსტაპმა და ნიჩბები მიაგდო, - იწყება!

- ბატონებო! - უეცრად მამალივით შეჰყივლა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ნუთუ ცემას გვიპირებთ?

- გცემთ და მერე როგორა გცემთ! - დაიქუხეს ვასიუკელმა მოყვარულებმა და ნავში გადასახტომად მოემზადნენ.

ამ დროს ყველა პატიოსანი მოჭადრაკისთვის მეტად საწყენი ამბავი მოხდა. ბარკასი მოულოდნელად აყირავდა და მარჯვენა გვერდით წყალში ჩაყვინთა.

- ფრთხილად! - შესძახა ცალთვალა კაპიტანმა.

მაგრამ გვიანღა იყო. ვასიუკელთა დრედნოუტის მარჯვენა კიდეზე ძალიან ბევრ მოყვარულს მოეყარა თავი. ბარკასმა სიმძიმის ცენტრი შეიცვალა, აღარც აცივა, აღარც აცხელა და ფიზიკის კანონების შესაბამისად, აყირავდა.

მდინარის მყუდროება ბღავილმა შესძრა.

- უაუ! - გაბმით კვნესოდნენ მოჭადრაკენი.

ოცდაათივე მოყვარული წყალში ჩაცვივნულიყო. ისინი სწრაფად ზედაპირზე ამოცურდნენ და ერთიმეორეს მიყოლებით ბარკასს ჩაებღაუჭნენ. ყველაზე ბოლოს ცალთვალა ჩაებღაუჭა.

- პიჟონებო! - აღტაცებით გაჰკიოდა ოსტაპი, - რაო, თქვენს გროსმაისტერს რატომ არ სცემთ? თუ არ ვცდები, თქვენ ჩემი ცემა გინდოდათ?

- ვასიუკელო ინდივიდუუმებო, ხომ ხედავთ, თქვენი სათითაოდ დახრჩობა შემიძლია, მაგრამ სიცოცხლე მიჩუქებია. იცხოვრეთ, მოქალაქენო! ოღონდ, ღვთის გულისთვის, ჭადრაკს ნუღარ ითამაშებთ! თქვენ ხომ თამაში არ იცით! ეჰ, თქვე პიჟონებო, თქვე მართლა პიჟონებო, თქვენა! ჩვენ კი გავწიოთ, იპოლიტ მატვეევიჩ! მშვიდობით, ცალთვალა მოყვარულო! არა მგონია, ვასიუკი ოდესმე სამყაროს ცენტრად გადაიქცეს. განა თქვენისთანა ჩერჩეტებთან სათამაშოდ ჭადრაკის ოსტატები ჩამოვლენ? მეც რომ ვთხოვო, მაინც არ ჩამოვლენ. მშვიდობით, მწვავე საჭადრაკო განცდათა მოყვარულნო! „ოთხი მხედრის კლუბს“ დღეგრძელობა და გამარჯვება.

35. და სხვ.

დილამ კონცესიონერებს ჩებოქსარის სანახებში მოუსწრო. ოსტაპი საჭესთან თვლემდა, ძილმორეული იპოლიტ მატვეევიჩი კი ნიჩბებს უსვამდა, ღამის სიცივეს ორივე აეკანკალებინა, აღმოსავლეთი ვარდის კოკრებივით იფურჩქნებოდა. იპოლიტ მატვეევიჩის პენსნე უფრო და უფრო კრიალებდა. მის ოვალურ შუშებში სხივი ათამაშდა და მორიგეობით ორივე ნაპირი ისახებოდა. ორმაგად მოღუნულ მინაში მარცხენა ნაპირის სემაფორი მოიხარა.

ჩებოქსარის ლურჯი გუმბათები გემებივით მიცურავდნენ. აღმოსავლეთით სინათლემ იმატა. კოკრები ვულკანებად იქცნენ და საუკეთესო საკონდიტრო ფერების ლავა ამოაფრქვიეს. ჩიტებმა მარცხენა ნაპირზე დიდი, ხმამაღალი სკანდალი მოახდინეს. პენსნეს ოქროს რკალმა გაიბრწყინა და გროსმაისტერი დააბრმავა. მზე ამოვიდა.

ოსტაპმა თვალები გაახილა, გაიზმორა და ძველები გაატკაცუნა.

ნავი გვერდზე გადაიხარა.

- დილა მშვიდობისა, კისა, - უთხრა ოსტაპმა და მთქნარებით კინაღამ დაიხრჩო, - მოვედი, რათა სალამი გადმოგცე, და გიამბო, რომ მზემ გაიღვიძა და თავის მხურვალე სხივები რაღაც-რაღაცეებს მიაფრქვია...

- ნავსადგური გამოჩნდა, - მოახსენა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ოსტაპმა გზისმაჩვენებელი ამოიღო და შიგ ჩაიხედა.

- ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ჩებოქსარია... ვნახოთ, ვნახოთ...

ქ. ჩებოქსარს ძალიან ლამაზი მდებარეობა აქვს...

- კისა, აბა ერთი შეხედეთ, მართლა ძალიან ლამაზი მდებარეობა აქვს?

ამჟამად ჩებოქსარში 7 702 მცხოვრებია.

- კისა! მოდი, ბრილიანტების დევნას მოვეშვათ და ჩებოქსარის მოსახლეობა შვიდი ათას შვიდას ოთხ კაცამდე გავზარდოთ, ა? ძალიან ეფექტური იქნება... „პტი-შვო“ გავხსნათ და ეს „პტი-შვო“ ლუკმაპურს არ მოგვაკლებს... აბა, ვნახოთ, კიდევ რა წერია: 1555 წელს დაარსებულ ქალაქს რამდენიმე ფრიად საინტერესო ეკლესია შემოუნახავს. ჩუვაშეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაწესებულებათა გარდა აქ არის: მუშათა ფაკულტეტი, პარტიული სკოლა, პედაგოგიური ტექნიკუმი, მეორე საფეხურის ორი სკოლა, მუზეუმი, სამეცნიერო საზოგადოება და ბიბლიოთეკა. ჩებოქსარის ნავსადგურსა და ბაზარში ჩუვაშების და ჩერემისების ნახვა შეიძლება, რომელნიც თავიანთი გარეგნობით გამოირჩევიან...

მაგრამ სანამ მეგობრები ნავსადგურს მიუახლოვდებოდნენ, სადაც ჩუვაშებისა და ჩერემისების ნახვა შეიძლებოდა, მათი ყურადღება ერთმა ნივთმა მიიპყრო, მდინარეს სწორედ ნავის წინ რომ მიჰქონდა.

- სკამი! - შეჰყვირა ოსტაპმა, - ადმინისტრატორო! ჩვენი სკამი მიცურავს.

კომპანიონები სკამთან მიცურდნენ. სკამი ირხეოდა, ტრიალებდა, წყალში იძირებოდა, კვლავ ზევით ამოდიოდა და კონცესიონერების ნავს თანდათან შორდებოდა. წყალი თავისუფლად შედიოდა მის გამოფატრულ მუცელში.

ეს სწორედ ის სკამი იყო, „სკრიაბინზე“ რომ გამოფატრეს. იგი ახლა აუჩქარებლად მიცურავდა კასპიის ზღვისკენ.

- სალამი, მეგობარო! - მიაძახა სკამს ოსტატმა, - რამდენი ხანია, აღარ გვინახავხარ! ვორობიანინოვ, იცით, ეს სკამი ჩვენს ცხოვრებას მომაგონებს. ჩვენც ხომ მდინარეს მივყვებით. გვახრჩობენ, ისევ ზევით მოვძვრებით, და სიხარული კი არავისთვის არ მოგვაქვს. ჩვენ მილიციის გარდა არავის ვუყვარვართ. თუ სიმართლე გინდათ, არც მილიციას ვუყვარვართ. ჩვენ არავის არ ვჭირდებით. გუშინ რომ ჭადრაკის მოყვარულებს დავეხრჩეთ, ჩვენგან მარტო გვამების შემოწმების ოქმი დარჩებოდა: „ფეხები ორივე გვამს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ჰქონდა გაშვერილი, თავები კი - ჩრდილოეთისკენ. სხეულზე ნაფლეთ-ნაფლეთი ჭრილობები ჰქონდათ. საფიქრებელია, ჭრილობები რაიმე ბლაგვი იარაღით მიაყენეს“. მოყვარულები, ალბათ, ჭადრაკის დაფებით გაგვლახავდნენ. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, ეს მართლაც ბლაგვი იარაღია... „პირველი გვამი ორმოცდათხუთმეტი წლის მამაკაცისა იყო. მას დახეული ლიუსტრინის პიჯაკი, ძველი შარვალი და გაცვეთილი ჩექმები ეცვა. პიჯაკის ჯიბეში კი კონრად კარლოვიჩ გრ. მიხელსონის პირადობის მოწმობა ედო...“ აი, კისა, რას დასწერდნენ თქვენზე.

- თქვენზე რაღას დასწერდნენ? - ბრაზით ჰკითხა ვორობიანინოვმა.

- ოო! ჩემზე სულ სხვა რამეს დაწერდნენ. აი, ჩემზე რას დაწერდნენ: „მეორე გვამი ოცდაშვიდი წლის მამაკაცისა იყო. მას უყვარდა და იტანჯებოდა. მას ფული უყვარდა და მისი ნაკლებობით იტანჯებოდა. მას მოლურჯო შავთმიანი, ხუჭუჭა და მაღალშუბლიანი თავი მზისკენ მიებრუნებინა. ნატიფი ფეხები კი - ფეხსაცმელი ნომერი ორმოცდაორი - ჩრდილოეთის ციალისკენ გაეშვირა, სხეულზე სრულიად ულაქო, თოვლივით თეთრი სამოსი ეცვა და გულზე სადაფით ინკრუსტირებული ოქროს ქნარი ეკიდა, რომელზეც ეწერა ნოტები რომანსისა: „მშვიდობით, ახალო სოფელო“. განსვენებული ჭაბუკი ხეზე ამოწვის ოსტატი ყოფილა. ამას ადასტურებს კუსტარული არტელის „პეგასისა და პარნასის“ მოწმობა №86/1562, გაცემული 23/VIII-24 წ., რომელიც მიცვალებულს ფრაკის ჯიბეში ვუპოვნეთ“. მე დიდი ამბით დამმარხავენ, კისა. ორკესტრი დაუკრავს. იტყვიან გამოსათხოვარ სიტვებს, ჩემს ძეგლზე კი ასეთ წარწერას ამოჭრიან: „აქ წევს ცნობილი თბოტექნიკოსი და გამანადგურებელი ოსტაპ-სულეიმან-ბერტა-მარია-ბენდერბეი, რომლის მამაც თურქეთის ქვეშევრდომი იყო და ისე მოკვდა, რომ შვილს არაფერი დაუტოვა. განსვენებულის დედა გრაფინია იყო და არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობდა“.

ამ ლაპარაკში კონცესიონერები ჩებოქსარის ნაპირს მიადგნენ.

საღამოს ვასიუკელების ნავი გაყიდეს და თავისი კაპიტალი ხუთი მანეთით გაზარდეს. შემდეგ თბომავალ „ურიცკიზე“ ავიდნენ და სტალინგრადისკენ გასწიეს. იმედოვნებდნენ, ზოზინა სატირაჟო გემს გზაში გავუსწრებთ და კოლუმბიელების დასს სტალინგრადში შევხვდებითო.

სტალინგრადს „სკრიაბინმა“ ივლისის პირველ რიცხვებში მიაღწია. მეგობრები მას ნავსადგურზე, ყუთებს უკან ჩამალული დახვდნენ. გემის განტვირთვამდე ტირაჟი ჩატარდა და დიდი მოგება გათამაშდა.

სკამებს ოთხი საათი ელოდებდნენ. გემიდან ჯერ კოლუმბელები და ტირაჟის მოსამსახურეები ჩამოვიდნენ. მათ შორის პერსიცკის გაბრწყინებულ სახეს დაინახავდით.

საფარში მჯდომ კონცესიონერებს მისი ყვირილი ესმოდათ: - ჰო! ახლავე მოსკოვში ვბრუნდები! დეპეშა უკვე გავგზავნე. იცით, რა დავწერე? „ვზეიმობ თქვენთან ერთად-მეთქი“. ბიჭები არიან და მიხვდნენ!

შემდეგ პერსიცკი საქირაო ავტომობილში ჩაჯდა, - ოღონდ იგი წინდაწინ ყოველი მხრიდან დაათვალიერა, რადიატორზეც კი მიუცაცუნა ხელი, - და გაემგზავრა. იგი რატომღაც „ვაშას“ ძახილით გააცილეს.

გემიდან ჯერ ჰიდრავლიკური წნეხი გადმოიღეს. მერე კოლუმბელების ნივთიერი გაფორმების გადმოტვირთვის ჯერიც მოვიდა. სკამები რომ ჩამოიტანეს, უკვე ბნელოდა. კოლუმბელებმა ხუთი წყვილცხენიანი ფორანი დატვირთეს და მხიარული შეძახელებით პირდაპირ სადგურისკენ გაქანდნენ.

- სტალინგრადში ეგენი, მგონი, არ ითამაშებენ, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმა.

ამან ოსტაპი შეაფიქრიანა.

- უკან უნდა გავყვეთ, - გადაწყვიტა მან, - მაგრამ ფული? თუმცა ჯერ სადგურზე წავიდეთ. იქ ყველაფერი გამოირკვევა.

სადგურზე გამოირკვა, რომ თეატრი ტიხორეცკ-მინერალური წყლებით პიატიგორსკში მიდიოდა. კონცესიონერებს მხოლოდ ერთი ბილეთის ფული ჰქონდათ.

- ქურდულად მგზავრობა შეგიძლიათ? - ჰკითხა ოსტაპმა ვორობიანინოვს.

- ვსინჯავ, - გაუბედავად მიუგო იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ეშმაკმა წაგიღოთ! უკეთესი იქნება, თუ არც მოსინჯავთ. ამ ერთხელაც მიპატიებია. ქურდულად ისევ მე წამოველ.

იპოლიტ მატვეევიჩისთვის ბილეთი მაგარ უპლაცკარტო ვაგონში იყიდეს. ამ ვაგონით ყოფილი წინამძღოლი ჩრდილო-კავკასიის რკინიგზის სადგურ „მინერალურ წყლებში“ ჩამობრძანდა, მწვანე კასრებში ჩარგული ოლეანდრებით რომ იყო დამშვენებული. შეეცადა, ვაგონებიდან გადმოცვენილ კოლუმბელებს თვალში არ ჩავარდნოდა და ოსტაპის ძებნას შეუდგა.

თეატრი ახალთახალ სააგარაკო ვაგონებში ჩაჯდა და პიატიგორსკში წავიდა. ოსტაპი კი არსად იყო. იგი მხოლოდ საღამოს ჩამოვიდა და მთლად ნერვებაშლილ ვაორობიანინოვს წააწყდა: - სად დაიკარგეთ? - ამოიკვნესა წინამძღოლმა, - ძალიან დავიტანჯე.

- როგორ: ჯიბეში ბილეთი გედოთ, ვაგონით მგზავრობდით და მაინც თქვენ დაიტანჯეთ? მაშასადამე, დალხენილი მე ვყოფილვარ, ხომ? ტიხორეცკში თქვენი მატარებლის ბუფერიდან მე არ გადმოვუგდივარ, ხომ? და, ისიც მე არ ვიყავი, სამი საათი სულელივით სატვირთო მატარებელს რომ ველოდი, ნაზრანის ცარიელი ბოთლები რომ მოჰქონდა, ხომ? თქვენ ნამდვილი ღორი ხართ, მოქალაქე წინამძღოლო! თეატრი რა იქნა?

- პიატიგორსკში წავიდა.

- წავიდეთ! გზაში რაღაც გამოვჩიჩქნე. სუფთა შემოსავალი სულ სამი მანეთია. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ნარზანის პირველი ბოთლებისთვის და რკინიგზის ბილეთებისთვის გვეყოფა.

სააგარაკო მატარებელი ურემივით ჯახჯახებდა. მან მოგზაურები პიატიგორსკამდე ორმოცდაათ წუთში მიიყვანა. კონცესიონერებმა ზმეიკას და ბეშთაუს გვერდი აუარეს და მაშუკის ძირში მივიდნენ.

36. მალაქიტის გუბურის ხედი

კვირა საღამოს იდგა. ყველფერი სუფთა და გაბანილი იყო. თვით მაშუკიც კი, - ბუჩქნარებიანი და ჭალაკებიანი მაშუკი, - გულდასმით დავარცხნილს ჰგავდა და ვეჟეტალის სურნელებას აფრქვევდა.

პატარა სათამაშოს მსგავს პერონზე ათასგვარი ყაიდის თეთრი შარვლები ელავდა: ჭილოფისა და ეშმაკის ტყავისა, კოლომიანკისა, ტილოსი და ნაზი ფანელისა. აქ მოაგარაკენი სანდლებისა და ,,აპაშა“ ხალათების ამარა დადიოდნენ, და კონცესიონერები - მძიმე, ჭუჭყიანი ჩექმები, უხეში, დამტვერილი შარვლები, მცხუნვარე ჟილეტები და მხურვალე პიჯაკები რომ ეცვათ, თავს უცხოებად გრძნობდნენ. მხიარული ჩითების საყოველთაო მრავალფერობაში, რითაც მოაგარაკე ქალიშვილები თავს იწონებდნენ, ელეგანტურობითა და სისუფთავით მაინც სადგურის უფროსის კოსტიუმი გამოირჩეოდა.

ყველა ჩამოსულს ძალიან აოცებდა, რომ სადგურის უფროსი ქალი იყო. მისი წითელი, ვერცხლისფერსირმაშემოვლებული ქუდიდან წითური კულულები ცვიოდა. ქალს ფორმის თეთრი კიტელი და თეთრი ქვედაკაბა ეცვა.

ჩვენი მოგზაურები სადგურის უფროსის მშვენებით ტკბებოდნენ. შემდეგ ახლად გაკრული აფიშა წაიკითხეს. პიატიგორსკში კოლუმბის თეატრის გასტროლებს რომ იუწყებოდა, ორი ჭიქა ნაზრანი დალიეს, თითო ხუთი კაპიკი რომ ღირდა, და ტრამვაიში ჩასხდნენ, რომელიც სადგურ ,,საყვავილეს“ ხაზზე დადიოდა. ,,საყვავილეში“ შესვლისთვის ათა-ათი კაპიკის გაღება მოუწიათ.

,,საყვავილეში“ ძალიან ბევრი მუსიკა, უამრავი მხიარული მოაგარაკე და ძალიან ცოტა ყვავილი იყო. თეთრ ნიჟარაში სიმფონიური ორკესტრი ,,კოღოების ცეკვას“ უკრავდა. ლერმონტოვის გალერეაში ნარზანით ვაჭრობდნენ. ნარზანით ვაჭრობდნენ კიოსკებშიც და ხელზეც.

ბრილიანტების ორი ჭუჭყიანი მაძიებელი არავის აინტერესებდა.

- ეჰ, კისა, - უთხრა ოსტაპმა, - ჩვენ უცხონი ვართ სიცოცხლის ამ ზეიმზე.

კონცესიონერებმა პირველი სააგარაკო ღამე ნარზანის შადრევანთან გაათიეს.

განძის ძიების მთელ სიმძიმე კონცესიონერებმა მხოლოდ აქ, პიატიგორსკში იგრძნეს, როცა კოლუმბის თეატრი განცვიფრებულ ქალაქელებს თავის „ქორწინებას“ მესამეჯერ უჩვენებდა. უწინდელი იმედები, როგორმე თეატრში შევძვრებითო, გაუცრუვდით. კულისებს უკან გალკინს, პალკინს, მალკინს, ჩალკინს და ზალკინდს ეძინათ. სამარკო დიეტა მათ სასტუმროში ცხოვრების ნებას არ აძლევდა.

დღეები ასე გადიოდა, მეგობრებს ძალა გამოვლიათ. ღამეებს ლერმონტოვის დუელის ადგილთან ათევდნენ, დღისით კი პურის ფულს იმით შოულობდნენ, რომ საშუალო შემლების ტურისტების ბარგი გადაჰქონდათ.

მეექვსე დღეს ოსტაპმა ჰიდროწნეხის გამგის, მონტიორ ჩეჩნიკოვის გაცნობა მოახერხა. ამ დროისთვის მეჩნიკოვი ძალიან დაცემული იყო, უფულობის გამო ნაბახუსევზე შადრევანთან ყოველდღე ნარზანს სვამდა და, როგორც ოსტაპმა შეამჩნია, თეატრალური რეკვიზიტის ზოგი წვრილმანი გასაყიდად ბაზარზე გაჰქონდა. საბოლოო შეთანხმება შადრევანთან, დილის სმის დროს მოხდა. მეჩნიკოვი ოსტაპს უკვე დუსიას ეძახდა და ყველაფერზე ეთანხმებოდა.

- შეიძლება, - ამბობდა იგი, - ეგ მუდამაც შეიძლება, დუსია დიდი სიამოვნებით, დუსია.

ოსტაპი მყისვე მიხვდა, ეს მონტიორი დიდი გაქექილი ვინმეაო.

შეთანხმების მონაწილე მხარეები ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ, ეხვეოდნენ, ზურგზე ხელებს ურტყამდნენ და თავაზიანად უცინოდნენ.

- აბა, - უთხრა ოსტაპმა, - მთელ საქმეში - ათიანი!

- დუსია! - მონტიორი გაოცდა, - ნუ გამაბოროტებთ. მე ხომ ნარზანით გატანჯული კაცი ვარ.

- მაშ, რამდენი გინდათ?

- ასის ნახევარი ჩამოდით! ნუ დაგავიწყდებათ, საქმე სახაზინო ქონებასთან გვაქვს. მე ნატანჯი კაცი ვარ.

- კარგი! ოცი აიღეთ. თანახმა ხართ? კი, თვალებში გეტყობათ, რომ თანახმა ხართ.

- თანხმობა მხარეთა სრული მოგების პროდუქტია.

- ეს ძაღლიშვილი რა კარგად მსჯელობს, - წასჩურჩულა ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს, - ისწავლეთ.

- სკამებს როდისღა მოიტანთ?

- როგორც კი ფულს ჩავიბარებ.

- ეგ შეიძლება, - დაუფიქრებლად მიუგო ოსტაპმა.

- ფული - წინდაწინ, - განაცხადა მონტიორმა, - დილით - ფული, საღამოს - სკამები, ანდა საღამოს - ფული, მეორე დილით კი - სკამები.

- იქნებ, ასე ვქნათ: დღეს - სკამები, ხვალ კი - ფული? - სცადა ოსტაპმა.

- დუსია, მე ნატანჯი კაცი ვარ. ეგ პირობები სულს არ ეკარება.

- კი მაგრამ, ფულს ტელეგრაფით მე ხვალ მივიღებ, - უთხრა ოსტაპმა.

- ჰოდა, ჩვენც მაშინ ვილაპარაკოთ, - დაასკვნა ჯიუტმა მონტიორმა, - ახლა კი დუსია, შადრევანთან მშვიდობით დარჩენას გისურვებთ, მე კი უნდა წავიდე: ამ წნეხმა გადამიტანა. სიმბიევიჩი პირდაპირ მახრჩობს! ძალ-ღონე გამომელია. აბა, ერთი შენ სცადე და მარტო ნარზანით იარსებე.

მეჩნიკოვი წავიდა. მას დიდებული მზე აშუქებდა.

ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს მკაცრად შეხედა.

- დრო, - უთხა მან, - რომლიც ჩვენ გვაქვს, ის ფულია, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია. კისა, ჩვენ კარიერა უნდა გავიკეთოთ. ჩვენ წინაშე ას ორმოცდაათი ათასი მანეთი და ნული კაპიკი ძევს. განძი რომ მოვიპოვოთ, ამისთვის მხოლოდ ოცი მანეთი გვჭირდება. ახლა პუწკიაობა არ გვარგებს. ან ყველაფერი, ან არაფერი, ან პანი უნდა გახდე, ან არაფერი. მე პანობა მირჩევნია, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოლონური წარმოშობისაა!

ოსტატი ჩაფიქრდა და ვორობიანინოვს გარს შემოუარა.

- წინამძღოლო, აბა, პიჯაკი გაიხადეთ, -უთხრა მან უეცრად, - აბა, ცოცხლად!

გაოცებულ იპოლიტ მატვეევიჩს ხელიდან პიჯაკი გამოართვა, ძირს დააგდო და თავისი მტვრიანი ფეხსაცმელებით ზედ შედგა.

- რას სჩადიხართ? - აღრიალდა ვორობიანინოვი, - ეს პიჯაკი თხუთმეტი წელიწადია, მაცვია და მაინც ახალივითაა.

- ნუ ღელავთ! ეს პიჯაკი ახალივით სულ მალე აღარ იქნება! შლაპა მომეცით! ახლა შარვალზე მტვერი შეიყარეთ და ნარზანით დაისველეთ! ჩქარა!

იპოლიტ მატვეევიჩი რამდენიმე წუთში ისე გაჭუჭყიანდა, რომ შეხედვა შეგეზიზღებოდათ.

- აი, ახლა თქვენ მომწიფდით და ფულის პატიოსანი გზით შოვნის სრული შესაძლებლობა მოიპოვეთ.

- მერედა რა უნდა ვქნა? - ცრემლნარევი ხმით ჰკითხა ვორობიანინოვმა.

- იმედია, ფრანგულ ენას ფლობთ.

- ძალიან ცუდად. მხოლოდ გიმნაზიის კურსის ფარგლებში.

- ჰმ... რას იზამ... მაგ ფარგლებში უნდა დაეტიოთ. ,,ბატონებო, მეექვსე დღეა, არაფერი მიჭამია", - აი, ამ ფრაზას ფრანგულად განა ვერ წარმოთქვამთ?

- მესიე, - დაიწყო იპოლიტ მატვეევიჩმა და მყისვე ენა დაებორკა, - მესიე, ჰმ, ჰმ... მგონი, ჟე ნე... ჰო, ჟე ნე მანჟ პა... ექვსი როგორღაა? ენ, დე, ტრუა, კატრ, სენკ... სის... სის... ჟურ. ესე იგი, ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ.

- ოჰ, კისა, რა გამოთქმა გაქვთ! თუმცა მათხოვარს მეტი არც მოეთხოვება! გასაგებია, რომ რუსეთის ევროპული გუბერნიების მკვიდრი მათხოვარი ფრანგულად მილიერანზე ოდნავ უარესად ილაპარაკებს. ახლა ეს მითხარით, კისულია, გერმანულს რომელ ფარგლებშიღა ფლობთ?

- ნეტავი, გუნებაში რა გაქვთ? -შესძახა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- გუნებაში ისა მაქვს, - გადაჭრით უთხრა ოსტაპმა, - რომ თქვენ ახლავე „საყვავილესკენ“ გაემგზავრებით, ჩრდილში გაჩერდებით და ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენაბზე მოწყალებას ითხოვთ. განსაკუთრებით იმას დააწექით, რომ თქვენ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ხართ და იქ კადეტების ფრაქციამ აგირჩიათ. მთელი თქვენი შემოსავალი მონტიორ მეჩნიკოვს გადაეცემა. გამიგეთ?

იპოლიტ მატვეევიჩი ერთიანად გარდაიქმნა. მკერდი მას ლენინგრადის სასახლის ხიდივით ამოებურცა, თვალებმა ცეცხლი დააკვესეს, ნესტოებიდან კი - ოსტაპს ასე მოეჩვენა - სქელი კვამლი გამოუვიდა. ულვაშები ნელ-ნება აებურძგნა.

- ე-ჰე-ჰე-ჰე! - წარმოთქვა დიდმა კომბინატორმა. მას სულაც არ შეშინებია, - ერთი ამას შეხედეთ! გეგონებათ, კაცი კი არა, კუზიანი კვიციაო.

- არასოდეს, - უეცარი აღტკინებით წარმოთქვა იპოლიტ მატვეევიჩმა, - არასოდეს ვორობიანინოვს არავისთვის ხელი არ გაუწვდია.

- მაშინ ფეხებს გაჭიმავ, ბებერო შტერო! - დაუყვირა ოსტაპმა, - როგორა თქვით, ხელი არავისთვის გამიწვდიაო?

- არასოდეს!

- არა, ეს ალფონსიზმი როგორ მოგწონთ, ჰა? კაცი სამი თვეა, ჩემს ხარჯზე ცხოვრობს, სამი თვეა ვაჭმევ, ვასმევ და ვზრდი, ახლა კი ეს ალფონსი მესამე პოზიციაში დგება და მიცხადებს, რომ მას... გეყოფათ, ამხანაგო! ორში ერთი: ან ახლავე „საყვავილეში“ წადით და საღამოს ათი მანეთი მოიტანეთ, ან მეპაიე-კონცესიონერების რიცხვიდან მე თქვენ ავტომატურად გაგრიცხავთ. ვითვლი ხუთამდე. ჰო, თუ არა? ერთი...

- ჰო, - წაილუღლუღა წინამძღოლმა.

- რაკი ასეა, შეგონება გაიმეორეთ.

- მესიე, ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ. გებენ ზი მირ ბიტტე ეტვას კოპეკ აუფ დემ შტიუკ ბროდ. გაიკითხეთ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი.

- კიდევ! უფრო საცოდავად!

იპოლიტ მატვეევიჩმა გაიმეორა.

- კარგია. მათხოვრობის ნიჭი ბავშვობიდან დაგყოლიათ. წადით. შუაღამისას შადრევანთან შემხვდებით. მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომანტიკა აქ არაფერ შუაშია. ისე, საღამოობით უფრო მეტს იძლევიან.

- თქვენ? - ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა, - თქვენ სადღა წახვალთ?

- ჩემზე ნუ წუხხართ. როგორც ყოველთვის, მე ახლაც ყველაზე ძნელ უბანზე ვიმოქმედებ.

მეგობრები გაშორდნენ.

ოსტაპმა ქაღალდის სავაჭროში შეირბინა და უკანასკნელი უზალთუნით ქვითრების წიგნაკი იყიდა. მერე ბარე ერთი-ორი საათი ქვის სკამზე იჯდა, ქვითრებს ნომრავდა და ყოველ მათგანზე ხელს აწერდა.

- სისტემა - უპირველეს ყოვლისა, - ბურტყუნებდა იგი, - ყოველი საზოგადოებრივი კაპიკი აღრიცხული უნდა იყოს.

დიდი კომბინატორი მთიან გზას ჯარისკაცის ნაბიჯით გაჰყვა. გზა მაშუკის ირგვლივ, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს შორის, ლერმონტოვისა და მარტინოვის დუელის ადგილისკენ მიდიოდა.

გზადაგზა ოსტაპს ავტობუსები და წყვილცხენიანი ეკიპაჟები უსწრებდნენ. ბოლოს კი ხრამთან გავიდა.

გალერეა ხრამისკენ მიდიოდა. გალერეის ბოლოს აივანი იყო და აქედან ხრამის ფსკერზე მალაქიტისფერი, მყრალი გუბურა მოჩანდა. ეს ხრამი პიატიგორსკის ღირსშესანიშნაობად ითვლებოდა და მის სანახავად ყოველდღე ბევრი ექსკურსია და მარტოხელა ტურისტი მოდიოდა.

ოსტაპი მყისვე მიხვდა, თუ ადამიანი ცრუმორწმუნეობის ტყვეობას თავს დააღწევს, ამ ხრამში ფულის შოვნა შეიძლებაო.

,,პირდაპირ საკვირველია, - ფიქრობდა ოსტაპი, - ქალაქმა აქამდე როგორ ვერ მოიფიქრა, რომ მომსვლელებს ხრამის ნახვაში უზალთუნი მაინც გადაახდევინოს? მგონი, ეს ერთადერთი ადგილია, სადაც პიატიგორსკელები ტურისტებს მუქთად უშვებენ. მე ქალაქის რეპუტაციას ამ სამარცხვინო ლაქას მოვწმენდ და ამ ჩამორჩენილ უბანსაც დავაწინაურებ“.

და ოსტაპი ისე მოიქცა, როგორც გონება, ჯანსაღი ინსტინქტი და შექმნილი სიტუაცია კარნახობდა.

იგი ხრამის შესასვლელთან გაჩერდა, ხელში ქვითრების წიგნგაკი აათამაშა და დროდადრო ხმამაღლა ყვიროდა: - მოქალაქენო, შეიძინეთ ბილეთები! თითო ათი კაპიკი! ბავშვები და წითელარმიელები უფასოდ! სტუდენტებისთვის - ხუთი კაპიკი! პროფკავშირების არაწევრებისთვის - ოცდაათი კაპიკი!

ოსტაპი ნაღდზე თამაშობდა. პიატიგორსკელები ხრამზე არ დადიოდნენ, ხოლო საბჭოთა ტურისტისთვის ,,სადღაც შესასვლელად“ ათი კაპიკის აფცქვნა სულ ადვილი საქმე იყო. უზალთუნებს ყველანი მიამიტად იძლეოდნენ. ერთმა

ლოყაწითელმა ტურისტმა კი ოსტაპის დანახვისას ცოლს უთხრა: - აი, ტანიუშა, მე გუშინ რას გეუბნებოდი? აკი ხრამში მუქთად უშვებენო? ეგ ყოვლად შეუძლებელია! ხომ, ამხანაგო?

- სრული სიმართლეა, - დაუდასტურა ოსტაპმა, - როგორ შეიძლება, რომ შესვლაში ფული არ გადაგახდევინონ? პროფკავშირის წევრებისთვის - ათი კაპიკი და არაწევრებისთვის - ოცდაათი კაპიკი.

შეღამების წინ ხრამზე ორი ლინეიკით ხარკოველი მილიციელების ექსკურსია ამოვიდა. ოსტაპს შეეშინდა და ის იყო, თავი უწყინარ ტურისტად უნდა გაესაღებინა, მაგრამ მილიციელები დიდ კომბინატორს ისე გაუბედავად შემოეხვივნენ, რომ უკანდასახევი გზა აღარსად იყო. ამიტომ ოსტაპმა მტკიცე ხმით დაიყვირა: - პროფკავშირების წევრებისთვის შესვლა ათი კაპიკია, მაგრამ მილიციის წარმომადგენლები სტუდენტებს და ბავშვებს უნდა გავუთანაბროთ, ამიტომ - თქვენგან ხუთი კაპიკი.

მილიციელებმა გადაიხადეს და თან მორიდებით იკითხეს, ფული რა მიზნით გროვდებაო.

- ხრამს კაპიტალური რემონტი ესაჭიროება, - უტიფრად მიუგო ოსტატმა, - თორემ სულ მთლად ჩაიქცევა.

სანამ დიდი კომბინატორი მალაქიტის გუბურის ხედს სარფიანად ყიდდა, სირცხვილისგან წელში მოხრილი იპოლიტ მატვეევიჩი აკაციის ქვეშ იდგა, მოსეირნეებს მზერას არიდებდა და დაზეპირებულ სამ ფრაზას ღეჭავდა: - მესიე, ჟე ნე მანჟ პა... გებენ ზი მირ ბიტტე... გაიკითხეთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი...

გაკითხვით კი იკითხავდნენ, მაგრამ რაღაც უხალისოდ. იპოლიტ მატვეევიჩი სიტყვა „მანჟ“ -ს სუფთა პარიზული აქცენტით წარმოთქვამდა. ამის გამო გაუბედურებული სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ბევრს შეეცოდა და სპილენძის ფული წევრს სამ მანეთამდე შეუგროვდა.

მოსეირნეთა ფეხქვეშ ქვიშა ხრაჭუნობდა. ორკესტრი შტრაუსს, ბრამსსა და გრიგს უკრავდა. მხიარული ბრბო ღუღუნით გვერდს უვლიდა ბებერ წინამძღოლს და უკანვე ბრუნდებოდა. ლერმონტოვის აჩრდილი უჩინრად რიალებდა მოქალაქეთა თავებზე, ბუფეტის ვერანდაზე, სადაც მაწონს მიირთმევდნენ, სადაც ოდეკოლონისა და ნარზანის აირის სუნი იდგა.

- გაიკითხეთ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი, - ლუღლუღებდა წინამძღოლი.

- მითხარით, თქვენ მართლა სახელმწიფო სათათბიროს წევრი იყავით? - მოესმა უეცრად იპოლიტ მატვეევიჩს, - და მართლა სხდომებზე დადიოდით? აჰ! აჰ! რა მაღალი კლასია!

იპოლიტ მატვეევიჩმა სახე ასწია და გაქვავდა, მის წინ ბეღურასავით ჩასუქებული ავესალომ ვლადიმიროვიჩ იზნურენკოვი დახტოდა. ყავისფერი ლოძური კოსტიუმის ნაცვლად თეთრი პიჯაკი და ნაცრისფერი, ნაპერწკლებით დაწინწკლული შარვალი

ეცვა. იზნურენკოვი უჩვეულოდ აღტყინებული იყო და ხანდახან მიწიდან ხუთი გოჯის სიმაღლეზე ხტებოდა. მან იპოლიტ მატვეევიჩი ვერ იცნო და კითხვები სეტყვასავით მიაყარა: - მითხარით, როძიანკო მართლა გინახავთ? პურიშკევიჩი ნამდვილად მელოტი იყო? აჰ, აჰ! რა თემაა! რა მაღალი კლასია!

იზნურენკოვმა დაბნეულ წინამძღოლს ისე ჩასჩარა სამმანეთიანი, რომ ცმუკვა არ შეუწყვეტია და გაიქცა. მაგრამ ,,საყვავილეში" კიდევ დიდხანს ელავდა მისი მსუქანი თეძოები და თითქმის ხეებიდან ცვიოდა: - აჰ, აჰ! ,,ნუ იმღერ, ჩემთან, ლამაზო, შენ საქართველოს ჰანგებს მწუხარეს" აჰ! აჰ! ,,ეგ ნაღვლიანი ჰანგი მაგონებს სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს" ,,დილით კი იგი კვლავ უღიმოდა!" რა მაღალი კლასია!

იპოლიტ მატვეევიჩი ისევ ხის ქვეშ იდგა და მზერა მიწაში ჩაებჯინა. მაგრამ ისე ნამდვილად არ უნდა მოქცეულიყო. მან ბევრი რამ ვერ დაინახა.

პიატიგორსკის ღამის ჯადოსნური სიბნელით მოცულ ხეივნებში ელოჩკა შჩუკინა სეირნობდა და თან საბოლოოდ მოთვინიერებულ, შერიგებულ ერნესტ პავლოვიჩს დაათრევდა. მჟავე წყალზე ჩამოსვლა ვანდერბილდის ქალიშვილთან მძიმე ბრძოლის უკანასკნელი აკორდი იყო, ამაყ ამერიკელ ქალს ცოტა ხნის წინათ სანდვიჩის კუნძულებისკენ საკუთარი იახტით გაესეირნა.

- ჰო-ჰო! - ისმოდა ღამის სიმყუდროვეში, - ერნესტულია, საარაკოა! მშშ-შ-ვენიერია!

ლამპებით განათებულ ბუფეტში ცისფერი ქურდბაცაცა ალხენი და მისი ცოლი საშხენი ისხდნენ. საშხენის ლოყებს უწინდებურად ნიკოლოზ მეფესავით ნახევარბაკები ამშვენებდა, ალხენი მორცხვად ჭამდა ყარსულ მწვადს და ზედ №2 კახურს აყოლებდა, საშხენი კი ბაკენბარდებს ისწორებდა და შეკვეთილ თართს უცდიდა.

სოცუზრუნველყოფის მეორე სახლის ლიკვიდაციის შემდეგ საშხენმა დასვენება და გართობა ისურვა (ლიკვიდაციის დროს ყველაფერი გაყიდეს, ტუალდენორის ჩაჩიც და ის ლოზუნგიც - ,,საჭმელი გულდასმით დაღეჭე, ამით შენ საზოგადოებას ეხმერებიო"). ამ გამაძღარ თაღლითს თვით ბედისწერა მფარველობდა. დღეს იგი ხრამზე გავლას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, და სწორედ ამან გადაარჩინა. ოსტაპი მფრთხალ მნეს ოცდაათ მანეთს მაინც დასცინცლავდა.

იპოლიტ მატვეევიჩი შადრევნისკენ მაშინღა წაჩანჩალდა, როცა მუსიკოსებმა პიუპიტრები დახურეს, მოზეიმე საზოგადოებაც წავიდ-წამოვიდა და ,,საყვავილეს" დაცარიელებულ ხეივნებში მხოლოდ წყვილებიღა დარჩნენ, სიყვარული მძიმედ რომ ასუნთქებდათ.

- რამდენი მოაგროვეთ? - ჰკითხა ოსტაპმა, როცა შადრევანთან წინამძღოლის მოხრილი სხეული გამოჩნდა.

- შვიდი მანეთი და ოცდაცხრა კაპიკი. სამი მანეთი ქაღალდის ფულია, დანარჩენი - ვერცხლი და სპილენძი.

- ოჰო! დღეში ამდენს მხოლოდ პასუხისმგებელი მუშაკები იღებენ! პირველი გასტროლისაგან ამდენს არც მოველოდი! კისა, თქვენ პირდაპირ გული ამიჩუყეთ! მაგრამ ერთი მაცოდინა, სამმანეთიანი ვინ ჩერჩეტმა მოგცათ? თუ ხურდა მიეცით?

- იზნურენკოვმა მომცა.

- არ გამაგიჟოთ! ავესალომმა? ერთი ამ ბურთს შეხედეთ, სად ჩამოგორებულა! ელაპარაკეთ? აჰ, ვერ გიცნოთ?

- სახელმწიფო სათათბიროს ამბებს მეკითხებოდა და იცინოდა.

- აი, ხომ ხედავთ, წინამძღოლო, მათხოვრობა არც ისე ცუდი ყოფილა, მით უმეტეს, თუ განათლება ზომიერი გაქვთ და ხმაც -საწყალობელი. თქვენ კი ისე იპრანჭებოდით, თითქოს ბეჭდის მცველი ლორდი ბრძანდებოდეთ! მაშ, კისოჩკა! დრო ტყუილად არც მე დამიკარგავს. თხუთმეტი მანეთი ისე ვიშოვე, როგორც ერთი კაპიკი. კიდეც გვეყოფა.

მეორე დილით მონტიორმა ფული მიიღო და საღამოს ორი სკამი მოათრია. მესამე სკამის წამოღება კიო, - თქვა, არაფრით არ მოხერხდა, მასზე ხმოვანი გაფორმება კარტს თამაშობსო.

თავი მთლად უშიშრად რომ ეგრძნოთ, მეგობრები ლამის მაეშუკის მწვერვალზე აცოცდნენ.

ქვევით უძრავი სინათლეებით გაჩახჩახებული პიატიგორსკი მოჩანდა. ცოტა ქვევით - უფრო უღიმღამო სინათლეებში ჩაფლული სტანიცა გორიაჩევოდსკი. მთის გადაღმა კი, ჰორიზონტზე, ორი პარალელური წერტილხაზით კისლოვოდსკის კონტურები მოხაზულიყო.

ოსტაპმა ვარსკვლავიან ცას შეხედა და ჯიბიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ბრტყელტუჩა ამოიღო.

37. მწვანე კონცხი

ინჟინერი ბრუნსი მწვანე კონცხზე, საკუთარი აგარაკის ქვითნაშენ აივანზე, დიდი პალმის ქვეშ იჯდა. პალმის გაფშეკილი ფოთლები ინჟინრის გაპარსულ კისერზე, თეთრ პერანგსა და გენერალ პოპოვის ცოლისეულ ჰამბსის სკამზე გრძელსა და ვიწრო ჩრდილებს ისროდა. ინჟინერი სწორედ ამ სკამზე იჯდა და სადილის მოლოდინი სტანჯავდა.

ბრუნსმა სქელი ტუჩები საყვირივით წამოსწია და ანცი, ბუთხუზა ბიჭუნასავით გააგრძელა: - მუ-უ-სიკ!

აგარაკი დუმდა.

ინჟინერს ტროპიკული ფლორა ელაციცებოდა. კაქტუსები თავიანთ ეკლებიან ხელთათმანებს უწვდიდნენ. გრიალებდნენ დრაცენის ფოთლები. ბანანები და პალმები ინჟინრის მელოტ თავს ბუზებს უგერიებდნენ; ვარდები კი, აივნის ბოძებს რომ ამოჰყოლოდნენ, ნაზად ყელყელაობდნენ ინჟინრის სანდლებთან.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, ბრუნსს სადილი უნდოდა. იგი უხალისოდ გასქეროდა სადაფისფერ ყურეს, იმის იქით - შორეულ ბათუმს, და სიმღერის კილოზე აგრძელებდა: - მუ-უ-სიკ! მუ-უ-უ-სიკ!

ტენიანი სუბტროპიკული ჰაერი ხმას მალე ახშობდა. პასუხი კი არ იყო. ბრუნსმა ვეება, მოწითალო ბატი წარმოიდგინა, შიშხინა ქონიანი კანი რომ ჰქონდა, - თავი ვეღარ შეიკავა და დაიღრიალა: - მუსიკ! ბატი აღარ შეიწვა?

- ანდრეი მიხაილოვიჩ! - გამოსძახა ოთახიდან ქალის ხმამ, - სული ნუ შემიწუხე!

ინჟინერმა ჩვეულებისამებრ ტუჩები საყვირივით წამოსწია და მყისვე გაეპასუხა: - მუსიკ! შენი პატარა ქმარიკო არ გეცოდება?

- დაიკარგე, ღორმუცელავ! - მიუგეს ოთახიდან.

მაგრამ ინჟინერი არ დაემორჩილა. იგი კვლავ აპირებდა ბარე ორი საათის წინ დაწყებული საქმის გაგრძელებას - შემწვარი ბატის გამოძახებას, მაგრამ მოულოდნელად რაღაც ფაჩუნი მოესმა და მიტრიალდა.

მოშავო-მომწვანო ლერწმიანიდან დახეულ, ლურჯ ხალათში ჩაცმული კაცი გამოვიდა. მას გრეხილი, გაცვეთილი, ხშირფოჩებიანი ზონარი ერტყა და გაცვეთილივე, ზოლებიანი შარვალი ეცვა. უცნობის კეთილი სახე გაბანჯგლულ წვერს შეემოსა. მოსულს ხელში პიჯაკი ეჭირა.

კაცი მოახლოვდა და საამო ხმით იკითხა: - სად იმყოფება ინჟინერი ბრუნსი?

- ინჟინერი ბრუნსი მე ვარ, - მოულოდნელი ბასით გაეხმიანა შემწვარი ბატისთვის წამებული, - რით შემიძლია გემსახუროთ?

კაცი ხმაამოუღებლად მუხლებზე დაეცა. ეს მამა თევდორე იყო.

- თქვენ ჭკუიდან შეიშალეთ! - შეჰყვირა ინჟინერმა და წამოხტა, - ადექით, გეთაყვა!

- არ ავდგები, - მიუგო მამა თევდორემ. იგი თავს ინჟინრისკენ აბრუნებდა და უმანკო თვალებით მისჩერებოდა.

- ადექით!

- არ ავდგები.

მამა თევდორე დაიხარა და თავი რამდენჯერმე ქვიშაზე დაახალა. ოღონდ ფრთხილად კი ახლიდა, არ მეტკინოსო.

- მუსიკ! აქ მოდი! - დაიყვირა შეშინებულმა ინჟინერმა, - შეხედე, რა ხდება. ადექით, გთხოვთ! გევედრებით, ადექით! შეხედე, რა ხდება. ადექით, გთხოვთ! გევედრებით, ადექით!

- არ ავდგები, - იმეორებდა მამა თევდორე.

მუსიკი ქმრის ინტონაციებში შესანიშნავად ერკვეოდა და მყისვე აივანზე გამოვარდა.

ქალის დანახვაზე მამა თევდორე არ წამომდგარა, ოღონდ მარდად გადაფორთხდა მისკენ, მდაბლად დაუკრა თავი და სხაპასხუპით მიაყარა: - თქვენი, დედილო, თქვენი, მტრედო, თქვენი იმედით ვსულდგმულობ.

ინჟინერი ბრუნსი გაწითლდა, მთხოვნელს იღლიებში შეუდგა, დაიძაბა და ასწია - ფეხებზე დავაყენებო, მაგრამ მამა თევდორემ იეშმაკა და ფეხები მოკეცა. ბრუნსი აღშფოთდა, უცნაური სტუმარი კუთხეში მიათრია და ძალით ნახევარსავარძელში ჩასვა (ეს ნახევარსავარძელიც ჰამბსის ნახელავი იყო, მაგრამ ვორობიანინოვის სახლში არასოდეს უნახავთ, - იგი გენერლის ცოლის პოპოვას სასტუმროში იდგა).

- ვერ ვბედავ, - აბურტყუნდა მამა თევდორე და მეფუნთუშის პიჯაკი, ნავთის სუნი რომ ასდიოდა, მუხლებზე დაიდო, - ასეთი დიდი პიროვნებების წინაშე დადგომა ვერ გამიბედავს.

და მამა თევდორემ ისევ მუხლებზე დავარდნა სცადა.

ინჟინერმა წყენით შეჰყვირა და მამა თევდორეს მხრებში ეცა.

- მუსიკ, - მძიმე ხვნეშით უთხრა მან ცოლს, - ერთი, ამ მოქალაქეს მოელაპარაკე. აქ რაღაც გაუგებრობა ხდება.

მუსიკი მყისვე საქმიანი კილოთი ალაპარაკდა.

- უკაცრავად, მაგრამ, - მრისხანედ წარმოთქვა მან, - ჩემს ჭერქვეშ ეს რაღაც მუხლებზე დაჩოქება არ დამანახოთ!

- მტრედუნი! - თაფლად დნებოდა მამა თევდორე, - ჩემო დედილო!

- სადაური თქვენი დედილო მნახეთ? თქვით, რა გნებავთ?

მღვდელმა რაღაც გაუგებარი, მაგრამ, ეტყობოდა გულისამაჩუყებელი წაილუღლუღა. ბოლოს და ბოლოს, როცა უამრავი კითხვა მისცეს, როგორც იქნა გამოირკვა, რომ მღვდელი ითხოვდა საგანგებო მოწყალება მოიღეთ და აი, ახლა რომ ვზივარ, ამ გარნიტურის თორმეტივე სკამი მომყიდეთო.

ინჟინერი ისე გაოცდა, რომ მამა თევდორეს მხრებს ხელები შეუშვა. მღვდელი მყისვე კვლავ მუხლებზე დაეცა და ინჟინერს კუსავით უკან დაედევნა.

- რატომ და რისთვის? - ყვიროდა ინჟინერი და თან მამა თევდორეს გრძელ ხელებს გაურბოდა, - რისთვის და რატომ უნდა გავყიდო მე ჩემი სკამები? თქვენ რამდენიც გინდათ, მაგ მუხლებზე იმდენი იხოხეთ, მე მაინც ვერაფერი გამიგია.

- ეს სკამები ხომ ჩემია, - ამოიკვნესა მამა თევდორემ.

- რაო? თქვენია? როგორ თუ თქვენია? თქვენი საიდანაა? ჭკუიდან შემშლით! მუსიკ, მე ახლა ყველაფერს მივხდი. ეს ვიღაცა ნამდვილი ფსიქოპატია!

- ჩემია, - დამცირებულად იმეორებდა მამა თევდორე.

- როგორ, მაშ, მე თქვენ სკამები მოგპარეთ? - ინჟინერი გაცხარდა, - მოგპარეთ? მუსიკ, გესმის? ეს ვიღაცა შანტაჟს მიწყობს?

- მისგან ღმერთმა დამიფაროს, - წაიჩურჩულა მამა თევდორემ.

- არა, მე თუ თქვენ ეს სკამები მოგპარეთ, მაშინ სასამართლოში მიჩივლეთ, ოღონდ სახლში კი პანდემონიუმს ნუ მიწყობთ! მუსიკ, გესმის, ასეთი უტიფრობა ვერც კი წარმომიდგენია! ადამიანურად სადილის ჭამასაც აღარ გაცლიან!

არა, მამა თევდორე „თავისი“ სკამების სასამართლოთი მოგებას არ აპირებდა. მან იცოდა, რომ ინჟინერ ბრუნსს მისთვის სკამები არ მოუპარავს. არა, რა თქმა უნდა! მას ეს ფიქრადაც არ მოსვლია, მაგრამ ეს სკამები რევოლუციამდე მაინც მისი, მამა თევდორესი იყო, და ისინი უსაზღვროდ ძვირფასია მამა თევდორეს ცოლისთვის, ახლა რომ ვორონეჟში კვდება. მამა თევდორე სითამამეს კი არ აუტანია, იგი მხოლოდ მომაკვდავის ნება-სურვილს ასრულებს. სკამების ადგილსამყოფელი გაიგო და აი, მოქალაქე ბრუნსთან მოვიდა. მამა თევდორე მოწყალებას როდი თხოულობს. არა და არა! იგი საკმაოდ უზრუნველყოფილია იმისთვის, რომ სკამები იყიდოს და მეუღლეს უკანასკნელი წუთები დაუამოს. მას სანთლის პატარა ქარხანა აქვს სამარაში, იგი არც იძუნწებს და მთელ გარნიტურში ოციოდე მანეთს თუნდაც ახლავე გადაიხდის.

- რაო? - შეჰყვირა აჭარხლებულმა ინჟინერმა, - ოცი მანეთი ამ საუცხოო სასტუმრო გარნიტურში? მუსიკ, გესმის? არა, ეს მართლა ფსიქოპატია! ღმერთმანი, ფსიქოპატია!

- მე ფსიქოპატი არა ვარ. ოდენ ნება-სურვილს ვასრულებ წარმომგზავნელის ჩემის მეუღლისა...

- ეშმაკმა წაგიღოს, - თქვა ინჟინერმა, - ისევ ფორთხავს! მუსიკ, შეხედე, ისევ ფორთხავს.

- ფასი მაინც მითხარით, - კვნესოდა მამა თევდორე და თან არაუკარის ღეროს თავს ფრიად წინდახედულად ურახუნებოდა.

- ხეს ნუ აფუჭებთ, ადამიანო! მუსიკ, მგონი, ფსიქოპატი არ უნდა იყოს. ისე, ადამიანი ცოლის ავადმყოფობას აუღელვებია. იქნებ, სკამები მართლაც მიგვეყიდა, ა? იქნებ, ჩამოგვეხსნას მაინც, ა? თორემ შუბლს გაიხეთქავს...

- ჩვენ რაღაზე დავჯდეთ ხოლმე? - ჰკითხა მუსიკმა.

- სხვა ვიყიდოთ.

- რამდენად? ოც მანეთად?

- არა, ოც მანეთად, უნდა გითხრა, მე ამ სკამებს არ გავყიდი, ამ სკამებს არც ორას მანეთად გავყიდი. ორას ორმოცდაათად კი - ინებეთ.

ამ სიტყვების პასუხი დრაცენზე თავის საშინელი მიხეთქება იყო.

- ოჰ, მუსიკ, მე ეს უკვე მომბეზრდა!

ინჟინერი მამა თევდორეს სწრაფად მიუახლოვდა და ულტიმატუმი უკარნახა: - ჯერ ერთი, პალმას ახლავე სამი ნაბიჯით მოშორდით; მეორე, ახლავე ადექით; მესამე, ავეჯს მე გავყიდი ორას ორმოცდაათ მანეთად, ნაკლებად კი არა.

- არა გამორჩენის მიზნით, - წაიღიღინა მამა თევდორემ, - ოდენ აღსასრულებლად ნებისა წარმომგზავნელის ჩემის მეუღლისა...

- აბა, საყვარელო, თუ ეგრეა, ჩემი ცოლიც ავადაა. ხომ, მუსიკ? შენ ხომ ფილტვები დასუსტებული გაქვს? მერედა, განა მე ვთხოულობ! რაკი ასეა, აი, ეს... ვთქვათ, აი, ეს თქვენი პიჯაკი ოცდაათ კაპიკად მომყიდეთ-მეთქი?

- მუქთად მიირთვით! - შესძახა მამა თევდორემ.

ინჟინერმა ხელი ანჩხლად ჩაიქნია და ცივად უთხრა: - მასხრობას თავი ანებეთ! თქვენთან ბჭობას არ ვაპირებ. სკამები ორას ორმოცდათ მანეთად შევაფასე და ერთ კაპიკსაც არ დაგითმობთ.

- ორმოცდაათი, - შესთავაზა მამა თევდორემ.

- მუსიკ! - უთხრა ინჟინერმა, - ერთი ბაგრატიონს დაუძახე! ეს მოქალაქე გააცილოს.

- არა გამორჩენის მიზნით...

- ბაგრატიონ!

შეშინებული მამა თევდორე გაიქცა, ინჟინერი კი სასადილო ოთახში შევიდა და ბატს მიუჯდა. სანუკვარმა ფრინველმა ბრუნსზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა. ინჟინერი თანდათან მშვიდდებოდა.

იმ მომენტში, როცა ინჟინერმა ძვალს პაპირუსის ქაღალდი შემოახია და ბატის ფეხი თავის ვარდისფერ პირთან მიიტანა, ფანჯარაში მამა თევდორეს მავედრებელი სახე გამოჩნდა.

- არა გამორჩენის მიზნით, - წარმოთქვა რბილმა ხმამ, - ორმოცდათხუთმეტი მანეთი.

ინჟინერმა უკანმოუხედავად დაიღრინა. მამა თევდორე გაქრა.

ამის შემდეგ მამა თევდორეს ფიგურა მთელი დღე აგარაკის კუთხეებში რიალებდა. იგი ხან კრიპტომერიის ჩრდილიდან გამოიჭრებოდა, ხან მანდარინების ბაღში აღიმართებოდა, ხანაც უკანა ეზოს გადაუფრენდა და ბოტანიკური ბაღისკენ გაქანდებოდა.

ინჟინერი მთელი დღე მუსიკს უხმობდა და თავის ტკივილსა და ფსიქოპატს უჩიოდა. ჩამომდგარ სიბნელეში დროდადრო მამა თევდორეს ხმა ისმოდა.

- ას ოცდათვრამეტი! - საიდანღაც ზევიდან, ციდან მოისმოდა მისი ხმა.

ერთი წუთის შემდეგ კი ეს ხმა უკვე დუმბასოვის აგარაკის მხრიდან გაისმოდა.

- ას ორმოცდაერთი, - სთავაზობდა მამა თევდორე, - არა გამორჩენის მიზნით, ბატონო ბრუნს, არამედ ოდენ...

ბოლოს ინჟინერმა ვეღარ გაუძლო, შუა აივანზე გავიდა, სიბნელეს ჩააშტერდა და მიაყვირა: - ეშმაკსაც წაუღიხართ! ორასი მანეთი! ოღონდ ჩამომეხსენით.

პასუხად შეშფოთებული ლერწმების შრიალი, ჩუმი ამოკვნესა და მომავალი ნაბიჯების ხმა მოისმა. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

ყურეში ვარსკვლავები ჭყუმპალაობდნენ. მამა თევდორეს ციცინათელები მისდევდნენ, თავს ევლებოდნენ და სახეს მომწვანო სამედიცინო შუქით უნათებდნენ.

- მართლაც, როგორი ბატები მომრავლდნენ, - წაიბურტყუნა ინჟინერმა და ოთახში შევიდა.

ამასობაში მამა თევდორე უკანასკნელ ავტობუსში ჩამჯდარიყო და ზღვის ნაპირის გასწვრივ ბათუმისკენ მიქროდა. იქვე, ორიოდე ნაბიჯზე, ზღვა წიგნის გადაშლილი ფურცლებივით შრიალებდა; ქარი მგზავრებს სახეში სცემდა, ავტომობილის საყვირს კი ტურების კივილი ეხმაურებოდა.

იმავე საღამოს მამა თევდორემ თავისი ცოლის კატერინა ალექსანდროვნას სახელზე ქალაქ №-ში ასეთი დეპეშა გაგზავნა.

საქონელი ვიშოვე. დეპეშით გამომიგზავნე ორას ოცდაათი.

გაყიდე რაც გინდა. ფედია.

ორი დღე კი აღტაცებული დაეხეტებოდა ბრუნსის აგარაკის გარშემო, მუსიკს შორიდან ესალმებოდა და ზოგჯერ ტროპიკულ სივრცეებს ყვირილით სძრავდა.

- არა გამორჩენის მიზნით, არამედ ოდენ ნებითა წარმომგზავნელის ჩემისა მეუღლისა!

მესამე დღეს ფული მოვიდა და სასოწარკვეთილი დეპეშაც თან მოჰყვა: ყველაფერი გავყიდე, უკაპიკოდ დავრჩი.

გკოცნი და გელი. ევსტიგნეევი კიდევ სადილობს.

კატია.

მამა თევდორემ ფული გადათვალა, პირჯვარი გადაიწერა, ფორანი დაიქირავა და მწვანე კონცხისკენ გაემგზავრა.

პირქუში დღე იყო. თურქეთის საზღვრიდან ქარი ღრუბლებს მიერეკებოდა. ჭოროხს ორთქლი ასდიოდა. ცაში სულ უფრო ვიწროვდებოდა მოლურჯო ზოლი. შტორმის სიმძლავრემ შვიდ ბალს მიაღწია. ზღვაში ცურვა და ნავებით სეირნობა აკრძალეს. ბათუმს გუგუნი და ქუხილი აყრუებდა. შტორმი ნაპირებს აზანზარებდა.

ინჟინერ ბრუნსის აგარაკს რომ მიაღწია, მამაო თევდორემ ყაბალახიან აჭარელ მეფორნეს უბრძანა, მომიცადეო და ავეჯს მიაკითხა.

- მე ფული მოვიტანე, - უთხრა მან, - იქნებ, ცოტა დაგეკლოთ.

- მუსიკ, - აკვნესდა ინჟინერი, - მეტი აღარ შემიძლია.

- არა, მე ფული მოვიტანე-მეთქი, - იჩქარა მამა თევდორემ, - ორასი მანეთი, როგორც მიბრძანეთ.

- მუსიკ! გამოართვი ფული ამას! სკამები მიეცი და ყველაფერი ეს, რაც შეიძლება, ჩქარა მოათავე. მე შაკიკი დამემართა.

მთელი სიცოცხლის მიზანი მიღწეული იყო. მღვდელს სანთლის ქარხანა თვითონ უვარდებოდა კალთაში, ჯიბეში ბრილიანტები მზესუმზირასავით უცვიოდა.

თორმეტი სკამი ფორანში ერთიმეორის მიყოლებით ჩააბარგეს. ისინი ძალიან ჰგავდა ვორიაბიანინოვის სკამებს, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ინგლისური ჩითის ყვავილებიანი გადასაკრავი კი არ ჰქონდათ, არამედ ლურჯი, ვარდისფერზოლებიანი რიფსისა.

მამა თედორეს მოუთმენლობა იპყრობდა. პიჯაკქვეშ, დაგრეხილ ქამარში მას პატარა ნაჯახი ჰქონდა გარჭობილი. მამა თევდორე აჭარელის გვერდით იჯდა, წამდაუწუმ სკამებისკენ იცქირებოდა და ბათუმისკენ მიდიოდა. მხნე ცხენებმა მამა თევდორე და მისი განძეული ქვევით, შარაგზაზე გაიყვანეს. ჯერ პატარა რესტორან „ფინალს“ ჩაუარეს, სადაც ლერწმის მაგიდებს და ფანჩატურებს ქარი დასტრიალებდა. მერე გვირაბი იყო, რომელმაც სწორედ ამ დროს ნავთის მარშრუტის უკანასკნელი ცისტერნა ჩაყლაპა. ცოტა იქით ფოტოგრაფი გამოჩნდა, ამ პირქუშ დღეს უკლიენტებოდ რომ დარჩენილიყო. ბოლოს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფირნიშსაც ჩაურბინეს. აქ ცხენებმა ნაბიჯს უკლეს და ზღვის ნაპირს ისე გაჰყვნენ. იმ ადგილებში, სადაც გზა მასივებს უახლოვდებოდა, მამა თევდორეს მარილიანი შხეფები ეცემოდა. მასივების მიერ ნაპირიდან გარეკილი ტალღები გეიზერებად იქცეოდნენ, ცამდე ადიოდნენ და ძირს ნელა ეშვებოდნენ.

ტალღების სრბოლა და ქუხილი მამა თევდორეს შეშფოთებულ სულს უსალკდევებდა. ცხენები ქარს ებრძოდნენ და მახინჯაურისკენ ნელა მიდიოდნენ. სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, ყველგან მღვრიე მწვანე წყალი უსტვენდა და ყელყელაობდა. ტალღების ქაფი თვით ბათუმამდე იზმორებოდა, თითქოს პერანგის კალთაა, ფეთხუმ ქალბატონს რომ გამოსჩენიაო.

- სდექ! - დაუყვირა უცებ მამა თევდორემ მეფორნეს, - სდექ, მაჰმადიანო!

აცახცახებულმა მამა თევდორემ სკამების უკაცრიელ ნაპირზე გადაყრა დაიწყო. რამდენჯერმე კინაღამ წაიქცა. გულგრილმა აჭარელმა თავისი ხუთიანი მიიღო, ცხენებს შოლტი გადაუჭირა და წავიდა. მამა თევდორემ კი მიმოიხედა, დარწმუნდა, ახლომახლო არავინ არისო, სკამები პლაჟის პატარა, ჯერ კიდევ მშრალ ადგილზე ჩაათრია და ნაჯახი გააძრო.

ერთ წუთს იგი ყოყმანობდა, არ იცოდა, რომელი სკამიდან დაეწყო. მერე მთვარეულივით მესამე სკამს მიუახლოვდა და ნაჯახი მხეცურად დაჰკრა ზურგზე. სკამი აყირავდა, მაგრამ ოდნავადაც არ დაზიანებულა.

- აჰა! - შეჰყვირა მამა თევდორემ, - მე შენ გაა-ჩვენებ!

იგი სკამს ისე დაეძგერა, თითქოს საქმე ცოცხალ სულიერთან ჰქონდა. თვალის დახმამხამებაში სკამი კომბოსტოსავით დაკუწა. არც კი ესმოდა, ნაჯახი როგორ ხვდებოდა ხეს, რიფსსა და ზამბარებს. სხვა ხმები შტორმის ძალუმ ღრიალში ისე ქრებოდნენ, როგორც რბილ თექაში.

- აჰა! აჰა! აჰა! - დასძახოდა მამა თევდორე და ნაჯახს გამეტებით იქნევდა.

სკამები მწყობრიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდა. მამა თევდორე უფრო და უფრო აფთრდებოდა. სულ უფრო და უფრო მძლავრდებოდა შტორმიც. ტალღა ხანდახან მამა თევდორეს ფეხებსაც კი უწევდა ხოლმე.

ზავთიანი ხმაური იდგა ბათუმიდან სინოპამდე. ზღვა მრისხანებდა და გულისჯავრს გემებზე იყრიდა. კიჩოთი მძიმედ ჩაძირული გემი „ლენინი“ ნოვოროსიისკს უახლოვდებოდა და ორივე მილს ახრჩოლებდა. შავ ზღვაზე შტორმი დაძრწოდა და ათასტონიან ტალღებს ტრაპეზუნის, იალტის, ოდესისა და კონსტანცას სანაპიროებს ახეთქებდა. მიწყნარებულ ბოსფორსა და დარდანელს იქით ხმელთაშუა ზღვა გრგვინავდა. გიბრალტარის სრუტის გადაღმიდან ატლანტის ოკეანე ევროპას ეჯახებოდა. ბრაზწაკიდებული წყალი გარს შემოსწოლდა მთელ დედამიწას.

ბათუმის სანაპიროზე კი მამა თევდორე იდგა და, ოფლდგაღვრილი, უკანასკნელ სკამს ჩეხავდა ერთი წუთის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული იყო. მამა თევდორე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. გამოლენჩებული მზერა სკამების ფეხების, ზურგებისა და ზამბარების მთას შეავლო, საკუთარი ხელით რომ აღემართა და უკან დაიხია. წყალი ფეხებზე ეცა. მამა თევდორე წინ გაიჭრა და, ერთიანად სველი, შარაგზაზე ავარდა. იმ ადგილას, სადაც ეს-ეს იყო, მამა თევდორე იდგა, ვეებერთელა ტალღა მოვარდა და მერე, უკან დახევისას, გენერლის ცოლის, პოპოვას გარნიტურის ნამუსრევიც თან გაიყოლა. მამა თევდორეს ეს აღარც დაუნახავს. წელში მოხრილიყო, სველი მუშტი მკერდზე მიედო და შარაზე მიაბიჯებდა.

ბათუმში რომ შევიდა, ბრმასავით იყო და გარშემო ვერაფერს ხედავდა. მის მდგომარეობაზე უარესი მართლაც არაფერი იქნებოდა. სახლიდან ხუთი ათასი კილომეტრით დაშორებულს, სულ ოციოდე მანეთის ანაბარა, როგორ უნდა მიეღწია მშობლიურ ქალაქამდე?

მამა თევდორემ თურქული ბაზარი გადაჭრა, სადაც მას იდეალური ჩურჩულით სთავზობდნენ: კოტის პუდრი, აბრეშუმის წინდები, ან უბანდეროლო სოხუმური თამბაქო მაინც იყიდეო, - ვაგზლისკენ წაჩანჩალდა და მეკურტნეების ბრბოში გაუჩინარდა.

38. ღრუბელქვეშ

კონცესიონერებმა მონტიორ მეჩნიკოვთან საქმე რომ გაარიგეს, ამის შემდეგ სამი დღე გავიდა და კოლუმბის თეატრი მახაჩკალაზე გავლით, რკინიგზით ბაქოსკენ გაემგზავრა. ამ სამი დღის განმავლობაში კონცესიონერები, რომლებიც მაშუკზე გამოფატრული სკამების შინაარსმა არ დააკმაყოფილა, ელოდნენ, მეჩნიკოვი მესამე სკამსაც მოგვიტანს, ჯერაც კოლუმბის თეატრში რომ არისო. მაგრამ ნარზანით გაწამებულმა მონტიორმა მიღებული ოცი მანეთი უბრალო არყის საყიდლად დახარჯა და ისეთ დღეში ჩავარდა, რომ საბუტაფორეში ჩაკეტეს და გარეთ აღარ უშვებდნენ.

- ესეც თქვენი მჟავე წყლები, - თქვა ოსტაპმა, როცა თეატრის გამგზავრების ამბავი შეიტყო, - ეგ მონტიორი კაცი კი არა, ძაღლის ტყავია! ამის შემდეგ მოდი და თეატრის მუშაკებს რამეში ენდე.

ოსტაპი წინანდელთან შედარებით ძალიან აფორიაქებული იყო - განძეულის პოვნის შანსები დღითი დღე იზრდებოდა!

- ვლადიკავკავში წასასვლელად ფული გვინდა, - თქვა მან, - იქ ავტომობილში ჩავსხდებით და საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩავალთ. რომ იცოდეთ, როგორი ხედებია! რა თვალწარმტაცი პეიზაჟები! მთის საუცხოო ჰაერი! ფინალში კი - ას ორმოცდაათი ათასი მანეთი და ნული კაპიკი. სხდომის დახურვას არანაირი აზრი არა აქვს.

მაგრამ მინერალური წყლებიდან წასვლა არც ისე ადვილი გამოდგა. იპოლიტ მატვეევიჩს მატარებელში ქურდულად მგზავრობის ნიჭის ნატამალიც არ აღმოაჩნდა. მან მატარებელში შეძრომაც ვერ მოახერხა და, ცოტა ფული მაინც რომ ეშოვა, „საყვავილეს“ საზოგადოებას ახლა სამოსწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის სახით წარუდგა. ამას დიდი წარმატება არ მოჰყოლია. მძიმე და დამამცირებელმა სამუშაომ, თორმეტი საათი რომ გაგრძელდა, სულ ორი მანეთი შესძინა, მაგრამ ეს ფული საკმაო იყო, რომ ვლადიკაკავში ჩასულიყვნენ.

ოსტაპი უბილეთოდ წავიდა და ბესლანში ჩამოაგდეს. დიდმა კომბინატორმა მატარებელს, ბარე სამი ვერსი, შეუპოვრად სდია, და თან სრულიად უდანაშაულო იპოლიტ მატვეევიჩს მუშტებით ემუქრებოდა.

მერე ოსტაპმა მოახერხა და სხვა მატარებელს შეახტა, კავკასიის ქედისკენ ზენტად რომ მიიზლაზნებოდა. ამ პოზიციიდან იგი ცნობისმოყვრეობით გასცქეროდა კავკასიონის მთაგრეხილის გაშლილ პანორამას.

დილის ოთხი საათი იქნებოდა: მზის სხივებმა მთების მწვერვალები მუქ ვარდისფრად შეაფერადა. ოსტაპს მთები არ მოეწონა.

- მეტისმეტად იპრანჭებიან, - თქვა მან, - ველური სილამაზეა. სწორედ იდიოტის ნახელავია. ეს არავის არაფერში სჭირდება.

ვლადიკავკავის სადგურთან ჩამომსვლელებს დიდი ღია ავტობუსი უცდიდა და ალერსიანი ადამიანები ეუბნებოდნენ, ვინც საქართველოს სამხედრო გზით წამოსვლას აპირებს, ქალაქში მუქთად გავასეირნებთო.

- სადღა მიდიხარ, კისა? - უთხრა ოსტაპმა, - ჩავსხდეთ ამ ავტობუსში. დაე, მუქთად წაგვიყვანონ.

მაგრამ როცა ავტობუსი ამიერკავკასიის ავტომრეწვაჭრობის კანტორასთან მივიდა, ოსტაპი ავტობუსში ადგილის დასაკავებლად სულაც არ აჩქარებულა. ის გაცხოველებით ესაუბრებოდა იპოლიტ მატვეევიჩს, ტკბებოდა ღრუბლებით შემოჯარული, მაგიდასავით გაშლილი მთის ყურებით, და ამბობდა, ეს მთა მართლაც მაგიდას ჰგავსო. მერე სადღაც დაიკარგა.

ვლადივკავკავში რამდენიმე დღეს იყურყუტეს. არაერთხელ სცადეს საქართველოს სამხედრო გზით მგზავრობისთვის ფული ეშოვათ, მაგრამ უნაყოფოდ. რასაც

შოულობდნენ, დღიურ სარჩოდ ძლივს ჰყოფნიდათ. ისიც სცადეს, მოქალაქეთათვის უზალთუნები დაეცინცლათ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. კავკასიონის ქედი იმ სიმაღლეზე აზიდულიყო და ისე კარგად მოჩანდა, რომ მის ჩვენებაში კაპიკსაც არავინ მოგცემდათ. ეს ქედი ყოველი მხრიდან მოჩანდა. სხვა რამ სილამაზე კი ვლადიკავკავს არაფერი გააჩნდა. რაც შეხეება თერგს, იგი „ტრეკის“ გვერდით მიედინებოდა და იქ შესვლაში ქალაქი ფულს ოსტაპის დაუხმარებლადაც ახდევინებდა. იპოლიტ მატვეევიჩმა მოწყალების თხოვნა სცადა, მაგრამ ორი დღე დაკარგა და მხოლოდ ცამეტი კაპიკი იშოვა.

- გვეყოფა, - თქვა ოსტაპმა, - ერთიღა დაგვრჩენია, - თბილისში ფეხით ჩავიდეთ. ორას ვერსს ხუთ დღეში გავივლით. არა უშავს, მამილო! გზაში მთების მომხიბლავი ხედებით და სუფთა ჰაერით დავტკბებით. ფული მარტო პურისთვის და სამოყვარულო ძეხვისთვის დაგვჭირდება. ახლა, როგორც ნებავთ, თქვენს ლექსიკონს თუნდაც რამდენიმე იტალიური ფრაზა მიუმატეთ და საღამოს ორ მანეთზე ნაკლები კი არ მოიტანოთ. დღეს, ძვირფასო ამხანაგო, სადილის ჭამაც არ მოგვიწევს. რას იზამ! ცუდი შანსები გვაქვს....

კონცესიონერებმა უთენია თერგის ხიდი გადაიარეს, ყაზარმებს ჩაუარეს და მწვანე მინდორს გაჰყვნენ, რომელზეც საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა.

- ბედი გვქონია, კისა, - უთხრა ოსტაპმა, - ღამით უწვიმია და მტვერის ყლაპვა აღარ მოგვიწევს. ისუნთქეთ სუფთა ჰაერი, წინამძღოლო! იმღერეთ. კავკასიისადმი მიძღვნილი ლექსები გაიხსენეთ და, საერთოდ, ისე მოიქეცით, როგორც ამ არემარეს შეეფერება.

მაგრამ იპოლიტ მატვეევიჩი არ მღეროდა და არც ლექსებს იხსენებდა. გზა აღმართზე ადიოდა, ვორობიანინოვი ახლა ღია ცისქვეშ გატარებულ ღამეებს იხსენებდა, რადგან გვერდებში ჩხვლეტას გრძნობდა და ფეხების გადადგმა უმძიმდა. სამოყვარულო ძეხვის გახსენება კი გაუთავებელ, მტანჯველ გულძმარვას ჰგვრიდა. იგი გვერდზე გადახრილი მიდიოდა, ხელში ვლადიკავკავის გაზეთში გახვეული ხუთგირვანქიანი პური ეჭირა და მარხენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა.

მაგრამ წინ გზა ედოთ! ამჯერად თბილისში. მთელ მსოფლიოში ულამაზესი გზით მიდიოდნენ. იპოლიტ მატვეევიჩისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. იგი ოსტაპივით აქეთ-იქით კი არ იყურებოდა, მას თერგიც კი არ შეუმჩნევია, რომლის გუგუნიც უკვე მოისმოდა ტაფობის ფსკერიდან. მხოლოდ ეს იყო, მზის სინათლის გაბრწყინებული ყინულოვანი მწვერვალები რაღაცას აგონებდნენ იპოლიტ მატვეევიჩს; ოღონდ ვერ გაერკვია, რას - ბრილიანტების ელვარებას თუ ოსტატი ბეზენჩუკის საუკეთესო, ფარჩიან კუბოებს.

ბალთას რომ გასცდნენ, გზა ხეობაში შევიდა და ბნელ, ციცაბო კლდეებში გამოკვეთილ ვიწრო ლავგარდანს გაჰყვა. გზა მაღლა მიიკლაკნებოდა და საღამოს კონცესიონერებმა თავი სადგურ ლარსში, ზღვის დონიდან ათასი მეტრის სიმაღლეზე ამოყვეს.

ღარიბულ დუქანში ღამე მათ მუქთად გაათევინეს. დუქნის პატრონი და მისი სტუმრები კარტის ფოკუსებით მოხიბლეს და ამან თითო ჭიქა რძეც აშოვნინა მათ.

დილა იმდენად მშვენიერი იყო, რომ მთის ჰაერით გამოცოცხლებული იპოლიტ მატვეევიჩი გუშინდელზე უფრო მხნედ მიაბიჯებდა. ლარსის სადგურს გასცდნენ თუ არა, წინ მთაგრეხილის გრანდიოზული კედელი აღუდგათ. თერგის ველი ვიწრო კლდეებში ჩაიჭეჭყა. პეიზაჟი უფრო და უფრო პირქუში ხდებოდა. კლდეებზე გაკეთებული წარწერები კი - უფრო მრავალსიტყვიანი. იქ, სადღაც, კლდეებმა თერგი თითქმის მთლად მოახრჩვეს და ხიდის სიგრძე ათი საჟენი ძლივსღა იქნებოდა. კონცესიონერებმა ხეობის კლდოვან კედლებზე იმდენი წარწერები დაინახეს, რომ ოსტაპმა დარიალის ხეობის დიდებულება გადაივიწყა და ხმამაღლა დაიყვირა, თითქოს თერგის ღრიალისა და კვნესის ჩახშობა სწადიაო.

- აი, დიდი ადამიანები! ყურადღება მიაქციეთ, წინამძღოლო, ხედავთ? ღრუბლებზე ოდნავ მაღლა და არწივებზე ცოტა დაბლა! წარწერა: „კოლია და მიკა, 1914 წ. ივლისი“. დაუვიწყარი სანახაობაა! აბა ყურადღება მხატვრულ ოსტატობასაც მიაქციეთ, ყოველი ასო თითო მეტრის სიმაღლისაა და ზეთის საღებავებით დაუწერიათ! ნეტავ, სად ხართ ახლა, კოლია და მიკა?

- კისა, - განაგრძო ოსტაპმა, - მოდი, ჩვენც უკვდავება მოვიხვეჭოთ. კოლია და მიკა გავაცუდოთ. იღბლად, მე ცარცის ნატეხიც თან მაქვს! ღმერთმანი, ახლავე ავძვრები და წავაწერ: „აქ იყვნენ კისა და ოსია“.

ოსტაპს ბევრი აღარ უფიქრია. სამოყვარულო ძეხვის მარაგი პარაპეტზე დააწყო, შარაგზას რომ მბორგავი თერგისკენ იფარავდა და კლდეზე აცოცდა.

იპოლიტ მატვეევიჩი ჯერ მისჩერებოდა, როგორ მიიწევდა მაღლა დიდი კომბინატორი. მერე ყურადღება გაეფანტა, მოტრიალდა და თამარის კოშკის საძირკველს დააკვირდა, კლდეს რომ შერჩენოდა და ცხენის კბილს დამსგავსებოდა.

სწორედ ამ დროს, კონცესიონერებისგან ორი ვერსის დაშორებით, თბილისის მხრიდან, დარიალის ხეობაში მამა თევდორე შევიდა. იგი გაზომილი, ჯარისკაცული ნაბიჯით მიდიოდა, მტკიცე, ალმასის თვალებით წინ იყურებოდა და გრძელ, ბოლომოხრილ ჯოხს ეყრდნობოდა.

ფული მამა თევდორეს მხოლოდ თბილისში ჩასასვლელად ეყო. ახლა კი მოწყალებას თხოულობდა და სამშობლოში ფეხით ბრუნდებოდა. ჯვრის უღელტეხილს რომ გადადიოდა, ზღვის დონიდან 2345 მეტრის სიმაღლეზე მას არწივმა უკბინა. მამა თევდორემ თავხედ ფრინველს ჯოხი მოუქნია და გზა განაგრძო.

მოდიოდა ღრუბლებით გარშემორტყმული მამა თევდორე და ბურტყუნებდა: - არა, გამორჩენის მიზნით, არამედ ოდენ ნებითა წარმომგზავნელის ჩემის მეუღლისა!

მტრებს შორის მანძილი დნებოდა. მამა თევდორე კლდოვან მოსახვევს გასცდა და ოქროს პენსნეიან ბერიკაცს შეეხალა.

მამა თევდორეს თვალებში ხეობა დანაკუწდა. თერგმაც შეწყვიტა ათასწლოვანი ხუილი.

მამა თედვორემ ვორობიანინოვი იცნო. ბათუმში გადატანილი საშინელი მარცხის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ყველა იმედი დაემსხვრა, სიმდიდრის მოხვეჭის ახალმა შესაძლებლობამ მამა თევდორეზე მეტად უჩვეულოდ იმოქმედა.

მან იპოლიტ მატვეევიჩს გამხმარ ყანყრატოში ხელი ჩაავლო, თითები მოუჭირა და ჩახლეჩილი ხმით დაუყვირა: - რა უყავი შენი ხელით მოკვდინებული სიდედრის განძეული?

იპოლიტ მატვეევიჩი არაფერს ამისთანას არ მოელოდა. იგი დუმდა, თვალები კი ისე გადმოეკარკლა, რომ ისინი ლამის პენსნეს შუშებს ეხებოდნენ.

- თქვი! - უბრძანა მამა თევდორემ, - აღიარე, ცოდვილო! ვორობიანინოვმა იგრძნო, სუნთქვა მიგუბდებაო.

ამ დროს მამა თევდორემ, უკვე გამარჯვებას რომ ზეიმობდა, კლდეებზე მოხტუნავე ბენდერი დაინახა, ტექნიკური დირექტორი ძირს ეშვებოდა და მთელი ხმით ღრიალებდა: ვეება ტალღებს გადასდით ქაფი

და გაშმაგებით ლოკავენ ნაპირს...

მამა თევდორეს გული უსაზღვრო შიშმა დაუკოდა. წინამძღოლს ყელზე ანგარიშმიუცემლად ისევ ხელს უჭერდა, მაგრამ მუხლები კი აუცახცახდა.

- ოჰ, ამას ვის ვხედავ?! - მეგობრულად მოაძახა ოსტაპმა, - მოქიშპე ორგანიზაცია მოსულა.

მამა თევდორემ აღარ დააყოვნა. კეთილმოსურნე ინსტინქტს დაემორჩილა, კონცესიონერების პურსა და ძეხვს ხელი დაავლო და გაიქცა.

- დასცხეთ მაგას, ამხანაგო, ბენდერ! - ყვიროდა მიწაზე გართხმული იპოლიტ მატვეევიჩი და სულს ძლივს იბრუნებდა.

- ხელი სტაცე! დაიჭი!

ოსტაპმა სტვენა და ძახილი მორთო.

- ჰე-უ-უ! - გაჰყვიროდა იგი და თან მამაო თევდორეს მისდევდა, - ბრძოლა პირამიდებთან, ანუ ბენდერი ნადირობაზე! სად გარბიხარ, კლიენტო! შემიძლია, კარგად გამოფატრული სკამი შემოგთავაზოთ!

მამა თევდორემ დევნის წამებას ვეღარ გაუძლო და ციცაბო კლდეზე აფორთხდა. მას ზევით ყელში ამოჩრილი გული და ფეხისგულების ის განსაკუთრებული ქავილი ერეკებოდა, მარტო ლაჩრები რომ იცნობენ. ფეხები გრანიტზე თვითონ სხლტოდნენ და თავიანთი მბრძანებელი ზევით მიჰქონდათ.

- ჰე-უ-უ! - ყვიროდა ოსტაპი ქვევიდან, - დაიჭი, არ გაუშვა!

- ჩვენი სურსათი წაიღო! - შეჰბღავლა იპოლიტ მატვეევიჩმა და ოსტაპთან მიირბინა.

- შეჩერდი! -დასჭექა მაშინ ოსტაპმა, - შეჩერდი, გეუბნები!

მაგრამ ოსტაპის ქუხილმა დაქანცულ მამა თევდორეს ახალი სული შთაბერა. იგი პირდაპირ აფრინდა და რამდენიმე ნახტომით ყველაზე მაღალ წარწერას ბარე ათი საჟენით ასცილდა.

- ძეხვი დაგვიბრუნე! - შეევედრა ოსტაპი, - ჩერჩეტო, ძეხვი დაგვიბრუნე და ყველაფერს გაპატიებ!

მამა თევდორეს უკვე აღარაფერი ესმოდა. მან თავი პატარა, სწორ მოედანზე ამოჰყო, რომელზეც ჯერ ძეხორციელს ფეხი არ დაედგა. იქ მღვდელი ნაღვლიანმა ძრწოლამ შეიპყრო. მან მოისაზრა, აქედან ძირს ჩასვლას ვეღარასგზით ვეღარ მოვახერხებო.

კლდე შარაზე პერპენდიკულარულად ეშვებოდა და უკან ჩამოსვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მამა თევდორემ ძირს ჩაიხედა. იქ ოსტაპი ბობოქრობდა, ხეობის ფსკერზე კი წინამძღოლის ოქროს პენსნე ბრწყინავდა.

- ძეხვს დაგიბრუნებთ! - ჩასძახა მამა თევდორემ, - ოღონდ ჩამომიყვანეთ.

პასუხად ქვევიდან თერგის გრიალი, ხოლო თამარის კოშკიდან აღტყინებული გნიასი მოესმა. კოშკში ჭოტები ბუდობნენ.

- ჩა-მო-მიყვანეთ! - საწყალობლად ყვიროდა მამა თევდორე.

იგი კონცესიონერების ყველა მანევრს ხედავდა. ისინი კლდის ძირას დარბოდნენ და როგორც ეტყობოდათ, საზიზღრად იგინებოდნენ.

ერთი საათის შემდეგ მამა თევდორე მუცელზე დაწვა, თავი ძირს ჩაჰკიდა და დაინახა, რომ ბენდერი და ვორობიანინოვი ჯვრის უღელტეხილისკენ მიდიოდნენ.

სწრაფად ღამდებოდა. გაუვალი სიბნელე და ჯოჯოხეთური გუგუნი იდგა. ღრუბლების ქვეშ გაწოლილი მამა თევდორე ცახცახებდა და ტიროდა. მიწიერი სიმდიდრე უკვე აღარ უნდოდა. მას მხოლოდ ერთი რამ - ძირს, მიწაზე ჩასვლა სწყუროდა. ღამე იგი ისე ღრიალებდა, რომ დროდადრო თერგის ხმაურსაც კი ახშობდა, დილით კი პურითა და სამოყვარულო ძეხვით სული მოითქვა და ქვევით მიმავალ ავტომობილებს სატანისებური ხარხარით აცილებდა. დანარჩენი დღე მთებისა და ციური მნათობის - მზის ჭვრეტაში გაატარა. შემდეგ ღამეს კი თამარ მეფე იხილა. თამარი მასთან თავისი კოშკიდან გადმოფრინდა და კეკლუცად უთხრა: - მეზობლები ვყოფილვართ.

- დედილო! - გრძნობიერად მიუგო მამა თევდორემ, - გამორჩენის მიზნით კი არა...

- ვიცი, ვიცი, - შეაწყვეტინა თამარმა, - არამედ ოდენ ნებითა წარმოგზავნილის შენისა მეუღლისა.

- თქვენ საიდანღა იცით? - გაუკვირდა მამა თევდორეს.

- ვიცი, კარგა ხანია, რაც ვიცი. შემოიარეთ, მეზობელო! სამოცდაექვსი ვითამაშოთ ხოლმე, კარგი?

თამარმა გაიცინა, გაფრინდა და ღამეულ ცაში ჩამქრალ შუშხუნასავით გაუჩინარდა.

მესამე დღეს მამა თევდორე ჩიტების წინაშე ქადაგად დაეცა. იგი მათ რატომღაც ლუთერანობისკენ მოუწოდებდა.

- ფრინველებო, - ზარიანი ხმით მოუწოდებდა იგი, - საჯაროდ მოინანიეთ შეცოდებანი თქვენი.

მეოთხე დღეს მამა თევდორეს უკვე ექსკურსანტებს უჩვენებდნენ.

- მარჯვნივ - თამარის ციხე მოჩანს, - ყვებოდნენ გამოცდილი გამყოლები, - მარცხნივ კი ცოცხალი კაცი დგას. რითი ცოცხლობს, ან იქ როგორ მოხვდა, ეს არავინ იცის.

- ოჰ, რა ველური ხალხია! - უკვირდათ ექსკურსანტებს, - მართლაც მთის შვილები არიან.

მიცურავდნენ ღრუბლები. მამა თევდორეს არწივები დასტრიალებდნენ. ყველაზე უშიშარმა არწივმა ძეხვის ნარჩენი მოჰპარა, მერე ფრთა აიქნია და აქაფებულ თერგში ასე გირვანქა-ნახევარი პური გადააგდო.

მამა თევდორემ არწივს თითი დაუქნია, მერე შუქიანად გაიღიმა და წაიჩურჩულა: გარჯა-შრომა არ სჩვევია

უზრუნველ და ფრთალაღ ფრინველს,

ერთ ადგილას ყოფნა არ სურს

და ვერც ბუდით გააკვირვებ.

არწივმა მამა თედვორეს ალმაცერად გადახედა, დაიყაშყაშა - „ყიყ-ლიყ-ყოო“ და გაფრინდა.

ათი დღის შემდეგ ვლადიკავკავიდან სათანადოდ აღჭურვილი სახანძრო რაზმი ამოვიდა და მამა თევდორე ჩამოხსნა.

როცა ძირს ჩამოჰყავდათ, მღვდელი ხელებს იქნევდა და ერთობ უსიამო ხმით მღეროდა: მარად იქნები შენ ჩემი გუ-უ-ლის

და მთელი ქვე-ე-ყნის ტახტის მპყრობელი!

მკაცრი კავკასიონი მრავალგზის იმეორებდა მ. ი. ლერმონტოვის სიტყვებსა და ა. რუბინშტეინის მუსიკას.

- არა გამორჩენის მიზნით, - უთხრა მამა თევდორემ ბრანდმაისტერს, - არამედ ოდენ...

ახარხარებული მღვდელი სახანძრო მანქანის კიბეს მიაკრეს და ფსიქიატრიული საავადმყოფოს გზას გაუყენეს.

39. მიწისძვრა

- როგორ გგონიათ, წინამძღოლო, - ჰკითხა ოსტაპმა, როცა კონცესიონერები სოფელ სიონს მიუახლოვდნენ, - ამ ყრუ ადგილას, ზღვის დონიდან ორი ვერსის სიმაღლეზე, რისი შოვნა შეიძლება?

იპოლიტ მატვეევიჩი დუმდა. ერთადერთი საქმიანობა, რომლითაც მას საარსებო საშუალებათა შოვნა შეეძლო, მათხოვრობა იყო, მაგრამ აქ, მთების ხვეულებსა და ლავგარდანებში, გამკითხავიც არსად ჩანდა.

ისე კი, სიმართლე უნდა ითქვას, მეტად თავისებური მათხოვრობა აქაც იყო. მისთვის შეიძლებოდა ალპური გეწოდებინათ; ყოველ ავტობუსთან ან მსუბუქ მანქანასთან, რომელიც კი სოფელზე გაივლიდა, ბავშვები მიირბენდნენ და მოძრავი აუდიტორიის თვალწინ ნაურული ლეკურის რამდენიმე პას ასრულებდნენ. ამის შემდეგ მანქანას დაედევნებოდნენ და გაჰყვიროდნენ: - მოგვეცი ფული! ფული მოგვეცი!

მგზავრები შაურიანებს ესროდნენ და ჯვრის უღელტეხილისკენ მიქროდნენ.

- ნაღდი საქმეა, - თქვა ოსტაპმა, - კაპიტალური ხარჯები არა სჭირდება. შემოსავალი დიდი არ არის, მაგრამ ჩვენგან არ დაიწუნება.

მეორე დღეს, ორ საათზე, დიდი კომბინატორის მეთვალყურეობის ქვეშ, იპოლიტ მატვეევიჩმა მიმქროლავი მგზავრებისთვის თავისი პირველი ცეკვა შეასრულა. ეს ცეკვა მაზურკას ჰგავდა, მაგრამ კავკასიის ველური სილამაზით გულაჩუყებულმა მგზავრებმა იგი ლეკურად ჩათვალეს და სამი შაურიანით დააჯილდოვეს. შემდეგ თბილისიდან ვლადიკავკავისკენ მიმავალ ავტოობუსს ცეკვის კლასი თვითონ ტექნიკურმა დირექტორმა უჩვენა და ბრაზით მიაყვირა: - ფული მოგვეცი! მოგვეცი ფული!

მოცინარე მგზავრებმა გულუხვობა გამოიჩინეს და მტვრიან გზაზე ოსტაპმა ოცდაათი კაპიკი აკრიფა. მაგრამ ამ დროს სიონელმა ბავშვებმა კონკურენტებს ქვის სეტყვა დაუშინეს. მოგზაურები სეტყვას გაექცნენ და ჩქარი ნაბიჯით უახლოეს აულს მიაშურეს, სადაც ნაშოვნი ფული ყველსა და მჭადში დაიხარჯა.

კონცესიონერები დღეებს ასეთ საქმიანობაში ატარებდნენ. ღამისთევა მთიულურ სახლებში უწევდათ. მეოთხე დღეს შარაგზის ზიგზაგებით ისინი კაიშაურის ველზე გავიდნენ. აქ მზე მაგრად აცხუნებდა და კომპანიონებს ჯვრის უღლეტეხილზე გაყინული ძვლები მალე გაუთბათ.

დარიალის კლდეები, სიბნელე და უღელტეხილის სიცივე მწვანე, კარგად დასახლებულმა ველმა შეცვალა. მოგზაურები არაგვს გაჰყვნენ და მჭიდროდ დასახლებულ, შინაური ცხოველებითა და საჭმლით სავსე ტაფობს ჩააღწიეს. აქ კი, შეიძლებოდა, რამე გეთხოვა, ან, თუ გაჭირდებოდა, უბრალოდ, მოგეპარა კიდეც. ეს ამიერკავკასია იყო.

გამხიარულებულმა კონცესიონერებმა ნაბიჯს უმატეს.

ფასანაურში, ცხელ და მდიდარ სოფელში, ორი სასტუმრო და რამდენიმე დუქანი რომ ჰქონდა, მეგობრებმა პური მოინათხოვრეს და სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ, ბუჩქებში ჩაწვნენ. სასტუმროს ბაღი ეკრა, რომელშიც ჯაჭვით დაბმული დათუნიები დაბობღავდნენ. კონცესიონერები სითბოთი, გემრიელი პურით და დამსახურებული სიმშვიდით ტკბებოდნენ.

მაგრამ სიმყუდროვე მალე ავტომობილების სირენების ღრიალმა, კაჟიან შარაზე ახალი საბურავების შრიალმა და მხიარულმა შეძახილებმა დაარღვია, „საფრანგეთთან“ სამი ახლობელი, ერთნაირი ტიპის ავტომობილი მოსრიალდა. ისინი უხმაუროდ გაჩერდნენ. პირველი მანქანიდან პერსიცკი გადმოხტა, მას „სასამართლო და ყოფა-ცხოვრება“ გადმოჰყვა და დამტვერილი თმა შეისწორა. მერე

სხვა მანქანებიდანაც გაზეთ „სტანოკის“ საავტომობილო კლუბის წევრები გადმოცვივდნენ.

- შესვენება! - შეჰყვირა პერსიცკიმ, - მასპინძელო! მოიტა თხუთმეტი მწვადი!

„საფრანგეთში“ ძილმორეული ფიგურები ამოძრავდნენ. გაისმა ცხვრის ბღავილი. ცხვარს ფეხებში ხელი წაავლეს და სამზარეულოსკენ გაათრიეს.

- იცანით ეს ყმაწვილი? - ჰკითხა ოსტაპმა, - „სკრიაბინზე“ რეპორტიორად იყო და იმათში ერია, ვინც ჩვენს ტრანსპორტს აკრიტიკებდა. ერთი შეხედეთ, რა ზარ-ზეიმით ჩამოვიდნენ! რას უნდა მოასწავებდეს?

ოსტაპი მწვადის მუშტრებს მიუახლოვდა და პერსიცკის მეტად ელეგანტურად თავი დაუკრა.

- ბონჟურ! - უთხრა რეპორტიორმა, - ძვირფასო ამხანაგო, ნეტავ, სად მინახავხართ? ჰა-ა-ა! მახსოვს „სკრიაბინის“ მხატვარი ხართ. ასეა, ხომ?

ოსტაპმა ხელი მკერდზე მიიდო და თავაზიანად წელში მოიხარა.

- მოიცათ, მოიცათ, - განაგრძო პერსიცკიმ, რომელსაც რეპორტიორის მეხსიერება ჰქონდა, თქვენ არ იყავით, მოსკოვში, სვერდლოვის მოედანზე, მეეტლის ცხენმა რომ გადაგთელათ?

- დიახ, დიახ! და თქვენი მახვილი გამოთქმისა არ იყოს, მე მხოლოდ ოდნავ შემეშინდა.

- აქ რას აკეთებთ, სამხატვრო განხრით მოღვაწეობთ?

- არა, საექსკურსიო მიზნები მაქვს.

- ფეხით მიდიხართ?

- ფეხით. სპეციალისტები ამტკიცებენ, საქართველოს სამხედრო გზაზე ავტომობილით მგზავრობა ნამდვილი სისულელეაო.

- გააჩნია როდის, ჩემო ძვირფასო, გააჩნია როდის! აი, მაგალითად, ჩვენი მგზავრობა არც ისე სულელურია. როგროც ხედავთ, მანქანები საკუთარი გვაქვს. დიახ, მე ხაზს ვუსვამ - საკუთარი, კოლექტიური. მოვდივართ პირდაპირი გზით - მოსკოვი - თბილისი. ბენზინში კაპიკები გვეხარჯება. მეტად მოხერხებულად და სწრაფადაც ვმოგზაურობთ. რბილ რესორებზე. თავი ევროპაში გეგონებათ.

- საიდან გაქვთ ყველაფერი ეს? - შურით ჰკითხა ოსტაპმა, - ასი ათასი მოიგეთ?

- ასი არა, მაგრამ ორმოცდაათი ათასი კი მოვიგეთ.

- ცხრიანში?

- საავტომობილო კლუბის ობილიგაციით.

- ჰოო, - თქვა ოსტაპმა, - მერე, ამ ფულით ავტომობილები იყიდეთ?

- როგორც ხედავთ.

- ას-სე! იქნებ, უფროსი გესაჭიროებათ? მე ერთ ყმაწვილ კაცს ვიცნობ. არ სვამს.

- რის უფროსი?

- რისა და... აი, საერთო ხელმძღვანელობისთვის საქმიანი რჩევისთვის, კომპლექსური მეთოდით თვალსაჩინო სწავლებისთვის... ა?

- მესმის, მესმის, არა, არ გვესაჭიროება.

- არ გესაჭიროებათ?

- სამწუხაროდ, არა. ჩვენ არც მხატვარი გვესაჭიროება.

- რაკი ასეა, ათი მანეთი მომეცით.

- ავდოტინ, - გასძახა პერსიცკიმ, - გეთაყვა, ამ მოქალაქეს ჩემს ანგარიშში სამი მანეთი მიეცი. ხელწერილი არ უნდა. ეგ ანგარიშისმგებელი პირი არ არის.

- ძალიან ცოტას მაძლევთ, - შენიშნა ოსტაპმა, - მაგრამ მესმის. მესმის, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებით. რა თქმა უნდა, ასი ათასი რომ მოგეგოთ, მე, ალბათ, ბარე ხუთ მანეთსაც კი მასესხებდით. მაგრამ თქვენ ხომ მხოლოდ ორმოცდაათი ათასი მანეთი და ნული კაპიკი მოიგეთ. მაგრამ, ასეა თუ ისე, მადლობელი ვარ!

ბენდერმა შლაპა თავაზიანად მოიხადა. პერსიცკიც ასევე მოიქცა. ბენდერმა მეტად თავაზიანად დაუკრა თავი. პერსიცკიმაც მეტისმეტად თავაზიანი თავისდაკვრით უპასუხა. ბენდერმა სალმის ნიშნად ხელი დაუქნია. პერსიცკი უკვე საჭესთან იჯდა და მაინც ხელი დაუქნია, მაგრამ მხიარული მეგობრებით გარშემორტყმული პერსიცკი გაბრწყინგებული სივრცეებისკენ საუცხოო ავტომობილით გაქანდა, დიდი კომბინატორი კი მტვრიან შარაზე ჩერჩეტი კომპანიონის ამარა დარჩა.

- დაინახეთ, როგორ ბრწყინავენ? - ჰკითხა ოსტაპმა იპოლიტ მატვეევიჩს.

ეგ „კავავტომრეწვაჭრობა“ იყო, თუ „მოტორის“ კერძო საზოგადოება? - საქმიანად შეეკითხა ვორობიანინოვი. მოგზაურობის რამდენიმე დღეში მან მშვენივრად შეისწავლა, თუ ამ გზებზე რა სახის ავტოტრანსპორტი მუშაობდა, - ვიფიქრე, მივალ და ვიცეკვებ-მეთქი.

- თქვენ მალე სულ გამოსულელდებით, ჩემო მეგობარო! რომელ „კავატომრეწვაჭრობაზე“ ლაპარაკობთ? ამ ხალხმა, გესმით, კისა, ორმოცდაათი ათასი მო-ი-გო! ხომ დაინახეთ, კისულია, რა მხიარულად იყვნენ და რამდენი მექანიკური ხლამი უყიდიათ, ჩვენ კი, ფულს რომ ხელში ჩავიგდებთ გაცილებთი უფრო რაციონალურად დავხარჯავთ, ხომ?

მეგობრები ფასანაურს გასცდნენ და თან ოცნებობდნენ, როცა გავმდიდრდებით, ამას და ამას ვიყიდითო. იპოლიტ მატვეევიჩმა ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ იყიდა ახალი წინდები და შემდეგ საზღვარგარეთ როგორ გაემგზავრა. ოსტაპი უფრო ფრთაგაშლით ოცნებობდა და პროექტებიც უფრო გრანდიოზული ჰქონდა: ვერ გადაწყვიტა, ცისფერ ნილოსზე ჯებირი აეგო, თუ რიგაში სათამაშო სახლი აეშენებინა, რომელსაც ფილიალები ყველა ლიმიტროფში ექნებოდა.

მესამე დღე მტვრიანსა და მოწყენილ ადგილებს - ანანურს, დუშეთსა და წილკანს ჩაუარეს და სადილობის წინ საქართველოს ძველ დედაქალაქს მიადგნენ. მტკვარი აქ თბილისისკენ უხვევდა.

საღამოს მოგზაურები ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს გასცდნენ. მიწა, წყალი და ელექტრონი მრავალფერი ცეცხლებივით ბრდღვიალებდა. ყველაფერი ეს სწრაფად მსრბოლავ მტკვარში ირეკლებოდა და თრთოდა.

აქ კონცესიონერები ერთ გლეხს დაუმეგობრდნენ, რომელმაც ისინი ურემზე დასხა და თბილისში საღამოს თერთმეტი საათისთვის ჩაიყვანა, იმ დროისთვის, როცა დღის სიცხით გათანგულ საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთ საღამოს სიგრილე ქუჩაში გამოუხმობს ხოლმე.

- ქალაქს არა უშავს, - თქვა ოსტაპმა, როცა შოთა რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ, - იცით, კისა...

მაგრამ ოსტაპმა აღარ დაამთავრა, უეცრად, რომელიღაც მოქალაქეს გამოედევნა, ათიოდე ნაბიჯზე წამოეწია და ცხოველი საუბარი გაუმართა. მერე სწრაფად მოტრიალდა და იპოლიტ მატვეევიჩს გვერდში თითი ჰკრა.

- იცით, ეს ვინ არის? - სწრაფად წასჩურჩულა მან, - ეს „ოდესური ბლითების და მოსკოვური ფუნთუშების“ არტელი, მოქალაქე კისლიარსკია. გავყვეთ. რა პარადოქსადაც არ უნდა გეჩვენოთ, თქვენ ახლა ისევ აზრის გიგანტი და რუსული დემოკრატიის მამა ბრძანდებით. ლოყების გაბერვა და ულვაშების ცმაცუნი არ დაგავიწყდეთ. ბედად, ულვაშები კარგადაც წამოგზრდიათ. ოჰ, ეშმაკმა წაიღოს! აი, შემთხვევა! ფორტუნა! თუ ახლა მე მაგას ხუთასი მანეთი არ დავაყრევინო, თვალებში ჩამაფურთხეთ! წამოდით! წამოდით!

მართლაც, კონცესიონერებისგან ცოტა მოშორებით შიშისგან განცვიფრებული კისლიარსკი იდგა. მას ჩესუჩის კოსტიუმი ეცვა და კანოტიე ეხურა.

- მგონი, უნდა იცნობდეთ, - ჩურჩულით უთხრა მას ოსტაპმა, - ეს იმპარატორთან დაახლოებული პირი, აზრის გიგანტი და რუსული დემოკრატიის მამაა. მის კოსტიუმს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეს კონსპირაციისთვისაა საჭირო. აბა, საჩქაროდ სადმე წაგვიყვანეთ. სალაპარაკო გვაქვს.

კისლიარსკი კავკასიაში სტარგოროდული დავიდარაბისგან დასასვენებლად ჩამოსულიყო და მთლად სულით დაეცა, საშიში ნაცნობები მან ვერცხლისფერმინიან ეკიპაჟში ჩასვა და მამა დავითის მთისკენ წაიყვანა, თან რაღაც გაუგებარს როშავდა, ბლით-ფუნთუშეულის საქმეში საშინელი კრიზისიაო. რესტორნიან მთის მწვერვალზე საბაგირო რკინიგზით ავიდნენ. ათასცეცხლოვანი თბილისი თითქოს ქვესკნელში მიცოცავდა. შეთქმულები კი პირდაპირ ვარსკვლავებისკენ მიიწევდნენ.

რესტორნის მაგიდები მწვანეზე იდგა. ყრუდ ბუბუნებდა კავკასიური ორკესტრი. პატარა გოგონა, ბედნიერად მოღიმარე მშობლების თვალწინ, საკუთარი სურვილისამებრ ლეკურს ცეკვავდა.

- რამე მოატანინეთ! - ჩააგონა ბენდერმა კისლიარსკის.

გამოცდილმა კისლიარსკიმ უბრძანა და ღვინო, მარილიანი ქართული ყველი და მწვანილი მოიტანეს.

- რამე საჭმელიც მოაყოლონ, უთხრა ოსტაპმა, - ძვირფასო ბატონო კისლიარსკი, თქვენ რომ იცოდეთ, დღეს მე და იპოლიტ მატვეევიჩმა რა გადავიტანეთ, ჩვენი სიმამაცე გაგაოცებდათ.

,,იწყება! - სასოწარკვეთით გაიფიქრა კისლიარსკიმ, - ისევ ჩემი ტანჯვა იწყება. რატომ ყირიმში არ წავედი? მე ხომ ნამდვილად ყირიმში წასვლა მინდოდა. ჰენრიეტამ ბევრჯერ მირჩია!"

მაგრამ ხმაამოუღებლად ორი მწვადი შეუკვეთა და ოსტაპს ერთგული ძაღლივით შეხედა.

- მაშ ასე, - ოსტაპმა ხმას დაუწია და აქეთ-იქით მიმოიხედა, - ორი სიტყვით გეტყვი: ჩვენ უკვე ორი თვეა, გვითვალთვალებენ და ხვალ უთუოდ კონსპირაციულ ბინაზე ჩაგვისაფრდებიან. ალბათ, სროლა მოგვიწევს.

კისლიარსკის ლოყებს ვერცხლისფერი დაედო.

- ჩვენ გვსიამოვნებს, - განაგრძო ოსტაპმა, - რომ ამ შფოთიან დროს სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლს შევხვდით.

- ჰმ... დიახ! - ამაყად გამოსცრა იპოლიტ მატვეევიჩმა და გაიხსენა, შიმშილისგან დაოსებული, როგორი აზარტით ცეკვავდა ლეკურს სიონის სანახებში.

- დიახ, - ჩურჩულებდა ოსტაპი, - იმედია, მტრებს თქვენი დახმარებით დავამარცხებთ. მე თქვენ პარაბელუმს მოგცემთ.

- საჭირო არ არის, - მტკიცედ წარმოთქვა კისლიარსკიმ.

იმავე წუთში გამოირკვა, რომ საბირჟო კომიტეტის თავმჯდომერეს საშუალება არ ჰქონდა, ხვალინდელ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. იგი ძალიან წუხდა, მაგრამ ნამდვილად არ შეეძლო. იგი სამხედრო საქმეს არ იცნობდა, საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარედაც ხომ იმიტომ აირჩიეს. ძველი ოქტიაბრისტი სასოწარკვეთილებაში იყო, მაგრამ რუსული დემოკრატიის მამის სიცოცხლის გადასარჩენად შესაძლო ფინანსურ დახმარებას კი გაიღებდა.

- თქვენ მამულის მტკიცე მეგობარი ხართ! - საზეიმო კილოთი უთხრა ოსტაპმა და სურნელოვან მწვადს ყიფიანის ტკბილი ღვინო დააყოლა, - აზრის გიგანტის გადარჩენა ხუთას მანეთს შეუძლია.

- მითხარით, - საცოდავად წარმოთქვა კისლიარსკიმ, - აზრის გიგანტის გადარჩენა განა ორას მანეთს კი არ შეუძლია?

ოსტაპმა ვეღარ მოითმინა და მაგიდის ქვეშ იპოლიტ მატვეევიჩს აღტაცებით ფეხი ჰკრა.

- მე მგონია, - თქვა იპოლიტ მატვეევიჩმმ, - ახლა ვაჭრობის დრო არ არის.

მას იმწამსვე ბარძაყში წიხლი უთავაზეს, რაც ნიშნავდა, - „ყოჩაღ, კისა, ყოჩაღ; აი, კარგი სკოლა რას ნიშნავსო“.

კისლიარსკიმ აზრის გიგანტის ხმა თავის სიცოცხლეში პირველად გაიგონა. ამ გარემოებამ იგი იმდენად გააოცა, რომ ხუთასი მანეთი ოსტაპს დაუყოვნებლივ მისცა. შემდეგ ანგარიში გაასწორა, თავის ტკივილი მოიმიზეზა, მეგობრები მაგიდასთან დატოვა და წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ სტარგოროდში ცოლს დეპეშა გაუგზავნა: როგორც მირჩიე, მივდივარ ყირიმში.

ყოველი შემთხვევისათვის კალათა გაამზადე.

ოსტაპი დიდი ხნის ნამარხულევი იყო და მისი ორგანიზმი ახლა კომპენსაციას თხოულობდა. ამიტომ იმ საღამოს რესტორნიან მთაზე დიდი კომბინატორი უღმერთოდ დათვრა და ძირს დაშვებისას კინაღამ ფუნიკულიორის ვაგონიდან გადმოვარდა. მეორე დღეს მან თავისი ძველი ოცნება აისრულა. საუცხოო ნაცრისფერი კოპლებიანი კოსტიუმი იყიდა. ამ კოსტიუმში ძალიან ცხელოდა, მაგრამ მაინც არ გაიხადა და ოფლად იღვრებოდა. იპოლიტ მატვეევიჩს თბილკოოპერაციის მზა ტანსაცმლის მაღაზიაში თეთრი პიკეს კოსტიუმი და საზღვაო ქუდი უყიდა. ქუდს რომელიღაც უცნობი იახტკლუბის მოოქრული ნიშანი ჰქონდა. ამ სამოსელში იპოლიტ მატვეევიჩი სავაჭრო ფლოტის მოყვარულ-ადმირალს მოგაგონებდათ. იგი მხრებში გაიშალა და მტკიცე ნაბიჯით სიარული დაიწყო.

- აჰ! - ეუბნებოდა ბენდერი, - რა მაღალი კლასია! ქალი რომ ვიყო, თქვენისთანა ლამაზ ვაჟკაცს ჩვეულებრივ ფასზე რვა პროცენტით ნაკლებს გამოვართმევდი. აჰ, აჰ! ახლა ჩვენ შეგვიძლია საზოგადოებაში ვიტრიალოთ! კისა, საზოგადოებაში ტრიალი შეგიძლიათ?

- ამხანაგო ბენდერ, - ვორობიანინოვი თავისას არ იშლიდა, - სკამს რაღა ვუყოთ? გავიგოთ, თეატრი რა იქნა.

- ჰო-ჰო! - მოუჭრა ოსტაპმა. სკამი აიღო და სასტუმრო „ორიანტის“ დიდ მავრიტანულ ნომერში ცეკვა დაიწყო, - ცხოვრებას ნუ მასწავლით. მე ახლა გაავებული ვარ. მე ფული მაქვს, მაგრამ დიდსულოვანიც ვარ. აჰა, ოცი მანეთი. ამას გარდა ქალაქის გასაძარცვავად სამი დღე მომიცია. მე ნამდვილი სუვოროვი ვარ! გაძარცვეთ ქალაქი, კისა! იმხიარულეთ!

ოსტაპმა თეძოები აათამაშა და სწრაფ ტემპში ამღერდა: ზარების ხმა შემოჰყვა მწუხრს,

აღვიძებს ფიქრს და გული წუხს.

მეგობრები მთელ კვირას გაუთავებლად ლოთობდნენ. ვორობიანინოვის საადმირალო კოსტიუმი ღვინის მრავალფეროვანი ლაქებით დაიფარა, ოსტაპის კოსტიუმზე კი ისინიე რთ ვეება ცისარტყელისფერ ლაქაც იქცნენ.

- გამარჯობა! - წარმოთქვა მერვე დილას ოსტაპმა, რომელსაც ნაბაზუსევზე „ზარია ვოსტოკას“ წაკითხვა მოპრიანებოდა, - თქვენ, ლოთბაზარა, მოისმინეთ, რას წერს გაზეთებში ჭკვიანი ხალხი, მოისმინეთ!

„თეატრალური ქრონიკა

გუშინ, 3 სექტემბერს, მოსკოვის კოლუმბის თეატრმა თბილისში გასტროლები დაამთავრა და იალტაში გაემგზავრა. თეატრი ყირიმში მოსკოვის საზამთრო სეზონის დაწყებამდე დარჩება“.

- აბა, მე ხომ გეუბნებოდით! - თქვა ვორობიანინოვმა.

- ვითომ რას მეუბნებოდით! - შეუდუდღუნა ოსტაპმა.

მაგრამ იგი მაინც შეცბუნებული იყო. არ სიამოვნებდა, ასეთი ბედოვლათობა როგორ მომივიდაო. იმის ნაცვლად, რომ განძეულის დევნის კურსი თბილისში დაემთავრებინათ, ახლა ყირიმის ნახევარკუნძულზე უნდა გადაბარგებულიყვნენ. ოსტაპი მყისვე საქმეს შეუდგა. ბათუმის ბილეთები იყიდა და მეორე კლასის ადგილები გემ „პესტელზე“ შეუკვეთა, რომელიც ბათუმიდან ოდესისკენ შვიდ სექტემბერს მოსკოვის დროით ოცდასამ საათზე გადიოდა.

ათი სექტემბრის ღამეს, როცა „პესტელი“ შტორმის მიზეზით ანაპაში აღარ გაჩერდა, ღია ზღვაში გავიდა და კურსი პირდაპირ იალტისკენ აიღო, იპოლიტ მატვეევიჩმა სიზმარი ნახა.

მას ესიზმრა, თითქოს ადმირალის კოსტიუმში გამოწყობილი, თავისი სტარგოროდული სახლის აივანზე იდგა და იცოდა, რომ ქვევით შეგროვილი ბრბო მისგან რაღაცას მოელოდა. დიდმა ამწემ მის ფეხებთან შავხალებიანი ღორი დაუშვა. მოვიდა კოსტიუმში გამოწყობილი მეეზოვე ტიხონი, ღორს უკანა ფეხებში ხელები სტაცა და თქვა: - ეჰ, ეშმაკსაც წაუღია! „ნიმფაც“ იტყვის, ფოჩს ვაკეთებო!

იპოლიტ მატვეევიჩს ხელში ხანჯალი აღმოაჩნდა და ღორს მკერდში ჩასცხო. გრძელი, ფართო ჭრილობიდან ბრილიანტები გადმოცვივდა და ცემენტზე დაიფანტა, უფრო და უფრო ბოლოს და ბოლოს მათი წკრიალი აუტანელი და შიშისმომგვრელი გახდა. იპოლიტ მატვეევიჩი ტალღის ილუმინატორზე დაჯახებამ გააღვიძა.

იალტას წყნარ ამინდში, დამქანცველი მზიანი დილით მიუახლოვდნენ. წინამძღოლს ზღვის სენი გადაეტანა და გემის კიჩოზე, ზართან თავმომწონეობდა. ზარს ჩამოსხმული სლავური ასოები ამშვენებდა. იალტის ნაპირის გაყოლებით თავისი ერთი ბეწო დუქნები და მცურავი რესტორნები ჩაემწკრივებინა. ნავსადგურთან ხავერდის საჯდომებიანი და ტილოს ტენტებიანი ეკიპაჟები, ავტომობილები და „ყირიმკურსისა“ და ამხანაგობა „ყირიმელი შოფერის“ ავტობუსები იდგნენ. აგურისფერი ქალიშვილები გაშლილ ქოლგებს ატრიალებდნენ და ცხვირსახოცებს იქნევდნენ.

გავარვარებულ სანაპიროზე მეგობრებმა სხვებს ჩაასწრეს. კონცესიონერების დანახვაზე დამხვდურთა ბრბოს სწრაფად გამოეყო ჩესუჩის კოსტუმიანი მოქალაქე და პორტის გასასვლელისკენ გაეშურა, მაგრამ გვიანღა იყო. დიდი კომბინატორის მონადირულმა თვალებმა ჩესუჩიანი მოქალაქე იმწამსვე იცნეს.

- ვორბიანინოვ, დამიცადეთ! - მიაძახა ოსტაპმა და ისე სწრაფად გაიქცა, რომ ჩესუჩიან მამაკაცს გასასვლელიდან ათ ნაბიჯზე დაეწია. ოსტაპი თითქმის მაშინვე მობრუნდა და თან ასი მანეთი მოიტანა.

- მეტი არ მომცა. თუმცა ძალა აღარც მე დამიტანებია, თორემ სახლში წასასვლელი ფულიც აღარ დარჩებოდა.

მართლაც, კისლიარსკი მყისვე ავტომობილში ჩაჯდა და სევასტოპოლში წავიდა, ხოლო იქიდან მესამე კლასით სტარგოროდს გაემგზავრა.

კონცესიონერებმა მთელი დღე სასტუმროში გაატარეს. მთლად შიშვლები იატაკზე ისხდნენ და ყოველ წუთს სააბაზანოში შერბოდნენ. მაგრამ წყალი უხეირო ჩაისავით თბილი მოდიოდა. სიცხისგან საშველი არ იყო. იფიქრებდით, საცაა, ქალაქი იალტა გადნება და ზღვაში ჩაიღვრებაო. საღამოს რვა საათისთვის კომპანიონებმა გახურებული ფეხსაცმელები ჩაიცვეს და თეატრში წავიდნენ, თან სკამების მომგონს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ.

„ქორწინება“ მიდიოდა. სიცხით გაწამებული სტეპანი ხელებზე ძლივს იდგა. აგაფია ტიხონოვნას სველ ხელებში ქოლგა ეჭირა, ზედ რომ „პოდკოლესინი მინდა“ ეწერა, და მავთულზე დარბოდა. მას ამ წუთშიც იგივე უნდოდა, რაზეც მთელი დღე იოცნება, - ცივი, ყინულიანი წყალი, რომელიც მაყურებლებსაც სწყუროდათ. ამიტომ იყო, თუ იმიტომ, რომ სტეპანმა ცხელი ერბოკვერცხის ჭამა დაიწყო და საზოგადოებაში ზიზღი გამოიწვია, - სპექტაკლი მაყურებელს არ მოეწონა. კონცესიონერები კმაყოფილები იყვნენ: მათი სკამი, როკოკოს სტილის სამ ახალ, მდიდრულ ნახევარსავარძელთან ერთად, თავის ადგილზე იდგა.

მეგობრები ერთ ლოჟაში შეიმალნენ და უსაშველოდ გაჭიანურებული სპექტაკლის დასასრულს მოთმინებით უცდიდნენ. ბოლოს საზოგადოება დაიშალა და მსახიობებიც გასაგრილებლად გაიქცნენ. თეატირში საკონცერტო წარმოების წევრი-მეპაიეების მეტი აღარავინ დარჩენილა. დიდი ხნის ნალოდინევი წვიმა მოსულიყო და ყველა სულიერმა ქუჩას მიაშურა.

- კისა, მომყევით, - უბრძანა ოსტაპმა, - თუ ჩაგვავლეს - პროვინციელები ვართ და თეატრიდან გასასვლელი ვერ გვიპოვია.

ისინი სცენაზე აძვრნენ. ასანთს ანთებდნენ და მთელი სცენა ისე გამოიკვლიეს. თან წარამარა ჰიდრავლიკურ წნეხს ეჯახებოდნენ.

დიდი კომბინატორი კიბეს აჰყვა და საბუტაფორიეში ავიდა.

- აქ მოდით! - დაიყვირა მან იქიდან.

ვორობიანინოვი ხელების ქნევით ზევით გაეშურა.

- ხედავთ? - უთხრა ოსტაპმა და ასანთს გაჰკრა.

სიბნელეში ჰამბსის სკამის კუთხე და ქოლგის სექტორი მოჩანდა, რომელსაც ეწერა: „მინდა...“

- აჰა! აი, ჩვენი მომავალი, აწმყო და წარსული. კისა, ასანთი არ დაიშუროთ. ახლავე გამოვფატრავ.

ოსტაპმა ინსტრუმენტებისთვის ხელი ჯიბეში ჩაიყო.

- აბა, - წარმოთქვა მან და ხელი სკამისკენ წაიღო, - ერთი ღერი ასანთიც, წინამძღოლო!

ასანთმა იფეთქა და - საოცარი რამ მოხდა, სკამი თავისთავად გვერდზე გახტა და უცებ, გაოცებული კონცესიონერების თვალწინ იატაკში ჩახტა.

- დედა! - შეჰყვირა იპოლიტ მატვეევიჩმა და კედელს შეასკდა, თუმცაღა, უნდა ითქვას, ამის სურვილი სულაც არ ჰქონია.

მინები ზრიალით ჩამოცვივდა, ქოლგა, ზედ რომ ეწერა „პოდკოლესინი მინდაო", - ქარიშხალმა ფანჯრიდან გაიტაცა და ზღვაში გადააგდო. ოსტაპი უკვე იატაკზე იწვა - მას ფანერის მსუბუქი ნაჭრები დასცემოდა. თორმეტი საათი და თოთხმეტი წუთი იყო. სწორედ ამ დროს დაიწყო ყირიმის დიდი მიწისძვრა, რომელიც 1927 წელს მოხდა.

ცხრაბალიანმა ბიძგმა მთელ ნახევარკუნძულს აურაცხელი უბედურება მიაყენა, ხოლო კონცესიონერებს ხელიდან განძი გამოჰგლიჯა.

- ამხანაგო ბენდერ! ეს რა ამბავია? - აყვირდა თავზარდაცემული იპოლიტ მატვეევიჩი.

ოსტაპი გიჟს დაემსგავსა. გზა მას მიწისძვრამ გადაუღობა. ოსტაპის მდიდარ პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არასოდეს ყოფილა.

- რა ხდება? - ბღაოდა ვორობიანინოვი. ქუჩიდან ყვირილი, ზრიალი და სირბილის ხმები ისმოდა.

- ის ხდება, რომ ახლავე ქუჩაში უნდა გავცვივდეთ, თორემ კედელი ჩამოინგრევა და ქვეშ მოგვიყოლებს, ჩქარა! ჩქარა! ხელი მომეცი, შე დოყლაპია!

ისინი გასასვლელისკენ გაიქცნენ. თავისდა გასაოცრად, სცენიდან შესახვევში გასასვლელ კართან ჰამბსის სკამი დაინახეს. სკამი მთელი და უვნებელი იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა ძაღლივით დაიყმუვლა და სკამს ჩააფრინდა.

- ბრტყელტუჩა მომეცით! - დაუყვირა მან ოსტაპს.

- ქეციანო იდიოტო, - ამოიკვნესა ოსტაპმა, - საცაა, ჭერი ჩამოინგრევა, ეს კი აქ ჭკუას კარგავს! ჩქარა, გარეთ!

- ბრტყელტუჩა! - შეშლილივით ბღაოდა იპლიტ მატვეევიჩი!

- ეშმაკსაც წაუღიხართ! ჩაძაღლდით აქ მაგ სკამიანად! ჩემთვის კი სიცოცხლე სახსოვარივით ძვირფასია!

ამ სიტყვებით ოსტაპი კარს მივარდა. იპოლიტ მატვეევიჩი აყეფდა, სკამს ხელი დაავლო და ოსტაპს დაედევნა. როგორც კი შესახვევის ნახევარი გაირბინეს, მიწა გულისამრევად შეირყა, თეატრის სახურავიდან კრამიტები ჩამოცვივდა და იმ ადგილას, კონცესიონერებმა რომ ის-ის იყო მიატოვეს, ახლა უკვე ჰიდრავლიკური წნეხის ნამუსრევი ეყარა.

- აბა, ახლა კი სკამი აქ მომეცით, - გულცივად უთხრა ბენდერმა, - როგორც ვხედავ, თქვენ მაგის თრევა უკვე მოგბეზრდათ.

- არ მოგცემთ! - შეჰკივლა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- ეს რა ამბავია? გემზე ამბოხებას მიწყობთ? სკამი აქ მომეცით. გესმით თუ არა?

- ეს ჩემი სკეამია! - დაიყრანტალა ვორობიანინოვმა და მისმა ხმამ კვნესა, ტირილი და ტკაცანი დაფარა, ყოველი მხრიდან რომ ისმოდა.

- რაკი ასეა, ბარემ ჰონორარიც მიიღეთ, ძველო კალოშო! - და ოსტაპმა სპილენძივით ხელისგული ვორობიანინოვს კისერში ჩასცხო. ამავე წუთს შესახვევში სახანძრო რაზმმა ჩაიქროლა და მისი ჩირაღდნების მოციმციმე შუქზე იპოლიტ მატვეევიჩმა ბენდერის გამხეცებული სახე დაინახა. მყისვე ფარ-ხმალი დაყარა და სკამი მისცა.

- აი, ასე, - თქვა ოსტაპმა და სული მოითქვა, - ამბოხება ჩახშობილია. ახლა კი სკამი აიღეთ და გამომყევით. ნივთის სიმრთელეზე პასუხს აგებთ, ორმოცდაათბალიანი ბიძგიც რომ მოხდეს, სკამი უნდა გადაარჩინოთ. გაიგეთ თუ არა?

- გავიგე.

კონცესიონერები პანიკით შეპყრობილ ბრბოებთან ერთად მთელ ღამეს დაეხეტებოდნენ, მიტოვებულ სახლებში შესვლას კი ვერ ბედავდნენ, ახალი ბიძგები არ მოხდესო. გამთენიისას, როცა შიშმა ოდნავ იკლო, ოსტაპმა ისეთი ადგილი შეარჩია, სადაც ახლომახლო არც კედლები იყო, რომ ჩამონგრეულიყო და არც ადამიანები, რომ ხელი შეეშალათ და სკამის დაშლას შეუდგა. ოპერაციის შედეგმა ორივე კონცესიონერი განაცვიფრა, სკამში არაფერიც არ იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა ვეღარ გაუძლო ამდენ უბედურებას, ღამით და ამ დილით რომ გადაიტანა, და ვირთაგვას ხმით ჩაიხითხითა. სწორედ ამ დროს მესამე ბიძგის გრიალი გაისმა, მიწა გააპო და ჰამბსის სკამი თან ჩაიტანა, მიწისძვრის პირველმა ბიძგმა რომ დაინდო და ადამიანებმა კი გამოფატრეს. ინგლისური ქსოვილის ყვავილებმა მტვრის ღრუბლებში გახვეულ მზეს უკანასკნელად შესცინეს. იპოლიტ მატვეევიჩი დაოთხდა, მოთენთილი სახე მზის მღვრიე, სისხლისფერ დისკოს მიაპყრო და აყმუვლდა. ამ ხმის გაგონებაზე დიდ კომბინატორს გული შეუღონდა. როცა გონს მოვიდა, იქვე გვერდით ვორობიანინოვის ლილისფერი, ჯაგრით შემოსილი ნიკაპი დაინახა. იპოლიტ მატვეევიჩი უგონოდ ეგდო.

- ბოლოს და ბოლს, - იმ ადამიანის ხმით წარმოთქვა ოსტაპმა, რომელმაც ტიფი მოიხადა, -ახლა ჩვენ ასიდან ასი შანსი დაგვრჩა. ბოლო სკამი (სიტყვა „სკამის“ გაგონებაზე იპოლიტ მატვეევიჩი გონს მოვიდა), უკანასკნელი სკამი ოქტომბრის სადგურის სატვირთო ეზოში ჩაიკარგა, თორემ მიწას ხომ არ ჩაუყლაპავს? რა მოხდა, სხდომა გრძელდება.

სადღაც გრუხუნით ცვიოდა აგურები. გემის საყვირი გაბმით ბღაოდა.

40. განძი

ოქტომბრის დამლევს, ერთ წვიმიან დღეს იპოლიტ მატვეევიჩი უპიჯაკოდ, ვერცლისფერი, წვრილი ვარსკვლავებით მოჭიქული ჟილეტის ამარა ივანოპულოს ოთახში ჩალიჩობდა. რაკი ოთახში მაგიდა არც ახლა იდგა, იპოლიტ მატვეევიჩი ფანჯრის რაფაზე მუშაობდა. დიდმა კომბინატორმა სამხატვრო ხაზით დიდი შეკვეთა

მიიღო - საბიანაო ამხანაგობისთვის მისამართების პატარა ფირნიშები უნდა გაეკეთებინა. ფირნიშების ტრაფარეტით ხატვა ოსტაპმა ვორობიანინოვს დააკისრა, თვითონ კი მოსკოვში ჩამოსვლის დღიდანვე, თითქმის მთელი თვე ოქტომბრის სადგურის რაიონში ტრიალებდა და წრეგადასული ჟინით ეძებდა უკანასკნელი სკამის კვალს, სკამისა, რომელშიც მადამ პეტუხოვას განძეული უსათუოდ უნდა ყოფილიყო. შუბლშეჭმუხვნილი იპოლიტ მატვეევიჩი ლითონის პატარა ფირნიშებს ტრაფარეტით ხატავდა. საბრილიანტო დოღის ექვსი თვის განმავლობაში მან ყველა თავისი ჩვეულება დაივიწყა. ღამღამობით იპოლიტ მატვეევიჩს რაღაც ველური ტრანსპარანტებით დამშვენებული მთაგრეხილები ესიზმრებოდა; ზოგჯერ მის თვალწინ ყავისფერი ბარძაყების რხევით იზნურენკოვი ფრინავდა; ნავები ყირავდებოდა, ადამიანები იხრჩობოდნენ, ციდან აგურები ცვიოდა და შუაში გაპობილი დედამიწა იპოლიტ მატვეევიჩს თვალებში გოგირდის კვამლს ახრჩოლებდა. ოსტაპი იპოლიტ მატვეევიჩს ყოველდღე ხედავდა და ამიტომ მასში ვერანაირ ცვლილებას ვერ ამჩნევდა. იპოლიტ მატვეევიჩი კი ძალიან გამოიცვალა. ძველებური მას აღარც სიარული ჰქონდა. თვალებს მხეცურად აცეცებდა, ხოლო წამოზრდილი ულვაშები წინანდელივით მიწის ზედაპირის პარალელურად კი არ იფშიკებოდა, არამედ, ბებერი კატის ულვაშივით, თითქმის პერპენდიკულარულად ეშვებოდა. იპოლიტ მატვეევიჩი სულის სიღრმეშიც გამოიცვალა. მისმა ხასიათმა უჩვეულო თვისებები - გაბედულება და სისასტიკე შეიძინა. ეს თვისებები კი მის ხასიათში თანდათან სამმა ეპიზოდმა გაზარდა: ვასიუკელი მოყვარულების მძიმე მუშტებისგან სასწაულებრივმა გადარჩენამ, პიატიგორსკის „საყვავილესთან“ მათხოვრობის დებიუტმა და, ბოლოს, მიწისძვრამ, რის შემდეგაც იპოლიტ მატვეევიჩი ოდნავ გულჩათხრობილი გახდა და თავისი კომპანიონისადმი ფარულმა სიძულვილმა შეიპყრო.

უკანასკნელ ხანს იპოლიტ მატვეევიჩი უმძიმესმა ეჭვებმაც აიტანა. ეშინოდა, ოსტაპი სკამს იპოვის, დაშლის, განძეულს ამოიღებს, გაიქცევა და ბედის ანაბარა მიმატოვებსო. თავისი ეჭვების ხმამაღლა გამოთქმას ვერ ბედავდა, რადგან ოსტაპის უდრეკი ხასიათიც იცოდა და მისი მუშტების ძალაც. ამიტომ ყოველდღე ფანჯარასთან იჯდა, ძველი, დაკბილული სამართებლით გამხმარ ასოებს ფხეკდა და იტანჯებოდა. ყოველდღე იმის შიში ჰქონდა, ოსტაპი აღარ მოვა და მე, თავადაზნაურობის ყოფილი წინამძღოლი, მოსკოვში რომელიმე ნესტიან ღობესთან შიმშილით მოვკდებიო. მაგრამ ოსტაპი ყოველ საღამოს ბრუნდებოდა. თუმცა სასიხარულო ამბავი ერთხელაც არ მოუტანია, მაგრამ მის ენერგიას და მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. იმედს იგი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია. დერეფანში ფეხების ბრაგუნი მოისმა. ვიღაც დაეჯახა ცეცხლგამძლე კარადას და ფანერის კარი გაიღო, თითქოს მსუბუქმა ნიავმა ფურცელი გადაფურცლაო. ზღურბლზე დიდი კომბინატორი იდგა. ის სულ სველი იყო, ლოყები ვაშლებივით ასწითლებოდა. მძიმედ სუნთქავდა.

- იპოლიტ მატვეევიჩ! - შეჰყვირა მან, - იპოლიტ მატვეევიჩ, მისმინეთ!

იპოლიტ მატვეევიჩი გაკვირვებით მიაჩერდა, - არასოდეს ტექნიკურ დირექტორს მისთვის სახელი და მამის სახელი არ უწოდებია. და უცებ ყველაფერს მიხვდა...

- არის? - სუნთქვას ამოაყოლა მან.

- საქმეც ეგაა, რომ არის! ოჰ, კისა, ეშმაკმა წაგიღოს!

- ნუ ყვირიხართ, ყველაფერი ისმის.

- მართალია, მართალი, გაიგონებენ, - სწრაფად აჩურჩულდა ოსტაპი, - არის, კისა, არის, და თუ გინდათ, ახლავე გაჩვენებთ. რკინიგზელების კლუბშია, ახალ კლუბში... კლუბი გუშინ გახსნეს... როგორ ვიპოვე? სისულელეა? რომ იცოდეთ, რა ძნელი იყო! გენიალური კომბინაცია მოვიფიქრე და ბოლომდე ბრწყინვალედ მივიყვანე! პირდაპირ ანტიკური თავგადასავალია! ერთი სიტყვით, მაღალი კლასია!

ოსტაპმა აღარ მოუცადა, სანამ იპოლიტ მატვეევიჩი პიჯაკს წამოიცვამდა და დერეფანში გავარდა, ვორობიანინოვი მას კიბეზე დაეწია. ორივე აღელვებული იყო, ერთმანეთს კითხვებს სეტყვასავით უშენდნენ და სველი ქუჩებით კალანჩევის მოედნისკენ მირბოდნენ, ვერც კი მოიფიქრეს, რომ შეეძლოთ, ტრამვაიში ჩამსხდარიყვნენ.

- თქვენც პირდაპირ მეჯღანესავით გაცვიათ! - მხიარულად ყბედობდა ოსტაპი, - ასე ვინ დადის, კისა? თქვენ უსათუოდ გახამებული საცვლები და აბრეშუმის წინდები უნდა გეცვათ და, რა თქმა უნდა, ცილინდრი უნდა გეხუროთ. თქვენს სახეში არის რაღაც კეთილშობილური! მითხარით, თქვენ მართლა თავადაზნაურობის წინამძღოლი იყავით?

ოსტაპმა წინამძღოლს სკამი დაანახვა, ჭადრაკის წრის ოთახში რომ იდგა და ჩვეულებრივი შეხედულება ჰქონდა, თუმცა აურაცხელი სიმდიდრით კი იყო გამოტანილი, - და მერე დერეფანში გაათრია. იქ ძეხორციელი არავინ იყო. ოსტაპი ფანჯარასთან მივიდა, ჯერ საზამთროდ რომ არ შეეგოზათ, და ჩარჩოდან ორივე ფანჯარა ამოიღო.

- ამაღამ, რომელ საათზეც გნებავთ, - უთხრა მან, - ამ ფანჯრიდან ჩვენ თავისუფლად და ნებივრად კლუბში დავეშვებით. კისა, დაიმახსოვრეთ, სადარბაზო შესასვლელიდან მესამე ფანჯარა.

მეგობრები უონო-ს წარმომადგენლების სახით კიდევ დიდხანს დაეხეტებოდნენ კლუბში და გაოცებას ვერ მალავდნენ, რა დიდებული დარბაზები და ოთახებიაო.

- მე რომ ვასიუკში ასეთ სკამზე ვმჯდარიყავი, - თქვა ოსტაპმა, - ერთ პარტიასაც არ წავაგებდი. ენთუზიაზმი ნებას არ მომცემდა. ახლა კი წავიდეთ, მოხუცო, მე ოცდახუთი მანეთი მაქვს დამალული. ლუდი დავლიოთ და ღამის ვიზიტის წინ დავისვენოთ. წინამძღოლო, ლუდის სმა ხომ არ გეუხერხულებათ? არაფერია, ხვალ შამპანურს მიადგებით. წრუპეთ, რამდენსაც მოერევით.

ლუდხანიდან მიმავალი ოსტაპი ძალიან მხიარულობდა და გამვლელებს ელაზღანდარავებოდა. ოდნავ შეზარხოშებულ იპოლიტ მატვეევიჩს მხრებზე ეხვეოდა და ნაზად ეუბნებოდა: - კისა, თქვენ მეტად სიმპათიური მოხუცი ხართ, მაგრამ ათ პროცენტზე მეტს კი არ მოგცემთ. ღმერთმანი, არა! აბა, ამდენი ფული რისთვის გინდათ? რისთვის?

- როგორ თუ რისთვის? როგორ თუ რისთვის? - ფიცხობდა იპოლიტ მატვეევიჩი.

ოსტაპი გულწრფელად იცინოდა და ლოყას თავისი საკონცესიო მეგობრის სველ სახელოს უხახუნებდა.

- კისა, აბა, რა უნდა იყიდოთ? არა, აბა, რა უნდა იყიდოთ? თქვენ ხომ ფანტაზიის ნატამალიც არ გაგაჩნიათ! ღმერთმანი! თხუთმეტი ათასი თავზე გადაგივათ... თქვენ ხომ მალე მოკვდებით. სულ დაბერებული ხართ... თქვენ ფული სულაც არ გჭირდებათ... იცით, კისა, მგონი, სულაც არაფერს არ მოგცემთ... სახუმაროდ ვის სცალია... ავიღებ, კისულია, და თქვენ ჩემს მდივნად აგიყვანთ, ა? თვეში ორმოც მანეთად. ჭამა-სმა ჩემი იქნება. თვეში ოთხი გამოსასვლელი დღე გექნებათ... ა? გარდა ამისა, სპეცტანსაცმელი, საჩუქრები, სოცდაზღვევა... ა? ეს წინადადება გაწყობთ? თუ არ გაწყობთ?

იპოლიტ მატვეევიჩმა ხელი გამოსტაცა და სწრაფად წინ წავიდა. ამ ხუმრობამ იგი კინაღამ გააცოფა. ოსტაპი ვორობიანინოვს ვარდისფერი სახლის შესასვლელთან დაეწია.

- მართლა განაწყენდით? - ჰკითხა მან, - გეხუმრებით. თქვენს სამ პროცენტს მიიღებთ. ღმერთმანი, კისა! სამი პროცენტი ნამდვილად გეყოფათ.

იპოლიტ მატვეევიჩი პირქუშად შევიდა ოთახში.

- ა? კისა, - ანცობდა ოსტაპი, - დათანხმდით სამ პროცენტზე! ღმერთმანი, უნდა დათანხმდეთ, სხვა თქვენს ადგილზე დათანხმდებოდა, თქვენ ოთახის ყიდვა არ გჭირდებათ, მადლობა ღმერთს, ივანოპულო მთელი წლით ტვერში წავიდა, არადა, - ისევ ჩემთან წამოდით, კამერდინერად, ა? თბილი ადგილია!

რაკი დაინახა, იპოლიტ მატვეევიჩს ვერასგზით ვერ გავამხიარულებო, ოსტაპმა ტკბილად გაიზმორა, თავით თითქმის ჭერს მისწვდა და ფართო გულმკერდი ჰაერით აივსო. მერე უთხრა: - აბა, მეგობარო, ჯიბეები მოამზადეთ. კლუბში გათენებისას წავალთ. ეს ყველაზე შესაფერისი დროა. დარაჯებს სძინავთ და ტკბილ სიზმრებს ხედავენ. რისთვისაც მოგეხსენებათ, მათ ხშირად სამსახურიდან ითხოვენ და დახმარებასაც აღარ აძლევენ. ახლა კი, ძვირფასო, ცოტა დასვენებას გირჩევთ.

ოსტაპი სამ სკამზე გაწვა, მოსკოვის სხვადასხვა რაიონში რომ მოაგროვეს და, სანამ დაიძინებდა, წაილაპარაკა: - იქნებ კამერდინერად მართლა წამოსულიყავით... კარგი ჯამაგირი... სასმელ-საჭმელი... საჩუქრები... კარგი, კარგი, გეხუმრეთ... სხდომა გრძელდება! ყინული დაიძრა, ბატონო ნაფიცო მსაჯულნო! - ეს დიდი კომბინატორის უკანასკნელი სიტყვები იყო. იგი უზრუნველმა, ღრმა, გამომშუშებელმა ძილმა შეიპყრო და არც სიზმრებს შეუწუხებია.

იპოლიტ მატვეევიჩი ქუჩაში გავიდა. იგი სასოწარკვეთილი და გაბოროტებული იყო. ღრუბლების ხნულებში მთვარე დახტოდა. მსუყედ ბრწყინავდნენ ეზოების სველი მოაჯირები, წყლის მტვრის გვირგვინებით შემორკალული გაზის ფარნები შეშფოთებით ციმციმებდნენ. ლუდხანა „ორიოლიდან“ მთვრალი გამოაგდეს. მთვრალმა ყვირილი მორთო. იპოლიტ მატვეევიჩი შეიჭმუხნა და მტკიცე ნაბიჯით შინ დაბრუნდა, მას ერთადერთი რამ სურდა - ნეტავი ყველაფერი მალე დამთავრდესო.

იგი ოთახში შევიდა, მძინარ ოსტაპს მკაცრად შეხედა, პენსნე გაწმინდა და რაფიდან სამართებელი აიღო, სამართებლის კბილებს ზეთის საღებავის შემხმარი ქერცლი შერჩენოდა. იპოლიტ მატვეევიჩმა სამართებელი ჯიბეში ჩაიდო, ოსტაპს გვერდით ჩაუარა, - მისკენ კი არ მოუხედავს და არც მისი სუნთქვა გაუგონია, - და თავი დერეფანში ამოყო. იქ სიწყნარე და თვლემა სუფევდა. ჩანდა, ყველანი დაწოლილიყვნენ:. დერეფნის გაუვალ სიბნელეში იპოლიტ მატვეევიჩმა უეცრად მეტისმეტად გესლიანად ჩაიღიმა და იგრძნო, რომ მის შუბლზე კანი ამოძრავდა. ეს ახალი გრძნობა რომ შეემოწმებინა, მან ერთხელაც ჩაიღიმა და უეცრად გაახსენდა, რომ მის გიმნაზიელ თანაკლასელს პიხტეევ-კაკუევს ყურების რხევა შეეძლო.

იპოლიტ მატვეევიჩი კიბესთან მივიდა და გულდასმით მიაყურადა. კიბეზე არავინ იყო. ქუჩიდან ეტლის ცხენების ფლოქვების ჭახუნი მოისმა, ცხენები ფლოქვებს განგებ ხმამაღლა და გარკვევით აჭახუნებდნენ, თითქოს საანგარიშოზე ითვლიანო, წინამძღოლი კატის ნაბიჯებით შებრუნდა ოთახში. ოსტაპის პიჯაკიდან, სკამზე რომ ეკიდა, ოცდახუთი მანეთი და სიმქაში ამოიღო, ადმირალის ჭუჭყიანი ქუდი დაიხურა და ისევ მიაყურადა.

ოსტაპს წყნარად ეძინა, არც კი ხვრინავდა, მისი ყელ-ცხვირი და ფილტვები იდეალურად მუშაობდა და ჰაერის ცვლას წესიერად აწარმოებდა. ძალუმი ხელი იატაკზე ჩამოვარდნოდა. იპოლიტ მატვეევიჩმა საფეთქელზე პულსის ნაწყვეტ-ნაწყვეტი დარტყმები იგრძნო, მარჯვენა სახელო იდაყვს ზემოთ ასწია და გაშიშვლებული ხელი პირსახოცით შეიხვია. კართან მივიდა და ჯიბიდან სამართებელი ამოიღო. ოთახის ფართობი თვალით გაზომა და სინათლე გამორთო. ჩაბნელებულ ოთახში ქუჩის ფარნის სუსტი, სააკვარიუმო, მოცისფრო შუქი ჩამოიღვარა.

- მით უკეთესი, - ჩაიჩურჩულა იპოლიტ მატვეევიჩმა.

იგი ოსტაპის სასთუმალს მიუახლოვდა, ხელი ძალიან მაღლა ასწია და სამართებელი მთელი ძალით, ალმაცერად დაუსვა ოსტაპს ყელზე. სამართებელი იმწამსვე გამოაძრო და კედლისკენ გადახტა. დიდმა კომბინატორმა ისეთი ხმა გამოსცა, როგორსაც სამზარეულოს ბაკანი გამოსცემს ხოლმე, როცა დარჩენილ წყალს ისრუტავს. იპოლიტ მატვეევიჩმა მოახერხა, რომ სისხლით არ გასვრილიყო. ცისფერი კარისკენ ფეხაკრეფით წავიდა, - თან პიჯაკით ქვის კედელს წმენდდა, - და ოსტაპს ერთხელ კიდევ გადახედა. ოსტაპის სხეული ორჯერ გაიჭიმა და სკამის ზურგთან გადაწვა. შავ გუბეში, იატაკზე რომ დამდგარიყო, ქუჩის სინათლე ციმციმებდა.

„აქ ეს რა გუბეა? - გაიფიქრა იპოლიტ მატვეევიჩმა, - ჰო, ეს სისხლია... ამხანაგი ბენდერი გარდაიცვალა“. ვორობიანინოვმა ოდნავ გასვრილი პირსახოცი მოიხსნა და მიაგდო. მერე სამართებელი იატაკზე ფრთხილად დადო და კარი უხმაუროდ გაიხურა. ქუჩაში იპოლიტ მატვეევიჩმა წარბები შეიკრა, წაიბურტყუნა, „ახლა ექვსი პროცენტი კი არა, მთელი ბრილიანტები ჩემიაო“, და კალინჩევის მოედნისკენ წავიდა.

იპოლიტ მატვეევიჩმა რკინიგზელთა კლუბის სადარბაზო შესასვლელიდან მესამე ფანჯარა გადაითვალა და შეჩერდა. ახალი შენობის სარკიანი ფანჯრები მარგალიტებივით ბრწყინავდნენ მოახლოებული განთიადის სინათლეზე. ნესტიან ჰაერში სამანევრო ორთქლმავლების ყრუ ხმები ისმოდა. იპოლიტ მატვეევიჩი

მარდად აცოცდა კარნიზზე, ფანჯარას ხელი ჰკრა და დერეფანში უხმაუროდ გადაეშვა.

განთიადის მონაცრისფრო შუქით განათებულ დარბაზებში იპოლიტ მატვეევიჩი გზას კარგად იკვლევდა. მან ჭადრაკის კაბინეტში შეაღწია, ემანუილ ლასკერის პორტრეტს, კედელზე რომ ეკიდა, თავი მიარტყა და სკამს მიუახლოვდა. იგი დინჯად ირჯებოდა. საჩქარო არც არაფერი ჰქონდა - მას არავინ მისდევდა. გროსმაისტერ ო. ბენდერს სამუდამო ძილით ეძინა სივცევის ხევში, ვარდისფერ სახლში.

იპოლიტ მატვეევიჩი იატაკზე დაჯდა და სკამს თავისი დაძარღვული ფეხები მოჰხვია. სპილენძის ლურსმნებს იგი დანტისტის გულცივობით აძრობდა. ერთიც არ გამოუტოვებია! სამოცდამეორე ლურსმანზე სამუშაო დამთავრდა. ინგლისური ჩითი და ჯვალო თავისუფლად ეყარა სკამის გამოსაკრავზე.

საკმარისი იყო, ეს ჩითი და გადასაკრავი აგეწიათ, რომ ძვირფასი ქვებით სავსე ფუტლიარები და პატარა ყუთები გამოჩნდებოდა.

„იმწამსვე ავტომობილს დავიქირავებ და სადგურზე გავჩნდები, - გაიფიქრა იპოლიტ მატვეევიჩმა, მან ცხოვრების სიბრძნე ხომ დიდი კომბინატორის სკოლაში შეიძინა, - მერე პოლონეთის საზღვრისკენ მოვუსვამ. ერთ ქვას მივუგდებ და საზღვარზე გადამიყვანენ, მერე კი...“

იპოლიტ მატვეევიჩმა მოისურვა, ჩქარა დაენახა, „მერე“ რა იქნებოდა და სკამს ჩითი ააცალა. მისმა თვალებმა ზამბარები, საუცხოო ინგლისური ზამბარები და გადასაფარავი, შესანიშნავი ომამდელი გადასაკრავი დაინახეს, ახლა რომ არსად იშოვებოდა. სხვა კი სკამში არაფერი იყო. იპოლიტ მატვეევიჩმა მექანიკურად აწეწა გადასაკრავი, მერე ბარე ნახევარ საათს იჯდა, სკამს ხელებით ჩაჰფრენოდა და უაზროდ იმეორებდა: - მეტი რომ არაფერი არ არის? ეს შეუძლებელია! ყოვლად შეუძლებელია!

თითქმის მთლად გათენებული იყო, როცა ვორობიანინოვმა ჭადრაკის ოთახში ყველაფერი ხელუხლებლად დატოვა, ბრტყელტუჩა და არარსებული იახტკლუბის ნიშნიანი ქუდიც იქვე დაივიწყა და ყველასგან შეუმჩნევლად ფანჯრიდან ქუჩაში მძიმედ გადაძვრა.

- ეს შეუძლებელია! - გაიმეორა მან, როცა მთელი კვარტალი უკან მოიტოვა, - ეს ყოვლად შეუძლებელია.

იგი უკანვე, კლუბისკენ მიბრუნდა, დიდი ფანჯრების გასწვრივ რამდენჯერმე გაისეირნა და თან ტუჩებს აცმაცუნებდა.

- ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია! ეს ყოვლად შეუძლებელია!

ხანდახან შეჰყვირებდა და დილის ნისლით დანამულ თმაში ხელებს იტაცებდა. იგონებდა, რაც იმ ღამით მოხდა, და ჭაღარა თმას იწეწავდა. საბრილიანტო აგზნება მეტად ძლიერი საშუალება გამოდგა - იპოლიტ მატვეევიჩი ხუთ წუთში მიხრწნილ მოხუცს დაემგვანა.

- დადიან და დაეხეტებიან! დადიან და დაეხეტებიან, - მოესმა ვორობიანინოვს.

მან ბრეზენტის სპეცტანსაცმელსა და ცივ ჩექმებში გამოწყობილი დარაჯი დაინახა. დარაჯი ძალიან ბებერი და, როგორც ჩანდა, კეთილიც იყო.

- დადიან და დადიან, - ხალისიანად ამბობდა ბერიკაცი, რომელსაც მარტოობა მოსწყენოდა, - აი, ამხანაგო, თქვენც გაინტერესებთ. ჰოდა, სწორიცაა. ჩვენი კლუბი, შეიძლება ითქვას, არაჩვეულებრივია, - იპოლიტ მატვეევიჩმა ლოყაწითელ ბერიკაცს წამებულის მზერა შეავლო.

- დიახ, - თქვა ბერიკაცმა, - არაჩვეულებრივი კლუბია. სხვა ამისთანა არსად არ არის.

- ვითომ, არაჩვეულებრივი რატომაა? - ჰკითხა იპოლიტ მატვეევიჩმა და აზრები მოიკრიბა.

ბერიკაცმა ვორობიანინოვს მხიარულად შეხედა. ალბათ, არაჩვეულებრივი კლუბის ამბავი მას თვითონვე მოსწონდა და მუდამ ხალისიანად იმეორებდა.

- მაშ, ასე, - დაიწყო ბერიკაცმა, - მეათე წელია, რაც მე აქ დარაჯად ვარ, ასეთი შემთხვევა კი ჯერ არ ყოფილა. ყური მიგდე, მეგობარო, ერთი სიტყვით, აქ კლუბი მუდამაც იყო და, რა თქმა უნდა, წევის სამსახურის პირველ უბანს ეკუთვნოდა. მეც იმას ვდარაჯობდი. ოღონდ კლუბი არაფრად არ ვარგოდა... ათბობდნენ, ათბობდნენ და მაინც არ თბებოდა. ამხანაგი კრასილნიკოვი მე მომვარდებოდა ხოლმე - ამდენ შეშას რას უშვრებიო. მე კი რა, შეშას ვჭამდი, თუ? ერთი სიტყვით, ამხანაგი კრასილნიკოვი იმ კლუბმა ძალიან გააწვალა - აქ ნესტია, იქ ცივა, სასულე წრეს ოთახი არ აქვს. თეატრის თამაში ხომ ერთი ტანჯვა იყო: ბატონი მსახიობები პირდაპირ იყინებოდნენ, ახალი კლუბისთვის კრედიტს ხუთი წლის განმავლობაში ითხოვდნენ. თხოულობდნენ და არც კი ვიცი, ბოლოს რა გამოუვიდათ. რკინიგზების პროფკავშირი კრედიტს არ ამტკიცებდა. ჰოდა, ის იყო, გაზაფხულზე ამხანაგმა კრასილნიკოვმა სცენისთვის სკამი იყიდა. კარგი სკამი იყო, რბილი...

იპოლიტ მატვეევიჩი მთელი ტანით დარაჯს მიჰკვროდა და უსმენდა. იგი თითქმის გულწასული იყო. ბერიკაცმა კი მხიარული ხითხითით უამბო, ერთხელ ამ სკამზე ელნათურის გასაკეთებლად შევდექი და ჩამოვვარდი. ჩამოვვარდი ამ სკამიდან და უცებ სკამი არ დაირღვა! ვხედავ, შიგნიდან რაღაც შუშები და ძაფზე აცმული მძივები გადმოიპნა.

- მძივები, - ჩაილაპარაკა იპოლიტ მატვეევიჩმა.

- მაშ, მძივები, - აღტაცებით შესჩივლა ბერიკაცმა, -ახლა შიგნით ჩავიხედე, მეგობარო, და რაღაც ყუთები არ აწყვია? მე ხელიც არ მიხლია, პირდაპირ ამხანაგ კრასილნიკოვთან მივვარდი და მოვახსენე. მერე კომისიასაც ასევე ვუთხარი, იმ ყუთებისთვის ხელი არა და არ მიხლია-მეთქი და კარგადაც მოვიქეცი, მეგობარო, იმიტომ რომ იქ განძეული იპოვნეს. ბურჟუაზიას რომ დაუმალავს...

- ის განძეული სადღაა? - შეჰყვირა წინამძღოლმა.

- სადღაა, სადღაა! - გამოაჯავრა ბერიკაცმა, - თავი, მეგობარო, იმისთვის გაბია, რომ მოისაზრო. აი, სადაა!

- სად? სად?

- აი-მეთქი! - დაიყვირა ლოყაწითელმა გუშაგმა. მომხდარმა ეფექტმა იგი კიდევ უფრო გაახალისა, - აი! თვალები გაახილე! მეგობარო, იმით კლუბი ავაშენეთ! ვერ ხედავ, აი, კლუბი! ცენტრალური გათბობა, საათიანი შაში, ბუფეტი, თეატრი ოღონდ კალოშებით შიგ არავინ შეგიშვებს! მაშ! - იპოლიტ მატვეევიჩი გაიყინა. ადგილიდან არ დაძრულა, კარნიზს მზერა ისე გააყოლა.

მაშ, აი, სად ყოფილა მადამ პეტუხოვას განძეული! აი! სულ აქ ყოფილა! ას ორმოცდაათი ათასი მანეთი და ნული კაპიკი, როგორც ოსტაპ-სულეიმან-ბერტამარია ბენდერი იტყოდა.

ბრილიანტები ფასადის მთლიან მინებად და რკინა-ბეტონის სახურავებად ქცეულიყვნენ, მარგალიტებისგან კი გრილი სავარჯიშო დარბაზები აეგოთ. ალმასის დიადემა თეატრის დარბაზად გარდაქმნილიყო და იმ დარბაზს მბრუნავი სცენა ჰქონდა. ლალის საყურეები ვეება ჭაღებად გადაქცეულიყო. გველისებური ფირუზებიანი ოქროს სამაჯურები - მშვენიერ ბიბლიოთეკად, ფერმუარი კი - საბავშვო ბაგებად, საპლანერო სახელოსნოდ, ჭადრაკის კაბინეტად და საბილიარდოდ.

განძეული არ გაუფანტავთ, შეუნახავთ და კიდევაც უმრავლებიათ. მისი ხელით შეხება შეგეძლოთ, წაღება კი არა, - იგი სხვა ადამიანების სამსახურში შესულიყო.

იპოლიტ მატვეევიჩმა ხელი გრანიტით მოპირკეთებულ კედელს შეახო. ქვის სიცივე პირდაპირ გულში შეეჭრა.

და მან დაიყვირა. მისი გიჟური, აღტკინებული და ველური ყვირილის ხმა, - ხმა სასიკვდლოდ დაკოდილი ძუ მგელისა, - შუა მოედანზე გაიჭრა და ხიდქვეშ ჩაგორდა. მას ყოველი მხრიდან ახლად გამოღვიძებული დიდი ქალაქის ხმები შეესივნენ. იგი თანდათან დასუსტდა და ერთი წუთის მერე სულაც ჩაკვდა. შემოდგომის დიდებული მზე სველი სახურავებიდან მოსკოვის ქუჩებში ჩაგორდა. ქალაქი გაუდგა თავის ყოველდღიურ გზას.